

7
29



ISSN 0132-599 ՃԳՐՈՅԵՆԱԿԱՆ
ՆՈՇՆՈՒՄՈՅՑՅՑ

ՁԵՆՈՒՄՆԵՐ

114

56

1

1979



მწერთა კავშირი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაკთა კავშირი

წელიწადი 55-ე

№ 1

იანვარი 1979 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

მორის ფოცხიშვილი — ლექსები	3
გოფარკი ჩოხელი — მოთხრობები	7
ჰანსინი უფლიძე — ლექსები. თარგ. ხუტა ბერკულიძე	18
ნოზარ აბიშვილი — ლექსები	21
მანბანე ვოკაჩაიანი — ლექსები	24
ბათუ მანელია — ლექსები	27
სულხან ქათამაძე — ზეზუნის ცხელი დღეები. რომანი. დავასკული	29
მირიან მირიანი — ლექსები	131
ვაჟა ზორნაძე — ლექსები	136
იუზი მამაიძე — მთავარი ზეზუნის კინოფილმი. ლექსი. თარგ. თამარ გრიგორაძე	138

ნაკრებები სუთლედის დღეებზე

მირიან მირიანი — შიშ, თიანეთი, კახეთი ხარ. გაგრძელება	143
---	-----

კრიტიკა და კულტურისტიკა

შალვა ჩიჩუა — რომანის ტენია და რომანის ინტონაცია. გაგრძელება	151
აკაკი გარეჯანი — სტრატეგიული კრიტიკა	159

მეცნიერება

აკაკი შანიძე — კატრიფორის მონასტრის მუხრანული ბრიგოლ ბაქარაძის	173
თენგიზ კეზელაძე — მუხრანული და მთავრული	181

ჩვენი იუბილეები

ირაკლი ავაშიძე — ჩვენი საზოგადოებრივი მუშაკი და მემორიალი	189
ნოზარ აბიშვილი — ბატონი ალექსანდრე	190
ვიტორი ნატროშვილი — დავაზნის მემორიალი	191

საქართველოს საბჭოთა მწერთა კავშირის ორგანო

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირი

მთავარი რედაქტორი ვიორა ნატოშვილი

სარედაქციო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ანაწუკელი (მთ. რედ. მოადგიდე), ხ. ბერუღაშა, ო. გივინი-
რევილი, ა. კალაძე, ზ. ლეონიძე, ლ. მკალაშვილი, ა. სულაქაური, ა. ქუთათელი,
ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულუხიძე, ვ. წულუკიძე, ო. ზივიაძე, ა. ბარანა-
ული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნორედაქტორი რ. ჩაბუჩაძე

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბელოვონიანი; რედაქტორის — 98-55-11.

რედაქტორის მოადგილის — 98-55-12, განყოფ.

ფაქსების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 15/XII-78 წ., ხელმოწერი-
ლი დასბეჭდად 24/XII-78 წ., ანაწყობის ზომა
21/4×12, ქაღალდის ფორმატი 70×108/16,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდრ.-საგამომცემლო
თაბაში 16,58.

№ 07713. ტირაჟი 15.250. შეკვ. 3383

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

გორის ფრანკული

არიქა, ჩქარა!

ან ისევ ცეცხლად, ან ისევ ჭარად, —
არიქა, ჩქარა! არიქა, ჩქარა!

ჩავიდა მზე და ჩაბეირდა მთვარე,
დაადნა სვედა დაწყვეტილ ლარებს...

თუ ეს მდინარეც ჭაობად მდგარა,

ვით გაიხარებ? არიქა, ჩქარა!

არა თუ თრთოლა, არა თუ ხვედრი, —
არამედ ბრძოლა! ბრძოლისთვის გვედრი!

ან ისევ ცეცხლად, ან ისევ ჭარად, —
არიქა, ჩქარა! არიქა, ჩქარა!

გარინდება

მე მგონია, დასაწერი დაიწერა,
დასახატაც დაიხატა თითქოს, —
შენი ელვა ჩემს სხეულში დამიწდება,
შენი შუქი უკვე მსხვერპლად მითხოვს.

ნაგვიანებ თოვლად მოდის გარინდება,
შავი ღამე შავ უფსკრულებს აღებს, —

შენი სიტყვა ხორცში ისრად ჩამიჯდება,
შენი ქანგი დაცამიწვევებს ძარღვებს.

აღარც რიდი, აღარც შიშთან შერუინება,
აღარც ტყვია, მაგრამ აღარც ლეში, —
სამწუხაროდ, არაფერი მეტკინება,
სამწუხაროდ, აღარაფერ შემშლის.

მე მგონია, დასაწერი დაიწერა.

ჩემთვის დაგებული მახე
მე ერთს მიმელოდა მარად,
სუცა შეძახოდა: მნახე!
მიწა არ მიშვებდა: არა!

თოვზე ზამბახივით ვთრთოდი,
გული გუგუნებდა ზარად,
ბრბო რომ შეძახოდა: მოდი!
ერი არ მიშვებდა: არა!

იყო მომხიბლავი ტაში,
მწვავედა მშვენიერი ლედი,
მაინც შენს ტაძარში დაერჩი
და შენს სიყვარულზე ვწერდი.

შენ ერთს არ შეგეძლო გეოქმე,
ჩემთვის საყვედური მრუმედ,
შენთან მოვდიოდი, შენთან
და შენ გმორდებოდი თურმე.

აზია-ევროპის საგუშაგოსთან

დიპლომატიის
არაფერი არ გაეგება
ამ კუდაკალისა, —
ყოველდღე არღვევს საზღვარს, როცა
მოესურვება.

საშინელება

წარმოიდგინე,
რომ ხარ უკვდავი,
ხულ ერთი წუთით წარმოიდგინე,
რომ ყველა კვდება,
შენ კი მაინც
ცოცხალი რჩები...

ცირკი სიკვდილის სარეცელზე

გაცი, რომელიც ცოტა ხნის წინათ
ჩვენს თვალწინ ლამის ლომს ერეოდა,
ვხედავ, უსუსურ ბუზანაკალასაც
ვერ იგერიებს.

უკანასკნელი წარმოდგენა
თანდათანობით დიდ დასასრულს
უახლოვდება.

დგას მოწყალეების და
შპრიცით ხელში,
რომ ერთის წუთით დაუბრუნოს
მოსუკს ბავშვობა...

ენაკვიმატიობს დრო, ვით ძველი
ტაკიმასხარა:
„ხვალედან ჩვენი სუპერ-ვარსკვლავი
სააქაოდან
საიჭიოში საგასტროლოდ მიემგზავრება!“

ტრასაზე

ნუ გადაშირბენ წინ, გაზაფხულო! —
 ჩემი ცხოვრება
 ასი ცხენის ძალის სიჩქარით
 თავს იმტვრევს ახლა

იმ დიდ ტრასაზე,
 სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, —
 მიდიან იქეთ,
 მაგრამ აქეთ არავენ მოდის.

ღოღი

მიწა ბალახაშლილია,
 თქარა-თქურით ვიქროლოთ და
 ასპარეზი ვდოდოთ, —
 სასუმალი გაშლილია,
 ოღონდ შენ ნუ დაივანებ, ოღონდ!

სიკვდილამდე

კიდევ დიდი მანძილია,
 უსიკვდილოდ რა მიატანს უფალს, —
 ლეკვი ჩემი გულგრილობით დასჯილია
 და რიყეზე ამოგდებულ
 კალმახივით სუნთქავს...

სადღაც ახლო

თავქვე გარბის ნაკადული,
 გარბის, რადგან
 გაქცეულან წლები, —
 შენი შუქით დაბანგული
 ვაი, შენს ცეცხლს
 მგონი კვამლად ვწყდები...

მიწა ბალახაშლილია,
 შავ სნულეში შავი ქვები
 თეთრ ყორნებად სხედან
 და ჯანმრთელი გული სტკივა
 იალქნებში თავნამშობილ მხედარს.

ბალახ-ბულანი

მე იქ ამოვალ,
 სადაც მინდა როზ
 ამოვიდე
 და როგ ირც მინდა

კვლავაც ისე
 ამოვალ ალბათ
 შენს შავ კიბეზე,
 საწუთროვ ფლიდო!

• • •

აწა იმიტომ რომ ვალად მადევეს
 და არც იმიტომ
 რომ შენ ეს გინდა,
 მე შემძლია, შენს ნასროლ ბადეს

ჩემი სიცოცხლე მივანდო მშვიდად.
 ისე უბრალოდ, როგორც მუსიკას,
 მიაქვს დრო ჩემი
 ცისფერ ზმანებად.

წაიღე ცეცხლი ნიყვარულისა,
სულ მთლად წარმტაცე, არ მენანება!
ცეცხლი ცეცხლია,

კვამლად ქცეული
კვამლად ვრევა მწუხრში საფიროსს,
გზა უსაზღვრო და უკიდევანო,
ცა უსასრულო და უნაპირო.

ჟამინდობა

სულ ერთი პეშვი მზე გდია გზისპირ
და ხვლიკი
სწორედ ამ მზეზე თბება.

პაროდია მეტროში

ასვლა-ჩამოსვლის
მზიარული პაროდია, —
ერთნი აღიან...
მეორენი ჩამოდიან...


ქუჩაში

დავიწყე სტვენა.
რომელიღაც სახლიდან
ვგრძნობ რომ
კანარის ჩიტი მეპასუხება.

რა საურთო აქვს
გალების ტყვეს
ჩემს ცხოვრებასთან?!

• • •

არავინაა.
მარტომ უნდა გაეტყუო პური, —
მშიერ შოშიებს ფანჯარასთან
გავყურებ შურით.



მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ი

წერილი ნამკვს

საშინელმა სიზმრებმა გატანჯეს ჯღუნაი და შემკრთალს გამოეღვიძა.

კარგა ხანს ლამის ზმანებები ედგა თელეგში. საწოლზე იჯდა თავჩაღუნული. მერე ფეხებზე ტალახიანი ჩექმები ჩაიცვა და ბერის სახლისაკენ მიმავალ ორღობეს გაჰყვა დაფიქრებული.

შე კარგა აქეთ ამოსცილებოდა აღმოსავალს.

ბერის სახლის წინ სოფლის დედაკაცები ისხდნენ და ჩუმად რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. იმათ შორის იჯდა ბერის ცოლიც. იდაყვზე სახეამოყრდნობილი დროადრო სახლის ფანჯარას შეხედავდა და ამოიოხრებდა.

სინუმეს მარტო ღობის მარგილზე შემომჯდარი ყვავი არღვევდა.

სააგოდ ყრანტალეზდა.
— ყვა შენ და შენი ხმის გაცივება,
— ქოქოლას აყრიდნენ ყვავს დედაკაცები.

ჯღუნამ მარგილს თავი წაატეხა და ყვავს ესროლა. ყვავი გაფრინდა და ახლა ბანის წვერზე შემომჯდარი მოჰყვა ყრანტალს. ჯღუნაი კედელ-კედელ წამოეპარა და დიდი სიბი ესროლა. ყვავმა ისევ შეიცვალა ადგილი. ჯღუნამ თავი გაანება და დედაკაცებთან ჩამოვიდა.

— როგორ არის საქმე? — იკითხა ჯღუნამ.

— წუხელ მაგარი შეტევები ჰქონდა, — თქვა ბერის ცოლმა.

— ნემსი გაუკეთეთ?

— არ გაგვაკეთებინა.

— ცოტა მაინც არ გახმა?

— ხმება, მაგრამ ისე დარდობს იმის გახმობას, ალბათ გადაჰყვება. გულიც რო ეხლა ასტივდა!

— ექიმი არ ამოვიდა?

— ჰო, ამ დილით ამოვიდა, — თქვა ბერის ცოლმა და ამოიოხრა.

— რა თქვა, რაო.

— თუ იმ ნემსებს არ გაიკეთებს, არ გახმებო. როგორ არ ვეხევეწეთ, მაინც არ გაიკეთა.

— სხვა წამალი არაფერი დაუნიშნა?

— ჯერ არა, ელაპარაკება, შიგნით არის.

ჯღუნაი სახლში შევიდა.

საწოლზე ზის ბერი. მარცხენა მხარზე ტანსაცმელი ამოუჭრია და იქედან პატარა ნაძვს ამოუყვია თავი.

— შიშველი ფეხები საწოლის წინ ამოთხრილ მიწაში უწყევია ბერს და მიწას წყალს უღვრის.

— ნუ, ბერო, გაცვივებები, ნუ იღუპავ თავს.

ეხვეწება ბერს ექიმი, სამოც წელს მიტანებული დაბალი ებრაელი ქალი; ეს ქალი გულამაყრელების მკურნალი ანგელოზია.

— რას შერები კაცო, ნემსებს არ იკეთებ და მიწაში რო ფეხებს აწყობ, შენ გულს მაგით ეშველება?

— მე არა, ამას ეშველება. — მხარზე ამოსულ პატარა ნაძვზე ანიშნებს ბერი ჭლუნას.

— შე კაი კაცო, მაგდენი როგორ არ გესმის, შენ თუ დაიღუბები, ეგ ნაძვიც ხო დაიღუბება, რა გაჰქვდნი, გაიკეთე ნემსები!

— ნემსი რო გაიკეთო, გახშება, ხო ხედავ როგორ ჩამოჰქნა წიწვები.

ბერმა ფეხებში მოყრილ მიწას წყალი დაასხა.

ოთახში უცხო კაცი შემოვიდა და იქ მყოფთ გამარჯვება უთხრა.

— გაგიმარჯოს! — სულ ბოლოს თქვა ბერმა და მოსულს სიგარეტზე ანიშნა:

— ჩააქრე, მაგის ბოლზე უფრო ხმება.

ახალმოსულმა სიგარეტი ჩააქრო და თქვა:

— მე თქვენი სკოლის ახალი მასწავლებელი ვარ. გეოგრაფიას ვასწავლი. ამ უცნაურმა ამბავმა დამაინტერესა და იმიტომ მოვედი. გაოცებული ვარ პირდაპირ, გაოცებული. პირველად მესმის, რომ კაცს მხარზე ნაძვი ამოუვიდა. არა, თუ შეიძლება უფრო ღრმად გამარკვევთ ამ საქმეში.

— რა არის აქ ღრმად გასარკვევი, ამოვიდა, — თქვა ბერმა.

— თქვენ ამბობთ, რომ ღრმად გასარკვევი არაფერია, უბრალოდ ამოვივიდათ, ხომ. მაგრამ მე ვაღმომცეს, რომ თქვენ შეილივით ეპყრობით მაგ ნაძვს, ჰაერზე ასეირნებთ, იმის გულისთვის, რომ წამლებმა ნაძვი არ გაახშოს, თქვენ, ჯანმრთელობას საფრთხეში იგდებთ. არ არის ეს ღრმად გასარკვევი ამბავი? რას მეტყვით, საიდან გაინდა ეს მამაშვილური მზრუნველობა, ჰა?!

— მე შეილი არა მყავს, — თქვა ბე-

რმა და მასწავლებელს, რა შეიძლება გაჩენი ანთო სთხოვა:

— თუ შეიძლება, აქ ნუ მოსწევთ.

— უკაცრავად, სულ გადაამეფიწყდა. და კიდევ ერთი: არ გეგონოთ მე თქვენი ცოლის მიერ მოგზავნილი, ეს ჩემი რჩევა არის: თქვენ აუცილებლად უნდა გაიკეთოთ ნემსები, სხვანაირად გული არ მოგიჩნებათ. ნაძვები, ბატონო, ტყეში რამდენიც გინდათ იმდენია, თქვენ კი ერთი პატარა ხის გულისთვის...

— თქვენ რო ამოგსვლოდათ, რას იზამდით? — ჰკითხა ბერმა.

— თქვენსავით გული რომ მტკივებოდა, ალბათ ჩემ თავს ვარჩევდი და წამლებს მივიღებდი. თქვენ კი, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებთ და იცით თუ არა, რომ ამით თქვენში მყოფ ღმერთს ჰკლავთ.

— განა ეს ნაძვი კი ცოცხალი არ არის?! — თქვა ბერმა.

— ეგ ნაძვი ისეც გახშება.

— იქნებ არ გახშეს, — თქვა ბერმა და წასასვლელად მოემზადა.

— სად მიხვალ? — ჰკითხა ჭლუნამ.

— უნდა ვასეირნო, აქ ჩახუთული პაერია, შეიძლება აქ მართლა გახშეს.

— გულის წვეთები მაინც დაგელოა, — სთხოვა ექიმმა.

ბერმა არაფერი თქვა, ფრთხილად გავიდა ეიწრო კარში, რომ ნაძვი არაფერს წამოსდებოდა ტოტებით.

— თქვენ ღმერთი გწამთ?! — ჰკითხა ექიმმა მასწავლებელს.

მასწავლებელი დაიბნა:

— არა, ეს ისე... ძალიან უცნაური შემთხვევაა. როგორ უნდა ამოუვიდეს კაცს ნაძვი. ამის მერე შეიძლება ყველაფერი იწამო და არაფერი არ იწამო. ვითომ რატომ უნდა ამოსვლოდა ნაძვი, ჰა?

— ომში დაქრილა და ტყეში ნაძვის მტვერი ჩაპყრია ჰრილობაში — თქვა ექიმმა.

— როგორ გგონიათ ექიმო, არაფერი ეშველება? — იკითხა ჭლუნამ და ნათქვამს ოხვრა ამოაყოლა.

— როგორმე ნემსები უნდა გავუკეთოთ, რომ გაბმეს ის ნაძვი.

— როგორ აბა, ღამეც არ იძინებს, სულ იმ ნაძვს ჰყარაულობს, შვილივით უვლის.

— გულმა შეიძლება ვერ გაუძლოს, მკურნალობა აუცილებელია, — თქვა გეიმმა.

— პირდაპირ ღრმად შესწავლის ღირსია ეს თემა, — თქვა მასწავლებელმა და სივარტეტი გააბოლა.

ბერმა ჯერ თხილწარში ისეირნა, მერე იფიქრა: იქნებ წიფლიანში უფრო მოუხდეს ნაძვს გასეირნებაო და ზემოთ წაყვიდა.

გზაზე მეტყვევებდა დაეყარა.

— მართლა ხმება? — ჰკითხა მეტყვევებ ბერს.

— ჰო, ვერ არის კარგად.

— შენც რაღა ეხლა ატყვიდა გული!

— აბა!

— ისე, ღმერთის სამართალი რა ვთქვი, აქაურ ტყეში ნაძვი არ იბადება და მაინცდამაინც შენ ამოგივიდა, იმ დალოცვილს შვილი მოეცა ბარემ.

— მე ამაზუნდაც მადლობელი ვარ, ოღონდ ნუ გახმება!

— რაღა ნუ გახმება, ანდგე, ჩამოსკვნობია წიწვები. ანდა კაცო, ბედი არ არისო, მაშ რა არის, რატო სხო ზე ვერ გაიძევა ღმერთმა, ბალი მაინც ამოგსვლიყო, პირს მაინც გაისველებდა კაცი ნაძვს რაში გამაიყენებ, ის დალოცვილი, თუ გაძლევს, მოგცეს. არც იმასა აქვს სამართალი და ეგ არის.

— მე არა ვნანობ. — თქვა ბერმა.

— ისე, არა სტყუი კიდა, ხო იცი, იძახიან ნაძვის გირჩებისაგან კუჭის წამალს აკეთებენო. მომკლა, კაცო კუჭის ტკივილმა. ე ჩვენ ტყეში კიდევ ერთ ძირსაც ვერ ნახავ, სულ წიფელი და ნეკერჩხალია. თუ ძმა ხარ, თუ არ გახმა და გირჩები ვამაიბა, არავის მისცე, მომკლა კუჭის ტკივილმა.

ბერი ნაძვის პირველ გირჩებს მეტყვევებს შეჰპირდა და მარტოკამ გააგრძელა გზა.

გორზე დაისვენა.

ახლო-მახლო მოშიშვლებულა ადგილი იყო და როცა კი ნაძვს ასეირნებდა, ყოველთვის აქ ისვენებდა ბერი. ჩამოჭდებოდა და ეალერსებოდა ნაძვს. ეს ადგილი ძალიან მოსწონდა.

ცოტა რომ დაისვენა ბერმა, ადგა და მახლობელ ჩირგვში ისე ჩაიმალა, რომ ზემოთ მხოლოდ ნაძვი ჩანდა. მანამდე იყო ასე, სანამ ერთი პატარა ღობემდვრალა ჩიტი არ შემოჭდა ნაძვის კენწეროზე. თავის ენაზე რაღაცა იფრიპინა და ნაძვზე ჯდომით რომ გული იჭერა, გაფრინდა. ბერი წამოდგა და მადლიერი მზერა გააყოლა ფრინველს.

მერე ისევ გორზე დაჯდა და კიუხებიდან მონაბერ ნიავს შეუშვია მარცხენა მხარი.

ქვემოთ ხელისგულივით ჩანს არაგვის ქალა.

სულ ქვემოთ, ზეობის დასაწყისში დიდი სოფელი გაშლილა. იმ სოფელში კოლმეურნეობის კანტორა არის — თეთრი, მაღალი, ქვითკირით ნაშენები.

ბერს უცებ აზრი დაეზადა:

ჩაეალ კანტორაში და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დასასვენებელ საგზურს ვთხოვ საღმე ისეთ ადგილზე, სადაც ბევრი ნაძვებია. იქნებ იქაური ჰაერი მოუხდეს და ნაძვი აღარ გახმესო.

ამის გაფიქრებაზე გულის ტკივილიც კი გადააიწყდა. სირბილით დაეშვა ქვემოთ.

• • •

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თავის ოთახში დაუხვდა.

ცნობისმოყვარე ხალხი ჯარივით მოსდევდა ბერს უკან.

— საგზური მინდა. — თქვა ბერმა.

— რა საგზურს თხოულობ, ვერ გამიგია. — გაიკვირვა თავმჯდომარემ.

— საღმე ნაძვნარ ადგილას.

— ჩვენ აქ ეზრომობთ, — თქვა თავმჯდომარემ.

— ვიცი. — უთხრა ბერმა.

— მერე?!

— იქნებ გქონდეთ საგზური!

— არა გვაქვს.

— ძალიან ვთხოვთ.

— კაცო, რას ვადაშეკიდევ, ხომ ვითბრეს ვაიკეთე ნემსებით, რატომ არ იკეთებ.

— შენც იმათ მხარეზე ხარ?

— ჩემთვის არავის არაფერი არ უთქვამს და ნუ ჭიუტობ რაღაცას.

— ამომივიდა და რა ვქნა!

— ამოგივიდა! ხმება! გამიხსენი. ეს-
ლა აქ სატყეო მეურნეობა, ვაიშენე
ზურგზე ტყე, ვაურჩევ შიგ პანტა, ვა-
შლი, მსხალი, ზმარტლი, ვაამრავლე
მერე ნადირი. შემოგესევიან მონადირეები,
ტყის მჭრელები და ნულა მო-
მასვენებ მერე. მომთხოვე მეტყევეები.
დავუნიშნოთ მერე იმათ ხელფასი. მერე
იმ ნაძენარში ავარაკს მოგვთხოვეს ვი-
ლაც. პო, მართლა, ყურძენი არ დაგა-
ვიწყდეს, ვენახიც ვაიშენე, დავეურთოთ
ღვინო და ვიყვენთ ესე... საგზური არა
მაქვს მე და რაც ვითბრეს, ის ვააკეთე.
შენ არ იფიქრო, რომ შენმა ცოლმა
დამავალა ამის თქმა. ამას მე გეუბნები:
მოიშორე ეგ ნაძვი.

ბერს აღარაფერი უთქვამს თავმჯ-
დომარისათვის, კანტორიდან გამოვიდა
და გზას გაჰყვა ქვემოთ.

■ ■ ■

ბორჯომამდე ბერმა კითხვა-კითხვით
მიიღწია, ხალხს გიჟი ეგონა, ნაძვს რომ
ხედავდნენ იმის მხარზე.

არც სასტუმროში მიიღეს. ნანატო-
რიუმები გაქვილილი იყო დამსვენებლე-
ბით.

მაშინ ბერმა ერთ ნაძენარ ტყეში პა-
ტარა ქოხი აიშენა და იქ ასეირნებდა
ნაძვს.

პირველ ხანებში გულის ტკივილში
თანდათან უმატა. მერე უკეთესად იგ-
ძნო თავი.

ერთი კვირის თავზე ნაძვს გამოკე-
თება შეატყო ბერმა. გამწვანდა, გა-
ბიბინდა.

უცებ აიყარა ტანი ნაძვმა. ბერი
გულ-მკერდში გრძნობდა იმის ფეს-
ვებს და წიწვების სახეზე მოლამუნე-

ბით ტკებობდა. ის ახლა ნაძვის ყოველ
ნაფიქრალს ხედებოდა, გრძნობდა რო-
გორ ელაპარაკებოდნენ ხეები ერთ-
ერთს. ბერი ახალ სამყაროს გრძნობ-
და, გრძნობადს და არა ხილვადს, უჩი-
ნარს, იღუმალეობით მოცულს. ახლა
იმის სხეულში ორი სული იდგა და ეს
ორი სხვადასხვა სული ერთ-ერთის
შერწყმას ლამობდა. სხეულები კი
ერთსახედ ვადაქცევას ესწრაფებოდ-
ნენ. ისინი სვამდნენ ურთიერთს და
ერთ მთლიანს ავსებდნენ თანდათან.

ერთი თვის თავზე ბერის თავს ზე-
მით ჩანმაგარი ნაძვი მასპინძლობდა
მის ტოტებზე შემომსხდარ ფრინვე-
ლებს.

ბერს მეუღლე მოენატრა.

ჯღუნაიც მოენატრა.

ახლა ის სიამაყით იყო ავსილი და
ერთი სული ჰქონდა, როდის გაასეირ-
ნებდა ამ ჩანსალ ნაძვს თავის სოფელ-
ში, როდის შეეყრებოდა მეტყევეს და
დააიძვლებდა:

— ნუ გეშინია, მოგვემ ვირჩებს.
აბა რა!

გადაწყვიტა თავის სოფლამდე ტყე
და ტყე ევლო ფეხით, რომ უცხოის არა-
ვის გადაჰყოფდა, ხიფათს რომ არაფერს
გადაჰკიდებოდა.

დაემშვიდობა ნაძვებს და წავიდა.

■ ■ ■

„წერილი ნაძვებს!

ახლა ამ წერილს ჩემი სოფლიდან
გწერთ. კარგადა ვარ. ხშირად დავსეირ-
ნობ ტყეში. ჩემი სოფლელები შეშინე-
ბულნი არიან, ერიდებთ ჩემთან სი-
ხლოვე. გუშინ გეოგრაფის მასწავლე-
ბელმა მთხოვა, რომ საახალწლოდ მე
მომართონ. მე დავეთანხმე, მაგრამ ცოტა
მეშინია კიდევ, ტოტები არ ჩამომალე-
წონ. ერთადერთი, ვისთანაც აღამიანუ-
რი ლაპარაკი შეიძლება, მეტყევეა.
ვირჩებს შევბირდი, მაგრამ ცოტა ხარ-
ბი კაცია. მაინც ვერ ურიგდებია იმ
იხრს, რომ ნაძვი ვარ. წამოსცდება ხო-
ლმე ხშირად: — ბალი მაინც იყო,
პირს-მაინც ვავისელებდიო.

დღესაც სასიეროდ ვიყავი, ჩემი ცოლი სულ გვერდით დამყვება, რომ სადმე კლდეზე ტანმა არ გადაძლიოს და ხრამში არ გადავიჩეხო. შეურიგდა ბელს.

ჯღუნი გადასახლდა, აღარ ეკარება ჩვენ სოფელს. მენატრება, აღრე კარგი მეგობრები ვიყავით.

ერთი კვირის წინ ქორწილში ვიყავი და ერთ ლამაზ გოგონასთან ვიცეკვე. იმ დალოცვილს ჩემსავით აშოლტილი ტანი ჰქონდა.

ერთი ლოთი კაცი ცხოვრობს აქ, რამდენჯერაც დაითვრება ის კაცი, აიღებს ცულს, დაუწყებს გაღვსვას და თან იძახის:

— ბერი უნდა მოვჭრა! ბერი უნდა მოვჭრა!

ვერიდები. მეშინია.

რას ვაიგებ, მთვრალი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია. შეიძლება მართლა მომჭრას.

აქაურ ტყეებს სიყვითლე შეეპარა. ამით ძალიან უკვირთ მე რომ სულ მწვანე ვარ და ფერს არ ვიცვლი. ეს კიდეც არაფერი, მე რომ სიარული შემიძლია — ამაზე მთლად გიჟდებიან, აღბათ ზეციდან მოვლენილი ვგონივარ, ისე შეკრძალებიან.

მე ვუთხარი მათ, რომ არა ვარ სხვაგნინდან მოსული.

არ დამიჯერეს:

— თუ მიწაზე დაიბადე, რატომ შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, ჩვენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ კი დადიხარ, სადაც მოგესურვება იქ დგებო, თან არც ჩვენნაირი ფოთლები გაქვსო.

რა უნდა ვუთხრა. რითი დავაჯერო.

წიფელს კიდეც რამეს ვაგებინებ, სხვები მთლად ურწმუნოები არიან.

არ მინდა ტყეებს თავის თავის რწმენა დავეუკარგო. არადა ვერც ვშორდები. შუაგულ ტყეში ერთი პატარა ვერხვი შემიყვარდა, ყოველდღე რომ არ ვნახო, არ შემიძლია, უიმისოდ ვერ ვძლებ. ისე თრთის ხოლმე ჩემს

დანახვაზე, აღბათ მასაც ვუყვარვარ. ამ ბოლო დროს მასთან სიახლოვეს ვერიდები. მგონი ჩემი ცოლი ეჭვიანობს, მეშინია, მე რომ შემუქრება ის ლოთი კაცი არ მოისყიდოს და ვერხვი მოაქრევინოს.

ჩემ სოფლებსაც მგონი შეეპარათ ტყეების ეჭვი.

სოფლის თავს ერთი ბებერი კაცი ცხოვრობს, არც ცოლ-შვილი ჰყავს იმ კაცს, არც დამეები, მართლა რაც თავი მახსოვს. აღრე ღმერთი არა სწამდა და სოფელს იმიტომ გაშორდა. სოფლის თავს სახლი აიშენა და შეუვალი ღობე შემოავლო. მთელი თავისი სიცოცხლე ღმერთის გმობაში გაატარა. ეხლა მოხუცდა, ჯან-ღონე წაერთვა და სიღარიბემ წელში მოხარა. სამადლოდ თუ ვინმე მიაწვდის პურ-წყალს. ჩამომხმარ სხეულში ცოდვილობს იმისი სული. ყოველდღე ღმერთს ევედრება შეწყალებას.

ტყისაგან მიმავალი გზა იმ მოხუცის სახლის გვერდზე გადის და ყოველთვის, როცა ტყეში მივდივარ ხოლმე, იმისი საცოდავობით მივცდება გული. სახლის წინ მუხლებზე დაჩოქილი დგას ხოლმე და ცას შესძახის:

ჩამომეშველე ზენარო
 ეგ თალბი კალთა ჩამომადარე.
 ა ეს თვალები დამიხუჭე,
 ა ეს ენა-პირი დამიდუმე,
 ა ეს მუხლები ჩამიშალე,
 სული ნამგალივით გამიღუნე
 და
 წამიყვანე!..

ამ სახის მიღმა გამიყვანე, თორემ დავილაღე.

ამ ბნელ მღვიმეში ყოფნით დავილაღე.

და ამ ლოცვის დროს მე თუ დამინახა აკანკალებული მეხვეწება:

— სთხოვე უფალს ჩამომეშველოს,

სთხოვე ჩამომეშველოს!
 მიშველე, სთხოვე —

მეცოდება ეგ კაცი, არ ვიცი რა

გენა, რით ვუშველო. რომ არ ვაწყენინო, შევეუშვერ ხოლმე ზეცას ხელებს და შევთხოვე:

— ჩამოეშველე! ჩამოეშველე!

არ სჩანს გამკითხავი.

იგვიანებს...

საოცარ სიზმრებს ვხედავ ღამ-ღამობით: ხან მეჩვენება, რომ პაერში დავფრინავ, შერე ქვემოთ ვეშვები, მიწის ბაგაბუღს ვისმენ.

სუნთქავს მიწა.

როგორც კაცი, ამოისუნთქავს და მერე სად და როდის ჩაისუნთქავს. თითქოს სუნთქვის ზმაც მესმის.

მიწის გულიდან რომ გამოვდივარ, ყველაფერი რაც კი მის ტანზე ხდება, მიწის სიზმარი მგონია.

ხან შორს მიმავრუნს რაღაც უხილავი ძალა და შორიდან ვუყურებ დედამიწას.

დედამიწას იქედან სხვანაირს ვხედავ: ცოცხალს!

მღინარეები მისი სისხლძარღვებია.

ზღვები და ოკეანეები — ფილტვები.

ტყეებით სუნთქავს.

პაერი მისი სულაა.

თვითონვეა კაციც და დედაკაციც.

შორიდან კარგად ჩანს, როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევე მიწას უერთდებიან...

ნეტავი ერთხელ ჩემ სიზმრებში ჩაგახედათ და განახათ როგორი სახე აქვს იქ დედამიწას.

ჯერ ეს სიზმარი არ მინახავს მაგრამ, ალბათ როგორც დედამიწას შეერთვიან მისგან გამოსული სახეები, თვითონ დედამიწაც ისევე შეერთვის ღმერთს.

ვიცი ჩემი ჭანმრთელობა უფრო გაინტერესებთ. ნუ იღარდებთ. წინანდებურად აღარ მაწუხებს გულის ტკივილი.

დღეს ჩემ ტოტებზე ასევე გულიანად

იგალობა შაშვმა, რომ სულ განდამივიწყდა, თუ როდესმე გული მტკიოდა.

აქაურ ტყეში მარტო მე ვარ ნაძვი, ერთი ადგილი მომწონს მაღალ მთაზე, ხშირად ვდევგვარ იქ. აქედან კარგი გადასახედაა, მთელი ზეობა მოჩანს.

ღამ-ღამობით სიზმარში მეჩვენება, რომ ფესვები მიწაში მიდგას.

თქვენ მენატრებით.

ჯაკონით ბევრს...

ბერი."

წერილს გარედან მისამართი ეწერია: 66793

ბორჯომი

ეს წერილი ნაძვის ტყეში დაგდეთ.

შემოდგომაზე გულის ტკივილებმა მოუმატეს ბერს.

ერთ საღამოს ნაძვის ფესვები მუხლებში ქვემოთ იგრძნო.

საშინლად სწიწნიდა გული.

მთვარიანში სახლიდან გამოვიდა, კალოდან ბარი გამოიტანა და ტყისაკენ აუყვა აღმართს.

გვიანი შემოდგომა იყო.

მთვარის შუქზე ვედრებდასავით იდგნენ გაძარცული ტყეები.

ტყის მცველის ქოხს ჩაუარა.

შუალამისას თავის საყვარელ ადგილს მიაღწია.

აქედან ხელისგულივით მოჩანდა ზეობა.

ბერმა ღრმა ორმო ამოთხარა და შიგ ჩადგამერე ნათხარი მიწა შიგნით ჩაიყარა და ხელებით ფეხებში ჩაიტკეპნა წელამდე.

იდგა ასე.

უქანასკნელი, რაც ბერმა იგრძნო, ეს იყო თუ როგორ შეავსო ორმო სხეულმა, ერთი მთლიანი და ერთსახე გახდა, წერილი ფესვებით საოცარი სისწრაფით ჩაებლალუქა მიწას...

ხოლო პირველი რაც ნაძვმა იგრძნო, ეს მზის ამოსვლა იყო.

ბიულენი საგზაო

თეთრი თმა-წვერით დაბერდა სოსიკაი. მზე მიიწურა მისი სულის დაღრუბლულ ცაზე, დაღვა, დაგვიანდა და წვეთი-წვეთ შრება.

კარგა ხანია საუკუნეს გადააბიჯა.

კარგა ხანია ბილული სამყარო დაეკარგა იმის თვალებს.

ყოფელთვის შეუმცდარი ალღოთი გრძნობს მზის ამოსვლასა და ჩასვლას. წელიდან ქამარ-ხანჯალს არ იშორებს. გამუდმებით მაღალ ბანის წვერზე ზის და მეხსიერებაში ჩარჩენილ სამყაროს გაპყურებს შორად, თავისი ბავშვობისაყენ.

— შენამც დამიბერდები თეთრი თმაწვერით ჩემო სოსიკავ! — დალოცა ბაღლობაში ერთმა მოხუცმა დედაკაცმა და ახლა იმისი ლოცვა.

თეთრი თმა-წვერით დაბერდა სოსიკაი. მზე მოიღალა მის ძვალ-მსხვილ სხეულში ყოფნით.

— რატომ გარტყია წელზე ქამარ-ხანჯალი, პაპავ? — ეკითხებიან შვილიშვილები.

— იმად რომ შუა სკნელსა ვართ, — პისუსხოშს მოხუცი.

ბაღლები იცინიან.

— ზემო სკნელს ვინლა არის პაპავ.

— ზე სკნელს ღმერთია, შეგვეწიოს იმის ძალი და მადლი! — ამბობს მოხუცი და პირჯვარს იწერს.

— ქვემო სკნელსა?

— აღ-ქაჩები და დევ-ეშმაკები, ფუი გასწყდა იმათი სახსენებელა.

— რატო, პაპავ!

— იმად რომ ბოროტნი არიან.

— შენ ვინახავს ისინი, პაპავ?

— შინახავს, აღრე ჩემს ჭველობაში მე და შუღლას გვეყვდნენ გამოსეულნი.

-- შუღლაი ვინ იყო.

-- შუღლაი გაღმა სოფლელი იყო, ჩემი ძმადნაფიცია.

— შენზე მეტი ღონე თუ ექნებოდა, პაპავ?

მოხუცი გაჩუმიდა. ამ შეკითხვაზე არასოდეს ხმას არ იღებდა.

მის გარდა შუღლაი აღარავის ახსოვს. სოსიკას კი ახსოვს.

დევეკაცი იყო გაღმა სოფლელი შუღლაი.

ახსოვს სოსიკას: ერთხელ ღონეში აჯობა შუღლამ. მაგათ სოფლებს შუაში არაგვი ჩამოუღის, ყოველ ახალწელს მღვდელი წყალს აკურთხებდა ხოლმე. ნაკურთხ წყალს ქვაბით შუა ხიღზე დაღვაღდა. გაღმაც ხალხი იღვა. გამოღმაც. ორივე სოფელი ღონიერ კაცს ირჩევდა. ერთი გაღმა ეწეოდა ქვაბს, მეორე გამოღმა. ვინც თავის მხარეს წაიღებდა ქვაბს, იმ სოფლისა იყო ნაკურთხი წყალი.

ახსოვს სოსიკას: გაღმელებმა შუღლაი აირჩიეს, გამოღმელებმა სოსიკაი. ჩასკიდეს ძარღვიანი ხელები ქვაბის ყურებს და გასწიეს თავ-თავისაყენ. ღონიერი კაცი იყო შუღლაი, ქვაბიც თავის მხარეს გაითრია და სოსიკაიც.

მერე კარგა ხანს მკვდრის მხესავით გაფერქმურთალებული სახით დაიარებოდა სოსიკაი. ახლოს აღარავის იკარებდა. ბოღმამ ერთიანად ჩამოაღწო და სანთელივით ჩამოღვენთა.

ვაქკაცი იყო შუღლაი. სასმელ-საკვალავით მოვიდა სოსიკასთან და ძმად გაეფიცა.

ახსოვს სოსიკას შუღლაი.

სხვას არავის ახსოვს.

ეხლა სხვა ხალხია აქ.

მართო სოსიკაილა არის ძველი.

საუკუნეს დიდი ხანია გადასცილდა სოსიკაის შვილისშვილისშვილმა მოტაცებით მოიყვანა პატარძალი.

გავხარდა მოხუცს.

ახლალა წარმოდგინა, რომ შვილი-შვილისშვილი მაგას ჰვავდა.

გულიანად დალოცა, „ახალყოილი“ და საქორწილო სუფრის თავში დაჯდა. დიდი ყანწი გამოცალა მოხუცმა.

მოეკიდა ალალი, მესხიერება აუმღე-
რია,

შულაი გაახსენდა.

რატომღაც ვგონა, რომ ისიც ცო-
ცხალი იყო.

ძალიან მოუნდა შემთვრალ მოხუცს
ძმანადიციის ნახვა და მოითხოვა:

— გადადით გაღმა სოფელში და შუ-
ლლაი გადამიყვანეთ.

არავინ უგდო ყური. იცინოდნენ მა-
რტო.

— შულაი გადამიყვანეთ მე
თქვენი... — გაბრაზდა მოხუცი.

— აქა ვარ, აქა სოსიკავ! — იხუმრა
ვილაცამ სუფრის ბოლოში.

— აქა ხარ ძმაო, შულავე — გაე-
ხარდა სოსიკას და ჩემთან გადმოჭექიო
გასძახა.

ის ახალგაზრდა გადავიდა და გვერ-
დზე მოუჭდა.

— როგორა ხარ, კაცოო?

— კარგად, შენა?

— რატო დამივიწყე.

— რა ვიცი, ესეთი ყოფილა სიბე-
რე.

— ჰოო.

მოხუცის ხმაზე ელაპარაკებოდა
ახალგაზრდა. დანარჩენები იცინოდნენ.

„ძმანადიციის“ ნახვით გალაღებულ-
მა სოსიკამ ძველი ამბები მოაყოლა
საუბარს.

მერე ახალგაზრდამ ისევ მოხუცის
ხმით უთხრა:

— სოსიკავ, გახსოვს შე რთ მოგე-
რივე?

სოსიკას ხმა არ ამოუღია, უსინათლო
თვალები მიაშტერა მოსაუბრეს.

ნაკურთხი წყლისთვის რომ შეეჭი-
დნენ, ის გაახსენდა და სახეზე ფერ-
ფურმა გადაურბინა. ეწყინა, შულლამ ის
ამბავი რომ გაიხსენა.

მერე თანდათან უფრო მოეკიდა
ზლალი.

მერე დაეჭვდა კიდევ: შეტყუა თუ
ქაეცი იყო, არ გაიხსენებდა იმ ამბავს.

ის ახალგაზრდა ახალახალ ტყუო-
ლებს იგონებდა და ეს თუ გახსოვსო,
ეუნებოდა სოსიკას.

თანდათან უფრო დაეჭვდა სოსიკაი:
„შულაი ვაქაეცი იყო, არ გაიხსენებ-
და იმ ამბავს.“

ხალხი იცინოდა.

მერე სოსიკას გაახსენდა, რომ შულ-
ლაი იმ ქვეყანაზე აღარ იყო და უფრო
მოუნდა, რომ ეს ახალგაზრდა დიდხანს
მყდარიყო მასთან და შულლაის მაგიე-
რობა გაეწია. ახლა ის ისე იყო თავის
წარსულ სამყაროში დანთქმული, რომ
არაფრით არ უნდოდა მისი დატოვება.

— გახსოვს სოსიკავ, რთ გცემე. —
გისახელებლად იძახდა ახალგაზრდა და
ხალხს აცინებდა.

— შენ კი არა, მე გცემე შულლავ,
— თავის მხრიდან ედავებოდა სოსიკაი
და უნდოდა რაც შეიძლება დიდხანს
გაგრძელებულიყო ასეთი თავის ტყუე-
ბა.

საქორწილო სუფრა ხარხარებდა.

მეორე დღეს ისევ ბანზე იჯდა სო-
სიკაი.

მექორწილე ხალხი ვერც მეორე
დღეს იკავებდა სიცილს.

— მოდი ვუთხრაოთ, — თქვა ერთმა.

— გაუშვი, ცოდვია, ეწყინება.

— ერთი რას გვეტყვის, ჰა?

— ძია სოსიკავ!

— რა გინდათ.

— შულლას ზო არ დაგუძახათ.

— არა.

— რატო არა, გაიხსენებთ ძველ ამ-
ბებს, თუ გინდა ამოვიყვანთ აქ.

— ვერ ამოვიყვანთ. — თქვა სოსიკამ
და უსინათლო თვალები მიმოავლო ხი-
ლულ სამყაროს.

ბაქურხველი ხმისკრი

ერთი მთის იქით ბაკურხვეია, მეორე მთის იქით — ჭუთა. ორივე სოფელში ხევსურები ცხოვრობენ. ამ ორ მთას შორის არის ბუსარქილი და იქ გუდამაყრელები ცხოვრობენ. ჭუთაღებისა და ბაკურხვეელების გზა ბუსარქილზე გადის. ეს ორი ხევსურული სოფელი ერთ-ერთს არის დამოყვრებული, ერთიმეორეში ათხოვებენ ქალებს.

წამოვა მაყრიონი ჭუთიდან, გადმოვიღის ქვენამთას და ჩამოვა ბუსარქილს. აქ დაისვენებენ, მგზავრის ანგელოზს გაადიდებენ და ბაკურხვევისაკენ გადავლენ ქიდაქის მთაზე.

ბუსარქილელები ბანებზე გადმოდგებიან და უყურებენ. იმათთვის ვასართობი სანახაობა ხევსურების გამოჩენა არის. სხვა სოფელი ახლო-მახლო არ იბადება. მიმყუდროვებულნი არიან ბუსარქილელები, მოწყენილობის უკმარეობა გვაყურებენ ქიდაქსა და ქვენამთას. კვირა ისე არ გაივლის, ერთი ხევსური მაინც არ გამოჩნდეს.

ცივქედაის სახლი ყველაზე ახლოს არის გზასთან. სახლის გვერდზე ერთი ქედაია, ყოველთვის ცივი ქარი ქრის იმ ქედზე.

გამოვა სახლიდან ბუბუნაურთ ვანიად, წამოწვება მხარეთქობზე. გორზე გრილა და ეგ გორს ეძახის ცივქედას, ხალხი მაგას ეძახის ბუბუნაურთ ცივქედას.

წვეს ვანიად ქედზე, ხელში თოფი უჭერია და ხან ფეხზე იდებს ლულას, ხან შუბლზე.

ერთი გაყალბებული ტყვია აქვს. ჩასდებს თოფში, შეაყენებს ფეხზე ჩაბმას, მიიღებს თოფის ლულას შუბლზე და გამოსხლტის. იცის რომ არ გავარდება და ხალხს ავიყვებ: ხან ფეხში იმიზნებს, ხან თვალში. თოფი ხმას არ იღებს.

მოწყენილი დღეა. ზის ვანიად ცივ

ქედზე. სასიამოვნოდ ქრის გრილი ნიავი.

ქიდაქის მთაზე ცხენოსანი ხევსური ჩამოდის ქვემოთ, ვანიად თოფში გაყალბებულ ტყვიას დებს და გულდაგულ უმიზნებს ხევსურს.

ხევსური ბაკურხვეიდან ჭუთაში მიდის მოკეთებთან: ლუღის სასმელად, სამღერლად, დოღში წასასვლელად. თეთრ ცხენზე ზის და თოფ-იარაღში არის ჩამჯდარი. თავმომწონედ მოჰყავს ცხენი. ხევსურმა რა იცის, რომ ბუბუნაური ცივქედაი თოფს უმიზნებს. რომ იცოდეს, ხო დაიმალება გორის იქით, მაგას მართლა სამტროდ დამიზნებული თოფი ეგონება, რა იცის, რომ შივ გაყალბებული ტყვია დევს.

ჭერ შორს არის ხევსური. მერე თანდათან ახლოვდება და თოფსაც უფრო გულდაგულ უმიზნებს ცივქედაი.

ხევსური გორს მოეფარება. ცივქედაი თოფს თავისკენ შეაბრუნებს და ლულას ხახაში ჩაიდებს.

ჩაბმავი ფეხზეა შეყენებული, მართო გამოსხლტადა უნდა. ხევსურმა არ იცის, რომ თოფს უმიზნებენ თორემ ალბათ აღარ გამოსცდებოდა გორს, ცივქედამ კი იცის თავისი ტყვიის ამბავი და ხევსურზე ეცინება. თოფის ლულა პირში აქვს ჩადებული. მერე სასხლტს გამოსწევს.

დაიგრიანებს თოფი და მთელ ხეობას დაივლის ექო.

მერე სიჩუმე ჩამოწვება, დაწყენადებიან მთები.

ცივ ქედზე თანდათან ცივდება ბუბუნაურთ ცივქედაი.

ცივი ქარი ქრის.

ხევსური ქიდაქის მთას ჩამოვიღის და ქვენამთას აუყვება. იმან არ იცის, რომ თოფს უმიზნებდნენ.

ხევსური თავის გზით მიდის ჭუთელ მოკეთებთან: ლუღის სასმელად, სამღერლად, დოღში წასასვლელად.

კომორიანთ ძაღის საათი

გულდაყრელებმა კოტორიანთ ქალის წლოვანება დაპყრგეს.

პირველად გამიხარდამ შეამჩნია, რომ კოტორიანთ ქალი აღარ ბერდება, შესახებად როგორც ათი წლის წინათ იყო, წელსაც ისეთივეა. გამიხარდაი სოფლის საფიზენოში გადავიდა და თქვა:

— კაცებო, კოტორიანთ ქალი აღარ ბერდება!

— როგორ თუ აღარ ბერდება?!

— ისე, გაუჩერდა სხეულში ხანი და აღარ ბერდება.

— მართლა კაცო, როგორც ათი წლის წინათ იყო, წელსაც ისეთივეა.

— ათისა კი არა, ოცი წლის წინაც ეგეთი მახსოვს როგორსაც ეხლა უყურებთ. — თქვა თამნიაურთ მარტიამ.

— ხო იქნება ასი წლისა.

— ასისა კი არა, რატო ასოცისა არ იქნება.

— მეტისა იქნება, ჩემს ბაღლობაში მაგას ჩვენ წისქვილში ზურგით ამოჰქონდა საფქვავი, ბაღლი ვიყავ და კარგად მახსოვს, ეგ რო წისქვილში ამოდიოდა, ტვირთს ყოველთვის წისქვილის კართან იხსნიდა. ჰოდა, ეხლა, გენაცვალათ თამნიაურთ მარტიანი, მენა ოთხმოცდაექვსი წლისა ვარ, ამინდი დი დაიანგარიშეთ თქვენა.

იანგარიშეს, მაგრამ მარტიანის მონაყოლმა უფრო ბუნდოვანი გახდა კოტორიანთ ქალის წელთადრიცხვა, ვისაც რამდენი ეწადა, იმდენს ამბობდა. ზოგი ასს, ზოგი ასორმოცს, ასახებეარზე მეტი კი არავის უთქვამს.

თვითონ კოტორიანთ ქალმაც აღარ იცოდა კარგად.

— კოლმეურნეობა რომ ჩამოყალიბდა, მაშინ მე და ხიხანიანთ ზითანდარი სწორები ვიყავითო.

ზითანდარი აღარც ახსოვს აქაურებს, იმის საფლავიც კი აღარ ეტყობა მიწას. კოტორიანთ ქალი კი ისევ იმას უტრიალებს:

— ზითანდარი ოც ყველის კერს სწურავდა დღეში, მე ოცდაათს, იმითომ დაგვასაჩუქრა კოლმეურნეობამ საათებით.

— ვინ გეგულემა კიდევ ისეთი, რო შენი წლოვანება იცოდეს.

— თუ ეცოდინება, ისევ მექობაურიათ ბუთულას.

ბუთულამ უარი შემოთვალა:

— არ ვიცი, მე მაგის ქორწილში ბაღლი ვიყავ, თავად თუ არ იცის, მე სულ არაფერი ვიცი.

— იცის, მაგან იცის და არ ამბობს, ეგ ისეთი კაცია, რო მიწაში ვინ რამდენი წლისია, ისაც იცის, უემური კაცია და განა გეტყვით, — თქვა კოტორიანთ ქალმა. მერე თვითონ წავიდა ბუთულასთან.

ბუთულამ პირი უფრო შეიკრა, არაფრით არა თქვა.

იმ დღიდან სხვა თვალით დაუწყო ხალხმა კოტორიანთ ქალს ყურება, ჰკვლევდნენ, ჩურჩულებდნენ. ყოველდღე ეკითხებოდნენ:

— ასისა იქნები?

— ვიქნები.

— ასოცისა?

— ვიქნები.

— საუკუნენახევრისა?

— ან ვიქნები და ანა არა.

— არაფერსა გრძნობ?

— რა უნდა ვიგრძნო.

— სიბერე.

— ჩემს გარდა განა არავინ დაბერებულა, რას ამიტყვით, თქვე დალოცვილის შეილებო, თქვენა.

მთელი ზამთარი არ მოუსვენა ხალხმა. შეწუხდა კოტორიანთ ქალი. ესენი აქ რაღაცას ამიტხზავნენო, იფიქრა და გამოიკრა ერთი თვის საგზალი ფუთაში, დაიჭირა ჯობი ზელში და ბუსარქილის გზას დაადგა.

ბუსარქილში სახლი ჰქონდა, ყოველ გაზაფხულზე აღიოდა და ზაფხულს იქ ატარებდა. უყვარდა ერთი-

ორი კვირა მარტო ყოფნა, მანამდე წავიდოდა ხოლმე, ვიდრე შემთევები წასხამდნენ საქონელს იქ საბალახოდ.

წელს ხალხმა შეაწუხა და ადრე წავიდა. ვადმოხვეტა ბანიდან თოვლი და დანთო კერაზე ცეცხლი. მერე, როცა სიმარტოვე ივრძნო, გახსნა სკივრი, იქიდან ძველი საათი ამოიღო და მომართა.

თითო საათი კოლმეურნეობაში აჩუქეს ზითანდარსა და კოტორიანთ ქალს კარგი მუშაობისთვის. იმის შემდეგ ეგ საათი კოტორიანთ ქალის განუყრელი მეგობარია.

ამოვა გაზაფხულის პირზე კოტორიანთ ქალი, დაჰქოქავს საათს და გაუბამს საუბარს:

— ნეტავი შენ, რომ საქმე არა გაქვს. ჩაირთვები ჭორიან დედაკაცივით და იძახი: ტიტიტიტ... ტიტიტიტ... ჩამოგეშალოს ეგ ხელ-მხარი როგორც შენ რამ არ იცია, აი!..

კოტორიანთ ქალმა საათის ცნობა არ იცის და ჰგონია, რომ საათი ყოველთვის იტყუება.

— მე ვერა ვგებულობ ნისლიან ამინდში ზოგჯერ გათენებასა და დღამებას, მაგან რა შავი ქვა და ცხელი ნაცარი იცის ტიკტიკის მეტი, — იძახის კოტორიანთ ქალი და საათს ქოქოლას აყრის.

საათი კი წიკწიკებს, არა ჩერდება. ერთხელ მომართვა ერთ კვირას ჰკმარობს. დროის ცნობა მართლა არეული აქვს, როცა შუღამეა, ეგ მაშინ დილის რვა საათს უჩვენებს.

ხანდახან მეზობელი სოფლიდან შარვანიანთ ქალი ამოვა ხოლმე დროის გასაგებად. არც იმან იცის საათის ცნობა. იმისთვის სულ ერთია რომელი საათია, მაგრამ მაინც კითხულობს.

— რომელი საათია, ქალო!
 — შევიდი. — პასუხობს კოტორიანთ

ქალი და არ იმჩნევს, რომ საათის ცნობა არ იცის.

მერე ორივენი დიდხანს უყურებენ საათს. შარვანიანთ ქალი დაეკვებით ამბობს:

— ნეტავ მართლა თუ რამე იცის ამ ქალობა ჩამოსაშლელმა საათმა.

— მთავრობის ნაჩუქარია, მაგანაც თუ არა იცის რა, მა ვინლა იცის. ბევრი იცის, ძალიან ბევრი. — უცხოლთან სახელს არ უტეხს საათს კოტორიანთ ქალი.

სალამო ხანს შარვანიანთ ქალი ისევ თავის სოფელში მიდის, აქ კი ორნი რჩებიან: საათი და კოტორიანთ ქალი. ისე არიან ერთურთს შეჩვეულნი, უერთმანეთოდ ვერა სძლებენ. საათს იმის გარეშე არ შეუძლია მუშაობა და თუ გაჩერდა, რაღაცა უხილავი მძიმე ლოდი აწვება გულზე ქალს, გაყინულ დროს გრძნობს სხეულში და ველარ ითმენს, დადუმებულ საათს ემდურება: — რა, რას მამადლი ჩემთან ყოფნას. რა ძალა შენ გეყრება, რო პირი გააწყერე და ხმას აღარ იღებ, შე ქალობა-ჩამოსაბნელებო, შენა!

ერთ სალამოს დიდხანს უყურა საათს, მერე დაჰქოქა და რომ წებობდა, შესწყველა:

— შენამც ჩამოგეშალოს ეგ ხელმხარი, შე ჭორიანო, შენა, აი! — ქოქოლანი მიაყარა და დაწვა.

კერაზე თანდათან მიცივდა ცეცხლი. სიბნელე ჩამოწვა.


მხოლოდ ქალის სუნთქვა და საათის წიკ-წიკი ისმოდა ბნელში.

მერე სუნთქვა შეწყდა. მარტო საათი წიკწიკებდა.

ერთხელ დაჰქოქვა ჰკმარობდა ერთ კვირას.

მერე აღბათ ჭირისუფალნიც ამოვიდოდნენ.

საათს შეეძლო გაჩერებულიყო და ემუშავა ისევ.



სახელმწიფო ბიბლიოთეკა
 საქართველოს
 დემოკრატიული რესპუბლიკა

ფონის ულიაძე

წიგნიდან „ნათელი გაზაფხულისა“

მეხუთედი თქმულება

მიტკნოდა, მიიტკნოდა
გზაზე მხედარი გვიანი.
შუალამისას იწროში
შევიდა ელვისხმლიანი.

იყოდა, ძნელი გზა კტონდა,
თვითონაც იყო დაღლილი.
მოულოდნელად მთის შტოდან
მოესმა მყიდვე ძახილი:

— მხედარო, ნუ გაქვს იმედი,
გულიც რომ გქონდეს მაგარი,
არ ელოდება არავის
აქ შებრალების მაგვარი.

— ვით გაიარა ამ გზაზე
ჩემამდე, სხვამან მრავალმან,
თუ არ ვარ მათზე მამაცი,
უარესი ხომ არა ვარ?

— მითქვამს და გეტყვი ერთხელაც,
უბრალოდ, განა მუქარით:
აქ შევრდომებას ნუ ელის,
კაცი იქნება თუ ქალი.

— ვერ შემაშინებ, გამეცა
ღვთისა და კაცის გულისთვის.
შეც გაეალ, როგორც გასულა
აქ სხვა მხედარი არავის.

— სხვებზე ნაკლები როდი ხარ,
თავსაც ნუ ადრი ნურვისა,
და მაინც ველარ წაუხვალ
შენ ჩემს ნებას და სურვილსა.

— არაუმეტეს ხმლისპირის,
ბილიკი დამილაშქრნია,
იქვე მამაცებს შევეყრივარ
და მაინც გამიმარჯვნია.

— ვიცი. და მაინც უწყოდე,
როგორც სხვამ ბევრმა უწყოდა,
ვინც გამიწვია მე სმალში,
უმაღ დამარცხდა უღვთოდა.

— თანა მაქვს ბახრი მახვილი,
მუდამ ხათმრად რომ ილტვის,
თუ გამშედავი ვინმე ხარ,
გთხოვ მოუმზადო ბრძოლისთვის!

— გეყო უაზრო ლაყობა.
თავი მიწამდე დასარგ.
ჩემი მძლეველი არ ახსოვს
ამ ბნელ იწროსა და მხარეს.

— მაინც ვინა ხარ, იმედის
ტოტი რომ გადამიბეღე?
მთების იწროდან გაისმა
მშვიდი პასუხი: — ხიბერე!

— ო, ბუმბურაშო რაინდო,
ნაბრძოლი, მაგრამ დაღლილი,

შენს ფეხქვეშ ვგდოს დღეიდან
ეს ჩემი ბასრი მახვილი!

გვიანლოვება ზამთარი...

— გვიანლოვდება ზამთარი
და ყინულივით სიცვივე!
— ეს მაისიდან იცოდო,
ისევე, როგორც ვიცი მე.

— მაინც რა უნდა ვიღონოთ,
რომ არ გაგვთვლოს გრიგალმა!
— როგორც გაზაფხულს უმწერდი,
ზამთარს შეხედე იმგვარად.

— ეს ჩვენი ტკბილი სიცოცხლე
მოკლეა ზამთრის დღესავით!
— დასაბამიდან გვეუწყა,
რომ კაცთა ხვედრი ეს არი.

— არც ჩვენ დაგვინდობს ზამთარი,
კიდევ რომ დავხვდეთ გულადად!
— შესძელ, წინაშე ბედისა
რომ წარსდგე ღირსეულადა.

— მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ?
ძმობილო, იქნებ იცოდე?
— გამოსავალი ერთია:
ვითარცა ცოცხლობ, იცოცხლე.

— მე მეშინია ზამთრისა,
მე დახასრული მაშინებს!
ბრძენი ხარ. ძალა სიბრძნისა
ამჯერაც გამოაჩინე!

— გვიანლოვდება ზამთარი,
მკაცრი ყინვები იწყება!
— ესეც ყოველთვის გვახსოვდა.
არც როდის დაგვავიწყდება.

— მეც ველი ზამთარს. შენსავით
მიწიერი და ალალი.
ძმავ, იშრომე და იცოცხლე,
ქვეყნად სხვა სიბრძნე არ არი.

სალამოსას. ხუს როცა ვხვდები...

სალამოსას, ხუს როცა ვხვდები,
მე ვუბნები:

— მშვიდობით, ხეო!
იქნებ ამ ღამეს ვერ გადავურჩე...
უენო ხე კი მიპასუხებს:

— მალენახვამდის!
ბილიკს, რომელსაც დღეს მიეყვები,
მე ვუბნები ასე:
— მშვიდობით!

იქნებ ახლა უკანასკნელად
გაწუხებ ჩემი სიარულით და მოძრაობით.
ბილიკი, როგორც ყოვლისმცოდნე მიწის ღიმილი,
ელვარებს ბნელში, —
გამოთხოვების ნიშნად კი არა,
მხოლოდ იმისთვის, სალამი მიძღვნას.

ღის ვარსკვლავს ასე ვუბნები:
— იყავ მშვიდობით!

— მშვიდობით, ხეო!
იქნებ ამ ღამეს ვერ გადავურჩე...
უენო ხე კი მიპასუხებს:
— მალენახვამდის!

კიდევ შევხვდებით ჩვენ ერთმანეთს და საუკუნოდ.
 მაგრამ ვერაფერს ვერ გავიგებ
 ამის შესახებ.
 მიმზერს ვარსკვლავი — უცნაური, ნაზი დაცინვით,
 ხიფვარულით და... არ შეთხოვება.

ახე — ხეები, ბილიკები და ვარსკვლავები
 მიხანგრძლივებენ მე სიცოცხლეს,
 მხოლოდ მათთანვე შესახვედრად კიდევ მრავალჯერ.

აქვანი, საღვს მგრნუჲა ღჲა

აკვანი, საღაც მარწველა ღღა,
 დამპურობელებმა ჩააგდეს ცეცხლში,
 საწვსი ჩემთა მომღერალ ღღთა
 დამპურობელებმა ჩააგდეს ცეცხლში.
 დაგმანეს კარნი ყოველი სახლის.
 თ, მწარე ფერფლი გამზრდელი აკენიხლ..

თარგმანი ბუბა ბერუღავასი



ნოდარ ადიუხვილი

მოლოდინი

ერთხელაც გაიფოთლება
გასაფოთლელი რაც არი,
კაცის ბულს ბული მონახავს,
მიწის გულს —
ქერის მარცვალი.

და გაზაფხული წაგვიღებს
და ვისაც დავეკარგებით,

იმან იღარდოს
რალა ჩვენ,

ჩვენ ისევ ჩვენი ჩანგებით —
ვიმღეროთ სიყვარულის და
თეთრი ვარდების მოფენის,

რა მოხდა
ერთხელ თუ ვიტყვით
ბინდისფერია სოფელი.

წინაპარი

მიკვირს,
ჩაგლილი ცხოვრება მიკვირს,
თითქოსდა მხოლოდ ცრემლისთვის მიხმეს,

ჩანდა ბურუსში უწყვეტი რიგი
და რიგრიგობით მინგრეუდნენ ციხეს.

მტერიც,

მოყვარეც,
ჭრისტეც,
ალაპიც
ჩემს მკერდზე ჰყოფდა ყველა გასაყოფს

და მეზრდებოდა მკერდზე ბალახი,
ვაი, შენ ჩემო მწვანე ბალახო!

სოფლის ცა

დღემუდამ ვილაც შენსკენ მაქეხებს,
მოვრბივარ ქვებზე და მუხლებს ვიმტკრევ...
და ვუცქერ ისევ ბებერ კაკლებზე

ფრთებს ახარბებენ ჩიტები ჩიტებს.
აი, აჰ, მენტოთ ერთხელ კოცონი
და რაც შემეძლო ცისკენ მიმავდა;

აქ იყო თუკი ვინმე მომწონდა,
 აქ იყო თუკი ვინმე მიყვარდა.
 მოვრბივარ, შენი ცა მენატრება,

შენი ქუჩები და სიხალისე...
 და მთვარის წვეთი — ციციანთელა
 ისევ მიუძღვის ფიქრებს მთვარისკენ.

• • •

წომ იყო ერთწელ — ჩიტების ბმაზე
 ვიღვიძებდი და მივჭროდი ველად...

და გულს გამობმულს მზეზე და ზარზე
 ლურჯ ზღაპრებისკენ მიჰყავდა ყველა.

მაგრამ

ზამთარი

რის ზამთარია —

თუ ერთხელ ველარ დაჰფინა თოვლი...

ველარ აფრინდა ჭიამაია
 და ვერ აშენდა კომკები ბროლის.

• • •

მოვიდა რასაც აღარ ველოდი,
 ვისხენებ დღეებს — ბედის სასწორზე,

მაისის ბაღებს რომ გპირდებოდი
 და ერთი ვარდიც ვერ გისახსოვრე.

სალამური

ვისთვის მოწველ გაზაფხულო,
 ვისთვის აფენ ველზე კარავს,

ან შენ ტკბილო სალამური
 ამ ღამეში ძილს ვის ჰპარავ.

ერთად ვზრდიდით ოქროს ვერძებს,
 ახლაც ველზე შეგულები,

ამოწან და
 ამოლექსე
 ისევ
 ძველი ერთგულებით...

სალამური!
 საყვარელო,
 კვლავ რა ტკბილად შეყურები.

• • •

ინ დღეში ასჯერ აიკრავს გუდას,
 ის დღეში ასჯერ ამოწმებს აფრებს,

გაჭაღარავდა, თუმცაღა მუდამ
 თქვენს ბილიკებზე ყვავილებს აფენს.
 ამბობს:

— ჩვენებურ მთებსა და მინდვრებს
 ალბათ სხვაგვარი თარგიდან სჭრიდნენ...

და ისევ ისე,
 პეპელას კაბებს
 ხატავს, —
 ქალაქის კედლებზე ჰკიდებს.

• • •

თოვლის ცა თვალებს ისე აწყდება, —
რომ შენშიც გაჩნდა თოვლის მძრახველი...

მაინც შენიშნე როგორ დასწერეს
თოვლზე ვილაცის მოკლე სახელი.

შენ იხივ ნასე,
ვილაცამ როგორ
იპოვა იგი მერე ვით განძი,

ვაი, ამ ქარში აღრენილ ხობობს,
ვაი, ამ თოვლში გასავლელ მანძილს.

• • •

შენ რომ ცა ხარ და ქვეყანას ფარავ
მე რომ ძლივს ვარ და იმედით გიმწერ,

ნულარ დამინგრევ ამ მცირე კარავს,
ნულარ წამართმევ მზიარულ სიზმრებს,

ცოტა ხანს კიდევ ვაძოვო ფარა,
მტკვარზე.

რიონზე,
არაგვის პირზე,

ცოტა ხანს კიდევ ვაძოვო ფარა,
მაგრამ შენ
ცა ხარ! და აღარ მისმენ...

წყალს მიაქვს ჩემი ბროლი და ქარვა, —
ბრჭყვიალებს ცრემლი შეიდივე სიმზე.

შემოდგომა

ჩამუქდა ძველი გადასახედი,
ჩათავდა ძველი ჩანგის წკრიალი.

თვალს მიეფარა ქართლის ბალები,
ჩემი,

შენი

და

ღმერთის ზიარი.

და მე ავწიე ცისკენ ზელები, —
— ღმერთო!

ნახვერად უკვე მიწა ვარ,

— ღმერთო!

ტირიან დათვის ბელებიც, —

ტყის ყველა ხილი ჩამოიცალა.



ახსიანო პორბანელი

აჭარის გაზაფხული

მიტომ ვიფაფით მიტურთან მაგარი,
ლხინშიც და ჭირშიც წულგამართული,
სულ იდგა ხახლში ბავშვის აკვანი
და იზრდებოდა შიგ გაზაფხული.

რა გინდ უკუღმა დაბრუნდეს ბედი
და უკანახუნელ წამებს ითვლიდეს,
სადაც ნანინის ხმა ისმის დედის,
იქ ვერც იხარებს ფიქრი სიკვდილზე.

მართალი კაცის ნატვრას ფრთები აქვს,
ცხრა გაზაფხულის ხუნთქვით ფერილი.
ეს ჩანჩქერები არტანუბია
ამ მაღალ მთებზე გადაფენილი.

და მათი ელფა სანამ გვახარებს,
სანამ გვახარებს რწმევა ზვირთების,

ხიცოცხლის ნერგი მწამს არ გაბმება,
ფესვო, არასდროს დაიშრიტები!

ცაზე რომ შუქმა გადაიარა,
შესძრა ნისლეტი და რძედ აღინა,
ეს გუგუნია მთების კი არა,
ეს არის დედის იაფნანინა.

სულ ვარსკვლავ-ვარსკვლავ აგვიტანია
ჩვენი ოცნება მაღლა და მაღლა.
აჭარისწყალიც მზის აკვანია,
მიტომ ირწევა მთებს შორის ლაღად.

თუ მბრძანებელი ხარ ამ მთა-ბარის,
საუკუნეთა მიოქვამს დასტურით,
სულ უნდა იდგეს ხახლში აკვანი
და იზრდებოდეს შიგ გაზაფხული.

თამარის ზიდი

ვიცი, ნუ მეტყვი გული ვის უხმობს,
ეს გზა რჩეულთა ხაითკენ მიდის,
თამარის ზიღზე გადმოადის უხმოოდ
ამ ჩვენი აწმყოში წარსული დიდი.

აქ დრომ დაადგა უღელი ზვირთებს,
ეს ცინარტყელა აქ დრომ ისროლა,
რომ აქ ამაყად იაროს ზიღზე
მშობელი მიწის მარადისობამ.

ყოროლის წყალთან

როცა მზე შავი ზღვის ღელვას გასცდა,
სამეფო ტახტი საღამოს ანდო,
მთვარე გაბრწყინდა ყოროლისწყალთან
და შიგ ჩაჰყარა თვალების ჯადო.

მერე ჩამოჰყვა აღისფერ ვარდებს,
მიუაღერსა დეკას და ღვიას,
გადააფარა სინათლის ბადე
კენჭების თრთოლვას და ზვირთის ჩხრიალს.

ჩადგა ქარი და დადუმდა წნორიც,
ფეხის ხმაც შეწყდა გამოღმა-გაღმა,

რომ არ გაიხსნეს ნაღველი შორი
და არ განრისხდეს ლოდებთან ტალღა.

უნდა ვიღგე და ვარსკვლავი ვთვალო,
მანამდე სანამ დაცვივა ჭირხლი;
შენს სიანკარეს, ყოროლისწყალთ,
არ გაურევა წვეთები სისხლის.

როცა მზე შავი ზღვის ღელვას გასცდა,
სამეფო ტახტი საღამოს ანდო,
მთვარე გაბრწყინდა ყოროლისწყალთან
და შიგ ჩაჰყარა თვალების ჯადო.

ნათელვარას წყარო

სულში სამოთხის ჩიტივით გალობ,
მიხვალ და სიოც მოგყვება მორცხვად,
მშობელი დედა მგონიხარ წყაროვ,
აქ გამოსული სამშობლოს ლოცვად.

მე აღარ ვიცი, რას შეგადარო,
ვერც ვიტყვი რამდენ თილისმას ნასკვავ,
რა პატარა ხარ, ანკარა წყაროვ,
და იტყვ რამდენ ელვარე ვარსკვლავს!

მგონა წყალი მისდევდი ბილიკს,
ნაპირზე ნუკრებს უხმობდი თითქოს,
თურმე ყოფილხარ მზის ერთი სხივი
და ნათელვარაც შეგარქვეს მიტომ.

სულში სამოთხის ჩიტივით გალობ,
მიხვალ და სიოც მოგყვება მორცხვად,
მშობელი დედა მგონიხარ წყაროვ,
აქ გამოსული სამშობლოს ლოცვად.

ეს მთვარეა თუ ვგ შენი გული

საღამოს ქამი მთებს როგორ უვლის,
როგორ შეტოკდა ლაქვარდის მკერდი,
ეს მთვარეა თუ ვგ შენი გული
ზამბახებიდან ამოდის, დედი!

რომ გადმოივლი კირნათის ქედებს,
შენი სუნთქვაა თუ ქარი ხეთა,
არა, ეს შენ ხარ... ადგილთ ფეხზე
და გზა მიეცილ საყვარელ დედას.

რა მშობლიური ხურნელი დადგა,
რა ბედნიერად წამები მიდის,
რომ არ ეფაროს ვგ შენი კალთა
არ იქნებოდა ეს ღამე მშვიდი!

საღამოს ქამი მთებს როგორ უვლის,
როგორ შეტოკდა ლაქვარდის მკერდი,
ეს მთვარეა თუ ვგ შენი გული
ზამბახებიდან ამოდის, დედი!

იმ ვარსკვლავს ვეძებ

ტოტემს დაისის ეზვევა ფთილა,
მინდა როგორმე შენს სარკმელს მოვწვდე
და მელანდება ცხმორისის დილა,
როგორც პირველი შეხვედრის მოწმე.

ცა ერთიანად დაემხო ქედებს,
გული უსიტყვოდ იძლევა კითხვას
და შენს თვალეში იმ ვარსკვლავს ვეძებ,
რომ შეგვახვედრა თამარის ხილთან.

ქედა

რას იტყვის მიწა, რა გდევს თავიდან?
რას იტყვის შენი გუთნისდედური?
უკვდავებასთან წილწყარი და
მარადისობას შეჭიდებულდი.

რა სასწაულებს ამოაქვს ფესვი,
აქამდე აღწევს ცეცხლი შეტევის,
ვდგევართ ხმლებივით! — გუგუნი მესმის —
შენი მთუბის და შენი ქედების.

თუმც რად ვაწუხებ დღეებს წარსულის,
რას არ აჩნია კვალი ქველობის,
განა ეს ჩვენი ენა ქართული
არ არის ძველი ქედურელობის?

ქედა, შენს მიწას მარად მადლობა,
მისი დიდების იცი მონა ვარ,
და მე მსურს ვაშა ვუთხრა აწმყოს და
და მე მსურს ვაშა ვუთხრა მომავალს!



ბათუ ღანელია

ნახევარწლაპარი

ჩემი ბალიდან ყოველ საღამოს
ნაცნობ ჩიტების მესმის დუეტი,
მღერენ და როცა დამინახავენ,
რომ მათ სიხარულს ვერ შევეუერთდი,
ღმერთმანი, მღერას სწყვეტენ უმაღვე,
მზერას ორივე ჩემზე აჩერებს —
მე მინდა მათაც არ დავეშალო
ჩემი ტყეფალი და გასაჭირი.

მაგრამ ჩიტი ზომ მაინც ჩიტია,
ის რა ჩიტია, თუ არ გაფრინდა...
დამიტოვებენ უფრო იდეას
მარტოობის ზღვის მყუდრო ნაპირთან.
მეორე დღით კი მათი დიდების
ტკბილი გალობა ისევ იწყება...
და ორი რამე მშურს ამ ჩიტების —
თანაგრძნობა და გულმავიწყობა.



ამ ბნელ ქუჩაზე სტუდენტ გოგონებს
ეჭირათ მყუდრო, პატარა ბინა,
და მგეობრობა სურდათ როგორმე
ისეთი, სხვებს რომ არ ქონდათ წინათ.
და ხშირად მათი ოთახის ფანჯრებს
მოაწყდებოდნენ ჩიტები გუნდად
დიდხანს უსმენდნენ ნატვრების ფაჩუნს
და ამნაირი ცხოვრება შურდათ...
ხოლო ისინი დებივით გავდნენ
ერთმანეთს, როგორც ფანჯრის მინები...
არა თვალებით და სახის ნაკვითით,
არამედ ფიქრით და მოთმინებით...
სულაც ვერ გრძნობდნენ, რომ იდგნენ
მდგმურად

უყვარდათ კინო... იძენდნენ წიგნებს...
შინ ბრუნდებოდნენ ძესვით და პურით
და კმაყოფილი ამითაც იყვნენ...
ზოგჯერ ეძებდნენ დუმილის მიზეზს
და დუმდნენ, თითქოს ისხდნენ ბუხართან...
და ერთმანეთი უყვარდათ ისე,
თითქოს არაყინ სხვა არ უყვარდათ..

...

დღეს ამ ოთახში ცხოვრობენ სხვები
უსმენენ მოცარტს და ბახის ფუგებს...
... თქვენ შეიძლება ერთმანეთს ხედვით,
ან ერთმანეთი არც გახსოვთ უკვე.

სახლში არ იყვნენ... მთელი ოჯახი
ზაფხულის მზისგან იყო ლტოლვილი...
ფანჯრის რაფაზე იდგა თოჯინა
დამწუხრებული გვიან თოვლივით.

და ვარდისფერი მისი ხელები
თითქოს რალაცა უთქმელს ამხელდნენ.
იდგა თოჯინა და იხსენებდა
ვინ იყო ან რა ვრჭვა სახელი.

კაბა ვევა და კაბის ფონები
მუხლებს ესვინენ უხმო ბგერებად.
ცამდე მართალი იყო თოჯინა
და თიბათვის მზეს თვალს უმტერებდა.

სახლში არ იყვნენ... თოჯინის დარდი
ხმას ვერ აწუდენდა ცისფერ აგარაკს...
დაუტოვიათ ის მარტოდმარტო
დავიწყებიათ მისი წაყვანა.

იდგა თოჯინა, ნატვრით დამშეულს
დაღლილი შუბლი არვინ მობანა,
ეწო კი სახეზე იყო ბავშვებით
და თამაშობდნენ თოჯინობანას.

ცის კენწეროზე ზღვისფერ დარბაზებს
გაქცევა სურდათ სივრცის ჩუროდან...
იდგა თოჯინა ფანჯრის რაფაზე
იდგა თოჯინა და არ სჯეროდა...



კარს რომ გაეაღებ დილით,
უბირველესად,
აღმოსავლეთის ცას გაეზუდაე —
მზე თუ ამოვა...
ჰეი მერმისო, სად იხედები
შენი მზე მე ვარ,
მერე რა, ცაზე
ერთხელაც რომ არ გამოესულვარ...
არის დღეები...
(კაცის ცხოვრება როგორ გავს დღეებს)
არის დღეები —
ველარ აგნებს განთიადს მზე და
შუადღემდე ველარ ამოდის,
მაგრამ სამზეის
მთელი დღეც რომ ვფაროს ჩადრი,
უმჯობეს მაინც არ დადამდება...
(კაცის ცხოვრება როგორ გავს დღეებს)...
ჰე, ოცდახუთი შემოდგომაც!

უჭირნახულიდ ჩაძირული მსედეგლობის
ოკეანეში,
ნეტავი თქვენი უმადლესობა
კიდევ რამდენ ხმას ელის ჩემგან, როგორც
მშობლისგან...

ა, თუ აღმართი უდაღმართთა,
ამ მთას რომ ავიღე,
იქ შეორე მთა დაიწყება,
მე მიფარს ცა და უდაღმართობა,
რადგანაც ბედი აღმართების ბოლოში
მღერის
და ცის ბოლოში დგანან ღმერთები...
მაშ დამელოდე უსასრულობაც,
მოვდივარ შენთან, გარშემორტყმული
სენსაციების უდაბნოებით...
ჰეი მერმისო, სად იხედები,
შენი მზე მე ვარ,
მერე რა, ცაზე
ერთხელაც რომ არ ამოესულვარ.



ზავსულის მხელი ღლეხი

მოთხანო

იოთამი მიხვდა, რომ სიყალბე აღარ გაუვიდოდა და ფონს გასვლა ახლა თავის მოკატუნებით მოინდომა:

— რატომ სხვისი ხელით, ქორია, რატომ ამბობ მაგას? განა მე კი აქა არა ვარ? თქვენთან არა ვარ? დიახ... და საქმესაც თქვენსიარს ვაკეთებ. აბა მეტი რა ვქნა, ჰა? რაღა ვქნა?

იოთამი უცბად ძალიან ხაცოდავი შესახედი გახდა, როგორღაც ზედმეტად მოტყდა, მოიბღუნდა, დაჩივდა და ხმაშიც უმწეობა და უნიათობა დაეტყო, მაგრამ პაპა ქორიამ ამას არ მიხვდა — გაჩუმდი! — უთხრა კვლავ მკაცრად და მბრძანებლურად, — თავისმართლება ადვილია! თუ თვითონ არ შეგიძლია, უნდა უთხრა მაინც, მოსთხოვო, გააკეთებინო, რომ აი, ასეთ დროს თავმოჭრილი ქათამივით არ აფართხალდე. აგე, საქონელი იღუპება, — გაიშვირა ხელი სახზოვ ბაკისაკენ, — რით გინდა უშველო? გადაარჩინო?... ჰო, აი ეგ უნდა ქნა, უნდა იცოდე, წინასწარვე უნდა იცოდე და... ხმა ამოიღო.

— კარგი ერთი, ხმა ამოიღო, ხმა ამოიღო! ვითომ არ ვიღებ და არ ვეუბნები, აი! მაგრამ მიხმენს? მიგდებს ყურს? მაგას დაასრულო. აბ. „მნათობი“, 1978 წ. № 12.

თავი ისევ სკოლაში ჰგონია და ჩვენც მოწაფეებივით გვიყურებს... აყვირდება, აჯიჯღინდება... მე კი, შენ კარგად იცი, არ მიყვარს ჩხუბი და აყალ-მაყალი, არ მიყვარს და რა ვქნა, — კუნძზე მოწყვეტით დაჯდა და ტირილნარევი ხმით დაასრულა, — აჰა, აი, მომკალით, შემჭამეთ... დაწყდნენ, დაიღუპონ და, ჯანდაბას, ვაგებ ბასუხს, აჰა, აი, ეგრე, მეტი რაღა გინდათ ჩემგან?

— საქონელს არ დავღუპავთ, პატრონები ვყვეართ და მოვუვლით, — დინჯად უთხრა პაპა ქორიამ, — მაგრამ აი თქვენ კი... შენ და შენს გამგებს... — სათქმელი აღარ დაასრულა, ხელი ჩაიჭნია და ისევ საცეცხლურისაკენ შებრუნდა.

საუბარში ბოლოს იღო, თედო და ჩოფურიც ჩაერივნენ

— კარგი, კარგი, გვეოფათ, ჩხუბი რა საჭიროა?

— ჰო, ჰო, რა საჭიროა, რად გინდათ?

— ან რას შევლის, საქმეს რას შევლის?

— სწორია!

— მართალია!

ჩხუბი და ერთმანეთის საყვედური საქმეს მართლაც არაფერს შველოდა, საჭიროა

იყო მოქმედება, განძრევა, რაღაც გზის, ღონის გამონახვა, რომ ავადმყოფი საქონელი კოტეხს მოსვლამდე, წამლის მოტანამდე, როგორმე უმსხვერპლოდ და უდანაჯლისოდ გადაერჩინათ, შეენარჩუნებინათ. ეს იყო ახლა უპირველესი საზრუნავი და ყველას ერთად და თვითუღეს ცალცალკე მხოლოდ ამაზე უნდა ეფიქრა, ფიქრობდნენ კიდევ, მაგრამ როგორც ყოველთვის თავსდამტყდარი უბედურების პირველ წუთებში ხდება ხოლმე, ჯერ აზრი მთლიანად ვერცერთს ვერ მოეკრება. დაბნეულობა და უმწეობის ბოღმა ყველას ამჯარად ემჩინებოდა, ემჩნეოდა თვალწარმხედ, გამოხედვაზე, მიხვრა-მოხვრასა და სუნთქვაზეც კი. ისხდნენ უძრავად, მდუმარედ, ზოგი კოცონთან, ზოგი საწოლზე, ისხდნენ გამტკნარებული სახეებით, ზედიზედ ქაჩავდნენ სიგარეტებს, ჩაპყურებდნენ მიწას დაღვრემილები და ბოღმას მუშოხვრამი ასწობდნენ. მთელს ამ უსიამო, უფერულ სურათს ამთავრებდა ხბოების გაბმული, ხრინწიანი ხველა, განუწყვეტლივ რომ ისმოდა ბაკიდან და ხბოებში შემომდგარი ტყვიისფერი ნისლების მჭიხ ბოჭირი. ამინდი თითქოს განგებ ანჩხლობდა და ჯიბრზე გამოდარებას აღარ აპირებდა. მგლისფრად დაბრუნებულ, ნისლის ზვინებს დროდადრო მცირე ზომის ნაფლეთები მოსწყვდებოდა, მაკლავუნასავით გადმოზობდებოდა ტვიან ხერებზე, ხვების მწვანე ქოჩორს მოლილისფრო ჭირხსს შეაფრქვევდა და ავი მუქარით დათოვლილი მწვერვალებისაკენ დაწალიკდებოდა, რომ იქ, მაღლა თავისივე მსგავს ღრუბელს შექყროდა, შეერთებოდა, გაძლიერებულიყო და ისევ წვიმად, ხორხოზად ან თოვლად ჩამოქცეულიყო.

დუმილი პირველმა პაპა ქორიამ დასძლია:

— ჩვენ სხვა არაფერი შეგვიძლია, ბიჭებო, — თქვა უკვე დამშვიდებული ხმით, თავიც ნელა ასწია და მწყემსებს გადმოხედა, — ბაკი უნდა მოვათხოვოთ და ხანამ ი კაცი დაბრუნდება, რამეს მოიტანს, საქონელი სიაბოში ვიყლიოთ, აი, ეს უნდა გავაკეთოთ.

— სწორია! მეც მაგ აზრისა ვარ, —

გამოცხვრდა იოთამი და სხვებმაც ეკვირნა დაუკრეს.

რაკი სახსარი მოინახა და გზა ხსნიდა გათვალსაზრისა, მდგომარეობაც თითქოს შემსუბუქდა, და არა თუ საშიში და საწყუხარი, თითქოს ზედმეტად იოლიც კი გახდა. მართლაც და, რა არის აქ ასეთი უსაშველო? როდის ყოფილა, გაციებით პირუტყვი დაზარალებულიყო, მით უფრო, თუ მოუვლი და ხელს წაახმარ? ჩვილი ხბო? მერე რა, ხბოც საქონელია და არც ხველაა ისეთი სენი, რომ... სიაბოში თვითონვე გამოიშუშებიან და მერე წამალიც მოუსწრებთ.

— კი, კი ნამდვილად.

— კოტეც ალბათ იჩქარებს.

— აბა, რას იზამს?

— ჰო, იმ კაცს ხელი კი არ აუღია თავზე? ბოლოს და ბოლოს, გამგეა და პასუხს აგებს.

ფესზე ადგომაც სხვებს ისევ პაპა ქორიამ დაახწრო. და მოხდა ის, რაც ასეთ დროს ხდება ხოლმე: ცხოვრების დაუწერელი კანონის ძალა აქ, ამ პაპა კოლექტივში მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა, და ყველას ცხადად დაანახვა, თუ როგორ გადადის საქმე ღირსეულის ხელში საჭიროების ჟამს, როგორ ტოვებს ასპარეზს — უთქმელად, თავისთავად — შემთხვევით მისული კაცი და როგორ იჭერს მის ადგილს ის, ვისაც იგი ნამდვილად ეკუთვნის, თითქოს საქმე თვითონვე დაეძებს თავის ტოლფარდს, საფერს, მოსარგოს და პოულობს კიდევ. პაპა ქორია თანხობას თავისით არ ცდილა, — ესეც თვალნათლივ გამოჩნდა, — საქმემ თვითონ გამოაჩინა, ჩაბარდა და მოთავსობაც თვითონვე უკარნახა.

პაპა ქორიამ განაყოფი ბინიდანაც მოიშველია მწყემსები — სამი კაცი, მათს დასაძახებლად თვითონ იოთამი გაგზავნა. წინელები დაგრიხეს და ბაკს სამი მხრიდან, მიწიდან სახურავამდე, ფოთლიანი ფიჩხის კონები შემოაკრეს. წინა, სამხერი მხარე, ისე ღიად დატოვეს, აქედან სიცოცხე ისერიგად ძალას ვერ ატანდა, — დერეფანში მუღმივად ენთო ცვეხლი და მისი სიაბო ბაკსაც სწვდებოდა.

საქმე ადვილი არ იყო, ადვილი არ იყო ფოთლიანი ფინჩის მხრით თრევა. ფოთლს, შერჩენილი დამზრალი ნამი კისერში უსიამოდ ეწვეთობოდა და ქერქის ნაფურჩალთან ერთად ოფლიან კანს მტკივნეულად სუსხავდა. ნაწვიმარზე წარამარა ფეხიც სხლტებოდა. უფრო ჭირდა სველ, გალუმპულ ხეებზე ფოფხვა და საფინჩე ტოტების შერჩევით ჭრა. სანქაროს და აუცილებელს ყველა ერთნაირი სიბეჯითით და მონდომებით აკეთებდა, მაგრამ ყველაზე მეტს მაინც ნოსრევანი გულმოდგინეობდა. როგორც უმცროსი და ახალგაზრდა, ხეებზე სულ თვითონ ადიოდა და ფინჩის ზიდგაშიც საკმაო წილს იღებდა. მას საამისო მიწეზეც ჰქონდა, რომელიც უფრო გაუტლიერდა მას შემდეგ, რაც იოთამისა და პაპა ჭორიას საუბარი მოისმინა. ნოსრევანმა ფინჩის კონა მოათრია, უკვე შეფინჩულ ზედა კედელთან დააგდო და ცულის ტარზე დაყრდნობილმა წუთით შეისვენა ჭორია პაპა და იოთამი კედლის შიგნით წნელებს გრეხდნენ და ერთმანეთში წელა ხაზბრობდნენ. თვალთ არ ჩანდნენ, მაგრამ ფოთლოში ხმა კარგად ატანდა, ნოსრევანმა რამდენიმე საეჭვო სიტყვას მოჰკრა ვური და სული განაზა: ისინი იმ სამოცდაათ სულ ხბოზე ლაპარაკობდნენ, ამას წინათ კოტკეს დაგალებითა და ხათრით რომ აიბარა. ფერმაში, კოლმეურნობის საძოვარზე მათი საიდუმლოდ ყოლა აქამდეც სინდისს უწიწკნიდა და ახლა ხომ, ამ გასაჭირის ეამს, რაღა თქმა უნდა, — გულზე მძიმე ლოდევით დააწვა. აქამდე ხანუგემოდ ის მაინც ჰქონდა, რომ ეგონა, მწვემსებს არაფერი შეუტყვიათო, მმ, შეუტყვიათ კი არა, თურმე, აი, სათვალავიც ზეპირად სცოდნიათ, თანაც ვის? ჭორია პაპას! ნოსრევანს სირცხვილმა ტანში ჟრუანტელივით დაუარა, ამ საჩოთირო საიდუმლოს გამხვლას იგი ყველაზე მეტად პაპა ჭორიასთან უფრობოდა, ყველაზე მეტად აკრთობდა მის თვალში დამდაბლება და ეშინოდა მისი გაკიცხვისა, ზოლო რომ გაკიცხავდა და საკმაოდ შკაცრადაც, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ მოხდა პირიქით: პაპა ჭორიამ არა თუ გაკიცხა, ურახანს უზუმრად უსმინა იოთამის ბუზღუნს

და მერე სრულიად მშვიდად და, როგორც თვითონ მოეჩვენა, ზედმეტად ლმობიერადაც კი უთხრა:

— არა უშავს... რა ვუყოთ, ახალგაზრდა კაცია, ჯარიდან ახლად დაბრუნებული და...

— ვიცოდეთ მაინც ვისია, ვისი ოხერია.

— სულერთი არ არის, ვისი იქნება ალბათ ვილაცას გაურიგდა და... ხელს მოინაცვლებს.

— მერე კანონი? წესი?.. ფერმაში, საკოლმეურნეო საძოვარებზე...

— ვიცი, არ შეიძლება, დარღვევა, მაგრამ საჭიროების გამო ადამიანს ზოგიერთი რამ უნდა აპატიო. ჩვენ რა, თვითონ უვლის, წვალობს.

— ჩვენც რომ ვწვალობთ? — არ ცხრებოდა იოთამი, — აი ახლა ხომ ვწვალობთ?

ნოსრევანმა უფრო დაძაბა სმენა: რას, უპასუხებს პაპა ჭორია?

— განა ზედმეტს რას ვაკეთებთ, — გაისმა წამიერი დაყოვნების შემდეგ წყნარი, მოღუღუნე ხმა, — უამათოდ განა ჩვენ საქმე გაგვიანხერდებოდა? და ვერეც რომ იყოს, მერე რა? პირუტყვი რა შუაშია? რაკი ჩვენს ხელთ არის, უჭირს, მასხადაამე, უნდა ვაცოცხლოთ კიდევ, მოუუაროთ... ეს ადამიანის ვალია.

ნოსრევანი ამას არამც და არამც არ მოელოდა, ამ მოულოდნელმა შეწყნარებამ, გამართლებამ, რამდენადმე გაუნელა სინდისის ფარული ქენჯნა და გულში მადლიერების ძლიერი გრძნობა აღუძრა, იმდენად ძლიერი, რომ თვით იოთამსაც კი აპატია მისი საკმაოდ გულძვრივი ნათქვამი, და თავი მის წინაშეც დამნაშავედ აღიარა აი, როგორები არიან, როგორები ყოფილან, თურმე ყველაფერი სცოდნიათ, და მისთვის კი ერთხელაც, ერთი წამითაც არაფერი უგრძნობინებიათ. პირიქით, თურმე გაგიგებენ, გაპატიებენ კიდევ და თუ საჭირო იქნა, მხარშიც ამოგიდგებიან.

უცხად ძალიან მოუნდა, თვითონაც კარგი რაღაც გაეკეთებინა, რაღაც იმდაგვარი — უფროსი ამხანაგების, ამ ქუმტი, საბედლარული, ჭადრა კაცების საქციელის

შესადარი, მისი ტოლფარდი, რომ ამით მადლიერებაც გამოეხატა და დანაშაულიც რამდენადმე შეეშუბუქებინა. და რაკი იმწუთას სხვა არაფერი შეეძლო, ისევ საქმეს მოეხარკა, ბოსლის გადაღმა ერთი ხშირ-ტოტება რცხილა იპოვა, დაუსვენებლად დაკაფა და ისეთი უშველებელი გუდურა წამოიკიდა, რომ მეორე ბინის ერთ-ერთმა მწყემსმა დატუქა კიდევ:

— აბა, თავის ასე გამეტება იქნება? გა-
ნა რაკი ღონე გერჩის... მეორედ ასეთი
რამე აღარ ჩაიღინო.

არც სხვებმა მოუწონეს:

— ჰო და ჰო, როგორ შეიძლება, ხარი
ხომ არა ხარ?

— კარგით ერთი, — თქვა ნოსრევანმა
მორჩილად, — რა იმდენი ეს არის, რომ..

— არა, შეილო, მაგრე ნუ იტყვი, —
უთხრა იმავე მწყემსმა და ფიჩხის კონას
წნელი შემოუქირა, — მაგრე ნუ იტყვი-
მეთქი. ჯანს ამთავითვე ნუ მოთელავ თო-
რემ. — ყულფს მუხლი მიაჭირა, დაჭაჩა
და წნელი მეორე მხარეს გადაგრიხა, —
თორემ მალე დაძაბუნდება, დავარდება.

ბაკის გარედან შემოფეთვა-შემოთბუ-
ნებას რომ მორჩნენ, მოსული მწყემსები
წავიდნენ. თვითონ შიგნიდან დაუტრიალ-
დნენ: ნაკერჩხლისა და ხმელი შემის შე-
მოტანა ისევ ნოსრევანმა ითავა. ცეცხლი
მალე აინთო, ატკრციალდა და ბაკში სა-
სიამოვნოდ ჩამოთბა. ბეწვაშლილი, დაკრ-
უნჩხულ-დაბეჩაეებული ხბოები სითბოზე
უმაღ გამოცოცხლდნენ, გაიშალნენ, გასწო-
რდნენ და კოცონის ირგვლივ ისე ჩამოდ-
გნენ — თავაწეულები, ნებებრად, იმედი-
ანად, თითქოს სითბოსთან ერთად იმ სი-
კეთესაც წინასწარ გრძნობდნენ, რაც მას
უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა.

— ახლა კი, მგონი, ეშველათ, ეშველე-
ბათ, — ჩოფურმა ტუტყიანი თფლით ჩა-
მოღვარულ სასუვე კურტაკის სველი სახე-
ლო მისი-შოსივა, ნიჩაბი კუთხეში მიაყუ-
და და თვითონაც ზურგიტ კუთხის ბიძს
მიეყრდნო, — მგონი, აღარა უქირთ რა,
გადარჩებინ.

— გადარჩებინ კიდევ და კარგადაც
შეიკუნტრუშებენ, — გამოსძახა ბაკის სი-
ღრმიდან იოთამმა, — ისე შეიჭურჩაუვებენ,

რომა.. აბა, ნახეთ, თუ არა...
ლეთ.

— კი, კი, ოღონდ ამინდი ნულარ გა-
უარესდება და ამას ჩვეცა და ჩვენი ფუ-
ჩინებიც როგორმე გავუძლებთ.

— მერე, ალბათ წამალიც მოგვისწ-
რებს.

— არ მოგვისწრებს და, ხომ გამოიდა-
რებს.

— რა თქმა უნდა, აბა სულ ასე ხომ არ
იქნება?

— ჰო, უსასრულო სხვა რა არის, რომ..
გამოიამინდებს კიდევ და მწვე გამოვა.

— მწე კი ყველაზე კარგი მკურნალია-

— ნამდვილად, მწეს არაფერი შეედრე-
ბა.

მწყემსებმა გული ამაზე დააჯერეს და
ბაკიდან იმედმოცემულები გამოვიდნენ,
ცოტასანს დერეფანში ჩამოსხდნენ, კო-
ცონთან ჩამოსივუნეს და ხიგარტები აჩ-
ქარებით გააბოლეს. ხელებიც ასევე აჩქა-
რებით გადაიბანეს, ფურები დაწველეს,
გუდებში საგზალი ჩაიდეს და ამდენ ხანს
ადგილზე დგომით გაბეზრებულ საქონელს
ბაკების კარები გაუღეს. წასვლისას ერთ-
ხელ კიდევ მორიდებით შეემუდარნენ ნო-
სრევანს, აბა შენ იცი, შენი იმედი გვაქვსო
და ბინის მთელი საშინაო საქმე — რძის
შედედება, ყველის ამოწურვა, შრატის
ადუდება, საწველელებისა და სხვა სახმარი
კურჭლის დარეცვა-დახეხვა, ბინის მილა-
გება და, რა თქმა უნდა, ავადმყოფი ხბოე-
ბის მოვლა-პატრონობაც, მათზე ზრუნვა,
მთლიანად ისევ მას ჩააბარეს.

* * *

ნოსრევანი გაზრდილ მოვალეობას თვი-
თონაც გულდაგულ შეეხა, ან რა უნდა ექ-
ნა? საქმე თავისას თხოულობდა, გამკეთე-
ბელი კი მის მეტი არაეინ იყო. გაჭირვება
მინეწე, გაქცევას გირეწეწო, ამ ანდაზისა
არ იყოს, გაჭირვებამ ფეხიც აჩქარებინა
და ხელიც გააქნეწინა. ადრე დილიდან
გვიან საღამომდე, რომ იტყვიან, ციბრუ-
ტივით, ტრიალებდა, საქმელსაც ფეხზე
მდგარი ჭამდა, წაიტეხდა ხმელა პურს,
ყველს და სიარულში შეჭამდა. დილით ად-
გომას უფროსებს ასწრებდა და დროც გა-

ნაწილებული ქონდა. სანამ ისინი ფურცებს დასწვლიდნენ და საკონულს საძოვარზე გაირეკავდნენ, თითო გზობა შეშა და ფითრი უკვე მოტანილი ქონდა. შეშას მხრით ეწიოდნენ, ფითრს — ტომრით. ხბოებს ნამიან ბალახზე უკუვი რომ არ აშლოდათ და უარესი არ დამართნოდათ, საძოვარზე გაშვებამდე ჯერ ფითრს შეაკმევედა, ცეცხლსაც დაუნთებდა, მერე რძეს შეათბობდა, დედას ჩააწურავდა და ისევ ფითრის ან შეშის მოსატანად ვარბოდა. კიდევ კარგი, ნაკარი შეშაც და ფითრიანი ხვევიც ახლომანლო ბლომად იყო და შორს სიარული არ უწყევდა.

სანამ ხბოები ფითრის გუნჯალებს მთლიანად გაკენებდნენ, ყველს ამოწურავდა, ჭურჭელს დატეხავდა და დერეფნის დაგვა-მილაგებასაც მოასწრებდა ამა-სობაში მოშუადღევდებოდა კიდევ, მოთბებოდა, ხბოებს თბილ შრატში შერეული რძით დაარწყვებდა და საძოვარზე გაირეკავდა. თუ თავსხმა არ წამოვიდოდა, ან ხორხომას არ წამოურევდა, ნახირს საღამომდე აძოვებდა, თუ არა და, ისევ უკან დაბრუნებდა და სამქაროდ ბაკში შერეკავდა. ბაკს დასვეტდა, ჩამჭრალ კოცონს დანთებდა. მადლიდან მსხვილ შეშას დააყრიდა და ხბოებს მონარჩუნ ფითრს შეუზიდავდა. ამის შემდეგ შეერლო თვითონაც დასვენა, თუმცა დიდი ხნით კი არა, რამდენიმე წუთით ჩამოუდებოდა კოცონთან, ჰაპარად მოიშრობდა ტანსაცმელს, მოთბებოდა და ხელს ისევ ცულსა და ტომარას დასტაცებდა — საჯანშმო ფითრის მოტანაც უნდა მოესწრო და ღამის სამყოფი შეშა მოემარაგებინა.

ამ დაძაბულ ყოფაში, უამინდობასა და სიმჭარბში დროც სწრაფად და შეუმჩნეველად გადიოდა. სანდახან ისე შემოალამდებოდა, ჩამოემხობოდა უკუნი გორებს, რომ სანამ თვალში მთლიანად არ გაუნიინდებოდა, ვერც კი შეამჩნევდა. ქანცგაწყვეტილი, ლახლახით შევიდოდა დერეფანში და ცეცხლთან ჩამოუდებოდა. ზოგჯერ მწყემსებთან საუბრის თავიცი აღარ ქქონდა, თითქმის თვალბუჭვლა დალევდა ერთ ჯამ რძეს, ტანსაცმელსაც ხშირად ძილბურანში წასული დაიხდიდა, იქვე მიყრიდა და

ქვეშაგებში მკედარივით მიეგდებოდა. ლასაც ასეთსავე დალილი-დაქანცულს ეღვიძებოდა, მაგრამ ჭმუნვა და წუწუნი, ან ხმამალალი საყვედური ერთხელაც არ დასცდენია. ათასში ერთხელ მხოლოდ გულში თუ გაჰკრავდა წამიერი, მსუბუქი სევდა: ცეცხლის პირას, ან ტყეში მცირე ხნით შესვენებისას, ხანდახან მეტი ყურადღებით ასე-დახედავდა თავის თავს, დაამტრდებოდა დახეთქილ-დასისხლიანებულ ხელებს, შავად წამოშრდილ ფრჩხილებს, ხეებზე ფოფხვისაგან გახრეშილ და ტალახით დახვრილ ტანსაცმელს, გადაიხამდა ხელს მითელილ-მოთელილ, ხანსით გაბარდულ თმაზე, ჯაგარივით გაფარჩხულ წვერ-ულვაშზე და ყველაფერზე გული უტყდებოდა, ავიწყდებოდა საქმეც, მოვალეობაც, შედმეტად გრძობდა დალლას და უნებურად სოფელი და სოფლის სიმყუდროვე აგონდებოდა. სოფლის გახსენებისთანავე ლილის სახეც უმალ თვალწინ დაუდგებოდა. ლილის გახსენებას რაღაც მაგიური ძალა ახლდა, ჭმუნვა და გულგატეხილობა იმავ წამს ქრებოდა, გული კვლავ მთელდებოდა, თითქოს ფრთებს გაშლისხამდა და მკერდში ძლიერად აფართხალდებოდა. სადღა იყო გაჭირვება! რის ავღარი, რის წვიმა! სიძნელეც და საზრუნავიც სულ სხვა შინაარსს იძენდა, იდუმალად და ქვეშეცნულად ყველაფერი ლილის უკავშირდებოდა, მისგან მომდინარებოდა, მისით ან მისთვის კეთდებოდა და ამდენად უკვე საამაყო და თავმოსაწონარი ხდებოდა.

* * *

სოფელში წვიმა იყო. თემშარაზე ათასში ერთხელ თუ ვინმე გაივლიდა, ორღობებში ხულ არ ჩანდა კაცის ჭაჭანება, მხოლოდ გაწუწული ღორები დაღრუტუნობდნენ და მღვრიე ღვარებს დინგებით ურუბდნენ. კრამიტებიდან ყველგან წყალი მოწვეთავდა და საჩინებში წვიმას შეფარებული ჭათმები კრუსკრუსებდნენ. მინდორშიც ტბორები იდგა, ხალხი სამუშაოდ ვერ გადიოდა და ვისაც როგორ ეწავდა, დროს ისე კლავდა. უმოქმედობის ნალევებს და მოწყვას კაცები უმეტესად

ღვინის სმით იქარებდნენ, ქალები და გოგონები უფრო საოჯახო საქმით ირთობდნენ თავს, ხანდახან ერთადე შეიკრიბებოდნენ, კაცებს სახლიდან გაყრიდნენ და ერთმანეთს უწყინარი, ცხელ-ცხელი ჭორით გაახარებდნენ, ერთს გაკილავდნენ, მეორეს გააჭილიკებდნენ, ხანდახან პირისპირ ერთიმეორესაც არ ინდობდნენ, იცინებდნენ, იხარხარებდნენ და თუ ახლომახლო კაცი არ ეგულებოდათ ცოტ-ცოტას ღვინოსაც მოწურავდნენ, ბოლოს ტაშფანდურასაც გაახურებდნენ.

ერთ ასეთ ავდრიან დღეს ლილის ლოცვას ეწვია. ლილი სამხარეულში ტრიალებდა, დილას, სახლიდან გასვლისას, კოტეშ სადილადა ჩიხირთის გაკეთება სთხოვა და ახლა სწორედ საჩიხირთის დედალს პუტავდა. ლოლამ ცელოფანის კრელი საწვიმარი აიენის მოაჯირზე გადაფინა, გამლილი ქოლგაც იქვე დააყუდა და ტალახიან ბოტებზე დაიხედა.

— ეს წვიმა და ტალახი რომ არ იცოდეს, სოფელს არაფერი შეედრება, ახალგაზრდობა ერთი მხრივ ამიტომაც არ ჩერდება სოფელში, — წაილაპარაკა თავისთვის და აივანზე ჩუსტები მოათვალიერა.

— იყოს, იყოს, — უთხრა ლილიმ, — იატაკი მაინც გასაწმენდი მაქვს.

სამხარეულში გასჭურა ენთო და თბილთა, ლოლამ ყვითელი ბაწრით ნაქარგი ეკეტოც გაიხადა. თუმცა ლილიმ ბევრი იუარა, მაგრამ ლოლა არ დათანხმდა — ძველი ხალათი მოატანინა, წინ აიფარა და ქათმის გასუფთავება-გაკეთებაში მიეხმარა.

საქმეს რომ მორჩნენ — დედალი საწინე ქებაში ჩადეს, გასჭურაზე შემოდგეს და ხელებიც გადაიბანეს, შუშბანდის ძირას, ფიცრის ტახტზე ჩამოსხდნენ. საუბარი მაინცა და მაინც არ ეწყობოდა, თავს ერთმანეთთან ორივენი რატომღაც შეზღუდულად გრძნობდნენ და გულახდილ ლაპარაკს ვერასოდეს ახერხებდნენ. მარტონი პირისპირ დიდხანს არ ჩერდებოდნენ. ახლაც ასე იყო, უფრო ლოლა ლაპარაკობდა, ლილი კი „პოსა“ და „არას“ მეტს არაფერს ამბობდა. მაგრამ ახლა ლოლა

წასვლას ჩვეულებრივ აღარ უმზნოდ არ მოსულა და ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდა, რომ სათქმელისთვის თავი მოება. ეს წუთიც მალე დადგა.

დროის გაყვანის ყველა საშუალება რომ ამოიწურა, ლოლამ ბოლოს ჩახტიდან წითელსაღებავიანი შუშა ამოიღო, ფუნჯიანი საცობი მოხსნა და ლილის ფრჩხილებზე ლაქის წასმა დაუწყო. ლილის პაწია თეთრი ხელი ხელის გულზე დაიდო და ხანგრძლივად დააშტერდა.

— ძალიან ლამაზი ხელები გაქვს, — უთხრა დაუფარავი მოწონებით, — ასეთი ჩამოქნილი თითები სოფელში კი არა, ქალაქშიც იშვიათია.

— რა მნიშვნელობა აქვს, ხელები ხელებია. — არ აუხედავს, ისე თქვა ლილიმ.

— უი, არა, გენაცვალე, — შეიქცადა ლოლამ, — როგორ გეტყობა, რომ ბავშვი ხარ, ქალისათვის, გენაცვალე, ლამაზი ხელ-ფეხი და ტანი ყველაფერს ნიშნავს, უფრო მეტსაც გეტყვი: ქალი, მთლიანად ტანი და ხელფეხია, ესე იგი, უპირველეს ყოვლისა...

უცხად თენშარიდან მანქანის გაბმული სიგნალის ხმა გაისმა. ლოლა ოდნავ წამოიმართა და ლილის თავს ზემოთ, ფანჯრიდან გაიხედა.

— არჩილი იყო, თავმჯდომარე, — თქვა ცოტა მოგვიანებით და ლილის ფარულად დააკვირდა. — ჰე-ჰე, რა სასიძო ნიჭია, — განაცხადო მერე ისე რომ ლილას სახისთვის გადაარაჯებული მზერა არ მოუცილებია, — თვალადი, ტანადი, თანამდებობა კარგი, ოჯახი კარგი, ავტომანქანა... მომავალი ბრწყინვალე, სწორედ შენი შესაფერია, შენისთანა ლამაზ გოგოს სწორედ ასეთი ქმარი უნდა ჰყავდეს..

ლილიმ ახედა, ოდნავ გაიღიმა და თავი ისევ დაღუნა.

— თუ შე, როგორც გავიგე... თვალის სჭერია შენზე, — თქვა ლოლამ, და შუათათის შეღებილ ფრჩხილ მალდიდან ყურადღებით დააცქერდა. ლილიმ უკმაყოფილოდ ახედა, ლოლამ გაიცინა, — მართლა, მართლა, ყველას გეფიცები, ასე ამბობენ.

საეჭვო მზერას ლილი არჩილს თვითო-

ნაც ამინვედა, მაგრამ ახლა სიტყვა ბანუე ააგდო:

— კარგი, ერთი რა თვალი უჭირავსო, წესიერად არც კი მიცნობს.

— შენ ვერც გგონია, ლამაზ გოგოს ყველა იცნობს... მე კიდევ სხვა რაღაცეებიც გავიგე.

— რა? — ოდნავ დაყოვნებით ჰკითხა ლილიმ.

— რა და... — ლოლამ უსახელო თითზე გადაინაცვლა, ფუნჯი შუშაში ჩააწო და ვარდისფერ ფრჩხილზე წითელი ზოლი გაავლო, — ჰო, რაღაც სისულელე: ვითომ ვიღაც მწყემსიც ეპრანჭებაო და... ვითომ ლილიცო... ლილისაცო...

— მერე? — არ აცალა სათქმელის ბოლომდე მიყვანა ლილიმ: — თქვენ რა უთხარით?

— რას ვეტყვოდი, არ დავიჯერე

— რატომ?

— რატომ?! — გაიოცა ლოლამ, — განა მაგას კიდევ კითხვა უნდა? ვინ გიფი დაიჯერებს... მწყემსი? ხა-ხა-ხა! არ გადამრია.

ლილიმ ისევ უკმაყოფილოდ ახედა და რაღაცის თქმაც დააპირა, მაგრამ ლოლამ არ ათქმევინა, ხელი ასწია და შუბლშეკრულმა პათეტკურ კილოზე განაგრძო:

— მომისმინე! გეუბნები, ჯერ ბევრეი ხარ-მეთქი, და ცხოვრებისა არაფერი გავგეგმა... ცხოვრება სკოლის მერხზე ჯდომას როდია... ქალს ქმარი უნდა — ეს ცხადია, მაგრამ უნდა სხვა რამეც: უსრუნველი ცხოვრება, სიყვარული და მდგომარეობა, ესე იგი, სათვალთ ადგილი ხალხში, საზოგადოებაში, და ვისი ქმარიც სამივე ამ პირობას აკმაყოფილებს, ის ქალი უდავოდ ბედნიერია. სწორედ ასეთია არჩილი შენთვის: უყვარხარ, შეუძლია, უსრუნველგყოს ყველანაირად და რაც მთავარია...

— მთავარი კი ის არის, რომ შეც მიყვარდეს, — შეაწყვდინა ლილიმ.

— მერე შეგიყვარდება, — დაუყოვნებლივ შეაგება ლოლამ, ჰო, ქმარი იქნება და... დრო, ცხოვრება, თვითონ შეგაყვარებს, თვითონ..

— პირიქით რომ მოხდეს? — ისევ

მოუჭრა ლილიმ და ლოლამაც შეტყუებულად კლუდ შეაგება:

— არც ვე არის დიდი უბედურება, პირიქით, ერთგვარად უკეთესიც კია, რა არის, შინც და შინც, სიყვარული? სიზმარია, ლანდია, მოჩვენება! და რას ამლევს ქალს მორჩილების მეტს? არაფერს! ცხოვრება, ჩემო ბავშუო, ჩვენ, ქალებს, ისედაც დიდად არ გვანებოვრებს და ახლა კიდევ მთელი სიცოცხლე სხვისი სულელური ნება-სურვილის მონა-მორჩილნიც ვიყოთ? არა და არა!

— რატომ სხვისი? განა ქმარი..

— ქმარი? — ახლა ლოლამ გადაუჭრა სათქმელი, — რაა ქმარი? ქმარიც ისეთივე კაცია, ხოლო ყველა კაცი ღორია, — სული შოთქვა და დაყვავებით, დარიგებით განაგრძო, — არა, ჩემო კარგო, მე დამიჯერე, მე ვიცი... სჯობია, არ გიყვარდეს და შმრძანებლობდე, ვიდრე გიყვარდეს და მორჩილებდე! რა შენი ტოლია ვიღაც ლაწირაკი, თანაც ვინ? მწყემსი, მენახირე..

— რა შუაშია...

— მომისმინე-მეთქი, ბოლომდე მათქმევინე, — ისევ ასწია ხელი ლოლამ — გულახდილად გეტყვი: შენ ლამაზი ვოგო ხარ, და ლამაზი ქალი კი, უსათუოდ, შმრძანებელიც უნდა იყოს. მას ამის უფლება აქვს, სილამაზე თვითონ არის ყველაზე დიდი უფლება.. დამიჯერე, მე დამიჯერე: შენი ადგილი იქ არის, იქ, მაღლა, მწესთან, ვარსკვლავებში, სადაც შმრძანებელი იქნები და არა აღმასრულებელი. მამაშენსაც ასე სურს.

ლილის უმაღ მაშის ამასწინანდელი ნათქვამი გაახსენდა. არ ეგონა, თუ კოტეს მათი კერძო საუბარი ლოლასთანაც განხვლილი ექნებოდა და უსიამოდ შეიქმუნდა.

— თქვენ საიდან იცით, რა სურს მამას? — ჰკითხა აშკარა წყენით.

— ვიცი, მამ, როგორ არ ვიცი, — გაიცინა ლოლამ, — მე ბევრი სხვა რამეც ვიცი. გინდა, კიდევ ვითხრა?

— არა, არა, არ მინდა, აღარ მინდა,

— ლილიმ თავი უკმაყოფილოდ გაიქნია

და წამოდგა, — დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი.

— რა თქმა უნდა, ჩვენ რა გვალაპარაკებს, — ლოლაყ წამოდგა, საღებავის შუშა ისევ ჩანთაში ჩადო და ეაკტი ჩაიცვა — ამას მამაშენი თვითონ გადაწყვეტს, — უთხრა, როცა აივანზე გამოვიდნენ, — უკეთ იცის... მე ისე, შენი სიკეთისათვის გეუბნები, თორემ... კარგი შინადა... მამა როგორც გადაწყვეტს... შენ მამას დაუჯერე, მამა ჭკვიანი კაცია, თანაც იმდენი ამაგი აქვს შენზე, რომ... ასე ჭინი, ასეთი ბედი ათასში ერთ ქალს თუ ეღიროსება და ხელიდან არ გაუსვია.

ლოლიმ ჭიშკრამდე ჩააცილა, ლოლამ ზევით შეუბვია, თემშარისკენ გასასვლელი, ორღობის კუთხეში შემობრუნდა სახლგზო-კარმიდამოს გახედ-გამოხედა და ტუნაბზუებულმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ძალიან გრძლად იტომები, ქალბატონო! ვიცი, რა მუცლის გერმაც გჭირს, მაგრამ, უკაცრავად, შენ და შენს ლატაკ მენახირეს აქ მოზიარედ ვერ გაგინდით. აქ ყველაფერი ჩემია, საკუთარი...
* * *

ამქვეყნად ავადმყოფ პირუტყვზე საცოდავი არაფერია. ჩუმ, გულუბრივეილო მსურაში უძირო მწუხარება და მთელი მისი მოდემის უმწირობა გამოიკრთის. წიგს, თუ დგას, ერთნაირად საბრალოა, ტკივილს ვერაფრით ამხელს, მხოლოდ ყრუდ, თავშეკავებულად გმინავს და შევლას და გადარჩენას უტყვავდ, უთქმელად იმუდარება.

უფრო გულსაკლავია, როცა შევლა არაფრით შეგვიძლია და იძულებული ხარ ხელდაკრფილიმა უყურო. სწორედ ამ გასაჭირში იყვნენ მწყემსები: კოტე არ ჩანდა, თუმცა უკვე მეოთხე დღე მიიწურა, მართალია, სიკვდილის საშიშროება აღარ იყო — ამინდი არ გაუარესდა და ბაკის მოთბუნებამაც თავისი ქნა, მაგრამ სბოებს ისევ ძველებურად ახელებდათ და უწამლოდ და უმკურნალოდ ამინდის გამოკეთებამდე არც გაუვლიდათ. მწყემსებს გულს უკლაფდა მათი ცქერა არანაკლებ აშფოთებდა ისიც, რომ სბოები დღითიდღე ჯანდაგდე-

ბოდნენ, ჩიავდებოდნენ და ქვემოდგობით თვის ფერმა გვემით ნაგარაუდვე შეხორცებას ვედარ დაფარავდა.

ასევე დღითიდღე ძნელებოდა შენახვა. მარტო სასმელად ყოველ დღე მთელი საკალტე შრატჩი და თითო ან ორ-ორი ვედრო რძე იხარჯებოდა. უამინდობის გამო წველამ ისედაც საგრძნობლად იკლო და ახლა კიდევ ეს ხარჯი! გარდა ამისა, ხანდახან, მეტისმეტი უამინდობისას, რძე-შრატჩი კომბინირებულ საკვებად ურევდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ეს საკვები ბუღებისთვის იყო განკუთვნილი და მისი წონა-რაოდენობა მკაცრად ლიმიტირებულიც იყო. ხაცაა, საქონელი ატყვებოდა, ბუღებს ნახირში ვედარ გაუშვებდნენ, ბაგურ კვებაზე უნდა დაეყვინებინათ და საკვებიც სამყოფი უნდა ჰქონოდათ. ყველაფერი ეს ფერმას საკმაოდ დიდ ზარალად აწვებოდა და აღდგენისა და ანაზღაურებისა კი არავითარი სახსარი არ ჩანდა. მწყემსები იჯავრებდნენ, იჩხუბებდნენ, იბობოქრებდნენ და რაკი სხვა არაფერი შეეძლოთ, იმედს ისევ ნოშრევანზე დაჰყრიდნენ:

— აბა, ჩემო ნოშრევან, ცოტაც მოითმინე, გაუძელი, ცოტაც და... სულ ასე კი არ იქნება, გამოიძარებს, მზე გამოვა დათბება...

ნოშრევანს წაქეზება არ სჭირდებოდა, თავისი საქნე და მოვალეობა თვითონაც კარგად იცოდა. გასაჭირსა და აუცილებლობასაც სხვებზე ნაკლებ არ გრძნობდა. ამას გარდა, სბოები პირადად მისი ანაბარი იყო, მისი ხელის შემყურე იყვნენ და, ამდენად, სხვებზე უფრო მეტად ებრალებოდა, მათს წინაშე თავს უშუალო მოვალედ თვლიდა და ამ ვალს პირშეურცხვენლადაც იხდიდა — ურჩედა საბალახოდ ხელსაყრელ დროსა და ამინდს, უნთებდა ცვეთლს და შეძლებისდაგვარად არც საჭმელს აკლებდა: თუ მაძღრისად ვერ წააძოვებდა, ტყიდან ფითრს ან დგნალოსა და ტირიფის მწვანე ტოტებს მოუტანდა და დანაკლისს ამით შეუვსებდა.

ფითრი აბლომასლო რომ მოილია, ერთ ბურუსიან დღეს ცული და ტომარა აიღო და ციხეგორისაკენ წავიდა — ფითრიანი

ხეები იქ ბლომად ვგულებოდა. და ის იყო, შევიდა კი ცინკორისაკენ მიმავალ ველის ვიწრო ზოლში, რომ ტყიდან ცულის ხშირი კაკუნი გაიგონა. არ უცალა, მაგრამ მთაში ხანგრძლივად მყოფთა საყოველთაო ცდუნებაში — უცხო კაცთან შეხვედრისა და გამოლაპარაკების წადილმა წასძლია და გზიდან მარჯვნივ გადაუხვია. ნისლში ჯერ არაფერი ჩანდა, მერე თანდათან გამოიკვეთა ტყის მჭრელის ლანდი, თანდათან გაშიშვლდა და ნოსრევანმა ცხადად დაინახა შუახანს გადაცილებული შეგვერეშანი, წვერგაუპარსავი კაცი. კაცს ხევისურული ჭრელი წინდები და საბეწვეარეთო, უსახელოებო ტყაპუჭი ეცვა, თავზე გაქუცული ტყავის ქუდი ეხურა, ერთ უსარმანარ, ქართი გადატეხილ წიფელს მისდგომდა და ტარმოკლე ნაჯახს ჩქარ-ჩქარა უნაცვლებდა. წერილი ტოტები უკვე შემად გაემზადებინა, ახლა მსხვილებს აჭრიდა.

ნოსრევანი ახლოს მივიდა და „გამარჯობა“ უთხრა.

— აი, გავიმარჯოს! — უპასუხა კაცმა რაღაცნაირი ხალისით, თითქოს მიელოდა და მისვლა გაუზარდაო. ცული მაშინვე ნიღრით დაასთ ხეზე, ოფლიანი სახე გაქუცული ქუდით მოიწმინდა და ტყაპუჭის შიგნიდან „პრინის“ კოლოფი ამოიღო, — მოდი, მივწიოთ.

— მე არ ვეწვიო.

— მაშინ, ვილაპარაკოთ, — კაცი გადაჭრილ ტოტზე წამოჯდა და ნოსრევანს ადგილი დაუტოვა. კაცი ხალისიანი მისაუბრე აღმოჩნდა, გამოკეთხა ნოსრევანს სადაურობა, გვარ-სახელი, ფერმის სასაფხულო ადგილსამყოფელი, საქონლის რაოდენობა — საწველისა ცალკე, მშრალისა ცალკე და ბოლოს ჰკითხა:

— რას შერებით, ამ ავდარსა და ყინვას როგორ გადაურწით?

— ამას თუ გადარჩენა ჰქვია, — მიუვო ნოსრევანმა და თავიანთი გასაჭირი შესწივლა, — აი მე ხომ მხედავთ, რას ვგეგმარ, სხეები უარეს დღეში არიან, ლამის შედ გადაყვეო.

— ოთ, ვე ვერ მოგსვლიათ კარგი საქ-

მე, — თანაგრძნობით უთხრა გვერეშანი წამალს ხომ ასმევთო, ჰკითხა.

— წამალი რომ გვექონდეს, რაღა გვიჭირდა?

— როგორ? აბა რას შერებით? რას აკეთებს გამგე?

— წასულა და... ველოდებით.

— როდის წავიდა

— კინაღამ ერთი კვირაა.

— ვერ გყოლიათ კარგი გამგე, — მოკლედ მოსჭრა კაცმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... ეტყობა, აი საქმეზე ეტყობა დანა ველზე რომ მიადგა, მაშინ დაფიცურდა, მანამდე ხად იყო? ქოდა, ვერ ყოფილა კარგი მწერნე.

ნოსრევანი აღარ შეედაგა, ერთხანს კაციც ჩუმად იყო, მერე უცხად ნოსრევანი-საკენ შებრუნდა და ნახევრად ხუმრობით ჰკითხა:

— მე რომ ერთი კარგი წამალი გასწავლო, უუბარი წამალი, რას მომიცემთ, —

— ერთ დიდ თავ ყველს.

ასევე ნახევრად ხუმრობით უპასუხა ნოსრევანმაც.

— ა-რა, — ხელი გაიწნია კაცმა, — ყველი შინაც ბევრი მაქვს.

— აბა, რა გინდათ?

— ერთი ჩარგვა თქვენებური ჭაჭა ამომიტანე, მაგარი, აი, ბოთლში რომ ვუჭუნებს, მღერის.

— განა შინ თიბიტაური კი არა გაქვთ?

— მაქვს, მაგრამ ის ჯობია, მიყვარს, გულმუცელს რომ დასწავებს და ძარღვებში ცეცხლივით დაიელის, ის მიყვარს.

— ოღონდ ამ წამებას მომარჩინეთ და ერთს კი არა, ათ ბოთლს ამოგიტანთ.

— არა, ხუმრობაგაშვებით, — უკვე სერიოზულად თქვა კაცმა, — აფთიაქებში წამალი მართლაც ყოველთვის არ იშოვება და როდემდე უნდა ელოდოთ? ცოდოები ხართ, დასწარაღდებით.

— ჩვენც სწორედ მაგას ეწესვართ. — უთხრა ნოსრევანმა და იმედმოცემული უკვე მოლოდინით მიაშტერდა. — თუკი მართლა არის რამე... იციო...

— არის მაშა! და კარგაც არის, ყველა აფთიაქის წამალს ჯობია: ტუსტი მოთხა-

რეთ, ფესვები გამოხარშეთ და ის დააღვინეთ

— ვე ტუბტი რადაა?

— ბალახია ერთგვარი, ჯოყარა ბალახი.

— მერე და, სად ვიშოვოთ?

— რა შოვნა უნდა, ბიჭო, — გაიცინა კაცმა და შავ წვერ-ულვაშში თეთრი კბილები გამოაჩინა, — მიწაზე მოდის, ყველგან, სადაც მზე ადგება და მსუქანი ადგილია. გალავანს ქვევით, ძველი ნაბოსლარები რომ არის, იცი?

— ვიცი.

— აი, იქ არის ბევრი.

— რომ არ ვიცი, რომელია? — შორიდებით უთხრა ნოსრევანმა.

— მე აქ არა ვარ? წამოეყვები და გაჩვენებ, მოთხრამივ გიშველი

— თუ შეწუხდებით...

— რა შეწუხდება. ახლა მინც წასვლას ვაპირებდი და გზაც იქით მიმიდის — კაცმა ცული მხარზე გაიღო, — მომყვი, — უთხრა ნოსრევანს და გრძლად გააბოტა.

მანძილი ტყე-ტყე მოკლეზე გადაჭრეს და ციხვგორს აქეთ. ტყემლიან ველში გავიდნენ. ნადარბაზვებს მხოლოდ გალავანის ზედა კუთხე მოუჩანდა, დანარჩენს ნისლი ფარავდა, მუხა-ძელქვების ტოტებშიც მუქი ნისლის ხშირი აბლაბუდა გახლართულიყო. მთელი ვაკე აჭრელებულიყო პატარ-პატარა უფერული კუბურებით, აქა-იქ მონაცრისფერო ტბა იდგა, რომლის მკვრივ, უძრავ სიღრმეში მუხლებამდე შიგ ჩამდგარი ტირიფების კლაკნილი ანარკელი ისატებოდა. ქაერში უჩინრად მოსრიალე მერცხლები ჟღურტულებდნენ, ზოლო ნისლიჩაბეული ტყიდან გუგულის „კაფე-თესე“ და ქედნების დამწუხრებული ღუღუნის ისმოდა.

ძველი ნაბოსლარებიც სწორედ ველს ქვევით, ღელის პირა გაკობში იყო. კაცმა ბოლქ-ბოლქვად ამოსული, მოთეთრო ბუხუსით დაფარული და დაკბილულფოთლებიანი ღეროები დაანახვა და, — აი, ტუხტი ამას ჰქვიაო, — უთხრა.

— ფესვი კი აი, ასეთი აქვს, — დააყოლა და ცულის ნიღრით ერთი ძირი მოთხარა. ბოლქვი გაფარჩხული ფესვებით მალ-

ლა შეაბრუნა, — აი, ხედავ? ^{ან უფროსს} ამ დეროებს ძირში დაჭრი, მერე დარეცხავ, ცოტათი დაჟვევ კიდევ, ჯობია, წვენი დუღილში სრულად გამოეწურება, და დღეში თითო ჯამი, ან ორ-ორი, ნელ-თბილი დააღვინე.

— შოარჩენს კი ნამდვილად? — დაუფარავი ეჭვით ჰკითხა ნოსრევანმა.

— აკი გითხარი, უებარი წამალია-მეთქი, ორი დღე და შორჩა! მთლიანად გაუვლით.

— ხომ არაფერს აენებს?

— ბიჭო! — გაწყრა კაცი, — მე მეოწნი, ბალღი აღარა ვარ და არც მატყუარას ვგვევარ, ხუმრობა პო... ხუმრობა შეიძლება, მაგრამ ტყუილი არა. კაცი გელაპარაკები... საქონელს კი არა, ხვეულებისას ჩვენ თვითონაც თავს მაგით ვირჩენთ, არცერთი აფთიაქის წამალი არ შევედრება. თუმცა, რა ძალას გატან, — დაუმატა ბოლოს წყევით, — გინდა, წაიღე, გინდა — არა, მე ჩემი ვალი მოვიხადე, შორჩა და ვათავდა! — ნახახი მხარზე შეიღო და წასულა დააპირა.

ნოსრევანს შერცხვა.

— არა, არა, დაიცათ, — უთხრა მოზოდიშებით, — მჯერა ნამდვილად მჯერა, — და ბოლქვების თხრას პირველი თვითონვე შეუდგა.

• • •

ხალამოს, მწყემსებმა საქონელი ბინაზე რომ მორცევს, ნოსრევანს ტუხტის ფესვები უკვე დარეცხილი და მოსახარშად გამზადებული ჰქონდა, წყალიც მოეტანა და ახლა უფროსების დასტურსდა ელოდა. — რას იტყვიან, დათანხმდებიან თუ?

მწყემსები არა თუ დათანხმდნენ, მოუწონეს კიდევ. თავდაპირველად თითქოს იოთამასაც გაუხარდა, — ოღონდ არგოს, უშველოს და... — მაგრამ მერე, როცა ქებაში უნდა ჩაეყარათ და ცეცხლზე შემოედგათ, უცბად მხრები ორჭოფულად აიჩქრა.

— რა ვიცი, — თქვა ყოყმანით, — მკურნალობის ასეთი წესი — კერძო ექიმბაშური, კანონით ნებადართული არ არის და... რა ვიცი, მოგვიწონებს კოტე, რას იტყვის?

— რა უნდა თქვას კაცო, — შეცამათა

ჩოფური, — გაკეთებულ საქმეზე რა უნდა თქვას. ან რა კანონი და სამართალი უნდა, რაკი ხალხი ხმარობს, ხალხმა იცის...

— პო-და-პო, — ჩამოართვა თედომ, — ვაკეთებთ, ხომ არ ვაფუჭებთ. ეს მთიულე-ბი იმთავითვე მესაქონლე ხალხია და პი-რუტყვის მოვლა-პატრონობა ექიმებზე უკეთ იციან.

— ვიცი, მჯერა, — ტკეპნით თქვა იოთამმა, — მაგრამ მაინც...

— გჯერა და, აბა, რაღა მაინც და თითქოს?

— პო, თქმა ადვილია...
— ძნელი რაღაა, შე კაი კაცო?

იოთამი სარძევე ბოსლის ზღურბლზე იჯდა, დერეფნის სიღრმეში, და კარგად არ ჩანდა — ცუცხლის შუქი იქამდე ფარსაგად ვერ სწვდებოდა, მაგრამ წვერწამო-ზრდილ, ნაოჭიან სახეზე ჩრდილშიც ცხა-დად ემჩნეოდა ყოყმანი და გაუბედაობა, შავ, უწამწამო თვალებს ხშირ-ხშირად აბა-მხამებდა და შემკრთალ მსერას განზე აპარებდა. მწყვესები მოთმინებით უცდი-დნენ პასუხს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ნოსრევანი ლელავდა- მიზეზიც ჰქონდა; წუღან აქეთობას მიწიანი ფესვებით მოყუ-ლთულ ტომარას მთელი იმედითა და თავ-მოწონებით მორაბუნინებდა და ასლა არ უნდოდა გაწილბეულიყო; იოთამს მომ-ლოდინე მსერას არ აცილებდა, მის ყო-ველ მიტრიალაში რაღაც სათავისოს დაე-ძებდა.

— რა არის და... — როგორც იქნა აღიარა პასუხი იოთამმა და თავს ძალა დაატანა, რომ ხმისთვის მეტი დამაჯერებ-ლობა მიეცა, — ის არის, რომა... რამე რომ მოხდეს, როდისმე, რომელიმე უბრა-ლოდ ყურიც რომ წამოხტკივდეს, მიზე-ზად ამას მომიფებენ. ხელმძღვანელობა, კანონი... ხომ იცით? ყველა ჯოხს ჩემს კისერზე გადატყვენ... აბა სცადეთ და, თუ ადვილია, თვითონ ითავუთ.

მწყვესებმა ერთიანულად გადახედეს.

— ჩვენ რა ვითავეთ? ჩვენზე რაც არის... ჩვენგან... აი, აქა ვართ.

— პო, მეტი რა შეგვიძლია?

— ან რა გვევალება?

— ბრიგადირი ხარ და მოთავსობა შე-
ნი ვალია.

— ჩემი ვალი ის არის, რომ საქონელს გაგუწობილდე, არ დაეღუპო, — გულბ-რილიად თქვა იოთამმა. — პო, აი, ეს არის.

— და ჩვენც მანდ არა ვართ? მაგას არ ვამბობთ?

— ვიცი, მესმის, მაგრამ... აკი გეუბნე-ბით... ექიმის წამალი რომ იყოს, კიდევ პო, თუ არა და, რა ვიცი, რას უწამს, არ-გებს თუ აგნებს.

— გეცადა მაინც, იოთამ, — რბილად, შემრიგებლურად შეაპარა თედომ, — გვე-ცადა რაკი ხალხი ხმარობს, ენდობა...

— პოდა, სცადეთ-მეთქი, — შეაწყვე-ტინა იოთამმა, — რაკი ჩემი არ გჯერათ. არ გესმით... აი, აქა ხართ და სცადეთ, ითავუთ.

— მერე, შენა?

— შე რა? გიყი კი არა ვარ, საქვეყნო საქმიანათვის თავი მარყუეში გავყო? თუ არ დაიშლით, აკი გეუბნებით, აგე თქვენა და აგე ფერმა, — მეთქი, მე ხელი დამიბა-ნია.

ჩამოვარდა უსიამო, უხერხული სინუმე-ნოსრევანს ბოღმა უკვე ყელში ჰქონდა მო-მდგარი და თავს ძლივს იკავებდა, რომ იოთამს მუშტებით არ მივარდნოდა. იოთა-მი ამას პირველად არ შვრებოდა. როცა საქმე მის პირად პასუხისმგებლობაზე მი-დგებოდა, როგორც ყველა ფრთხილი და მშინარა, თავის დაძვრენის არცერთ საჩო-თირო ხერხს არ ითაკილებდა, თუ საჭიროდ მიიჩნევდა, გაჯიუტებაც ურცხვი იცოდა და თავის მოკატუნებაც. ამის გამო კოტე მას მეღას, მორიგულს, ფერმის ვირთხას ეძახდა და ამ შეუკაცმყოფელ თიკუნებს ხშირად პირშიც ეტყოდა, მაგრამ იოთამს ეს იოტისოდენადაც არ სწყინდა, თავმოყვა-რეობასთან მაინც და მაინც პირნათლად ვერ იყო და ვერც საქმის ერთგულებით დაიკვეხნიდა. ოღონდ თვითონ არაფერი ენებოდა, არაფერი მოჰკითხვოდა, არაფ-რით დაზარალებულიყო და ფერმა წყალ-საც რომ წაეღო, დიდად არ ინადლებდა. ყველაზე უფრო ცხადად ეს ახლა გამოჩ-ნდა, როცა გადამწყვეტი წუთი დადგა და

საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა — თითქოს გაშიშვლდა, გამჭვირვალდა, სწორედ ასე მოეჩვენა ნოსტრევანს და ბრაზი გაუორკეცდა. — ო, ეს მართლაც მელა, მელა და მორიელი, მუდო, მუდო!

— რა ვქნათ, ხალხო, ხმა ამოიღეთ, — დაარღვია ილომ დუმილი, — ან ვცადოთ, ან გადავყაროთ.

მწვემსები ისევ იოთამს მიაჩერდნენ. იოთამმა თავი გვერდზე მიიბრუნა.

— მე უკვე ვთქვი... და გაგათავებ.

— ვნათქვამი საქმეს არ შევლის.

— მე სხვა სათქმელი არაფერი მაქვს.

— აბა ვე... ვე... რა პასუხია, იოთამ, — ჩოფური ფიცხი კაცი იყო და როცა მტკისმეტად გაჯავრდებოდა, ენა ებმებოდა, — არ გვეყო, რაც გულხელდაკრფილები ვისხედით? ვიზარალეთ? მაშ დავლუპოთ ფერმა? რისთვის ვართ აქ? სხვაც არა იყოს რა, სირცხვილია.

— მე რას ჩამაცივდით, კაცო, — იყვირა იოთამმა, ფეხზე წამოხტა და ხელები ისე აიჭნია, თითქოს რაღაცას აფრთხოხსო, — კო, რას ჩამაცივდით? ჩემი საკუთარი ხომ არ არის, რომ... თუნდ ერთ დღეს გაწყვეტილან, მე რა, რა შუაში ვარ? ყინვა იყო, საქონელი დაცივდა, კაცმა თავისი თვალით ნახა და... აი, ველოდები. მეტი რა ვქნა.

— პოდა, რომ არ მოდის, რომ არა ჩანს და ეს საქონელი კი... — ისევ დათმობით სცადა თედომ, მაგრამ იოთამმა ამჯერად სათქმელიც აღარ დაამთავრებინა, — მერე, ვე ჩემი ბრალია? — შეუძახა ისევ ხმამაღლა, — ჰა, ჩემი ბრალია? მე წავიდე და მოვიყვანო, თუ რა გინდათ ჩემგან არ მოდის და, პირიც იქით უქნია! კო, აი, ვერე... და პასუხსაც თვითონ ჯერ. — ისევ ზღურბლზე დაჯდა და სიგარეტს მშვიდად, აუჩქარებლად მოუკიდა.

მთელი ამ დღის მანძილზე ქორია პაპას ხმა ერთხელაც არ ამოუღია. კოცონის ზედა მხარეს როგორღაც თავისთვის, განცალკევებულად იჯდა, ხელში წიწკი ეჭირა და თავდაბრილი ნაცარში მრუდე ხაზებს ავლებდა. გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს მწვემსების კამათი არც ესმოდა და არც

აინტერესებდა, მაგრამ იოთამს გვერდებთან გამოხედა, თქმით არაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი გაიქნია ნელა, შემწყვანარებლურად ჩაიცინა.

მწვემსებმა, თითქოს ახალა შეამჩნიეს და პირი უმაღლ მისკენ იბრუნეს. ისევ დადგა პაპა ქორიას ჯერი, და ნოსტრევანმა ერთხელ კიდევ დაინახა, როგორ გადადის საქმე იმის ხელში, ვისაც იგი ნამდვილად ვკუთვნის, ვინც მისი ღირსია და მისთვის გაძლოდა და თავის გამეტებაც შეუძლია. პაპა ქორია ისე წამოდგა, პირზე ღიმი არ მოხცილებია, კოცონს ქვევიდან მოუარა, კოცონის პირას დაყუენცულ ძაღლს — მურიას ფეხი გაუქნია, სახბოე პაკის კართან მივიდა მკერდით ზედა დირეს გადაყვრდნო.

სბოებს გაბმით და გაგრძელებულად ახველებდათ, პაპა ქორია ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე უცხად შემობრუნდა და მოკლედ, ბრძანებასავით თქვა:

— არა, იმათი საცოდაობის ყურება აღარ შემიძლია, ჩაყარეთ ქვაბში და შემოქვიდეთ ცეცხლზე!

ნელა წამოებოჯა დერეფნისკენ, ზღურბლზე უჩუმრად აწრიალებულ იოთამს შეხედა და ისევ ღიმილი მოერია:

— ჰა, იოთამ — ბრიგადირო! თლონდ ჩვენ არა გვეყნოს რაო, არა? საკუთარი ტყავი გადავარჩინეთ... მერე, ხელთ რომ აღარც საკუთარი რამე შევგრჩება და აღარც საერთო, მაშინ რაღა ვქნათო? ეს, თქვე უფიქრელებო, თქვენა! — დაუმატა თავისთვის, დერეფნის წინ, კიდურზე, პირუკუ წადგა, დონიჯი შემოიყარა და ნისლევიდან ამოტივტივებულ, შუკირბლულ ქედებს გახედა. მათ ფონზე თლითონაც უწომოდ მაღალი და დიდი ჩანდა — ძვალმსხვილი და ბუჭანიერი, თითქოს ჩრდილავდა მათ და გაახეხდას მთლიანად ფარავდა. ნოსტრევანი შეკყურებდა დაკუთხულ მხრებს და ეჩვენებოდა, რომ პაპა ქორია თავისი ჯერ ისევ შეუღახავი, ჯანსაღი აღნაგობით, სიმართლით, გამბედაობით ასევე იფარავდა მათაც, მწვემსებს, იფარავდა რაღაც გულისა და მოულოდნელობისაგან, რომ უიმისოდ ყველანი უმწეონი იყვნენ, უძღურნი, უსუსურნი უამისოდ

გაუქმირდებოდათ ყოფნა და თვით ფერმაც ვერ შესძლებდა არსებობას..

ტუბტის ნახარშს მართლაც სასწაულმოქმედი ძალა აღმოაჩნდა, ხბოებს ორ დღეში გაუქრათ ხველა და სახსრებშიც ხალვათად გაიშალნენ. მკურნალობას ზედად ამინდიც კარგი დაჰყვა. მზე თითქოს გააჯავრა ცა-ღრუბლის ამდენმა ჭირვეულობამ, ერთ დილას ერთბაშად გამოგლიჯა ჯანლის მკვრივი პირსაბურავი და დედამიწა თავისივე ნელსურნელების თბილ ოსშივარში გახვია. გამოდარების პირველსავე დღეს მყუდროდ და ზომიერად ჩამოთბა, ბალახმა მოიხედა, წამოიჭორჩა და ხაქონელსაც მეტი არაფერი უნდა. კოტებს ამოსვლისათვის ხბოებს ნაავადმყოფარობა თითქმის აღარც კი ემჩნეოდათ, ეს თვითონ კოტემაც შეატყო, როცა ბაკში შეიხედა და ხბოები დაათვალიერა:

— გაგიწერა ღმერთი! ავადმყოფობა თითქოს მოხდენიათ კიდევ, — გაიხუმრა სიცილით, — გაზრდილან, დამსხვილებულან.

— წამალი თუ მაინც იშოვე? — ჰკითხა იოთამმა.

— ვიშოვე კი, მაგრამ დედაბრის არაკივით გამომივიდა, — თქვა კოტემ მობოღიშებისავით და ისევ გაიცინა.

— არა, რათა, — შეაგება საჩქაროდ იოთამმა, — წამალი ყოველთვის ხაჭირთა, სთვლამდე ჯერ დიდი დროა და, ვინ იცის, როდის დაგვჭირდება. ხომ იწვალე, ინერვიულე, განა ეს ცოტაა?

— ეს კი მართლაც.. ძილშიც სულ აქაურობა მელანდებოდა.

მერე მწყემსებმა სოფლის ავ-კარგი გამოჰკითხეს და, რა თქმა უნდა, პირველადვე ვენახების ამბავი იკითხეს. საბედნიეროდ, სეტყვას სოფლამდე ვერ წაედწია და ვენახები უვნებლად გადარჩენილიყო. თავის მხრივ კოტემ წველაობის მდგომარეობა იკითხა:

— რა ჭნა, ამ გამოდარებაზე ცოტა მაინც ვერ მოიმატა?

— მხოლოდ ცოტა, ძალიან ცოტა.

— ყველი? დაგროვდა რამე?

— ყველი კი, ყველა კასრი უკვე პირთამდე მოიყარა.

— ხაჭოს კი, აბა... რას დამწვებენ?

— ხაჭო... არა, არაფერი, — ენის ბორძიკით უთხრა იოთამმა, — ხბოები სულ შრატით გაეიყვანეთ და... აბა, როგორ?

— მეორე ბინაში რა ამბავია, არაფერი გაეგვია?

— როგორ არა, გუშინ იმათი ბრიგადირი ვნახე..

— რა? როგორა ვართო?

— კარგად არიან, ოღონდ იმათაც ყველის ტურტელი აღარ ჰყოფნით, თუ კოტემ დღეს-ხვალაც არ ამოვიდა და ყველი არ წაიღო... აღარ ვიცით, რა ექნათო.

— ალბათ ხაჭოც დაუგროვდებოდაი?

— რა თქმა უნდა, ისინი შრატს სხვა რაში გახარჯავდნენ.

— მაშ, მე დღესვე უნდა გაგბრუნდე და დილისთვის მეურმეები ამოვიყვანო.

— კი, კი, ჯობია. ახლა წველა უცხად იმატებს და, თუ ტურტელი არ გექნა...

კოტემ აღარ დააყოვნა, ახლად ოფლმემშრალი ცხენი შეკაზმა და სოფელში წასვლამდე მეორე ბინაც მოინახულა. ამასობაში მწყემსებმა გადილაურებული საქონელი დაწველეს, მერე ვედროებით წყალი, გაათბეს და ერთმანეთს თავი დაბანინეს, თმა და წვერიც გაიკრიბ-გაიპარსეს. იოთამს ჰქონდა სადალაქო იარაღები და ხელობაშიც კარგად გაწოფული ჩანდა.

წველამ მართლაც უცხად იმატა, სითბოსა და ნედლ, მწიფე ბალახზე რძე ნაგუბარა წყალივით მოსკდა, ისე კი აღარ იყო, როგორც, მაგალითად, გუშინ და გუშინწინ, მწყემსები მთელი ძალით რომ ექაჩებოდნენ ფურის ძუძუებს და ვედროებს გაჭირვებით აესებდნენ — ცურ-ძუძუდან უკვე თავისით მოთქრიალედა და მწველავებს ხელებზე ღვართქავად გადასდიოდა.

ტალაბი აშრა, ნაღვარევი ადგილები გადასწორდა, მიწა გამკერივდა და საქმეც ძველებურ კალაპოტში ჩადგა, ძველი ხალისი დაიბრუნა. გაჭირვებას ერთი კარგი თვისება აქვს: როცა კეთილად, უფათრაკოდ დასრულდება, მეხსიერებიდანაც უშალევი ჭრება ხოლმე, ხოლო განწყობას, გუნებას ისე არაფერი ახალისებს მთაში, როგორც კარგი ამინდი. ყინვა, უამინდობა,

საქონლის ავადმყოფობა და თავიანთი გასაჭირი გამოდარებას მეორე-მესამე დღეებზე მწყვეტებს ამბის-ამბადაც აღარ ახსოვდათ. საწყენი და გულმოსახლეული აღარაფერი ჰქონდათ, უამინდობის გამო თუ რამ ეწყენინებინათ ერთიმეორისათვის, ისიც დაივიწყეს, თითქოს წყალსა და ავდარს გაატანეს და საქმესაც და ერთმანეთსაც ისევ შეთანხმებულად, შეწყობილად მოუკიდნენ.

ნოსრველსაც ისევ დაუდგა იმედის დღეები. ახლა ერთი კი არა, შეუძლო ორი დღითაც ჩასულიყო სოფელში, ჯერ კიდევ არ ცხელოდა და მწყევლები შენაცვლებასზე უარს არ ეტყობდნენ. ჩახვლა კი, ოპ, რა ძალიან ეწადა! ახლა უკვე დედის ნახვაც ნამდვილად უნდოდა, რომელიც აგე, რა ხანი იყო, მარტოკა ცხოვრობდა, უგლიდა ოჯახს, უხო-კარმიდამოს, თუ ლილის ნახვა ოცნებად ჰქონდა ქვეული, დედის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა: ორა წუელიწადი ელოდა დედა და რით გადაუსადა, რით მიუზღო ორი წლის უსასრულო წუხილი და მოლოდინი? ორი დღის შემდეგ ისევ მიატოვა და ერთხელ ხანსახად ჩახვლაც არ აღირსა. სწორედ ასე ეტყვის კოტეს და ისიც, უყოყმანოდ დათანხმდება, გაუგებს. ამით დაიმედებული ყოველდღე მზის გადახრისას, ნაადრევად მოერეებოდა ხბოებს ბინისაკენ და გულში სრული იმედით იმეორებდა:

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია... ოღონდ მოვიდეს, ჩქარა მოვიდეს და...

აგე, მოსულა კიდევ! — ბოსლის ზემოთ, დიდი წიფლის ქვეშ, თუთრი ცხენი აბია და კულის ჩქარი ქნევით ბურნების კუპრისფერ ღრუბელს იგრიებს.

ნოსრველსაც ხბოებს ჯობი გაუქნია და უფრო ააჩქარა, მაგრამ ბოსელს რომ მიუახლოვდა, დერეფნიდან ისეთი მქისე საუბარი გაიგონა, რომ თავისდაუნებურად ნაბიჯი ისევ შეანელა. კოტესი და ქორიას ხმა იცნო. ნეტა რაზე დავობენ? კიდევ გადადგა რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი და ბოლოს სატყევიც გაარჩია — მიხვდა, რაზეც დაობდნენ: გამოდარების შემდეგ კოტემ ორჯერ წაიღო ყველი ჩასაბარებლად და ორჯერვე წინანდელი წონების

ტოლი გამოსულიყო — არც შეტყობენ მუქ კლები. ამან მწყევლები დააეჭვა, სოლო პაპა ქორიამ ამას წინათ მთელი დაბეჯითებით თქვა: მე მგონი, ყველმრეწვის კაცი და კოტე, ერთმანეთში რაღაცას მამაძალობენო. აი ახლაც თითქმის იგივე გაიმეორა და თავისი რბილი, მოღუღუნე ხმით საკმაოდ მკვახედაც დაუმატა:

— ბოლოს და ბოლოს, როდემდე? წველამ იმატა, ყველის წონა კი იგივე დარჩა, რათა? რატომ? სად მიდის ნაწველი?

საუბარი ამაზე შეწყდა. ნოსრველსაც ისევ შერევა ხბოები ბაკში, ისე შევიდა დერეფანში, მოიხსნა თოფი და გულა, რომ გადაარჯებული სმენა წამითაც არ მოუღუნებია, მაგრამ არც პაპა ქორიას და არც სხვებს ამის თაობაზე აღარაფერი უთქვამთ. თუმცა ან რას იტყობდნენ, კოტე მათთან აღარ იყო, შიგნით შესულიყო და ხანგაჩიშოს აჩააკუნებდა. თვითონ კოცონის გვერდით ისხდნენ და კალმისა სოკოს არჩევდნენ „ძირებს დანებით აჭრიდნენ. თითო ბიბილოებს წვრილად ხვედნენ და ვახშმის ქებაში ყრიდნენ. წაქცეული, ყანდარი ხეები ნაწვიმარზე კალმისა და მაჩალო ხოკოებით დაიფარა, მწყევლებს თითქმის ყოველდღე მოჰქონდათ და გემრიელ ვახშამსაც ამზადებდნენ.

მაღე ბოსლიდან კოტეც გამოვიდა. ახლად გაპარსულ მწითურ სახეზე წყენა უფრო ცხადად ემჩნეოდა, ტილოს ხალათზე ლეგა ფერის ნახშიარი პიჯაკი წამოესხა, და პირში ანთებული სიგარეტი ვჭირა. ეს მისი უცვლელი ჩვევა იყო — როცა გაჯავრდებოდა, პირიდან პაპიროსს აღარ გამოიღებდა. გაჯავრება იმაზეც ეტყობოდა, რომ ნოსრველს ჩვეულებრივ აღარ მიხალმებია. ჯერ დერეფნის წინ გაიარ-გამოიარა, მერე დოინჯშემოყრილი ქორიას პირდაპირ ჩამოდგა, ცალი წარბი მაღლა, კულულებისაკენ აზიდა და ტკეპნით და აღრენით ჰკითხა:

— მაშ, შენ ამბობ, რომ... მე ვიპარავ, არა? ესე იგი, ქურდი ვარ?

— მე ეგ არ მოთქვამს! — ასევე ხაზგასმით და ტკეპნით უთხრა პაპა ქორიამ,

თანაც ისე, რომ არც თავი აუწევია და არც სოკოს რჩევა შეუწყვეტია.

— ვერე გამოდის და... იცოდვ, არ გაპატიებ, ცილისწამება კანონით ისჯება, დიას, დიას, ჰო!

— შენ მაგით ნუ მაშინებ, — პაპა ქორიამ ახლა კი ასწია ხშირთმიანი თეთრი თავი და ცისფერი თვალები დაბლიდან შეანათა, — გაიგე? ნუ მაშინებ! ზაუხუელი რომ განახვერდა და წველამ ერთიორად იმატა, ხოლო ყველის წონა კი იგივე დარჩა, განა ეს ტყუილია? ჩვენი შრომა, რძისა და ყველ-ხაჭოს წონა-რაოდენობით ფასდება და ასე რომ გაგრძელდეს... პა, ვერე არ არის? თქვით? ამოიღეთ ხმა! — მწვემსები სათითაოდ ჩამოათვალიერა და მზერა ბოლოს იოთამზე შეაჩერა.

იოთამი უმწეოდ აწრიალდა, აცმუკდა, თუშური ნაბდის ქუდი ხან ნაოკიან უშბლზე ჩამოიწია, ხან მოტვლებილ კეფაზე გადაიკურა და წვრილი, შავი თვალები დაშფრთხალივით დააფეთა:

— რა ვიცი... რა ვთქვა? აგე, ხო ამბობ, შენ ხომ ამბობ და... მე რაღა ვთქვა... რა ვიცი.

— რა არ იცი, რა? — დატუქსა პაპა ქორიამ, ყველს რომ აკლდება, ეგ არ იცი? არ უნდა გაეაგოთ, სად მიდის ჩვენი შრომა? არ უნდა ვიცოდეთ?

— უნდა ვიცოდეთ, პო... თუმცა, რა ვიცი, — ჩაიბურტყუნა იოთამმა და თავი დახარა.

კოტე მკიკაძის უბის ჯიბიდან ორად მოკეცილი ქვითრების დასტა ამოიღო და ქორიას ზედ მიაყარა.

— აჰა, ნახე და გაიგე! ყველაფერი მანდ წერია, სულ მისხალ-მისხალ წერია და... ნახე, დაითხარე თვალები!

იოთამმა გაფანტული ფურცლები მოკრიფა, აჩქარებით დაალაგა ერთმანეთზე და ისევ კოტეს დაუბრუნა.

— მანდ რა სწერია, არ ვიცი და არც მინიტერებს, — განაგრძო პაპა ქორიამ, — მე სიმართლე მინდა.

— სიმართლეა ეგ, პო, სიმართლე! არ გჯერა და წადი, აგე, კოლმეურნეობაა, ხელმძღვანელობაა, რევიზია, კონტროლი, არადა, რაიონია, სასამართლო და პროკუ-

რატურა იქ წადი და იჩივლე... ვერე ქენი! — დერფუნის წინ აჩქარებით გაიარ-გამოიარა, სიარულში ახალ სიგარეტს მოუკიდა, პირიდან გამოუღებლად რამდენიმე ნაფაზი დაჰკრა და ისევ პაპა ქორიას მიუბრუნდა. — სიმართლე, სიმართლე!.. — ჩაილაპარაკა გამოჯაერებით, — მთელი შენი ცხოვრება მაგ ცარიელ სიმართლეს შეაღიე და რა მოიგე? რა მოგცა?

ქორიამ აღარ უპასუხა. თუმცა პასუხს არც კოტე დალოდებია — საწოლიდან ქვითრები წამოკრიფა და ისევ ბოსულში შევიდა.

მწვემსები მორჩნენ სოკოს დარჩევას, ნარჩენები უხოს ქვედა კიდურზე გადაყარეს, კალთებიც იქვე გადაიბურტყეს, მერე ჩოფურმა დარჩეული სოკოთი სახე ქვაბი აიღო და ნოშრევანს გაუწოდა:

— ერთი შენს გასრდას, ხევზე ჩაიბინე და ამორცხე, ვედროც გააყოლე, გადასალეხე და გჭირდება, და ბარემ წყაღიე გამოაყოლე.

სანამ ნოშრევანი ბაქის მარგილზე ჩამოსხობილ ვედროს ჩამოიღებდა, ბოსლიდან კოტეც გამოჩნდა, — სახე უცინოდა და თავს გაკვირვებით იქნევდა, ბოლოს მწვემსებისაკენ შებრუნდა და ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ჩვენ თუ... გიყები არ ვიყოთ... ხა-ხა-ხა თავი მომიკედეს დიას, დიას, ნამდვილად გიყები ვართ, არც მეტი, არც ნაკლები! ერთი მითხარით, აქ ამ კლდე-ღრეშაც რომ ერთმანეთს ვჯიჯვინდეთ, სიგიფე არ არის, მამ რა ეშმაკია? გაგიწყრათ ღმერთი! ჩემი არ გჯერათ, არა? არ მენდობით? ექვი გეპარებათ? ადვილად და, თქვენ თვითონ ზიდეთ, წაიღეთ, მიუწონეთ, ჩაბარეთ. თუგინდ შენ, თუგინდ შენ... რომელსაც გინდათ. აი, იოთამი, ბრიგადირია და ვეალება კიდევ... მე აი აქ ვიქნები, თქვენ კარგად იცით, საქმე არ მესარება — ფურსაც მოწველავ და ყველსაც შევადედებ, ჩაგილაგებთ, გაგიშვადებთ და წაიღეთ... ნახირშიც წავალ, საქმე სხვაც ბევრია, აი, მაგალითად, წყარო! გვერდით წყარო ამოგვიდის და ხვეის წყალს კი ვხვამთ. რაც ფერმაში

ვარ, სულ ვფიქრობ და თავი ვერ მოვაბი, ჰოდა, ახლა გაგაკეთებ. ამოვიტან ცემენტს, ე ქვა და ქვიშა აქ არის და... მილსაც დავუდებ. აბა, თქვე კაი ხალხო, ასე არ ჯობია? საჩუბრად ხომ არ ამოვსულვართ აქ? პირიქით... აგე, სურჯინში რქაწითელით ხავსე ტიკჭორა დევს, მეორე თვალში დანიერული დედალი და დეკულის სამწვადეც აწყვია, ტარხუნა ხომ არის და არის, ვახშმად კი სოკოც მზადდება, ჩვენც აქა ვართ.. მეტი რაღა გვინდა? ტკბილი სიტყვა, თბილი გული, ღიმილი და... სიცოცხლე, დიდხანს სიცოცხლე, დიახ, დიახ, ჰო! და თქვენ კი... თითქოს მტრები ვიყოთ. ხა-ხა-ხა, გაგიწყვრათ ღმერთო! — ისევ გადაიხარხარა და ცოტახანის შემდეგ კვლავ ხუმრობაგამეებით განაგრძო, — აი, კიდევ გეუბნებით: დღეიდან ყველს სიახლოვეს აღარ გაეკვარები, მარტო ჩავილაგებთ, გაგიმზადებთ და... სხვა თუ არაფერი, თქვენს საყვედურს ხომ მოვრჩები, დავისხვენებ კიდევ. რა ჯობია ამ იალალზე ყოფნას, აბა, გახედვ, თვალი მოიწყვეს თუ გული! — წინა კიდურზე გავიდა, ჩამავალი მზის სუსტი ათინათით მოსატულ მწვერვალებს შეოცნებე მზეკა მოაგლო და ნელი ხნით ხიმღერაც კლავოლა: მწვეში ვარ, მთაში დავდივარ, კლდე ღრეში დავსეტკილობ, ვარალოო...

მწვეშიცა — ილომ, თედომ, ჩოფურმა და იოთამმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს, გამათის სასიკეთო დასასრული ნომრეგანს გაუხარდა, ხოლო პაპა ქორიამ თავი გაიქნია და თავისთვის ნელა ჩაიციინა.

კოტემ თავისი დანაპირები ამ პირველ საღამოსვე აასრულა — ხალათი გაიძრო, საწველელი ჩამოიღო, — აბა, მომყე, თუ ბიჭი ხარო, — შეუძახა იოთამს, მხარზე ხელი დაჰკრა და ბავის ხარხებს ჭაბუკური სიმსუბუქით გადაახტა.

ხაქმეში კოტეს ჩარეგამ ყველანი გაახალბა. თითქოს რძის პირველმა ჭავლმაც ვედროების ძირზე სხვაგვარად გაიკრიალა და გაიბა ჩვეულებრივი შიი-შუუ! შიი-შუ! რომლის ერთფეროვან რიტმს დროდადრო ისევ კოტეს თმასიანი შეძახილი არღვევდა:

— იოთამ, ბიჭო! საღ ხატმეცა ჩამოქმე რჩე თორემა...

იოთამს პირველსავე ვედროზე აჯობა და კისურში ჭაღის კაი მოზრდილი ქულაც მისცხო. მერე სხვებიც დაჯაბნა. ერთხელ ნომრეგანსაც გაეჯობრა, მაგრამ ჭაღის დასადებად არ გაიმეტა, თუმცა ნომრეგანმა დამარცხება აღიარა და კისური თვითონვე მიუშვირა.

— შენ არა, — უთხრა ღიმილით, — ჯერ კიდევ ახალი ხარ, მერე კი, იცოდე, შენი ჯერიც დადგება.

ფურები დაწველებს, რძე შეადედეს, მეფურებს აჭამეს და თეობზე გაუქაიეს, მერე ხელები გადაიბანეს და სოკოს მოხარშვამდე ისევ დერეფანში ჩამოსხდნენ. ილომ შიგნიდან ტრაქიც გამოიტანა, აანთო და კედლის ღრიტოში დაყოლებულ თაროზე შემოიდგა.

ზაფხულის წყნარი, ვარსკვლავიანი საღამო იყო — მწვემსური საღამო. ცეცხლზე სოკოს ჭეაბი თუხთუხებდა. ტრაქის მოპარპაღე ალი დერეფნის ჩრდილებს არხვედა და ჭერზე მოტორტმანე ორთქლის მსუბუქ ღრუბელს წითლად აფერადებდა. ტყიდან ციყვის მწყიტინი და ოლოლების უხასრულო მოთქმა ისმოდა. დროდადრო ნიაგიც ფრთას მოიქნედა, ბოსლის ზემით მდგარ დიდ ფიფულს ძირს-დახრილ ტოტებს შეურსვედა, ბუქნარიან ტაფობზე ჩჭარი შარიშურიტ გადაიბრუნდა და ტყის თანაბარ სუნთქვას შეერთოდა. მწვემსები და კოტე უკვე ამხანაგურ-მეგობრულად საუბრობდნენ იქითურაქეთურზე — წლევანდელ ზაფხულზე, ყურძნისა და პურის მოსავალზე, დარამინდის აგ-კარგიანობაზე და, რა თქმა უნდა, შრომადღის მოსალოდნელ ღირებულებაზე.

— როგორც ამბობენ, წელს კაი განაწილება უნდა იყოს, — თქვა იოთამმა და კოტეს შესუდა, — თავმჯდომარეს უთქვამს, სალხს შეპირები.

— ჰო, ფული ბლომად ჰქონიათ, ნომრეგანი საუბარში არ ერეოდა, განაპირად იჯდა, კოცონის ზედა მხარეს და პაპა ქორიასი და კოტეს წვლანდელ კამათზე ფიქრობდა. ვერ გაერკვია, რომელი

იყო წიდან მართალი. გადაჭრით თქმა მართლაც ძნელი იყო, განა ასე ადვილად დასთმობდა კოტე, რომ მართლა ტყუოდეს და ყველის წონაში რაღაც სიყალბეს ჩადიდოდეს? რა თქმა უნდა, არა. გიყი ხომ არ არის, თავისი საიდუმლო ასე უბრალოდ და ძალდაუტანებლად ჩაუვდოს სხვას ხელში? თქვენ თვითონ წაიღეთ და მიუწონეთო. მერე რა მოყვება ამას? ხომ გამქდაუნდება ყველაფერი, გამოაშკარავდება და მაშინ კოტეს ნაღდი ციხე მოეღის, არა, დამნაშავე ასე ადვილად და უსუსურად არასოდეს ნებდება. იქნებ პაპა ჭორია სცდება და ყველაფერი ზედმეტი ეჭვიანობით მოსდის? ეს აზრი საკმაოდ ჭკავდა სიმართლეს, მართალია, პაპა ჭორია ისეთი კაცი არ იყო, რომ უშიშვროდ და პიპარად რამე ეთქვა, მაგრამ, ვინ იცის, ქვეყნად შეუმცდარი არავინ არის. საკუთარი თვალთ არაფერი ენახა, დამოწმება არაფრისა შეძლო, ხოლო ეჭვს და ვარაუდს კოტეს საქციელი მთლიანად უარყოფდა.

„ნამდვილად პაპა ჭორია სცდება, ამჯერად სცდება,“ — დაასვენა საბოლოოდ, ფიქრი ამაზე შეწყვიტა და ისევ თავისი საქიროება-სათხოვარი გაიხსენა:

„უსათუოდ ვეტყვი... ახლა თუ არა, ვახშმის შემდეგ მაინც“.

მაგრამ თქმა ვერც ნავახშმევს მოახერხა, — ხელსაყრელი წუთი ვერ შეურჩია. მწყევლებმა ღვინო შეხვუნ, შეზარბოშდნენ და ალაპარაკდნენ. ჯერ ერთმანეთში იბუნჯეს, იხუმრეს, მერე საუბარი თავთავიანთ პირად საქიროებაზე გადაიტანეს. იღობ თქვა, საზლი მაქვს შიგნით მოსამთავრებელი, სესონს რომ მოვრჩებოთ, ერთი-ორი კვირით შევბუღება უნდა ვითხოვო, ნებართვა ავიღო და სამასალე ხეები აქვე დავამზადო. მეორე სართული მეც გასამართი მაქვსო, — ჩაურთო ჩოფურმა, მაგრამ სანამ ბიჭი უმაღლესს არ დაამთავრებს და შინ არ მიბრუნდება, მარტო ვერაფერს გაგზავნებო.

— წელს ისიც ამთავრებს, საფხულის ბოლოს მეც ჩავალ და...

იოთამს სასლი უკვე მოთავებული ქეთია, მაგრამ ახალ სამოსახლოზე ჯერ ვა-

ზი არ ედგა და ახლა სწორედ ნამდვილი ჩაყრასა და ლარგამულ კარის ვენახზე ოცნებობდა: ჩავალ თუ არა, ორპირს გადავაბრუნებინებ და თავმჯდომარეს ნამყენსაც გამოვაწერინებ. ქართველ კაცს თუ კარზე რიგიანი ვენახი არა აქვს, იმისი სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიმარჩიაო, თქვა ბოლოს და სხვებმაც უმაღ დაუმოწმეს:

— სწორია! მართალია!

— უვენახოდ ან სახლკარს რა ლაზათი აქვს?

— ოღონდაც, არა აქვს, ოღონდაც.

— ჰე-ჰე, კარის ვენახი, კარგი ვენახი... დალოცვილია, კურთხეული, რა შეედრება?

ყველამ რაღაც საქიროება გაიხსენა, მაგრამ ადგილს ჯერ საერთო საქმეს უთმობდნენ და საკუთარ საზრუნავს ყველანი ზაფხულის ბოლოსათვის, მოცლისას ვარაუდობდნენ. ასეთ დროს და ამის შემდეგ პიროვნულ-ინტიმური სურვილის წინ წამოწევა, გამხელა, ნოშრევანს ძალიან შეუსაბამოდ მოეჩვენა, ეხებრხულა, თავისი სულწასულიობისა შერცხვა კიდევ და სათქმელის ისევ სახვალიოდ გადადებდა ამჯობინა.

* * *

ეს განზრახვა ძილშიაც ჩაჰყვა და დილით ჩვეულებრივზე ბევრად ადრე გაღვიძდა. თვალის გახელისთანავე ზვეით, დიდი წიფლისაკენ გაიხედდა: კოტეს ამ სისძირას უყვარდა ძილი, როცა კარგი ამინდი იყო და ფერმაში დამეს გაათედა — გაებვეოდა ნაბადში, თავქვეშ უნაგირს ამოიღებდა და ცხენსაც გვერდით დაიბამდა.

მაგრამ ახლა იქ აღარც კოტე ჩანდა და არც მისი თეთრი ცხენი, თუმცა გათენებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა — ცისპირი ის-ის იყო, ტყდებოდა და ჩიტებიც ჯერ მხოლოდ ჩქროდ და კანტიკუნტად სტეცდნენ.

ნეტა, სად წავიდოდა ასე დილაადრინა? აგე, თავის ადგილზე აღარც ლაგამ-უნაგირი დევს. წუსულ ადრე წასვლაზე არაფერი უთქვამს, თუმცა კოტეს რას გაუგებ, ვერცხლისწყალივით არის, ერთ წუთს

რომ აქ იყოს, მეორე წუთს თვალს და ხელს შუა გაქრება და სადღაც სხვაგან გამოჩნდება.

ნოსრევანმა სამწყსო გულსუწადინოდ გაირეკა. დღეს ჩვეულებრივ ციხე-გალავანთან აღარ ასულა და თვალი ხანგრძლივად არც ქვევრიდან გაუსტერებია, ღელის დასაწყისთან ნახირი თავივე დააბრუნა, ტყე-ბურქნარიან დაფერდებაზე ჩაუშვა და თვითონაც უკან ჩაჰყვა. და ის იყო, ჩამოჯდა კი პანტის ჩრდილში პურის ხაჭაპურად, რომ ზვევიდან კოტეს ძახილიც გაიხმა.

— ძია კოტე?! — კოტეს ციხეგორში გამოჩენას ნოსრევანი უკვე შეწყვეული იყო, აქედან სოფლამდე მოკლე, საცალფეხო ბილიკი ჩადიოდა და ჩასვლა იყო, თუ ამოსვლა, როცა ერქარებოდა, კოტე უმეტესწილად ამ გზით სიარულს ამოიბინებდა, ნოსრევანსაც ხშირად შეესმაინებოდა ხოლმე. მაგრამ ახლა არაფრით არ მოვლოდა — ახლომასლო არ ვგულებოდა და სოფლიდან კი ასე ჩქარა არ ამოვიდოდა..

ძახილი კიდევ გაიხმა.

ხმაში აჩქარება და მოუთმენლობა ემჩნეოდა. ნოსრევანი თვითონაც აჩქარდა, — მოვდივარ! მოვდივარ! — ჩანათაზე გაშლილი ხაგზალი ვერევე მიატოვა და აღმართი სწრაფად აირბინა:

— რა იყო, ძია კოტე, ხომ არაფერი მოხდა?

— რა უნდა მომხდარიყო, ბიჭო, გაგიწყრა ღმერთი! — კოტე ისევ ცხენზე იჯდა და მაღლიდან ისეთნაირად დაჰყურებდა, — შეკავებული ღიმილით, თითქოს რაღაც უხაროდა და არ იმჩნევდა, — არაფერიც არ მომხდარა. ისე გამოვიარე, გნახე. მთაში ვართ, ძმაკაცები ვართ და... ხანდახან ერთმანეთიც რომ მოვიკითხოთ, საკვირველია? გაგიწყრა ღმერთი!

ნოსრევანმა უფრო გაკვირვებით შეხედა.

— დიახ, დიახ, პო, — კოტე ცხენიდან ჩამოსტა, ოფლში გახვითქულ ცხენს აფშარის თოვი დაუგრძელა და საძოვარზე მიუშვა — ჰა, რას შერები?

— რა მიშავს, ვარ?

— რა მიშავს კი არა, კარგად უნდა იყო,

მაგრად! მწყემსობა მამაცად...
ასეთი ვარ მე, ასეთი უნდა იყო შენც, დიახ, პო! — მიიხედ-მოიხედა და ჰკითხა, — სამწყსო სადღა გყავს?

— აგე, ქვევით, ღელის დაყოლებაზე.

— ხომ მოკეთდნენ ავადმყოფობის შემდეგ, მოიხედეს?

— კი, რა თქმა უნდა,

— კარგია.. წულს მე და შენ ბედი გვწყალობს, — გააკინა და ისევ განზე გაიხედა. რამდენსაზე წამს ჩუმიად იდგა, მერე უცბად შენობრუნდა და ხმადაწვეით, უკვე ხაქმიან კილოზე უთხრა, — ახლა კი აი რატომ დაგიძახე: დღეს აქ ერთი კაცი მოვა შენთან, რაღაც პატარა ხაქმე ქონია, დახმარება სჭირდება. მეგობარი კაცია და... თუ არ დაიზარებ.

— რა ხაქმეღია, ძია კოტე, ან ისეთი რა უნდა იყოს, რომ..

— ისეთი არაფერი, — გაჰიანურებით თქვა კოტემ, — რაღაც საქონელი მყოლია გადასარეკი და... თუ ხაიმედო ვინმე გყავს მწყემსებში, მომხმარეო ბიჭი მყავს-მეთქი ისეთი, რომ.. ვეფხვივითა-მეთქი, ხელებიდან ხულ ნაპერწკლები სცვივა-მეთქი, დიახ, დიახ, პო, სწორედ ისე ვუთხარი. და ახლა, რომ. ხომ იყი, სირცხვილია.

— კი, ძია კოტე, მოვიდეს და.. მე აქა ვარ, მზადა ვარ.

— პოდა, ეგრე... დანარჩენს თვითონ გეტყვის, სად, როგორ და ვისთან.

— ხბოები? — გაახსენდა უცბად ნოსრევანს, — უპატრონოდ ხომ ვერ დაეტოვებ?

— უპატრონოდ რატომ, ძალი ხომ გყავს?

— მყავს.

— დატოვე ძალი და..

— დაეტოვებ კი, მაგრამ მარტო ძალის იმედით... საშიშია.

— მაშინ აი, რა ქენი, — უთხრა წამიერი ფიქრის შემდეგ კოტემ, — აგე, გალავანი, შერევე და კარები ფიჩხით გადაუღობე.

ნოსრევანმა გაკვირვებით შეხედა.

— რა იყო, ძალი ნადირს არ გააჭაქანებს, მერე შენც მოხვალ.

— მერე, ასე შეიძლება?

— ვითომ რატომ არა, — გაიცინა კოტე, — განა ჩვენი წინაპრები ამ ციხე-გალავნებს სულ თავშესაფარად არ ამუშენებდნენ?

— ისინი საჭონიხათვის კი არ ამუშენებდნენ.

— სულერთი არ არის, გაგიწყრა ღმერთი, — ისევ გაიცინა კოტე, — არ იცი, რომ ყველა ნივთს, საგანს, დროის შესაბამისი დანიშნულება და გამოყენება აქვს. ისინი ადამიანებს აფარებდნენ, ჩვენ საჭონელი შევაფარეთ, ვითომ რაო.

თავის ნათქვამმა კოტე უფრო გაამხიარულა. თბონიხათვის ნოსრევანი ამაზე შესაფერ დროს ველარ იპოვიდა, თუმცა პირდაპირ თქმას მაინც მოერიდა და სათქმელი შემოვლით დაიწყო:

— ახლა საით, ძია კოტე, სოფელში?

— არა, სოფლიდან მოვდივარ, აგე, ცემენტი მომაქვს, — ნოსრევანს ხურჯინიდან ამოშვერილი მუყაოს პარკები დაანახა, წყარო უნდა გავაკეთო, წუხელ ხომ ვოქვი? ჰოდა, უნდა გავაკეთო.

„წუხელვე წახულა“, — გაიფიქრა ნოსრევანმა, — ჰოთ, — გააგრძელა ხმამაღლა, — მეც მიხდოდა სოფელში ჩასვლა... ერთი დღით მაინც.

— სოფელში?

— ჰო, დედას ენახავდი... თუ გამიმეგობ.

— როგორ არ გაგიშვებ, ბიჭო, ერთი დღით კი არა, ორითაც გაგიშვებ, და აი, ცხენსაც გათხოვებ.

„ცხენსაც გათხოვებო?!“ — ნოსრევანი ამდენს არ მოელოდა და ამით დაიმედებულმა პირდაპირ კითხა:

— როდის?

— როცა შენ გინდა, როცა მეტყვი.

— მაშინ, ხვალე, ხვალევე.

— ხვალევე? — კოტე ჩაფიქრდა, — ხვალე... შეიძლება ვერა, მე თვითონაც არ მცალია, საზამთრო საძოვრებზე თივის დამამზადებელი ბრიგადა უნდა გავისტუმრო, შეიძლება თვითონაც გაუყვე. მაგრამ ძალიან მალე კი გაგიშვებ, უსათუოდ გაგიშვებ. — ცხენის საბმურს მოსწვა, ცხენზე მკვირცხლად ამხედრდა და გააგრ-

ძელა, — შენს შეახებ თავმჯდომარეს უკვე ველაპარაკე, რაიონში ვუთხარი ბიჭებს, გაქე, კარგი მუშაკია, ბევრით და უმადლესის ლიმიტი უნდა მივცეთ-მეთქი. კო, შემპირდნენ, გამარჯე და მუყაით ახალგაზრდას ყველაფრით წავახალისებთო, ლიმიტსაც მივცემთ და ჯილდოზეც წარვადგენთო. მალე კიდევ შევახსენებ, ჰოდა... ჩემთან სიკეთე არ დაგვყარგება.

— მადლობელი, ძია კოტე, დიდი მადლობელი!

კოტემ ცხენი შეაბრუნა და ზურგიდან გადმოსძახა:

— ასე უნდა, მაშ! ერთმანეთზე უნდა ვიფიქროთ, ვიზრუნოთ, აბა რისთვის ვართ ცოცხლები? გაგიწყრა ღმერთი!

„ეაჰ, რა კაცია, რა კაცი!“ — გაიფიქრა ნოსრევანმა, — თქვა და აი, აკეთებს კიდევ. თან სხვაზედაც ზრუნავს... არა, ჰაჰა ქორია ხანდახან სცდება, ნამდვილად სცდება“...

* * *

სალამოსათვის კოტეს წყაროს ამოშენებაც მოესწრო და ეუზო-კარმიდამოც გადაუსხვადებინა. თანაც ყველაფერი თავისებური სიმარჯვით, სიბეჯითითა და მონდომებით გაგვეტობინა — გაეწმინდა, გაეხვეტა, მიელაგ-მოელაგებინა და გაელამაზებინა. ნოსრევანს ყველაზე მეტად ხევიდან წამოსულ ბარდნარსა და ბოსლოს გვერდითი კედელს შუა გამავალი ბილიკის გადაღობვა მოეწონა. აქ დილა-სალამოს საჭონელი დადიოდა, მზის სხივი ვერ სწვდებოდა, მუდმივი ჩრდილის გამო ერთმანეთში აზღოლილი ნუხე-ტალახის წუნწუხი დგებოდა და მისი მყარალი ხუნი ბოსელსა და დერეფანშიც შედიოდა. კოტეს წუმზე აეხვეტა და თავი და ბოლო გკლიანი ფიხით გადაედლობა. ზედა მხარეს იმდენი ხე-ფინიხი ჩაეხერგა, რომ ჯებირი კინალამ სახურავის კალთას სწვდებოდა, ქვემოდან წნელით შვეკული ასკილის კონა გაებინა, აქ ახლა ჩიტიც ველარ გაძვრებოდა. ასკილის კონა ხვეზე ხავალ ბილიკსაც კეტავდა.

— სწორია, — თქვა ნოსრევანმა გულში, როცა ნაკეთობა კარგად დაათვალი-

ერა, -- რაკი წყარო გვექნება, ხეზე რა-
ლა გვისხდა. -- ხმოებს კარი გამოუკვტა
და ბაკს ზემოთ, ახალ წყაროსთან თავმო-
ყრილ მწყემსებს შეუერთდა. ეს წყარო პა-
ტარა დაფრდებულ რამდენიმე ნაკადად
ამოდიოდა და ოდნავ ქვევით, ასეთსავე
პაწაწინა, დაჭაობებულ ღელეს ერთვოდა.
კოტეს სათავე მთლიანად გადაეთხარა,
ნაკადები ერთად შევერბოდა, წინა მხარეს
სიძი ქვის ყორით ამოუშენებინა და რკინის
ჩილი დაედო. წყალი უკვე დამწყდარიყო
და მილიდან მოლილისფრო ნაკადად მოთქ-
რიალებდა. მწყემსები პეშვებს უშვერდნენ
და ფერსა და გემოს უსინჯავდნენ. მაღლი-
ერებას პაპა ქორიაც აღარ ფარავდა:

— კარგია, — ამბობდა მოწონებით, —
რაც კარგია, კარგია.

კოტე ფეხს ინაცვლებდა და შეკავებულ
კმაყოფილებით იღიმებოდა. ხალათი არ
წვეა, ხელებსა და ხშირი ბალნით შეკაგ-
რულ შიშველ მკლავებზე ტალახი და განა-
კაწრებიდან გამონაქონი სისხლი შეხმობო-
და. ოფლით გატენილი თმა შუბლზე კე-
ტა-კეტა პქონდა მიწებებული, მხრებსა და
ყელ-კისერზეც კერ ისევ შეუწმარალი ოფ-
ლის მსხვილი გუგუშები ეყარა.

კოტემ საქმე რომ დათქვა და არც ახ-
რულება დააყოვნა, მწყემსებს ეს არ გააკვი-
რებიათ. პირველად ხომ არ ხედავდნენ
კოტეს — ხელის სიმარჯვესა და გერგილი-
ანობაში კაცის ძნელად თუ გაუტოლდებო-
და, საქმისათვის შებამაც გაბედული და სა-
გულდაგულოდ იცოდა, რასაც იტყოდა და
დაიჭადნიდა, გაუკეთებელს არ დატოვებ-
და. ახლა მხოლოდ ის უკვირდათ, ასე უც-
ბად ამდენი რამის გაკეთება რომ მოესწ-
რო, ერთი კაცისაგან წართლაც დაუკურე-
ბელი იყო. ათვალერებდნენ ეშო-კარმიდა-
მოს, წყაროს და ხახვზე ყველას ერთი და
იგივე კითხვა და გაკვირება ეხატა:

„როგორ მოასწრო? ერთ დღეში როგორ
მოასწრო?!“

კოტე თითქოს მათს ფიქრს ხედებოდა,
დახრილი, წყაროზე მკლავებს იბანდა, და-
ბლიდან ცერად იყურებოდა, ქებას იფერე-
ბდა და შეფარული თვითკმაყოფილებით
პასუხობდა:

— გვეჭირდებოდა... საჭირთუცაჟფოქმეზაჟ
ხვეიდან როდემდე გვეზიდა წყალი?

ხელ-მკლავის ბანას რომ მორჩა, განზე
გადგა და ნოსრევანს გამოხედა:

— ახლა აღარც შენ დაგჭირდება დილა-
ობით პირის დასაბანად და სავარჯიშოდ
ხეზე ჩასვლა. აი, წყარო, აქვეა, დაიბან
კიდევ და ტანსაც დაიხეულ. განა ასე არ
ჯობია?

* * *

იმ საღამოს კოტე ისევ სოფელში წაეი-
და. ცხენს რომ ჰკაზნავდა, ნოსრევანს და-
უძახა, დილანდელი დანაპირები გაახსენა
და ერთხელ კიდევ დააიშედა, — ხვალ თუ
ვერ მოვასწარი, ზეგ უსათუოდ ამოვალ და
ერთი-ორი დღით შენც გავიშვებო.

კოტე „ზეგ“ მართლაც ამოვიდა, მაგრამ
ნოსრევანს სოფელში გაშვებაზე „კურკე-
რობით“ ისევ უარი უთხრა. მერე ასე გაკ-
რძელდა მთელ თვეს. კოტე, ამ ხნის მანძი-
ლზე უთვალავჯერ ჩავიდა სოფელში და
ამოვიდა, როგორც თვითონ ამბობდა, სა-
შამთრო საძოვრებზე თივის დამამზადებე-
ლთა ბრიგადაც გაისტუმრა, რამდენჯერმე
თვითონაც ჩახედა და ბოსლები და მწყემ-
სთა სადგომი ბინებიც შეაკეთებინა, მაგრამ
ნოსრევანის გაშვება ვერც ერთხელ ვერ
„მოახერხა“. სამაგიეროდ ყოველ ამოსვლა-
ზე თავისი შამობრივი ზრუნვის დამადას-
ტურებელი რაღაც ამბავი ამოქონდა:

— დედაშენს ვენახის მორწყვა გასჭირ-
ვებოდა, თავმჯდომარეს ვუთხარი და წყა-
ლი ჩთელი ერთი დღე-ღამით მივაცემინე.

— რაინში უკვე მოწინავეთა სიაში ჩა-
გწერეს, მდივანს ველაპარაკე და...

ყოველი ასეთი ამბის შემდეგ უსათუოდ
რაღაც „საქმეზე“ გააგზავნიდა, და წასვ-
ლისასაც ისევ რაღაც „დავალებას“ დაუ-
ტოვებდა. ყველა ეს საქმე და დავალება
თითქმის სულ ერთი და იგივე იყო, მაგრამ
დასასრული არ უჩანდა, ეს უსასრულობა
ნოსრევანს ხშირად საგონებელში აგდებდა
და გაოცებული თავის თავს ცვითებოდა:

„ნეტა, რას ვაკეთებ?... ვიცოდე მაინც,
რას ვაკეთებ...“

გაურკვევლობა ხანდახან გულში ეტყისაც
აჩენდა და კოტესადმი ნდობას უკარგავდა:

ვისია ეს ამდენი საქონელი? საიდან მოუდით ან სად მიუდით? ან ეს ამდენი უცხო ხალხი... ვინ არიან, რა არიან? მაგრამ ზეღწასაჰქონდა რომ ვერაფერს შეეძლო, ვეჭვი მალევე უქრებოდა. კოტეს თავი ისე ჭიჩირა, თითქოს თვითონ ოდნავაც არ აინტერესებდა, რა ხდებოდა, თითქოს მეგობრებს, ამხანაგებს ხათრს ვერ უტეხდა და იძულებული იყო, მისმარებოდა. ნოსრეგანსაც მათი ხათრის გამო აწუხებდა. გარდა ამისა, კოტესადმი ეტუხ ამასწინანდელი ამბავიც აქარწყლებდა, მას შემდეგ, რაც მწყვერები დაეგზვდნენ, კოტე ყველს სახსლოვებს აღარ გაჰკარებია, მარტო მეურმეები ამოჰყავდა და ჩაღვებამი შეელოდა. მიმდებ პუნქტამდე იოთამი ეზიდებოდა, მაგრამ წონამ არა თუ მოინატა, ხანდახან უფრო ნაკლებიც გამოდიოდა. იქნებ აქაც ახვეე უბრალოა ძია კოტე და საეჭვოდ მხოლოდ ჩემივე სულმოკლეობის გამო მჭვინება? — ჰკითხავდა თავის თავს და დარცხვენილი გულში ბეჯითად დაასკვნიდა: არა, არა, ძია კოტე მართალია, უყვარს ახლომეღისათვის დახმარება, ხელის გამართვა... და რა ქნას. უბედურება მარტო ის არის, რომ მთელი გასაჭირი ჩემს კისერზე გადადის. მორგაკვენ წარამარა თხუთმეტ, ოც სულს. და — აბა, ნოსრეგან, გაიჭვიცი, მშაკაცია, მეგობარია, ნათლიმამაა, საჭირო კაცია, გამოგვადგება... მოხმარე, გაურკვე, ჩააბარე... დამარბენინებს აღმა-დაღმა ბრიგადირის ცხენივით...

— ნოსრეგან! ჰე-ჰეი, ნოსრეგან!

კოტეს ხმა ცინცვროის მხრიდან გაისმა. ცხელი დღე იყო და ნოსრეგანს ნახირი გორს ქვემოთ ტყეში, როგორც მწყვერები ამოიბნენ, „სადგომში“ ჰყავდა შერკვილი, თვითონაც ხის ძირას, ჩრდილში იწვა. ძახილზე წამოიწია, გაეცინა, სწორედ ამის ფიქრში რომ მოუსწრო, და ხმამალა ჩაილაპარაკა:

— აბა, ავე. სულის მოთქმას არ მაცდის. ალბათ რომელიმე ძმაკაცი მოუვიდა:

ძახილი კიდევ გამეორდა:

— ნოსრეგან ბიჭო! ნოსრეგანა!

— ან ნათლინამა იქნება, — დაუმატა ნოსრეგანმა და წამოდგა, — აქა ვარ, აქა,

ნოსრეგანს
მოედივარ! — თოფი აიღო, ნახევრად ქრულად
ლი დატოვა და ტყიდან ცოტა არ იყოს, უწადინოდ გამოვიდა; ტყე-ღრეში გაუთავებელი ხირბილი მართლაც მობეჭრდა.

კოტე დონჯემოყრილი იდგა, სურჯინაკიდებული ცხენი ქვევით, გზისპირა რცხილასე გამოგება, თვითონ სერზე გამოსულიყო. ნოსრეგანი შორიახლო ჩამოდგა და მხედრული წესით მიესალმა:

— გოსმენთ, ძია კოტე!

— ისევე შენ უნდა მიშველო, ბიჭო, — პირდაპირ დაიწყო კოტემ, — აქ ყვევარი კამეჩი მყავს, ავე ქვევით, ღიჭიანი ტაფობი რომ არის, იქ აბიან. წამო, ბარემ დაგანახვებ, — სერი-სერ გაატარა, შერე მარცხნივ გადაუხვია და გორებსშუა, ერთ ვიწრო, დაბურულ ღრანტეში ჩაახვდა, — ავე ხედავ?

— კი...

მშვიერი, ფერდებჩამოყრილი კამეჩები სქელი თოკებით მოკლედ იყვნენ ხეებსე მიბმული და დუნედ იცოხნებოდნენ.

— ბა, როგორი ყოყინებია? რაღა ბუღდოხერი და რაღა ესენი!

— ვისია? — გულუბრყვილოდ იკითხა ნოსრეგანმა, რაკი კოტემ ამჯერად არც მეგობარი ახსენა და არც ნათლია-ნათლინამა.

— ჩემი, ბიჭო, ვისი უნდა იყოს? — განგებ შედმეტად უბრალოდ უთხრა კოტემ და თან ფარულად დააშტერდა, აბა, თუ ხედე-ბა რასმეს, ანდა, ჩემსე რა აზრისააო.

— თქვენი?! — გულწრფელად გაიოცა ნოსრეგანმა და გაფართოებული თვალებით შეხედა, — საიდან?

„ჰმ, ტყემალსე ზის“, — ჩაიღინა კოტემ გუნებაში და „გამოცდა რომ ბოლომდე მიეყვანა, კვლავ ჭარბი სერიოზულობით უთხრა:

— რა ვიკვირს, ბიჭო, კაცი მთაში იყოს, ნახირში იყოს და საქონელიც აღარ ჰყავდეს? — თვალი ჩაუკრა და ვითომ საიდუმლოდ გაანდო, — მალე შენც ტყეოლება, მე გამოვინებ.

— კარგიო, ერთი, — უგმაყოფილოდ შეიტყუხნა ნოსრეგანი.

კოტემ ხმამალა გადაიხარხარა და მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა:

— გესურვ, ბიჭო არ გეწყინოს, ვაგვიწყ-

რა ღმერთი! მე კამეჩები ვინ მომცა, ან რად წინდა. ესენი ერთმა ძველმა ძმაკაცმა მომიტრეკა, და მთხოვა, როგორმე ერთ-ორ კვირას შემინახო. რა გეჭნა, ასეთ მცირე რამეზე კაცისთვის უარი როგორ მეთქვა? მაგრამ აჰ, ფერმაში, ესე იგი, ძროხაში, ამათი ყოლა არ შეიძლება. აჰ ერთი მეგობარი ხევსური შემპირდა, მე შევინახავო. გამწვევი საქონელია და ცოტას ალბათ წაამუშავებს კიდევ, ხელს მოინაცვლებს. ჰოდა აი...

— გაგურჯლო, არა?

— ჰო.

— ახლავე, თუ ხაღარომდე შევიცადო?

— არა, არა, ახლავე. გუშინს აქეთ არაფერი უჭამათ და...

— ხბოები? ისევ გალავანში დავამწვევდიო?

— რა თქმა უნდა, — გაიცინა კოტემ, — აბა, ხხვაგან ხად?

— ცოდოა, ძია კოტე... თითქმის ყოველდღე... დაწყდნენ მშვიერები.

— რა ცოდოა, ბიჭო, რომელი მეწველი საქონელი ვგენი მყვანან. ერთი-ორი საათით, ამ სიციხეში, სასარგებლოც კია, დაიხვეწებუნ და... მადაზეც მოვლენ.

— წონაში რომ აკლდებათ და გვემას ვედარ შევასრულებთ?

— ოხ, ოხ, ოხ, — კოტეს სახე უსიამოდ ნოვლირცა, — გეგმა, წონა, შესორცება! — გაიმეორა ღრუნით, — ვიცი, ვინც ჩაგძახის მაგ ლათაიებს, ვიცი, მაგრამ... ხომ არ გონია, რომ ის ღრძო ბებერი ყველაფერს მართალს ამბობს? ან რად გინდა ისეთი სიმაართლე, რომელიც შენვე დაგაზარალებს? გეგმის შესრულებას რა უნდა, ბიჭო, მაგრამ საზგალითზეც ხომ უნდა იფიქრო? კი, კარგია: სახელი, ქება-დიდება... გაზეთი, რადიო, პრემიასაც მოგცემენ, ჩაგრამ მერე? იცი, რას გიზამენ? — უცხად ხმას დაუწია და ჩამარცვლით თქვა, — მეორე წელიწადს ერთ იმდენს კიდევ დაგიმატებენ და თუ რამ ირვე, ცხვირში ძმრად წამოგაღუნენ. მაამ! შენ ჩვენს რაიონს არ იცნობ, არ იცი, იქ რა ხალხი სხედს, ოღონდ თავი რამით გამოიჩინონ, თავი მოიწონონ და... შენ თუ გინდა, სული ამოგზდეს. ჰო, აი, როგორ არის საქმე, და გე კოვაკი კი — გეგმა, შე-

ხორცება, სულადობა... რა, ახლა... თავის გამორჩენა და პრემიები? აქამდე ხად იყო? უგ რომ კაი კაცი იყოს, წლობით ციხეში კი არ იკლდებოდა. ჰოდა, დაეხსენ, არ გინდა, მე დამიჯერე: საქმე ისე უნდა გააკეთო, გაიგე? ყულფეში უნდა გააძვრინო, რომ... — წუთით დაყოვნდა და ისევ ჩამარცვლით თქვა, — რომ... გეგმაც გამოაჩინო, არც თვითონ დაზარალებ და სამერმისო გზა-საგალიც სწორად გათვალსაზიანებულა გქონდეს. დიას, დიას, ჰო! ზომიერება ყველგან და ყველაფერში — აი, ეს არის!

ნოსრვევანს ხბოების ტყვიდან გამორეკავაში კოტემაც უშველა, გალავანში შერეკვისას გადათვალეს კიდევ. მერე ისევ ქვევით, გზის გამყოლ სერზე ჩავიდნენ.

— ასე, ზვე-ზევ, ძველი ნაბილიკარი რომ გადის, იცი? — ჰკითხა კოტემ.

— მინახავს.

— იმ გზით გარეკე, უფრო მოკლეა და მარჯვეც არის.

— კარგი!

— მოიცა. გზა არ დაგებნეს: ჯერ სულ პირდაპირ ივლის, მერე, მარჯვნივ გაურვევს, სერს გადაივლის და ზედ სათიბების დასაწყისთან, ერთ პატარა ვაკე ტაფობში გაგიყვანს, ის ხევსური სწორედ იქ დაგზვდება.

ნოსრვევანმა თავი დაუქნია და წასვლა დააპირა.

— მოიცა, — კოტემ პიჯაკის უბის ჯიბიდან საგულდაგულოდ დაწებებული ლურჯაფურის, უმარჯო და უმისამართო კონვერტი აწოილო. — აი, ესეც მიეცი, ის პასუხს გამოგატანს და მე მომიტანე.

— კარგი!

— მოიცა, — ერთხელ კიდევ შეაჩერა კოტემ, — ვინიცობაა, ვინმე შეგხედეს და გკითხოს... კოლმეურნეობისაა, ფერმაში მასალის მოსაზიდად ამოვრეკეთ და ისევ სოფელში მიმიდის-თქო. მუშა საქონელია და... ხომ იცი, ვინმემ სხვა არა იფიქროს რა.

სოფლის ხსენებაზე ნოსრვევანს კოტეს მრავალგზის დანაპირები მოაგონდა.

— სოფელშიც წახვალ, — უთხრა კოტემ, — ხომ გითხარი, გაგიშვებ-მეთქი.

— თქმით კი მითხარით, მაგრამ... ბევრ-
ჯერაც მითხარით...

— კარგი ახლა, წუწუნს და საყვედურს,
ნუ დამიწყებ. რა დედის ნახვა აგიტყდა,
ძუძუთა ბაღლი ხარ, თუ გასათხოვარი გო-
გო. ამბავი მომაქვს, იცი, რომ კარგად
არის...

— მარტო დედის სანახავად კი არ მივ-
დივარ, სოფლის ნახვაც მინდა — რა ხდე-
ბა, რა ამბავია?

— რა უნდა ხდებოდეს, გუშინწინ კოლ-
მეურნეობამ სახურავი გაანაწილა, შიფერის
სახურავი. შენთვის ასი კვადრატული გადა-
ვადებიანე თავმჯდომარეს. სახლის ამუშავება
ხომ გინდა?

— კი, რა თქმა უნდა.

— პოდა, შენი წილი იქ აწყვია, საწყობ-
ში, ხელს ვერაუინ ახლებს. ახლა ხე-ტყის
ნასალას მოიტანენ და ერთ თხუთმეტ-ოც
კუბომეტრს იმასაც გამოვაცოფინებ. ქვა
და ქვიშა იქ არის და... აი, ეს ხდება. ცო-
ტას ხულს მოვითქვამ და თვითონაც გაგი-
შვებ. აბა მეტი რა გინდა?

ნოსრევანს იმ წუთში მეტი მართლაც
ალარაფერი უნდოდა. ჯარიდან დაბრუნების
პირველი დღიდანვე სულ ახალი სახლის
ამუშავებაზე ოცნებობდა, მაგრამ არ იცოდა,
რა გაგვეთებინა, როგორ მისდგომოდა საქ-
მეს ან რით დაეწყო. კოტეს კი აი, თითქმის
მოუთავებია კიდევ. ამით გახარებულმა ჯა-
გნარიანი დაღმართი მსუბუქი ხტუნვით ჩა-
ირბინა, კამეზები აუშვა და კოტეს ნაჩ-
ვენები გზით გაირეკა. ხანამ თვალს არ მი-
ეფარა, კოტეც სერზე იდგა, მერე ნელა შე-
მობრუნდა და უსოშო კმაყოფილებით ხაზ-
გაბადრულმა გაიფიქრა:

„ძალიან ბიჭი გამომადგა. ეს რომ არ
მყავდეს, — რა ვიცი... რასაც ეს დარბის,
დახტის, მიწოდის, ამდენს ალბათ... არა,
სხვა არ იზამდა, არავინ არ იზამდა...“

ფიქრი ცხენის ჭიხვინმა შეაწყვეტინა.

— ოჰ, ბარგიანი ცხენი სულ დამავიწყ-
და, გაგიწყნარა ღმერთი! — წამოიძახა ხმა-
მალლა და ნაბიჯს მოუჩქარა, — მოვდი-
ვარ, ქურანო, მოვდივარ!

მარტოობასა და მოწყენაში გულს უკრძანებდა
ალხენს და აცოცხლებს ისევ და ისევ ციხე-
გორი. რას იტყვი, რომ აქედან არ ჩანდეს:
სართიქალის ახლად აწვერილი ჭაბურღი-
ლები გინდა, თუ გარეჯის უდაბნოს თავგა-
პარსული, მონაცრისფრო ბორცვაკები, —
ნამადავითის ლავრა, ქართული სარწმუნო-
ებისა და მწიგნობრობის დიდი ლამპარი,
რომლის შუქი დღესაც არ ჩამქრალა. ან
ლურჯმწვანე ნაოჭებად დატალღული თრი-
ალეთის ქედი, მარცხნივ გერგეტის მთა,
მყინვარწყვრი და ათასი უსახელო ნაქერა-
ლი, ჭიუხი, ბორბალო, მთაწმინდა და ველ-
კეთილი. მაგრამ როცა მზე ცოტას შეიმად-
ლებს და დალის მსუბუქი არილი აიკრიფე-
ბა, ყველაზე კარგად მაინც ალაზნის ველი
მოჩანს, წითელი სიტურფით მოჩანს ხოლ-
მე და ნოსრევანსაც მზერა უფრო იქით გა-
ურბის.

სბოები ვაკეში ძოვენ, ან დაფერდებაზე
შემოეფინებიან, ძალიც სადღაც იქვე
წვეს და ნახირს დარაჯობს, თვითონ გო-
რის ქვედა კიდურზე, გალანის ჩრდილში
ჩამოჯდება, იდაყვებს მუხლებზე დააბჯენს,
სახეს ხელისგულებში მოიქცევს და საათო-
ბით თვალმოუშორებლად გადაკურებს ნა-
მჯა-ნაწვერალის რუხ-ყვითელ ფერში ათა-
მთამებულ მინდორს, რომელსაც ცოტახნი
წინანდელი მწვანე ფერი აქა-იქ სწორკუთხა
კვადრატებადლა შემორჩენია, ეს შაბიამ-
ნით დაფერილი ვენახებია... ლილიც ვე-
ნახში მუშაობს...

ფიქრი თანდათან გაუღრმავდება და თა-
ვისდაუნებურად ხმამალლა ალაპარაკდე-
ბა:

— ვინ იცის, ნაწყენიც არის? რა თქმა
უნდა, იქნება... ჩემისთანა უწილ და უგერ-
გილო ალბათ ბევრი არ მოიძებნება. აგე
ორი თვე მიიწურა და... პო, პაპა ქორიასი
არ იყოს, თავისმართლება ადვილია, მაგრამ
თავისმართლება განა საქმესაც ყოველთვის
ამართლებს? ეს, ძია კოტეს რა ვუთხრა, თო-
რემ... მაინც რა უცნაური კაცია, სულ მიდი-
მოდის, მოძრაობს, არც დალლა იცის, არც
დასვენება და სხვისგანაც არსევე მოით-
ხოვს, ყველაფერს როგორღაც უდამეტად

გაგიიოლებს და ათასიც არ გინდოდეს, უარს ვუღარ ვტყვი... დრო კი გადის... დღეს, ხვალ, ზევ და... გადის.

ნოსრევანი რომ ამას ამბობდა, გალანის იქიდან ერთი ტანდაბალი კაცი გამოჩნდა, შავრგვრემანი კაცი იყო, შეუხედავი და უცხვირპირი. შავი, მუწური შარვალ-ხალათი ეცვა, თავზე თუშური ქუდი ეხურა და დამრგვალებული, უფორმო მხარ-კისერი ცეცხლში გატუსულ მუხის ჯირკს მიუგავდა. შარვალი თეთრ წინდებში ჩაეტანებინა, ხელში სივრცით გავეცილი ნაბადი ეჭირა. თავიდან ფეხებამდე რაღაც ტყიურ არსებას ჰგავდა და ამ ლამაზ გარემოში მგტისნეტად უნმო და უკმაჯური მოჩანდა. სწორედ ტყიურის სიმსუბუქით გამოითარა აფრილ შამბსა და გალანის შედუღაბებულ ნამუსრველებზე, უცხად გორის ძირას დაფუნცული ძაღლი დაინახა, თავი თითქოს მხრებში ჩაიძვრინა და მოღუნული უკანვე გაბრუნდა, გალანის მეორე მხრიდან მოუარა და ისე გატერა გუდლის ძირიბაზე და ამოუდგა ნოსრევანს შურგიდან, რომ ფოთლის ერთი ჩქაწიც არ დაურხვეია.

— რას წუწუნებ, ბიჭო, დედაბერივით?!
— დაუყვირა უცხად ხმამაღლა.

ნოსრევანი გულხეტქებით წამოვარდა და თოფი ჩაბლუჯა.

— რა გინდა, კაცო, ვინა ხარ?

— შეფშინდა? — კაცმა დადრკვით ჩაიციინა და ჩაწიკწიკებული ოქროს კბილები გამოაჩინა.

— შემეშინდა, აბა, გული გამისკდა!

კაცი ორმოცდაათ წლისაზე ნაკლები არ იქნებოდა, მაგრამ არც მოკლედ გაკრეჭილ კუბრით შავ თმასა და არც გასაპასად მისულ წვერ-ულავაში ჯერ არცერთი ჭბაღრა არ ერია. ჭედა ყბა ბულდოგივით ჩიმედ ქონდა ჩამოკიდებული, მომწვანო, მოწითალო თვალებს დამცინავად ქუტავდა და ნოსრევანს თავით-ფეხებამდე ათუალიერებდა, მერე მსხვილი წარბებიც მოტმუნსა და თავის გაკვრით სბოებზე ანიშნა:

— ვისი ფერმაა?

— ჩვენია, ვისი უნდა იყოს.

— თქვენია კია, მაგრამ... რა ჰქვია, საღაურია?

— „რქაწითლისაა“, რა გინდა? — გამგე ვინა გყავთ?

— გამგე კოტეა, ღონისაშვილი. შენ თვითონ ვინა ხარ, რა გინდა?

ნოსრევანს ის ნაუცბათევი შემინება ვერ მოეწელებინა, სირცხვილი რომ დაეფარა და სამაგიეროც მიეწლო, კაცს უხეზად და გამოწვევად ელაპარაკებოდა. კაცი ამას ყურადღებას არ აქცევდა და ისევ აგდებულად ამტერდებოდა.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, — უთხრა და ნაბადი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა, — ფერმა რქაწითლისაა, გამგე კოტე ღონისაშვილია, შენ ვილა ხარ?

— ვინ უნდა ვიყო, ვერა ხედავ, მწყემსი ვარ!

— სახელი არა გაქვს ან გვარი, მწყემსი, რა, გენერალი ხარ?

— ნოსრევანი შევია.

— ჰო, აი ახლა გასაკვება, — ვითომ მოუწონა კაცმა, ჩაახველა და გვერდიდან ცბიერად გამოხედა, — მაგრამ აი, საქონელს ხანდახან უპატრონოდ რომ ტოვებ, ვერა რაღა?

— როდის... როდის დავტოვე უპატრონოდ: — შეერთა ნოსრევანი.

— როდის და მაშინ! დაგავიწყდა? ნახირი გალანისში რომ გვავდა გამოკეტილი და თვითონ კი ტყე-ტყე კამჩებს მიერეკებოდი, ვიქო იყო ან ხად მიგიდიოდა?

— ვისი უნდა ყოფილიყო? ჩვენი იყო, კოლმეურნეობისა... და სოფელში ჩავრეკე.

— ჰოო, — თქვა კაცმა გაგრძელებულად და უკვე საქმიან კილოზე ჰკითხა — ხად არის შენი ფერმის გამგე, აქ ბრძანდება, თუ სოფელშია წასული?

— სოფელშია.

— როდის დაბრუნდება?

— არ ვიცი, არ უთქვამს.

— ყოჩაღ! შენ თურნე ტყუილად არ გაქვბა კოტე.

ნოსრევანმა ვერ გაიგო, რას უწონებდა კაცი, ან კოტეს რა ქებაზე ელაპარაკებოდა და ეჭვით შეხედა. კაცმა ნაბადი ძირს დადო, ხალათის შიგნით ხელი ღრმად ჩაიყო და საიდანღაც იღლის ქვეშიდან მუყაოს

ქალღმერთი შეხვეული და ზონარგადაჭერი-
ლი შეკრულა ამოიღო.

— აჰა, — გაუწოდა ნოსრევანს, — და
ამოვა თუ არა, გადაეცე.

— რა ვუთხრა, ვინ დამიტოვაო?

— თვითონ იცის. ოღონდ ბაზარი არ გა-
მართო, ცალკე მიეცი, მარტოს, გაიგე?

ნოსრევანმა თავი დაუქნია.

— ან არ დაკარგო.

— არა, როგორ დაკარგავ, — ნოსრევა-
ნმა ფუთა შარვლის ჯიბეში ჩაიღო. ჯიბე
უწნოდ გამოიჭერა.

— ვგრე არა, კარგად შეინახე.

— აგე, ჩანთაში ჩაედებ.

— ჰო, იქ ჩადე. და უთხარი, — განაგრ-
ძო იმავე საქმიან და თითქმის მზრძანებლურ
კილოზეც, — საქმე დროზე ტენი-თქო, გაი-
გე? არ დააგვიანო-თქო.

ნოსრევანმა ისევ თავი დაუქნია.

— თავს კი ნუ იქნევ, რო გვეითებები, მი-
ბასუხე, — დატუქა კაცმა.

— გავიგე, ჰო, — ხმას აუწია ნოსრევა-
ნმაც, — რა დიდი გავება ამას უნდა.

— ჰო, და... ვგრე! — მოკლედ მოსტრა
კაცმა, და ნოსრევანს ერთხელ კიდევ გამო-
მცდელად ახედ-დახედა. შერე ნელა დიხსა-
რა, ნაბადი მხარზე გადაიკიდა, გალავანს
ისევ უკანა მხრიდან მოუარა და ტყუზე თავ-
ქვე დაეშვა.

ნოსრევანმა გაჯავრებული მზერა გააყო-
ლა. — ჰმ, ამისი მზრძანებლობადა მეკლ-
და, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ვინ
იხერია, თითქოს იმადღებდა კიდევ. — შერე
ფუთას დახედა, სიდიდის კვალობაზე იგი
საკმაოდ მძიმე იყო, — ნეტა, ეს მაინც
რა ეშმაკი დამიტოვა? ცალკე მიეციო, ვი-
თომ რა ისეთი საიდუმლო უნდა იყოს?

იქნებ ფულია? მოდი, ენახე, შემოეხსნი ბა-
წარს და ისევე შენივასვე, — შეკრულა
ერთხელ კიდევ შეატრიალა ხელში და ბა-
წარს გასკვნილი წვერი უპოვა, მაგრამ გახ-
სნა ველარ გახედა, ვერ იკადრა, — სხვისა
კუთვნილებისა და ანაბარის საიდუმლოდ
ჩხრეკა ეუბურხულა. — რაც არის, არის, რა
ჩემი საქმეა, — თქვა ბოლოს და ამანათი
საგზლის ჩანთაში ჩადო.

მზემ აიწია და ჩამოცხა. ხბოები გორის
ჩრდილო მხარეს გადმოქუნიდნენ, ნოსრევან-
მაც ქვევით გადაინაცვლა, ტყის პირას,
ჩრდილში ჩამოუჯდა. ნიავეი არ ქროდა და
ტყეს მხოლოდ ველისკენ წამოზრდილი გა-
რე ტოტები ერხეოდა, შიგნით კი ჩვეულებ-
რივ ხნაურობდა — შარიშურობდა, სტვენ-
და, ბზუოდა, ტიკტიკებდა.

იმ უცხო კაცის მოსვლამ და მისმა უხე-
შმა, როყის საუბარმა ნოსრევანს გუნება წა-
უხდინა. უკულოდ წაიხეხა პური, და რა-
კი დღეს თან წიგნი არ ჰქონდა, თავის შექ-
ცევა და ჯაერის გაქარვება ისევ ხატვით
სცადა. ამოიღო კიდევ სახატავი ალბომი
ჩანთიდან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც
არ იცოდა. მთელი ეს ადგილები — ეს
ტყე, კენტად მღვარი ხეები, ბურქები, თვი-
თონ ციხეფორი და გარს შემოჯარული, ერ-
თმანეთზე უწყსრიგოდ მიყრილი ქედები უთ-
ვალაგჯერ ჰქონდა დახატული და ახალს
ველარაფერს შემატებდა.

„მოდი, მწყემსებს დაეხატე“. — გაი-
ფიქრა უკებ, ბურქის ძირას გადაჯდა, სა-
დაც უფრო ხშირი ჩრდილი იყო, და ალბო-
მი მუხლზე გაიფინა.

ხატვა უხუცები მწყემსით დაიწყო და
სურათი კარგიც გამოუვიდა: ბოსელი, ბაკე-
ბი, ბოსლის ზემოთ მღვარი დიდი წიფლის
ხე, უფრო ზევით მკერდშიშველი მთა და წათ
ფონზე პაპა ქორია — კოცონის პირას ჯი-
რკზე ჩამომჯდარი პირდაპირ იყურებოდა,
სწორედ ისე, როგორც გაჯავრებისას სჩვე-
ოდა ხოლმე, როცა კოტეს ან მწყემსებს გა-
მათებოდა — იგივე წამოჩარდებული წარ-
ბები, კუთხიანი ყვრიმალეები და დიდრო-
ნი, შუქიანი და უტყვად გამოშჩირალი თვა-
ლები. ასევე კარგი გამოუვიდა იოთამის სუ-
რათიც, მისი დახატვა გაშარებულად ამ-
ჯობინა და ძალიანაც მოუხდა — ხასიათს
უკეთ გამოხატავდა. იოთამი მწყემსებსა და
კოტეს შორის მუდამ შუა, უსაფრთხო ად-
გილს ირჩევდა: კოტესი ემინოდა, ხოლო
მწყემსებთან დაპირისპირებას ერიდებოდა
და სულ იმის ცდაში იყო, ან ერთი მხრი-
დან არაფერი ვნებოდა ან მეორე მხრიდან.
ნახატზე სწორედ ეს წხარე იყო წინ წამო-

წველი — თავი მხრებში ჰქონდა ჩაძვრენი-
ლი და ცეცია თვალები აქეთ-იქით გაურ-
ბოდა. თედოსი, ჩოფურისა და ილოს და-
ხატვას ბევრი არაფერი უნდოდა, განსაკუ-
თრებული რაიმე არც ერთს არაფერი გააჩ-
ნდა, სამივენი წვეთი წყალივით ჰგავდნენ
ერთმანეთს და ეს მსგავსება — სანთლის
ნამწვავივით ჩამოღვევითილი სახეები და
ყველაფრისადმი მშვიდი, აუღელვებელი გა-
მომტყვევლება — სურათებზეც კარგად ემჩ-
ნეოდათ. მაგრამ აი კოტეს დახატვა კი გა-
უჭირდა. როგორ არ სცადა, რა კუთხე და
წდგომარეობა აღარ მოუნახა — პროფილ-
შიც მოსინჯა, პირდაპირაც, მაგრამ ძირი-
თადი, დამახასიათებელი შტრიხი ვერა და
ვერ მოუნახა.

დახატავდა სურათს, ალბომს განზე გა-
სწევდა და დააკვირდებოდა. თითქოს ყვე-
ლაფერი რიგზე იყო — იგივე ლამაზი თვალ-
წარბი, მაღალ შუბლზე ჩამოშლილი, ხვეუ-
ლი თმის ფერნაცვალი კულულები, სწორი,
ჯიშინი ცხვირი, კოსტად წვეწვამახვეული
ულვაში, მსხვილი ტუჩები და მრგვალი ნი-
კაპი, ყველაფრით სრული და მთლიანი იყო,
მაგრამ მაინც აკლდა რაღაც, რაღაც ძალი-
ან მცირე და აუცილებელი, რომელიც არღ-
ვევდა ფორმისა და შინაარსის მთლიანობას
და შთაბეჭდილებასაც ანელებდა.

სურათი ჯვარედინად გადახაზა და ახალი
სუფთა გვერდი გადმოფურცლა. ერთხელ
კიდევ ცხადლივ წარმოიდგინა კოტეს სახე
— ყველა ნაკვთი, გამოხედვა, ღიმილი, შუ-
ბლმუკერა. გაიხსენა ისიც, ამას წინათ დე-
რეფნის წინ გაჯავრებული რომ მიმოდიო-
და, წერე თვითონვე რომ დაწყენარდა, გამ-
ხიარულდა და სიმღერაც კი შემოსძახა, და
ის იყო, მოხაზა კი სახის ოვალი, რომ ძალ-
ღმაც დაიფეფა, იმავე წამს შურგიდან ცხე-
ნის ფეხის ხმა და ფრტუნიც გაისმა. ნომ-
რევანმა გვერდი მოინაცვლა და ტოტემ-
ქვეშიდან გაიხედა.

— ძია კოტე და... თავმჯდომარე! — ჩა-
ილაპარაკა ნელა, — თავმჯდომარეს რაღა
უნდა აქ?

ძალღმაც იცნო კოტე და გაჩუმიდა. თავმ-
ჯდომარე წაბლა ცხენზე აჯდა და ოდნავ
წინ მოდიოდა, კოტე თავისი თუთრი ცხენით

უკან მოჰყვებოდა. უბრად მთელსაღმერთს
ძირსდახრილ ტოტემშორის ხან გამოჩნდ-
ბოდნენ, ხან მიიმალებოდნენ.

სანამ ნომრევანი ნახატ ფურცლებს წა-
მოკრეფდა და ალბომსა და ფანქრებს ჩან-
თაში მიმაღავდა, კოტემ და არჩილმაც მო-
ასწრეს ტყვიდან განოსვლა. ნომრევანმა ჩან-
თა ბუნქის ძირას ნიდო და თვითონაც იქ-
ვე ჩაცუცქადა — თავმჯდომარესთან თავი-
სით გამოჩენა ეუბერსულა და დაძახებას
დაელოდა. მაგრამ მათ ნომრევანისთვის არ
დაუძახიათ. იქვე, პატარა ბორცვაკზე ცხე-
ნებიდან ჩამოსდნენ და ფერდობზე შეფე-
ნილ ნახირს გადახედეს. ქუდი არც თავმჯ-
დომარეს ეხურა და ჩაცმითაც საველოდ ეც-
ვა — ნაცრისფერი შარვალ-ხალათი და ქი-
რზის შავი ჩექმები. სწორი, შავი თმა ყუ-
რებზე ჰქონდა ჩამოშლილი. შარვლის ჯი-
ბიდან ოთხად გაკეცილი ცხვირსახოცი ამო-
ილო, შუბლზე გადაისვა და თავის ნელი და-
ქნევით თქვა:

— მდაა... კარგია, ძალიან კარგია... ხაკ-
ნაოდ წაუმატიათ, დაზრდილან.

— როგორ არ წაიმატებდნენ, ზედა ვარ
გადაყოლილი, — თავი მოიწონა კოტემ და
თავმჯდომარეს მხრიდან რაღაც უჩინარი
გადააცალა.

კოტე და არჩილი ბუნქიდან ასე ორმოც-
სამოცი ნაბიჯით თუ იქნებოდნენ დაშორე-
ბული. ნომრევანი ტოტემშორის დარჩენილი
ჭურჭუტანებიდან სახეებსაც კარგად ხე-
დავდა და ლაპარაკიც სიტყვა-სიტყვით ეს-
მოდა. თავმჯდომარემ ცხვირსახოცი ისევ
ჯიბში ჩაიღო, ხბოებს ერთხანს უსიტყვოდ
უყურა, მერე ცალი წარბი აზიდა, თავი
ოდნავ გვერდზე გადახარა და გაგრძელე-
ბულად, ტკეპნით თქვა:

— შემოდგომამდე, ალბათ... ასორმოცდა-
ათი... თრასკელიოიანები მაინც დახდე-
ბიან?!

— კი, კი, ნამდვილად, — კვერი დაუკ-
რა კოტემ.

— იქნება ყველა ვერა, მაგრამ... — იმავე
საგარდო კილოზე განავრძო თავმჯდომარემ
და კოტემაც კვლავ მოკლედ შეაგება:

— ყველა ვერა, რა თქმა უნდა.

— უმეტესობა — კი.

— უმეტესობა ნამდვილად.
 — აგე, მაგალითად, ხის ძირას რომ დგანან.

— ჰო, რომ დგანან...
 — და კიდევ, აქეთ ნაპირში რომ ძოვენ...
 — კი, რომ ძოვენ, ისინიც.
 — მოკლილი საქონელია, — თქვა თავმჯდომარემ წამიერი დუმილის შემდეგ და კოტეს შეხედა, ჩანს კარგი მწყემსი გყავს, ეტყობა, აი, საქმეს ეტყობა.

— არა, მწყემსს არ ვემდური, ერთგული და მუყაითი ბიჭია. მაგრამ ჯერ ბაღლია და...

— ეგ რომელი, წელს რომ მივიღეთ? ჯარიდან რომ დაბრუნდა?

— კი, ის არის... მაგრამ გამოცდილება აკლია, საქმე ჯერ არ იცის, ამას წინებზე ყინვამ რომ წამოჰკრა, ხბოები დაუცივდა. ხბო, შენც იცი, ბავშვივით არის, სათუთია...

— კოტემ ნერწყვი გადაყლაბა, ფეხი მოინაცვლა და ჭარბი დამაჯერებლობით განაგრძო, — ჰოდა, დაუცივდა... აბა, აქეთ ვეცი, იქით გავჯარდი... რაიონში წამალი არ აღმოჩნდა და თბილისში მომიხდა წასვლა, ორჯერ შედიხედ წავედი. განა არ იცი, იქაც თუ არაფერი დაანახვე... და სულ საკუთარი ხარჯით კი. კოლნეურნეობიდან, შენც იცი, გროში არ გამიტანია — სადღა იყო გაწერა-გამოწერის დრო, ფერმა მელუბეობდა, მე კი საქმის ღალატი არ შემოძლია. ჰოდა... დავლუბე ოჯახი, დავაქციე, ორმოც თუმანამდე დამხარჯა.

— დაგეხარჯა და გადაგზიდი, — თამამად და ერთგვარი წატრახებებითაც კი უთხრა თავმჯდომარემ, — შენი ოჯახი რა შუაშია? ან რა სჭირს კოლმეურნეობას სხვათა სამადლო? კმ. ეგდა მაკლია! ორმოცი კი არა, თუნდ სამოციც იყოს, წარმოადგინე ანგარიშები და გავინაღებ, დღეებზე გავგინაღებ.

— ანგარიშებს კი წარმოვადგენ, მაგრამ...

— ნიგრამ რა? ანგარიშს წინ რა უდგას?

— საქმეც ეგ არის, რომ... ანგარიში სხვა და ფაქტი სხვა. განა არ იცი, რა დროა, ყველა მარცხენა ხელში გიყურებს და თუ

არაფერი... სოლო თუ გაჭირვებულნი ვართ, მტრისას, სამსაგ ტყავს გაგაძრობენ. მე კი ისე მიჭირდა, რომ...

— არც მაგაზე დავიხვე უკან, — შეაწყვეტინა თავმჯდომარემ და თავმოწონება უკვე ამკარად დაეტყო, — შენ თვითონ შეადგინე ხარჯთაღრიცხვა, დაწერე მიღების აქტი, მოაწერინე ხელი ბრიგადირს, ერთ-ორ მწყემსსა და ჩამომიტანე, აი ასე ქენი.

კოტეს სახე გაებადრა:
 — მადლობელი, ჩემი არჩილ, დიდი მადლობელი!

— მდაა, — თქვა თავმჯდომარემ კმაყოფილებით და კოტესთვის არც კი შეუხედა, ისე იკითხა, — მსხვერპლი ხომ არ ყოფილა?

კოტემ თვალები ცბიერად მიმოატარა, სახე მწუსარედ დამანჭა და ნაძალადევი რიდიითა და ენის ბორძიკით მიუგო:

— იმდენი არაფერი, ოთხი... მხოლოდ ოთხი სული დაეცა.

— ოთხი სული? — არჩილი მთელი ტანით შემობრუნდა და თვალები გადმოკარკლა, — ოთხი სული გამოწამორებული ხბო და კიდევ არაფერი? რა პირით ამბობ... როგორ, შენთვის ოთხი სული არაფერია?

— რა ვქნა, ჩემო არჩილ, რა ვქნა, — თითქმის შებღაღლა კოტემ, — განა მე კი არ მწყინს? განა ცოტა ვიჯავრე და ვივაგლახე? მაგრამ... სულ კი წამლის უქონლობის ბრალია.

— როგორ, რაიონში წამალი არ უნდა ჰქონდეთ? გადამრვეს ეს ხალხი! — არჩილმა აწქარებით გაიარ-გაწოიარა და მთელი გულისწყრომა რაიონზე გადაიტანა, — ჩაეიდე ერთი! ხვალვე ჩავალ და ვნახავ, რით იმართლებენ თავს, დამაცადონ, დედას ვუტყობ, — დააყოლა მუქარით და ისევ კოტეს შეხედა, — სხვა ხომ არაფერი მომხდარა?

კოტემ მომწვენებითი წუხილი გაიორკვია და ენასაც უფრო მოუკიდა:

— არ ვიცი, ღმერთმანი, აღარ ვიცი... თქმაც კი მიჭირს... რაღაც დანავსული წელიწადია, ჯადოა, რაღა, ჯადო... — თან

სულ ცმუკავდა, ჩიდებოდა, მოდებოდა, ცხენის სადავე რამდენჯერმე გადაინაცვლა: ხელიდან ხელში, ერთხელ ჯიბიდან „კოლხეთის“ კოლოფიც ამოიღო, მაგრამ არ გაუხსნია — ისევ ვიბეში ჩაიდო. თავმჯდომარეს მოთმინება გაუწყდა:

— პა, თქვი, რა მოხდა?

— ორი სული კიდევ ნადირმა...

— კიდევ ორი სული?!

— პო, ერთი მოშვერი, ერთი ღვეპული...

— თანაც მოშვერი და ღვეპული?! — თავმჯდომარეს თვალები შუბლზე აუბტა და უკვე წვირილით განაგრძო, — აწხანაგო, რა არის ეს, რა? გძინავთ თუ... სადა ხართ, სად ჯანდაბას ხართ? რაში გიხდით ფასს, ამხანაგო, რაში?

— რა ვქნათ, ბატონო არჩილ, მე ხბოების ავადმყოფობას ვიყავი გადაყოლილი, მწკრუსებამაც რა ქნან, ისეთი ამინდი იყო წვიმა, ბურუსი... რას ვიზამთ, ეგეც ხდება, მარტო ჩვენს თავს ხომ არ არის, აბე, „სინათლის“ ფერმას ხბოები თითქმის გაუნახვევრდა, „გუთნის“ ფერმას ნადირმა ერთი მეწველი ფურიც კი მოუკლა... ვენლას თავს არის, რა ვქნათ...

— ჩაშ ვინ უნდა ქნას? ვინ? — არ ცხრებოდა თავმჯდომარე, — შენ გამეგ ხარ თუ... ვის მოვთხოვო ექვსი სული ძროხა. ვის? გაგონილა, ეს გაგონილა? ერთ ზაფხულს ამდენი დანაკლისი! ერთი სიტყვით, მე არ ვიცი, — უცებ ხმას დაუწია თავმჯდომარემ, — აი, ჩაველ, შევკრებ გამგეობას და... დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს და ზარალიც აანაზღაუროს, მორჩა და გათავადა! პო, აი, ასე ვიზამ. — ცხენს საბელი დაუვრძელა და კოტეს ზურგი შეაკვირა.

— კოტე კარგა ხანს ჩუნად იდგა, თვალებს ბოროტად ატრიალებდა, მაგრამ ლაპარაკი ისევ თავმოკატუნებით დაიწყო:

— რა თქმა უნდა, პასუხი უნდა ვაგო, დამნაშავე არა ვარ, მაგრამ... თუ თქვენ გამიმეტებთ, გამწირავეთ... უნდა ვხდო, რა ვქნა. ეპ, ჯანდაბას... გოგოს დარდი მაქვს, თორემ... გაისად იქნებ უმადლესში მოეაწყო-მეთქი, ხელფასიდან რაღაც გროშები მაქვს გადანასული და... — ნამდენსამე

წამს ისევ გაჩუმდა, არჩილს ზურგადან დასაძახებულად დაამტერდა და ფრთხილი, შემპარავი ხმით დაუმატა, — ან იქნებ გავათხოვო-მეთქი და... სასლიდან ბოგანოსავით ხომ არ გავაგადებ.

არჩილი არ განძრეულა, არც ხმა ამოუღია, კოტეც ისევ გაჩუმდა, მაგრამ არჩილის ზურგისათვის გადარჩაებული მზერა არ მოუცილებია.

ლილის ხსენებაზე ნოსრევანი უსიამოდ შეიშრუნა — ასე ყალბ, საჩოთირო ამბავთან მისი ხსენება ძალიან უადგილოდ მოეჩვენა. რა თქმა უნდა, მან არ იცოდა, რატომ, რა განზრახვით ახსენა იგი კოტემ ასეთ შეუფერებელ დროს, რა ისარი ისროლა და ვის მოახვედრა. ეს რომ სცოდნოდა, იმასაც ადვილად მიხვდებოდა, რას ფიქრობდა კოტე იმ წუთში. მთელი მისი გარეგნობა — მშვილდით მოზიდული ტანი, მოწყურული თვალები და თავმჯდომარის ზურგს მიბჯენილი, მოლოდინად ქცეული, დაძახებული მზერა ერთს, ერთად აზრს გამოხატავდა და გულის ზრახვას თითქოს ხმამაღლა გამოთქვამდა:

„არჩილ! დაფიქრდი! საქონლის გულისათვის უკანასკნელი რვევენიც არ დაკარგავს ადამიანს, ცხოვრების მოზიარეს, თანამგზავს. შენი საკუთარი ხომ არაფერი ისარგება? თანამდებობა დღეს არის, ზვალე აღარ იქნება, საქონელიც — ასევე, ხან ზარალია, ხან მოგება. ასეთ განმს კი ყველგან და ყოველთვის ვერ იშოვი. დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი! ან რა არის ფერმისათვის ექვსი სული საქონელი? — ზღვაში წვეთია და მტეი არაფერი, ისიც არ არის, შემოდგონაზე დამნაშავეების სულადობას მიაწერ და დანაკლისი თავისთავად დაიფარება. დაფიქრდი, თორემ წახდენილ საქმეს სინანულით ვეღარ გამოასწორებ!“

არჩილი მართლაც დაფიქრდა და, როგორც ჩანდა, თვითონაც ზუსტად ასევე განსაჯა, რადგან, როცა შემობრუნდა, სახეზე წვლანდელი წყენისა და აღმფოთების ნიშანწყალიც აღარ ემჩნეოდა, გამოხედვაც დარცხვენილსა და მონანიეს უფრო უგავდა. ნოსრევანი უზომოდ გააოცა თავმჯდომარის

ასეთმა უცვარმა სახეცვლილებამ, მაგრამ მიზეზს, რა თქმა უნდა, ვერც ამჯერად მიხვდა. არჩილი კოტეს ხანგრძლივად დაამტკრდა და წყნარი, შემრიგებლური ხმით ჰკითხა:

— რა ვუყოთ... შე და შენ... ამ ექვს სულ ხატონებს, ჰა? ხბოებს კიდევ რაღაც ვშველებათ — მოზარდის სიკვდილიანობა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ აი იმ მოზარდილებს რა მოუხერხოთ? ახალი კანონი დანაკლისის ზომ იცის, რა მკაცრად სჯის. ჰოდა, რა ვქნათ?

— არ ვიცი, ბატონო არჩილ, ჩემი სული და... ერთადერთი ბავშვი შენს ხელთ არის და... თქვენ იცით, თქვენ ყველაფერი იცით, შევიძლიათ...

— აქტები გაქვს?

— აქტები? — დაიბნა უცბად კოტე, მაგრამ გონსაც უცბადვე მოეგო, — კი, კი, მაქვს, ყველა მაქვს.

— მაშ, წარმოადგინე და... ორ სულსაც შემოდგომაზე როგორმე... წვერილებს-მსხვილებს რომ გაგვარჩევთ, გადავანაწილებთ... ერთი სიტყვით, რაღაცნაირად ჩამოგაწერ... ქალიშვილის ხათრით, ახალი წვერია და ჰტივი უნდა ვცეთ. — თითი მადლა ასწია და მუჭარით დაუმატა, — ოღონდ, იყო-დე, პირველი და უკანასკნელი იქნება, უკანასკნელი! — გაიმეორა ხაზგასმით და ისე შეჟდა ცხენზე, რომ კოტემ უზანგის დაჭერაც ვერ ნოასწრო.

— დიდი მადლობელი, ძალიან დიდი! — მიაძახა კოტემ ზურგიდან და თვითონაც აღვირს მოსწია, მაგრამ მაშინვე არ შემჯდარა, გაბადრული და ღიმორღული, სივრცეში იყურებოდა და ხმადაბლა რაღაცას ბუტბუტებდა. თვალები შეოცნებე კაცივით უფრუუნებდა, ხოლო სახეზე კაპოფცელე-ბასთან ერთად უზომო გაოცება და დაბნეულობაც ემჩნეოდა.

— რა მოხდა, ჰა, როგორ მოხდა? — იკითხა მერე თავისთვის, — სრულიად განუზრახველად, უცბად, თითქოს თავისით... არა, მაინც რა ვულკანივით ამოხეთქა, ჰა? ნიაღვარივით მოვარდა? ერთ დღეში, ერთი წუთში, ექვსი სული... რამდენია ახლა ეს? სულ მცირე ასი თუმნისა ზომ არის? ახლა

ის ნაღდი ორმოცი? მასწავლებლის... ამდენს ხანდახან წლიდან წლისმდე ვერ ვიღებდი, ახლა კი აგე... — თავმჯდომარეს გახვდა, რომელიც წაბლა ცხენს უკვე ცხენგორის გასწვრივ, ვაკეში მიათხოხარიკებდა, ჰაეროვანი კონცა გაუგზავნა და ჩუმ სიცილში ჩაბვირდა. — რა არის ეს, — თქვა ჩერე ხმამაღლა, — იღბალი არ არის, მამ რა ეშმაკია? — ცხენს მსუბუქად მოახტა, — წინ, წინ კოტე ღონიაშვილო, ბედი გწყალობს! — დაიძახა და ცხენი ადგილიდანვე გაქუსლა.

* * *

ნოსრველი კარგა ხანს ადგილიდან არ გაანძრეულა. ყველაფერი, რაც ახლა ნახა და მოისმინა, იმდენად უცნაური, მოულოდნელი და შეუსაბამო რაღაც იყო, რომ კარგა ხანს გონს მოსვლა და აზრის მოკრებაც ვერ შეძლო. ბევრი რამ გაუგებარიც იყო: ღილი მაინც რატომ ასხენა ძია კოტემ, რატომ გარია ამ საჩითირო გარიგებაში? თითქოს ფარად გამოიყენა და თავმჯდომარე ამით დაიყოლია. ან თვითონ თავმჯდომარე რატომ დათანხმდა ასე უბრალოდ, უკონტროლოდ? ოდნავ მაინც არ უნდა დაეჭვებულებო?

მართლაც ძნელი იყო გარკვევა. ბუჩქსუკან უძრავად იჯდა, თავი უბრუოდა და გაოცებული და დაბნეული გულში ვინ იცის მერამდენედ იმეორებდა:

„თბიბი ხბო მოკვდაო... მოსვერი და დეკეული მგელმა შეჭამაო... თბილისში ვიყავიო, დამეხარჯათ... სად? როდის?“

თანდათან ჩოვეო გონს, ცნობიერება დაეწმინდა და თავის თავს ჰკითხა:

— რა ვქნა ახლა? გაჭეუდეთ თუ?..

მერე მწყემსებს რაღა პირით შეხედეს? ან საკუთარ თავს რა უთხრას? როდემდე ატაროს გულში სამარცხვინო სიყალბე? არა, ვერ გაჩეუდება, ახლავე შერეკავს ნახარს გაღავანაში, წამოუწვევა თავმჯდომარეს და ყველაფერს ეტყვის, ეტყვის ხმამაღლა, დაუფარავად... აი, ახლავე, ამ წუთას!

თოფი და საგზალის ჩანთა აიღო და თავივე სირბილით დაეშვა, რომ ნახირისათვის ბოლო მოეგლო და ციხე-გალავნისაკენ შე-

მოებრუნებინა, — მერე ლილი? — გაახსენდა უცბად და შედგა, — რას იტყვის ლილი? როგორ გაიგებს ამას? ან თვითონ თავმჯდომარე რას იტყვის? მოუწონებს კი? მამულადობა არავის არ მოსწონს. არა, დაცა, ასე ჰაიპარად გადაწყვეტა არ გამოდგება, — თქვა ჩურჩულით და უკანვე გამობრუნდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ისევ გაიწერდა და კვლავ ჩურჩულით განაგრძო, — ვითუ, დაყოვნება უარესი იქნეს: თავმჯდომარე წავა, ძია კოტემ კიდევ შეიძლება ეს საქონელი რომელიმე ძმაცას გაატანოს, გათამაშებულმა იქნებ სხვაც წაუმატოს და ამას კი მწყემსები არ მოითმენენ, პაპა ქორია მაინც არ მოითმენს და შეიძლება ძია კოტეს საქმე საცისხედაც გაუხდეს... და მერე ლილი? არა, არა, ისევ თქმა ჯობია, სანამ საქონელიც ადგილზეა და სხვაც არაფერი მომხდარა! ისევ ძია კოტესთვის ჯობია.

ისევ წავიდა ხმოებისაკენ, მაგრამ სანამ ბოლოსი წავიდოდა, ახალმა აზრმა ისევ უკან შემოაბრუნა; ერთიც ვნახოთ და, თავმჯდომარემ მოტყუება არ აპატიოს და საქმე პირდაპირ გამოძიებას გადასცეს. გამოძიება კი გამოუგვლევს არაფერს დატოვებს, ხოლო საკვლევი და საძებარი აქ ამას გარდაც საქმოდ ბევრია. ყველაფერს ძირის-ძირობამდე გამოიხსრეებს და მაშინ ძია კოტე ათწლიან პატიმრობას ვერ გადაურჩება. და მერე ლილი?

ამ მოსაზრებას ერთი კვირისა და საზიფათო ვეჯიც დაერთო: ხომ შეიძლება, რომ კოტემ, გულმოსულმა, ჯიბრით, თანამონაწილეობა დასწამოს და დანაშაულში ჩაითრიოს? მერე რით იმართლოს თავი? ვინ დაუჯერებს, რომ არ იცოდა რას აკეთებდა?

— ო, რა სულელი ვარ! — თქვა თავისთავზე გულმოსულმა და ფიქრიც ხმაიადღა განაგრძო, — არც ის არის საკვირველი, რომ კოტემ თავმჯდომარეც წიიმხროს და ცილისწამება დააბრალოს. განა ცოტა რამ ხდება ამისთანა? ასეთ ხალხს ადგილად ვერაფერს ვაუგებ, მით უფრო, წოდან ისე საეჭვოდ საუბრობდნენ და მორიგდნენ, რომ... ვინ იცის, იქნებ თვითონ თავმჯდომარესაც რაღაცაში წილი

თვითონ მშრალზე გამოვლენ და მას კი ცილისწამებისათვის თავს ცისხეში ამოწყოვინებენ... და მერე ლილი?

ორივე ეს ვეჯი ძალიან ახლოს იყო სიმაართელესთან და ნოსრევანი სერიოსულადაც დააფიქრა. ორივეს კანონის მკაცრი ხუნი უდიოდა, ხოლო კანონს ხუმრობა არ უყვარს. რაკი თვითონ ვათქვამს, ცხადია, მაშინ არც კოტე დაინდობს, საამისოდ ხელთ საფუძველიც საქმოდ მყარი აქვს: აგე, სამოცდაათი სული ხბო, თვეზე მეტია, რაც ნახირში ურევია და კოლმეურნეობის საძოვარზე აბალახებს. ან ფაქტს სად წაუხვალ? სამოცდაათი სული ხბო ერთი გადახედვით გამოარჩია, თითქოს გამოაცალკევა და თავისი უნებური დანაშაული თვალწინ მთელი ხიცხადით დაუდგა. ეს უკვე უტყუარი საბუთი იყო ბრალეულობისა და თუ კოტე თავს ვერ გაიმართლებდა, მაშინ ნოსრევანსაც საბრალდებო სკამზე გვერდით დაისვამდა.

ნოსრევანმა ყველაფერი ეს რამდენჯერმე აწონ-დაწონა, ყველა სავარაუდო შედეგი გაითვალისწინა და თავისი განზრახვა საბოლოოდ უარყო. მაგრამ გული ვერ დააჯერა და ვერც მოხვეწებას ეღიბა. წოდანდელმა ნანახმა და გაგონილმა ბევრი რამ შეცვალა, გადაახვალა და საგნები და მოვლენები პირუკუ მხრიდან დანახვა. ამ წუთებამდე რაღაც სწამდა, სჯეროდა, მაგრამ რა? ახლა თვითონაც ველარ ერკვეოდა. არც ის იყო, რა, როგორ მოქცეულიყო. რა გაცვეთებინა და ამ შეცვლილ მდგომარეობაში თავისთვის რომელი ადგილი და მხარე აერჩია. კოტე, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ დაგვალეზდა რაღაცას, სისოვდა—საქონლის გარეგებას, ამბის მიტან-მოტანას, დახვედრას... და რა ექნა ნაშინ? რა საბუთით ეთქვა უარი? მაშინ ხომ უნდა გაემხილა სიმართლე და გამხელას კი, ვინ იცის, რა მოყვებოდა. არადა, როგორ დანახვებუდიყო? ვთქვათ, ყველაფერზე ხელი ჩაქნია, თვალის დაქუბა და საქმის ჩვეულ მდინარეებს ზაფხულის ბოლომდე უთქმელად მიჰყოლოდა. აქედან დაბრუნებისთანავე ფერმას თავს დაანებებდა და თავ-

ვის სიცოცხლეში სიბოლოვეს აღარ გაგვარებოდა. ვინ გაიგებდა? არაფერს. მაგრამ გულსა და სიტყვილს სად წასვლოდა — როგორ შეეხებდა სახეში უფროსი ამზანაგებისათვის, მკდარიყო მათთან თანაზიარ სუფრაზე, ეცინა, ესაუბრა, როგორ ჩასულიყო სოფელში, შეხვედროდა ხალხს, ტოლსწორებს, რა ეთქვა მათთვის, რა პირით შექყროდა დელას... და ლილის... ლილის?..

ამ ორმა, ურთიერთუარყოფელმა ფიქრმა პირდაპირ გააწამა, ერთიც ცეცხლი იყო და მეორეც. იდგა — ფიქრობდა, დადიოდა — ფიქრობდა, ერთი ხელით თოფს დაათრევდა, მეორე ხელში საგზლის ჩანთა ეჭირა და სამწყსოს ირგვლივ უაზროდ და მუხლმოკვეთილივით დუნედ დააბიჯებდა.

— ახ, ნეტაი კი არ გამეგო, ნეტაი, არ მენახა, არ გამეგონა, — იმეორებდა წალმალე გულისტკივილით და იმავე წამს თავისდაუნებურად ეს კითხვაც წამოეჭრებოდა, — რა ვქნა? როგორ მოვიქცე?

ერთი თალაი პაპა ქორიასთვის თქმა დააპირა: აი, ვის შეუძლია საქმის სწორი განსჯა, ყველაფერი გამოუცდია, უნახავს, იცის... მაგრამ კარგად რომ ჩაუფიქრდა, ეს აზრიც ისევ უარყო. პაპა ქორიას წმინდა სიმართლის შეტი არაფერი სწაწდა, დათმობა არ სჩვეოდა და შეიძლება გაგებისთანავე ერთი ვაი-უშველებელი აეტყება. ეს იტივე დასმენა გამოდიოდა, ხოლო მოსალოდნელი უსიამოვნების ყველა ჯოხი თავისდაუნებურად ისევ ლილის კისერზე ტყდებოდა. ნოშრევანს კი ისევ უნდოდა მოეწყოს საქმე, რომ კოტეს საერთოდ დასასმენი აღარაფერი ჰქონოდა. აქამდე რაც იყო, იყო, ოღონდ ამის შემდეგ ნულარაფერი მოხდებოდა, მაგრამ როგორ მიეღწია აწისათვის? რა გზით, რა ხერხით?

— მოდი, თვითონ ძია კოტეს ვეტყვი, — გაიფიქრა უცხად, — გამოვუტყდები და ვთხოვ. იქნებ გამიგონოს, პა? კაცია, ადამიანია... აი, ამ ფუთას რომ გადაეცემ, მაშინ ვეტყვი. მაგრამ რომ არ გამიგონოს? — დაებადა მაშინვე საწინააღმდეგო კითხვაც, — მაშინ რა ვქნა? ხელს შევეშლი, — დაასკვნა ბოლოს, — არაფერს აღარ გავაკეთებინებ. აი, ეს უკანასკნელი იქნება, მი-

უტან, ჩაებაბარებ და... მორჩები...
სბოებსაც უკანვე გავარკვიებ. როგორც უნდა ეწყინოს, რომ მცემოს კიდევ, სულერთია, აღარაფრის საშუალებებს არ მივცე.

ეს ჯერ გაუბედავად გაიფიქრა, მერე თანდათან ჩაუღრმავდა და სულ უფრო შესაძლებლად და მიმზიდველადაც კი მოეჩვენა. გარდა იმისა, რომ თავსაც ისლევდა და ხალხის წინაშეც პირნათელი გაწოდიოდა, მთელი ეს ამბავი ემაყუბნებოდა კიდევ — განა სუმირობაა, მამის ტოლი კაცი ხიფათს ააცილო, ასე ვთქვათ, გამოასწოროს და სიმართლისა და პატოსნების გზაზე დააყენოს!

სეირი იქნება, ნამდვილი სეირი, — თქვა ჩუმი ხითხითით. — სოფელში რომ ჩავალ, ამ ამბავს ლილისაც ვეტყვი. თუმცა არა, — დაუმატა მყისვე, — ახლა არ ვეტყვი, ცხელ გულზე... როდისმე ნერე მოვეუყვები, დიდი ხნის შემდეგ, როცა ყველაფერი ჩველილი და დავიწყებული იქნება, და გავიხარებთ, ერთად ვიცინებთ.

• • •

კოტე თავმჯდომარეს წააკოლოდა სოფელში. ნოშრევანმა სბოები დააბინავა, მერე ბოსელში შევიდა და ისე, რომ მწყემსებს არ დაენახათ, უცხო კაცის დანატოვარი ამანათი საგზლის ჩანთიდან ამოიღო და შურგჩანთაში, წიგნებს შორის ჩატენა. კოტეს ამოსვლამდე აქ ვერაფერი მიაგნებდა, ხოლო კოტე მეორე დღეს უსათუოდ უნდა ამოსულიყო — მეურნეები უნდა ამოეყვანა და ყველი და ხაჭო წაედებინებინა. ნოშრევანმა ისიც იცოდა, კოტე მეურნეებს რომ გაისტუმრებდა, ან ციხეფორში მოაკითხვავდა, ან აქვე დაელოდებოდა.

და მართლაც, მეორე საღამოს ნახირს ბინისაკენ რომ მოერკებოდა, ბოსლის ქვემოდაწვე დაინახა კოტეს თეთრი ცხენი, რომელიც ახლად გაკეთებული წყაროს გვერდით ება. კოტეც იქვე დახვდა, — დიდა წიფლის ქვეშ ნაბადი გაეფინა, ზედ გულალმა გამოტილიყო და გაფერმკრთალებულ ცას შეაკურებდა. ნოშრევანს სბოების ბაკ-

ში შერევა აცალა და ხელის დაქნევით ანიშნა, აქ მოდიო.

ნოსრევანი მივიდა.

— რა ქენი, მიურევე?

— ჰო, აი პასუხიც, — ნოსრევანმა სპორტული კურტკის გულის ჯიბიდან ორად მოკეცილი ცისფერი კონვერტი ამოიღო და გაუწოდა.

კოტემ კონვერტი მოუთმენლად გახია და ფანქრით ნაწერი რვეულის ფურცლის ნახევარი უშმოდ ჩაიკითხა. — კარგია, — თქვა თავის დაქნევით და ისევ ნოსრევანს შეხვდა, — გზასზე ხომ არავინ შეგხვედრია?

— არა.

— არც შენთან ვინმე მოხულა?

— კი, იყო ერთი კაცი.

— რაო, მერე? — კოტეს კვლავ მოუთმენლობა დაეტყო.

— რალაც დანიტოვა, გადაეცით.

— მერე, სად არის? მაიტა რალა.

— ახლავე, — ნოსრევანმა დაღმართი ჩაირბინა, საწველი საქონლის ბაჟის წინ თავმოყრილ მწყემსებს ცალყბად მიესალმა და ბოსელში შევიდა, ზურგჩანთიდან ამანათი ამოიღო, კურტკის ქვეშ ამოაფარა და ისევ კოტესთან ავიდა, — აი, ეს დატოვა, მაგრამ რა არის, არ ვიცი.

ჰო, არა, კი... ისეთი რა უნდა იყოს, — კოტემ შეკრულა თითქმის განოვლიჯა და ხელში უხერხულად შეატრიალა, ამკარად დაეტყო, ნოსრევანის თვალწინ გახსნა არ უნდოდა, — ერთი გაიქეცი და ცხენი იქით, ტაფობში გადააბი, — უთხრა ბოლოს, — მშიერია და დაღამებამდე ცოტა მაინც მოძოვოს, მერე ისევ აქ მოდი.

ნოსრევანმა ცხენი ახსნა, კოტემ შევიცადა, ხანამ თვალს მიეფარებოდა და ამანათს ზონარი ამჭარებოდა შემოსხნა, მუყაოს ქალაღდევ შეჩოსხნა, ათათ ცალად დაწყობილი წითელი თუმინანები მარცხენა ხელში მოიქცია და დასტები სწრაფად გადათვალა. — სწორია, — თქვა ჩურჩულით, — მაგრამ მაინც ვნახოთ, — დაუმატა მაშინვე, — რა ვიცი, კაცნი ვართ, ფულია, თანხა, ანგარიშია, — და დასტების ცალ-ცალკე გადათვალა დიწყო. — სწორია, — გაიმეორა კმაყოფილმა, როცა დათვლას მორჩა და

დასტები კვლავ ერთმანეთზე დადევნებდა. იაკობს ტყუილად არ აქებენ, მართლაც ყოფილა სიტყვის კაცი... აქედან ტილას და ტუსიას ნოლოდ ნახევარს მივეცემ, ნახევარი კი საკუთრივ ჩემია. ზაფხულის ბოლომდე კიდევ ერთი ან ორი ასეთი საქმე და... „უოღავ“ გამოგორდებამ!

სწორედ ამ დროს ბორცვს იქიდან ნოსრევანიც გამოჩნდა, მაგრამ კოტეს ხელში რომ ფული დაინახა, ნაბიჯი შეანულა — მისვლა ეფხერხულა, ტატომღაც შერცხვა კიდევ და მოსაჩვენებლად აქეო-იქით ყურება დაიწყო. მხოლოდ იმის შემდგვლა მივიდა, როცა კოტემ ფული იწაფე ქალაღდში შეახვია, პაჯაკს გადასწვდა და უბის ჯიბეში ჩატენა.

— დაჯგ, — უთხრა კოტემ, გვერდზე გაიწია და ნაბაღზე ადგილი მოუცალა.

ნოსრევანი ცოტა მოშორებით, ბორცვზე ჩამოჯდა.

— ახლო მიიწია.

ნოსრევანმა მიიწია.

კოტემ ყველანაირად ცდილობდა სისარკულის დაფარვას, მაგრამ ვერ ასწრებდა, — მწითური სახე უზომო კმაყოფილებით გაბადროდა, თვალბში ალტაცების შუქი ეღვა და ტუნის კუთხვებშიც შეკავებული ღიმილი უკრთოდა. და თითქოს იმის შიშით, უარესად არ დამემჩნესო, პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— ჰო, აქ საქონელია. ნუგობარმა დადამიტოვა... აგე, ტაფობს ქვემოთ, ხშირტყიანი ღელე რომ არის... ჩვიდმეტე სულია. ერთი კაცის ვალი ქმართებია და... ის კაცი შიოს წყაროსთან დაგხვდება... შიოს წყარო იცი?

— გე რომელი? აი, ჩვენი სოფლის დასაწყისში რომ არის, შიოს ძირას?

— დიას, სწორედ ის. ბარემ შინაც ჩადი, ხომ გინდა დედის ნახვა? ჰოდა, ნახე, ხვალაც დარჩი, საღამომდე დედასთან იყავი. აიღე თოფი და წადი. ბური ხომ ან გვია?

— არა.

— კიდევ უკეთესი. თან ჯიბის ფანარიც გააყოლე, უმოვარო დამეცა და ტყეში, ღედე-ღუღე ადგილებში გზას განათებ, აბა, ჰე, გაუჩინდა.

ნოსრევანმა თავი ჩაღუნა.

— ჰა, რას დაფიქრდი? წადი... დედა ნახე.

— არა, ძია კოტე... — ენის ბორძიკით თქვა ნოსრევანმა და თავი უფრო დაღუნა,

— მე... ვერ წავალ... ვეღარ წავალ...

კოტემ თვალეები დააჭყიტა:

— რას ამბობ, ბიჭო, ხუმრობ, თუ?

— არა, არ ვხუმრობ.

— ბიჭო, — წამოიწია კოტემ, — ეს... ეს... ერთი შემომხედე, დაგინახო, რა მოგივიდა, ჰა?

— არაფერი.

— აბა მამ, რას ამბობ?

— ჰო, ვერცა... ვერც ვაწილობ.

კოტეს სახესა და თვალ-წარბზე უკვე წყენა დაეტყო, მაგრამ სძლია თავს, დრამად ამოიხუნთქა და ისევ მოფერებოდა უთხრა:

— კარგი, ახლა, ნუ ჯიუტობ. ისე კი არ მინდა, ბიჭო, გაგიწყრა ღმერთი! ფული უნდა მოგცე. თვითონ საქონლის პატრონმა დატოვა. — აი, აჰა, ხალათის ჯიბიდან ორი ცალი თუმნიაანი ამოიღო და გაუწოდა, — ჰა, გამომართვი.

— ვერ გამოგართმევთ... არ მინდა.

— რა, ბიჭო, ფული არ გინდა? იქნებ გეცოტავენბა, გაგიწყრა ღმერთი! აჰა, კიდევ დაკინატებ, — ჯიბიდან ერთი ცალი თუმნიაანი კიდევ ამოიღო და იმ ორს მიადო, — აი, უკვე სამი თუმანი გახდა, კაი ფულია, დაიჭი და წადი.

— არა, ძია კოტე, საქმე ფულზე რთლია, თუნდ ასიც იყოს, მე ვითხარით, აღარ წავალ-მეთქი და... აღარც წავალ.

— როგორ, ბიჭო, — ხმა გაუმადლდა კოტეს, — გაგიყდი, თუ რა ეშმაკი შევიჯდა? კაცს ვუთხარი, შევიპირდი...

— მე არ შევიპირებოვარ, — შეაწყვეტინა ნოსრევანმა და კოტეს თვითონაც პირდაპირ შეხედა, — არავის არ შევიპირებოვარ.

კოტემ ისევ დასთმო და ნოსრევანის დაყოლიება ახლა დამდურებით და დანაწესებით სცადა:

— მღალატობ, ბიჭო? — უთხრა წუწუნით, — ჰა, მღალატობ? გაგიწყრა ღმერთი! მე ამდენს ვსრუნავ შენზე, ვცდილობ... ფერმაში, ხო იცი, უფროსების და-

უკითხვად მიგიღე, აქაც ყველაფერი გეწყო, გიწყო, აგე, ხბოები აგაყვანინე, თოფი განუქე, კიდევ...

— მაღლობელი ვარ, ძია კოტე, — ისევ შეაწყვეტინა ნოსრევანმა, — თოფს უკან ვერ დაგიბრუნებთ, სანამ მე მაწერია, იარაღზე პასუხს ვაგებ, ეს ხბოები კი ხვალვე გაარკვინეთ, ხვალვე! არ მინდა, არაფერი არ მინდა.

კოტეს სუნთქვა შეეკრა და ქმენა აუვარდა:

— ბიჭო, ის მაინც წითხარი, რა მოხდა, რამ გადაგრა?

დადგა გადამწყვეტი წუთი, დროც ხელსაყრელი იყო და ადგილიც: მწყემსები ფურების დასაწველად ბაკში იყვნენ შესულები, ბაკს ხბოების მოწარდახული სადგომი ფარავდა — არც თვალთ ჩანდნენ და ვერც საუბარს გაიგონებდნენ. მაგრამ დაწყება ნოსრევანს მაინც გაუჭირდა, გული აუჭკარდა, ყელში გორგალივით რაღაც გაეკვანდა და სუნთქვა შეუკრა, როგორც იქნა, სძლია გაუბეღლობას და მიმხრჩვალად, გაბზარული ხმით უთხრა:

— გუშინ მე თქვენ... დაგინახეთ. თქვენ და თავმჯდომარე... ცინგორში რომ გამოიარეთ...

— მერე, რა, — ნაძალადევი გულუბრყვილობით გაიოცა კოტემ, — დაგვინახე... რა მოხდა? აი ახლაც მხედავ.

— მე თქვენი ლაპარაკიც მოვისმინე, — იმავე ხმაზე განაგრძო ნოსრევანმა, — რაც სთქვით და გაარიგეთ, ყველაფერი გაგიგონე.

კოტე გაფითრდა, მწითური ღაწვისთავეები გაუმოწისფრდა, შუბლიც, და ზედ ოფლის წერილი გუგუმები გამოასხხდა.

— წერე... რა გინდა, ბიჭო? — ჰკითხა ჩურჩულით კარგახნის დემილის შემდეგ, — ჰა, რა გინდა? დასმენას ხომ არ მიპირებ?

— დასმენას არა, მაგრამ...

— მაგრამ?

— საქონელს არ გაგაყვანინებთ... რატომ ტყუობდით? არც ნადირს რამე მოუკლავა და არც ავადმყოფობას. ჰოდა, არც გაგაყვანინებთ.

— მერე და, შენ... შენ... ვინა გკითხავს?
— კოტეს ყბა მოეჭება და ნიკაპი აუკანკა-
ლდა, — აქ უფროსი მე ვარ და ფერნაც...
საქონელიც...

— თქვენ უფროსი მხოლოდ მოვალეო-
ბით ხართ, — მოკლედ მოუჭრა ნოსრევან-
მა, — უფლებით კი მე და თქვენ თანას-
წორნი ვართ.

კოტემ ღვარძლიანად ჩაიციხა და გვერ-
დიდან აღრენით გახედა:

— ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა,
შენ ხომ ჯარისკაცი ხარ.

— ჯარისკაცი აღარა ვარ, მაგრამ როცა
საქმე სიმართლეს, ჭეშმარიტებას შეეხება,
ყოველი კაცი ჩებრძოლი ჯარისკაცი უნ-
და იყოს. ჭურდობას ჩემს თვალწინ, ჩემს
გვერდით, მით უფრო, არ მოვითმენ.

— ჭურდობასო?! რა შუაშია ჭურდობა?

— კოტე უცბად გამოცოცხლდა და ამ სი-
ტყვას წყალწალღბულივით მოეჭიდა. — ჰა,
ბიჭო, რა შუაშია? ვინ თქვა, ვინ მოიგონა?
განა მე სიტყვითაც კი მიხსენებია როდის-
მე ჭურდობა? შენ ვერ გაიგე, ბიჭო, გაგი-
წყრა ღმერთი! ვერ გაიგეია. აბა, ერთი ყუ-
რი დამიგდე, რას გეტყვი, კარგად მომის-
მინე...

— სულერთია, რას იტყვით, ძია კო-
ტე, — არ აცალა ნოსრევანმა, — საქმე
თვითონ არქმევს სახელს თავისთავს და
ეს სახელი მყარი და უცვლელიც არის:
აღება, მითვისება, დამალვა, ხელის გაკე-
რა, ყველა ესენი ერთმანეთისაგან ცოტაოდ-
ნავ, მხოლოდ გარეგნულად განსხვავდებიან,
ხინამდვილეში კი წმინდა წყლის ჭურდობაა
გაბეჭდი არაფერი.

— ჰე-ჰე! — თავი გააქნია კოტემ და
ნოსრევანს გულმოწყალედ შეხედა, — აი,
რას ნიშნავს გამოუცდელიობა, უწევრება, იგა
შავს თერთად მოგაჩვენებს... დიახ, ჰო! ეს
მხოლოდ უნიათოთა და უმაქნისთათვის
არის ჭურდობა, ვისაც ხელის განძრევა
ეუარება და ღმერთს არაფრის შნო და მა-
რცხათი არ მიუცია, საქმიანი ხალხისათ-
ვის კი შრომაა, მცდელობაა, უნარია, ესე
იგ, ცხოვრება.

— კი, ძია კოტე, გეთანხმებით, მაგრამ
აი ეს შრომა, ენერჯია, შნო და მარცხათი,

როგორც თქვენ ამბობთ, კარგად უნდა იყოს
ყველასათვის სასარგებლო საქმეს რომ მო-
ხმარდეს, განა არ ჯობია?

— საქმეს ხმარდება, აბა რას ხმარდება,
ბიჭო, გაგიწყრა ღმერთი!

— მე ვამბობ, კარგ საქმეს-მეთქი, სასა-
რგებლოს.

— რას პტეია კარგი და ცუდი, საქმე
ყველა სასარგებლოა.

— კარგით რა, ძია კოტე, აბა რად გინ-
დათ...

— მომისმინე-მეთქი, ბოლომდე მომი-
სმინე!

— ჰო, აი, ვისმენთ.

კოტე წუთით ჩაფიქრდა, მერე ნოსრევან-
ისაკენ წამოისარა და ნელა, საზგასმით
უთხრა:

— კარგს და ავს შენ თავი დაანებე, ამ
ქვეყნად ყველას, ყველა კაცს თავისი ავი
და კარგი აქვს, შენი კარგი ის არის, რაც
შენ გარგებს. ასეა, — თქვა კვლავ წამი-
ერი დუმილის შემდეგ და თითქოს წეტი და-
მაჯერებლობისათვის ნახევრად ჩურჩულით
განავრძო, — ახლა ვინაც რა აქვს ხელთ,
იმით საქმიობს: გქიმი სწეულებას უღარა-
ჯებს, ვაჭარი ფასებს ზრდის, თვით მეცნი-
ერებაც, განათლება-სათნობისა და ჭეშმა-
რიტების უბირველესი მუშაკი და დამამკ-
ვიდრებელი, ცოდნას გროშებზე ასურდა-
ვებს, ხოლო მართლმსაჯულება დანაშაულს
უღგას წილიში... რომელი ერთი ჩამოვიტო-
ლო? აბა ჩვენ რას ვაკეთებთ ისეთს, რომ...
სხვას მაინც არაფერს ვაკლებთ, ცოტა-ჩა-
ტას ჩვენთვის რაღაცას ვწაღინობთ... ეს
საქონელი, შენ იქნებ რა გგონია, ჩვენნაი-
რივე ხალხის გამოზრდილია ასეთსავე ფე-
რმებში, ჩვენ მხოლოდ ერთი ადგილიდან
მეორეზე გადაგვყავს, ესე იგი, რაოდენო-
ბას ვაწონასწორებთ. აი, ეს არის სულ...

— ვიცი, ძია კოტე, — დიმილი ვერ შე-
იკავა ნოსრევანმა, — რაც ახლა სთქვით,
ეგ აქა-იქ სხვა დროსაც გამოიგონია და ვი-
ცი. ერთმა და ორმა შეიძლება მართლაც
ჩაიღინა რაღაც და კიდევაც შერჩა — ჭე-
ყნად თითო სიმასისჯეს რა გამოიღვეს, მაგ-
რამ საბედნიეროდ ხინამდვილე სულაც არ
არის ისეთი, როგორადაც თქვენ ხატავთ.

მაშ საჭმელს ვინდა აკეთებს? ვინ აშენებს ამ ქვეყანას — ამდენ ქალაქებს, სოფლებს, ამდენ გზებს, ზიდებს, უსარმზარ ელხადგურებს, კოსმოსურ ხომალდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ? ვინ იფონებს და ქმნის ამ ახალ-ახალ ჯადოსნურ მანქანებს, ვინ მართავს, ვინ აწესრიგებს ცხოვრებას? საიდან მოდის სასმელ-საჭმელი, ტანსაცმელი და საერთოდ ეს ამდენი და ამდენნაირი სახალსო დოვლიათი? მართლა ვერე რომ იყოს, როგორც თქვენ ამბობთ — ყველას პირად გამორჩენაზე გვიროს თვალი და საქმეს გულისით და ხელმართლად არავინ აკეთებდეს, განა ეს ამდენი რაშე იქნებოდა? ანდა, თვითონ ქვეყანა იარსებებდა?

— დიას, არის... და ქვეყანაც არსებობს.

— დაბნეული უბასუბა კოტემ.

— ჰოდა, ვინ აკეთებს ყველაფერ ამას, ვინ ქმნის?

— ვინა და, ხალხი, ბიჭო, მაგას რა კითხვა უნდა, მე, შენ, სხვა, ივანე, პეტრე, გიორგი... ქმნიან და სარგებლობენ კიდევ. დიას, დიას, ჰო, სარგებლობენ.

— ნუ იტყვით ვერე, ძია კოტემ, ამით ძალიან მიერენი იზღვევთ თავს და ჯოხი კი ყველას კისერზე ტყდება. ამ უგვანმა, ცრუ თავისმართლებამ გახულ წლებში, ჩვენშიც და სხვაგანაც ქართველებზე მეტისმეტად მცდარი და შეუფერებელი ჭორი გააჩინა, თითქოს ჩვენ საქმოსნობისა და დროსტარების წესს არაფერს ვაკეთებდეთ. ამისი მაგალითები მე ჯარში ყოფნაშიც ბევრჯერ შემხვედრია. ნამდვილად კი, არა მგონია, ამ ქვეყნად იმდენს ვინმე შრომობდეს, რამდენსაც ქართველი კაცი, სხვას რომ თავი დაეანებოთ, სათქმელად ერთი ვენახიც კმარა: ყოველ წელიწადს თითქმის ნახევარი მილიონამდე ტონა ყურძენს წარტო სახელმწიფოს ვასყიდებთ, ხოლო ერთი ძირი ვაზის მოვლას იმდენივე შრომა ჭირდება, რაც ერთი ჰექტარი ხორბლის მოყვანას. ასლა ჩაი, ციტრუსები?

— მაგით რა გინდა სთქვა? — გამომცდელად ჰკითხა კოტემ.

— ის მინდა, რომ... თქვენ ხალხის სახელით არ უნდა ლაპარაკობდეთ.

— ჩვენ კი რა, საქმეს არ ვაკეთებთ? იწყინა კოტემ, — მაგალითად, მე... ეს აწოდენა ფერმა... აბა ვინ, საიდან, როგორ?

— კი, აკეთებთ, მაგრამ მხოლოდ ერთი ხელით, მეორე ხელით კი... აი, თუნდაც ის საქონელი, ძმაკაცმა რომ მოგირეკათ და ახლა ქვევით, ტაფობში აბია, ხომ ვილაცას გკუთვინის, ვინც უპატრონა, მოუარა და აქამდე გამოზარდა, და იმ ვილაცას ხომ დააკლდა?

— გაგიწყრა ღმერთი! აკი გეუბნები, გამოუდევლობა და უმეცრება ისეთი რამ არის, რომ შავს თეთრად მოგაჩვენებს-მეთქი. შენ ფიზიკის კანონი გახსოვს?

— რომელი? ფიზიკას ბევრი კანონები აქვს.

— ბუნებაში რომ არაფერი იკარგება, — აი, ის.

— მახსოვს, მერე?

— მერე ის, რომ გაგება და ცხოვრებაში გამოყენებაც უნდა შეგეძლოს. ფერმა დანაკლისს თვითონვე ინაზღაურებს, სადაც წელიწადში სამას-ოთხასი ხბო იბადება, იქ ათი-თხუთმეტი სული სახსენებლადაც არა ღირს.

— მწყემსებს?

— წყვესებს რა, ვერ გაიგე, რა გითხარი: ფერმა დანაკლისს თვითონვე ინაზღაურებს-მეთქი

— მაგრამ ხალხი? ხალხს რომ აკლდება?

— ხალხს რა აკლდება, ბიჭო, გაგიწყრა ღმერთი! ჩვენ საქონელს ქარს ხომ არ ვატანთ, ისევ ხალხს არ ხმარდება? ასლა ხომ ხედავ, რა ყოფილა, — საბოლოო ჯამში, არც ხალხს რაშე აკლდება, არც მწყემსსა და არც ფერმას. და რატომ უნდა თქვა კაცმა უარი იმაზე, რითაც არავის აზარალებს და თვითონ კი წოვებას ნახავ?

ამ პირგაცვეთილ, ურცხვ და უტიფარ თავისმართლებაზე ნორრევანს კინაღამ გული აურია, მაგრამ სძლია თავს და ისევ მშვიდად უთხრა:

— აი, სწორედ ეს მოგებაა ქურდობა, ძია კოტემ!

— ისევ ქურდობა! გაგიწყრა ღმერთი! ბიჭო, როგორ არ გესმის, რომ ეს ქურდო-

ბა კი არა, შრომაა, საქმეა, საქმიანი კომბინაციაა. ჩვენ კი არ ვიპარავთ, ვაწარმოებთ. ქურდები სხვები არიან, ჩვენი კაცი ქურდობას არ იკადრებს. ფუჰ, ეს სიტყვაც კი მძულს.

ნოსრევანს წელანდელივით ცივად გაუღიმა:

— ვიცი, ძია კოტე, უკვე გავიგე, რა ხდება და ეს ნაჭარბი საქონელი საიდან და რა გზით გროვდება, წაგრამ ასლა ამაზე აღარას ვიტყვი, თუ ნებას მომიცემ, მხოლოდ ერთს გკითხავთ.

— თქვი, ერთი კი არა, ორი მკითხე, სამიც.

— ვითომ საქმიანობა რით არის ქურდობაზე უკეთესი, თუ უარესიც არა?

— ღმერთმანი, გამაგიჟებს ე ბიჭო, — შეწუხებული სახით თქვა კოტემ და მხრები აიწურა, — სად გაიზარდე, ბიჭო, ამოდენა მუდრევი, იქ ან ხალხი არ იყო, ან... თხის რქაში ხომ არ იჯექი?

— სწორედ ხალხში გავიზარდე — სკოლაში, ბიონურულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში...

— თხო-ხო-ხო! — გაგიწყრა ღმერთი! — შეაწყვეტინა კოტემ, — სკოლა, კომკავშირი, მოსწავლეთა კომიტეტი მტრისმეტად ხმოვანი სიტყვებია, მაგრამ ცარიელი, შიგ არა ყრია რა, ვიცი ეგენი, მინახავს, ჭიბი იქა მაქვს მოჭრილი, თხუთმეტ წელიწადს თვითონ ვსწავლობდი და მეტე ანდუნსავე ხანს კიდევ ვასწავლიდი. რაღა არ მიკეთებია იქ, ლექსებსაც კი ვწერდი... მაგრამ აი ასლა აქა ვარ. დრომ, ცხოვრებაში, ასე მოითხოვა და მეც დავყვევი. იქ ადამიანებს ვზრდიდი, აქ ცხოველებს ვზრდი. ვითომ რა განსხვავებაა? ადამიანიც ხომ იგივე ცხოველია, ოღონდ უფრო ფალბი და გაქნილი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ადამიანს ვერაფერში განოიყენებ და ცხოველი კი შეიძლება ფულად აქციო. აი, რა არის... სად არის... ჰოდა, ვაჭრობით და ვიცხოვრობ, შენც და მეც, ჰა, ასე არ ჯობია?

— არა, ძია კოტე, ჩემთვის არ ჯობია, — უთხრა ნოსრევანმა, — და არც თქვენთვის ჯობია, ძია კოტე, — დაუმატა მცირე ხნის

შემდეგ მუდართ, — არ ჯობია! — საქმეც კარაც იყო, იყო, ამის შემდეგ ნუ, ნუღარ... გთხოვთ, ძია კოტე, ძალიან გთხოვთ, გეპწეწებით...

კოტე უსიამოდ დაიდრეჯა, ოდნავ განზე გაიწია და ნოსრევანს პირი აარიდა:

— ქალაჩუნა! კაცი მეგონე, შენ კი... არც მჭირდები, მაწყლი თავიდან... თვითონ წავალ და მივხედავ.

ნოსრევანი უამისოდაც უკვე ადგომას და გარიდებას აპირებდა — სათქმელი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ კოტეს ბოლო ნათქვამმა, მე თვითონ წავალ, ისევ ადგილზე გააჩქარა — ერთხელ კიდევ სცადა მუდართით კოტეს დაყოლიება:

— ნუ, რა, ძია კოტე, არ გინდათ, გამიგონეთ... აბა რად გინდა, რა საკადრისია...

კოტემ გვერდულად გადმოხედა, ტუჩაპრეხით გაურკვეველად ჩაიციინა და ისევ თავი მიიბრუნა.

ნოსრევანს იმედი მოეცა:

— ჰო, ძია კოტე, ჰო, ასე ვქნათ... დილაშივე არაფერი უჭირთ, დილაუთენია ჩავიბრუნებ და ამოურეკავ, ერთ-ორ დღეს აქ ვიყოლიოთ, ნახირში, შევატყობინოთ ფერებს და მეტე ალბათ პატრონიც გამოჩნდება.

კოტე უცხად შემობრუნდა და ნოსრევანს გაკვირვებით და ამრეხით დააშტერდა.

— შენ ხომ არ შეიშალე ბიჭო? კაცი მელოდებო, ამაღან საქმე უნდა გავახერხო, და.. რაებს-ბოდავ?

— არავითარი კაცი და საქმე, ძია კოტე! — უკვე მტკიცედ, შეუპოვრად უთხრა ნოსრევანმა და თვალის უშიშრად გაუსწორა, — იცოდეთ, თუ ფუნი გავიდვამთ, იმავე წუთს წავალ, ჩაგასწრებთ და ის ვიღაც კაცია, სულ კინწის კვრით გავაგდებ... და ვიტყვი, ყველაფერს ხმამაღლა ვიტყვი... განგამს აგტეპ!

კოტე ამას არამც და არამც არ მოელოდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო, ნიკაპი აუკანკალდა და თვალებში რისხვის ნაპერწკლები გაუკრთა. კარგა ხანს ხმის ამოდება ვერ შეძლო.

— ეგ რა სთქვი, ბიჭო? — განოსცრა

ბოლოს კბილებში, — ჰა, რა სთქვი-მეთქი?

— სწორედ ვერე ვიზამ.

კოტეს ხელები თავისთავად დაემუშტა და აკანკალებულმა ნოსრევანისაკენ წაიწია:

— დაგახრწობ, შე... ძალიშვილო, მობკლავ...

— ნუ მაგინებთ, ძია კოტე და ნურც მემუჭრებით, — აიქონრა ნოსრევანიც, — მო, ნუ მემუჭრებით, ვერ შემაშინებთ.

ვინ იცის, ეს საიდუმლო ბრძოლა რით დამთავრდებოდა, რომ იოთამს ორივესათვის ვახშამზე არ დაეძახა. როდის დაწველეს მწყემსებმა ფურები, როდის აადუღეს რძე, როდის წამობნელდა და მოიჭედა ცა ვარსკვლავებით, იოთამის დაძახებამდე არც კოტეს და არც ნოსრევანს არ გავუციათ.

• • •

ვახშამზე თავი ორივეს ზომიერად ეჭირა და მათ შორის მომხდარი ამბისა წყვესებს არაფერი გაუგიათ. თუმცა დაძახულობას გუმანით თითქმის მაინც გრძნობდნენ: ვახშმის შემდეგ, განგებ თუ შემთხვევით, დერეფანში ჩვეულებისამებრ დიდხანს აღარ მსხდარან — არ უსაუბრიათ, მხოლოდ ნაკვერჩხალზე სიგარეტებს მოუკიდეს და იღლივებში ნაბადამოჩრილები თოვებზე გაიკრიფნენ — ზაფხულის გულდინჯი, ვარსკვლავიანი ღამე იყო და ძილი ყველას ღია ცისქვეშ ერჩია.

კოტე და ნოსრევანი ერთმანეთს კვლავ პირისპირ შერჩნენ და ჩუმი, უსიტყვო ბრძოლაც კვლავ მთელი ძალით განახლდა. დამოკიდებულება უკიდურესად დაიძაბა, ამას ორივენი მტკიცუნულად გრძნობდნენ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ, მაგრამ ერთიმეორის მცირედი მოძრაობაც კი შეუმჩნეველი არ რჩებოდათ. თავს კოტე უწერო ვერ იკავებდა, მოუსვენრად წრიალებდა, ცნუკავდა, ადგებოდა, დაჯდებოდა, მალმალე გავიდოდა დერეფნის წინ, კიდურზე გადადგებოდა და სმენადაძაბული კარგა ხნით გაიჩინებოდა, თითქოს რაღაცას აყურადებდა. ნოსრევანი, პირიქით, უძრავად იჯდა საწოლზე, რითაც თითქოს უფრო დაუფარავად ამხელდა თავის წყლანდელ

დანაქანებს, რომ სანამ კოტე საბოლოოდ არ აიღებდა ხელს განზრახვაზე, არც დაწვებოდა და არც თვალს მოაცილებდა.

კოტემ დაძახულობას ვეღარ გაუძლო, უცბად წამოდგა, ნამწევი ჯავრიანად მოისროლა, ჭრაქი შიგნით შეიტანა და საანგარიშის მიუჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ნოსრევანიც წამოდგა, უმოძრაობამ ისიც ვააბეზრა, ნაბადი მოისხა და ბოსლის გვერდით, ბუსნოზე წამოწვა.

ირგვლივ სრული სიწყნარე იდგა, — არც ნიავის სისინი, არც ბალახის შარიშური, არც ფოთლის შრიალი — არცერთი პაწია ჩქამი. ზეცის ტრელი გუმბათი კარავით წამომხობოდა ჩაძინებულ მთა-გორებს და მათს სიმყუდროვეს თითქოს თვითონვე დარაჯობდა, თვით მელნისფერ სიღრმეში გამომსხდარი ვარსკვლავებიც როგორღაც ზედმეტი გულდამშვიდებით ქიკვიკებდნენ. თითქოს გრძნობდნენ თავიანთი სიმაღლეს, თავიანთ მარადიულობას და ადანიანთა უღვეურ, პაწაწინა ფართიფურთს გულუბრყვილო გოცებით დაჰყურებდნენ.

უცებ ზევიდან, ღვლის დასაწყისიდან კაცის ძახილი გაისმა:

— ჰე-ჰეი, მწყემსებო!

ძახილი იშვიათიც იყო და მოულოდნელიც — ასე გვიან წინათ აქ არავის დაუძახნია — და ღამის დამდოვრებულ სიმყუდროვეში ერთობ მტახედ და უადგილოდ გასმინადა. ძაღლები აყეფდნენ, მწყემსებმა თოვებიდან გააკონეს:

— აქა ვართ, აქა, აქეთ წამოდი!

მოძრავ სინათლეს მალე ორი ლანდიც ჩოქვა, მწყემსებმა ძაღლები ჩააჩუმეს, ნაბდებწამოსხმულები ბოსლის გვერდით შეეგებნენ და მოსულები დერეფანში შემოიყვანეს, ბოსლიდან კოტეც გამოვიდა, ჭრაქი თაროზე შემოდგა და უცხო კაცებს გულგრილად მიუხალმა. სახეზე შემფოთება და დაბნეულობა ემჩნეოდა.

მოსულები გაღმური მწყემსები გამოდგნენ, ორივენი შუახანს გადაცილებული ჭადარა კაცები იყვნენ, ხელში ჯოხები და გლეჭტროფარნები გვირათ, სახეზე ოფლა სდიოდათ და მძიმედ ქშინავდნენ.

— რა აზავია, ხალხო, რამ შეგაწუ-

ხათ? — ჰკითხა ბოლოს კოტემ ცუდად დაფარული, ნაძალადევი დაუდევრობით.

— რაღა რა ამბავია, ძმაო, დაგვლუპა ვილაც ოსურმა, დაგვანულა.

მწყემსები მჭიდრო რკალად შემოვრტყნენ და კითხვები დაყარეს:

— რა მოხდა?

— დაკარგეთ რამე?

— რა დაკარგეთ?

— რამდენი?

— ჩვიდმეტი სული, ჩვიდმეტი, — თქვა ერთ-ერთმა — თანაც ყველა ჩოხრდილი, გადარჩეული.

— მაშ, მაშ! — დაუმოწმა მეორემ, — სულ თავნი და მთავარი, სამ-ოთხწლიანი მოზერები და დგვეულები.

— ჩვიდმეტი?! — გაიოცა იოთამმა, — საიდან, კაცო, ბაკიდან თუ საქოვრიდან?

— უბედურებაც ვე არის, რომ ბაკიდან.

— ჰო, საქონელი ბაკს გადატებდა, — თქვა კოტემ.

— არა, ძმაო, არა, ეტყობა, ისე წკიპად არის ხარიხები აცლილი, რონ.. კაცის ნახელავი ეტყობა.

— ახლა თქვენა თქვით, ხალხნო, — ჩაურთო მეორე მოსულმა, — ღვთის სახე კაცო რომ მწყემსს უღალატებს, გაიმეტებს, ის კიდევ ადამიანია? ჰა, ადამიანი ეთქმის?

— დიხაც არ ეთქმის, — დაუმოწმა კოტემ, — ეჰ, ძმაო, ყველა რომ ადამიანი იყოს... — უცბად ნოსრევანის დაფინებულ ჩურჩას წააწყდა და სიტყვა შუაზე გაუწყდა, — რომ იყოს... იყოს... მაშინ... თუმცა ბეჯითად თქმა მნელია, მოძებნა უნდა, მოკვლევა...

— ჰო, ჩვენც მაგ იმედითლა ვართ, აპაც სწორედ შავიტომ მოვედით, იქნებ აქეთ გამოჩნდნენ და ნახეს-მეთქი.

— არა, ძმაო, აქეთ არაფერი, — მხრები აიჩურა კოტემ და მწყემსებს გადახვდა, — თქვენ ხომ არაფერი გინახავთ?

— მე, პირადად არა, — თქვა იოთამმა.

— არც მე.

— არც მე.

— შენა, შეილო, შენ ხომ არაფერი ხეხუხუხა? — ჰკითხა ერთ-ერთმა მოსულმა ნოსრევანს.

კოტემ მთელი ტანით დაიძაბა და ნოსრევანს ფარულად შეუბღვირა. ნოსრევანი წამით შეყოვნდა, მერე ნელა, ენის ბორძიკით მიუთხ:

— ა-რა...

კოტემ ჩმვიდად ამოისუნთქა:

— რა სათქმელია, აქ რომ გამოჩენილიყვნენ, დაგვენანა...

— მაინც თვალი გეჭიროთ, ხალხნო, ვიმ იცის... იქნებ...

— კი, კი, რა თქმა უნდა, — ერთხმად მიუგეს მწყემსებმა და კოტემაც უმაღლესად აუბა, — ჰო, თქვენი თქმა რად გვინდა, ჩვენ მწყემსები ვართ, ვიცით. ახლა საიას ამირებთ? — ჰკითხა ბოლოს.

— აი, ან დაქანებას გვინდა ჩავეყვით, იქნებ ქვევით, დაბლობებში სადმე დაისადგვრეს-მეთქი.

— ჰო, შეიძლება... — ორტოფულად თქვა კოტემ და უცბად აჩქარებით დაუმატა, — თუმცა საეჭვოა, აქ რომ ჩამოსულიყვნენ, ჩვენ როგორ არ დავინახავდით... არა, აქ ტყუილად მოძებნით, ისევ გორებზე, ილაღებზე სცადეთ, საქონელი თბილ ამინდში უფრო შიშველ ადგილებს ეტანება. აქ სვალ ჩვენ თვითონ მოვათვალიერებთ და.. შევატყობინებთ ჰა, ასე არ ჯობია?

— დასტურ, ჯობია, გიშველა ღმერთმა, — უთხრა კოტეს ერთ-ერთმა მოსულთაგანმა და ამხანაგს შეხვდა, — მაშ, შენ ე, ჩაგ სერზე გადი და მე კი ისევ ამ გორობას ჩავათვალიერებ. — ისევ მწყემსებისკენ შემობრუნდა და ერთხელ კიდევ შეეხვეწა, — აბა, ხალხნო, თქვენ იცით, იმედი გვექნება, თვალი გეჭიროთ და თურამე ნახოთ... გამოჩნდეს...

— ვი მეთქი, კი, — პასუხის გაცემა კოტემ სხვებს არც ახლა აცალა და დაზარალებულები ჭარბი თანაგრძნობით დაიძმედა, — ოღონდ აქეთ გამოჩნდნენ, ჩვენ დავინახოთ და.. ვითომ, ნაპოვნი გყოლიათ.

ნოსრევანს სუნთქვა შეეკრა, თითქოს

გულისცემაც გაურჩრდა, უნიათობის სიარ-
ცხელი და ბოღმა ყელში ბურთივით გა-
ეხირა და სლოკინი დააწყებინა. არა, ახ-
ლა განუშვება არაფრით არ შეიძლებოდა,
არ თქნა დანაშაულს უდრიდა, მაგრამ კა-
ციის ასე მოურიდებლად, ჰაიპარად და პი-
რისპირ მხილება არც ისეთი იოლი გამო-
დგა, როგორც ცოტა ხნის წინ ეჩვენე-
ბოდა. ამ ამბავმა იმდენად შეაკრთო, რომ
რამდენსამე წამით საბოლოოდ გაჩუმება და
ყველაფერზე ხელის ჩაქნევაც კი გადაწყვი-
ტა, მაგრამ ძებნით დაქანცული, დაზარა-
ლებული ბერიკაცების წაღწეულ მხრებსა
და დუნედ ჩამოყრილ მკლავებს რომ გახე-
და, გული ისევ ჯავრითა და სიბრაღულით
აყვსო. სანამ მიმავლები სიბნელეში დაინ-
თქმებოდნენ, დერეფნის წინ, კიდურზე გა-
ვარდა და გაბზარული ხმით დაუძახა:

— ძია... ძია... ერთი წუთით!... ერთ-ერ-
თი ასე ჩადით, — უთხრა როცა ახლოს მი-
ვიდა, — აქ... ამ დღეში წუდან საქონე-
ლივით რაღაც ხმაურობდა.

— აბა, სადა, შეილო, — შეეკითხნენ
ორივენი, — ერთი, შენს გაზრდას, კარ-
გად გაგვაგებინე.

— აი, ამ დაბლობს ჩააყვევით, ბოლოში
ერთი ხშირტყიანი ტაფობი დაგვადებათ
და... აი, იქ.

— იქნებ ჩანდნენ კიდევ და აღარ გახ-
სოვს?

— არა, თვალთ არ მინახავს, მაგრამ
ხმა ცხადად გაეფიქრე. ვიცი, საქონელი
იყო... კარგად მონახეთ, ახლაც იქვე იქნე-
ბიან.

— გაიხარე, შეილო, შენ გაიხარე, —
ნოსრევანს ერთ-ერთმა ჩხარზე ხელი მოუ-
თათუნა და ბოსლის წინ თავმოყრილ მწყე-
მებს ერთსელ კიდევ მადლიერად გამო-
ემშვიდობა:

— მშვიდობით, ხალსნო, ღმერთმა სიკე-
თით გადაგინხადოთ!

ნოსრევანი გვიან შემობრუნდა, შემობრუ-
ნებისთანავე თვალი უნებურად კოტეხაკენ
წაუვიდა, უჭირდა შეხედვა, მაგრამ ვერც
არ შეხედვა მოახერხა. კოტე მხრებჩამოყ-
რალი იდგა დერეფნის სიღრმეში და თვი-
თონაც ნოსრევანს უყურებდა. ერთ წუთ-

ში თითქოს მოტეხილიყო, ნაცემს და გალა-
ხულს ჰგავდა, ჭრაქი ზურგიდან ანათებ-
და და სახე არ უჩანდა, მაგრამ თვალები
სიბნელეშიც ბიროტად უვლავდა, ნოსრე-
ვანს მზერა ბირველმა თვითონვე აარიდა,
მუქარასავით რაღაც ჩაილაპარაკა, კუნძზე
მოწყვეტით დაეშვა და აკანკალებული ხე-
ლებით სიგარეტს მოუკიდა.

მწყემსები საცეცხლურის გვერდით ჯგუ-
ფად იდგნენ, ნაბდებს იჭუჭკავდნენ და ახ-
ლად გაგებულ ამბავზე თავების ქნევით სა-
უბრობდნენ, ნოსრევანიც მათთან მივიდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რამდენი ავა-
ზაკი დადის კიდევ ან ოხერ მიწაზე, — ამ-
ბობდა იოთამი და ადგილზე თავისებურად
ცმუკავდა, — აბა მადლია ახლა ამითი და-
ტანჯვა? ჩვიდმეტი სული მსხვილფეხი,
ეხუმრები? რა უნდა ქნან?

— შენ ევა თქვი და! — დაუმოწმა თე-
დომ.

ნოფურმა გულზე მკიდი დაირტყა: —
აი, ერთი გამაგებინა, დამანახვა და... ხომ
ჩემი არაფერია, ბიჭებო, მაგრამ თუ სათო-
ფედ დავინდო, თავი მომიკედეს!

— ოღონდაც, — საუბარში ბოლოს პა-
პა ქორიაც ჩაერია, — მაგრამ თოფი ცო-
ტაა, ლუკმა-ლუკმა უნდა დაჭრა და ძალ-
ლებს დაუყარო.

მწყემსები ჯერ ისევ ამ საუბარში იყე-
ნენ, რომ ტაფობის ბოლოდან გაგრძელე-
ბული ძახილი გაისმა. სიღრმიდან ხმა
ყრუდ და დახშულად ისმოდა, მაგრამ
წყნარ, მოწმენდილ ღამეში სიტყვები მკა-
ფიოდ ირჩეოდა, — ერთი მეორეს ეძახო-
და და საქონლის პოვნას ატყობინებდა:

— აქ არიან, აქ! სულ აქ არიან... ჩა-
მოდი, ნახე!

ნოსრევანს უნებური მზერა ისევ კოტე-
ხკენ გაქცა, კოტე გულნაკებნივით წამო-
ვარდა, მაგრამ იმავ წამს დაჯდა და თა-
ვიც ძირს დაჰკიდა.

მწყემსებს ეს არ შეუმჩნევიათ — გახა-
რებულები ხწამალლა ხორხოცებდნენ:

— იპოვეს აი, იპოვეს! გასჭრა მწყემსის
იღბალმა!

— მაშ არა და... მართალ კაცს ღმერ-
თი არ გასწირავს...

— ზოლო არამი და ნასელმურდული ბოლომდე არავის შერჩება.

— აკი არც შერჩა!

— აი, დედა ვუტირე ქურდსა, ქვა ქამოს და ნაცარი!

ზოფური წინ წამოადგა და მჯიღი ისევ გულზე აიბაგუნა:

— აი, ისეთი გული მაქვს, ბიჭებო, თითქოს მე დამეყარგოს და ჩვევ მეპოვნოს.

ცმუკავდნენ, ხტოდნენ და ხიხარულს ერთმანეთს შეხედავდნენ, თავად ჰაპა ქორიაც ვეღარ იკავებდა თავს, ფეხს ხშირად ინაცვლებდა და წყნარი ხმით იმეორებდა:

— არც უნდა შერჩეს... ნაარზალი არავის არ უნდა შერჩეს. — ბოლოს ნაბდის ბოლოები ამოიკეცა, — დარდი მქონდა, ახლა კი ტკბილად დაეძინებო, — თქვა და თოხსკენ მსუბუქად და გამართულად გააბიჯა.

მწყურსები რომ გალაგდნენ, ნოსრევანიც შემობრუნდა. თავისი თავით უზომოდ კმაყოფილი იყო, მაგრამ კოტესთან მიახლოება მანაც გაუბნელდა — ფეხტებით გაემართა თავისი საწოლისაკენ, რომ სასთუმალი აედო და სახბოე ბოსლის გვერდით, თოხზე გაუტანა, სადაც კარგ ამინდში იძინებდა ზოლმე. კოტე ისევ მხრებში თავჩარგული იჯდა და სიგარეტს ზედიზედ ჰჩაჩედა. სახეზე მიტკლის ფერი ედო, ნოსრევანს დაბლიდან ბოროტად ამოხედა:

— ეს რა ჰქენი, ბიჭო? — უთხრა ბრავით და თავმეკავებით, — ჰა, რა ჰქენი?

— ჰო, ეგრე ვქენი...

— გესმის ჩაინც, რა ჩაინდინე?

— კი, მესმის.

— და არც ნაინობ?

— პირიქით, თუ თქვენ კიდევ... იგივეს ვიზამ.

— განანებ... ო, რა მწარედ განანებ, — კოტემ კბილები დააბრჭიალა და წამიერი დუმილის შემდეგ დუნე, შესაბრალო ხმით დაუმატა, — რა დაგიშავე ასეთი, ბიჭო, ჰა? რაზე მიმტრე, რატომ გამომეტე?

— შე გიმტრეთ?! — გულწრფელად გაიოცა ნოსრევანმა, — პირიქით, ძია კო-

ტე, ზოლოდ სიკეთე მსურს საქართველოს
საზოგადოებრივი განათლების

ამ დროს ლელის გაღმა ხერიდან სიმღერის ხმა მოისმა. გახარებული მწყურსები ნაპოვნ საჭონელს ხალისიანი შეძახილებითა და ღიღინ-ღიღინით მიერგებოდნენ:

— თავი ჩოუკედეს მტაცებელს, საფლავი დარჩეს კარლია...

— გესმის, ძია კოტე, — უთხრა ნოსრევანმა, — ხალხს უხარია.. განა ასე არ ჯობია? — სასთუმალი ილღიაში ამოიღო, საცეცხლურთან წამით შეჩერდა, კოტეს გახედა და ერთხელ კიდევ გაუმეორა, — ჯობია, ძია კოტე, თქვენთვის ჯობია.

6.

სიმაართლე უტი და უჯიათია, მაგრამ ამ ბოლო დროს ერთი ახირებული სისუსტე იმასაც დასწემდა: მთლიანს და ქეშმარიტს აღარავინ სჯერდებოდა, ყველა თავის თარგზე ჭრის, თავის თარგზე გამანავს და ასალუბივით საკუთარ ტანზე იზომებს. იმ ღანჯს ნოსრევანს ყველაზე ყინიად და გულარხეინად უძინა, კოტეს კი თვალი ერთი წამითაც არ მოუხუტავს. ნოსრევანს სახეზე ნაგვიანვეი მთვარის მკრთალი შუქი და ნეტარი ღიმილი გადაჰფენოდა, თითქოს აზრი და რწმენა სიზმრადაც ჩაჰყოლოდა და მძინარიც წელანდელ ცხადლივ ნათქვამ სიტყვებს იმეორებდა:

„გუმეველე.. ეისხენი.. გადაეარჩინე...“

კოტე ვერც მთვარეს ხედავდა და არც ნამუღალმევეს აჭრილი ნიავის მოალერსე შემობერებას გრძნობდა. ნაბადწამოსხმული იჯდა დიდი წიფლის ქვეშ, გულს საკირის ცეცხლი უწვავდა, ზოლო სახეს ყინულივით ცივი სუსხი გადაჰკეროდა, ოხრავდა, სიგარეტს სიგარეტზე ვეწოდა და დროდადრო დაჭრილი დათვივით ღმუოდა:

— დამღუპა, დამაქცია, დამანელა!

დროდადრო ნაბადმიც გახევეოდა, თავს უნაგირზე მისდებდა და რამდენსამე წამით თითქოს კიდევ ჩასთელემდა, მაგრამ მეორე თუ წესამე წამს ისევ მლევიაინივით წამოგარდებოდა და კბილებდაკრეჭილი ყრუდ, გაგრძელებულად წაიღმუელებდა:

— ოო, რა მიყო... მომსპო, მომთხარა, ამომავდო...

მთელი ღამე ამ ბოზობობობასა და ოხვრამი გაატარა, საამისო მიწვევაც კი არ დახმობდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ნოსრვეანის დღევანდელმა საქციელმა, მარტო ეს ჩვიდმეტი სული კი არ გამოაცალა ხელიდან, მთელი საქმიანობა მოუშალა, — ყველა ფონი გადაუკეტა, ყველა წყარო დაუწყვიტა, ბერეული, გასაძვრომი ამოუქოლა და რიგვე გაზოგდებული თვეწივით აფართობლებული დატოვა. უზარმაზარი ვალი კისერზე ღოღოვით დაწვა და გამოსასყიდ სახსრად კი ერთი პაწია საშუალებაც აღარ შერჩა.

— ოო, რა მიყო, რა მიქნა... რა დღეში ჩამავდო...

ტიღას და ტუზიას, ჯანდაბას, ჩოგლენ და თავიანთ ოხერს მიატყვევებს, მაგრამ იაგორა? იაგორას რა უყოს, რა უთხრას, რით შეიჯეროს... მთელი ფული ღოღას სახელზე რომ არ ქონდეს საღარიბოში შეტანილი, კიდევ არა უშედეგად, ზარალს დასჯერდებოდა და ერთი მხრივ მიანც უდავიდარაბოდ გამოძვრებოდა, მაგრამ ღოღას ხარბი და კანკანავი ხასიათი რომ იცის, გადანახული თანხისთვის ერთ კაბიკს არ მოაკლებიანებს. ფულის შოვნა სხვაგვარადაც შეიძლება, თუნდაც სესხად, მაგრამ სესხს გადახდაც ხომ უნდა? იაგორა, რა თქმა უნდა, მარტო თავის არ დასჯერდება, როგორც წესი, მთელ ზარალს მას დააკეცავს კისერზე, პროცენტსაც ზედ წაადებს და სულს იქით აღარაფერს დაუტოვებს. ვალი კი ვალად დარჩება. ჯანდაბას, როგორმე მაგასაც შეეღვება, საქმეს რომ ბოლომდე შეელოდეს, მაგრამ უბედურებაც სწორედ ეს არის, რომ არ შეეღოს. აქ მთავარი რომელიმე ცალკეული, კერძო შემთხვევის წარმატება-წარუმატებლობა კი არ არის, არამედ საქმიანობის მთელი ერთობლიობა, აღუბ-ნიცემის მთელი ჯაჭვი, სისტემა, რომლის წინასწარობის დარღვევის უფლება არაფერს არა აქვს, თვით ერთი, სულ მცირე რეკონს გამოსწავლაც არაფერს აძატიებს — ხალხი ამით არსებობს და საარსებო წყაროს ხელფოფას, ზარალს, სულერთაა, ნებით იქნება თუ უნებლიედ, ღვი-

ძლი ძმაც არ შეარჩენს. გარდა ამისა, და საგადაღოც უფრო ეს არის — წმა გავა, ერთი მეორეს ვტყვის, მეორე — მესამეს — ხალხის პირში რა დადგება — ამქარში უპირო, გაუმტანი კაცის სახელი დაუვარდება და მასთან საქმეს აღარაფერს დაიქვრს. აფსუს, კოტე ღონიაშვილი! მამ, მთელი სიცოცხლე ხელ-ფეხკაგრული უნდა იყო? მამ, სხვანი თარეშობდნენ და შენ საგალი ბილიკიც მოჭრილი გქონდეს?

„რა დამმართა ამ მამაძალიშვილმა, მოწმარა, მომთხარა, ჩამქოლა!“

— მამ, — ჩაიციანა უცხად, — სამერმისოდაც რომ იმუქრება, — ამასვე ვიზამო. იზამს, ნამდვილად იზამს. მამ, თვითონ რაღა უნახ? ყველაზე დიდი გასაჭირი ახლა ადვას და მხნობა და მოცადობაც სწორედ ახლა მართებს, მაგრამ როგორ, თუკი გზაზე ყოველ წამსა და წუთს თვალყურაღესილი მხირი ეყოლება ჩასაფრებული და ხელის განძრევის სახხარს არ მიხეცვს? პა, როგორ? რა გზა მონახოს და საქმეს რომელი კუთხით მიუდგეს?

— ოხ, ოხ, ოხ! გასკდა თავი, გასკდა! არა, არა, ტყუილად იმტრევეს თავს, თვითონ ვერაფერს ვერ მონახავს, ვერ გადაწყვეტს, ტყინი ისე აქვს დაბინდული, რომ შიგ ერთი პაწაწინა წათელი აზრიც აღარ ჩნდება. სხვა გზა არაა, ისეე ღოღასთან უნდა ჩავიდეს და რჩევა იმას ჰკითხოს.

მართალია, ღოღასთან მისვლა და ამ ამბის გაგებინება, ძალიანაც არ უნდოდა — სესვენოდა, ოღნავი დაბრკოლება, პაწია გასაჭირი და მამინეგ ღოღა! კაცია, კაცი ქვეია და... ღოღა იხედაც სულ ამასვე აქილიკებდა, ხოლო ამას წინათ, ამკარა აგდებითა და უსეშადაც კი უთხრა:

— უნაირი კაცი ხარ, კოტე! ძველი ავტომობილივით უვარგისი მოტორი გიდვას და საწვავს ტყუილად ხარჯავ.

ეს ნახვერად ხუმრობით ნათქვამი სიმართლე კოტეს მეტისმეტად ემწარა, თავის თავს ფიცი წინცა, რომ ყველა საქირბოროტო საქმეს ამიერიდან თვითონ გადაწყვეტდა და ღოღას კითხულად თავს აღარ გაიხედა. მაგრამ ახლა მწატიე თავმოყვარე-

ბისა და თავმოწონების დრო აღარ იყო, თვით არც ეს შემთხვევა ჭკავდა წინანდელებს, რის დაბრკოლება და წინააღმდეგობა, ან დროებითი შეფერხება — საქმე მთლიანად მოწყდა საყრდენს და მთიდან დაგორებული ლოდევით უფსკრულისაკენ მიექანება, და თუ დროზე არ დაუჭერს თავს, არ შეაჩერებს ან გეზს არ შეუცვლის, ლაპარაკი არ უნდა, თვითონაც თან უნდა გადააყვეს.

რაკი ნაფის გატეხა, აღარც დააყოვნა, თანაც წასვლა და აქაურობისათვის გაცლა ახლა ჯობდა, მწყევლების ადგომამდე, თორემ ახლად გაღვიძებული მწყევლები ან ლაპარაკს გაუბამდნენ, ან რაღაც სათხოვარს მოიგონებდნენ და ზედმეტად შეაგვიანებდნენ. აგე, მგონი, ამდგარან კიდევ, — წამოიხედა და დაინახა: ნაბდებწამოსხმულეები თეობზე წამოყვლეკვლავებულან და პაპირსებს აბუტებენ. ახლავე წასვლა სხვაფრთვაც ხელსაყრელია — სოფელში დროულად ჩავა, ესე იგი, ლოლას სამსახურში წასვლამდე, და უკან დაბრუნებასაც ისევ დროზე წოპწრებს.

ცხენის ფეხის ხმაზე მწყევლებმა თავები ზევით მოაბრუნეს:

- ვინ არი, კოტეა?
- ალბათ.
- რა შეუჯდა ამ დილაუთენია?
- რას გაიკვებ, კუდდამწვარივით კი გავარდა და...

კოტეს წასვლა მხოლოდ ნოსრევანს არ გაუგია — ჯერ ისევ ყინჩი, უშფოთველი ძილით ეძინა. მალლიდან გაფერმკრთალებული მთვარის ნალევი დაჰყურებდა, ხოლო მთაგრეხილის შავი ზოლის გასწვრივ გაჩენილი რივრატის ბზარი სახეზე შეწამულ ფერს აფრქვევდა. ტურ-კბილი ისევ ღიმილს გაეპო, ვინ იცის, იქნებ ახლაც გუშინდელი დღე ესიზწრებოდა და ამ წყნარი ღიმილითაც ისევ წუხანდელ გულში ნათქვამ სიტყვებს იმეორებდა:

კარგი ვქენი... ძია კოტე ხიფათს ავა-რიდუ... უშველე...“



კოტე მოკლე, საცალფეხო ბილიკით, ქვეითად მიდიოდა, ტყეში ჯერ ისევ კუნაპეტი

ღამე იწვა და ცხენზე ჯდომა იყო. სიარული უჭირდა: ბორბალ-წირისკენ მიწლაყონობდა, თბრილებსა და დაბალ-მაღალ ადგილებში ფეხს ხან აქ ჩაჰკრავდა, ხან — იქ, ხან ორივე ფეხითაც წაიფორთხილებდა, მუხლზე წაიჩქებდა, ან ხელზე დაეცემოდა და გაჯაერებულს და სასო-წარკვეთილს გული უარესად ამღვრეოდა, ხოლო ჯაერს ისევ ნოსრევანის ლანძღვირ და მეჭარბით იოხებდა:

— დაველეჯ, დაფლეთ, დაეხრჩობო!..

მაგრამ ტყე თანდათან გასინათლდა, უკუნი გაბაცდა, გაღურწკრათლდა, გაილია და მწყანე ჩარდახის საკვამურებიდან ცის მოლილისფრო ლავეარდმა ჩამოიხედა. ციანათელს მალე შშის სხივიც მოჰყვა, ფართო ზოლებად შემოიჭრა ხეებშორის და მთელი ტყე მოცვეთვე შექ-ჩრდილების ფერხულში ჩააბა. ტყე ახმაურდა, აფუთფუთდა — სტენა, ჭღურტული, ქიკვიკი. მზუილი... ურთინი ახლად ახელდნენ თვალს. მეორენი საძილედ ეწზადებოდნენ და თავ-შესაფარიში ფაჩუნით, კრუშკრუშით და წრი-პინით იბუდებდნენ. დროდადრო მთიდან მონაბერი სიოც შემოიჭრებოდა, ტოტეის შვარხვედა, შექ-ჩრდილებს ააფორიაქებდა, აამოძრავებდა და ტყის ჭავლოვან, ფაფუკ ქოჩორს მოწრიალე ტალღად გადაჰქროლებდა.

ბუნების ეს მარადიული, ჭამიერი გარდასახვა — გამოღვიძება, ერთხა და იმავე დროს, უზრალაც და დიადიც, რაღაც-ნაირად უხვი, უზრუნველი, თავისდაშეუქმნეველად თანდათან კოტესაც გადაეღო, თვალიც და ყურაც მთლიანად ბუნების ლბინსა და მორთულობას აადგენა. მუხლში სიმსუბუქე იგრძნო, გულს ამოდ ეფონა და ფიქრიც სხვაგვარი დაეფულა: „ტყის ხმა არასოდეს არ წყდება, იგი მხოლოდ იცვლება, სულ სხვანაირია დილით — უფრო ლაღია, ხალისიანი... მაგრამ ყოველთვის ერთნაირად ლამაზი კია... თითქოს ყოველ წამს რაღაც ახალს გეუბნება, მთლიანად გისხნის გულს, მაგრამ მაინც საიდუმლოებით მოცული რჩება...“

ფიქრმა თანდათან გაიტაცა, ფრინველთა ლაღმა მიწოფრენამ, რტოთა რხევამ, ფო-

თლის შარიშურმა, სიმარტოვემ, დილის ჯანსაღმა, ტყის სურნელით გაზაფხულმა პაერმა ჯაური და ბოღმა გადაწმინდა, გულში სულ უფრო ღრმად ჩაახვედა და საკუთარი თავი და საქმიანობა სხვა თვალთა დაანახვა. ამისდაკვალად ნოშრევანისადმი მტრობა და გულის ბუხარიც რამდენადღე გაუნელდა. მართალია, ჯაური ჯერ ისევ ქქონდა, მაგრამ წყლანდელივით ხელადგებით ვეღარ ადანაშაულებდა. სიტყვა-სიტყვით იგონებდა ნოშრევანთან წუხანდელ საუბარს, მის ყოველ ნათქვამში კიუტ, მოუხელთებელ სიმართლეს ხედავდა და გულიან კუნჭულში ფარულად თვითონაც ეთანხმებოდა. მართლაცდა, რა იწებება, ყველა რომ ასე მოიქცეს? რას დაემგვანება ქვეყანა, დედაქალაქი. ადამიანები?... განა რა ნოვალეა ხალხი, რომ შენი წილი ოფლიც დეაროს და მარაქაში კი უკან მოგჩანჩალებდეს? ან როდემდე ეყოფა ხალხს მოთმინება? დათმობასაც ხომ აქვს ზღვარი, ნაპირი, რომლის იქით განკითხვის უღმობელი ხელი დევს... სად წახვალ მაშინ? ვის მოსთხოვ შეწყალებას ან რა პირით? ვის გაუწყვია ამდენი მტრობა საკუთარი ხალხის და საზოგადოებისათვის, და რონელი ყოფილა ესოდენ დამთმობი და მიმტყვებელი?... კარგი, გეყოფა, დადექ! ბოლოს და ბოლოს, ნამუსიც კი საქონელია! განაგდე მადდური, დაუდექი ხალხს მხარში — შენს ხალხს, ქვეყანას, სამშობლოს...

მთელი გზა ამ ფიქრითა და ბუტბუტით გალია, ასევე გაიარა სოფელიც და მხოლოდ მაშინლა გამოერყვა, როცა თავის გრეხილრიკლებიან რკინის მწვანე ქიშკარს მიადგა. საკუთარი სახლ-კარისა და ეზო-კარმიდანოს დანახვამ ფიქრი უმალ გამოუბერტყა თავიდან, თითქმის აკურით მოხატულ პიტალო ფასადს შეასკდა და ზედ ცერცვივით გაიბნა. ფიქრი და სინამდვილე ოტრისოდენადაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს. ამ დაპირისპირებამ ყველაფერი თავიდან მოაგონა, მარცხი და გასაჭირი თვალწინ მთელი სიცხადით, სისასტიკით დაუგუნა და გულში კვლავ შიში და ელდა ჩაუსახლა. ბოღმა და ჯაურიც ისევ წუხანდელი განმარტობით შემოაწვა.

ცხენს თოკი დაუგრძელა და მსმედობით უკიდან რიკულზე გამოაბა. კუტკარი აჩქარებით შეხსნა, იცოდა, რომ ლილი ამ დროს უკვე სანუშაოზე იქნებოდა წასული და არ დაუძახნია. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე მსუბუქად აირბინა, კიბიდან გასაღები ამოიღო, კიდური მუშაბანდის კარი შესხნა და პირდაპირ ტელეფონს ეცა:

— ალო! ლოლა ხარ? მოდი აქ, მოდი!.. პო, პო, ახლავე, ამ წუთას... გეტყვი, აქ გეტყვი! — ყურმილი დადო და მოუთმენლად დააყოლა, — ჩქარა მოდი, ჩქარა, გაგიწყვია ღმერთი!

ლოლა მართლაც მალე მოვიდა. წელში გამოყვანილი, გულამოღებულ კრული აბრეშუნის კაბა და მალაქქუსლა, თეთრი, საზაფხულო ფესსაციმელი ეცვა. კოტეს წინ მოხდენით გაუარა, ფანჯრის გვერდით ხავერდგადაკრულ, წითელ სკამზე ჩამოჯდა და სიცილით ჰკითხა:

— რა ფერი გადევს, ბიჭო, რა მოგხვლია?

— ჯერ მათქმევინე და მერე გაიცინე, — უთხრა კოტემ გაჯაერებით და ყველაფერი დაუფარავად უამბო. — პოდა, აი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე? — ჰკითხა ბოლოს.

— ო, ეს მართლაც... — ლოლას სახე გაუმტკნარდა, ანცი ღიმილი გაუქრა და თვალწარბზე ფარული შემფოთება დაემინა. იდაყვით ფანჯრის რაფას დაეყრდნო, თავიც ფანჯრისკენ მიიბრუნა, — ჩტერი შინ გაგჩენია, კოტე, — თქვა წყნარად, ჩაფიქრებით, — ხოლო მტრის შინ ყოლას გზაზე ლომის წოლა ჯობია... უნდა მოიმორო, უსათუოდ უნდა მოიმორო.

— მერე და, როგორ? — მოუთმენლად ჰკითხა კოტემ.

ლოლა მობრუნდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და კოტეს პირდაპირ შეხდა.

— როგორმე, კოტე, რაღაცნაირად... ან დაშინებით, ან დაყოლიებით.

— ეცადე, დაშინება გამორიცხულია, ნებით თვითონ არ შერება.

— რაო, რა ჭირი და სატკივარი მინდაო?

— რა მინდაო და... აკი გითხარი... აი მს უნდა.

— რას ჰქვია, უნდა! — აღშფოთდა ლოლა და ცისფერი თვალები ბოროტად დააკვესა. — ეს თავსებობაა, აგდებაა... კოტე, შენ... მე არ ჩესმის... რას ულოლიავენ ძიძასავით, ჰკარი ჭიტლავი და გამოაგდე.

— მერე, მიზეზი? უმიზეზოდ როგორ?

— კოტე, შენ იქ უფროსი ხარ თუ არა? კოტემ თავი დაუქნია.

— ჰოდა, შენი სურვილი იქ კანონი უნდა იყოს: არ გინდა, არ მოგწონს, მორჩა და გათავდა!

კოტემ ცივად ჩაიციხა.

— ვე, ვე დრო წავიდა, ასლა ისე ჰაიპარად ვედარას იხამ, ხელნასაჭიდი რამე უნდა გქონდეს, თუნდაც სულ მცირე. მააშ, ასლა ასე... გარდა ამისა, ხელთ კომკავშირული საგზური აქვს და ზურგსუკან თავისნაირების მთელი არშია უდგას. ეგენი კიდევ, ხომ იცი, რანი არიან?

— უნდა გამონახო, კოტე, მოძებნო, იპოვო. ადამიანი მანქანა ხომ არ არის, აქვს გრძნობა, განწყობა... ისე როგორ იქნება, რომ... ერთხელ გვერდზე მაინც არ გაიხედავს შედმეტად? არაფერი ეწყინება? არაფერი გაუხარდება? არ მოიწყენს? ან არ მოიღვინს? ჰა, როგორ იქნება?

— მერე ეგ რა მიზეზია? საქმეს უნდა შევხებოდეს, საქმეში კი წუნს ვერ დასდებ.

— ოჰ, კოტე, რა უნიათო ხარ. უნდა გამონახო-მეთქი, არ გესმის? იპოვი, არყოფილი, არარსებული...

კოტე შეეცბა:

— რა ქალო, ცილი დავწამო?

— როგორც საქმე მოითხოვს, კოტე, როგორც საჭიროა.

— კი, მაგრამ, — თქვა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ კოტემ. — მან ხომ ჩემი ყველაფერი იცის, მისვდა, გაიგო, ერთი ცენახოთ და... მერე?

— მაგას არ იზამს, — მოკლედ შეაგება ლოლამ.

— ვითომ რა დაუშლის?

— ასაკი, ამზნისებს ცრუ თავმოყვარეობა და სახელი ჯერ კიდევ ღირსებად მიაჩნიათ, და ძვირად უღირთ. თვითონ დაიხეება და სხვას კი არ გასცემს, სახელის გატეხას სიტყვილი ურჩევნიათ. და რომც

გაბედოს, რით დაგიმტკიცებს ხელს? კვალი უკვე წაშლილია, კოდექსში, იცი რა წერია? თუ ნივთმტკიცება არ არის, საქმე კანონს არ ექვემდებარება. სიტყვა-სიტყვით ასე წერია.

— კარგი და, ცილისწამებას დასაბუთებაც ხომ უნდა?

— არ უნდა! ხარწმუნო ნიშნებს თვითონ გაიწინეს და მერე ყალბს და ნამდვილს ემშაკიც ვეღარ გაარჩევს. ჯობი კი უსათუოდ უნდა გადატყდეს.

— შევეჭება, — მხრები აიჩეჩა კოტემ.

— ნუ ხარ-მეთქი, კოტე, გულუბრყვილო — ხმას აუწია ლოლამ, — განა ცხოვრება ადამიანთა ყოფა, ურთიერთობა, იმთავით ამთავამდე ტყუილ-მართლის დაუსრულებელი ჭიდილი არ იყო და არის, დღესაც? ამ ბრძოლაში ხან ერთი იმარჯვებს, ხან — მეორე, იმისდაკვალად, რომელი უფრო ძლიერია. ის უბრალო მწყემსია, შენ გამგე ხარ, მამასადამე, ძლიერიცა ხარ და რაკი ძლიერი ხარ, უნდა გაიმარჯვო კიდევ. გარდა ამისა, შენ თავკაციც მხარში გიდგას. არჩილი... ხომ იცი?

— ჰო, აი, ესეც, კარგად გამახსენე, საქმე მოლოდ კარგად ვერც აქ არის.

— რაზე? რა მხრივ?

— გოგო უარს ამბობს... ამას წინათ კიდევ ველაპარაკე. აი, არჩილმა ის საქმე რომ გამიკეთა... კაცს უნდა, პასუხს ელის... ჰოდა, ველაპარაკე.

— და რაო, მერე?

— გაგონებაც არ უნდა, მმ, მოჰკითხე ქალს ჰკუა.

— ვიცი, მიზეზიც ვიცი, — ლილიმ კოტეს საიდუმლო გაანდო. კოტეს ფერი ეცვალა, მთელ იმედს ასლა არჩილთან ჩქარა დამოყვრებაზედა ამყარებდა... და, აგე... ფუჰ, რა ბედი აქვს, რა დაწყველილი ბედი აქვს!

— იქნებ ქორია?

— ქორი — არა, მაგრამ... დაიცა, რა დროს ეგ არის, ჯერ მთავარი გადაწყვეტოთ.

— რაო, უყვარსო? — კვლავ გაუბედავად და შიმით ჰკითხა კოტემ, ყველაზე მე-

ტად ხიფვარულისა ეშინოდა და გაგებინ-
თანავე თავში ამან გაუღელვა.

— კარგი ერთი, რა უყვარს... ბავშვუ-
რი გატაცება, სკოლის მერმბი, არ იცი?...
ჩაღის ცეცხლსა ჰგავს, აპრილდღება და
ჩაქრება.

— მაინც რა ჯადო წელიწადია, პა? —
თქვა კოტემ სასოწარკვეთილი ხმით და
შეშაბანდში წინ და უკან სიარულს მოჰყ-
ვა, — ის არის, მოვამბა საქმეს თავს და...
აბა, აგე... გაგიწყრა ღმერთი!

— რამ შეგაშინა, ბიჭო, ვაჟაკი არა
ხარ? — სიცილით სცადა ლოლამ ჯავრის
გაქარწყვლება, — განა აქ ისეთი რა არის,
რომ...

— ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს, ქალო?
— თითქმის იყვირა კოტემ, — ამდენი
ვალი, არეული საქმე... ახლა არჩილთანაც
რომ გაუწილდე... იცი, რა მოხდება? —
აქედან ვერევე უნდა ავიყარო და სადმე გა-
დავიკარგო. დიას, დიას, ქო!

— მოიცა, კოტე, დაწყნარდი, — დაყ-
ვაგებით უთხრა ლოლამ — შიშის გამო
გეჩვენება ასე გაზვიადებულად, გონებას
ვეღარ იკრებ, თორემ არც ისე წვიმს,
როგორც ქუხს... მოდი, დაჯე, მო-
დი, დაჯე და გეტყვი, ისევ მე გეტყვი.

— აბა, აი, დაჯეკე, — კოტე მივიდა
და ლოლას პირდაპირ სკამზე მოწვევით
დაეცა, — აბა, რა უნდა მითხრა, ვერა-
ფერსაც ვერ გეტყვი.

— გეტყვი... — ლოლა წინ წამოიხარა
და კოტეს სახეში შეაჩერდა, — კოტე, შენ
ხომ გინდა, ამ დავიდარაბიდან უდავიდა-
რაბოდ გამოძვრე და საქმე სამერმისოდაც
ხელთ იქონიო?

— ოღონდაც.

— ხომ გინდა, რომ გოგოც ბედნიერად
დააბინაო და შენთვისაც საიმედო საფარი
შეიქმნა?

— მეტს არც რამეს ვინატრებდი.

— ისიც ხომ გინდა, რომ მე და შენ მა-
ლე დაგქორწინდეთ და ვიცხოვროთ ტკბი-
ლად და ბედნიერად?

— ჩემი ოცნება მხოლოდ ეკ არის.

— მაშ, წადი და, როგორც გითხარი...
აქედანვე, ასულის წუთიდანვე... შენებურ

ზოზინსა და მიზეზების რჩევას...
ყვებ, მიზეზია ყველაფერი — ყველა შემთ-
ხვევა, ამბავი, მომენტი, ყოველი გამოხედ-
ვა, აღვინა-დაჯდომა, ჩახველება. მოუნახე
ყველაფერს პირუკუ მხარე და გამოიყენე
თეთრი შავად მოუქციე, მადლი-მატლად,
გამოიწვიე, გააღიზიანე, აიძულე: ერთი სი-
ტყვიით, მოიშორე. შენ ერთი გზა გაქვს, კო-
ტე და ვინც ამ გზაზე გადაგედობება, დვი-
ძლი ძმაც რომ იყოს, სულერთია, ის შენი
მტერია და მტერი კი უნდა მოსპო, გასრი-
ხო, გაანადგურო. ან — შენ, ან — ის...

— დაიცა, ქალო, რა გაუტეი, — შეა-
წყვეტინა კოტემ, — ახლა მთლად იმასაც
ვერ ვიზამ, ნამეტანს ვერ ვიზამ, ბოლოს
და ბოლოს, ქართველი კაცი ვარ.

— რაო? ხა-ხა-ხა! — ლოლამ ცივად და
გამყინავად გადაიხარხარა, — ეგ რა
სთქვი, კოტე? რა გიგავს შენ ქართველს?
მეტი თუ არა, ოცდაათი საუკუნე მაინც
არის, რაც ისტორია ქართველებად გვიც-
ნობს, და ამ ხნის მანძილზე, სანთლით
რომ ეძებო, კაციშვილს ვერ იპოვი, რომ
შენი პრეტორი იყოს, ან ოდნავ მაინც
გგავდეს. აბა ერთი, აქ მოდი, — ლოლამ
ფანჯარა გამოაღო და სოფლის თავს, ნა-
გვიანვე ყანებში გასული კომბაინები დაა-
ნახვა. ნაკვეთის ერთ მხარეს გაღვწილი
ხორბლის მომლოდინე თვითმცლელი ავ-
ტომანქანები იდგა და იქვე ხალხიც მიმო-
დიოდა, ხალხის ერთი ჯგუფი მოშკილში
გაფანტულ ჩაღის ქალიწებს აგროვებდა,
მეორე ჯგუფი ზვინავდა, სოლო ლურჯ-
მწვანე ზერებში მივეწნახე ქალების ჭრელ-
ჭრულა ყვავილებივით გაფანტული, მოძ-
რავი თავსაფრები მოჩანდა. ხალხის ხმა და
მოტორების გუგუნი დროდადრო ნიავს სო-
ფლამდეც ჩამოჰქონდა. — ხედავ? — უთ-
ხრა ლოლამ, — აგე, ქართველები ვინ არ-
იან, გესმის, მდერაან... და მაგათ სიცი-
ლიც იციან. — ფანჯარა მიხურა და ისევ
საეერდადაკრულ სკამზე გადმოჯდა. კო-
ტემ დაჯდა. — აბა, რა გიგავს შენ მაგათ,
კოტე, — განაგრძო ლოლამ გაწყვეტი-
ლი ხაუბარით, — ხად შენ და სად ისინი!
ისინი სხვანი არიან, შენ სულ სხვა ხარ
და რაზეც ხელი აღარ მიგვიწვდება, ნურც

წაებოტინები. სულგრძელობა, კეთილშობილება, დიდხულოვნება, კაცთმოყვარეობა, სინდისი, სიბრალული, პატიოსნება, — ეს ძირეული ქართული სიტყვები შენი კუთვნილება აღარ არის, კოტე, კაცი საქმით ფასდება, საქმეშიან შენმანო... შენი საქმე კი ამ სიტყვებს ვეღარ გულისხმობ, დაივიწყე, კოტე, დაივიწყე და რაცა ხარ, ბოლომდე ის იყავი, რაკი შესტოპე, უნდა გაიტანო კიდევ.

— ქალო, შენ ექიმი ხარ, თუ განგსტერი, გაგიწყრა ღმერთი! — გაიცინა კოტემ.

— რატომ უარსიც არა ვარ. მე ისეთი ამბები გადამხდა თავს, რომ... სამ წელიწადს ამაოდ ვაწყდებოდი ინსტიტუტის კარებს... მეტე და, რა ოცნებებით და მოლოდინით მოვისწრაფვოდი... ექიმი! განწირულთა და გაჭირვებულთა იმედი, სასოება... რამდენ მოშობილავ სურათს ვხატავდი ოცნებაში... ფრადოსანი, მყოცნებე გოგონა. ყველგან და ყველაფერში სიწმინდეს, სათნოებას ვეძებდი, მწამდა... ვტიროდი, ვჭკითინებდი, მოსმენას და გაგებას ვითხოვდი, მაგრამ ამაოდ — ყველგან ქვაგული და ყრუ კედელი მხედებოდა. ასე ვეწამე სამი წელიწადი... მაშამ ვერ გაუძლო ჩემს წამებას და გარდაიცვალა. მე გავუძელი, მაგრამ... ო, რომ გამასხენდებოდა, ახლაც გული მეყინება. მეტე თანდათან გავიგე, რაც ხდებოდა და მეც იმ გზას დავადექი... მე და დედაჩემს სულს იქით აღარაფერი შეგვარჩა, საცხოვრებელი ფართობიანად ყველაფერი გავეიდეთ, დავაგირავეთ, ორი იმდენი კიდევ ვალად ავიდეთ...

— დამნაშავენი ხომ დაიჭირეს, დანაჯებს და რაღა გინდა? — ჩაურთო კოტემ.

— ღმერთმა აცოცხლოს ისინი, ვინც გული მომფხანა, მაგრამ ვალი მაინც დამრჩა: სად იყო ხალხი, საზოგადოება მაშინ, როცა მე სისხლის ცრემლი მდიოდა და გულმოკლული ყველას შველას და შემწეობას ვთხოვდი? ერთი სანუგეშო სიტყვაც არავისგან მახსოვს... მე ვტიროდი, ისინი იცინოდნენ, ახლა ჩემი ჯერია — მე გავიცინებ და იმათ იტიროს.

— ვხედავ, აღარც შენ ვოფილხარ ქარ-

თველი ქალი, — განგებ სიტყვებით კოტემ.

— მე შენ ერთხელ უკვე გითხარი — დროის პირში ვარ-მეთქი.

— პირში თუ მსხვერპლი?

— რაც გინდა, ის დაარქვი, მე რაც მომცა, იმას ვუბრუნებ. მორჩა და გათავდა.

— ქალური გაკაპახება გალაპარაკებს, — შენიშნა კოტემ.

— შეიძლება, არ გედავები, მაგრამ მიზეზიც ხომ უნდა ვთქვათ. მე ექიმი ვარ და ადამიანთა ფსიქოლოგიისა ცოტა რაღაც გამეგება. სახელმწიფო კანონის სახელით, მისი მოშველიებით ჩადენილი სიყალბე, თუნდაც სულ მეიწე, უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ასი და ათასი კერძო ხასიათის უშიშმესი სისხლის სამართლის დანაშაული. იგი მკვეთრად, თელსაჩინოდ, ასე ვთქვათ, გარედან უპირისპირდება სამართლიანობას, საზოგადოების, პიროვნების ხელშეუხებლობას კეთილდღეობას და, მასთანადამე, ჩანასახშივე განწირულია, ესე იგი, ფესვი არა აქვს. ეს კი, ღმერთმა დაგვიფაროს... სამართლიანობის, კანონიერების სამოსელში გახვეული უშიშრად დაიარება, დაძვრება, დაცოცავს, წამლავს სულს, ანადგურებს იმედს, რწმენას, სასიოებას, შიგნითვე ახდენს უჩინარ დაპირისპირებას და ხალხს, საზოგადოებას ფლეგმატურ უინტერესობრად აქცევს. ადამიანის ყველა კეთილი ზრახვა ვიწრო პიროვნულამდე დაჰყავს და ისეთ განუკურნებელ სენს აჩენს, რომლის შეღწეად დაღუპვა გარდუვალია...

— მაშ მე და შენ დაღუპულები ვყოფილვართ.

— რა თქმა უნდა, რასაკვირველია!

— კარგი და, შენის აზრით, ჩვენი შეილი რაღა იქნება? — ჰკითხა ბოლოს კოტემ.

— ჩვენი შეილი? — ლოლა წამით ჩაფიქრდა, — ჩვენი შეილი... თუ გვეყოლა და ღმერთმა მის გაზრდასაც მოგვასწრო პარველი თვითონ გამოგვეკურის ყელს, არადა.. საჯაროდ ხომ შეგვაჩვენებს და შეგვაჩვენებს.

— მაშ, ჩვენ სულ არაფერში დაგვესგავსება?

— რა თქმა უნდა, არ დაგვეშვებავს, ოდნავადაც არა... მაგრამ დავანებოთ თავი მომავალზე ფიქრს, კოტე, ჩვენ ის არ გვეკუთვნის და არც გავაჩნია, მე და შენ დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და საქმე და საზრუნავიც სადღეისო გვაქვს. ახლა ადგილი და წადი, დროს ტყუილად ნუ და ვკარგავთ. წადი და, როგორც გითხარი, აქედანვე, ამთავითვე... — ლოლამ საათზე დაიხედა და წამოიწია, — შეც წავედი, აღმათ უკვე შელოდებიან.

— დაიცა, ჯერ ნუ... ნუ წახვალ.

— რაღა გინდა?

— გოგოს საქმე მაწუხებს.

— ეგ ისევე მე მომინდა.

— არა, ლოლა, თუ მართლა ვგრეა... უყვარს... ხომ იცი, რა თავნებაა, მე კი ძალას ვერ დავატან.

— ნუ გჯერა-მეთქი, კოტე, ეგ სიყვარული კი არა, ზავშეური გატაცებაა, მირაგია. ლანდია, რა იცის ზავშემა სიყვარულისა? ვინ უნახავს? უზოკარიმიდამოს არ გახცილებია. ახლა შეიძლება სხვებისაგან რაღაცით არჩევს, კენტად ხედავს და თვალი ატყუებს, მაგრამ ქალის ბუნება მყარი არასოდეს არ არის, აბა ერთი, არჩილიც პირდაპირ დასანახად დაუდგეს თვალწინ, მაშინ ნახავ, ეგ მოჩვენება რას იხამს — დილის ნიავეით გაიჭროლებს და გაქრება. მზე რომ ამოდის, ვარსკვლავები აღარა ჩანან.

— კარგი, აჰა, ესეც შენთვის მომიინდვია.

— ისე ჩათვალე ვითომც... თქვენ, მამაკაცები, ძალიან ცუდად იცნობთ ქალის გულს. რაგინდ ძლიერადაც არ უნდა იყოს სიყვარულით გატენილი, მასში მუდამ რჩება ცარიელი ადგილი ცხოვრების გარეგანი ზარახურისათვის. არჩილს ყველა ეს საცთური აქვს — მდიდარია, სოფლის თავი კაცია და... ქალსაც მეტი არაფერი უნდა.

აივანზე გამოვიდნენ, — ხომ არ შეესულიყავით ცოტა ხანს ოთახში? — ჭკიბხა კოტემ ხმადაბლა, როცა ლოლა კიბისაკენ შებრუნდა. ლოლამ არ უყაბულა, ახლა სამაგისო დრო არ არისო, და აღარც კოტე გაჯაუტებულა. ლოლა ჭიშკრამდე ჩააცლია

და სახლის დასაკეტად უკანვე შემობრუნდა. სახეზე კმუნვის ნასახიც აღარ ემჩნეოდა — უკვე სრული იმედით გაბადვროდა, ნელა, მაგრამ მსუბუქად მიიბიჯებდა კიბის მოზაიკურ საფეხურებზე და ნაფიქრს ხმამაღლა გამოთქვამდა:

— უკ, დიდებული ქალია ლოლა. ცოტა ავია, მაგრამ თუ გააძაღლებ, რომელი ქალი არ არის ავი. სამაგიეროდ ჭკვიანია, გულზე ისეთი აქვს, რომ... და საღმრთო სჯული, რომელიც გვახწავლის ცოლი და ქმარი ერთსულ და ერთხორც არიანო — ეს სწორედ ჩემზე და ლოლაზე იქნება ზედგამოჭრილი. ჩვენ დიანაც ვიქნებით ერთსულ და ერთხორც. ეს ქალი ისევე საჭიროა ჩემთვის, როგორც ჩემი საკუთარი თავი. ამთავითვე ვგრძნობ, ვხედავ, აი თუნდაც ახლა: ერთი საათის წინ თითქოს ბრმა ვიყავ და ხელდაბორკილი დიღვეში ვიჯექი, ახლა კი თვალიც ამეხილა, ხელიც გამეხსნა და დიღვეის კარიც გამეღო... მართლაც, რომ სანატრელია ასეთი ცოლის ყოლა.

კოტემ ლოლას ყველა ნათქვამი გზადგზა რამდენჯერმე და რამდენიმენაირად თვითონაც აწონ-დაწონა, გაითვალისწინა და დააზუსტა როგორ მისდგომოდა საქმეს, რით დაეწყო და რა ეკეთებინა, მაგრამ გაკეთება არც ისეთი იოლი გამოდგა, როგორც შორიდან ჩანდა, როგორც ლოლა უხატავდა ან თვითონაც ეგონა. აი, უკვე მესამე დღე მოშუადღდა, რაც სოფლიდან ამოვიდა, დადის თუ დგას, აკეთებს რასმეს თუ უმოქმედოდ ზის, სულ ამაზე ფიქრობს, მაგრამ ხელჩასაჭიდი ჯერაც ვერაფერი უპოვია. ან რა უნდა უპოვო კაცს რა ჯაყი უნდა დასდო, როცა თვითონ არავითარ საბაბს არ იძლევა, ჩვეული სიბეჯითით ასრულებს თავის მოვალეობას — უთქმელად, დაუსარულად და არც გარეგნულად რასმეს ამჩნევს: წუხელ ჩვეულებრივ მიეხალმა, მოიკითხა და სოფლის ამბავიც გამოჰკითხა. ასევე ქნა დილასაც. სამწყსოს გარეგვის წინ, როცა წიფლის ქვეშ ჩამომჯდარს გვერდით გაუარა, გულთბილად მიესალმა და, სხვათაშორის, ისიც კი ჭკიბხა, დღეს სო-

ფულიში ხომ არ წაბრძანდებითო. აბა, რა უნდა უყო ასეთ კაცს, რა მიზეზი უნდა მოუნახოს ან წუნი რაზე უნდა დასდოს?

აზრის თავმოყრას მოვალეებზე ფიქრი და მათი ყოველ წამს მოლოდინიც უსლიდა, ტუხია და ტილა გუშინვე იყვნენ და თავიანთი წილიც წაიღეს. უსინდისოები, კაპიცი რა იყო, ისიც არ დაუთმეს, ის კი არა და, ტილამ ხელის ჩამორთმევაც არ იკადრა. სალახანა! პირდაპირ ცოფიანი მგელივით დაეტაკა:

„აკი ჩამოგიტანო? სადა ხარ? შენს მოლოდინში საქმე დავეარტე?“

„იცო, ბიჭო, რა მომიხდა?...“

„არ ვიცო და არც მინდა, მე ფული ჩამაბარე, მაიტა ჰა, ამაიღე!“

„არა, უარს კი არ გუბნები“, — კოტემ ფული ამოიღო და კიდევ სცადა დანამუხება, მაგრამ ტუხიამ სიტყვის თქმა აღარ აცალა, — „მაიტა, ჰა, ნუ მაგვიანებ“.

„მესამედი მაინც დამითმე, ბიჭო, მეც ცოდო ვარ, დაეზარაღდი“.

„არც ერთი კაპიცი! დაზარაღდი თუ... არ ვიცო. მე ჩემი ჩაგაბარე, მორჩა და გათავდა. — ფული თითქმის ძალად გამოგლიჯა ხელიდან, გადათვალა და ჯიბეში ჩაიჩურთა, — ტილას წილი?“

„ეგ მაინც მადროვეთ, ბიჭო, ცოტა ხანს დამითმეთ, დაეზარაღდი-მეთქი, დაემარცხდი“.

ტილაც იქვე ყოფილიყო, — წყაროს უკან, მაცელის ბურჯს ამოფარებოდა. იქიდან გადმოყოფ უსერდაღო ცხვირპირი და მაიმუნივით დაიღრჩია:

„დავითოს რა, ის კი არ არი! მმ, ვითომ რა გესწარჯება.“

„აგე, ხომ გესმის, ჩქარა!“ — ტილას წილიც ძალად გამოკვლიჯა და როგორც მოვიდა, ისევე გაბრუნდა — დაუმშვიდობებლად და ხელის ჩამოურთმეველად.

„გერე არ ვარგა აი, არ ვარგა, — მიაყოლა კოტემ საყვედურით, ერთმანეთი სხვა დროსაც დაგჭირდება“.

„სხვა დროსაცო? — ტუხია მობრუნდა და ტურაბზუგებით გამოსძახა, გიფი არ ვიქნებო, შენთან კიდევ საქმე დაგიჭირო, ხალხი კი არ გამოლეულა“.

აფხუს, კოტე ღონიაშვილი არის, ეს ჭეყუნის სალახანაც ამას გუბნებოდეს.

მაგრამ ტილასი და ტუხიას საქმე მაინც წვრილმანია — ერთი ამბით დაიწყო და მითვე დამთავრდა, და თვითონაც წვრილფეხობა არიან, ქურდბადაცობის მეტი არაფერი შეუძლიათ. თავი და მთავარი იაგორაა, მთელი საქმე იმასთან აქვს ჩაწყობილი და ნამდვილი მოვალეობაც მის წინაშე აკისრია. დღეს აღბათ ისიც მოვა. აი, მეგონი, მოვიდა კიდევ: ხვედიან ნული სტვენა გაისმა. კოტემ სული განაბა, სტვენა კიდევ გაეორდა, — ის არის, ნამდვილად ის არის! — კოტეს სახე მოედრიცა და ტანზე ჭირის ოფლმა დაასხა, — რა უთხრას, რა პირით ეჩვენოს? არა, არა, ვერ დაენახებება, უნდა გაფრიდოს, დაიშალოს, დღეს როგორმე გადარჩეს და ზვალისთვის იქნებ რამე მოახერხოს. — კოტე წამოდგა, დაბნეულმა მიმოიხედა და, რაკი უცბად სხვა ვერაფერი მოისაზრა, ბოსელში შევარდა და კარი შეგინიდან გამოიხურა.

იაგორამ ერთხელ კიდევ გაგრძელებულად და ძლიერად დაუსტვინა, მერე ბოსლის ზემოდან თვითონაც გადმოჩნდა და ფეხაკრფით და თვალების ცეცებით დერეფანში შევიდა. თუშური ქუდი თვალზე კქონდა ჩამოფხატული, ხელში ისევ სიგრძივ გაეცილი ნაბადი ეჭირა და ყელზე ორსამაზურიანი სახლეუო ჭოგრიტი ეკიდა.

— ვა, სად ჯანდაბას გაქრა, — თქვა სმაშალა, ჯირკვით კისერი შეაბრუნა და გაიხედ-გამოიხედა, — აქ იყო, აი, ვნახე. ჩემი თვალით ვნახე, — დაუმატა უფრო სმაშალა და ფეხათ ბოსლის კარი შეაღო:

— ა, აქ ხარ, კვილო?

კოტე ბოსლის სიღრმეში, ყველის კასრების სადგომ დიწვეზე იჯდა, დარცხვენით წამოდგა და ზელგაწვდილი შეეგება:

— ო, იაგორ, შენა? გამარჯობა, ძმაო!

— შენ, რა, იმალები კიდევ?

— არა, დამალვა რა შუაშია... ვფიქრობ.

— მერე იფიქრე, ჯერ საქმეზე მიპასუხე! რა იყო, ორი დამე მინდორში რომ მაყურყუტე? გამო, რა, კარში გამო, დამე-ნახვე!



— გამოვალ, ჰო, აბა რას ვიზამ, — კოტე გამოვიდა და იაგორას საწოლზე ნაბადი გადმოუწია, — მოდი, დაჯე.

იაგორამ საწოლს ზედ არ შესუდა.

— სადა ხარ? სად არის საქონელი?

რაკი იაგორა არ დაჯდა, არც კოტე დამჯდარა. ფეხი მოინაცვლა და ენის ბორძიკით გაუბედავად უთხრა:

— ი-იქნება... მალე იქნება.

— როგორ, — იაგორამ თვალები გადმოკარკლა, — ჯერ კიდევ არ არის?

— იქნება-მეთქი, ჰო... ძალიან მალე იქნება.

იაგორამ უფრო გადმოკარკლა თვალები და ხმასაც აუწია:

— კოტე! იაგორა ლოქაფიშვილს საქმეში ხუმრობა არ უყვარს, ვალი ჩამაბარე, არაფერი ჩამადენინო.

— კარგი, ახლა, რა საჭიროა... ვალს სად წავევალ, ჩაგაბარებ, აბა რას ვიზამ.

— ჰოდა, როდის-მეთქი, როდისღა? კოტე, თავს ნუ იგდებ, იაგორასთან უფრო არ გაგივა.

— ო, მართლა, ძალიანაც ნუ იმუქრები, — ხმას აუწია კოტემაც, — რა დიდი გულითა ხარ, მოწმევებს წამომაციენებ, თუ რა?

კოტემ ეს უფრო დასაშინებლად უთხრა, მაგრამ არ გაუვიდა. მოწმევების სსენებაზე იაგორა ზღარბივით აიბურძკვლა. ისედაც შავი სახე მთლად კუბრისფერი გაუბდა, თვალები მოჭუტა და კოტეს ბოროტად დაამტკრდა.

— მაშ, მაგის იმედი გაქვს? — უთხრა ნელა, ჩამარცვლით, კოტესთვის თვალი არ მოუცირლებია, ისე აიწია ხალათის მარჯვენა კალთა, ზონჯრიდან „ტეტეს“ სისტემის რეგოლვერი ამოაძრო, აუჩქარებლად შემართა ფეხზე და ლულა თვალებში გაუსწორა, — ჰა, იქნებ შენ წამომაციენო მოწმევები ამ უღრან მთებში?

კოტე გვერდზე მიდგა, მიხვდა, რომ ნაიქვამი ძალიან უადგილოდ და უტაქტოდ გამოუვიდა და სიცილით სცადა გამოსყიდვა:

— დაიცა, რას შერები, გეხუმრე, ბიჭო, გინა მართლა, გაგიწყრა ღმერთი... გეხუმრე.

— იაგორა ლოქაფიშვილს საქმეში ხუმრობა არ უყვარს-მეთქი, გეუბნები! — ბოროტი მზერა არც ახლა მოუცილებია და არც თვალი დაუხამამებია. — ერთი კვირის ვადას მოგვემ, გეყოფა? თუ გინდა სამდღეს კიდევ დაგიმატებ. კარგი, გაძლევ ათ დღეს, ოღონდ იცოდე: მე გროსს არ დაგვარგავ. ათ დღეში ან საქონელს ჩამაბარებ ან ფულს დააბრუნებ და მოგებასაც ზედ დაამატებ, ხოლო გაცდენილ დღეებს, ორივე შემთხვევაში, როგორც წესი, ცალკე ანაზღაურებ. მე მგონი, ნინო აქ მიანც გეცოდინება: შავი მუშა დღეში ხუთი თუმანი ღირს, ოსტატს კი ათ თუმანდაც ვერ იშოვი. ასე, რომ... იცოდე, — მოსჭერა მოკლედ და რეგოლვერი ხელში შეათამაშა, — თორემ დავას მერე აი ეს გადაწყვეტს.

— შეწყობული ჩახმაზი ნელა დაუსვა, საკეტზე დააყენა და რეგოლვერი ისევ ზონჯარში ჩაიხარა. ნაბადი მხარზე გადაიგდო ბაკის კუთხესთან ისევ შემობრუნდა, — გაიგე? — გამოსძახა მუქარით და ხვეის დამრგვ ნაბირს ნელი ზღაყუნით ჩაუყვია.

კოტე ჯერ გახევებულივით იდგა ადგილზე და მხრებჩამოყრილი ანგარიშმოუღებლად იმურობდა: — გავიგე... გავიგე... გაგიწყრა ღმერთი, გავიგე! მერე ღუნედ დაეშვა საწოლზე, ორივე ხელი თავში შემოიკრა და განწირული ხმით ამოიგმინა, — ოო, რა მიყო ამ დედა... რა მიყო, რა ცვეცხლში ჩამავადო... დაგვლევ, დაგვლეთ, დავახრჩობ...

იმ დღეს ნაკლები გასაჭირი არც ნოსრევანს ედგა — სბოები დაუბეზალაკლდა და ერთი ალთას ეცა, მეორე ბალთას.

დილიდანვე რომ ძლიერი სიცხის ნიშნები ყოფილიყო, ნოსრევანი ნახირს ველში სულ არ გამოაჩენდა — ცისვეროამდე ტყეტყე მორგაკავდა და აქაც ჩრდილებში აბოვებდა, მაგრამ დღეს საამისო არაფერი იგრანობოდა, მზე ზომიერად აცხუნებდა და ნიავიც მშუბუქად ჰქოდა, ნოსრევანი ამან გააბრიყვა და სამწყსო საშუალოდ ცისე-გალავანს ქვევით, ველში გამოშალა.

უცნაოდ ნიავი ჩადგა, მზე როგორღაც ჭარბად გავარგარდა, თითქოს შუაზე გაიხ-

ლია და დედამიწას ურინარი ღველფი და ლადი გადმოაფრქვია. ველში საქონლისთვის ყველაზე საშიში ბუზი — ბზიკი არია და ნახირის თავზე მკისე მიმოდენა დაიწყო, ხმოებმაც იმავე წამს კუდები ფშვკეს, ჯერ ერთი გამოეყო ნახირს, მეორე მეორე და ნეთე, ბოლოს დაწოლილებიც აიშალნენ და აბა — ჰე! — ფრუტუნით, ქშენითა და ვლავუნით ზოგი საით გავარდა, ზოგი საით — რომელსაც როგორც მოუხერხდა, მარჯვნივ, მარცხნივ, აღმა თუ დაღმა, ზოგი ჯგუფებად, ზოგი კენტად. რამდენსამე წამში არცერთი აღარ ჩანდა და ვაკე ტაფობს მარტო თვითონ და ძაღლია შერჩნენ.

ასე ერთბაშად გაფანტულ ნახირს, მონახვა და მოკვლევაც ძალიან სწრაფი და ხანდაუშმელი უნდა, მაგრამ საით სცადოს პირველად, ან რომელ ერთს გაგვიდოს, — საით ჯობია? — ხმამაღლა ჰკითხა თავის თავს და პირი ქვევით იბრუნა, — მეტი წილი იქით დაეშენენ, და ადგილიც უფრო საშიშია — უღრანი, უსიერი და გაუვალი.

საგზლის ჩანთა ტირიფის ტოტზე დაჰკიდა, თოფი გაცალა — ორჯერ შედიწედ, რომ ვინიცობაა, თუ ახლო-მახლო მგელი ექნებოდა ჩასაფრებული, გამფრთხალიყო და ტყე-ღრეში უშწოდ მიმოფანტულ საქონელს არ მიჰკარებოდა.

ხბოები კარგა ღრმად შესულიყვნენ ტყეში და წვრილმანებს შეფარებოდნენ, ერთად არ იყვნენ, ჯგუფად, მაგრამ არც გაფანტული ვთქმოდით. დაწყნარებულიყვნენ კიდევ, მზის გადახრამდე აქედან ფეხს არ მოიცილებდნენ.

წვრილიანში ძაღლი დატოვა და უკანვე გამობრუნდა. სიფრთხილისათვის ერთხელ კიდევ გაცალა თოფი, რომ ხმასთან ერთად ტყეში დენთის სუნიც გასულიყო, და დაღმართი როგორც ჩაიბრინა, ასევე სულ-მოუთქმელად ამოიბრინა.

— ახლა საით? — კვლავ ჰკითხა თავის თავს, როცა ისევ ციხეგორის დაფაქვზე ამოვიდა. გარკვევა ადვილი არ იყო, ხბოებს ჯერ ყველას ვერ მიეგნო თავშესაფარისთვის და ციხეგორის ირგვლივ ისევ ჯგუფ-ჯგუფად და ცალცალკე დაჭუნაობდნენ.

აგე, ერთმა ჯგუფმა აღმართი მხარეზე სერს იქით გაუნინარდა, მეორე ნოტო შევიდან ქვევით გამოიბრინა. ორი მარჯვნივ გაიბრინა, ოთხი თუ ხუთი მარცხნივ, სამი ხბო საიდანაც ქვევით ციხე-გალავანთან ამოვარდა, იმავე წამს პირუკუ შებრუნდნენ და ძველი ნამშეურისაკენ დაეშენენ.

— წადით, ჯანდაბას და იმის იქით!

ახლა რომელ ჯგუფს გაგვიდოს პირველად? რომელს უყვლოს? იმას ბომ არა, სერს გადაღმა რომ გადაიკრიფნენ. ჰო, ჯობია, ყველაზე მეტი არიან და თვლიდან არ უნდა დაკარგოს. აბა ჩქარა, თორემ თუ დაიფანტნენ, ეშმაკი ვეღარ შეაგროვებს.

აბა, ერთად არიან, ხის ქვეშ შეფარებულიან, მაგრამ კუდები ისევ აფშვკით უტირავეთ, ჩანს, ბზიკი ჩრდილშიც აბეზარობს. აბა იქნებ როგორმე მოასწროს, ზვეით შემოაპრუნოს და მუსა-იფნების ჩრდილებში შერეგოს.

ვერ მოუსწრო, თუმცა ძალიან აღარც თვითონ უცდია, რადგან ნოტოს რამდენიმე ხბო გამოეყო და ერთმანეთის მიყოლებათ ტყისკენ გაჭუნდნენ. წავიდნენ, არა უშავს, სულერთია, თავს სად შეაფარებენ, ახლა ამ დარჩენილებსაც იმათ მიაყოლებს და ყველას ერთად შერევაკს, ოღონდ ძალიან ღრმად რომ არ შევიდნენ, ტყის ნაპირას უნდა უყვლოს, წინ გადაუსწროს და დახაწყისშივე შეაჩეროს... ჰო, აი ასე, ახლა აღარსად წავლენ, აგე დაწყნარდნენ კიდევ...

— სულელებო, თავიდან ასე გექნათ. არ ჯობდა? ბუზს სად გაექცევით?

აბა, ახლა ხხვებსაც მიხედოს, უმეტესობა გორის ირგვლივ ჯერ ისევ უგზოუკვლოდ დარბის. აგე, ის კენტი ხბო ისევ გადმოჩნდა გალავანთან, ჩანს ნოტოს ასხლტა, თორემ ასე კენტად არ იბრუნდა. არა, აგერ მეორეც მოჰყვა, მესამეც. მართლაც რომ სულელია ხბო, მოზრდილი საქონელი ასეთ დროს ისულებს და ერთბირად შეცივიდება ტყეში, ესენი კი... ჰე — ბიჭო, ერთმა, ქვევით გაივრა! აბა ჩქარა, აბა ჩქარა, თორემ ქვევით ხრამია, გაჭანებული, თავს ვეღარ დაიჭერს და პირდაპირ უფლატეზე გადაილექება. თხო-ხო-ხო, რთ-

გორ გარბის, როგორ გარბის! მოუმატე, შენც მოუმატე! გადაახტი ამ ბარდს, იმასაც, დღესაც გადაახტი, გადატეხილ ხე-საც! აბა, დაბრუნდა, ისევ სხვებს შეუერთდა და ყველანი მუხა-ძელქების ჩრდილებში შეიმალნენ.

ახლა ერთი ადგილია დამრჩა მოსანახულებელი — გორს გადაღმა, ნავსაურს ქვემოთ ჩაქიდული ბარიდან-შალდაყიანი ფურდობი. დაღლილია და მანძილიც საკმაოდ გრძელი უდევს, მაგრამ დაყოვნება არ შეიძლება, ეს ნოტო სწორედ იქიდან გადმოჩნდა და ალბათ სხვებიც იქნებიან, ადგილი კი მეტისმეტად ვაგლახი და უდაბურია — მყვალვი, ძეძვი, ღიჭვი, კვალი, შამში და ხეიარა ისე ჩახლართვია ხეებს და გასულა ერთმანეთში, რომ ცხვირწინ ვერაფერს დაინახე. უნდა იჩქაროს, ხანამ ძალიან ღრმად შეუღენ და დანახვა და თვალის მოკვრა კიდევ შეიძლება.

გული ლამის ამოვარდა ბუდიდან, მუხლიც მოგვევთა, მაგრამ გაუძლო და სერი სულმოუთქმელად აირბინა, ღიჭითა და გვალ-ბარდით განაბდულ ტყემდეც სირბილით ჩავიდა. შამში თავწარგული ხბორები ერთად დააქუნა, აქაც გაისროლა თოფი — ბარდნარს ღენთის სუნი მოსდო და ველს ქვევით, წვრილიანში სულ პირველად რომ შერგვა, იმ ნოტოს დასასვლად გაიქცა.

სამი ხათი სულმოუთქმელად ირბინა, ისტუნავა ბარდებზე, ბუჩქებზე, დღევებზე, იძრომილა ჯაგნარებსა და წვრილიანებში. სახე და ხელები დაეკაწრა და სისხლმა გაემოჟონა. მერე მხრებსა და მკლავებზე დასდინდა სისხლი, რადგან ოფლმა შეაწუხა და სირბილში ჯერ ბრუნვების მოკლებამკო გაიძრო, მერე ხალათიც მიაცილა და მაისურის ამარა დარბოდა. ოფლზე ნაკაწრები უარესად ეწეოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. სირბილი და გატეხებული პირუტყვისთვის დევნა თანდათან სპორტულ ტინად გადაექცა, თითქოს დაავიწყდა კიდევ რისთვისაც დარბოდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ უნდა დასწოლდა, გაესწრო, ეჯობნა. — გაიქციე! გაუსწარი! უუღლე! დააბრუნე! აბა აქეთ, აბა იქით! სვეით, ქვევით!.. ეს შეძახილები გულს როგორღაც შედმეტად უხა-

ლისებდა, ძალას მატებდა და დასასვლად გასაჭირს იმდენად აღარ აგრძობინებდა.

დაწიოკებული ნახირი ასე რამდენსამე ადგილას საიმედოდ დააქუნა, კიდევ გაფანტვის საფრთხე მთლიანად აიცილა, მაგრამ დასასვენებლად მაინც ვერ მოიცალა. ამასობაში გამოუვრილოვა კიდევ, — მზე გადაიხარა ხვატი განულდა და ნივამაც სული ჩაიდგა. ბორა-ბუჩანკალი გაიკრიფა. ახლა საჭირო იყო, თავშესაფრებიდან ხბორების საქაროდ უკანვე გამოგვევა, რომ გადაეთვალა და გავევო, ზომ არაფერი აკლდა. გამოგვევა ველობის ქვევიდან, წვრილიანიდან დაიწყო. ისევ წელანდელი სურათი გამოვრდა და უფროც გაჭირდა: ხბორები ისე დაეშინებინა ბზიკს, რომ არაფრით არ უნდოდათ ჩრდილებიდან გამოსვლა, თავმოყრას აძნელებდა ისიც, რომ ყველა ხბო ბარდსა და ბუჩქში თავისთვის გამძვრალიყო, ერთს რომ გამოავადებდა, მეორე იქვე რჩებოდა იმას მიუბრუნდებოდა და გამოყვანილი ხბო თავს ისევ შაბსა და წვრილმანში წარგავდა. ხან ეფერებოდა, ხან დასტყვიოდა, ლანძღავდა:

— თხრებო, სამგლეებო, პატრონგაწყვეტილებო!

როგორც იქნა, გამოყარა ხბორები ჩრდილიდან, სურგადაღმიდან და გორის ქვევიდანაც გადმორგვა, სირბილსა და სიარულში იპოვა გადაყრილი ხალათი საწვიმარიც. ყველა ნოტო საბოლოოდ ისევ ვაკის დგნა-ლენთან გადმოაქუნა და გადათვალა. ორი სული მოისაკლისა, ნახირს ზემოდან მოუარა და ერთხელ კიდევ სათითაოდ გადათვალა. სათვალავში ორი სული ისევ დააკლდა. ახლა უკვე ისიც გაარკვია, რომლებიც აკლდნენ — უნიშნოდ შავი „კუმეტა“ და შე-წითლით ქრელი „ვეფხვა“, ორივე სასარე და ორივე თამამი, საბუღე ბიჩოლა.

დაკარგული საქონელი ჯერ ახლო-მახლო უნდა მოიძებნოს, — მაგრამ ტყის სარტყელში, სადაც თავშეფარებული ხბორები იდგნენ, არსად არაფერი არ აღმოჩნდა. დასაძებნი მხოლოდ ციხე-გალავნის დასაუღეთი მხარის შალდაყიანი ფურდობილა დარჩა, თუმცა ემტებოდა, რომ

ხბობებს ის გაუვალი შამში და ბარდ-გალი გაერღვიათ, მაგრამ ჩასვლა და მოთვლიერება მაინც საჭირო იყო — თუ ვერ იპოვიდა, გული ხომ მაინც უნდა დაეჭურებინა.

ფერდობი ქვევით თანდათან ვიწროვდებოდა და დიდგულებითა და ჯუჯა ხვევით დაბურულ დეღეში სამკუთხედის ფორმით იჭრებოდა. ნოსრევანს მაისურზე ბრეზუნტის ბაჭკო ეცემა, რომ ჭინჭარს კანი არ დაეშუშება, მაგრამ შამშინარში მაინც ხელებ-აწვეული მიძვრებოდა. ბარდნარს ხშირი, უღრანი ტყე მოსდევდა, შუე და სითბო მიწამდე ვერ ატანდა და მყუდროდ გრილობდა. აქ დაღმართიც წყდებოდა, მომცრო გაკეზე დიდი ხავსიანი ლოდები ეყარა, ლოდებს შორის, შირიმის შრეებში წყლის თვალი წვეთავდა და ხავსით დაფარულ გაკეზე წვრილ-წვრილ ნაკადულებად მიედინებოდა. აქ რომ ჩამოსულიყო რამე, ამ ადგილს არ ასდებოდა გაჩერებითაც აქ უნდა გაჩერებულიყო, არადა, ნაკადულებს ხომ მაინც დატოვებდა, მაგრამ არც ერთი ჩანდა, არც — მეორე.

ასლა ერთადერთი და უკანასკნელი იმედოვანი დარჩა: შეიძლება დამფრთხლები პირდაპირ ბინაში გასულიყვნენ და ბაქს შეფარებოდნენ. იცის ასე საქონელმა, ხოლო თუ იქაც არ აღმოჩნდნენ, მაშინ დაკარგულად უნდა ჩათვალოს, ნახირი ნადრეგად დაბინაგებინა და საძებნელად წასულიყო.

ნახირთან ისევ ძალლი დატოვა და ბინისაკენ პირდაპირ ტყე-ტყე წავიდა. ასე შორი არ იყო, ათ-თხუთმეტ წუთში გაიბრუნდა და გამოიბრუნდა. ხელს ხალათი და საგზლის ჩანთაც გააყოლა, რომ ვინცობაა, თუ მართლა ნახირის ნადრევი დაბინაგება დასჭირდებოდა, ზედმეტი ბარგი წინდაწინვე მოეშორებინა.

ბოსლის ქვევით, ტაფობში რომ გავიდა, დერეფანში კოტებს მოჰკრა თვალი. კოტე ბოსლიდან გამოვიდა და წელში მოხრილი ხევისაკენ წავიდა. შორიდან ისე მოგზავნა, თითქოს ხელში მძიმე რაღაც ეჭირა, ხოლო როცა ბოლო აღმართიც აათავა და დერეფანში შევიდა, ისიც შე-

ამჩნია, რომ ეკლის, კონა, რძისე კოტეს წყაროს გაკეთების შემდეგ ხვეწე ნავალი ბილიცი ჩახერგა, რატომღაც გვერდზე იყო გადაწვეული. ორივე ეს უცნაურობა — კოტეს ანჭარებული გაუჩინარებაც და ბილიცის გასხნაც, დანახვისთანავე თვალში მკვეთრად მოხვდა, მაგრამ ყურადღება არ მიიქცია. საამისოდ არც ეცალა, ხბობები არც აქ დახვდნენ და ის ერთადერთი იმედოვანი საბოლოოდ გადაეწურა. ვინ იცის, მგლებმაც გაფატრეს? დიახ, არ არის მოულოდნელი, და ეს სავარაუდოდ საფრთხე გულს ჯავრად და ტკივილად შემოაწვია.

საგზლის ჩანთა და ხალათი დერეფნის შუა ბოძზე მიჰკიდა და ის იყო, საჩქაროდ უკანვე უნდა გაბრუნებულიყო, რომ ზურგიდან უცხად ქშენა და ბურტყუნით რაღაც გაიფონა. მოტრიალდა და კოტეს გადმოკარკულ თვალებს კი წააწყდა. კოტე სწორედ იმ ძველ ნაბილიკარში იდგა, თანაც წინ წამოხრილი, როგორღაც ზედმეტად მოხიდილი იდგა და ბოროტად ქშინავდა.

— რას დაძვრები აქ, შე... შე ძალლი-შვილო! — გამოსცრა კბილების ღრტყნით და ხელებდამუშტული გამოეყანა.

ნოსრევანი ამას არამც და არამც არ მოელოდა. ამიტომ თავდაპირველად არც შეშინებია, უბრალოდაც არ შემკრთალა, მხოლოდ გაოცდა და დაბნეული და შეცბუნებული რამდენსამე წამს უძრავად და უმოქმედოდ იდგა. გონს ბოლო წამსღა მოეგო, როცა კოტე უკვე იმდენად მიუახლოვდა, რომ საცაა ზედაც უნდა სცემოდა, სწორედ მაშინ ჩასწვდა კოტეს განზრახვას, ისიც გაახსენდა, რომ ხელში თოფი ეჭირა, უცხად უკან ისკუბა, თოფი შემართა და თავისდაუნებურად ხმამაღლა დაუყვირა:

— გაჩერდი, გესერი იცოდლე!

თოფი კოტემაც ასლალა დაინახა, ჭიმაღ შედგა, უკან გადაიხინჯა და შეტორტმანდა.

— გასწი თოფი იქით, ბიჭო!.. გასწიმეთქი, არ გესმის?

— არა, არ გაგწევ.

— გასწი, ბიჭო, შე... გატენილი არ იყოს.

— დიას, გატენილია.

კოტე თოფის ტუჩის შავ ჭირილს. — ხილრმიდან ცივად მომხირალ სიკვდილის ავბედით თვალს — თავს არიდებდა, თან ჩუმრუშად დერეფნის სიღრმისაკენ მიიწვევდა და გვერდიდან შემოვლას უპირებდა. ნოსრევანი გრძობდა კოტეს წადილს და თოფშემართული თვითონაც იმ მხარეს ბრუნავდა. დერეფანში წრიულად მოძრაობდნენ და სუნთქვაშეკრულნი და მზერაგადაარაგებულნი ერთმანეთს თვალებით ბურღავდნენ.

— გასწი-მეთქი, გასწი, შენი!.. — იღრილა კოტემ და ერთხელ კიდევ მიეტია მუშტებით, მაგრამ ნოსრევანმა თოფი მარჯვედ შეაგება და უკანვე დაახვეინა.

— არ გაბედო, თორემ...

კოტეს მტისმეტი ბრაზისა და გააფთრებისაკან მთელი ტანი აუცახცახდა, ტუჩები დაედრია და დაწვებსა და თვალის უბებში ხშირი, კლაკინილი ნაოჭები დაასხდა. გვერდიდან შემოვლას უკვე აღარ ცდილობდა, გაწერებული იდგა ადგილზე, თოფს თვალს არ აცილებდა და ზამზარასავით დაჭიმული მიიმედა და აჩქარებით ქმინავდა. დაჭიმული მკლავები უცბად დუნედ ჩამოუცვივდა, სახეც უმწეოდ დაემანჭა და შეწუხებულმა საბრალო ხმით შებღავლა:

— რა გინდა ჩემგან, ბიჭო, ჰა? რას მერჩი, რატომ მითვალთვალებ?

— გითვალთვალებთ? მე?! — გულწრფელად გაიოცა ნოსრევანმა.

— აბა რა გინდა აქ, რისთვის მოხვედი?

— საქმე მქონდა და მოვედი.

— რა საქმე, ბიჭო, რა უნდა მწყემსს დღისით ბინაში?.. სადა გყავს საქონელი?

— საქონელი იქ... იქა მყავს.

— მერე, რატომ შენც იქ არა ხარ?.. ჰა, რას დაძვრები აქ, რას დაეთრევი?

ნოსრევანი ხმას არ იღებდა. ჯერ კიდევ ბოვნის იმედი ჰქონდა, და არ უნდოდა, რომ ხბოების დაკარგვა კოტესთვის გაუგებინებინა.

— არ გესმის, ბიჭო, რას გვეითხები,

— ხმას აუწია კოტემ, — რისთვის მოხვედი დი-მეთქი აქ, რისთვის? რატომ მოხვედი არა ხარ?

— საქმეზე ვარ, მამ სადა ვარ, — დაბნეით უპასუხა ნოსრევანმა.

კოტეს ისევ მოედო ბრაზი, ქმენა გაუხშირდა და ხელუბიც წვდანდელივით ძლიერად დამუშტა:

— შემომაკედები შე... შენი...

— აბა, აბა, არ შეიგინოთ, თორემ... — ნოსრევანმაც ისევ მოუჭირა თოფს ხელი.

სიმართლვე რომ ითქვას, კოტეს ამჟამად საქმისა და საქონლის დარდი ნაკლებად ჰქონდა, ახლა მხოლოდ ნოსრევანის ასე მოულოდნელად, უდროოდ ბინაში მოსვლა აშფოთებდა და მიზეზის გაგება და გარკვევა სურდა. და რაკი ჩხუბითა და მუქარით ვერაფერს გახდა, დათმობაზე გადავიდა. ბრაზი დაიოცა და ტკბილად, მოფერებით უთხრა:

— კარგი, შეილო, აი, აღარ გეწხუბები, მაგრამ თუ მართლა წმინდა სული ხარ და გუნებაში სხვა არა გიდევეს რა, რატომ არ ამბობ, რისთვის მოხვედი? ჰა, რატომ არ ამბობ?

ნოსრევანი მიხვდა, რომ ართქმა საქმეს უფრო ართულებდა და გამოუტყდა:

— ხბოები დამაკლდა... დაბუსალაკდნენ და ორი სული ხადღაც ამისხლტა. ვიფიქრე, იქნებ ბინაში გავიდნენ-მეთქი და... გამოვედი.

— აბა, გასაგებია, — თავის დაქნევით თქვა კოტემ, — აცისხლტა... ესე იგი, დაკარგე, არა?

— ჰო... და აი ჯებე.

— მამასადამე, დაკარგე, — გაიმეორა კვლავ თავის ქნევით და ხახე როგორღაც ბოროტად გაებადრა, — დაჭიმული კუნთ-სახსრებიც დაულაგდა, გაუხალვა თდა, — საქონელი დაკარგე და მე კი თოფით მესხმი თავს, არა? ჰა, ხომ არის ასე? თქვი, არის, თუ არა?

ნოსრევანი ამ კითხვამ უფრო გააოცა, მაგრამ აღარ შეპასუხებია. ისედაც დიდი დრო დაკარგა და უაზრო მტკიცება-თავისმართლებისათვის აღარ ეცალა. უცბად შეტრიალდა, — დაგვარგე და თვითონვე ვი-

პოვი, თავი დამანებე! — გადმოსძახა ზურგიდან და რა გზითაც მოვიდა, იმავე გზაზე სირბილით დაეშვა.

— მაშ, თოფს მიშვეერ არა? — დაადევნა კოტემ, — ახლა მიყურე, რას გიზამ!

ნოშრევანს ეს მუჭარა აღარ გაუგონია. ამ ნაუცბათეფად მომხდარ ამბავში უამისოდაც ბევრი რამ იყო უცნაური და გაუგებარი, მაგრამ ახლა არც ამასვე ფიქრისა და განსჯა-გარკვევის დრო ჰქონდა. იმ ერთ საწუხარს ახლა მეორეც დაერთო: რას იზამდნენ ველზე დატოვებული ხბოები? ვინ იცის, ამ ხნის მანძილზე იმათაც ისევე ტყისკენ მოუსვებს, ისევე გადაიფანტნენ და ხელახლა მოსაძებნია და მოსაგროვებელი გაუხდეს. დრო კი სადღა აქვს, აღარა აქვს.

მაგრამ, საბედნიეროდ, ნახირიც ადგილზე დახვდა და ის დაკარგული ხბოებიც გამოიჩინოლიყვნენ. ნახირი დაფერდებაზე იყო შეფენილი, ის ორნი კი ტირიფებს აქვთ, ვაკეში მოჰყვებოდნენ საძოვარს. ცხადი იყო, ნახირი რომ გაფრთხა და მიმოიფანტა, ისინი ტირიფებქვეშ დარჩნენ და ჩრდილიდან ახლალა გამოვიდნენ.

ამ ბოლო დროს ასე ძალიან აღარაფერი გახარებია, საყვედური აიცილა და ანაზღაურებაც. ესუმრები, ორი სული გამოიხამორებული ხბო! მთელი ზაფხულის ნამუშევარი არ ეყოფოდა. მაგრამ თავი და მთავარი მაინც ის იყო, რომ სირცხვილისა და ხალხის ყბაში ჩავარდნას გადაარჩა. — ვაშა, გაუმარჯოს! — გახარებულმა ასკინკილა დაუარა და ხბოები დიდი ხნის უნახავი მეგობრებივით გადააკოცნა.

იმავე წაშს ჯაფრიც გაუქრა, წყენაც ერთი წუთის წინანდელი უხიამო შემთხვევა და კოტეს უცნაური საქციელი მთლიანად და სამუდამოდ დაავიწყდა — მესხიერებას ამბის-ამბადლა შემორჩა და გულში კი არაკითარი კვალი არ დატოვებ. გული ისე დაუამდა, გაუხალისდა, რომ, როცა ტყიდან ველში გამოსული, თუთრ ცხენზე ამხედრებული და სოფლისაკენ მოკლე გზით მომავალი კოტე დაინახა, მისადმი ოდნავი გაჯაფრებაც აღარ უერძვნია, უკვე მთლიანად იყო შერიგებული და კოტე ახლოს რომ ყოფილიყო, არც დალაპარაკებას მოერი-

დებოდა — დაელაპარაკებოდას. — ვინაა ეს გულლიაღ, ძალდაუტანებლად, — წაფლანს მიზნეს ჰკითხავდა, ხბოების პოვნას ახარებდა, დედასთან რაღაცას დააბარებდა და ერთხელ სოფელში გაშვებასაც სთხოვდა.

7.

ნოშრევანის სოფელში ჩასვლას ლილიც ყოველ დღესა და კვირას მოელოდა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, კვირა-კვირას და მოლოდინი მოლოდინად რჩებოდა, პირველ ხანებში ისერიგად არ წუხდა, ალბათ ვერ მოიცალა, — იმშვიდებდა თავს, — თვითონაც ხამად არის და სამწყსოც ისეთი აბარია, რომ... თითო ხბოს კაცი დღე და ღამ გვერდით უნდა ჰყავდეს. ჩამოვა, უსათუოდ ჩამოვა.

ლოდინ-ლოდინში მეორე თვეც მიიწურა. ლილი შემოფოთებამ და მოუსვენრობამ შეიპყრო. ეს მართლაც მეტიხმეტი იყო, გაწილუბას ჰგავდა და იმდენად არ სწყინდა, რამდენადაც შეურაცხყოფდა — ქალიშვილის გულს ბევრი კი არ უნდა. სად არის აჭამდე? რატომ არა ჩანს? — სულ უფრო სშირად ეკითხებოდა თავის თავს, — განა ისეთი რა საქმე აქვს, რომ... ერთხელ მაინც, თუნდაც ერთი საათით... ვენახე. დამნახებოდა. არადა, ამბავი მაინც მოეწვდინა?

ამბის უცოდინარობა უნახაობაზე მეტად ტანჯავდა და ათასნაირ ეჭვს აღუძრავდა. ამას წინათ მამამაც საეჭუო რაღაც უთხრა: ის შენი პროტყვე ვერაფერი დიდი ვაჭკაცი გამოდგათ. „რატომ? — ფარული შემოთებით ჰკითხა ლილიმ, — ზარმაცობს თუ...“ „ზარმაცობს კიდევ და არც სხვამერიც ვარგა, უმადური ყოფილა“.

მამის ნათქვამი გულს ნესტარივით ნომივდა. „რატომ არის უმადური? ან ისეთს რას შერება, რომ...“ „ეს კითხვები და მათი გაურკვეველობა სასოწარკვეთილებაში აგდებდა ეჭვს უფრო უძლიერებდა. „იქნებ აღარ ვუყვარვარ?“ — გაიფიქრებდა ხანდახან და გულს დამციერების მძიმე გრძნობა შემოაწვიებოდა.

დღისით კიდევ ისერიგად არ უჭირდა — სამუშაოზე იყო და გულის საწუხარს თა-

ნატოლებთან საუბარსა და ურთიერთობაში იქარვებდა. საღამომით კი, როცა სამუშაოდან დაბრუნდებოდა და თავისთვის განმარტოვდებოდა, მთელი დღის ნაძალადევად. ჩაბშული ჯაგრი და ნაღველი გულში ახალი ძალით ამობოქრდებოდა და ვეკს და ფიქრს ისევ ერთმანეთში გადახლარსავდა.

ხანდახან წყლის მოტანაც აჭიწყდებოდა, ზოგჯერ კი მამიდა ელოს მოსვლამდე შინაც არ შევიდოდა. იჯდა ძელსკამზე, ეზოში, კაკლის ძირას, და სულ ფიქრობდა. ფეხებთან ერთგული ძაღლი მგელო იწეა. გონიერი პირუტყვი გუშანით გრძობდა პატრონის გასაჭირს, წუბილს, და წინა თათებზე თავწამოდებული დაბლიდან დაღვრებით ამტვრვდებოდა. ხანდახან ლილი თავზე ხელს გადაუსვამდა და გამოესაუბრებოდა:

— რა ვქნათ, მგელო, ჰა? როგორ გავიგოთ? ახ, შენ რომ შეგეძლოს...

ძაღლი თვითონაც გრძობდა, რომ შევლა არაფრით შეეძლო, კუდს ოდნავ გააქიცილებდა, წამოდგებოდა და დარცხვენალი თავს კალთაში ჩაუდებდა.

ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ჯახირის შემდეგ, წერილის მიწერა გადაწყვიტა. წერილს მეტყვევს გაატანდა. ლილი მას კარგად იცნობდა, მამამისს, სახლს რომ აშენებდა, მუხის ხე-მასალა უნებართვოდ მოატყუენინა და მათთან სადილ-ვახშამზე მერეც ხშირად დაიარებოდა. ლილიმ ისიც იცოდა, რომ მეტყვევ თითქმის ყოველდღე ადიოდა მთაში და ხშირად მწყვემთა ბინებსაც მოინახულებდა. მამა ამბობდა, ყველაფერში სანდო და საიმედო კაციაო. მამასადამე, შეეძლო ნდობოდა და იმედითაც ყოფილიყო.

თუმცა სამხილი არაფერი დაუწერია, წერილს სასკოლო რვეულის ერთი ფურცელი ამყოფინა. არ ჩამოსვლა, ამდენი ინიოთ, ამოო მოლოდინი და ამბის შეუტყობინებლობა მხოლოდ გაკვირით, ქარაგმულად უსაცყედურა. მამის ნათქვამზე, რაც ყველაზე მეტად აშფოთებდა და წერილის მიწერაც გადააწყვეტინა, კრინტი არ დაუძრავს. უფრო სოფლის ამბებსა და თავი-

ანთი ჯგუფის საქმიანობაზე სწორედ რაღაც აგულიანებდა. „სოფელში იმდენი ხილია, იმდენი, რომ... მსხალი, ვაშლი, ატამი, ნაადრევი ყურძენი და საწამიროც შემოვიდა. კლუბში ყოველ საღამოს ახალი ფილმი გადის, დღეს სწორედ ქართული კინოა „ნერგები“, ამბობენ, ძალიან კარგი სურათიაო. სხვა თუ არაფერი, ბიჭო, კინოს ნახვა მაინც არ მოგიინდა? გამოყრუვდები მაგ მთაში. ჩვენ ყოველდღე ზერებში ვართ. უკვე ვისწავლეთ, ყველაფერი ვიცით. ახლა იუმორისტულ საველე კედლის გაზეთსაც ვუშვებთ, „პირმუშა“ დავარკვიოთ, რედაქტორად მე ამირჩივს. პირველი ნომერი უკვე გამოვუშვით. ისეთი სახაცილოა, ისეთი, რომ ნახო, სიცილით მოკვდები. ნახატები აკლია, თორემ უფრო კარგი იქნებოდა. აი ერთი დღით რომ ჩამოსულიყავი და სათაური მაინც გაგეფორმებინა, კარიკატურებსაც დაგაბატინებდი, ყველაზე მეტად სწორედ ეგენი მჭირდებოდა. ჩამოდი, რა, ერთი დღით მაინც ჩამოდი...“

ამ წერილს მეტყვევს გამოუტან, — მიაწერა ბოლოს, — და შენც, თუ მაინც ვერ მოიცილი, პასუხი მასვე გამოატანე. მომწერე, როგორ ხარ, როგორ შეეწყე მთას, ფერმას. პო, მართლა, მამასთან როგორ ხარ? ხომ არ ჩნუბობთ? მომწერე, ყველაფერი მომწერე და ახალი ნახატებიც გამომიგზავნე“.

შინ კონვერტი არ აღმოაჩნდა. ფურცელი ოთხად მოკვდა, ქათიბის ჯიბეში ჩაიდო და ფოსტაში წასვლა გადაწყვიტა. ფოსტა სოფსაბჭოს შენობაში იყო, შეიძლება მეტყვევმც იქვე სადმე შეხვედროდა და ძებნა აღარ დასჭირებოდა. და, ის იყო, გამოვიდა კი ტიშკარში, რომ ზევიდან, თემშარაზე გამავალი ორღობიდან, ლოლაც გამოჩნდა. ლოლამ ხელი დაუქნია და დამიცადეო, ანიშნა.

— როგორ მინდოდა შენი ნახვა, — უთხრა ლოლამ, როცა ახლოს მივიდა და მოიკითხა, — კიდევ კარგი, არ გამასწარი.

— რა იყო? — გაკვირვებით ჰკითხა ლილიმ, რადგან ლოლას საუბარში აჩქა-

რება და შეკავებული მოუსვენრობა ემჩინოვდა.

— მამა აღარ ყოფილა შინა?

— როდის?

— გუშინ, ან გუშინწინ!

— არ ვიცი, შეიძლება იყო, არ მინახავს.

— არც ამბავი გაგვითხრო?

— არა, რა ამბავი? — შეკრთა ლილი.

— მამ, არაფერი იცი?

— არა-მეთქი, არა, რა მოხდა? — ლილიმ მოუთმენლად შეხედა.

— რა ვიცი, თქმაფე კი მიჭირს... ჰო, თუმცა... ვიღაც მწყემსი... მწყემსს, მგონი, თოფი უსვრიაო, თუ...

— თოფი? მამას? — ლილის მიტკლისფერი დაედო, ვაიმე მამა... მამა...

— არა, არა, ნუ გეშინია, ნუ, არ უსვრია, ესე იგი, ვერ უსვრია, მწყემსებს გაუკაფებიათ. მხოლოდ გაუწყვეია, ულანძღია, უვიწყებია.

— ვის? რომელს? რათა? როდის?

— კარგად არც მე ვიცი. გუშინ თუ გუშინწინ. ერთი ვიღაც ლაწირაკი ყოფილა, საშუალო სკოლადამთავრებული, ასლახანს ჩამოსულა ჯარიდან, ჰოდა...

— ვინა? ნოსრევანი? — განცვიფრდა ლილი.

— მგონი, ჰო, ნოსრევანი თუ როსტევანი... თოფი გაუღებინებიათ, ასლა ხანჯლით მისტანებია, მერე ცული აუღია, ერთი სიტყვით...

— ჰო, ასეთი იქ სხვა არაგინ არის, — თავისთვის თქვა ლილიმ და აღშფოთებით დაუმატა, — მერე და, რათათ? რა უნდოდა, სასიკვდილოს რას ფრჩოდა?

— მეც ვე არ მიკვირს? განა მამაშენს უბრალოდაც კი ვინმე აწყენინებს? ასეთ კეთილ, ალაღმართალ, უწყინარ კაცს... მაგრამ რა გინდა, — აღამიანი გარეწარი და სულწაწყმედილი რომ იქნება, — ვე არი... სწორედ, სულწაწყმედილი, — დაუმატა ცოტა მოგვიანებით და მსვრით მიმოიხედა, უფრო ახლოს მიდგა, დაიხარა და ყურში როგორღაც სისინი ჩაუღვარა, — არც ერთ ღამეს თურმე ბინაში არ ათევს, არა-სო-ღეს!

— აბა, სად არისო? — შეცვიფრებულ და გულუბრყვილოდ იკითხა ლილიმ.

— ჰმ, სად იქნება არ იცი? ახლა ზოგიერთ ფერმაში ჭალებიც მუშაობენ, ერთი ასეთი მათს მეზობლადაც ყოფილა. ჰოდა... ღამით ვინ ჩივის, დღისითაც იკარგება თურმე, შიატოვებს საქმეს და ჰაიდა! — რამდენჯერმე საქონელიც დაუკარგავს და მწყემსებს უპოვიათ. ჰოდა, ასე თურმე, — ყოველდღე, ყოველღამე. მამასაც რა ექნა? უფროსია და... გაუფრთხილებია: ნუ შერები, შვილო, ამას, თორემ შენვე იზარალებ თქო, უპატრონო საქონელს, ერთხელაც იქნება, ან მგელი მოიხელთებს, ან ქურდი და საზღაური გაგიხდება-თქო. ასე, ტკბილად, მამაშვილურად. აბა, შენ ვე მაკადრეთ? აუღია თოფი და... კიდევ კარგი, მწყემსები შესწრებიან, თორემ ვინ იცის, მოველა კიდევ. მამა, ხულიგანი, პირწავარდნილი ხულიგანი! და ურცხვი, სალახანა, ფუჰ!

ლილის მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა ის ერთგნა. სირცხვილს სად წახელოდა აღარ იცოდა. ახ, ნეტა კი ეს არ გაეგონა და!.. გული თითქოს გაუჩერდა, თვალთ დაუბნელდა და მუხლებშიც სისუსტის თრთოლევა შეუდგა.

— იქნებ, ტყუილია? — იკითხა გაუბედავად და წყალწაღებულვივით ამ ერთადერთს იმედსლა მოეჭიდა, მაგრამ ლოლამ თავისი პასუხით ეს უკანასკნელი საყრდენიც გამოაცალა. იმის დასტურად, ვითომდა, რაც ვითხარი, სრული ჭეშმარიტება იყო და აქ შედმეტი საეჭვო და სალაპარაკო აღარაფერიაო, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, მეორეხარისხოვანს გადასწვდა და ორჭოფულად უპასუხა, თან შედმეტი და-მაჯერებლობისათვის ოდნავ ჩაიციხა:

— ჰი-ჰი, არა, გენაცვალე, ტყუილი რად იქნება, როგორ იქნება, კოტეს, თვითონ უთქვამს და... მგონი, განცხადებაც შეუტანია არჩილთან, მომამორეთო. მამა, ხომ იცი, ტყუილს არ იკადრებს. შენ არ შეწუხებ, გენაცვალე, არ შეშინდე, ხულიგნობას ასლა აღარავის აპატიებენ. არჩილს მეც ვეიტყვი და... არჩილს ისე უყვარს მამა, ისეთ ღიდ პატივს სცემს, რომ... დღესვე

გამოაბანდურებს იქიდან. მააშ! არ შეწყუხდე, არ იღარდო!

მხარზე ხელი მიუთათუნა და ხაჩქაროდ გასცილდა, ესეც გარკვეული მოსაზრებით გააკეთა: ორჭოფობა და გაურკვეველობა ეჭვს აძლიერებს, დაუსტებამ კი თავლის ახელა იცის, სოკჯერ საპირისპირო მხარესაც იპოვის და თავის თავს თვითონვე გააბათილებს. ამიტომ ჭარბი ლაპარაკი ასეთ დროს საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ თუსლი, თუნდაც ერთი მარცვალი და რაკი დაეარდება, ფეხსაც უსათუოდ გაიდგამს.

ქალწულის მგრძობიარე თავმოყვარეობისათვის ეს მართლაც უბრალო რამე არ იყო. რა თქმა უნდა, მამასთან ჩხუბიც საწყენი იყო, მით უფრო, ასე სასიკვდილოდ გამომეტება, მაგრამ ჩხუბი მაინც ჩხუბია, კაცები იჩხუბებენ და შერიგებიან, გარდა ამისა, ჩხუბს მიზეზი აქვს და ხანდახან გამართლებასაც უპოვი, ამას კი არც ერთი გააჩნია, არც — მეორე. აი, თურმე რატომ არ ჩამოდიოდა. ჯანდაბას, ერთხელ რომ მაინც ჩამოსულიყო, ან იქიდან მოეწვდინა ხმა, მოკვითხა, ერთი მხრივ მაინც გასაგები იქნებოდა, თუ არა და, საწყენი და ვერ საპატიებელიც ამიტომ უფრო იყო: რა ნახა იქ ისეთი, რომ ყველაფერი დაიფიწყა, ყველაფერი დაკარგა და თავისი თავიც ხალხის სათრევად და სათითნად გაიხადა?

— მერე რათა, ჰა? რატომ? რისთვის?

განა რა იმდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც აი იმ მოხვეულში, ამ ჯეჯიშგადაფარებულ ფიცრის ტანტზე ისინდენ და ერთმანეთს გულისწიადილს უმხელდნენ. მაშინაც ეს ხანი იყო: შუე უკვე გადასცილებოდა ქედებს, დაისის მეფე:ამული კოცონიც ასევე ცხოვლად ენთო ქულა ღრუბლებზე და ბინდში გახვეულ სოფელს მალა-დან ზღაპრული ჩირაღდანით დაქანათოდა, ორღობებში ნახირი შემოდა, კაკლის ტოტებში დასაბუდებლად შეფრწნილი ჩიტები ღღურტულებდნენ და ბადის ბოლოს ზულბულიც იმავე გრძობაბოორვეით კვნესოდა, მაგრამ გულს მაშინდელივით აღარ უხაროდა, თითქოს არც ესმოდა და ვერც თვალთ რასმეს ხედავდა. გამტკნარებულ-

გაფერმკრთალებული სახე უსიცოცხლო წილას მიუგავდა, აზრის თავმოყრის ღონე არ ჰქონდა, ფიქრიც ეურჩებოდა, გარკვევით მხოლოდ ერთი რამის თქმა შეეძლო, რომ ის, რაც სულ ბოლო წუთამდე წმინდათა წმინდად მიაჩნდა, რაც სწამდა და აზარებდა, რითაც ამყობდა, სულაც ისეთი არ გამოდგა, როგორც ვგონა, არ აღმოჩნდა ის ძალა და სიმტკიცე, რასაც მოელოდა, პირიქით, ძალიან ჩვეულებრივი უბირი, უნიათო და უსახური გამოდგა, როგორღაც ძალიან უცბად, უბრალოდ გაუფასურდა, გაუხეშდა და ის სილამაზე, ხალხის და მომხიბვლელობაც მთლიანად დაკარგა.

— ჰოდა, რათა-მეთქი, რათა? რისთვის?

ეს ლოლას რომ არ ეთქვა, ან საერთოდ მის ყურამდე არ მიხულიყო. კიდევ იმდენად დამამბირებელი და შეურაცხმყოფელი არ იქნებოდა. ლოლა — მომაგალი დედინაცვალი, ლილის — მომაგალ გერს მტრად და მოქიშპედ მიაჩნდა, და გულში მისადმი უნდობლობას მალავდა. თავის მხრივ ასევე იყო ლოლაც. მიუხედავად გარეგნული კეთილგანწყობილებისა, ლილისთან ურავითარ სიახლოვეს და სითბოს ვერ გრძნობდა. ის არც შეილი იყო, არც თანატოლი, მაგრამ აღარც უცხო ეთქმოდა, რის გამოც მათ შორის ერთი გარკვეული დამოკიდებულება არ ხერხდებოდა. მართალია, ლოლას ლილასადმი ბოროტი განზნახვა არასოდეს ჰქონია და არც მის მარცხსა და აუჯს როდისმე ინდომებდა, მაგრამ ქალურ გაჭორვა-გაკენწვლასა და გაღიზიანებაზე თავს მუდამ ვერ იკავებდა. ლილიმ ახლაც ცხადად დაინახა ოსტატურად შენიღბული ის ღვარძლი და შურიანი სისარული, რითაც ლოლა ნომრევანის ამბავს უყვებოდა. მმ, თავი კი ისე ეჭირა, თითქოს არ იცოდა, ვისზე ელაპარაკებოდა. განა ამასწინათ თვითონვე არ უთხრა, ყველაფერი ვიცო. აი, სწორედ ეს იყო ლილისთვის შედმეტად საწყენი და თავსაც დამცირებულად ამიტომ უფრო თვლიდა.

არ უნდა და, არც მე მინდა! ჰო, აი ვერე!... აღარ მინდა, — თქვა ხმაბლდა, გა-

ჯაგრებით, სწრაფად წამოდგა, წიღან დაწერილი წერილი, რომელიც ჯერაც ისევ ქათიბის ჯიბეში ედო, ნაკუწებად აქცია და ღუმელში შეუძასა. მაგრამ წერილს თითქოს გულიც თან შეაყოლა, მარცხენა მკერდში მტკივნეულად რაღაც აეწვა, შეურაცხყოფის სიტლანქვე უფრო ძლიერად იგრძნო და წამწამებზე ცრემლის ორი მსხვილი კურცხალი დაგვიდა.

* * *

მაგრამ ნოსრევანმა მეორე თუ მესამე დღეს წერილი მაინც მიიღო — დედის წერილი. ყველ-ხატოს გადასაზიდად ამოსულ მეურმეებს ამოუტანათ და იოთამისათვის დაეტოვებინათ.

რამდენადაც გაახარა დედის წერილმა, იმდენად გულიც ატკინა. მოკითხვისა და ნასების ნატურის შემდეგ დედა პირდაპირ საქმეზე გადადიოდა. როგორც ჩანდა, ამბის გაგებისთანავე მიუჯდა საწერ-კალამს და რაც აზრად მოუვარდა და ენაზე მოადგა. ყველაფერი ერთბაშად გადმოაფრქვია. შიგ დატუქსავაც იყო, აღერსიც, წყრომაც, მოფერებაც, გულისტკივილიც და საყვეთურიც, მაგრამ წუბილი და შემოფოთება. ასევე — შიშიც, ყოველ სტრიქონსა და სიტყვაში გამოკრთოდა.

„ჯერა და აღარც მჯერა, — სწერდა დედა, — ან როგორ დავიჯერო: თავზე მთლად ხელი აიღოო, საქმეს ყურს არ უგდებსო, კერძო საქონელი აიბარაო, და ათახი ჯანდაბა და დოზანა. ჰო, აი, კიდევ: სამწყსოს უპატრონოდ ტოვებსო, მე თოფით დამედევენაო, არ მინდა, დავიჯერო, მაგრამ რა ვქნა, ვე კაცი თურმე ისე დაბეჯითებით ლაპარაკობს, რომ... რამ გადაგრიცა, ბიჭო, რამ შეგშალა? შენ აქამდე არ იყავი ასეთი და მანდ რა ღმერთი გაგიწყრა, ბიჭო? გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა?... ო, ღმერთო! გული აი, ლამის გამისკდეს, ლამის ბუდიდან ამომივარდეს“...

ეს ადგილი ორჯერ გადაიკითხა და ორჯერვე ტანში სირცხვილის უსიამო ფრუანტელმა დაუარა. ასეთი სააუგო, დამამიგრებელი მითქმა-მოთქმის გაგრცელება, ჭიბუკისათვის სირცხვილის საკამო მიწეში იყო,

მით უფრო იქ, სადაც სიყვარულიც გვეხვევა. მაგრამ წყენა გულმა ძალიან გვიან იგრძნო. თავდაპირველად მხოლოდ უსიამო განცდილება და გაუგებრობა დაეუფლა: განა ასეთი სათვალდათვალო ტყუილის გამოგონებაც შეიძლება? როგორ მისცა თავს ნება ძია კოტემ და ეს სახიზღარი სიყრუე იკადრა? ან რის სამაგიეროდ? მართალია, იმ საღამოს შემდეგ, ნოსრევანმა ყველაფერზე უარი რომ უთხრა, მათი ურთიერთობა რამდენადმე დაიძაბა, მაგრამ ერთმანეთისადმი მტრობაში არ გადაზრდილა, ყოველ შემთხვევაში, კოტე საამისოს არაფერს იმჩინებდა. პირიქით, თითქოს ბედს შეეგუა და ნოსრევანის სიმართლევც საბოლოოდ იწამა, ისევ ერთად იყვნენ და ერთმანეთსაც ჩვეულებრივ ელაპარაკებოდნენ, ხოლო ის ერთი წაჩხუბება, ამას წინათ ღერუფანში რომ მოუხდათ, სათვალავში ჩასაგდებად არ ღირდა. ის არც ყოფილა ჩხუბი, პაწია, ნაუცბათევი გაუგებრობა მოხდა და ესეც ისევ კოტეს ბრალი იყო — ნოსრევანს დანახვისთანავე ცოფიანივით დააცხრა და დალაგებით თქმა არ აცალა. ახლა კი ავე, თოფით დამეხსნა თავს და მოკვლას მიპირებდაო. ეს კიდევ არაფერი, ის მაინც რა პირით თქვა. კერძო საქონელი ჩაიბარა და კოლმურწინობის საძოვარს აქირავებსო? ღმერთმა ხომ იცის ვინ რა ჩაიდინა და ვინ ვისით როგორ სარგებლობს. კიდევ კარგი, ის ანაბარი ხბოები მეორე დღესვე გაარეკვინა და დროზე მოიცილა თავიდან, თორემ ვინ იცის, პირზე დასდგომოდ. სადაც ეს იკადრა, განა ის კი გაუჭირდებოდა? მეტე და, ის კაცური კაცობა, გამტანობა, ვაჟაკობა და სინდისი საღლაა, ყოველ წუთს ენასა და პირზე რომ აკერია? მართლაც რომ ძნელი საცნობი ყოფილა კაცი, თითქოს მრავალკეც დოლბანდშია გახვეული და ვერაფრით ვერ გაიგებ, რას მალავს ამ ნაკვეცებს შორის. თითქოს იცნობ კიდევ, დღე და ღამე შენს გვერდით ტრიალებს, ზედაც, გზედაც, გესაუბრება და შენც გისმენს, იცი, რა უნდა, რა მოსწონს, რა უამს და რა არ უამს, იცინის, ნაღვლობს... ერთი სიტყვით, იცნობ, გწამს, გჯერა იცი, ვინც არის რაც არის, მაგრამ ერთ მშვენიერ,

თუ დაწყველილ დღეს, მთელი შენი ცოდ-
ნა, ამდენი ხნის ნაგროვალი და ნაკოწი-
წარი თავდაყირა შევიტრიადღება და
სინამდვილე სულ სხვა სახით წარმოვიდ-
გება. პირზე ერთი რაღაც ახატია. ენა,
ერთს ამბობს და გულში კი სრულიად სა-
პირისპირო რაღაც დევს. რაც თვალით
ჩანს, იმას გულამდე არასოდეს მიუშვებს.
ხოლო რაც გულში დევს, იმას ზეპირ არ
გამოიტანს. მოდი ახლა და, გაუგე! მართ-
ლაც, რომ ადამიანი შეინიდან ყოფილა
ჭრელი და გველი გარედან!

წყენამ თანდათან განდევნა გაცემა,
თანდათან დაიჭირა თავისი ადგილი და
გულში რიყის ქებასავით მკვრივად ჩაჯდა,
მაგრამ ისე იყო დაბნეული და განადგურე-
ბული ამ მოულოდნელი ცილისწამებით,
რომ აღშფოთებას ვერ ახერხებდა. ყველა-
ფერს იფიქრებდა, დაიჯერებდა, მაგრამ თუ
კაცი ასეთ ურცხვ, უტიფარ სიყალბეს იკა-
დრებდა, არაფრით არ ეგონა. ხანდახან
ეჭვიც კი ეპარებოდა, ხან სულ არ სჯერო-
და და თითქოს იმ იმედით, ეგების სასი-
კეთო რამე აღმოვაჩინოთ, წერილში გაფა-
ციცებით იყურებოდა, მაგრამ იქ ყველაფე-
რი სიტყვა-სიტყვით და გარკვევით ეწერა.
არა, დედა ტყუილად არ დაწერდა — არ
უყვარს ჭორის ჰაიპირად აყოლა, დედას
არც ხელი აქვს ასეთი, მრგვალი ჩაწიკწიკე-
ბული ასოები იცის, ეს კი ბატისფეხურს
უფრო ჰგავს და აზრი და წინადადებებიც
დაულაგებელია — ზოგან შუა ადგილზე
წყდება და ერთხელ ნათქვამი ისევ თავი-
დან მუორდება. მაგრამ წუხილი, წყენა და
აფორიაქება კი ბოლომდე უცვლელად გას-
დევს.

„სხვაე არა იყოს რა, შენი ტოლებსა
მრცხვენია. ისე გაგზარდე, შენზე აუცი არა-
ვისთვის მითქმევენებია, და შენით რაღად
უნდა ათქმეინო, ბიჭო? — კაპასად კეით-
ხებოდა დედა, — ან სხვისი ოხერი რად
გინდა, რა საკადრისია, რა გაკლია ისეთი,
რომ თავი სხვათა სამათხოვროდ გაიხადო?

— წერილი მუდარითა და აღერსიანი საყ-
ვედურით თავედებოდა, — დედა ვარ, შეი-
ლო, და გული მიწებს, გამაგებინე, რა ამ-
ბავია შენს თავს, გებეწები, გემუდარები,

ჩამოდი, ჩქარა ჩამოდი და გაბეწეებოდე და-
მენახვე მაინც, თვალთ და მენახვე“.

— შენი თანატოლებისა მრცხვენიაო, მაშ,
ჭორი უკვე მოსდებია სოფელს... რა თქმა
უნდა, ლილის ყურამდეც მივიდოდა... —
დედის შემდეგ ყველაზე მეტად ლილის წი-
ნაზე რაცნდა თავს მოვალედ. მაგრამ ახლა
ეს გრძნობაც თითქმის სანახევროდ გაუნე-
ლდა. ვინ იცის, იქნებ არც ლილია ისეთი,
როგორც ჰგონია, ან აქამდე ეგონა? იქნებ
ლილიც ის არის, რაც მამამისია? შეილი-
რომ მამას ჰგავდეს, ამაში საკვირველი არა-
ფერია: დედა ნახე, მამა ნახე... თუმცა ჩას-
ვლით მაინც ჩავა და ნახავს, ხვალ სწორედ
კვირა დღეა და შინ დახვდება. ნახირს
დილაუთენია გაუშვებს, აღრიანადვე მოაძ-
ლებს, მერე შეყრის გალაყანაში, გადაულო-
ბავს კარებს და წავა. ჯერ დედას დაამშვი-
დებს, ეტყვის, რომ ყველაფერი, რაც გაი-
გო, აყვია ხალხის მიერ გაქენებული და
გაზვიადებული ჭორია, რომ ამისი მსგავს-
იცი არაფერი ყოფილა და არც შემდეგში
იქნება. სიმართლეს მხოლოდ ლილის ეტ-
ყვის, გაუმხელს ყველაფერს დაუფარავად
და თან სასტიკად გააფრთხილებს, რომ კო-
ტეს არამც და არამც არ გაუმხილოს, არც
რაიმეთი აგრძნობინოს, რა საჭიროა, სანამ
ფერმაში თვითონ იქნება, ძია კოტე მსგავსს
ვეღარაფერს ჩაიდენს, ხოლო მანამ არ მო-
იწლის და საბოლოოდ და სამუდამოდ არ
ჩამოშორდება ხელმრუდ საქმეს, ფერმიდან
ფეხს არ მოიცილებს.

ამ აზრმა ისევ დაამშვიდა, წონასწორობა
აღუდგინა და ძველებურადვე გაახალისა —
ისევ გრძელდებოდა ჩუმი ბრძოლა, რომ-
ლის შედეგად თავმოსაწონარი და საქება-
რი გამარჯვება ელოდა. წერილი ხალათის
კიბეში ჩაიდო, მსუბუქად წამოდგა, საწყე-
ლელი აიღო და ბაკისაკენ მიმავალ, ხელ-
საწველელიან მწყემსებს შეუერთდება.

• • •

ნოსრევანი სოფელში პირდაპირი გზით
არ შესულა. მარტო იმიტომ კი არა, რომ
კოტე იქ ეგულებოდა და არ უნდოდა, სა-
დმე გადაჰყროდა, არც ხალხის თვალში
მოხვედრა სურდა. უფრო ერთდებოდა

ტოლ-სწორებთან შეხვედრას, სხვა თუ არა-
ვინ, ისინი ამბავს უსათუოდ გამოჰკითხა-
ვდნენ და არც მოეშვებოდნენ, სანამ სიმარ-
თლეს ძირისძირობამდე არ ათქმევინებ-
დნენ. მართლაც თქმა კი ყველაფერს სა-
ამკარაოზე გამოფენდა და ასე კარგად და-
წყებულ საქმეს და ჩუმი ბრძოლის მაცდუ-
ნებულ ჩანაფიქრს მთლიანად ჩაუსლიდა.
ამიტომ დასაწყისშივე ხელმარცხნივ გა-
დაუსვია, დაშრალი რიყის ნაპირს ჩაუ-
ყვა და სახლსაც და სოფელსაც ბოლოდან
მოუარა.

დედა შინ არ დახვდა. შორეული ჭი-
შკარის ღრიჭოდანვე დიანაბა კილოიანის
ტოლი ნაცნობი გირის კლიტე, რომელიც
მძიმედ ეკიდა სახლის კარს და მთელს
უხო-კარმიდამოს პირქუშ, მიუკარებ შესა-
ხედაობას აძლევდა. სიციხით დაშინებუ-
ლი ქათმები სახლის გვერდით მდგარ თუ-
თის ჩრდილს შეფარებოდნენ და მტვერში
ფურტკნაობდნენ. მთიდან ჩამოსულს სო-
ფელი თვითონაც გახურებულ თონედ მო-
ეჩვენა — ხეებს ფოთოლი შეტკნობოდა,
ღობის ძირობაზე ჩარიგებული ყვავილნა-
რი მთლიანად გაძრვავილიყო, ნიაფი არ
იძვროდა და დამსკადარ დედამიწას ბუღი
და ოხშვიარი ახლიოდა.

გასაღები, ალბათ, საფენქვეშ იდებოდა,
რაც თავი ახსოვდა, სულ ეს კლიტე-გასა-
ღები ჰქონდათ და თუ როდისმე კარს და-
კეტავდნენ, გასაღებს მუდამ აქ ინახავ-
დნენ, მაგრამ სანამ აივანზე ავიდოდა და
კარს გააღებდა, ჯერ ღობეზე გადადგა და
მეზობლის ბებერს გადასძახა:

— თუკლე ბებო, ხომ არ იცი, დედალე-
მი ხად არის?

— რომელი ხარ, შეილო, ნოსრევანი
ხარ? — დედაბერი სანიბქვეშ სამიწეხა
სკამზე იჯდა და ღობიოს პარკებს არჩე-
ვდა. გაჭირვებით წამოიშარათა, — აბა,
ერთი, ახლოდან დამენახე, როგორ შეეწვე
მთას, — შავი კაბის კალთა ჩამოიბე-
რკვია. რამდენიმე ნაბიჯი ვალმოოჯა და
თვალეზე დამჭკნარი ხელი მოიწრდილა,
— პოო, მოკვდნია, აი ფერიც ისეთი გა-
დგეს, მწყემსური. მაშ, როგორ შენ და შენი
საქმე?

— კარგად, ბებო, ძალიან კარგად...
— დედაშენზე მეკითხებოდი, არა, შე-
ლო? არ ვიცი, დილას მგონი, აქ ტრია-
ლებდა... არა, დაცა, რას ამბობდა?...
პო, მომაგონდა: საახალწლო ბურჯაკის ყი-
დვა მინდა და გაღმა უნდა გავიდუო-
ე ჩვენიბიანთ სიკო და იმისი დედაკაციც
მიდიოდნენ... პო, პო, მახსოვს, დილას ერ-
თად წავიდნენ.

ნოსრევანი უკან გამობრუნდა, კარს
კლიტე ახსნა და შინ შევიდა. ოთახში
მყუდროდ და სასიამოვნოდ გრილოდა. სი-
გრილეს თითქოს საგულდაგულოდ დახე-
ხილ-დაწმენდილი კედლები და ჭერ-იატა-
კი ქმნიდა. ყველაფერი კრალეზდა-ჭურ-
ტლისა და ტანსაცმლის ძველმოდური კა-
რადა — შიფანერი, კუთხეში მიდგმული
თითბრის ზარნიშნიანი მზითვის სკივრი,
ჯეჯიშგადაფარებული მუხის სარატული
ტახტი და დედისავე ნაშითვი, ალბათ
საუკუნის წინანდელი რამდენიმე ცალი ვე-
ნური სკამი. დედას უწამოდ უყვარდა სი-
ფაქიზე და სახლ-კარი შიგნით-გარეთ მე-
დამ დაგვილი და მილაგებული ჰქონდა.

ას, ასლა რომ შინ დახვედროდა! თუ-
მცა სათქმელს მაინც ეტყვის, წერილს და-
უტოვებს და ყველაფერს გააგებინებს, და-
ამშვიდებს.

დილას უსაუზმოდ იყო ბინიდან გამო-
სული და შიოდა. საბურჯერე კარადაში,
შოთებთან ერთად, გუდის ყველიც აღმო-
ჩნდა. დედას ესეც ჩვევად აქვს — ოჯახ-
ში გუდის ყველს არ გამოიღვებს, პური კი
ალბათ წუბულ გამოაცხო, რადგან ჯერ
ისევე თბილია და სუნიც გახურებული თო-
ნისა უდის.

ყველი და პური ფეხზე მდგარმა ჩაკბი-
ჩა, მერე განჯინიდან რვეული და ფანქარი
გამოიღო და დედას მსხვილი ასოებით ნა-
წერი წერილი დაუტოვა, რომ ის, „რაც
აქ ოქმულა და გავრცელებულა, ყვე-
ლაფერი ტყუილია, ყველაფერი მოგო-
ნილი ჭორია და მართალი და დასაჯე-
რი ერთი სიტყვაც არ არის. თუ რატომ და-
რისთვის, ამას მერე გეტყვი. ამჟამად კი
დედი, არა თუ მემღერეიან ჩემი უფრო-
სი ამხანაგები, პირიქით, ჩემით შედმეტად

კმაყოფილნიც კი არიან. თვითონ მეც ასე ვარ, არასოდეს ასეთი კმაყოფილი არ ვყოფილვარ ჩემი საქმიანობისა და ამაზე კარგად არც თავი როდისმე მიგონებნია. არ დაიჯერო, დედი, ერთი წამითაც არ დაიჯერო, რომ მე სათაჯილოს რასმეს ჩავიდუნ, ან აუგს ვისმეს ვათქმევინებ. არა და არა! თვითონაც რომ ვიკადრო, შენ მაინც არ გაკადრებ. შენ ხომ გჯერა ჩემი? ჰოდა, ახლაც დამიჯერე.“

რვეული გადაშლილი დატოვა მაგიდაზე. კარს კლიტე დაადო და სოფელს ისევ რიყის მხრიდან აუყვა. მიხვეულ-მოხვეული, ვრუ ორღობებით აუარ-ჩაუარა კოტეს სახლს და შორიდან ფრთხილად დასვერა: ცხენი ჭიშკართან არ აბია, მაშასადამე, კოტე შინ არ ჩანს, ლილი კი ალბათ შინ იქნება, რა თქმა უნდა, აბა კვირა დღეს სად წავიდოდა? თუმცა სიფრთხილე მაინც საჭიროა. ვინ იცის, იქნებ მაშინდა ელო ახლდეს თან, ანდა კოტეც შინ იყოს, ცხენი ბალახზე ჰყავდეს გაყვანილი და თვითონ სახლში ტრიალებდეს, ძია კოტეს ვერ დაენახვება, ბოლო სათქმელს სხვათა თანდასწრებით ვერ ეტყვის. ამიტომ ჯერ თემშარა უნდა გადაჭრას და დაბურული, უწყლო დეღე გაიაროს, რომ კოტეს, ეზობაღს ბოლოდან მოექცეს, იქიდან ღობეზე გადავიდეს და სახლი და კარმიდამო ერთხელ კიდევ ყურადღებითა და გულდაჯერებით დასვეროს.

ძძვის ღობეს მსუბუქად გადაახტა და ეზოდან ბაღში შემოსასვლელი ბადურა კარისაკენაც ასევე ფრთხილად და უსმაუროდ გააბიჯა. ჯერ ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ ბაღის რიკულეზიან გალავანს. მგელო გადმოველო, ჩუმი წყმუილით მიიბზინა და წინა თათებით გვერდზე აეტკოტა. ნოსრევანმა თავზე ხელი გადაუსვა და ყვითელ თვალეში ჩახედა:

— შე მართლა მგელო, როგორ გაიგე, რომ მოვედი, გუმანით მიხვდი, თუ დამინახე?

მამ ლილი შინ ყოფილა, აგე, თვითონ ისიც, ეზოში მის მეტი არაფერ ჩანს, სახლის ყველა კარი გამოსურულია და არც აივანზე ვინმე ჩანს. მაშასადამე, მარტოა.

კაკლის ქვეშ, ძელსკამზე სარეჭოს ტყუპი შეტოდგანს და რალაც თვთრ ნაჭერს გაჯავრებულეით ღონიერად ჭუჭყავს.

ლილი ზურგმეტყვეით იღებ, წინწახრილს ისედაც დამოკლებული საშინაო კაბა წამოსწივდა, ტალღოვანი თამც წინ ჩამოშლოდა. ნოსრევანს გული გამალეებით უცემდა და გაღიმებული ფეხაკრეფით უახლოვდებოდა, მიახლოებას განგებ აყოვნებდა, უცაბედი შესვედრის გახანგრძლივებული მოლოდინი კიდევ აკრთობდა და კიდევ უხაროდა, თითქოს წინაწარვე იცოდა, როგორც შეგვებებოდა ლილი—აღფრთოვანებითა და ხელგაშლილი სისხარულით, და ჩანაფიქრსაც უასათუოდ გაუგებდა, მოუწონებდა. მართალია, კოტეს ბოლო საქციელმა ლილისადმი რამდენადმე შეურყია რწმენა, მაგრამ ახლა, როცა კვლავ ახლოდან შეხედა, იმ ვჭეხა ნატამალიც აღარ შერჩა. არა, არა, რამ აფიქრებინა, რამ მოაგონა... აგე, როგორია, ანგელოზი, ციური ანგელოზი...

წყლის ჭყაბუნში ლილის არც მოახლოებული ნაბიჯების სმა გაუგონია და არც მგელოს გამბული წყმუტუნი. მგელო თვითონ გაფარდა წინ და ზურგიდან შეუყვფა, თითქოს და, რა დროს რეცხვავა, შემოხედე, ვინ მოვიდაო.

ლილიმ მართლაც მოისედა, უფრო იმიტომ, რომ ძაღლი დაეტკუქა, მაგრამ სმა ყვლშივე ჩაუწყდა. ლოლასაგან ისე იყო ჩაგონებული, რომ ნოსრევანის ნახვას სეზონის დამთავრებამდე არაფრით აღარ მოელოდა და ამ ნაუცბათემა მოულოდნელობამ ძალიანაც შეაკრთო, შეაცბუნა, სახეზე მიტკლისფერი დაედო. თვალეში გაუფართოდა, თხელი ნესტოები დაებერა და სუნთქვა გაუსშირდა. ლილის ასეთმა შესვედრამ ნოსრევანიც შეაცბუნა, მაგრამ არ დაიშინია და რამდენადაც კი შეძლო, ძალდატანებული ღიმილით ჰკითხა:

— რა, გეწყინა ჩემი მოსვლა?

ლილი ამ ორ თვეში უფრო გაზრდილიყო, დაქალბულიყო, წვივ-თეძო დასრულებოდა, მკერდიც უფრო წამოზურცვოდა, სახე გარუჯოდა და შუბლსა და დაწვის თავებზე მზის ჭორფლისფერი ლაქები დას-

დებოდა. ნოსრევანმა კითხვა გაუმეორა:

— აა, გეწყინა?

— განა შენ კიდევ აქ მოგვესვლემოდა?

— მოგვიანებით კითხვითვე უპასუხა ლილიმ და ცივად და დაჭინებით დაამტკვრა.

— ვითომ რატომ არა? — კვლავ გაუბრალოება სცადა ნოსრევანმა.

— კარგად იცი, რატომაც.

— შე არაფერიც არ ვიცი, რაშია საქმე?

— არ იცი?

— არ ვიცი.

ლილიმ ერთხანს ისევ ხანგრძლივად და დაჭინებით უყურა, მერე დაღრეჯით ჩაიციხა და სარუესზე დაიხარა.

— წადი, ახლა, წადი, გეყოფა!

ლილის პასუხმა ნოსრევანიც გააჯავრა და ცოტა არ იყოს, თვითონაც უკეშხად ჰკითხა:

— რა, მაგდებ?

— განა ღირსი არა ხარ?

— რაზე? რათა? ჯერ გაიგე და მერე ილაპარაკე.

— უკვე საკმარისი გავიგე. მეტი აღარ მინდა, — მოკლედ მოუჭრა ლილიმ და სარუესი ღონივრად ჩაქვტყა.

— პოდა, რა გაიგე, თქვი!

ლილიმ არ უპასუხა, თითქოს ვერც გაიგონა, ნოსრევანმა კითხვა გაუმეორა, ლილიმ არც ამჯერად უპასუხა, წელა, აუჩქარებლად ამოწურა წვილონის მოვარდინხრო. გულმოქარგული ჭალის პერანგი და სკამზე ჩამოღო. მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ხმა — ტურები დამანტა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— კმ, არც კი სცხვენია.

— რისა უნდა მრცხვენოდეს? — ნოსრევანსაც გაუწყდა მოთმინების ძაფი, მხარზე მისწვდა, თავისკენ შემოაბრუნა და თითქმის უყვირა, — თქვი, პო, ბოლომდე თქვი!

ლილიმ მხარი ხელის გაკვრით გააშვებინა და მწყურლად შეხედა, — კარგი, გეტყვი, რაკი არ გრცხვენია, თვითონ გეტყვი, — საპნიანი ხელები წინსაფარზე შემშრალა და რაც ღოღასაგან ჰქონდა გაგონილი, ყველაფერი ერთბაშად და სხაპასუპით მიაყარა. მხოლოდ დამღამობით

სადღაც თუ ვიდაცებთან სიგელზე იჯდა ფერი უთქვამს. ეს იმდენად შეურაცხყოფილი იყო, რომ გახსენებაც კი გულს ურევდა. — ააა, აი, ახლა ხომ გაიგე? — დაუმატა ბოლოს და ტურაბუებულმა გვერდზე გაიხედა.

ნოსრევანს ამ ნათქვამიდან ბევრი რამ ენიშნა, მიხედა, რა ბრალდება საიდან მოდიოდა, რა იყო გადასხვაფერებული და რაზე იყო აკოკლებულ-აგებული. იმაშიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყველაფერი ეს კოტკეს მოჭორილი და გაურცლებული იყო. რა თქმა უნდა, ნოსრევანმა არ იცოდა, ლილის ეს ჭორი ლოლამ ჩაუკაკლა და გასვიადებითაც მანვე გააშვიადა, მაგრამ რომც სცოდნოდა, ამას ახლა არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სულერთი არ იყო, კოტკე თვითონ ეტყოდა, თუ იმის ნათქვამს სხვისაგან გაიგონებდა? წამომწყები მაინც კოტკე იყო და ბრალიც საბოლოოდ იმას ედებოდა. ჯავრმა ლამის გული გაუხეთქა. მართალია, ეს პირველი გაგონება არ იყო, მაგრამ ცილისწამების სიგონჯე და უბასობა აქამდე ასე ძლიერად არ უგრძენია: აქამდე მხოლოდ შორიდან ესმოდა, ახლა კი აი, პირში წაუყენეს. იმ წუთში კოტკე რომ თვალთ ენახა, ალბათ სასიკვდილოდ გაიმეტებდა. მაინც სძლია თავს, ბრაზი დაიოკა და რამდენადაც კი შესძლო მშვიდად ჰკითხა:

— კიდევ რა ვითხრა, კიდევ?

ლილი სწრაფად შემობრუნდა და ისევ პირდაპირ შეხედა.

— მაგაზე მეტი რაღა გინდა? ლანძღავ, აგინებ, თოფით ესსმი თავს და მოკვლას უპირებ. განა ეს საკმარისი არ არის?

ნოსრევანს პასუხის გაცემა გაუჭირდა. შეწუხებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა და ღრმად ამოისუნთქა.

— ლილი, ნუთუ ყველაფერი ეს შენ გჯერა?

— დიას, მჯერა! — გამომწვევად მახალა ლილიმ. — ააა, მამა ტყუილად იტყოდა? ტყუილს იკადრებდა? ტყუილი და სიყალბე სხვისიც სძულს.

— კმ, ლილი! ლილი... — წყნარად და

ჯაერინად ჩაიცინა ნოსრევანმა, — რა ცუდად იცნობ მამაშენს.

— რათ, რა სთქვი? — ლილიმ გაგონილი თითქოს ყურს არ დაუყვრა და კითხვით მიამიტვრდა.

— ვერ გიცნვია-მეთქი, მამაშენი კარგად

— ვინ მოუახსენა?

— აი, ჩანს ვხედავ, იგი ხულაც არ არის ისეთი, როგორც შენა გგონია: მართალი, კეთილი, ხათმო და...

— აბა, მამ, როგორია? — პირში სწვდა ლილი და კაპასად ჩააცივდა, — ჰა, როგორია? თქვი, პო, თქვი, ამოიღე ხმა! რატომ ვერ ამბობ?.. აბა, ჩაგივარდა ენა მუცელში? პო, აი ვგრეს! — დააყოლა ბოლოს ნიშნის მოგებით და კვლავ ზურგი შეაქცია.

ნოსრევანი სიმაართლის პირდაპირ, გაშიშვლებულად თქმას ერიდებოდა, უფრო დალაგებით, წყნარად და უწყინრად გაგებინება უნდოდა, მაგრამ ლილის ასე ანაზღაურმა ჩაიციბამ მოთმინება საბოლოოდ დააკარგინა, ხოლო ბოლო სიტყვებმა. რომლებიც ამკარა დაცინვით იყო ნათქვამი. უცბად ისე აღაშფოთა, რომ თვითონაც ვერ გაიგო, როგორ წამოსცდა:

— მამაშენი ქურდია!

ქურდიო?! ლილი უცბად თითქოს დაპატარავდა — დაიძაბა, დაიჭიმა, მიტკლისფერი სახე წამოუჭარხლდა და სუნთქვაც წედანდელზე უფრო გაუხშირდა. ლილისთვის ეს მართლაც მეტისმეტად მოულოდნელი იყო: საკუთარ მამაზე, რომელიც იდეალად ჰყავდა მიჩნეული, რომლისაც უსაზღვროდ სჯეროდა და ვისზეც დღევანდლამდე კარგის მეტი არაფერი გაეგონა, ახლა უცბად ასეთი საჩოთირო, შეუსაბამო და შეუფერებელი რაღაც ესმოდა — ქურდი! თანაც ვისგან? ყველაზე უფრო სანდო და აბლოზელი ადამიანისაგან, ვისაც მთელი თავისი ფიჭრის, მისწრაფების და თვით არსებობისაც კი, ერთადერთ განუყრელ მონაწილედ და თანაზიარად თვლიდა. სწორედ ეს იყო საწყენი და გულცი ამან უფრო გაუავა. კარგა ხანს ხმის ამოღება ვერ შეძლო, ვერც აზრის თავმოყრა შესძლო. გაოგნებულმა ბოლოს

ფეხი ძლიერად დაკერა მიწას და მამაშენისადაც და იყვირა:

— სტყუი!

ამ დროს გარედან ჭიშკარს ლოლა მოადგა. დღეს ლილი შინ ვეკულებოდა და თვითონაც საგანგებოდ მოდიოდა, რომ არჩილის თაობაზე ერთხელ კიდევ საფუძვლიანად მოლაპარაკებოდა და საქმე საბოლოოდ გადაეწყვიტა. მაგრამ ლილის ჭყვიელი რომ გაიგონა, აღარ შევიდა. ჭიშკართან ჩამოედგა და სმენად იქცა: ვისთან ჩხუბობს? რაზე?

ნოსრევანი უმაღლ მიხვდა, რომ ნათქვამი ძალიან მკაცრი და ნაჩქარევი გამოუვიდა, მაგრამ უკან აღარ დაიხია, არც შეიძლებოდა, გადათქმა და თავისმართლება ახლა მეტისმეტად უგებანი და უადგილო იქნებოდა. რაკი სიმაართლე თქვა და ამხილა, ბოლომდეც უნდა მიჰყოლოდა, და ნოსრევანმა კვლავ მტკიცე ხმით გაიმეორა:

— დიახ, ქურდია!.. ქურდიც არის და გაიძვრაც. მთელ ზაფხულს იქა ვარ და ვხედავ... პო, აი, ასეთია.

— ის არის! რაღა თქმა უნდა ის არის, ამას სხვა არავინ იტყოდა — ჩაიჩიფიფა ლოლამ ფარული აღტაცებით და ადგილზე ბავშვივით აცმუკდა. სიხარულის მიზეზიც ჰქონდა: ლოლასათვის უმთავრესი და უპირველესი სასურნავი სწორედ ის იყო, რომ ლილის და ნოსრევანს შორის როგორმე გაუგებრობა ჩამოეგდო და ერთმანეთისათვის დაეშორებინა. და აი, ეს თავი და თავი ნატერა ახლა საბოლოოდ უსრულდებოდა. ენახოთ, რით დაბოლოვდება, რას იზამენ, — თქვა გულში და სმენა უფრო დაძაბა.

მაღალი გალავანი და რკინის ყრუ ჭიშკარი ეზოში შეხედვის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ გუმანით კარგად გრძობდა, მიგნით რაც ხდებოდა: ლილი მეტისმეტი მღელვარებისაგან მთელი ტანით ცახცახებდა და ანგარიშმიუცემლად და აკვირტებით ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— სტყუი, სტყუი, სტყუი!

ასევე იყო ნოსრევანიც, თავის თავზე და ლილიზეც ერთნაირად გულმისული,

ისიც თავის დაუნებურად ჯიბრით და გამაღნიანებლად პასუხობდა:

— არა, არ ვტყუი! არ ვტყუი, მართალს ვამბობ!

— წადი! აქედან წადი! — უცბად ისევ სმამალა შესძახა ლილიმ, — წადი და თვალით აღარ დამენახსო! — და ცოტა ხნის შემდეგ ჩამარცვლით დაუმატა, — აღ-არა-სოდეს!

მკვეთრად და გადაჭრით ნათქვამმა ამ ბოლო სიტყვამ, ნომრგვანი უცბად გამოაფხიზლა, ჩხუბის მთელი უაზრობა და გაუგებრობა თვალნათლივ დაანახა, დაანახა მისი საბედისწერო შედეგიც და დაყვავებით სცადა ასე ერთბაშად და დაუფიქრებლად გაღვივებული კოცონის ჩაქრობა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ლილის არაფრის გაგონება აღარ სურდა — არც პირს უჩვენებდა და არც ლაპარაკს აცდიდა.

— ლილი, მიმისმინე...

— არა, არა, არ მინდა, არ მინდა!

— დამაცადე, გეტყვი, ყველაფერს გეტყვი...

— წადი, გესმის? წადი!

— არ გინდა, გაიგო? ხიმართლე...

— არ მინდა-მეთქი, არა! წადი, აქედან წადი!

ლილის შეურაცხყოფელმა გაპოუტებამ ნომრგვანსაც გაუახლა ბრაზი, — კარგი, რაკი ასე გწავიდა, არც მე შეგეხვეწები, — უთხრა საბოლოოდ, — წავალ... მაგრამ ჩემს ნათქვამს უკან არ წავიღებ. რაც ეთქვი, ხიმართლე იყო. როდისმე ალბათ თვითონაც გაიგებ... ცეცხლი თივაში არ დაიმალება და არც კოკა ზიდავს ყოველთვის წყალს.

ნომრგვანის წასვლამ ლილისაც აუხილა თვალი, მახაც დაანახა მოსალოდნელი შედეგი და თავის შეცდომასაც მიახვედრა.

— ღმერთო, ეს რა ჩავიდინე... წავიდა... აგე, მიდიხ, უკვე ბაღში შევიდა... ბაღიც გაიარა... აგე, ძეძვის ღობესაც მიადგა... მიდიხ, მართლა მიდიხ... რა ვქნა?"

— უნდა დავეძახო, დაეაბრუნო, — გადაწყვიტა ბოლოს და ბაღში შესასვლელი კარისაკენ აჩქარებით წავიდა — ნომრგ-

ვან! ნომრგ!.. მოიცადე, ერთდამჯერად წამოვხედი თით!.. არ მოიხედა, — თქვა გულდაწყვეტილმა და უკან გამობრუნდა, — აღარ მოიხედა, ერთი ნანტომით გადაველო ძეძვის ღობეს და ვიწრო ორღობის მოსახვევში გაუჩინარდა... — გული თითქოს წვეკვამში, მაგრამ რამდენსავე წაშში სინანულს ისევ ცრუ პატივმოყვარეობამ გადასძლია, თავი უსომო შეურაცხყოფილად იგრძნო და ჯიბრით და გაკავრებით დაუმატა, — წავიდა და, წავიღეს! არც მე მინდა, ჰო, აი ვგრე!

ლოლა ამ ხნის მანძილზე ჭიშკარს არ მოსცილებია, მთელი ეს ნალაპარაკები სიტყვა-სიტყვით გაიგონა, ყველაფერს მიხვდა, გაიგო და თვითი სახე უსომო სიხარულით გაუბადრა.

— ვაშა, მთავარი დამბრკოლება გადალახულია, ზღუდე მოიხსნა! — თქვა გულში და თემზარისკენ შებრუნდა, — ასლა საჭიროა აჩქარება, სად არის კოტე? აგე, ისიც! თითქოს დაუბარებიათო. მოდის საქმე, მოდის, დამში მოდის!

კოტე მართლაც დამბრებელივით გამოჩნდა თემზარაზე და თავისი ორღობისაკენ გამოუხვია. ლოლამ ხელის აწვეით ანიშნა, მანდ მომიცადეო, და თითქმის სირბილით მიჰქრა, — აბა, ჩქარა, ასლავე მონახე არჩილი და შინ მოიწვიე, ჩქარა, ასლავე! — რა, რა მოხდა? — დამწვეით იკითხა კოტემ.

— რა დროს ვგ არის, ჩქარა-მეთქი, ჩქარა, ხანამ გულმოსულია, ხანამ...

— დაცა, ქალო, გაგიწყრა ღმერთი! გამაგებინე, რას ამბობ, ვინ არის გულმოსული, რა მოხდა?

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო! — სახეიმო კილოზე უთხრა ლოლამ და ყველაფერი, რაც ჭიშკარს შეეწინიდან მოისმინა და გაიგო, მოკლედ და დაწვრილებით ჩაუშუქრწულა.

— აბა, მაშ ვერე?... კარგია, — გაურკვეველად თქვა კოტემ.

— აბა, რა გვეთნა, მე რომ ვიტყვი, საქმეს ხელს მოეკიდებ... ჰოდა, აბლა, ამ ცბეულ გულზე... ხანამ გონს მოვა, მდგომარეობას აწონ-დაწონის და გულში ისევ

შერიგების იმედს ჩაიდებს, ხანამ...

— კი, მაგრამ, სად ვიპოვო არჩილი ასე უცებ?

— სად უნდა იყოს, კანტორაში ჩადი, ან მინდორში იქნება, ან რაიონში. რაღაც მანქანა ნახე და გაეარდი. ჩქარა, ახლა, რაღას ყოყმანობ?

— რა ვიცი, ცოტა ხომ არ შეგვეცადა, გაჯაგრებულ გულზე... ასე უცებად... ემანდ უარები არა ჩაიდინოს და... რა ვიცი.

— ოჰ, კოტე, რა ჩილუნგები ხართ ეს მამაკაცები, თავი კი მოგაქვთ, მაგრამ ოდნავდაც არ იცნობთ ქალის გულს, ქალის ბუნებას. ჰმ, ქალი? ოღონდ გაჯაგრე, გული მოაყვანიე და ჯიბრით თუნდ ჯოჯოხეთში შესდგამს ფეხს. ქალს ჯიბრი დუქანს და ჯიბრივე ასულდგმულებს, ქალი იმდენს საქმის საჭიროებთა და აუცილებლობით არ აკეთებს, რამდენსაც ჯიბრით. მააჰ, ასეთები ვართ ჩვენ, ქალები! წადი ახლა, წადი, დროს ნუღა კარგავ. მე მანამ გოგოსთან შევალ და საუბარში შევიყოლიებ, შეხვედრის წინ ერთხელ კიდევ მოველაპარაკები, ვურჩევ... — თვალი ჩაუკრა და დააყოლა, — ამ ამბავში ქალის სიტყვას ხომ იცი, რა ძალა აქვს.

— ოხ, ქალები, ქალები, — თავი გაიქნია კოტემ, — ეს ქვეყანა ქალმა გააჩინა და ალბათ დადუპკითაც ისევ ქალი დადუპკავს, გაგიწყრათ ღმერთი!

• • •

ლილის გული გასეთქვაზე ჰქონდა და ერთ ადგილზე გაჩერება უჭირდა. გულს უფრო ის აკლდა, რომ ნოსრევანმა მისი დაძახილი ყურად არ იღო და არ მოიხედა. ეს არ მოხედვა მტკავენულად შეურაცხყოფდა, თავს უსიამოდ დამცირებულად გრძნობდა და შურიძიებისა და სამაგიეროს გადახდის გაურკვეველ გრძნობას აღუძრავდა. არც იმას უარყოფდა, რომ თვითონაც ცუდად მოიქცა, ძალიან უშნოდ და უაზროდ გაჟოუტდა, დალაგებით არ ათქმევინა და არც მოუსმინა. საკუთარი დანაშაულის გრძნობა უარესად აწამებდა. არა, ახლა ამ ქვიტიკრის გაღაენით შემოხვუ-

დულ ეზოში ყოფნა არაფრით უკმაყოფილო, უნდა გასულიყო და ცოტა ხნით მაინც გაეფლო, გაეხედა, ემოძრავა, თორემ გული შეტს ვეღარ აიტანდა. საჩქაროდ წამოიკრიფა გაწურული სარტყლი, სუფთა ტამბში მიაყარა და საჩინში შეიტანა, სარტყლიანი ტამბი და წყლის ვედროც საჩინში შედგა. ხელები გადაიხანა, და ისევ წინსაფარზე შეიმშრალა. სწორედ ამ დროს კუტკარის სახელურმაც გაიჭრიალა და ეზოში ლოლამ შემოიხედა.

— ო, ლილიკო, რა კარგია, რომ შინ დამხვდი... მაგრამ ეს რა ფერი გადევს? ავად ხომ არა ხარ? აბა მაჯა მაჩვენე.

— არა, არაფერი, — ხედა ლილიმ გაღიზება და ცუქსლმოდებული, ოფლიანი სახე ხელის გულით მოიწმინდა, — ალბათ, დავიღალე... გამივლის.

— კი, გენაცვალე, კი დაისვენე და დავწყნარდი. ახლა ფერმკრთალობა არ შეგშენის, — ხელი გამოსდო, ძელსკაშზე დასვა და თვითონაც გვერდით მიუჯდა, — სტუმარი მოგდის და... ხომ იცი...

— სტუმარი? ვინ?

— სოფლის თავი კაცი, გოგო, არჩილი, — იდუმალი ჩაკისკისებით უთხრა ლოლამ და მხარზე ხელი ვაკურა, — ო, რომ იცოვოდ, რა ბედნიერი ხარ, პირდაპირ მშურს შენი, ღმერთმანი მშურს...

— კარგი ერთი, — უკმაყოფილოდ თქვა ლილიმ და სახეზეც უსიამოვნება დაეტყო, მაგრამ ლოლამ არც სახის ცვლილებას და არც ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია, მილულული თვალები სივრცეს გაუშტერა და მეოცნება ხმით განაგრძო:

— ვაჭაკი კაცი, ასეთი ბედნიერება მხოლოდ ერთეულთა, გამონაკლისთა ხევედრია... რა შეეღრუბა... ყოვლად ღირსეული, და თანაც ასეთი სიყვარული, მუხნუხარება... ვის, რომელ ქალს არ უოცნებია და უნატრია...

— კი, მაგრამ აქ რა უნდა, რატომ მოდის? — შეაწყვეტინა ლილიმ.

— მამა პატივებს.

— მამა პატივებს?! — გაუკვირდა ლილის.

— ჰო, რა იყო, კაცი კაცს პატივებს,

არჩილი უფროსია, მამაშენიც პასუხისმგებელი მუშაკი და... საჭიროა. თანაც არჩილის სტუმრობა — ეს ხომ განუზომელი ბედნიერებაა. აი, მოუა და ნახავ, შენ თვითონ ნახავ.

— ვნახავ არა, არც კი გამოვინდები. — ბუსდუნით თქვა ლილიმ და წამოდგომა დააპირა. — ნეტა რაში მჭირდება.

— უი, მომიკვდეს თავი! — შეიცხადა ლოლამ, ლილის მკლავი დაუჭირა და ისევ სკამზე დასვა, — ვნახავ, გოგო? აბა შემომხედე, არა, გენაცვალე, ვნახავ, როგორ იქნება, სტუმრად მოდის, სხვა ხომ არაფერი.. ქართულ ოჯახში... ხომ იცი? თვითონ მამა პატივებს, შემოგივთავლა კიდევ, სწორედ ასლა შემხვდა, აი აქ, ორღობის გადაკვეთაზე და დამაბარა. პოდა, თავი არ შეირცხვინო, დიასახლისი ხარ და... ასლავე შეუდევნი საშინადის და თავიც მოიწესრიგე, — თმა დაივარცხნე. ტანზე გამოიცივალე და პირზე წყალი შეისხი. ლამაზად შეხვდი, ღიმილით, მისართმევიც ლამაზად მიართვი... მაშ, ასე უნდა წესია და სტუმრსაც უფრო ესამოყნება. ასე, — თქვა ბოლოს ლოლამ მოკლედ და წამოდგა, — შენ დაიწვე და მალე მეც მოვბრუნდები, მოგვმარები — კუტკარი გამოალო, გასელისას ლილის თავზე ხელი გადაუსვა და ერთხელ კიდევ ტკბილმაცდურად და ჩაგონებით გაუმოხრა, — აბა, შენ იცი, მამა არ შეარცხვინო, ჭკვიანი გოგო ხარ და... არ გეკადრება.

ლოლას ბოლომდე დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი, რათა ლილისათვის გონს მოსვლის საშუალება არ მიეცა და საშინადისშიც მოსმარებოდა. გარდა ამისა, როგორც შუამავალს, ლილის და არჩილის პირველი შეხვედრისათვის თვალ-ყურიც უნდა ედევნებინა, რომ, თუ ვინცობაა, რამე გაუგებრობა წამოიჭრებოდა, დროულად ჩარეულიყო და საქმე საწადლმართოდ შემოებრუნებინა, მაგრამ ეს განზრახვა ლილის დანახვისთანავე გადაიფიქრა. იგი ისე იყო გულმოსული და გამოთიშული, რომ ასლა მისთვის არაფრის თქმა არ შეეძლებოდა. ასეთ დროს მესამე პირი უფრო გაღიზიანებას იწვევს და თვითონვე ქმნის დაბრკო-

ლებას. არის წუთები, როცა აღიზიანება თავისი ბედი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ უნდა გადასწყვიტოს. ლოლამ ყველაფერი ეს ერთბაშად გაიაზრა და წასვლა და გარიდება ამჯობინა.

ლილი ქართველი გოგო იყო, ქართულ ოჯახში იყო გაზრდილი და სტუმრის როგორ უნდა დახვედროდა, თვითონაც კარგად იცოდა. მოსამზადებელიც ბევრი არაფერი ჰქონდა, როცა კოტე შინ იყო, ორი და სამი თავი სადილი ყოველთვის მზადდებოდა. ყველაფერი მაცივარში ელავა... ზოგს შეათბობდა, ზოგს გააცხელებდა, ქათამს და გოჭს ცივადვე გადაანაწილებდა თფუშებზე, ბალიდან შუშა კიტრს, ქორთა შვენილის, პამიდორსა და ხილს შემოუმატებდა და მეტი არც სახელდასვლო სუფრას უნდოდა რამე.

ლილიმ ყოველ შემთხვევისათვის სპილენძის ძველმოდური ჩაიდნით გაზქვრავს წყალი შემოდგა. მერე მაცივრიდან ხორავი გამოალავა და თავისდაშუშმწველად სამშინადისს მთელი მონდომებით შეუდგა. გულში არავითარი განზრახვა არ ჰქონია — მამას სტუმარი მოჰყავდა შინ, მორჩა და გათავდა, მაგრამ მოლოდინი მაინც იდუმალად აფორიაქებდა. ორღობიდან სულ მცირე ჩქამის გაგონებაზეც კი გული შიშნეულად უჩქოლავდა. „აი, მოუა და ნახავ, შენ თვითონ ნახავ“, — ლოლას ეს სიტყვები ყოველ წამს უფრო ჩაესმოდა და გაურკვეველ, მაგრამ ძლიერ ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა. თითქმის მამის ტოლი კაცის სიყვარული, წინათ თუ მხოლოდ აღიზიანებდა და შორეულ ამბად მიაჩნდა, ასლა ისეთ შეუსაბამობად აღარ ეჩვენებოდა. რაკი სინამდვილე პირსპირ დაუდგა, სიშორეც თითქოს გაქრა. მართლაც და, რა მოხდა? რა ისეთი ცოდვა ეს არის რომ... განა ცოტა მაგალითია და ვის უკვირს მერე? ან აუტს ვინ ამბობს? ვილაც ის ხომ არ არის, სოფლის თავი კაცია, სოფლის ბატონ-პატრონი, ვისაც ყველა თავყვანსა სცემს, ყველა რიდიითა და კრძალვით ელაპარაკება... ის კი მხოლოდ მას ეტრფის, მასზე ლოცულობს... ეკრძალება, ვთაყვანება... ეს ფიქრი თანდათან ღრმად შეუჯდა

თავში და ქალწულის მგრძობიარე თავმოყვარეობას საკმაოდ მაცდურადაც შეუღობინა. არჩილის გამოჩენას უკვე დაძაბული წინათგრძობით მოელოდა, რომელიც ერთი და იმავე დროს კიდევ აკრთობდა და კიდევ იზიდავდა.

ლილიმ ამ აკვიატებული ფიქრით გადაანაწილა ცივი საუზმე, გამოსაცხველი და მოსამატებელიც გაივარაუდა და თეფშებზე ლამაზად დაალაგა. თეფშები ზოგი ისევ მაცივარში შეაწყო, ზოგი მაგიდაზე ჩამოდგა და მალლიდან თეთრი მუშაბზა გადააფარა. მოელს ამ სამადადის ნაწილობრივ ნომრეანისადმი გაუთვითცნობიერებელი ჯიბრი და შურისძიებაც ედო საფუძვლად და გულმოდგინებას იხიც აძლიერებდა, ყველაფერს რომ მორჩა, თავის თავსაც მიხედა: კაბა გამოიცვალა, პირზე წყალი შეისხა, თმაც სველი სავარცხლით გადაივარცხნა. ბოლოს მეტი ლაშათისათვის და აგრეთვე იმიტომაც, რომ მორთულობა დაეფარა და გარეგნულად უფრო საშინაოდ ჩაცმულს დამსგავსებოდა, ახალთახალი, ფართო ყვავილებით მოხატული წინსაფარიც გაიკეთა, სამზარეულოს უკანა ფანჯარა გამოაღო, იქვე ჩამოჯდა და გასურებული შუბლი მთიდან მონაბერ ნიავს მიუშვირა.

არ გასულა დიდი დრო, რომ ორღობეში ავტომანქანის ნელი და თანაბარი დუმდუგიც გაისმა. ლილი სწრაფად წამოდგა, გვერდითი ფანჯრის ფარდა ოდნავ გადასწია და ჭიშკარს მომდგარი არჩილის შავი, ვოლგა იცნო. გული ძლიერად შეუქანდა, ფარდას ხელი უშვა და კარისაკენ წავიდა. მაგრამ არ გაუღია, შუა ვხიდან უკანვე შემობრუნდა და ისევ სკამზე ჩამოჯდა. დიდხანს არც სკამზე მჯდარა, ისევ წამოდგა, ჯერ მაცივარი გამოაღო, მერე მაგიდაზე დალაგებულ თეფშებს მუშაბზა გადახადა, მაგრამ გული და ყურადღება ხანგრძლივად ვერაფერზე შეაჩერა. ჭიშკარმა კი უკვე გაიჭრიალა, აგერ მანქანა ეზოშიც მოდუგდუგდა, კარები მიჯახუნდა — ჯერ ერთი, მერე მეორე და კიბის ბოლოდან ჭარბი თავაზიანობით ჩამტკპარ-ჩაათფლული კოტეხს ხმაც გაიხმა:

— მობრძანდი, ჩემო არჩილ!

კოტეხი არჩილი კიბეზე ხელმკლავით აივანა და აივანზე ასვლისთანავე ხმამალა დაიძაბა:

— ლილი!

ლილი წამოდგა, მაგრამ გასვლა მაშინვე ვერ გახედა. კოტეხი კიდევ დაიძაბა:

— ლილი! ლილიკო!

— მოედივარ! — ლილიმ კარი გამოაღო, კოტეხი ხელეში გაშალა, — აა, ჩემი გვრიტი, ჩემი მერცხალი! შეხედე, მამა, ვინ გმეწვია? არჩილი, ჩვენი თავკაცი!.. მოდი, შეილო, ახლოს მოდი, გავეცანი, მივსალმე, ხელი ჩამოართვი.

— ჩვენ უკვე გავიცანით ერთმანეთი, — არჩილი წელში მოიღუნა და ხელი თავაზიანად გაუწოდა, — ესე იგი, ერთიმეორეს უკვე ვიცნობთ... როგორც კოლეგები, თანამშრომლები.

— სახამოვნოა, ფრიად სახამოვნოა, ახალგაზრდები ხართ და... ახალგაზრდობა ერთმანეთს უნდა იცნობდეს, დიას, პო...

არჩილთან შეხვედრა ლილის სულ სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი, რაღაც უცნაურს. განსხვავებულს მოელოდა და გული შიშით და გამალბით უთრთოდა, მაგრამ არაფერი ისეთი არ მომხდარა, არც ხიტყვა-პასუხსა და არც საქციელში არჩილს იოტისოდენა გადაჭარბებაც არ დამჩნევია. ჩვეულებრივ მივსალმა, მოიკითხა, ოდინდევ იყო, რომ ლილის ხელი რამდენსამე წამით შედმეტად გააჩერა ხელში და ოდნავ, სულ ოდნავ თითებიც მოუჭირა. ლილის ეს ძალიან მოეწონა, მოეწონა აგრეთვე იმიტომ, რომ არჩილს მოკლესახელოიანი უბრალო პერანგი ეცვა და მოღიავებულ საყვლოზე ჰალსტუხიც დაუდევრად, ნამდვილ ბიჭურად უკონწიალებდა. გარეგნულადაც თითქმის შეცვლილიყო, სულ აღარ იყო ისეთი, როგორიც ხალხში, საქმიან გარემოში ჩანდა. იმ ნაძალადგვი მუდიდურებისა, რაც ასე აღიზიანებდა ლილის, ახლა ნატამალიც აღარ შერჩენოდა, და შესახედავაც სრულიად ახალგაზრდად და თითქმის ჭაბუკადაც კი გამოიყურებოდა. არა,

არჩილი სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორც აქამდე ვიყენებოდა.

— აბა, ჩემო გვრიტუნო, — უთხრა კოტემ და მხარზე ხელი მოსვია, — კაი სტუმარს ხომ იცი, დახვედრა და გამასპინძლებაც კარგი უნდა. ერთი შენებურად, ცქვიტად დატრიალდი და ლაშათიანი სუფრა გაგვიშალე.

— ახლაც, — თქვა ლილიმ და ჭერ მამას და მერე არჩილს უკვე სრულიად ძალდაუტანებლად და უკრძალავად შეხედა, — სად გირჩენიათ, აქა თუ შიგნით?

— შიგნით ჯობია, ჩემო გოგონი, არჩილი ისეთი სტუმარია, რომ... მისი მოსელა კერძა და კედლებმაც უნდა იგრძნონ.

— ბევრს მაინც და მაინც ნუ შეწუხდებით, — უთხრა არჩილმა, — ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვაქვს, სულ ცოტა.

— როგორ გვკადრებათ, ბატონო არჩილ, როგორ გვკადრებათ, — კოტემ დარბაზის ოთახის ორივე კარი ყუნწამდე გამოაღო და არჩილი მდაბლა თავის დაკერით შეიპატიჟა. დარბაზში ჩაბუთული ჰაერისა და საღებავის სუნი იდგა. კოტემ ფარდები გადასწია და უკანა ფანჯრებიც გამოაღო. არჩილი ნაწუკურთმეფასდგამიან, ოვალურ მაგიდასთან დასვა, ბოდში მოუსადა და მარაში ღვინის ამოსატანად ჩაივსო.

მარნიდან რომ დაბრუნდა, არჩილი კედელზე გაკიდულ საოჯახო სურათებს ათვალისწინებდა. კოტემ ქაშანურის სველი დოჭები მაგიდაზე დაალაგა და თვითონაც არჩილს ამოუდგა გვერდით. წაბლის ოთხკუთხედი ჩარჩოდან ახალგაზრდა ქალის გაღიმებული სახე შემოაყურებდათ, რომლის ღრმა, მეტყველ თვალებში შინაგანი სიკეთისა და სათნოების სიცოცხლისეული შუქი გამოკრთოდა.

— ლილის დედა, ჩემი მეუღლე თხუთმეტი წლის წინ გარდამეცვალა და... ლილი წლინახვერისა დამარჩა... კუბოსთან ფიცი დაეძვევი, რომ სანამ ლილის არ გაავათხოვებ, ცოლს აღარ მოვიყვან-მეთქი, დედინაცვალს არ დაგაყენებ-მეთქი თავზე... და აი, როგორც მხედავთ, დღევანდლამდე ვარ ასე.

— ძნელია. — თქვა არჩილმა და თანაგრძობით შემოსვდა.

— რა თქმა უნდა, უფრო ბავშვის გაზრდა გამიჭირდა, კაცი, ხომ იცი... მაგრამ რაკი ვთქვი... სიტყვა სიტყვაა, ფიცს ვერ გავტყვნი.

არჩილმა ისევ სურათს შეხედა.

— ლილი ჰგვანებია დედას.

— კი, ძალიან ჰგავს, ალიკვალი დედაა, ამიტომ უფრო მიყვარს.

სანამ კოტე და არჩილი სურათებსა და დარბაზის სხვა მორთულობას ათვალისწინებდნენ, ლილიმ სუფრა გააწყო. კოტემ სტუმარი სუფრასთან მიიწვია და ძველქართული წესისამებრ პირველი სადღვერძელოთი ოჯახის კეთილი ანგელოზი დალოცა.

— რა არის კეთილი ანგელოზი?? იგივე კაცია, ადამიანი, ანგელოზიც თვითონ არის და ქაჯიც. რაც კაცია, ოჯახიც ის არის. მე, მაგალითად, ოჯახშიც და სამუშაოზეც სულიმას ვედილობ, რომ სიკეთე იყოს, ურთიერთმატყვისცემა, გავება, მხარში დგომა, მავრამ... ეხ, რას იზამ, კაცი ყველა ერთი არ ყოფილა. ზოგს თურმე, პირიქით ურჩენია... ჰო, ყოფილან ასეთებიც, რას იზამ... აბა შეგსვით.

— დაიცა, მამ თოფი მოგიშვირა, არა?

— აბა, ბიჭო, აბა! ნეტა დამეშავებინოს მაინც რამე. ტკბილად ვუთხარი, მეგობრულად, ესე იგი, ვურჩივ: ნუ ტოვებ, შეილო, საქონელს უპატრონოდ, თორემ დაკარგავ და ხალხი ზარალს არ გაპატიებს-მეთქი. აი, ეს ვუთხარი, მეტი კი არაფერი. დაავლო თოფს ხელი და, — კოტემ ცერი თითის ფრჩხილი კბილზე გამოიკრა, — სიკდილს აი ამით გადაფრჩი, ბეწვზე გადაფრჩი.

ლილის ისედაც ყური მზირედ ეჭირა და არჩილის ყოველ სიტყვას ჭარბი ცნობისმოყვარეობით ისმუნდა. ამის გაგონებაზე ხომ მოლად სმუნად იქცა, საქმეს ხელი უშვა და სულგანაბული სამზარეულოს ღია კარში ჩამოიდა.

— მიკვირს, მოუთმინე და იქვე არ მიახრჩე. — უთხრა არჩილმა.

— განა ღირსი არ იყო, მაგრამ... მეც ხომ ხულიგნობას არ დავიწყებ? — კოტემ ფუნძალაღი ბროლის სასმისები ხელაშლა შეავსო და მიუჯახუნა, — თითოც, ჩვენი შესვედრისა. ღვინო ხომ მოგწონს?

— უკ, მირონივით ღვინოა.

— ჰოდა, ჩვენს პირველ შესვედრას და პირველ პურისჭამას გაუმარჯოს.

— სულ ასე ტყბილად შევხვედროდეთ... უყურე შენ, ფერმა ხულოცნების სათარეშო მოედანი ხომ არ ჰგონია!

— მართლაც რომ, სათარეშოდ გაიხადა.

— ჰოდა, აი რა ჭენი: ახლა ახვალ-თუ არა, ეგრევე ჰკარი პანდური და გამოავლე. შეკრიბე მწყემსები, დაწერე ოქმი და... ჰო, აი, ეგრე. დღესვე გამოგიყოფ კაცს, რომელსაც მეტყვი და ირჩევ. იმას გამოგიგზავნი.

— რა ვქნა, არ მინდა ცუდაკაცობა, ღმერთმა ხომ იცის, რომ არ მინდა, მაგრამ ვხედავ, სხვა გზა არა მაქვს... პურ-ღვინის მადლს გაუმარჯოს.

ღვინო მართლაც მირთნივით იყო, არც სუფრას რამე აკლდა. საქმის წარმატებით გახარებული კოტე ჩქარ-ჩქარა ავსებდა წოწოლიკა სასმისებს, თვითონაც სცლიდა და არჩილსაც ბოლომდე ასმევდა. საქმელსაც ასევე გულუხვად უმარჯვებდა, — ხან ჭათმის პარკალს გადაუღებდა, ხან გოჭის დაბრაწულ ნაჭერს შეურჩევდა, საწებელს მიურჩევდა: გადაიღე, ჩემო არჩილ, მიირთვი, გასინჯე, ისიამოვნე.

თითო ბოთლამდე რომ შესვებს, კოტე წამოდგა და ჭურჭლის კარადიდან ახიურ სტილზე მოხატული ფაფურის ორი ფიალა გამოიღო. ერთი არჩილს მისცა ხელში, მეორე თვითონ დაიჭირა და ჭარვისფერი ღვინით ორივე პირამდე გააღიციციცა.

— ახლა მინდა, შენი... — დაიწყო ზეზე მდგარმავე, მაგრამ არჩილმა არ ათქმევინა.

— ახლა მე მაცალე...

— ერთიც და მეორე...

— არა, არა, ჯერ მე, ჯერ მე.

— ერთიც-მეთქი, ერთიც!

— არა-მეთქი, არა.

— რა გაეწყობა, რაკი არ მითმობ... — კოტემ ფიალა ჩამოდგა და თვითონაც დაჭადა.

არჩილი ფეხზე წამოდგა:

— მე მინდა, ჩვენი პატარა, ხელმარჯვე დიასახლისის სადღეგრძელო შევსვა... შევსვათ...

— ლილიკო! — გასძახა კოტემ ზურუნს საკენ.

— მოვდივარ! — მამისადმი არჩილის ასეთმა თანაგრძნობამ ლილის გული მადლიერებით აუვსო და ახლა გაუხარდა კიდევ, დარბაზში გასვლის მიუხედავად რომ მიეცა, მაგრამ გარეგნულად არ დაიმშინია, ზღურბლზე ჩამოდგა და მამას კითხვით მიაჩერდა.

— მოდი, შეიღო ახლოს მოდი, აი არჩილი... ბატონი არჩილი შენს სადღეგრძელოს სვამს, და... მოუსმინე, უპასუხე.

ლილიმ არჩილს გაუღიმა. შევიდა და მაგიდასთან თავდახრით დადგა.

— მე ბევრს არადფერს გეტყვით, — დაიწყო არჩილმა ჭარბი სერიოზულობით, — მხოლოდ კარგ ზედს, კარგ მომავალს გისურვებთ... მთელი გულით გისურვებთ, გაგიმარჯოთ და გაცოცხლოთ! აბა, ექსტრად! — შესძახა კოტეს, ფიალა სულმოუთქმელად გამოცალა და ისევ ლილის შეხედა — ბარემ დაბრძანდით კიდევ და... სამადლობელიც მიირთვით.

— მე ღვინოს არ ვსვამ.

— ცოტა, სულ ცოტა, აი ნახვეარს დაგისხამით, — არჩილმა ბროლის სირჩა ნახევრამდე შეავსო და გაუწოდა. ლილიმ ისევ იუარა:

— არა, არა, ვერ დავლევ.

— გამოართვი, შეიღო, — უთხრა კოტემ, — ნუ დალევ, მაგრამ დალოცე, ადღეგრძელებ... წესია.

ლილიმ სასმისი ჩამოართვა და ორი სიტყვით დალოცა: — გაგიმარჯოთ, მადლობელი ვარ. — პირი ოდნავ დააკარა და მაგიდაზე ჩამოდგა.

— ახლა კი თუ გვიკადრებთ, თუ პატრებს დაგვდებთ. — არჩილმა სკამი გამოუწოდა და ადგილი თავის გვერდით შესთავაზა, — გთხოვთ, ძალიან გთხოვთ.

ლილიმ დაიმორცხვა,

— დაჯექი, გენაცვალოს მამა, — გაამხნევა კოტემ, — ნუ გრცხვენია, არჩილი შინაურია, ჩვენია... დაჯექი.

ლილი დაჯდა. ცოტა ხნის შემდეგ კოტემ კიდევ უთხრა:

— დაუკარი რამე, შეილო, გვიმღერე, გავამხიარულე.

— კარგი რა, მამა.

— რათა, გენაცვალოს მამა, სუფრას ლხინი უხდება, მუსიკა, სიმღერა. აი არჩილიც გთხოვს.

— კი, ნამდვილად, ნამდვილად. გთხოვთ.

— ვაიმე, რომ არ ვიცე, — სცადა ლილიმ თავის დაღწევა.

— მაგას კი ვერ დაგიჯერებთ.

— ნამდვილად, ძალიან ცუდად ვიცი, ცუდად ვუკრავ.

— როგორც იცი, შეილო, როგორც შეგიძლია.

— პო, პო... გთხოვთ, ძალიან გთხოვთ.

— მაშინ, არ დამძვრსოთ.

— როგორ გკადრებათ, რა სათქმელია ლილი გულწრფელად შეწუხდა, დაკვირვასაც და სიმღერისაც არჩილთან მართლა სცხვენოდა, მაგრამ მიუჯდა თუ არა პიანინოს, უხერხულობა იმავე წამს გაუქრა, ქალურმა ეშმაკობამ წამოუარა და განუბნობილი რომანსი „მხოლოდ შენ ერთს“ დაუკრა. არჩილმა ამაში სათავესი რაღაც დაინახა. ხელი დიდინით ჯერ ადგილიდან აჰყვა, მერე წამოიღგა, ლილის გვერდით დაუდგა და ხმასაც უფრო აუწია.

არჩილის აყოლამ ლილიც გაამხნევა. სულ უფრო ძალდაუტანებლად უნაცვლებდა თითუბს კლავისებზე, სულ უფრო მარჯვედ და მოსწრებულად გადადიოდა ერთი აკორდიდან მეორეზე და ტანსაც მუსიკის ტანტაც აყოლებდა. ხმაც დაეწმინდა, გაუხალვათდა და არჩილის რბილ, ხორხისმიერ ბარიტონს ზომიერად შეეწყო. სიმღერამ ორივენი გაიტაცა, არჩილს ცალი ხელი პიანინოზე ედო, ცალი ოდნავ წინ ჰქონდა გაწეული და სახეგაბადრული ყოველი მუხლის საერთო მისამდერს — „მხოლოდ შენ ერთს!“ — ხმააწევით და გამოგვეთილად იმეორებდა.

სიმღერა დასრულდა. ლილიმ უკანასკნელი აკორდი დაკრა და წამოიღგა.

— თქვენ შესანიშნავად უკრავთ! — ქათინაურივით უთხრა არჩილმა და ლილიმაც

ასევე უპასუხა, — თქვენ კბ მუხამხამხამად მღერით!

კოტეს თავი მაგიდაზე გადაკვარდინებულ მკლავებზე ჩამოედო და ნელა ხერინავდა. ლილი შეეცბა:

— ვაიმე, მამას დასძინებია, — წამოიძახა შეწუხებულმა და მხარზე მსუბუქად მისწია, — მამა! მამა!

არჩილმა ხელი დაუჭირა:

— ნუ, ნუ, ეძინოს ნუ გააღვიძებთ.

— ცოდოა, ასე შეწუხდება.

— ასე რათა? აი, ახლავე ტანტზე გადავიწვენ, მამათქვენს ჩვენ ასე როდი ეუფრთხილდებით, ერთ-ერთი სამაგალითო ნუშაკი გყავს და... ჩვენც გვიყვარს. თქვენ მხოლოდ ერთი მუთაჭა და ბალიში მომიტანეთ და აი აქ დამიწყეთ.

— კოტეს ხელები იღლიებში შეუყვარა და ჭარბი მზრუნველობით მაგიდის გვერდით მღვარ, წითელსავერდგადაკრულ არაბულ ტანტზე გალაწვინა, ჩექმებიც ასევე დახდა და მალედიან თივთივის თხელი საბანი დაახურა, — აი ასე, ახლა აღარ შეწუხდება და კარგადაც გამოიძინებს. — ერთხელ კიდევ მზრუნველად გაუსწორა სახთუმალი და ლილისკენ შემობრუნდა, — მამამ დაიძინა, ჩვენ რაღა ვქნათ?

— ჩვენ? არაფერი.

— ხომ არ გაგვევლო ცოტა?

— სად?

— სადმე... თუნდაც ალაზანიზე, რა ჯობია ახლა ალაზნის ნაპირებზე გავლას. მოშრიალე ვერხვები, მდინარის დუდუნი... მანქანა ვეაქვს და ამინდიც მშვენიერია. პა, ხომ კარგი იქნება?

— არა, მამას მარტოს ვერ დაეტოვებ... გაუბედავად და მოგვიანებით თქვა ლილიმ.

— რა უჭირს, პირიქით, მამა უკეთ დასვენებს, გამოიძინებს და... ჩვენც მოვალთ, მალე მოვალთ.

ლილის მძინარე მამის დატოვება მართლაც უხერხულეობდა, მაგრამ არც არჩილსთვის უარის თქმა შეეძლო. რა უნდოდა, რა სურდა, რა უბიძგებდა, თვითონაც არც იცოდა. ამ შეხვედრამ — ერთ სუფრაზე, ერთ ჭერქვეშ ყოფნამ, სიმღერამ, თითქოს რაღაც ჯადოწრე შეკრა. რომლის ში-

გნით მხოლოდ თვითონ და არჩილი მოექცნენ, სხვა ყველაფერი იმის გარეთ დარჩა და შორეულ ამბად იქცა.

ეს უცვარი და უცნაური გარდასახვა თვითონვე აოცებდა, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი არ იყო, რაღაც აკლდა კიდევ, აკლდა დასასრული, რომელიც დაახლოებით ამდაგვარივე უცნაური უნდა ყოფილიყო. გუმანით თითქოს მის გარდუვალობასაც ცხადად გრძნობდა და ყალყზე შემდგარი ქალური ცნობისწადილი წახელას და ბოლომდე ჩაყოლას ურჩევდა:

„რას მეტყვის? რას იზამს? რა მოხდება?...“

* * *

არ გახულა ოცი წუთი ლილისა და არჩილის წახელის შემდეგ, რომ კოტე უცვარმა ბრახუნმა გამოაღვიძა — ვიღაცამ ეზოს ჭიშკარი ძლიერად მიაჯახუნა. კოტეს თვითონ არ გაუგია, რამ დაუფრთხო ძილი. მაგრამ წელანდელი ამბავი კი თვალის გახელისთანავე დაწვრილებით გაახსენდა. იმავე წამს საბანი გადაიძრო, ღიმ-მორეულმა ნებივრად გაიზმორა და ტახტის თავით ნაჩუქურთმევე ტუმბოზე შემოდგმულ ტელეფონს გადასწვდა.

— ალო, ლოლა ხარ? პო, პო... კარგად, ძალიან კარგად... მოდი და გეტყვი... რა დროს ეგ არი, ქალო, გაგიწყრა ღმერთი, მოდი-მეთქი, ჩქარა მოდი... ხა-ხა-ხა! რა თქმა უნდა! კი, კი, იაგორას ვალი ვითომ გადახდილი მქონია...

— სცდები, ჯერ არ გადაგინდია!

კოტე ახლა აქ, საკუთარ სახლში, ამ ხმის გაგონებას არაფრით არ მოელოდა, ყურმილი საჩქაროდ ჩამოდო და კარისკენ შემობრუნდა: ზღურბლზე იაგორა იდგა. „ფაჰ. გაგიწყრა ღმერთი! საიდან გაჩნდა ეს ქვეყნელიდან ამოტყრა?“ იაგორა მთაში, ვილად, ასეთი საზარელი არ ჩანდა, აქ კი, ამ მდიდრულად მორთული, დაკრძალებული დარბაზის ფონზე, გატუსული ჯირკვლით შავი და ჩამკვრივებული, წვერგასაპარსი, თითქოს ზედშეზრდილი შავი შარვალ-სალათით, შებლზე ჩამოცურებული თუმური

ქედით, და იღლიაში ამოჩრილი ნაბდით, მართლაც ქვეყნელიდან ამოსულ უსახელო ახსულს ჰგავდა. ვახირული იდგა კარის ჭრილში, თვალებს ცბიერად ქუცავდა და ცივად, გამაღიზიანებლად იღიმებოდა.

— პო, აი, სცდები... არ გადაგინდია.
— ვიცი, პო, ვიცი, — წამოდგა კოტე, — ორი დღეც მაცალე და მუწყევით მოგიწყვეტ თავიდან!

— თორემ იცოდე, ვადა გადის და.. დავას მერე აი, ეს გადაწყვეტს, — იაგორამ ხალათის მარჯვენა კალთა აიწია და ხონჯარში ჩაჩრილი პისტოლეტი გამოაჩინა, — გაიგე?

— გავიგე-მეთქი, პო! წადი ახლა, წადი, ნუ დამჩხავი თავზე მშვიერი ყორანივით! ვითხარი, გადაგინდი-მეთქი და... წადი!

— პოდა, ეგრე! — თავის კანტურით თქვა იაგორამ და წავიდა.

კოტემ, თითქოს იაგორას ჯიბრზე, ერთი სირჩა ცივი ღვინო გადაჰკრა და წარბშეკრულმა ოთახში ბუტ-ბუტით გაიარ-გამოიარა. სალასანა, ყანალი! თითქოს განგებ მოვიდა, რომ გუნება მოუწამლოს. მაგრამ არა... დღეს ისეთი საქმე დააგვირგვინა, რომ... სურვილით, ნებით, ძალდატანებლად, მასხადამე... რა თქმა უნდა, რასაკვირველია... მართლაც ჯადოქარი ქალია ლოლა, როგორ მოატყვა მიწანში პა? ახლა იაგორას ვალი სახსენებლადაც აღარ ღირს. ხვალეც იმ ლაწირაკს იქიდან გამოაგდებს, ტიღას ან ტუსიას აიყვანს და...

— ვითომ არ წამოვლენ? შენთან საქმეს აღარ დავიჭერთო, ვითომ მართლა? კმ, არ ვიცნობდე მანც, ოღონდ ხარგებელი, გამოჩენა დააგულე და ბუზივით შიგ ჩაიხრჩვებიან. დიას, დიას, პო...

ხასიათზე მოსულმა ერთი სირჩა ღვინო კიდევ გადაჰკრა, ჩექმები ჩაიცივა და აივანზე გამოვიდა. კიბის უკანა მოაჯირიდან თემშარა მოათვალიერა, მაგრამ ლოლა არსად ჩანდა. „მოგა“, — თქვა გუნებაში, აივანი გაიარა, ზედა კუთხეში სვეტთან ჩამოდგა და სიყვითლეშეპარულ სოფელს გასედა. მჭიდროდ შეკრული და ერთიანი, იგი მყარად იჯდა თავის საუკუნოვან საბუღარში, მხოლოდ ნათავადარი სახლი იდ-

გა განმარტოებით — პატარა, ფარღალა და ყველგასული, თითქოს გრძნობდა საკუთარ შედმეტობას, უადგილობას და სიცოცხლით სახე სოფელს ჩუმი ნაღვლითა და დარცხენით გადმოჰყურებდა.

„ცხოვრობდა ოჯახი თაობიდან თაობამდე, ეტეოდა, კმაყოფილდებოდა... მაგრამ როგორ? კმ, უმეილპირო ფირუზას კი მთელი სახალეუც ეცოტაებოდა. ავე, იმისი სახლიც...“

ფირუზას სახლის დანახვამ ახლახან მომხდარი ამბავიც უფრო ცხადად და თვალნათლივ დანახვა. იგი განსახიერებაც იყო და დასტურიც, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ბევრით სჭარბობდა. დიდ სურვილს ეჭვიც დიდი ახლავს: კოტეს არაფრით არ ეგონა, თუ მისი და ლოლას ეს სანუკვარი ჩანაღებრი ასე მალე და ყოველმხრივ თავისუფლებიასად ასრულდებოდა. ყველაფერი ეს იმდენად ნაჭარბვად, მოულოდნელად და დაუბრკოლებლად მოხდა, რომ ჯერ ბოლომდე გააზრებაც ვერ მოეწყო, მხოლოდ საქმიანობა და ნახვამ გასადა საცნაური და მთელი სიღრმით თვითონაც ახლავა ჩასწავდა: არა, ეს მარტო ქალიშვილის გაბედნიერება როდი იყო, დღეიდან მის ოცნებასაც ფრთებიც ესწმებოდა, ის ნანატრი ცხოვრება და საქმიანობა იწყებოდა, — „ნამდვილი საქმე და ცხოვრება“ — რასაც წლების მანძილზე მოუთმენლად მოელოდა. კოტემ ხვალინდელი დღეც თვალნათლივ განჭვრიტა, ნახიამოვნებმა ჩაიხიბითითა და უგანგავი თურქეთი გადახურულ, ფართო აივნიდან სახლს თვალი დამცინავად მოუჭვტა:

— პა, ბედლის თავეო, სადა ხარ? გაგოწყრა ღმერთი! დიას, დიას, პო!..

* * *

მთელი ეს ამბავი — ჭორის გაგება, ნომრეგანთან ჩხუბი, არჩილის მოსვლა და ამ სტუმრის შედგებად აღძრული გაურკვეველი გრძნობა — ლილისათვისაც ასეთივე მოულოდნელი და გაუთვითცნობიერებელი იყო. ისე ჩაუჯდა არჩილს მანქანაში, ისე გადაუსვივს მთავარი გზიდან და ჩაათავებს ვენახებით, შეყვითლებული სიმინდებით, მწესუმწირებით, გადამკილი ნაყანობებით

თა და წალის მომცრო ბულუქში სჭრქე ლეული მინდორი, ისე შევიდით ტანთორი და ტანდაკოქრილი ვერცხვითა დაბურულ ქალაში, რომ რა უხდოდა, სად, ან რისთვის მიდიოდა, თავის თავისთვის ერთხელაც არ უკითხავს. მაცდურ ვინს აყოლილი, იგი ბრმად მისდევდა ცნობისწადილს და ეს გაელა თუ გასვირებია ძალიანაც მოსწობდა. თითქოს პირველად მიდიოდა ამ გზაზე, პირველად ხედავდა მოლურჯო არილში მთელეპარე მთეა, ბორცვენას, დეკეებს და ღელის ნაპირეაზე მწევანე არსიეადა ავოლეუელ წარაფეაა. სოაყონდა, რომ არჩილთან ერთად იქდა მანქანაში, მანქანა სწრაფად და მსუბუქად მიიწყო და დატეკპინელ საურმე გზაზე და საქარე სარკემელში სიმწიფეში შესული ყურძნისა და მზით დამწვარი ნაძვის მოტკბო სურნელი სცემდა. მოსწონდა ისიც, რომ არჩილი ზომავზე მეტად უფრთხილდებოდა, ყველანაირად ცდილობდა, თავი მოეწონებინა და ამ სურვილს არც ფარავდა, სოფლის თავეაცი, თეითონ მზრძანებელი და განმკარგულელებელი, ახლა მას ემორჩილებოდა, მისი გულისთვის გადაჰყავდა ასე ფრთხილად ავტომანქანა თმრილებსა და ბორცვაკებზე და დროდადრო ხელსაც შეაშველებდა. კიდევ ბევრი რამ მოსწონდა, მაგრამ ყველაფრის თქმა და გაცნობიერება არ შეეძლო...

მერე მანქანა მდინარის პირას იდგა. წინა ბორბლები წყალში ჰქონდა ჩადგმული და მონიკელებულ გარსაცმს გამჭვრივალე ტალღა ლოკავდა. არჩილმა მანქანაც ღილის სურვილით დააყენა ასე, და რომ ეთხოვა, ალბათ შუა წყალშიც შეიყვანდა. მდინარის ჭავლოვან შედაპირს ხეებს შორის შემოჭრილი მზის მოჭიატე სხივი ეცემოდა და სიღრმეში ჩაკიდულ ხეთა კლაკნილ ანარეკლსაც ოქროსფრად აფერადებდა. ტალღის დუღუნი თეთრონა ფოთლების შარიშურს ერთვოდა და ყველაფერი იყო საოცრად კარგი, ლამაზი, სასიემო...

ლილის სიტყვები ვერ ეპოვა აღტაცების გამოსახატავად, შიშველი იდაყვი ღია სარკემელზე ედო, თავი უკან ჰქონდა გადაწეული და მწევანე ჩარდანში მოლივილივე ზო-

ლად გაწოლილ მდინარეს ჩუმი მღვლეარე-
ბით გაქყურებდა.

— რა ლამაზი ბუნებაა... და რა მდი-
დარი, — თქვა ბოლოს.

— ალასანი მაინც, — ჩამოართვა არ-
ჩილმა, — არ მგონია, ალასანისთანა ლამა-
ზი ჭალა ქვეყნად რომელიმე მდინარეს
ქჷონდეს. დღეს მით უფრო, — დაუმატა
ღიმილით წამიერი დუმილის შემდეგ, —
როგორღაც განსხვავებულად ლამაზი ჩანს
რატომ თუ იცი? — და პასუხს არ დაუცა-
და, ისე განაგრძო, — იმიტომ რომ შენა
ხარ აქ, შენი თვალები უმწერენ... და აი,
ესეც თავს იწონებს. სიმ მართალია?

ლილიმ გაიცინა, არჩილმა კვლავ ღი-
მილით განაგრძო:

— დიახ, პო, გაიგო, რომ მოხვედი, იგ-
რძნო და უხარია. აგერ, თითქოს იცინის
კიდევ... და ვინ იცის, იქნებ სილამაზეშიც
გუკობრება?

მიმართვის ფორმის „შენობით“ შეცვლას
ხმაყ განსხვავებული ახლდა — უფრო
მართოლადვი, რბილი, გაუბედავი და მო-
ღუღუნე. ლილიმ რაღაცის მოახლოება იგ-
რძნო — და გატკინდა — თვალი ისევე
მდინარის ჭვავებში ჩახლართულ მზის
სხივებს გაუშტერა. არჩილი მარჯვენა ხელს
გადასწვდა, თავის ფართო ღონიერ ხელში
მოიჭყია და თითები ალერსით მოუჭირა.

ლილიმ ხელი ოდნავ გასწია:

— ნუ... გამიშვით.

— გაგიშვებ, ახლავე გაგიშვებ, — აჩქა-
რებით უთხრა არჩილმა და თითები უფრო
მოუჭირა, — ოღონდ ამ პირველი შეხვედ-
რის სამახსოვროდ ერთი პაწია საჩუქარი
უნდა გადმოგცე, რომელსაც შენი გაცნობის
დღიდან გულის ჯიბით დავატარებ. აბა
დასუჭუტ თვალები, დასუჭუტო...

ლილის, რა თქმა უნდა, თვალი არ დაუ-
ხუჭია, მაგრამ არც გასძალიანებია. არის
წუთები ჭალის ცხოვრებაში, როცა იგი
თავის თავს აღარ ვკუთვინის, მხოლოდ მის-
თვის გასაგები ინსტინქტის კარნახით მოქ-
მედებს და რაღაც უწინარ და გაურკვეველ
მოვალეობას ემორჩილება. არჩილმა ისე
ჩამოხსნა ზურგს უკან კაუჭზე დაკიდული
ღვება მუხვი, ისე ამოიღო უბის ჯიბიდან

აბრეშუშის წითელ ნაჭერში შესწვეული ხა-
ჯალლო ოქროს საქორწინო ბეჭედი და წა-
მოაცვია კვლამატარებით თლილ, უსახელო
თითზე, რომ ლილი არც განძრეულა და
არც წინააღმდეგობის გაწევა უცდია.

გაცნობის დღიდან არა, მაგრამ არც ცო-
ტა ხანი იყო, რაც ამ ბეჭედს არჩილი მარ-
თლაც ჯიბით დავატარებდა. ესეც ლილის
არჩევით მოამზადა წინასწარ, თითის ზო-
მაც მისგანვე იცოდა, ხოლო ხელისხანს სა-
განგებოდ ძველმოდური — მსხვილი, მასი-
ური და წმინდა ოქროსი შეუკვთა.

ბაჯალლო ოქრო მაცდურად ბრწყინავდა
თითზე და ხელსაც თითქოს უფრო ალამა-
ზებდა. ყოველ შემთხვევაში ლილის თვი-
თონ ასე მოჟივინა, ნელა გაიღიმა და არ-
ჩილს გვერდიდან ცერად გახედა. არჩილი
ამან გაამხნევა, ხელი ისევე მხარზე მოხვია
და კოცნა დაუპირა, ლილიმ მოსაჩვენებლად
გაიწია, არჩილმა უფრო ძლიერად მიიზიდა,
თვითონაც გადაისარა და ის იყო, ტუჩებით
ლოყასაც უნდა მისწვდომოდა, რომ ყურის
ძირში ცხელი ქშენა იგრძნო და სამუქარო
ღრწა გაიგონა. ლილის იმავე წამს ხელი
უშვა და შეინიშნული ზურგით მანქანის
კარს მიაწვდა. ლილიც შეკრთა. ორთავეს
ახლად გაასხენდათ ძაღლი, რომელიც აქ-
ეთ წამოსვლისას მანქანაში თვითონვე ჩა-
ისვტს. არჩილს არ უნდოდა წამოყვანა, მა-
გრამ მგელო ისე აწრიალდა, ლილი უც-
ხოს გვერდით რომ დაინახა, ისე აფორიაქ-
და და აწყმუვლდა, რომ ვეღარაფერი ქნა
და მანქანის უკანა კარი თავისი ხელით
გაუღო.

მთელს ამ ხნის მანძილზე მგელოს თავის
იქ ყოფნა არაფრით გაუმგლავნებია. ჩუმიად,
გაყურებულად იწვა და თვალებს ხან გა-
ახელდა, ხან მილულავდა, მაგრამ როცა
ლილის მხარზე არჩილის — უცხო კა-
ცის — მოხვეული მკლავი დაინახა,
თვლემ იმავე წამს გაუქრა, თავი წამოსწია
და სამუქაროდ აქორჩილი საზურგეზე წა-
მოიშართა. არჩილმა ხუმრობით სცადა უბ-
ერხულობის დაფარვა:

— რა გინდა, ე. ვერან, მაგიტომ წამო-
გიყვანე აქა? ქოფაკო, შენი
ძაღლი შემართული იღვა და საჭყოლ

დრინავდა. ისე ჰქონდა ყურები გადაღურ-
სული და ისე აბრიალებდა ღადარით ან-
თებულ წითელ თვალებს, რომ აშკარა იყო,
კიდევ პაწია განძრევა ან ოდნავი შეხება
ლილისთვის და კბილებითაც დააკსრებო-
და. არჩილმა ახლა ლილისთან სცადა გახუ-
მრება, ეს რა მკაცრი და ვეჭვიანი შეგობარი
გყოლიაო, მაგრამ ლილის გამტკნარებულ
სახეს რომ შეხედა, სათქმელი ყელშივე გა-
უწყდა. ლილი დაფიქრებული დაქუარებდა
ბეჭდიან ხელს და ბინდგადაკრულ თვალებს
ჩქარ-ჩქარა ახამსამებდა. ამ წუთამდე თი-
თქოს მოწყვეტილი იყო დროსა და სივრ-
ცეს, თვალი დახსული ჰქონდა, ხსოვნა წარ-
თმეული და ამ თეთრონა ვერხვების, მი-
დუდუნე მდინარის, ატკომანქანისა და არ-
ჩილის გარდა მისთვის ქვეყნად არავინ და
არაფერი აღარ არსებობდა. მხოლოდ ერთ-
გული, თანშეზრდილი პირუტყვის გამო-
ჩენამ გაახსენა სინამდვილე, გაახსენა დაწ-
ვრილებით ყველაფერი — დილანდელი,
გუშინდელი, გუშინწინდელიც და უფრო
შორეულიც. ყველაფერი, რაც ბოლო დღე-
ებამდე უცვლელად მიდიოდა და თვითი-
ნაც უცვლელი და უსასრულო ვერსა.
მიხედა, რომ გადადგა ძალიან დიდი ნა-
ბიჯი, უსაშველოდ დიდი და გულს რაღაც
ნტკივნიელი, გაურკვეველი გრანობა და-
უფლა: თითქოს რაღაც ბოროტებას ჩადი-
ოდა, ვიღაცას ძარცვავდა, აკეთუბდა იმას,
რისი გაკეთების უფლებაც არ ჰქონდა და
თანდათან შიში და მოუხევენობა იპყრობ-
და.

— წავიდეთ. — თქვა ბოლოს ფარული
შეშფოთებით, — შინ წავიდეთ.

— რა გეჩქარება, ჯერ ადრეა, თანაც
ქვევით უფრო ღამაწი ადგილებია, ცოტაც
გავიაროთ და...

— არა, არა, წავიდეთ. არ მინდა, აღარ
მინდა.

არჩილმა მხრები აიჩეჩა, მანქანა წყლი-
დან უკუსვლით გამოიყვანა და უკან შე-
მოაბრუნა.

8

დილას. კოტე ფერმაში რომ ავიდა, მწყე-
შები გადილაურებულ საქონელს უკვე ბი-
ნისკენ მოერეკებოდნენ. ხსოვნად კარგ

დროს მოუსწრო: ლოდინი აღაწიდათქონდა
ბა, საქმეს სახელდახელოდ მოათავებს და
სოფელშიც ისევ დროულად ჩავა.

სანამ მწყემსები ფურებს ბაკში შერეკავ-
დნენ და კარს გადაუღობავდნენ, კოტემ დი-
დი წიფლის ქვეშ გაოფლილ ცხენს ნაბად-
უნავიერი და ხურჯინი მოხადა, ლაგამიც წა-
მოჰყარა, აგმარის თოკი დაუგრძელა და
სამოვარზე მიუშვა. მერე პიჯაკი გაიხადა,
ჯაგრიანი მკლავები დაიკაპიწა და წყაროსზე
ხელ-პირი გადაიბანა, სახეც პიჯაკის კალ-
თით შეიშორალა და დერეფანში მწყემსებ-
თან ჩამოვიდა, მიესალმა, მოიკითხა.

— კარგია, რომ ადგილზე მოგისწარით,
— უთხრა მერე რატომღაც დაბნეული აჩქა-
რებით, — ერთ ამბავზე მინდოდა თქვენი
თავშეყრა და... დიდი ხანია, საქირბორო-
ტო საკითხებზე აღარ გეხსენებია, არ გვი-
მსჯელია. სათქმელი და გასარკვევე კი საკ-
მაოდ ბევრი დაგროვდა... ჰოდა, აი, აქა
ხართ, ყველანი აქა ვართ.

მწყემსებმა ფარული გავიერებით გადა-
ხედეს ერთმანეთს. მართალია, ასეთი სა-
ხელდახელო თათბირები კოტეს წინათაც
ბევრჯერ მოუწვევია, მაგრამ ასეთი აჩქა-
რებული და მოუთმინარი არასოდეს უნა-
ხავთ. მაინც რა მოხდა ფერმაში, რა დაგ-
როვდა? ან რა არის ასეთი საჩქარო და
გადუღებელი? მაგრამ მწყემსები უფრო
ვაკიარდნენ. როცა კოტემ იოთამს ოქმის
დაწერაც დაავალა. ოქმით? ეს მაინც რა-
ღა დარდუბაღაა?! და კოტესაც და ერთ-
მანეთსაც უკვე აშკარა მოლოდინით მია-
ჩერდნენ. მწყემსები დერეფნის წინ ნახე-
ვარწერდ ისხდნენ ჯირკვებზე, კოტე საწოლ-
ზე დაჯდა.

— ჰო, აი რა მინდოდა, — დაიწყო ჭა-
რბი სერიოზულობით, როცა იოთამმა მუყა-
ოსყვიანი დავთარი გამოიტანა, დერეფნის
ქვედა დირზე ჩამოჯდა და კალამი მოიმა-
რჯა, — სახელდობრ, ამ ვაჟბატონის შესა-
ნებ მინდოდა მეთქვა, მის ამ ბოლო საქცი-
ელზე... — თითი ნომრევისისაკენ გაიშვირა
და წამიერი დუმილის შემდეგ განაგრძო,
— გუშინ საქონელი სად ჰყავდა, არ ვიცი,
ხოლო თვითონ რომ სოფელში დაყვალობ-
და, ეს კი ჩემი თვალით დავინახე.

შთაბეჭდილება რომ უფრო გაეძლიერებინა, კოტე უცხად გაჩუმდა. მწყემსებს მართლაც ეცუბოვით: მართლაცდა, სად ჰყავდა საქონელი? ან სოფელში როდისღა ჩავიდა და ამოვიდა? ნოსრევანს ტანზე სირცხვილის აღმური მოედო, სახე წამოუჭარბლდა, უფრო შეაკრთო მწყემსების ერთობლივმა, კითხვის გამომხატველმა მზერამ და უხერხულად შეიშუშუნა:

— მე... მე...

— რა, შენ, რა? — არ აცალა კოტემ, — ტყუილია? არ იყავი გუშინ სოფელში?

— ვთქვით და... ვიყავი, მერე?

კოტემ დინჯად მოუჭრა:

— რისთვის იყავი, ან ვის დაეღობე?

— ვიყავი... საქმე მქონდა და... დედა ვნახე.

— მერე საქონელი? — ჩააცივდა კოტე.

— სად გყავდა? ვის ჩააბარე?

ნოსრევანმა კარგა ხანს ვერ უპასუხა. მწყემსების დაჟინებული მზერა სისხლს უყინავდა და სუნთქვას უკრავდა. კოტემ იმავ ხმასა და კილოზე გაუმეორა:

— ჰა, გვეითებით, სად გყავდა-მეთქი, საქონელი?

— სულერთი არ არის, ხომ არ დავკარგე... არ დაკარგულა...

კოტემ მწყემსებს გადახვდა.

— აჰა, აი, ხომ გესმით? აბა შეიძლება ასე მუშაობა? შეიძლება მთელი დღით საქონლის უმწყემსოდ დატოვება? თქვიაო, ამოიღეთ ხმა.

— ო, ეს მართლაც არ შეიძლება, — თქვა იოთამმა, რომ ხელი არ გაუჩერებია, თედომ. იღომ და ჩოფურმა დასტურის ნიშნად მხოლოდ თავები ჩააკანტურეს. პაპა ქორიას არაფერი უთქვამს და არც განძრეულა. კოტემ განაგრძო:

— დარიგება რომ ესმოდეს, კიდევ ჰო, ჯანდაბას! მაგრამ რომ არც ის უნის? ამას წინათ, თქვენ არ იცით, რა მოხდა თოფს დამიწყო ხელი და სიკვდილს ბეწვზე გადავრჩი, ბეწვზე.

ასლა კი იოთამმაც მიატოვა საწერი და თვალუბდატყუტილი ნოსრევანს მიაჩერდა. ნოსრევანმა მტის ატანა ვეღარ შეძლო.

— როგორ არა გრცხვენიათ, ძია, კოტე,

ტყუილს რომ ამბობთ, როგორ არა გრცხვენიათ! — იყვირა კბილებდაკრეტილმა და წამოიწია, მაგრამ პაპა ქორიამ არ აუშვა, ბოლომდე არც სათქმელი ათქმევინა, მხარზე ღონივრად დააბჯინა ხელი და ისევ კუნძზე დასვა.

— შენ დაჯე, — უთხრა წყნარად, — დაჯე და გაჩუმდი. თქვას, ბოლომდე თქვას.

— აბა რალა ვთქვა, რალა სათქმელი, — ხელები გაშალა კოტემ, — ხომ გაიგეთ, რაც ხდება, პოდა, აი, წინადადება შემომამქვს, — გავათავისუფლოთ... გადავიდეს სხვა სამუშაოზე. კოლმეურნეობას ათასნაირი საქმე აქვს და... პასუხისმგებლობაც ნაკლები ექნება. ჰა, განა ასე არ ჯობია?

— კი, ჯობია, ჯობია, — იოთამმა თავი წამით ასწია, — თუმცა ჰო, რა ვიცი, — დაუმატა ნაჩქარევად და ისევ საწერზე დაინხარა.

— მე არსადაც არ წავალ, — ნოსრევანმა ერთხელ კიდევ სცადა წამოდგომა, მაგრამ პაპა ქორიამ თქმის და ადგომის ნება არც ასლა დართო, — შენ სუ-მეთქი, არ გესმის? — უთხრა მკაცრი, მბრძანებლური ხმით და კოტეს გახვდა:

— კოტე! ბიჭს ცუდად ნუ გადაეკიდე, სამართალი გაიგე!

კოტემ ქორია პაპას ნათქვამს განგებ წაუყრუა, — თითქოს ვერ გაიგონა, ოდნავ შურგიტავ კი შებრუნდა და ისევ მწყემსებს მიმართა:

— ჰა, აბა, რას იტყვი, აზრი გამოთქვით.

კარგა ხანს ხმა არავინ ამოიღო. დუმილი პირველმა ჩოფურმა დაარღვია:

— მე იმას ვიტყვი, რომა... — დაიწყო გაუბედავად და თან კეფა მოიფხანა, — ეს ერთი შეყდომა ვაპატიოთ. ხამად არის და... გაფრთხილება ვაკმაროთ.

— ჰო, ჰო, ისეთი ხომ არაფერი მომხდარა, რომ... — ჩოფურს იოთამმაც მხარი აუბა, მაგრამ კოტეს სუსხიან მზერას რომ წააწყდა, კილო უმაღ შეეცალა, — თუმცა... ჰო, რა ვიცი, არ ვიცი... როგორც გინდათ.

— არ მომხდარა და მოხდება, ამხანაგო! — სუვირა კოტემ, — ერთხელ მოხდებოდა.

ბა და... უპატრონო საქონელს ან ქურდი მოიხელთებს ან ხადირი, ჰო, აი ეს მოხდებოდა! და რომ არ მოხდებოდა... — კოტემ თვალუბი მოწყურა და იოთამს ბოროტად დაამტვრდა, — შენ, ბრიგადირმა, ბრიგადირს... გეკადრება? ეს საქონელი... როგორ... არ იცი, რომ ხალხის საკუთრებაა, რომ ხალხმა ჩვენ მოგვანდო, ნდობა გამოგვიცხადა, და ეს დიდი პატივი ჩვენც უნდა გავამართლოთ. დიახ, დიახ, ჰო, სანამ მოხდება, ზომები მანამ უნდა მივიღოთ. აი, საქმე რაშია. წესრიგი ყველგან და ყველაფერში! — ამას მოგვიწოდებს დღეს ჩვენი ხელმძღვანელობა და სწორიც არის. და პირადად თავმჯდომარემაც ასე დამავალა.

„ჰმ, ხალხი, სიმართლე, წესრიგი. ნეტა რა პირით ლაპარაკობს?“ — ნოსტრენას ზიზღი და ბოღმა ყელში მოაწვა, მაგრამ პაპა ქორიას რიდით ხმამაღლა თქვა ვერ გაბედა.

— დიახ, დიახ, ჰო! სწორედ ასე ბრძანა... დაგვაგულა... — თქვა იოთამმა და მხრები უმწეოდ აიჩეჩა, ხსებებდაც ყურები ჩამოყარეს, პაპა ქორია კი, პირიქით, უფრო აიქორრა, აიმრიზა, კოტეს ჯიუტი მზერა გაუშტერა და ხმასაც უფრო აუწია:

— კოტე! ბიჭს ცუდად ნუ გადაგიდემეთქი, გეუნებები, ქვეყანას პატრონი ძყავს, ჩალით დახურული ნუ გგონია!

წაყრუება უკვე აღარ შეიძლებოდა, გამოწვევა აშკარა იყო და პასუხსაც ასეთსავეს მოითხოვდა. კოტეს სახე მოებრცია და ქვედა ყბა აუკანკალდა. ერთი პირობა წამოხტომაც განიზრახა, მაგრამ სძლია თავს, უნებურად რომ არ ეყვირა, კბილი კბილს დააჭირა და შეკავებული ბრახით გამოსცრა, თან თითით დაემუქრა:

— ქორია! ეს პროვოკაციაა! იცი, რა არის პროვოკაცია?

— მაგის მეტი რა მინახავს, ახლაც ვხედავ.

— ისიც იცი, რომ კანონით სასტიკად ისჯება?

— ვიცი.

— ჰოდა, ფრთხილად! — კოტემ ერთხელ კიდევ დაუქნია თითი, — ფრთხილად-მეთქი! რას ჰქვია, გადაჯვადე? მე

რა, პირადი ინტერესი მაქვს შენ... პირიქით, სიკეთე მინდა, კოლმეურნეობა, შენც კარგად იცი, ერთ ჩლიქს არ აპატიებს და საქმე საცინხედ გაუნდება. ჰოდა, აი, ვურჩევ, რომ... აქედანვე, ამ თავითვე... თორემ ისე, თავმჯდომარის ბრძანებაა და... შენ, რა, თავმჯდომარის ბრძანებას არ ემორჩილები?

კოტეს თავმჯდომარის სახელით უნდოდა პაპა ქორიას მოტყევა, მაგრამ ფანდი არ გაუვიდა, პაპა ქორიამ არც ნირი და კილო შეიცვალა და არც თვალი დაახამამა:

— თავმჯდომარე ვერ აქ ამოვიდეს, საქმე ადგილზე შეამოწმოს და მერე ბრძანოს, აი, წესი ეს არის — სიმართლე ადგილზე ირკვევა.

კოტე მიხვდა, რომ ძალითა და მუქარით ვერაფერს გახდებოდა და დროებით უკან დახევა ამჟობინა, იცოდა, საწადელს „ზევიდან“ მიიღო ეწეოდა, საქმისათვისაც ასე ჯობდა — უფრო „სუფთად“ გაკეთდებოდა და აღარც სათქმელი და სასაყვედურო ვისმეს რამე დარჩებოდა.

— არა, მართლა ისე არ გამოვიდეს, თითქოს მე... ჩემით... — თქვა დათმობით და გაიცინებაც კი სცადა, — არა, რა თქმა უნდა... რაკი თქვენ უარს ამბობთ, არ მეთანხმებით, იყოს, მე პირადად კი არაფერს მიშლის... მაგრამ იცოდეს და თქვენც იცოდეთ: რამე ურომ მოხდეს, ქურდმა ან ნადირმა... პასუხიც თვითონ აგოს სწორედ ასე ჩაწერე ოქმში, — ნიუბრუნდა იოთამს, — ჩაწერე სიტყვა-სიტყვით, როგორც იყო და რაც იყო, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! ტყუილი და სიყალბე მე არ მიგვივია... და თავმჯდომარეს პირადადაც ასე მოვახსენებ. დიახ, დიახ, ჰო! ხელმძღვანელობაა, გამგეობა... და თვითონ გადაწყვიტონ. — სიგარეტს მოუკიდა, ოქმი იქ ამომიტანოს, უთხრა იოთამს და დიდი წიფლისკენ წავიდა.

ჩამოვარდა დამაბული, უხერხული სიჩუმე, ნოსტრენანი უზომო დამცირებულად და დათრგუნულად გრძნობდა თავს, თითქოს გამართვის ღონეც წართმეოდა, მხრებში მოხრილი და გამტკანარებული მიწას ჩაშტერებოდა.

— წავალ, — თქვა ბოლოს ყრუ ხმით, როცა იოთამი ოქმის წერას მორჩა და იღ-

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
სამდივო
სამსახური

ლიაში დავთარამორილი კოტეხაკენ წავი-
და, — რაკი არ უნდა, წავალ... არც მე
მინდა, აღარც ღირს, ამის შემდეგ აღარ
ღირს.

თავი დუნედ ასწია და წამოდგომა დაა-
პირა, მაგრამ პაპა ქორიამ მესამედ დააბჯი-
ნა ხელი მხარზე და ადგილზევე ჩაკეცა.

— ბალო, აქეთ მომხედე, — უთხრა
წყნარად, თვითონაც ნოშრევანისკენ შებრუ-
ნდა და თვალეში დაქინებით ჩახედდა, —
შეშინდი?

- არა.
- აბა, რას შერები?
- მომხეზრდა.
- მაშასადამე, გული გაგიტყდა.
- ჰო.
- ვმ კიდევ უარები!
- მრცხვენია კიდევ.
- რისა?

— ყველაფრისა... აი, ამისი.
— ვიცი, მესმის, მაგრამ სედები.
— როგორ?
— გასაჭირში გულს ნუ გაიტეხ. თორემ
აი... სულ პაწია, ერთი ბეწო რაღაც და...
უკვე კურდღლეოვით გარბიხარ. ყველა რომ
ასე დაფრთხეს, გაიქცეს, სიმართლემ რაღა
ქნას? ან ქვეყანამ?

- მაშ რა ვქნა?
- დადგე აქ და მიჰყე საქმეს კვალ-
ში! — მიხედრულ კილოზე უთხრა პაპა ქო-
რიამ და ხელიც ისე ასწია, — აი, ეს ქენი!
ნოშრევანს გაეღიმა:

- ძლიერი კაცი ხარ, პაპა ქორია.
- კი, ვიყავი, ახლა თქვენი ჯერია. ჩვენ
აჯად თუ კარგად, ჩვენი საქმე გავაკეთეთ...
ქვეყნის პატრონობა ახლა თქვენ გაძევთ
ვალად, შენა და ასიათასობით შენისთანას,
და ეს ვალი საკმაოდ დიდიც არის, სად გა-
რბიხარ, რომ გარბიხარ, არ იცი, დიდი მცი-
რედით იწყება, ზოგჯერ კიდევაც სჭარ-
ბობს... ესეც იყოღე, — დაუმატა ცოტა
ხნის შემდეგ, — მცირეს თუ გაუტყდი,
დიდს ვერასოდეს შესწევდები, მაშ, თავსაც
ვერაფრით მოიწონებ. უამისოდ ყოფნას კი
არყოფნა ჯობია. გესმის ჩემი ნათქვამი?

— მესმის, პაპა ქორია... მესმის და მო-
მწონს.

- კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ თვესი უნდა იყო.
- ვეცდები.
- მართო ცდა არ კმარა.
- კიდევ რაღა საჭირო?
- მწყემსის კომბალი მაგარია, შენც
მაგრა დაიჭი ხელში და თუ... თუ... ესეც
ზომ გესმის?
- რა თქმა უნდა.
- მაშ, დაცხებ?
- დავცხებ!

ოთხმოც წელს მიჯრილმა ბერიკაცმა და
ოცდაერთი წლის ჭაბუკმა თვალი ერთმან-
ნეთს ძველებურად ჩაუკრეს და სრულიად
ძალდაუტანებლად და გულხალვათად გა-
დაინხარხარეს.

* * *

პაპა ქორიასთან საუბარმა, მისმა უტეხ-
მა კილომ ნოშრევანს გაახალისა, გული
გადასწმინდა და რწმენა და იმედიც ისევ
დაუბრუნა. კოტე რომ წავიდა, ჩვეულ საქ-
მეს ჩვეული მონდომებით შეუდგა — ჩაიდო
საგზალი, გამოუშვა სამწყსო, გამოთვალა
და საძოვარზეც ძველებური მხნე გაძახილ-
გამოძახილით გაირეკა.

მაგრამ საერთო დამაბული უხერხულობა
ფერმაში ამით არ გამჭრალა. კოტეს საქცი-
ელმა ყველანი გააკვირვა. რა თქმა უნდა,
ნოშრევანს არც თვითონ ამართლებდნენ —
საქონლის ველზე უმეტესად უკუროდ დატო-
ვება დანაშაულს უდრიდა, მაგრამ ეს მაინც
მეტისმეტე იყო. მწყემსები თითქოს გაითი-
შნენ, ურთიერთობა როგორღაც დაიძაბა,
ამისდაკვალად საერთო განწყობაც შესამ-
ჩნევად გაცივდა, ერთმანეთთან გულის გა-
ხსნას ვეღარ ახერხებდნენ და ახლოს მის-
ვლაც უჭირდათ. კოტეს ხსენებას ყველანა-
ირად ერიდებოდნენ, მაგრამ იგი უხსენებ-
ლადაც იქ იყო, უწინრად იდგა მათ შორის
და უნებურად თიშავდა, ათავთავადებდა.

- ასე გავიდა ორი დღე.
- მესამე დილას, ფურები რომ დაწველეს,
რძე შეადედეს და დერეფანში სასაუზნოდ
შეიკრიბნენ, ილომ შიგნიდან უკანასკნელი
ყუამოსმზარი შოთები გამოიტანა და თქვა:
— აი ჩვენი ჯერ-ფინახი, ის კაცი თუ
დღესაც არ ამოვიდა და ჯერი არ ამოგვი-

ტანა, ხვალ სამწყემსურში წასვლა უსაგ-
ზლოდ მოგვიწევს.

— ძაღლის ჯერი თუ მაინც შემოგვრჩა?
— იკითხა პაპა ქორიამ.

— ერთხელ ჭამაზედა ვყოფათ.

— ო, ვე კი ვერ არის კარგი, ჩვენ კი-
დევე მოვითმენთ, მაგრამ პირტუცყვა რა
ქნას?

— მოვა აღბათ დღეს.

— მეც ეგრე მგონია.

— პო, არ უყვარს დაყოვნება და ახლა
რა მოუვიდა, არ ვიცი.

— ახლა იქ ისეთი საქმე აქვს, რომ ება-
ტიება, — თქვა იოთამმა და რძიანი ჯამი
თავისკენ მიიწია.

— რა ისეთი საქმე?

— საქორწილოდ ემზადება.

— ცოლს ირთავს?

— არა, გოგოს ათხოვებს.

— გოგოს? ვინ გითხრა?

— წუხელ მეორე ბინაში მითხრეს, მეტ-
ყვეს ამოტანია ამბავი.

— სად ათხოვებსო, ან ვის ატანს?

— იქვე, სოფელში, არჩილს დაუნინავს,
თავმჯდომარეს.

— ყოჩაღ კოტე! კაი განძისთვის გამოუკ-
რავს ხელი.

— იცის ბიჭმა! თავმჯდომარე... ვაჭკა-
ცად კარგი...

— გოგო რაღა ნაკლებია, ანგელოზივი-
თაა.

— პო, ამბობენ, ლამაზი გოგო ჰყავსო,
თვითონაც აქვდება.

— კალმით ნახატია, მე ვიციან.

— კაი გოგო, კაი ბიჭი, ღმერთმა მის-
ცეთ დიდი ნიჭი! — წაიკაფიავა ჩოფურმა
და რძიან ჯამში გაკერკეშებული შოთის
ყუა ჩამატერია, — ვჭამოთ, ვჭამოთ და
საქმეს მივხედოთ, აგე, საქონელი მოლოდი-
ნით შემოგვეყურებს.

— პო-და-პო, მწყემსის ქორწილი ჯობს
და თქვაა.

— ქორწილიც ეს არის და შობა-აღდგო-
მაც.

ხმელი შოთები დაითითოეს და თავთა-
ვიანთ ჯამებს მიაშურეს. ტამის დროს ხმა
აღარავის ამოუღია. ნოსრეგვანიც უწუმრად

ჭამდა. გრძნობდა, სახეზე მიეწვეწვეოდა
და სხვებს რომ არ შეემჩნიათ, ზედმეტად
თავდახრილი იჯდა, კოვზს ნელა, გამოზო-
მილად ურევდა ჯამში, იღებდა ჯამიდან
რძეში ჩაბუებულებულ პურის ნატეხებს, იღ-
ებდა პირში, მაგრამ ვერავითარ გემოს ვერ
ატანდა, თითქოს მიწის ბელტებს ეღვავდა.
მერე ჯამი და კოვზი დარეცხა, შეაწყო თა-
როზე და სამზადისს შეუდგა. გარგნულად
იოტისოდენა ცვლილება არ დამჩნევია,
ყველაფერს ძველებური სიზუსტით აკეთუ-
ბდა, მაგრამ საქმეს ჩვეულებრივ გააზრე-
ბას და ცნობიერებას ვეღარ ატანდა. ასე
მოიშადა საგზალი, გადაიკიდა თოფი,
ასევე მოხსნა ბაკს ლასტის კარი, აიღო
ჯობი და გაჰყვა ნახირს ციხეგორისაკენ.

„ლილი დაინიშნა! ლილი თხოვდება!“ —
ეს ორი სიტყვა ჩაქუჩივით სცემდა თავში
და ყველა სხვა ფიქრს ახშობდა, მხოლოდ
ამ სიტყვებს გრძნობდა ცხადად, თითქოს
თვალთ ხედავდა და დროდადრო ხმამალ-
ლაც იმეორებდა:

— ლილი დაინიშნა... ლილი თხოვდება...

არ ეგონა, თუ ლილის ამბავი ასე ძლიერ
იმოქმედებდა, ან ასეთი ზარდამცემი იქნე-
ბოდა. ამბის გაგებამდე ლილისთან ურთი-
ერთობას საბოლოოდ დამთავრებულად
თვლიდა და თითქოს შეგუებულიც იყო, მა-
გრამ თურმე სცდებოდა — გულს ყველაფე-
რი უცვლელად და უკლებლივ შემოენახა.
წყველი გული! ხანდახან თურმე ისიც გვა-
ტყუებს, ცოტა ადრე რომ გაემხილა, ვე-
რძნობინებინა, ოდნავ, სულ ოდნავ, იქნებ
სხვაგვარად მოქცეულიყო და საქმე აქამდე
არ მიეყვანა, მაგრამ ახლა რაღა ქნას?

ახლა მხოლოდ ერთი სურვილი აქვს —
წავიდეს და ნახოს, როგორმე ნახოს, შეხე-
დოს, დაელაპარაკოს. არა, დალაპარაკებით
თუკინდ ნუ დაელაპარაკება, ოღონდ დაინა-
ხოს, თუნდაც შორიდან, ერთი წამით თვა-
ლი მოჰკრას, ერთი წამით მოჰკრას თვალი,
ერთხელ კიდეც, უკანასკნელად...

ეს სურვილი ამბის გაგებისთანავე გაუჩ-
ნდა და გულს ძლიერადაც მოეჭიდა. იმასაც
გრძნობდა, რომ ეს ვერაფერი დიდი ნუგეში
იყო: ლილი მაშინ ისეთი განრისხებული
დატოვა და თვითონაც ისე უხეშად შეაქცია

ზურგი, რომ შეიძლება არც კი დანახებოდა, მით უფრო, არ დალაპარაკებოდა. გარდა ამისა, ახლა ლილისთან მიხვლა ლაჩრულ დათმობას, დამდაბლებას უდრიდა და სათაკილო და დამამცირებელი იყო, მაგრამ ამ აკვიატებული სურვილის დაოცება და მოთოკვა არაფრით არ შეეძლო.

ცდუნებას ხბოების მოძღვებამდეც ვერ გაუძლო, ჯანდაბას, თუ შიათ, თუნდ სულიც ამოსძრომიათ, სხვას თუ არ აწუხებს, შერალად მოვიკლა თავი? ან ვინ დამიფასა მუყაითობა, ვინ დაინახა? — ამ სიტყვებით წამოუარა ნახირს და შერევა გალაკუნში. კარი საგულდაგულოდ გადაუღობა, — ეკალ-ფირის ქარის ჩამოტეხილი მესხის მსხვილი ტოტებიც გაუხიდა, რომ, თუ ვინიკობაა, დააკვირდებოდა, შიმშილით შეწუხებულ პირუტყვს ღობე არ გაღმოსეტვრია და კარში არ გამოსულიყო. საგანზე ეწროდ შეიკრა და მეტი სიმჭირისათვის პირდაპირ ტყე-ტყე დაეშვა.

არ გასულა ათი წუთი ნოსრევანას წასვლიდან, რომ ბილიცეც ცხენზე ამხედრებული კოტეც გამოინდა. კოტეც როგორღაც მოშვებული იჯდა უნაგირზე და აქეთ-იქით დუნდ ირწოდა, — ჩვეული რიბი აღარ უჩანდა. როგორც მოელოდა, წადილი ასევე იქიდან — ვერ აისრულა, პაპა ქორიასთვის ამკარად ხელაღებით დაპირისპირება ვერც არჩილა გაბედა. ხელთ ერთადერთი საშუალებადა შერჩა და ამ გზითაც სწორედ იმ განზრახვით წამოვიდა, რომ ციხეგორში ნოსრევანს შეხვედროდა, ცალკე მოლაპარაკებოდა — მეგობრულად, თანატოლურად ეთხოვა და ფერმიდან წახელაზე როგორმე ნებაყოფლობით დაეყოლიებინა. უჭირდა ნოსრევანთან — „ლაწირაკთან“ ქედის მოხსრა, მაგრამ სხვა ხასხარს ვერ ხედავდა, ლოლაზაც ასე უჩნია. თანაც დღესვე უნდა მოესწრო, თორემ ხელ იაგორა მოადგებოდა, დანაპირების ასრულებას მოსთხოვდა. რა უნდა ექნა? ვადა გამოგრძელო, ვეღარ გტყოდა, ან რა აზრი ჰქონდა: სულერთია, ხანამ ნოსრევანი ფხიზელი მსვერაივით ედგა თავზე, მაინც ვერაფერს ვახდებოდა, ერთი სიტყვით, სამქაროდ უნდა მოუშორებინა აქედან და მის მაგიერ ტილა ან ტუნია

ამოეყვანა. წამოსასვლელად ორივენი მხალ იყვნენ და თავმჯდომარესაც ნება ჰქონდა დართული. მერე ჩოფურს, რომელსაც საკუთრად მშრალი ებარა, ხბოებში გადაიყვანდა, მშრალს, ტუხიას თუ ტილას — რომელსაც ამოიყვანდა, — იმას ჩააბარებდა და იაგორას ვალიდან უსარალოდ და უდავიდარაბოდ გამოძვრებოდა: მშრალში ნაჭარბად ექვსი სული ეგულებოდა, დანარჩენსაც ნახირიდან წაუმატებს, ერთ წლამდე საიდუმლოს როგორმე დაფარავს. თუ მაინც გატირდა და ვინმემ შემოწმება მოიწადინა, თუნდმეტ-ოც სულს, თუნდ მეტსაც რამდენიმე დღით სულაც სხვა ფერმიდან ინთხოვრებს და აღწერისას სათვალავში უწევნებს. შე შენ გეტყვი, სერს სათითაოდ გაუსინჯავენ — ვინ გასწვდება! მერე დოლი წამოვა, გასაფსულზე ფერმა დანაკლის ნამატით შეივსებს — ზოგს გაცვლის, ზოგს ხიველილიანობაში უწვენებს, ზოგს ნადირს მიაწერს და ერთ წელიწადში კვალს ეს წავლის, რომ ხალხს კონტროლი და რევიზია კი არა, ქვეყნელიდან ამოსული ჯაღოქარიც ექლარაფერს უპოვის. ოღონდ ხანდა და ერთგული კაცი დაიყენოს გვერდით, ოღონდ ეს ნაბიჯები მოიშოროს აქედან. ციხე შეგნიდან ნუ გატყდება და...

მერე: რომ არსად ჩანს? სად უნდა იყოს, აქ სადმე იქნება.

— ნოსრევან!

პახუსი არაფერს ვასცა.

— ბიჭო, ნოსრევანაა!

კვლავ დუმილი.

— ვაპ, სად ჯანდაბას გაქრა? სხვა მხარეს ხომ არ წახსა დღეს ნახირი? არა მგონია. იქნებ გორს გადაღმა, ტაფობში ჩარევა? აბა ერთი, ვნახო.

არც იქ აღმოჩნდა.

— მაშ, სადღა მამაჩემთან წავიდა? — ჩაიბუტბუტა გაჯავრებით და გორზე აყუდებულ ციხე-გალავანს ახედა, არ უნდოდა ბარჯიანი ცხენის ამსიგრძე აღმართზე აყვანა, მაგრამ სხვა საშველი არ იყო — გორიდან მთელი გარემო ხელისგულივით მოჩანდა და სმასაც უფრო შორს მიუწვდებოდა. ციხე-გალავანს ზედა მხრიდან მოუარა,

სადაც ნაკლებად უყარა დუღაბის ნამუსრე-
ვები, რომ ცხენს გავლა არ გასჭირვებოდა.
უცხად გალავნის შიგნიდან ფაჩუნსა და სა-
ქონლის ფშვინგასავით რაღაც გაიგონა.
კიდევ წააყენა ცხენი და ფინიხით გადაღო-
ბილი კარიდან კედლის ჩრდილგებში მიმდ-
გარი ხბოებიც დაინახა. ხბოები ზანტად
იცოხნებოდნენ, რამდენიმეს დაწოლაც მო-
ესწრო.

— აი, თურმე, რა ყოფილა! — კოტეს
სახე ბოროტად მოედრია და თვალეზი
ბრაზით აუციმციმდა. — ისევ უპატრონოდ
ტოვებ საქონელს, არა? — გამოსცრა კბი-
ლებში, — ახლა მე ვიცი! ნებასთ, ახლა
როგორღა იმართლებ თავს, ან ის ბებერი
ჭოფაკი თუ კიდევ გამოგესაჩინებდა? —
ცხენის შემობრუნება დააბიარა, მაგრამ ისევ
გადაიფიქრა, ლავამს მოხწია და სმენადა-
ძაბულმა, თითქოს რაღაც უხილავ ხმას
მიაყურადა, მზერაც უხილავ სივრცეს გაუშ-
ტერა. ბრტყელი, მწითური შუბლი ხან გა-
ეშლებოდა, ხან მოძრავი ნაოჭებით დაეკე-
ცებოდა. ბოლოს თითქოს იპოვა, რასაც
ეძებდა — ნაოჭები თანდათან დაულაგდა,
— რა თქმა უნდა, რასაკვირველია... — ჩა-
ილაპარაკა თავის კანტურით, — სადამომ-
დე ვერ დაბრუნდება, ვერ მოასწრებს, მაშა-
სადამე... — სახე უცხად რაღაც უცნაური
თვითმკაყოფილებით გაებადრა, — უნა-
გირზე მოუსვენრად აცმუკდა, — დიახ, დი-
ახ, ჰო, გაგიწყრა ღმერთი! — წამოიძახა
ხმამაღლა და ჯერით საფე ხურჯინაკიდე-
ბული ცხენი ბინისაკენ გააქენა.

• • •

ნოსრევანი ამჯერად მაშინდელივით დამ-
შრალი რიყით აღარ შესულა სოფელში, მა-
გრამ კოტეს სახლსა და ეწო-კარმიდამოს
კი კვლავ ბუჩქნარითა და ბარდით დაბურუ-
ლი ღელის შხრიდან მოუარა. ღობესაც ძვე-
ლი სიფრთხილით მიადგა და ეწოში ფა-
რულად შეიჭვრიტა: ეწოში და აივანზე
მგელო არ ჩანდა, მაშასადამე, არც ლილი
იყო შინ.

— ნეტა, სად იქნება? — ჰკითხა თავის-
თავს და პასუხიც თვითონვე გასცა, — აღ-
ბათ, ზურგში, ამ საქმის დღეს სხვაგან
სად უნდა იყოს?

უკან იმავე გზით გაბრუნდა კვლავივემ
ვერულ ბარდებქვეშ წელში მოღუნულმა გა-
იარა და თემშარის პირა ორღობეში გავი-
და. კოლმეურნეობას ზურგები სოფლის ბო-
ლოსა და ჭალისპირაზე აქონდა. წასვლა თე-
მშარით ჯობდა, მოკლევ იყო და პირდა-
პირიც, მაგრამ ნოსრევანი ამ გზით არ წა-
სულა — ნაცნობებთან შესხედრას მოერი-
და. გული ბოღმით აქონდა საფე, სახეზე
მკედრის ფერი ედო და არავისთან შესხედ-
რა და გამოლაპარაკება არ უნდოდა. თემ-
შარის პირას მისული ისევ ხელმარცხნივ
შებრუნდა და სოფლის ბოლოსაკენ უკაცრი-
ელი ორღობეებით წავიდა.

მაგრამ დღეს ლილის მარტო ნოსრევანი
არ ეძებდა, მიეფარა თუ არა ჯვარედინი
ორღობის კუთხეს, თემშარაზე ქვევიდა:
არჩილის შავი „ვოლგაც“ გამოჩნდა, არ-
ჩილი მარტო იჯდა, მანქანა კოტეს სახ-
ლის პირდაპირ, კაკლის ჩრდილში გააჩერა
და ორჯერ წყვეტილად დააყვირა, ცოტა
ხანს შეიცადა და შესამედ დააყვირა უფრო
გაგრძელებულად და გაბმით, თავიც უფრო
გამოყო და ფარდებდაშვებულ ფანჯრებსა
და აივანს მოლოდინით მიაჩერდა, მაგრამ
არც ფარდები შერხეულა და არც აივანზე
ვინმე გამოჩენილა. არჩილი მანქანიდან
ჩამოვიდა, ფეხით გაიარა ორღობე და
კუტკარის სახელური მოსინჯა — კარი ისევ
დაკეტილი დახვდა.

— კიდევ არ მოსულა, სად არის ამდენ
ხანს? — მხრები აიჩინა და უკმაყოფილო
სახით ისევ მანქანისაკენ წავიდა.

ნოსრევანმა სოფელი ჩაათავა, მოასფალ-
ტებული გზატკეცილი გადაჭრა და სოფლის
ბოლოს მომკილ მინდორში გავიდა. მინდო-
რი მზის აღმურში ტკრცილებდა, ნაკვალი
მიწა თრთოდა და მტკრისა და ჩამწვარი
ნამკის სუნი უდიოდა. ქვევით, ჭალის
მთელს სიგრძეზე გაწოლილი ლურჯ-მწვანე
ფერის ზურგები მოჩანდა. იქამდე შორი აღარ
იყო, მაგრამ აქ სხვა თავსატეხი გაუჩნდა:
მინდვრის დასაწყისშივე ყამირგზა იტოტე-
ბოდა და ზურგებისაკენ რამდენიმე შტოდ მი-
ემართებოდა, და ნოსრევანმა არ იცოდა,
რომელს გააკულოდა, რომელ მხარეს აქო-

ნდა ნაკვეთი ახალგაზრდულ ბრიგადას — მარჯენივ, მარცხენივ თუ შუაში?

კარგა ხანს იდგა გასაყართან ჩაფიქრებული, თოფზე დაყრდნობილი და მხერკა გზის ერთი ზოლიდან მეორეზე გადაქონდა. ალაღბედზე ვერ წაფიქროდა, რადგან შეიძლება გზაში ასცდნოდა. აქვე ისიც გაასენდა, რომ ლილი ზერებში მარტო არ იქნებოდა და ხალხში გამოჩნება კი არ უნდოდა, სირცხვილი ისედაც ქენჯნიდა, ეგონა, ჩემი შერცხვენა მთელმა სოფელმა იცისო და დამყირების ტლანჭი გრძნობა გულს მძალე ბალღამად ედებოდა. არც ის იყო საკვირველი, რომ ლილი დღეს სულაც არ ყოფილიყო სამუშაოდ, ვინაშენი საქმე ყოველთვის ხომ არ არის, მით უფრო ახლა, როცა მარცვალში თვალი უკვე შესულია. ანდა, ვინ იცის, იქნებ აღარც კი დადის მიწის ნივთების სამუშაოებზე? თავმჯდომარის დანიშნული... განა კიდევ ეკადრება?

„თავმჯდომარის დანიშნული!“ — გაიმეორა გუნებაში და სირცხვილი უფრო მწვავედ იგრძნო. ახლა ყველაფერს ის ჯობდა, რომ ხელი ჩაექნია და აჭაურობას შეემჩნევლად გასცლოდა, ამასაც ცხადად გრძნობდა, მაგრამ თავს ვერაფრით ვერ ერეოდა, ბუნების ერთი დიდი სასწაულთაგანი ქალის სიყვარულიც არის, იგი ყოველთვის უბრალოდ მოდის, ხანდახან შეუმჩნეველად, მაგრამ მერე ყველაზე დიდი საკუთრება ხდება და როცა გარგავთ, თითქოს სიცოცხლესაც თან ვატანთ. კიდევ კარგი, გულში იმედივით მუდამ რჩება რაღაც, თორემ ამ ცეცხლს ალბათ კაციშვილი ვერ მოინელებდა. ახლა ნოსრევანის გულშიც სწორედ ეს მაცდური შუქი ბეჭეტავდა და ლილის უნახავად წასვლა არაფრით არ შეეძლო. ეგონა, ნახვით რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ სახელდობრ — რა, თვითონაც არ იცოდა.

„უნდა ვნახო, უსათუოდ უნდა ვნახო... დაეიჯერო, დავრწმუნდე...“

ბოლოს, კარგა ხნის ფიქრისა და განხილვის შემდეგ, უკან დაბრუნება და საღამომდე სახლის ახლომხლო დალოდება გადაწყვიტა. სადაც ან უნდა ყოფილიყო, სამუშაოზე თუ წახვან, საღამოს უსათუოდ შინ მოვიდოდნენ.

„ერთხელ ხომ მოვა... დავეცდები...“

დაც დილაზე დავეცდი“.

მაგრამ დაცდა აღარ დაჭირდა, შევიდა თუ არა ლილის ბაღის ბოლოს, დაბურულ დეღუმში, ზვევიდან გოგობის ტარციალა ხმები და სიცილ-კისკისიც გაიგონაკისკის-გღურტული რამდენსამე წამით მიწყდა. მერე უფრო ახლოდან გაისმა და ნოსრევანმა ლილის ხმა იცნო, ხმამ ეყვანივით გაიწკრიალა:

— იქნაბეთ, გოგობო, თორემ საცაა წვიმა დაუშვებს და დასველებს!

ნოსრევანმა ცას შეხედა, დღეს პირველად ასწია თავი მაღლა და შუა ცაზე წამომდგარი საავდრო ღრუბელიც პირველად დაინახა. ღრუბლის იქით გორის პირს მისული მზის მარათებერ გატყორცნილი მზის სხივები მოჩანდა. სხივი თანდათან ქრებოდა, ღრუბელი კი — მკვრივი, მოძრავი, ტყვიისფერი და სამუქაროდ დაბრეშილი მქისედ, ქსიოტად მოიგრავნებოდა და ცის სიღურჯეს სულ უფრო მეტად ფარავდა. მზის გაგარდნას ბევრი აღარ აკლდა, უხმოდ, უჩინრად თითქოს სადღაც კიდევ ტაცუნობდა, დიდხანს აღარც წვიმა დააყოვნებდა და, როგორც საფხულის ხანგრძლივი დარაიანობის შემდეგ, აგვისტო-სექტემბერში იცის ხოლმე, ეტყობოდა, გულხვავრივლადაც ჩამოღვრიდა. რა ეშველებათ გალაგანში გამომწყვედუელ ხბობებს?

— წვიმა საქონელს არ მოაკლავს, ხოლო შიმშილს დილაზე როგორმე გაუძლებენ.

ნოსრევანმა ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა, ბაღს გვერდიდან მოუარა, ჯალჯის ღობეზე გადახტა და რკინის გრვხილი რიკულებიდან ეწოში შეიხედა. გული გამალეებით უცემდა. აი, გაიღება ჭიშკარი და... ისევ ნახავს... ნეტა, როგორ შეხვდება? რას ეტყვის? ან თვითონ რა უთხრას?

ჭიშკრის გარეთ ასევე მოელოდა ლილის არჩილიც. მართალია, ისეთივე გულისძგერით არა, მაგრამ არც ნაკლები მოუთმენლობით. აგვ, რამდენი ხანია, რაც დანიშნა, რაც თითზე სანიშნო ბეჭედი გაუკეთა, — მას შემდეგ თითქმის კვირა გავიდა და ერთხელ უბრალოდ სასუბროდაც უღარ შეხვდა. დაახლოების მაგიერ, რაც წვიმა, და-

ნიშნას უსათუოდ უნდა მოპყროლიდა, ლილი უფრო დაშორდა, თითქოს გამოიცვალა, სხვა ადამიანად გარდაიქმნა და გაქსუვდა, გაგარეულდა. თვითონ ზომ არ ეკარებოდა და არჩილსაც ყველანაირად გზას უხლართავდა. არჩილის წინაშე არავითარ მოვალეობას არ გრძნობდა, არც რაიმე გრძნობა გააჩნდა და ჯერ ხეირიანად ვერც მდგომარეობაში გარკვეულიყო. იმ პირველმა, წუთიერმა გაბრუებამ იმავე დღეს გაუარა.

არჩილი ამას გრძნობდა და თავისი მდგომარეობა სერიოზულადაც აშფოთებდა სხვაც არა იყოს რა, ხალხისა სცხვენოდა: სოფელმა გაიგო, ხალხი ულოცავდა, თვითონ კი თამამად პასუხის გაცემაც არ შეეძლო, — მოსალოცს ვერაფერს ხედავდა. იმის შიშით, საქმე უარესად არ გაფუჭდესო, ვერც სმამალა რამეს ამბობდა. არადა, ასე ყოფნაც აღარ შეიძლებოდა. ბოლოს და ბოლოს, როდემდე? ერთხელ ზომ უნდა გაერკვია მდგომარეობა და თავისი კუთვნილი ადგილი დაეჭირა. ამას ხაერთო წესი მოითხოვდა და პატივმოყვარეობაც კარნახობდა. თვითონ რომ ვერაფერს გახდა, გასაჭირი გუშინ ლოლას შესჩივლა.

— დაუყვავე, მოეფერე, მიიჩვიე, ნელ-ნელა, თანდათანობით, — ურჩია ლოლამ, — საჩუქრები მიართვი, მაგრამ ცოტა ძალაც აჩვენე. ქალი, ზომ იცი... ჭიამაიას ჰგავს. მალა აცოცება უყვარს. თუ ერთი აცაცოცდა და კიხერზე დაგაჯდა, თავიც რომ მოიკლა, ვედარ ჩამოიყვან.

არჩილმა დაუჯერა და ეს დღეც სავანგებოდ ამისათვის გადადო. სამსახურის საქმეები გუშინვე მოითავა და დილას მზის ამოსვლისას მოაკითხა. უნდოდა, თბილისში ან სხვაგან სადმე წაეყვანა, გაეტარებინა, გაერთო, საჩუქრები ეყიდა და თავიანთ საქმეზეც საფუძვლიანად მოლაპარაკებოდა. მაგრამ სად იყო ლილი? არც შინ, არც ვენახში, არც კლუბში და არც სკოლაში — სადაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო, არსად არ აღმოჩნდა. არჩილი უკვე ნამდვილად გაჯავრდა და იმ განზრახვით, საღამოს ხომ მაინც დაბრუნდებაო, საბოლოოდ იმანაც სახლთან მოცდა გადაწყვიტა. და აი, იდგა ქალაქ-სკოლთან მანქანის იქნა ახლა...

ჩქარ-ჩქარა ინაცვლებდა და ქველმეცხვებად დებს ატრიალებდა. ლილის ხმა რომ გაიგონა, პირზევითვე შებრუნდა და დამრეხილმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მოდი ახლო, გაქვიტვიკებ მე შენ!

ლილი თავაწეული მოდიოდა, ცალ ხელში ყაპატოს მიმცრო კალათი ეჭირა, თავი წითელი სილაბანდით წაეკრა, და როგორც სჩვეოდა, მსუბუქად და აჩქარებით მოაბიჯებდა. სიარულში ტრელი კაბის ბოლო უფრიალებდა და თეთრი მუხლის თავები უწინდებოდა. გვერდით ენაგადმოგდებულ იქნა ლილი მოსდევდა.

— სადა ხარ, შენ, მთელი დღეა, დაგეძებ? — შორიდანვე შეაგება არჩილმა.

— ტყეში, მაყვალზე, — ლილი ახლოს მივიდა და კალათი გაუწოდა, — ნახე რა ტკბილია.

არჩილმა კალათს ზედ არ შეხედა.

— მერე, არ უნდა დამეკითხო?... ისიც ტყეში, მთელი დღით...

— რა მოხდა, მარტო ზომ არ ვიყავი, გოგოებმა მთხოვეს, გამოიარეს და უარს ზომ არ ვეტყვდი?

— შენ ახლა გოგოებთან საქმე აღარა გაქვს. დანიშნული ქალი ხარ და... გესმის? დანიშნული!

— ოჰ, დიდი ამბავი! — ლილიმ წარბები უკმაყოფილოდ შეყარა, — ამიტომ კარში აღარ გავიდე?

— კარში გახელას არავინ გიშლის, მაგრამ... ყველაფერს თავისი წესი აქვს. ჯერ მე უნდა დამეკითხო, უნდა მითხრა მაინც, იქნებ რა საქმე მაქვს?

— რა საქმე უნდა გქონდეს ისეთი, რომ... — კითხვა შეუბრუნა ლილიმ და თვითონაც მწყურალად შეხედა.

არჩილმა ნაძალადევად გაიცინა.

— კარგი ახლა, გვეყოფა ჩხუბი, — უთხრა დაყვავებით და მანქანის კარი გამოადლო, — მოდი, დაჯე.

— რათა?

— წავიდეთ.

— სად?! — გაოცებით ჰკითხა ლილიმ. — სადაც, სადმე... გაფიაროთ, გავისტორნოთ... სულერთი არ არის, შენ დაჯე და... გა... რა საქმე მაქვს?

— არა, ვერ წამოვალ. — თქვა მცირე ყოყმანის შემდეგ ლილიმ.

— რატომ?

— უკვე გვიანია.

— მერე, იყოს გვიანი, ჩემთან, ჩემს გვერდით... რა მნიშვნელობა აქვს?

— საცაა, წვიმაც დაუშვებს. აგე, მოდის კიდევ, — წვიმის მსხვილი წვეთები კაკლის ფოთლებს და მანქანის ზარფუშზე დროდადრო მართლაც ტკაცუნობდა.

— მანქანაში წვიმა არ ჩამოდის.

— თან დადღლილც ვარ.

— დაჯექი და დაისვენე. მე გატარებ, შენ დაისვენე.

— მაშიდა ელოც შეწუხდება. ახლა მაღე მოგა და... შინ რომ არ დავხვდეთ...

— გავეუაროთ და ვუთხრაო.

— არა, მაინც ვერ წამოვალ.

— კარგი ახლა, ნუ ჯიუტობ, მოდი, დაჯე, მოდი... ჰა, გულოდები.

ლილის მობეურდა ამდენი ჩიჩინი, თან მიზეზი რომ ვეღარაფერი გამოხასა. გულოც მოუვიდა და თავისდაუნებურად კაპახად წამოსცდა:

— ვერ წამოვალ-მეთქი, არ გესმის?

— ჰოდა, რატომ-მეთქი, რატომ?

— არ მინდა და იმიტომ. — უკვე პირდაპირ მიახალა ლილიმ.

— როგორ, არ გინდა? მე მოვედი. გუბნები და... — არჩილსაც გაუმალდა ჰა და სახეზე წყენაც ისევ დაეტყო. მაგრამ ამ დროს ზევიდან წყაროზე მიმავალი ხელკოკიანი დედაკაცები გამოჩნდნენ. ლილის გვერდით დაუცუელი მურა ნაგაზიც საეჭვოდ აიქიჩრა და არჩილმა ისევ დათმობა და თავშეკავება ამჯობინა. — კარგი... ზედალ გნახე, — უთხრა წინარად და მანქანაში ჩაჯდა. — შინ იყავი, გესმის. არსად წახვიდე! — კარი ძლიერად მიიჯახუნა და მანქანა გააქროლა.

ლილიმ კუტკარს საკეტის ჭრილში გასაღები გაუყარა, გადაატრიალა და ეზოში ბუნდუნით შევიდა. — თა, გამომჩინდა: მბრძანებელი! დიას, სწორედ, სახლიდან ფეხს აღარ გავდგამ. — კაკლის ძირას ძელკასმზე ჩამოჯდა, სწორედ იქ, სადაც ამას წინათ სარცხის ტაშტი ედგა, მაყე-

ლით სახე კალათიც გვერდით მოიდგა, ხელები მუხლებზე დაილაგა და მარჯვნივ ხელის უსახელო თითზე წამოცმულ სანიშნო ბეჭედს ირონიული დიმილით დააშტერდა:

— ჰმ, დანიშნული!..

ნოსრვევანი ჯერ ისევ ღობის გარეთ იდგა, ბალიდან ეზოში შემოსახვლელ რკინის ვიწრო კართან და ლილის რიკულებიდან უყურებდა. ლილისა და არჩილის საუბარი არ გაუგონია — გლავენის გარედან ხმა იქამდე ვერ აღწევდა და. რა თქმა უნდა, არც მათი შეხვედრა გაუგია. მაგრამ უცნებობა ლილის ეზოში შემოსვლისთანავე შეატყყო. შორიდან საჭორწინო ბეჭედიც დაუნახა და ლილის დანიშვნა საბოლოოდ ირწმუნა. ერთი პირობა ისევ ურუმრად გაცლა დააპირა, მაგრამ გულმა ახლაც უმტყუნა.

ნოსრვევანის მოსვლა პირველმა ისევ მგელომ შეიტყო და კუდის ქიკინით შეეგება. ლილიმ ძალიან გვიან დანიახა მისკენ გაუბედავად მიმავალი ნოსრვევანი, ბეჭდიანი მარჯვენა ხელი იმავ წამს ზურგსუკან დამალა და ფეხზე წამოხტა.

— ნოსრვევან... შენ აქ... საიდან მოხვედი?.. რად მოხვედი?

ნოსრვევანი შორიასლო ჩამოდგა და ლილის ნაღვლიანი მზერა მიაპყრო. ხმის ამოღება კარგა ხანს ვერ შესძლო, ღრმად და აქვარებით სუნთქავდა, თითქოს ფეხზე დღომაც უჭირდა, ცალი ხელით თოფს ეჭრდნობოდა, მაგრამ მაინც შესამჩნევად ირზვიდა. ლილიმ კითხვა გაუმეორა:

— ჰა, რაღად მოხვედი?

— მივედი, რომ... მოგილოცო, — როგორც უნა, ამოთქვა ნოსრვევანმა ენის ბორობით და თვალები დახარა, — რომ გაბეჭდინებოდა მოგილოცო...

— ნუ, ნუ მეუბნები, — შეაწყვეტინა ლილიმ მუდართით, — გუბუწები, ნუ მეუბნები... ნუ დამცინი.

— არ დაგცინი, ლილი... არც დაგცინი და არც გამტყუნებ, ესე იგი, არ გასაყვედურობ... ალბათ, ასე გიჯობდა. რა თქმა უნდა... სიმდიდრე, უზრუნველი ცხოვრება, სახელი, პატივი... იქ, სფეროებში...

ლილის ტირილი მოერია: — ნუ-მეთქი, ნუ! ნუ ამბობ მაგას არც

მიფიქრია... არა, გეფიცები, არასოდეს!

— მე არც გგვითხები, სულერთია, რა იქნება ან როგორ იფიქრე, მოსახდენი უკვე მოხდა და ამაზე ლაპარაკს ახლა არავითარი აზრი აღარ აქვს. რაც იყო, იყო... ოღონდ ბედნიერი იყავი... დამიჯერე, გულთ მინდა, ბედნიერი იყო. მშვიდობით, ლილი, — ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა და ხელი გაუწოდა.

ლილიმ ზურგსუკან ამოფარებული მარჯვენა ხელი დაუფიქრებლად გამოშალა. ორივეს თვალში მოსვდა ბეჭედი, ოქროს ცივმა, გლუ ანარეკლმა ორივეს თვალბუნებურად რკალივით გაიფლვა და ერთმანეთისაკენ გაწვდილი ხელები უმაღლესად უკანვე წაიღეს. ნოსრევანი სწრაფად შებრუნდა, ლილი უდონოდ დაეშვა სკამზე და გამშრალი უმეტყველო მხერვა ანჯამებზე აქანავეულ ბაღში შესასვლელ კარს მიაყინა.

— არა, ნოსრე, არა, — თქვა ნელი ჩურჩულით, — მე არა, არ მინდა... მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, მხოლოდ შენ... მამას სურს ასე, მან ბევრი რამ დასთმო ჩემი გულისთვის, ბევრი რამ შემომწირა და უფლება არა მაქვს, არ დავემორჩილო. რა ვქნა, არ მინდა, მაგრამ რა ვქნა... ო, ღმერთო, რა უბედური ვარ! — ხელები ხახუზე აიფარა, თავი მუხლებში ჩარგო და უხმოდ აქვითინდა.

იმავ წამს ცამ ძლიერად დაიჭქქა, ღრუბლის ტყვიისფერ ბინდში ელვა თვალისმომკრულად გაიკლანა და კაკლის ფოთლებზე მოხშირებული წვიმის მსხვილი წვეთები ატყლაშუნდა.

9.

— რა დამხედება აქ, ან დამხედება რამე თუ აღარაფერი? — აი კითხვა, რომელიც ნოსრევანს ციხეგორის დანახვისთანავე გაუჩნდა. ჭერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, მაგრამ მოწმენდილი ცის მოლილისფრო ფონზე წვიმით გადარეცხილი ციხე-გალავანი ლამაზად და უკვე გამოკვეთილად წამომართულიყო. წვიმას ბერძნები და ფერდობებიც გადაესხვაფერებინა — ნაგავლენი მტვერი და ნაადრევად შეპარული სიყვითლე მთლიანად გადაერეცხა და ნორჩი სიმწვანე გაემიშვლე-

ბინა. თვითონ ცაც პირდაპირად მიხედდა და შვის ამოსვლის წინა წუთებში მაცდურად და შემპარავად ილიმებოდა. მაგრამ რის მაქინისია სილამაზე, როცა გულზე ტყვიასავით მიიმე ნაღველი გაწევს და შინარევი მოლოდინი თავზე ავებედითი ყორანივით დაგჩხუბავს:

— რა დაგხედება იქ? რა დაგხედება?... რა დაგხედება?..

არაფერიც არ დახედრია! ქარიშხალს კარის საღობი ფიჩხიც პირწინდად აეხვეტა, ზოგი შეგნით, გალავნის კუთხეებში მიეყარა, ზოგი გარეთ გამოეტანა და დაფერდებაზე მიმოფანტა. არა, წუხანდელ ქარდელგმას მართლაც არაფერი გაუძლებდა. ისიც საკვირველია, რომ ციხე-გალავანი გადარჩა, რომ არ მოკლიჯა და დაფერდებაზე გადაყრილ ფიჩხს არ მიაყოლა. მაინც რა იყო წუხანდელი ღამე, ჰა? თითქოს ცხადი არც იყო, უფრო სიზმარს ჰგავდა და ხსოვნასაც სიზმარული ზმანებასავით შემორჩა. მთიდან წამოსული წვიმის პირველი ფარდა ნოსრევანს სოფლის პირას, აღმართის დასაწყისშივე შეეგება, მაგრამ სანამ დღის ნათელი იღვა, კიდევ არა უშავდა რა, მართალია, ორ ნაბიჯზე არაფერი ჩანდა და ჩქვმებიც წამდაწუმ წყლით ვესებოდა, მაგრამ ასე თუ ისე, სიარული მაინც შეიძლებოდა, მერე კი, როცა ჩამოხვლდა და ღვართქაფს დელგმაც დაერთო, ფეხის წინ გადადგმა და სიბნელეში გზის გაგნებაც გაჭირდა. დროდადრო წვიმის ქსელით გაბლანდულ ტყეში ელვის შუქი ჩამოიჭრებოდა და გზასავალს წამით გაახინათლებდა. ნოსრევანი მიმართულებას გაივრანულებდა და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა. ბოლოს ესეც შეუძლებელი გახდა. ფერდობზე ატყლილი ღვარები წამოვიდა, მიწა აატალახა და ფეხს მოსაკიდებელი გამოაცალა. ჩქვმის გადაგლეხებული რეზინის ლანჩა წარამარა სხლტებოდა და წინ წასვლის მაგიერ უკან მიაქანებდა. ნოსრევანი წონასწორობის შენარჩუნებას მუდამ ვერ ახერხებდა — ან ხეს მიასკდებოდა, ან ფეხში ნალექი წამოედებოდა, ტანს ვეღარ დაიჭერდა და ტალახში

ზღართანს მოადენდა. მოძრაობას მხარზე ნაკიდები თოფიც უშლიდა. დაცურებული ორჯერ ხრამშიც გადავიარდა. ხრამიდან ამოსვლა პირველად ისერიგად არ გასჭირვებია, მეორედ კი, დეღე წვიმის წყლით ყოფილიყო სახე და დახრჩობას ბეწვზე გადარჩა. გაჭირვებით ამოათრია უჩინარი, მღვრიე მორვეიდან უიშისოდაც გალუმპულ-დამძიმებული ტანსაცმელი, ღელის დამრეც კიდურსაც იდაყვებითა და მუხლებით გადმოფოფხდა. დაილალა, დაიქანცა და გულიც შეუშინდა. გახლებულ სტიქიასთან ბრძოლა მართლაც საშიში იყო, თავისი თავი უცბად ძალიან უსუსურად მოეჩვენა, თითქოს პაწაწინა, უღონო მწერი იყო და გამძიმვარებული გოლიათის ფეხქვეშ უმწყოდ ფართხალებდა. არა, სიარული უკვე აღარ შეიძლებოდა, უფრო სწორედ, თვითონ აღარ შეეძლო, არც აზრი ჰქონდა, ამასაც ახლავა მიხვდა. მოსახდენი ალბათ უკვე მოსდებოდა და ადგილამდე კიდევაც რომ მიედწია, ამ კუნაბეტ ღამეში წამხდარ საქმეს მაინც ვეღარაფერს უშველიდა. იმისიც მადლობელი უნდა ყოფილიყო, თუ თვითონ ცოცხლად და უვნებლად გადარჩებოდა.

ელვის შუქზე გვერდით მდგარი ტანმსხვილი წიფელი დალანდა. ხელის ცეცებით გადააბიჯა ფესვებზე, ჩექმის ქუსლებით დამბალ მიწაში ფეხის საყრდენები ჩაქეძა, მერე ჩექმები გაიხადა და წყალი წამოღვარა, თავზე მოკლე საწვიმარი წამოიფარა, ჩექმები ქვეშ ამოიწყო, ხის ძირას ჩამოჴდა და თოფი კალთაში ჩაიდო.

დაკლების მაგიერ წვიმა თითქოს უფრო მატულობდა. ნოსრევანი მჭიდროდ გვეროდა ხეს ზურგით და საწვიმარსაც საგულდაგულოდ იტყუებოდა, მაგრამ არაფერი შველოდა. ტოტებიდან მონაწერი წყალი ჭავლ-ჭავლად ეფრქვეოდა თავზე, მხრებზე, მუხლებზე, ეღვრებოდა კისერზე და ზურგსა და იღლებში თქრიალით გასდიოდა. ქარი ღმუოდა, ცა ყფდა, ტყე ბოპოქრობდა, მუხი გრგვინავდა, ელვის კლაკნილი ზოლი ცას თითქოს შუა აპობდა — გაიშხივლებდა ერთი ნა-

პირიდან მეორემდე, ფოთლებზე დაკრული წვიმის ღვარებს წამით გამოაჩენდა, ცეცხლის კუდს სადღაც დასალოიერში მოიქნევდა და ტყვეც კვლავ ჯოჯოხეთურ წყვილადში ჩაიძირებოდა.

ასე გაგრძელდა დიდხანს, დიდხანს, მერე ქარ-დეღემა მიწყნარდა და უცბად წვიმაც შეწყდა, ისე უცბად, როგორც დიდ ნიაღვრობისას იცის ხოლმე. ღრუბელმა ერთხამად ჩამოიბერტყა უბე-კალთა, თვითონაც ხუთა კენწეროებზე ჩამოიძენდა და ტოტებშირის მელნისფერი ცა და ქიქტიკა ვარსკვლავები გამოჩნდა. თანდათან ტყვე გასინათლდა, ნოსრევანი წამოღგა, დახუთულ-დაბუხული კუნთ-სახსრები ამომრავა, მუხლებში გაიშალა, სველი წინდები დაწურა, ფეხთ ჩაიცვა და აღმართს გულ-დამძიმებული შეუყვია.

ნუგეზად ისლა ჰქონდა, რომ მწყემსები საქონელს უპატრონოდ არ დატოვებდნენ, რაკი საღამოს თვითონ არ გამოჩნდა, საქონელი ბინაში აღარ მირეკა, უსათუოდ მიაკითხავდნენ, იპოვიდნენ და დააბინავებდნენ. ეს იყო ერთადერთი და უკანასკნელი იმედი, ამავე იმედით მიბიჯებდა ახლა ბინისაკენაც, მაგრამ იმედი ერთია და სინამდვილე მეორე. ვინ იცის, რა მოხდა წუხელ, რას ეტყვიან მწყემსები, რა ამბავს დაახვედრებენ.

უნაგირა მწყერვალს მზის პირველი სხივი დაეცა, პარვით, ცახცახით ჩამოცოცდა ქვევით და ფოთლებსა და ბალახებზე მთელმხარე ნაში გამოაღვიძა. საიდანაც თეთრი ნისლის ფაფუკი ფთილაც გამოძერა, მსუბუქად გაცურდა ტყის თავზე და გაქრა. მალე მზის სხივი ტყესაც გაემა, ტოტებში თავმეფარებულმა ჩიტებმა ჩვეული ხალისით შეიფრთხილეს. გადაეძრახნენ ერთმანეთს და მზის ღიმობს უზრუნველი სტვენა-ჭიკიკით შეეგებნენ.

— ნეტავი, თქვენ, რომ არაფერი გაწუხებთ...

რომ სცოდნოდა, რა მოხდა წუხელ, იმდენად აღარ შეწუხდებოდა. წინასწარვე ეცოდინებოდა, რაც მოელოდა და გულს ერთზე დააყენებდა — გარდევალს ვერსად წაუსვალ, ახლა კი უფრო ბრმას ჰგა-

ვდა, უშტარს და უსინათლოს, რომელსაც უკან დასახვევი ყველა გზა-საოტი მოჭრილი აქვს და უნდა თუ არა, მხოლოდ წინ უნდა წავიდეს, მაგრამ არ იცის, რა მოვლის იქ, სწორი მინდორი თუ უძირო უფსკრული და ყოველი ფეხის გადაჯგმა შიმის ძრწოლას ქვევრის.

ბოსლის დანახვამ შიში გაუორკვეა. აგე, მწყემსებიც: თედოს და პაპა ქორიას საწველელები უჭირავთ ხელში და ბაკისაკენ მიდიან. ჩოფურიც მათ შეუერთდა, იოთამი კოცონთან დგას და ხელებს იმრობს... ილო სადღაა? არც ძია კოტეს თეთრი ცხენი ჩანს. ნეტა, ის მაინც არ დახვედებოდეს აქ და ცეცხლზე ნავთს არ დაუხსამდეს...

რას ეტყვიან, რა ამბავს დაახვედრებენ?...

— ნოსრეგან, ბიჭო, შენა ხარ? ცოცხალი ხარ? მადლობა ღმერთს!

იოთამის ხმა... აგე, მგონი ჩოფური, თედო და პაპა ქორიაც მობრუნდნენ... ილო შიგნით ყოფილა...

— ნოსრეგანია?

— ჰო, ის არი.

— ქე-ქე, რას დამგვანებია!

— ჰო, უცბად ვერც მე ვიცანი.

ეს ისევ იოთამმა თქვა. ყველანი კიდურზე გადმოქუჩდნენ და გაკვირვებით ჩამოაჰყურებენ. მართლაც ძნელი საცნობი იყო, თავისი თავისათვის რომ შეეხედა, თვითონაც ვეღარ იცნობდა. შავი თმა თავქვე ჩამოშლოდა და შუბლსა და ყურებზე კეჭა-კეჭა მისწებებოდა. გაფერმკრთალებული, გაცრეცილი, თავით ფეხებამდე გალუმპული და ტალახში ამოგანგლული დიდი ხნის ნათრევსა და ზეწურად ჩამოტყავებულს ჰგავდა. სიარულიც დამბლადაცემულს მიუგავდა. ისევ იყო გალახული, რომ ცნობა სათაფნო ძალს აღმასასაც კი გაუჭირდა.

— ძველებურად ნელი წკმუტუნით აღარ გახახუნებია ფეხებზე, შორიანლო ჩამოდგა და იჭვნულად დაამტერდა.

— მადლობა ღმერთს, გადარჩენილხარ. ჩვენ კი შენი ჯავრით ღამე თვთრად გავათენეთ... ვიფიქრეთ... რა არ ვიფიქრეთ... მაინც სად იყავი, სად გაათიე ეს წილი ღამე?

დაიცა, ძია იოთამ, რა დროს ამბის კითხვა და ლოცვა-კურთხევაა, თავის საწუნარზე უთხარი რამე, ერთი სიტყვა მაინც, ერთადერთი, თორემ გული ღამის შუაზე გაუსკდეს. უთხარი, შენი ჭირიმე, ჩქარა უთხარი, რა ქნა საქონელმა, მთლიანად დაიღუპა თუ კიდევ რამე გადარჩა?

იოთამის ხმა თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმა:

— ნაწილი აი, აქ არიან, ბაკში. დანარჩენებიც მოიხელებიან...

აჰა, მაშ გული ტყუილად არ უშფოთავდა... დანარჩენებიც მოიხელებიანო, მართლა იმედი აქვს იოთამს თუ ამას ისე, დასამშვიდებლად ვუბნება? ან რამდენია ეგ ნაწილი და რამდენილა დარჩა ველზე?

— თავსხმა რომ წამოვიდა და აღარ გამოჩნდი, — იოთამის ხმა კვლავ ყრუდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა, — ვიფიქრეთ, მარტოს გაუჭირდებაო და წამოვედით... გეძახეთ, გიკვილეთ, გიჭყვილეთ... სამოცამდე მოვარგოვეთ... მერე დაღამდა, უკუნი ჩამოწვა...

მაშასადამე, გალაგნიდან ქარიშხლის დაწყებისთანავე გამოყრილან, — დაასკვნა გულში და ბაკისაკენ გაუბედავად წავიდა — უჭირდა სამწყსოს დანახვა. ხბოები მართლაც საბრალო დასანახავეები იყვნენ, დაობლებულებს ჰგავდნენ, თითქოს ამ ერთ ღამეში მათაც რაღაც დიდი ტანჯვა და მწუხარება გამოეელოთ, თითქოს გრძნობდნენ თავიანთ დანაკლისს და ატკრეცილები დიდრონ, გულბერყვილო თვლებს ნაღვლიანად აშტერებდნენ. რატომ უყურებენ ასე? ნუთუ ამ უკუთ, უსუსურმა არსებებმაც გაიგეს პატრონის დანაშაული? მაშ რა არის ეს ხანგრძლივი, დაკინებული მზერა, თუ არა უტყვი და უთქმელი საყვედური?

გულმა მეტის ატანა ვეღარ შესძლო საკუთარი დანაშაულის გრძნობა და პირუტყვის სიბრალული ერთად დააწვა და ტირილი მოერია. სწრაფად შემობრუნდა, — წავალ. — თქვა ჯიუტად, და ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლის კურცხლები მალულად მოიწმინდა, — ახლავე წავალ, მთელ მთა-ბარს თაფილი თა... ან ვიპო-

ვი, ან თვითონაც თან გადავყვები.

მწყემსები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და დამშვიდება დაუწყეს:

— დაწყნარდი, ბიჭო, რას შერებდი... სიცრუეზელია... ნუ გეშინია. მოიხელებიან, გამორიდებიან... ამაზე უარესიც გეინახავს... დაწყნარდი, დამშვიდდი...

ნოსრევეანს არაფრის გაგონება არ სურდა, არც გაემტყუნებოდა: ორ ჯაყვს კაცი კიდევ როგორმე გაუძლებს, თუ ერთი მეორეს გამორიცხავს ან ჭარბობს და აბათილებს. მაგრამ როცა ორივე თანაბარია და ერთმანეთს აფხებენ — ამას ქვის გულიც ვერ გადაიტანს. ცრემლი უკვე თქრიალით ხდიოდა ლოყებზე, მაგრამ აღარ მალავდა. — არ მინდა, არ მინდა... ნუ მეუბნებით! — გაიძახოდა კბილების კრაჭუნით, მწყემსებს ხელის გაკვრით იცილებდა, ფეხზე მდგარი იხდიდა სველ ტანსაცმელს და აქეთ-იქით ისროდა, — არ მინდა... სიცოცხლეც აღარ მინდა!..

პაპა ქორიამ მწყემსები გამოთარიადა, თვითონაც აცალა, ხანამ ტანსაცმელს გამოიცვლიდა და ცოტა მაინც დამშვიდდებოდა. მერე წინ ჩამოუდგა, ხელები მხრებზე ჩამოაწყობდა და თავისებური ნელი ტუქსავით უთხრა:

— რა გატირებს, ვაჟაკი არა ხარ? წამხლად საქმეს ტირილით რას უშველი... ნუ გეშინია, ამდენი საქონელი ასე ერთბაშად უკვალოდ არ გაქრება. უპატრონო ხომ არ არის, პატრონი ჰყავს — ხალხი, სოფელი... ხალხი არ დაკარგავს... შენ აი ამათ მიხედვ, კოტე უკვე წასულია, უთენია წავიდა, ჩვენც წავალთ, აი ფურებს დაწვევლავთ და ერთ-ერთი წავალთ.

— ჰო, წავალთ, — ჩაურთო იოთამმა, — მე თვითონ წავალ. იოთამს და პაპა ქორიას სხვებმაც მხარი აუბეს:

— წავალთ და ვიპოვით კიდევ. მართლა ისე კი არ არის რომ...

— საქონელი ვის არ დაჰკარგვია...

— ჯერ ვნახოთ, მოვძებნოთ, იქნებ სულაც აქვე არიან?

— ჰო, ჯერ ხომ არ ვიცი, არ გაგვიც...

— სხვა ფერმებშიც მოვიკითხოთ, ხალხს შევატყობინოთ, ამდენი საქონელი მართლაც უკვალ-უგერსოდ როგორ დაიკარგება?

— მარტო ზომ არა ხარ, აქა ვართ, გვერდში ვიდგევართ.

— ნუ წუხდები...

— ნუ გეშინია...

— ჰოდა, ვერე — უთხრა საბოლოოდ პაპა ქორიამ და ხელით ბოსლისკენ უბიძგა. — ჩაიდე საგსალი, აილე ჯოხი და გამოუშვი. მშინერები არიან, ცოდაო ეტყობა, გუშინაც მაძღრისად ვერ მოუძოვიათ.

ნოსრევეანს უფროსების რჩევა ემართლა და დამორჩილდა, მაგრამ როდის გამოუშვა განახევრებული თუ გამესამედებული სამწყობო ბაკიდან, როდის გამოიარა ტყეში გაჭრილი ველის ვიწრო ზოლი და გამოვიდა აქ, ციხეგორში, ან როდის გადაიხარა მზე და გადასცდა საშუალოს, არაფერი გაუგია. გონება დახშული ჰქონდა, მესხიერება გამოთიშული, არც თვალი, არც სმენა და გულისყური თავის ირგვლივ არაფერს აღარ ანაწევრებდა. ბგერებისა და საგანთა ცალკეული გამოსახულებანი თითქოს გაქრა და ერთ მთლიან უფერულ და უკიდვანო სივრცეში გაითქვიფა, რომელიც თავიდან ბოლომდე გაუგებრობითა და საიდუმლოებით იყო მოცული. გაუგებრობა უფრო გაიზარდა მას შემდეგ, როცა ციხეგორში კოტე და იოთამი ამოვიდნენ. ჯერ იოთამი მოვიდა, მერე ქვევიდან კოტეს თეთრი ცხენიც გამოჩნდა. ცხენი ნარბენალი ჩანდა — მთლიანად ოფლში იყო გადაკარული და ნესტობებაბერილი მძიმედ და აჩქარებით ქმინავდა. შუბლსა და საფეთქლებზე კოტესაც ოფლი დასდებოდა.

— არაფერია? — შეაგება კითხვა შორიდანვე იოთამმა.

— აპა, — პაპა, ტაჭანება არსად ჩანს, — კოტე ცხენიდან ჩამოხდა, ცხენს საბუნი დაუგრძელა და ცხენისახატვით ოფლიანი შუბლი მოიწმინდა, — არც გეში, არც ნაკვალავი! მომიჯნე ფერმები სულ დავიარე, მერე აქ, ზევსურების სოფელშიც ჩავვედი, მაგრამ... რა დაგიკარგავს, რას უძ...

— მნახველი მაინც არავინა ჩანს?

— გაგონილა, კაცი არ არის, ერთი კაცი.

— საკვირველია, საოცარია, — იოთამმა ხელები გაშალა და თავი უმწუროდ გადახარ-გადმოხარა, — სად გაქრნენ ასე უკვალოდ, მიწამ ჩაყლაპა, თუ ცაში? თითქმის ყველა გზა-ბილიკი მოვსინჯე, ყველა დღე, გასასვლელ-გამოსასვლელი ვნახე, მაგრამ, შენი არ იყოს, რა დაგიკარგავს, რას ეძებ, — ერთი ხანიშო ვერსად ვერაფერი ვპოვე.

— საით ეძებ? — ჰკითხა უცებ კოტემ.

— შორს არ ვყოფილვარ, ჯერ აქვე, ახლო-მახლო ვიარე. ახლა ქვევითაც მოვითვალეებ, აი, რიყის პირას ბარდნარიანი ღრანტეები რომ არის...

— წყლის ნაყვია, — უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა კოტემ, — ახლა საქონელს ტყეში ვილა მალავს. შეყრიდნენ მანქანებზე და... ვინ იცის, საით გაუყვნეს გზას.

— ვითომ ქურდების გარეკილი იქნება? — ეჭვი გამოთქვა იოთამმა.

— აბა, მაშ, ვისი? — დაღრჯით თქვა კოტემ, — და საკმაოდ გაჭინილებიც ჩანან. ისეთი ამინდი შეურჩიეს, რომ... წვიმა-ნივლიანი სამანქანე გზამდე ყოველგვარ ნაკვალევს წაშლიდა და... მაგრამ არ შერჩებათ, — დაუმატა მცირე ხნის შემდეგ და თავი მუჭარით ჩაიქნია, — ჩვენი მილიცია ახლა ისეთი ძლიერია, რომ ქურდი და ყარალი, აქ კი არა, ზედაპირზე, ქვესენულშიც ვერ დაემალება. მაშ, მალე იპოვნინ და გაბაწრავენ.

გადარჩენილი სხობები მუხების ჩრდილში იყვნენ თავმოყრილი, ნოსრეგანიც იქვე იდგა. კოტემ ხელი დაუქნია, ნოსრეგანი ფეხტებით მივიდა და თავდახრილი შორიასლო დაუდგა. იგი კოტესაგან ერთ ვაი-უშველემელს მოელოდა — ლანძღვას, გაკიცხვას, მუჭარას, ჩხუბსა და აურზაურს, მაგრამ, მისდგასაოცრად, კოტემ არა თუ არ გაკიცხა, პირიქით, სრული თანაგრძობითა და, როგორც თვითონ მოეჩვენა, თითქოს ქმარბიური მხარდაჭერითაც კი ანუ-ბეშა:

— რა თავბირი ჩამოგტირის, ბიჭო?

რა ვუყოთ, მოხდა-მოხდა, ახლა თავებს ხომ არ დავიხოცავთ? ჩვენ ჩვენი ვცადოთ. აი, ახლა ჩავალ, შევატყობინებ გამგეობას, მილიციას და... აკი ვამბობ, ჩვენს მილიციას ქურდი კი არა, ქვესენელის ჭინკაც ვერსად წაუუვა-მეთქი. ჰოდა, ვერც წაუვა. — ცხენს მოსწია, მოსართავები მოუსინჯა და დაუმატა, — ბოლოს და ბოლოს, მარცხი შეგემთხვა, ბოროტმოქმედება ხომ არ ჩაგიდენია?... ამინდი, სტიქია... ხანდახან ქალაქებსაც კი ანგრევს... რას იხამ.

— მაშ, რა ჯენა, აღარ ჩავიდე ქვევითა? — ჰკითხა იოთამმა.

— რა თქმა უნდა, არა, — აჩქარებით მიუგო კოტემ, — ტყეში ძებნა უაზრო დროის კარგავა. შენ ფერმას მიხედე, კიდევ არაფერი მოხდეს. ამ საქმეს მეც ვყოფი.

კოტე ცხენზე შეჯდა და საცალფეხო ბილიკით სოფლისაკენ წავიდა, იოთამიც წავიდა, ნოსრეგანი ისევ მარტო დარჩა. წელან კოტეს ნათქვამმა ოდნავ გაამსწენვა, მაგრამ კარგად რომ ჩაუკვირდა, სანუგეშო იმდენი ველარაფერი ჰპოვა. თუ ხბობები მართლა ქურდების გარეკილი იქნებოდა, პოვნის იმედიც ნაკლებადლა უნდა ჰქონოდა. ან სულ აღარ რჩებოდა. განა ასეთი აღვილია დაოსტატებული ქურდის პოვნა და მიგნება? მაშინ თვითონ რაღა მოელოს? რა თქმა უნდა, დაიჭურენ, სულერთია, მისი ბრალით მოხდა თუ ამინდის მიზეზით, ამდენ ზარალს მაინც არავინ არ ამატიებს — არც ხალხი და არც კანონი.

იმედის ის პაწია ნასახიც, რაც აქამდე გულს კიდევ აცოცხლებდა, მთლიანად გაუქრა, მაგრამ წუხილი ზედმეტად აღარ უგრძენია. გულის ყოველი უჯრედი, თვით სულ მცირეც კი, სისხლის ყოველი წვეთი ბოლომდე გაქდენილი იყო წუხილით და მეტის განცდა აღარ შეეძლო. ნეტა ჩქარა მაინც დაღამდებოდეს და გათენდებოდეს, იქნებ სვალინდედ დილას, სვალინდედ დღეს რაღა ახალი გამოეჩინა, მოეტანა და ამ მღერე მორეგვით შეგუბებულ გაუგებრობას რომელიმე მხარეს გზა გახსნოდა, მაგრამ რომ აღარც დაემდება? აგე, ჩიტები როგორ სტვენენ, — ყინნად და

გულარსებინად, თითქოს დაღამებებს აღარასოდეს აპირებდეს, თითქოს ჯიბრზე მზეც ერთ ადგილზე გაიყინა. რა ხანია, გადასცდა საშუადღოს, უკვე გორის შიშველ ზურგსაც მიჯარდა, მაგრამ ჩასვლას რატომღაც აგვიანებს, ჯერ ისევ ფხიზლად აჭყეტავს მოღლილ თვალებს და თავისსავე სხივთა ბადეში განხლართული წითლად მოგისვიზე ღრუბლის სარეველზე ზანტად და ნებიერად იხმორება.

• • •

კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის ეზო-კარმიდამოში არაფერს ნანდა, თვით შენობაც დაცარიელებულს ჰგავდა, მხოლოდ ბულატერიიდან ისმოდა საანგარიშოს ჩაბკუნი და აივნის ზედა კუთხეში შეგხალათიანი დამლაგებელი დედაკაცი თვლემდა. კოტემ ცხენი ჭიშკარს გარეთ დააბა, სწრაფად აირბინა ბეტონის ფართო კიბე და პირდაპირ არჩილის კაბინეტს მიადგა.

ბედად არჩილი ადგილზე დახვდა — გრძელმისადგმელიან, ოვალურ შავიდასთან იჯდა და იდაყვზე ჩამოყრდნობილი „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ ახალ ნომერს კითხულობდა. ფარდებდაშვებულ, მოზრდილ კაბინეტში სანახევროდ ბნელოდა და დამამშვიდებელი სიმყუდროვე იდგა. არჩილი კოტეს, როგორც უკვე სიმანრს, ფეხზე ადგომით შეეგება და სკამიც თავისი ხელით გამოუწვია. კოტე დაჯდა.

— აბა, როგორ, შენ და შენი ფერმა? — არჩილმა ოდნავ გაიღიმა და ჭურნალი გვერდზე გადადო — ძალიან გაცი-ჭირდათ წუხელა?

- ოჰ ნუღა იტყვი!
- რა ამინდი იყო, ჰა?
- ხაშინელი, პირდაპირ წარღვნა იყო, მეორმოსვლა.
- კიდევ მადლობა ღმერთს სეტყვა არ მოჰყვა.
- აბა, აბა, დავიდუკებოდით.
- იქ, ალბათ, უარესი იყო?
- რა თქმა უნდა, მთაში... მთა... ხომ იცი.
- მაინც როგორ გადარჩით, რამე ხომ არ მოხდა?

— მოსდა და, ისე? — კოტემ ჩაიკიცხა კოტემ და გულსიტკივილითა და ოხერით ხბობის დაკარგვა გაუმელავნა.

— ოთხმოცდაცხრა სული?! — არჩილი გველნაკებნივით წამოიჭრა სკამიდან და კოტეს შიშამდგარი თვალებით მიაშტერდა, — ხუმრობ, თუ?..

— რა ღროს ხუმრობაა, ლამის თავი ჩამოვიზნრო.

არჩილმა ფერი დაკარგა, დუნედ ჩაეშვა სავარძელში და ხანგრძლივად შეკავებულ სუნთქვას ჩუმი ოხვრა ამოაყოლა:

— ოთხმოცდაცხრა სული... ერთად, ერთბაშად...

ეს მართლაც თავზარდამცემი ამბავი იყო, იშვიათი და მოულოდნელი, რომელიც, მასაც, არჩილს, საკმაოდ რეალურ სამიწროებას უქმნიდა, მდგომარეობასაც და მომავალსაც აშკარად ვჭკვევ უყენებდა. კოტე ამშვიდებდა და ბრალდების მთელი სიმძიმე ამინდზე გადააქონდა, მაგრამ არჩილმა კარგად იცოდა, რომ ამინდის მიზეზით თავს ვერ იმართლებდა და ვერც თვალს ვისმეს აუხვევდა. წუხელ, მართალია, დიდი თქეში და ნიაღვარი წამოვიდა, მაგრამ უსაშველო მაინც არაფერი ყოფილა, ასეთი წვიმები თითქოს ყოველ ზაფხულს მოდის, ზაფხულის განმავლობაში ხანდახან ორ-სამჯერაც მეორდება. გარდა ამისა, თავი რომ გამოიდოს, საბუთიც ხომ უნდა ჰქონდეს, სად არის საბუთი, რომ საქონელი ნიაღვარში დააზარალა? ვინ დაუჯერებს, როცა არც გემი ჩანს, არც ნიშან-კვალი?

— ხალხი უნდა გავგზავნო, — თქვა ბოლოს და ტელეფონს გადასწვდა, — ახლავე გამოვიძახებ ბრიგადირებს და...

— არ გინდა, — უთხრა კოტემ წყნარად და აპარატს ხელი დაადო, — არ არის საჭირო, ჯერჯერობით სოფელს ნუ გავაგებინებთ, ნუ გავახშაურებთ, ხალხის ჭორი მითქმა-მოთქმა... ხომ იცი... ვინ რა კუდს გამოაბამს. ეგვეც არ იყოს, რა ვიცით, თუ მართლა ჭურდების გარეკლია, ვინმე სოფლიდანაც არ ურევია. ზოგმა შეიძლება, პირიქით, ხელიც შეუწყოს, ხალხი ჭრე-ლია... ამით ჭურდს გზა-სავალს თვითონ

გურჯენებთ და დამალვას გაუაღდილებთ.

— მაშ, რა ვქნათ? — განკებ თუ შემთხვევით, არჩილმაც მრავლობითის ფორმით ჰკითხა.

ზედა მხარეს რომელიღაც კარი გაიღო და აივანზე ქალების საუბარი გაისმა. ხმაზე ეტყობოდა, ორნი უნდა ყოფილიყვნენ, აივანი გაიარეს და კიბეს ქუსლების ნელი კაკუნით ჩაუყვნენ.

— დრომდე საიდუმლოდ შევინახოთ, — მიუგო კოტემ, როცა ნაბიჯების ხმა მთლიანად მიწყდა, — ჯერ მხოლოდ მილიციას შევატყობინოთ.

— ეგ კი, მაგრამ მილიცია მართო რას გახდება, თუ ჩვენც... თვითონ ხომ არ მოძებნის?

— სამაგიეროდ სამანქანე გზებს შეკრავს, საგუშაგოებს გააფრთხილებს და... ჩვენც თავს დავიზღვევთ.

— მაშინ რაიონის ხელმძღვანელობასაც უნდა შევატყობინო.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა კოტემ, სკამი წინ გასწია, გადაიხარა და ჩურჩულით განაგრძო, — ახლა მე და შენ თითქმის ერთი ოჯახი ვართ და საქმეც ერთი გვაქვს. შენი ზარალი ჩემი ზარალიც არის და — პირიქით. სოფელი ღონიერია, ამ მცირე დანაკლისით არ დაიღუპება, ჩვენ კი დავზარალდებით. ამიტომ, რამე რომ მოხდეს, ესე იგი, დანაკარგი რომ არ აღმოჩნდეს და საქმე პასუხისმგებაზე მიდგეს, მე და შენ ამთავითვე ყოველმხრივ დაზღვეულნი უნდა ვიყოთ, რომ...

— რომ არც მწყადი დაიწვას, არც — მამფური, — დააბოლოვა არჩილმა.

— რა თქმა უნდა.

— ძნელია, მეტად ძნელია... დაფიქრება უნდა, — თქვა არჩილმა, წამოდგა და კაბინეტში ფეხაკრეფით გაიარ-გამოიარა. სახის გამომეტყველება წამით-წამს ეცვლებოდა, თავს ნელა აკანტურებდა და დროდადრო წარბებიც უხტოდა.

— როგორ ფიქრობ, — ჰკითხა კარგახნის ფიქრის შემდეგ და კოტეს წინ ხელებით მაგიდას დაეყრდნო, — თვითონ

ის მწყემსი ბიჭიც ხომ არ იქნება გარეული?

— რა გითხრა, — მხრები აიჩეჩა კოტემ, — შეიძლება კიდევ იყოს.

არჩილი პარტიული მუშაკი იყო და საქმის სწრაფი და ოპერატიული გადაწყვეტა უყვარდა, კოტეს თაბახის თეთრი ფურცელი დაუღო წინ, კალამიც მიაწოდა.

— მაშ, დამიწერე ახსნა-განმარტება და მწყემსის საეჭვო საქციელიც აღნიშნე. მილიცია კონკრეტულ სამხილს მოითხოვს... ყველაფერი დაწერილებით დაწერე, რომ საქონლის დაკარგვის მომენტში ის ადგილზე არ ყოფილა და არც მერე გამოჩენილა, რომ... ერთი სიტყვით, როგორც იყო.

— კი, მაგრამ... — შეყოყმანდა კოტე. — ჯერ ხომ არ ვიცით, იქნებ არაფერ შუაშია?

— რა არ ვიცით, — წყენით მიუგო არჩილმა, — თვითონვე არ ამბობ, ხბობი რომ მოვნახეთ, იქ არ იყო და დილაზედ არც გამოჩენილა? ამაზე მეტი რაღა გინდა? რატომ არ ამბობს, თუ წმინდა სულია, სად იყო მთელ დამეს, სად დაფთვოდა? გარდა მაგისა...

კიბეზე ვიღაცამ ტლანჭად შემოაბიჯა, არჩილი მოლოდინით გაეყრდა, მაგრამ მომხველელი კაბინეტში არ შემოსულა, კიბის თავზე მარჯვნივ შებრუნდა და საბუღალტრო ოთახის კარი შეაღო.

— გარდა მაგისა, — განაგრძო არჩილმა ოდნავ ხმადაწვევით, — სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ეს საეჭვო პირის დაფარვად ჩაგვეთვალონ და ჩვენც ეჭვში გაგვჭვიონ. აი, რა შეიძლება მოჰყვეს ამას.

— ჰო, ეს კი მართალია.

— ჰოდა, დაწერე! შენ დაწერე და თავის სიმართლე ყველამ თვითონ გაარკვიოს. ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შეილო.

კოტე მორჩილად დაიხარა და წერას შეუდგა.

* * *

ლილი იმ დღის სახლსა და ეზო-კარმიდამოს არ გასცილებია — არჩილს მოელოდა და დილიდანვე შინ ტრფალებდა.

მართალია, არჩილის ყველა სურვილის ასრულება საგაღმდებლოდ არ მიაჩნდა, მაგრამ საერთო წესსა და ადათ-ჩვევას თვითონაც ემორჩილებოდა. რაკი სთხოვა, ხვალ შინ დამხვდით, მაშასადამე, უნდა დახვდეს კიდევ, დელოდოს, სათქმელი ათქმეინოს და მოუსმინოს და თავისიც უთხრას — წესია და წესს კი ვერსად წაუვა. გარდა ამისა, თავისი წუხანდელი უკმახი საქციელის გამო არჩილთან თავს დამნაშავედ თვლიდა და ურთგვარად მისი გამოსყიდვაც უნდოდა.

არა, ასე მართლაც არ შეიძლება, როდემდე? რაღაც თვითონაც ხომ უმდა დაუთმოს, ზოგჯერ მაინც, ხანდახან.

ასე ეკამათებოდა თავის თავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოლოდინს ოდნავადაც არ განიყდიდა — არ ღელავდა, არც სწყინდა, არც უხაროდა, მოულოდა როგორღაც სხვათაშორის, როგორც უცხო, შორეულს, რაღაც უსარგებლო, გაურკვეველი აუცილებლობის კარნახით, და ფიქრიც და მოლოდინიც მოლიანად ამით თავდებოდა. გულშიც ასეთსავე გაურკვეველ გაორებას გრძნობდა. ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდა, თითქოს თავისთავს აღარ ეკუთვნოდა და გაოცებული და შემგრთალი უხმოდ ჩურჩულებდა:

— რა არის ეს? რისგან ხდება, რომ ჩვენი სურვილი, ფიქრი, საწადელი, ზოგჯერ ჩვენსავე მოქმედებას აღარ ემთხვევა? თითქოს ყველაფერს რაღაც უჩინარი ძალა განაგებს, ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ ძალა, რომლის ძლიერი, დაუმორჩილებელი ხელი უხეშად, ნაძალადევად უპირისპირებს ერთიმეორეს ოცნებას და სინამდვილეს და ბოლოს ისე თიშავს, რომ ერთმანეთს ოდნავაც აღარაფერში ჰკვანან. აი, მაგალითად, მე რატომ ვარ დანიშნული? და თუ ვარ, რატომ არ მჯერა? ან რატომ მზარავს ეს სიტყვა სულ უფრო მეტად, რაც დრო გადის, რატომ მუხამუშება და... მაშინებს კიდევ? მე მხოლოდ სხვათა თვალში ვარ დანიშნული, თვითონ კი, თვითონ... ვერ ვირწმუნებ ვერ დავიჯერებ... ო, ღმერთო, ვიცოდე მაინც რა მოხდება, რით დამთავრდება?

შუადღემდე სახლი დაალაგა, ლოგინები, სახმარიც და უხმარიც გაამზეურა, ავეჯზე

მეტყერი გადაწმინდა, და თამბაქოსფრად შეღებილი აივნისა და იატაკების მშრალი ტილოთი დაგვა-დაკრიალებაც მოასწრო.

არჩილი კიდევ არ ჩანდა. რეცხვა-ხეხვაში წყალი გაუთავდა და შუადღე რომ გადაინახრა, მომცრო კოკით წყაროზე წავიდა, ძალი მავთულზე გაბმული ჯაჭვით დააბა, კუტკარიც ღია დატოვა: თუ არჩილი მოვიდოდა, ამით მიხვდებოდა, რომ შირს არ იყო წასული და დაელოდებოდა.

თუმცა კოტემ და არჩილმა, მომხდარი ამბავი სოფელს საგულდაგულოდ დაუმალებს, მაგრამ საიდუმლომ ხალხში მაინც გაქონა, ლილი წყაროზე რომ მივიდა, ლათბის გვერდით ჩამომდგარი დედაკაცები სწორედ ამაზე ჭოთქოთებდნენ:

— ვისაო, ქალო, რა თქვი?
— აგე, ქვრივ ქეთოს ბიჭსა-მეთქი, ნოსრეგანსა.
„ნოსრეგანსო?“ — ლილიმ სმენა დაძაბა.

— რაო, რაო, რა უქნიაო? — წინ წამოდგა ერთი წვიგმსხვილი, ლოყებლავლატა დედაკაცი.

— რა უქნიაო, ქალო და, წუხელ ფერმის მთელი ხბოები მოუპარიაო.

ლილი სწორედ ამ დროს შეუერთდა დედაკაცებს.

— ვისა, ნოსრეგანს? — თავისდაუნებურად ხმამაღლა იკითხა და ტანში ციკმა ქრუანტელმა დაუარა.

— აი, სწორედ იმას!
— ის რომ ეგეთი ბაღი არ არის? — სცადა გამოსარჩლება ერთმა ხნიერმა, თავსაფრიანმა დედაკაცმა.

— ეჰ, რას გაუვებ ახლანდელ ახალგაზრდობას.

მეორემ ეჭვი გამოთქვა:
— იქნებ ტყუილია?

— რის ტყუილი, ქალო, — შეეკამათა პირხმელი, კაფანდარა დედაკაცი, — მეტყვევს ჩამოუტანია ამბავი და კოტქასც უკეამს. წუსელ მთელ ღამეს დაკარგული ყოფილა და ფერმაში ამ დილასაა გამოჩენილა. კაციშვილმა არ იცის, სად იყო და აწრც

თვითონ ამბობს თურმე. საქონელი კი ერთი სულიც აღარა ჩანსო.

— არა, მართლა? — იკითხა ისევ ლოყებლაქლათამ.

— მაშა, ჭა!

— უი, დამიდგეს თვალი!

— დაიჭერენ იმ უბედურს.

— დაიჭერენ, მა რა, ვინ აპატიებს? კოტეს უკვე გამოუცხადებია მილიციამი.

— დაიჭერენ და, ახხედაც! ქურდი და ხოფლის მოღალატე ყველა უნდა დაიჭირონ... და მოსპონ.

— დედაა დასანანი, თორემ...

— დედა, მაშ, დედა... უბედური დედა...

ლილიმ კოკა აავსო და ჭორის ეშხში შესულ დედაკაცებს შეუმჩნევლად გასცილდა. ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რაც მოხდა: ნოსრევანს წუხელ გზა დაებნა და ღამე ტყეში, ცისქვეშ გაათენა. ისეთ ამინდში, წუხელ რომ იყო, ნადირს უჭირს გზის გაგნება. ისიც ცხადია, რატომ არ ამბობს, სად იყო, — მისსავე გულისთვის არ ამბობს. მისი გამხელა და ხალხში გამოჭენება არ უნდა. და რომ მოკლან, არც იტყვის. ასეთია, ჯიუტია. მაგრამ რომ დაიჭერენ? რა უშველება მაშინ, რა დავმართება? დაკარგავს მომავალს და ცხოვრების გზაც შეიძლება სამუდამოდ გაუმრუდდეს. მაშასადამე, დაიღუპება, მთლიანად დაიღუპება...

„ნოსრევანს დაიჭერენ“, — ეს ფიქრი თანდათან მკაფიოდ ესატებოდა გონებაში, თანდათან სარწმუნო ხდებოდა და თავზარს სცემდა. თავზარს სცემდა უფრო იმიტომ, რომ ნოსრევანის ამ უნებურ მარცხში თვითონაც რაღაც წილი ედო. ამასაც ცხადად გრძნობდა და გულს სინდისის მტანჯველი ქენჯნა უწიწნიდა. ორღობეზე თავდახრილ მიმავალი ნაბიჯს ხან შეანელებდა, ხან უმატებდა, წუთით ღობეზე გადმოკიდულ მსხმოიარე ქლიავის ქვეშ შედგა, სული მოითქვა, მერე კოკა მეორე ხელში გადაინაცვლა და ფიქრიც ისევ განაგრძო:

ახ, მაშამ რომ იცოდეს... სიმართლე იცოდეს... მაშა უდანაშაულოს კი არა, დამნაშავესაც არ გაიმეტებს, მაგრამ რომ არ იცის... სიმართლე მხოლოდ თვითონ იცის, თვითონ და ნოსრევანმა, ნოსრევანი არ გა-

ამხელს, არაფრის დიდებით არ გამოგონებს. ისევე თვითონ უნდა მიაწვდინოს ხმა მამას, მაგრამ როგორ, რა გზით? დაუცადოს მამის ჩამოსვლას? — ესეც სახიფათოა, მილიცია აღზბათ უკვე ფეხზე დგას, და თუ საკმეს ამთავითვე არ მოველო, მერე აღარაფერი ვშველება. ხოლო ადრე თუ გვიან, სიმართლე მაინც გაირკვევა და ყველა მამას შეაჩვენებს — უდანაშაულო ადამიანები დასაღუპავად გაიმეტაო.

— რა კენა? რა გაგაკეთო? როგორ მოვიქცე?

— არჩილს რომ ვუთხრა? — გაუელვა უცბად თავში და ეს აზრი საიმედოდაც ეწვენა. — დიახ, სწორედ არჩილს, — დაასკვნა მცირე ყოყმანის შემდეგ, — თავმჯდომარეა და ვვალება კიდევ, დაიცვას უდანაშაულო ადამიანი. აი, თუ უნდა, რომ მეც... ან ისეთს რას ვთხოვ, აიღებს ტელეფონს, დაურეკავს მილიციას, რომ სანამ საქმე არ გაირკვევა, ნოსრევანს ნუ დაიჭერენ, შორჩა და გათავდა! მერე მაშაც ჩამოვა, მაშასაც ვეტყვი და...

მალა აღარ ასულა, კოკა მარანში შეიტანა, ტანსაცმლის გამოცვლა და ძაღლის ამეებაც დაავიწყდა და ვერგვე საშინაოდ ჩაცმული წავიდა კანტორაში. ჩქარობდა, რომ, თუ არჩილი ადგილზე არ დახვდებოდა, სხვაგან მოძებნაც მოეწერო. უნდა ვიპოვო, ჩქარა უნდა ვიპოვო და დავარეკინო. — იმეორებდა გულში მალმალე, — თორემ თუ დაიჭირეს, მერე გვიან იქნება. ძებორციელმა არ იცის, რა მოხდა წუხელ, სიმართლე ერთმა მე ვიცი და მე უნდა ვიხსნა მაშაც და ნოსრევანიც...

* * *

არჩილი ისევ მაგიდასთან იჯდა, წინ თაბახის ფურცელი ედო და აჩქარებით და ჩაკირკიტებით „განცხადებდას“ წერდა. ლილიმ ფანჯრიდან შეიჭყიტა და კარი დაუკაკუნებლად შეაღო. კარის ხმაურზე არჩილი ოდნავ შეება, მაგრამ ლილი რომ დაინახა, სახე კმაყოფილებითა და სიამაყით გაებადრა.

— აა, აი, თურმე ვინ ყოფილა, მეც არ გამიკვირდა, ასე დაუკითხავად ვინ შემობედა-მეთქი. მაინც რომელმა ანგელოზმა ჩა-

გაგონა? მოდი, მოდი — წამოდგა და უკანა ფანჯრის ფარდა ბოლომდე გადასწია. კაბინეტში მზის შუქი და სინათლე შემოიჭრა. არჩილმა ლილის სახეზე უკუნებობა შეატყო, — რაო, ისევ გაბუტული ხარ? — ჰკითხა სიცილით. მწვანე მადედადაკრული სავარძელი არტიტულად, მსუბუქად აიტაცა და თავის წინ დაუდგა, — მოდი, დაჯე, მოდი.

ლილი დაჯდა, არჩილიც დაჯდა.

— ჰა, ისევ გაბუტული ხარ? რატომ ხმას არ იღებ?

— წუხელ საქონელი დაკარგულა მთაში.

— ვიცე, ნუ გეშინია, მამა არაფერ შუამია. სწორედ ახლა იყო ჩემთან და აი, განცხადებაც დამიტოვა, — არჩილმა ქაღალდეპქვეშიდან დაწერილი ფურცელი გამოიღო და თვალი ჩააყოლა, — როგორც ჩანს, თვითონ მწყემსის ნამოქმედარია და პასუხსაც თვითონ აგებს, უკვე დაეურევე მილიციას, ახლა თვითონაც წავალ, პირადადც ვეტყვი და...

— ტყუილია, უთხრა აჩქარებით ლილიმ,

— მწყემსი დამნაშავე არ არის.

— აბა, მაშ ვინ? აი, აქ წერია, რომ...

— ტყუილია- მეთქი, ის წუხელ სულაც არ ყოფილა იქ.

— საქმეც ეგ არის, რომ არ ყოფილა, მაგრამ... დაიცა, დაიცა, — არჩილს გაბადრული სახე უცბად შეეცვალა, — შენ დღეს მამაშენი ნახე?

— არა.

არჩილს უფრო დაეძაბა სახე, ხელში ნაჭერი ფურცელი ნელა დაუსვა მაგიდაზე და ლილის გამომცდელად შეხედა:

— მამასადამე, მამა არ გინახავს...

— ჰო, არ მინახავს.

— აბა, ვინ გითხრა, რომ მწყემსი წუხელ იქ არ ყოფილა?

არავისაც არ უთქვამს, მე თვითონ ვიცე. არჩილმა წარბი შეკრა და ლილის უკვე აშკარა ეჭვით დააშტერდა.

— თვითონ იცი?! მაინც საიდან იცი ასე დაბეჯითებით, როგორ გაიგე?

ლილი დაიბნა, სახეზე აღმური მოედო და სკამზე უხერხულად შეიმშუშნა. ისე ნუსცბათწევად გადაწყვიტა არჩილთან წამოს-

ვლა წელან, რომ ამ მოსალოდნელ კითხვაზე ერთხელაც არ დაფიქრებულა, არც მერე გახსენებია. როგორც ყველა მართალი და თავის თავში დარწმუნებული, ლილიც არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა და არც რაიმე გაუგებრობას მოელოდა. მხოლოდ ასლა მისვდა თავის შეცდომას, როცა კითხვა ჯიუტად დაუდგა პირისპირ და პასუხის გაცემაც ასვევ ჯიუტად და ურჩად მოსთხოვა. მაგრამ რა ეთქვა? როგორ ეთქვა?

არჩილს კი სულ უფრო უძლიერდებოდა ეჭვი. ნოსრეგანის დუმილი, თუ სად იყო, სად გაათია წუხანდელი დამე და ლილის ეს ნათქვამი ისე გადაესვენა და გადაეხლართა ერთმანეთს, რომ ბრმა-ყრუსაც კი დააეჭვებდა: საიდან უნდა იცოდეს, ვინ სად იყო წუხელ, როცა ჯერ სოფელში ამბავიც არავის გაუგია? არჩილს არც ლილის სახის უეცარი ფერისცვლება და ცუდად დაფარული შინაგანი თრთოლევა გამოჰპარვია.

— ჰა, საიდან იცი? — უმეორებდა თანაზომიერი, გამაღიზიანებელი ჩაცვიბით, — თუ ის იცი, რომ იქ არ ყოფილა, რასაც ასე თავგამოდებით ამტკიცებ, მაშ ისიც ხომ უნდა იცოდე, სად იყო? ჰა, თქვი, ხმა ამოიღე.

ლილის სირცხვილი წვავდა და ხმის ამოღება უჭირდა, მაგრამ აღარც გაკრეხება შეიძლებოდა.

— მე, ისა... როდისმე... — როგორც იქნა, ამოღერდა ენის ბორძიკით, — როდისმე გეტყვი, თვითონ გეტყვი. ოღონდ ახლა... ახლა ამის დრო არ არი... მერე, მერე.

ამ ნათქვამმა არჩილს მთლად ცეცხლი მოუკიდა: მაშ, მართლა ყოფილა რაღაც, რასაც უბრალოდ, ჰაიპარად ვერ გაამხელ. მერე გეტყვით, რატომ მერე და ახლა არა?

— არა, სწორედ ახლა უნდა მითხრა, — მოუჭრა ყინულივით ცივი ხმით, — სწორედ ახლა, აი, აქვე. ამ წუთას.

— გეტყვი-მეთქი, გეტყვი, — უთხრა ლილიმ მუდართით და გრძელი წამწამებუმიწეოდ აახამხამა, — ოღონდ ახლა უშველე, დაიხსენი...

— ვის უშველო? — შეაწყვეტინა არჩილმა.

— ვისა და, იმას... მწყემსს.

— როგორ?

— რა ვიცი, როგორც... დაურეკე მილიციას და უთხარი, რომ მწყემსი დამნაშავე არ არის, რომ საქონელი იმას არ მოუპარია, რომ... როგორც საქირთა.

— კარგი, აგისრულე მაგ თხოვნას, ხათრს არ ვაგიტებს, — არჩილმა ციცი ირონიით ჩაიციინა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო, — მაგრამ ერთი ეს მითხარი, რომ შემეკითხებიან, რით ამტკიცებ, რომ დამნაშავე არ არისო, რა ვუპასუხო?.. ჰა, რა ვუთხრა? კაცი რომ დავიცვა, სომ უნდა განემარტო კიდევ, დავასაბუთო — რით, რა მოტივით? მაშასადამე, სომ უნდა ვიცოდესად იყო იმ დროს, როცა დანაშაული მოხდა, რას აკეთებდა? ჰო, აი ამისხენი, რა ვუთხრა, რა ვუპასუხო და დარეკვას რა უნდა, აი, ტელეფონი, ავიღებ და... — არჩილმა ხელი ყურმილს დაადო და ლილის გამომწყვეად დაამტერდა, — ჰა, გელოდები, ხმა ამოიღე.

ლილი ისევ ჩიხში მოემწყვედა, მაგრამ აღარ დაუთმო, ნოსრევანის გულისთვის ისედაც ბევრი მოითმინა. საკუთარმა უნიათობამაც გააჯავრა და ძალა შეემატა, სახე უკვე ბრახით წამოუჭარხლდა.

— რას ჩამაცივდი, — უთხრა ხმამაღლა, კაპასად და ფეხზე წამოხტა, — თვითონ არ იცი, რა უნდა უთხრა? თავმჯდომარე ხარ და... მოვალე ხარ, დაიცვა უდანაშაულო ადამიანი. ჰო, აი რა!

არჩილი წელში აიმართა და ღრმად ამოისუნთქა. და, ვინ იცის იქნებ ეყვირა კიდევ, რომ უცხად საბუღალტრო ოთახის კარი არ გაღებულყო და ხმამაღალი საუბრით აივანზე ხალხი არ გამოსულიყო. არჩილმა აღშფოთება დაიოკა, ერთხელ კიდევ სიღრმიდან გაგრძელებულად ამოისუნთქა და მიმხრჩვალნი ხმით კბილებში გამოსცრა.

— წადი ახლა... აქ სამაგისო არც დროა და არც ადგილი. პირდაპირ შინ წადი და... მეც იქ მოვალ, მალე მოვალ.

ლილიმ მუქარასავით რაღაც ჩაიბურტყუნა და კარიბაკენ შებრუნდა.

— ვინა ვარ და რა შევალემა, უმეწოდაც

კარგად ვიცი, — დაადგენა არჩილმა, უნდა შენ კი, გეტყუო, ჯერ კიდევ ვერ გაგიგია შენი მოვალეობა და... აგისხენი, გაგარკვევ.

ლილის ბოლო ნათქვამი აღარ გაუგონია, აივანზე გამოკრფილ კაცებს გვერდი შეუმჩნევლად აუარა და კიბე რამდენიმე ნახტომით ჩაათავა.

არჩილმა განცხადების წერა დაასრულა, მდივანი გამოიძახა, რაიონში მივდივართ, უთხრა და რამდენიმე დავალებაც მისცა. მერე მანქანაში ჩაჯდა და ლილის თითქმის ფეხდაფეხ დაედგენა. — არა, ამის გაურკვეველობა არ შეიძლება, იმეორებდა გზადაგზა და ბრახი ხელ უფრო ძლიერად იპყრობდა, — რა არის ეს, რა საიდუმლო შეთქმულებაა: ერთი კრინტს არ ძრავს, მეორე უფიცავს, იქ არ ყოფილაო, მაგრამ სად იყო? რატომ არ ამბობს, სად იყო? რქებს სომ არ მადგამენ? ბოლოს და ბოლოს, სომ უნდა გავიგო, რა ამბავია ჩემს თავს, რა ხდება?

არჩილმა მანქანა თემზარიდან თრღობეში რომ შეაბრუნა, ლილი სწორედ მაშინ გამოვიდა ეზოდან და კუტკარი გასაღებით გადაკეტა. ტანსაცმელი გამოეცვალა — ლევა ჯინისის შარვალ-კურტაკი ჩაეცვია, გაშლილი თმა აგვეცა და ჭრელი თავსაფრით შეეკრა. ლილი ყველანაირად ეცადა, რომ არჩილს არ მოესწრო და მისმა დანახვამ უცხად ძალიანაც შეაერთო, რამდენსამე წამით ნაბიჯიც შეანელა, მაგრამ სისუსტე მალევე დასძლია და პირდაპირ და გაბედულად წამოვიდა. ლილის ერთგული ძაღლი მგელოც თან ახლდა, მსხვილ, დაკუნთულ კისერზე გრძელკბილეებიანი ფოლადის ჩანგალი გვეთა და კარგად ჩანდა: ამ საბრძოლო საქურველით თავსაც იწონებდა, თითქოს იმასაც წინასწარვე გრძნობდა, რომ პატრონს რაღაც საგანგებო, ძალიან საჭირო საქმეზე მიჰყავდა და სიარულსა და მოძრაობაში სიამაყე და მოუთმენლობა ემჩნეოდა.

არჩილმა ავტომანქანა ოდნავ გვერდით მიაყენა და ლილის წინ გადაუდგა.

— სად მიხვალ?

— შთაში.

არჩილმა ნათქვამი ყურს არ დაუჯერა და გაკვირვებით ჩაეკითხა:

— სადა, სადა?

— მთაში-მთქვი, მამასთან.

ლილის სახეზე თითქოს ცვეხლი ეკიდა, წამოზურცული მკერდი ძლიერად აუღ-ჩა-უდიოდა და დაბერილი ცხვირის ნესტოები ამქარებით უთრთოდა, თვალები რაღაც შინაგანი გამბედაობითა და გადაწყვეტილებით უბრწყინავდა.

„ეს ვინ ყოფილა?!“ — გაიფიქრა არჩილმა, და ცოტა მოგვიანებით ჰკითხა:

— რა გინდა იქ?

— მამა უნდა ვნახო.

— რად გინდა მამა?

— უნდა ვუთხრა.

— რა უნდა უთხრა? — ლილიმ გვერდზე გაიხედა და პასუხი დააგვიანა, არჩილმა კითხვა გაუმეორა. — ჰა, რა უნდა უთხრა?

ო. ეს საზიზღარი კითხვა! თავისთავად იგი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ პასუხის გაცემა არაფრით არ შეუძლია. მაჯლაჯუნსავით დასდევს უკან, ყველგან წინ გტრუნება და უტიფარი სიჯიუტით დასწახვიხ:

— რა უნდა უთხრა-მთქვი. არ გესმის?

უცხად არჩილი თვითონვე იქცა საძულველ კითხვად და თვალწინ უკვე ხილულად ჩამოუდგა. ლილიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია, თითქოს მისმა სახელოვებ შეზარა, — გამიშვი, რა გინდა ჩემგან?... მე მამასთან მივდივარ, — უთხრა სატირლად მოსული, ხასოწარკვეთილი ხმით და გვერდის ავლა დააპირა.

არჩილმა ისევ გზა გადაუღობა.

— ახლავე გატრიალდი და შედი შინ, თორემ... თორემ მოგკიდებ ხელს და... ჩქარა.

რაო? ხელს მოგკიდებო? ასეთი რამ ლილისთვის საკუთარ მამას არ უკადრებია და ეს ვინ არის, რომ... ხაწყენი იყო უფრო იმიტომ, რომ ამ ნათქვამში, ხმაში, კილოში, მესაკუთრის უბეში თვითნებობა ისმოდა. ლილის ხუნთქვა შეეკრა, სატირლად აფართხალებული გული უცხად თითქოს კაჟად ექცა, იმავე წამს წამწამებზე მომდგარი ცრემლიც გაუქრა, თითქოს ისიც გულმა

შეისრუტა, არჩილის მკაცრ, დაწყობილ მზერას თვალი პირდაპირ გაუსწორა და მშრალად გამოკვეთილად უთხრა:

— არჩილ, თქვენ აჭარბებთ!

— გატრიალდი-მთქვი, თორემ... — ხმას აუწია არჩილმა, — ბოლოს და ბოლოს, უფლება მაქვს და... ჰო!

— უფლება გაქვს? — ლილიმ ტურები უსიამოდ დაპრანჭა, არჩილისთვის ზიზღიანი მზერა არ მოუცილებია, ისე წაიძრო თითიდან საქორწინო ბეჭედი და ზედ მიაგლო, — აჲე, შენი უფლება!

ბეჭედი არჩილის ფეხებთან დაგორდა და კენჭებზე ნელა გაიწკრიალა.

— ერთი ამას უყურეთ! — არჩილმა ფეხი წინ გადადგა და ლილის ხელი წაატანა.

— არ მომეკარო! — იკივლა ლილიმ და უკან გადახტა, არჩილი მიეტანა, მაგრამ სანამ ხელით შეეხებოდა, წინ ავისმოძანწავებლად აქორჩილი მგელო გადაუდგა და მჭრელი ეშვები გამოაჩინა.

არჩილმა უნებურად ფეხი უკანვე გადადგა და ზურგით მანქანას მიეყრდნო ლილიმ დრო იხელთა, გვერდი აუარა და ორღობეში სირბილით გაეარდა.

ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ არჩილმა ვერაფრის თქმა და გაკეთება ვეღარ მოასწრო, კარგა ხანს ვერც გონს მოსვლა შეძლო. ლილი და მგელო რახანია, გადამკვეთი ორღობის კუთხეს მიუფარნენ, ის კი კვლავ უხერხულად იტკეპნებოდა ადგილზე და დაბნეული და გაოცებული თავისთვის ბუტბუტებდა:

— ჰე-ჰეე, ეს ვინ ყოფილა, რა ყოფილა... რა ქავი ვიღაცა ყოფილა...

• • •

ნოსრევანი ძაღლების გაბმულმა ყეფამ და მწყემსების ხმაურმა გამოაღვიძა. მთელი წუხანდელი ღამე ფიქრსა და წუხილში გალია, სანუგეშო არსაიდან არაფერი ჩანდა, ვერც კოტემ რამე უთხრა. კოტე ძალიან გვიან ამოვიდა სოფლიდან, დაღლილი ვარო, თქვა და ნაბადი და სასთუმალი ჩვეულებრივ დიდი წიფლის ქვეშ აიტანა, მერე მწყემსებიც თეობზე გაიკრიფნენ და დაიძინეს. თვითონაც დაწვა, მაგრამ ძილი არ მიჰკარებია — სულ ფიქრობდა ისრა-

და. მხოლოდ დილისხან ჩასთვლიმა და აი, თვალის ვარსაგად მოხუცება არც ახლა დასცალდა.

— მაინც რას უყფფენ ასე გაავევბით? — ნაბადი გადაიძრო, ტანსაცმელი ჩაიცივა და დერეფნის წინ კიდურზე გავიდა. ყველაზე უწინ ფორმიანი მილიციელები მოხვდა თვალიში. აგე, ის შავგერემანი კაციც, ამას წინათ ციხეგორს რომ ეწვია და კოტესთან ჭაღალდში შეხვეული ფული გამოატანა. ბოლოს ლილიც იცნო. ლილი ასე ჩაცმული არასოდეს ენახა და დანახვისთანავე ვერ იცნო. ლილის მგელოც გვერდით ედგა, ძაღლები სწორედ მას უყფფდნენ, მაგრამ მიანბლოებას ვერ უბედავდნენ. იოთამი და ჩოფური ძაღლებს ტუქსავდნენ, ილო, თედო და პაპა ქორია ბაკის ქვედა ღობესთან იდგნენ, კოტე არხად ჩანდა, მერე კოტეც გამოიჩინდა, ღელიდან წელში მოღუნული ამოვიდა, ბილიც დასაწყისთან გადაწეული ეკლის კონა ისევ თავის ადგილზე ჩახერგა, დერეფანიც ასევე წელში მოღუნულმა და დაფაციცებულმა გაიარა, და იმის მაგიერ, რომ მოსულებს შეგებებოდა, რატომღაც ისევ დიდ წიფელთან ავიდა და ნაბადში გაეხვია.

კოტეს ეს უცნაური საქციელი ნოსრევანს შეუმჩნეველი არ დარჩენია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, მას უფრო ლილის აქ გამოჩნდა ენაცოვა: „მილიციელები ალბათ ჩემ დასაჭერად მოვიდნენ, მაგრამ ლილის რაღა უნდა ამათთან?“

მოსულებმა აღმართი ამოიარეს და დერეფანში შემოქუჩდნენ. მილიციელთაგან ერთი მაიორი იყო — შუახანს მიტანებული, დაბალი და მკვრივად ჩაფსკენილი კაცი, მეორე ახალგაზრდა ლეიტენანტი. ორი რიგოსანი, ისინიც ახალგაზრდები — ერთი მსუქანი, მეორე გამსდარი, მაგრამ მხარბეჭმოსული და ძარღვიანი.

„რა მოხდა? რატომ არის ლილი ამათთან? ან რატომ არის ასე გაფერმკრთალებული?“

მაიორმა შავგერემანი კაცი დერეფნის მარცხენა კუთხეში დასვა და თავზე მსუქნი რიგოსანი დააყენა.

— სად არის გასვლა? — იკითხა მკვრივად.

— აქა ვარ, ბატონო, მოვხდნება... — ისმა კოტეს ხმა და მიტქნარებითა და თვალების ფშენებით თვითონაც გამოჩნდა, — გამარჯობათ, ამხანაგებო! — მიესალმა მოსულებს და თავისმართლებასავით დაუმატა, — ჩამიძინებია... წუსულ გვიან დავწევი, დაღლილი ვიყავი და... — კოტეს სახე გადაფითრებოდა და ერთი შეხედვით მართლაც ახლად გაღვიძებულს ჰგავდა, მაგრამ დაბნეულობა და ფარული შემფოთებაც აშკარად ემჩნეოდა. ლილი პირველად თითქოს ვერ დაინახა, მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა მაიორმა დერეფნის კუთხეზე მიუთითა და დაჯდომა უბრძანა.

— აა, ეს... ლილი, შვილო, შენ აქ... რა ამბავია?

— დაჯექი, დაჯექი, — ტუქსად უთხრა მაიორმა, — დაჯექი და გაიკვებ.

— დაიცათ, როგორ... ბავშვი... ბავშვს...

— დაჯექი-მეთქი, — უკვე ბრძანების კილოთი უყვირა მაიორმა და ლეიტენანტს თვალთ ანიშნა. ლეიტენანტმა კოტეს ხელი მოჰკიდა, მიჩენილ ადგილზე დასვა და გვერდით გახსდარი რიგოსანი ამოუყენა.

ნოსრევანს სირცხვილი წავადა, რომ ყველაფერი ეს მისი მიზეზით ხდებოდა და ადგილს ვერ პოულობდა. თამამად ვერც თვალს ვინმეს უსწორებდა, განსაკუთრებით სცხვენოდა ლილის შემოხედვისა და სულ იმას ცდილობდა, მისკენ არ გაეხედა. დროდადრო ფარულ მსურას კოტესა და შავი კაცისაკენ თუ გააპარებდა. კოტეს ისევ ემჩნეოდა შემფოთება და მოუსვენრობა. კაცი კი ისე იჯდა, თითქოს ეს ამბავი მას ოდნავადაც არ შეეხებოდა, და სიგარეტს მშვიდად და აუღელვებლად ამოლუბდა.

— ყველანი დასხედით, — თქვა ბოლოს მაიორმა და მხარბეჭეტი გადაკიდული პლანშეტი მოიხსნა. მწვემები გაოგნებულები იყვნენ, რა ხდებოდა, ჯერ არც ერთმა არ იცოდა და მაიორის ნათქვამს როგორღაც შედმეტი აჩქარებით დამორჩილდნენ. ვინაც კუნძები აღარ შეხვდა, ვედროები მოაპირქვავეს, თედომ ლილისაც გადმობრუნებული ვედრო დაუდგა, მგელოც ლილის ფეხებთან დაწვა. ბოლოს მაიორიც დაჯდა,

საწოლზე ნაბადი გადაფინა, პლანშეტიდან დაწერილი ფურცლები ამოალაგა და გვერდით დაიწყო, მერე რამდენიმე ცალი შტამპიანი ფურცელიც ამოიღო, პლანშეტზევე გაშალა, მწყემსებს გამოხედა და იკითხა:

— რომელია ბრიგადირი?

— მე გახლავართ, — იოთამი ფეხზე წამოდგა და შუბლზე ჩამოცურებული ნაბადის ქუდი მოიხადა.

მაიორმა იოთამს გვარი, სახელი, მამის-სახელი, დაბადების წელი, პარტიულობა გამოჰკითხა, მერე დაწერილი ფურცლებიდან, წელან გვერდით რომ დაილაგა, ერთ-ერთი ამოირჩია, ტუნების ცმაცუნით ჩაათვალიერა და თავი არ აუწვია, ისე განაგრძო.

— აი, თქვენი ფერმის გამგე... კოტე ექვთიმეს-ძე ღონისაშვილი, თავის ასსნა-განმარტებაში წერს, რომ... ამ თვის ჩვიდმეტ რიცხვში, მწყემსმა... ნოსრევან ქარსაულმა თავისივე სამწყსოდან მოიპარა ფერმის საქონელი, ამ წლის ნამატი, სულ... ოთხმოცდაცხრა სული... ამ განცხადებას, სხვათაშორის, თქვენი თავმჯდომარეც ეთანხმება, — მაიორმა მეორე ფურცელი აიღო და ისიც ბოლომდე ჩაათვალიერა, — პოდა, აი თქვენ, — გამოხედა იოთამს, — რას იტყვით ამის შესახებ, როგორც ბრიგადირი, პასუხისმგებელი პირი?

იოთამმა დამფრთხალი მზერა ხან კოტესკენ გააპარა, ხან ნოსრევანისაკენ და მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი, როგორ გითხრათ... რა გითხრათ.

— ეთანხმებით თუ არა, გამგის განცხადებას?

იოთამმა ისევ აიჩეჩა მხრები.

— ევთანხმები? პო, კი, არა... თუმცა, შეიძლება... ვინ იცის...

— მოკლედ თქვით, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით? ან-პო, ან-არა!

— როგორ გითხრათ... თქმა ადვილია, მაგრამ... რას გაიგებ, ძნელია.

— მაშ უარყოფთ?

იოთამმა კოტეს დატინებულ მზერას

თვალი აარიდა და ადგილზე შეჭქრჭქრულს მიდგ-მოდგა.

— რა გქნა, ეგეც ძნელია, — ამოთქვა, როგორც იქნა, გარკვევით, — უარყოფაც ძნელია.

— გამოდის, რომ არც უარყოფთ და არც ეთანხმებით, არა? — დაცინვით ჰკითხა მაიორმა.

იოთამმა უმწყოდ მიმოიხედა.

— რა გქნა, ხალხნო, როგორ ვთქვა, ფაქტს ვერ ვხედავ, არ ვიცი და... ან ერთი როგორ ვთქვა, ან-მეორე?

— გავიწყრა ღმერთი! — იყვირა კოტემ და ფეხზე წამოვარდა, — ამაზე მეტი ფაქტი რაღა გინდა, მთელი დღე-ღამით რომ დაკარგული იყო, ფაქტი არ არის, მაშ რა ჯანდაბაა?

— ამხანაგო! — შეუბღვირა მაიორმა, — დაჯექი მანდ, და იცოდე, რომ დაკითხვები შენი საქმე არ არის.

— პოდა, დაჯე, — უთხრა როყოდ რიგოსანმა და შეკლავზე ღონივრად ჩამოქაჩა.

კოტემ რაღაც ჩაიბურტყუნა და დაჯდა. სიგარეტის ნაშვტი გადაავლო. პიჯაკის პიბუები მოიჩხრიკა, ასანთი და „კოლხეთის“ კოლოფი მონახა და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

მაიორმა იოთამს ჩვენებაზე ხელი მოაწვინა, ახალი ფურცელი დაასათაურა და მწყემსები სათითაოდ გამოიძახა. მათაც იგივე კითხვები დაუსვა. ნოსრევანი გაფაციცებით უსმინდა ყველას, მაგრამ საგულისხმო და გამამხნეებელი ვერც ილომ, თედომ და ჩოფურმა რამე თქვეს, სამთავემ ერთი და იგივე გაიმეორეს, ორჭოფულად აიჩეჩეს მხრები და თავ-კისერიც ზუსტად ერთნაირად მიხარ-მოხარეს:

— აბა, რა გითხრათ, როგორ გითხრათ...

ცოლ-შვილის პატრონები ვართ და ცოდვა როგორ ვთქვათ... შამაპარავმა ერთი ცოდვა ქნა. დამკარგავმა ათასიო... ვერ ვიტყვი, ვერაფერს ვიტყვით.

ჯერი პაპა ქორიანე მიდგა. პაპა ქორიანს აჩქარებული პასუხი არ უყვარდა, მაგრამ როცა რამე ღრმად სწამდა, არც დაყოვნება სჩვეოდა. ახლაც, მაიორის კითხვაზე, თქვენ რა აზრისა ხართ, ბიძაწემო, რას იტყვი-

თო, უმალ მხრებში აიშართა და მაიორს პირდაპირ გახედა.

— მე, ქურდი ვინაა, ვერ გეტყვით, არ ვიცი, მაგრამ ე ბიჭი რომ ამის ჩამდენი არ არის და ამ საქმეში ალალ-მართალია, ეს კი ვიცი. — ნერწყვი გადაყლაპა და დაუმატა, — აი, ჩემი სიტყვა!

ნოსრევანი სასჯელს არ უფრთხობდა, პირიქით, თავს საკმაოდ დამნაშავედ თვლიდა და შესაფერ-შესაბამის სასჯელს თვითონვე მოელოდა, ოღონდ ცილისწამება არ უნდოდა, ცილისწამებისა ეშინოდა. დაე, დაეისაჯო, ეს სწორია, სამართლიანია, მაგრამ იმაზე არა, რაც არ ჩამიდენია, რაშიაც ცამდე მართალი ვარ, ფიქრობდა გულში და თავით ფეხებამდე ჭირის ოფლში ცურავდა. ღმერთმა უშველოს პაპა ქორიას, მისმა ნათქვამმა სირცხვილის ქენჯანა ოდნავ გაუნულა და გულსაც იმედი მოჰფინა. მის გამოხედვაში, ხმაში, კილოში იმდენი სიმტკიცე, დამაჯერებლობა ჩანდა, რომ თვით მაიორმაც კი ვერ დაფარა მოწონება, თუმცა პროფესიულ ფორმალობას მაინც არ გადაუსხვია და საკვლევი ბოლომდე ჩაძიებით მოჩხრიკა.

— ნამდვილად იცით, რომ უბრალოა? — ჰკითხა ოდნავ მოგვიანებით და გამოიმძღვლად დაამტკიცა.

— ვიცი, — არ შედრკა პაპა ქორია, — დასტურ ვიცი.

— ბიძაჩემო, არ შეცდეთ! — ერთხელ კიდევ გააფრთხილა მაიორმა.

— არ შეეცდები.

— მაინც რა საბუთი გაქვს ასეთი ბეჯითი აღიარებისათვის?

— საბუთი — არაფერი.

— აბა, რით ამტკიცებ?

— გული მუშუნება.

მაიორმა შეკავებულად გაიღიმა და ლეიტენანტს გახედა. ლეიტენანტმაც გაიღიმა.

— აბა, გოგონი, — მიმართა მაიორმა ლილის, როცა პაპა ქორიას ჩვენებაზე ხელი მოაწერინა, — გვითხარით, როდის, სად და რა ვითარებაში ნახეთ დაკარგული საქონელი?

ლილი წამოდგა და აქამდე კალთაში ტახტაფარდინებული ხელეში ჩამოუსხვია.

ნოსრევანმა გვერდიდან მალულად გახედა და, ლილის ხელზე სანიშნო ბეჭედი აღარ უჩანდა. „რამაა საქმე? რატომ აღარ უკეთია ბეჭედი?“

— ჰო, ისა... — დაიწყო ლილიმ, — აქ მოვიდოდი, მამასთან... ტყეში გზა დამებნა... მზე რომ ჩავიდა, შემეშინდა და უკან დაბრუნება გადავწყვიტე. სწორედ ამ დროს ძაღლს საეჭუო მოუხვეწრობა დაეტყო. ერთ კუნაზიდულ სერზე ვიყავით... ჩაირბენდა სერის ბოლოში და ჩემი წკმულით ისევ ჩემთან მოვიდოდა.

— არ დაიყუფა? — ჰკითხა მაიორმა.

— არა, ჩემი ძაღლი, სადაც საჭირო არაა, არ დაიყუფებს, იცის, და მეც გავაფრთხილე... ჰოდა, ეგრე: ჩაირბენდა, ამოირბენდა, კიდევ და კიდევ, გაყოლს მთხოვდა. ბოლოს გავბედე და გავყვი. სერის ბოლოს ფლატე დამიხვდა. გადავიხედე და... ძირს ეკალ-ბარდით დაბურული სწორი ადგილი იყო, სბოები სწორედ იმ ბარდებში იყვნენ თავმოყრილი და ირგვლივ ჯოხმომარჯვებული კაცი უვლიდა.

— აქ ხომ არ არის ის კაცი, საქონელთან ვინც ნახეთ? — ჰკითხა მაიორმა.

— კი, არის.

— რომელია?

— აგე, ის, — მიუთითა ლილიმ შავვრემან კაცზე.

— განაგრძეთ.

— ჰო, დავინახე... შემეშინდა და უჩუმრად გამოვბრუნდი. სამანქანე გზამდე სულ სირბილით ჩავედი. ვიღაცას მანქანა გავაჩერებინე, შევეხვეწე. რაიონში წამიყვანეთქი და პირდაპირ თქვენთან მოვედი... და შეგატყობინეთ.

— დაბრძანდით.

ლილი დაჯდა.

მაიორმა შავგვერემან კაცს გახედა:

— აბა, იაგორა ლოქაფაშვილო, ერთი დაწერილებით მოგვიყვივი, როგორ გაჩნდა შენს ხელში კოლმეურნეობა „რქაწითელის“ ფერმის სბოები?

ნოსრევანს კინაღამ ხმამაღლა გაეცინა, ეს გვარი — ლოქაფაშვილი ამ კაცზე მართლაც შედგამოჭრილი იყო, ასეთ საქმეზე შეუბებულ, ყბბლაკიდულ კაცებს სოფელში

წედმეტ სახელად სწორედ ლოქაფას არქ-
მეფდნენ. პირველსავე სიტყვაზე ქვედა ყბა
ისე მოიქნია, ძალღი შორიდან ნასროლ
პურს რომ წაეტანება — სოღმე, და ხმაყ
ყეფისმაგვარი გამოსცა — ჩემი თავი თქვენ
გენაცვალთ! — და ასადგომად წამოიწია.

— იჯექი, იჯექი და ისე ილაპარაკე! —
გასძახა მაიორმა.

ლოქაფაშვილი დაჯდა და ხელები გაშა-
ლა.

— ჰოდა, როგორც მოგახსენეთ, უმფროსო,
ან დასაბალი რა მაქ, მე ვიყიდე, ნაღ-
დზე რაღა! პატიოსნად, წესიერად, ალალი,
საკუთარი ფული ჩავუთვალე და... მამასა-
დამე, ვიყიდე, ყიდვა, რა, აკრძალული ხომ
არ არის?

— ვისგან იყიდე?

— ვისგან და, აგე, იმისგან, კოტეხაგან,
— თქვა როგორღაც გამოშფევედა, და გა-
ქონილი თითი დერეფნის ზედა კუთხისა-
კენ გაიშვირა.

ყველა უხერხულად შეიშმუშნა. მწყემ-
სებმა პირი კოტეხაგან, იბრუნეს და გაოცე-
ბით მიაშტერდნენ. ნოსრევანმა ისევ გააპა-
რა მზერა ლილისაკენ, ლილის მიწისფერმა
გადაჰკრა. რიგოსნებსაც გაოცება დაეტ-
ყოთ — ეს მათთვისაც პირველი გაგონება
იყო, მაიორმა, როგორც წესი, დაკავების ად-
ვილზე იაგორას მხოლოდ ლეიტენანტის თა-
ნდასწრებით დაჰკითხა და არც მათ და
არც ლილიმ იქ მიცემული ჩვენებისა ჯერ
არაფერი იცოდნენ. იაგორას მოულოდნელ
აღიარებას აუღელვებლად მხოლოდ კოტე
შეხვდა., თითქოს წინასწარვე იცოდა, რომ
იაგორა ამას იტყოდა, ან უკვე მოსმენილი
ქონდა და ახლა იოტისოდენადაც აღარ
აინტერესებდა.

— იცნობ ამ კაცს? — ჰკითხა მაიორმა
ლოქაფაშვილს და კოტეხე მიუთითა.

— ვისა, კოტეს? ვიცნობ, მამა.

— როგორ იცნობ?

— როგორ და... კარგად, ვიცი, რომ კო-
ტე ჰქვია, გვარად ღონიაშვილია, ვიცი,
რას აკეთებს, სად ცხოვრობს და... ერთი
სიტყვით, ვიცნობ.

— შენც იცნობ? — მაიორმა ახლა კო-
ტეს ჰკითხა.

— აი ახლა ვხედავ პირველად, —
თქვა კოტემ ტუნების პრანჭვით, სივარტე
ძლიერად მოქანა და ნაძალადევად გულ-
გრილ სახეზე კვამლის სქელი ფარდა აი-
ფარა.

— ლოქაფაშვილო, განაგრძე.

— აბა რაღა განვაგრძო, უმფროსო ვერე
იყო, რაღა! წუხულაც გითხარით და აი ახ-
ლაც ვიმეორებ: ნაღდზე ვიყიდე-მეთქი,
როგორც წესი და რიგია, ისე. ფული წი-
ნასწარვე მივეცი. გუმინწინ მოვიდა და
მეუბნება, თუ საქონელი მშათა მყავსო.
ჰოდა, ისამეგქენით... გაღმა ერთი ძველი
ციხე-გალავანია და იქ ჰყოლოდა შერეკი-
ლი. მომითვალა და... ტყემდე თვითო-
ნვე ჩამაცილა. აი ვერე იყო, უმფროსო, აბა
მე რა შუაში ვარ, მე ვიყიდე, რაღა, ნაღ-
დი ფული მივეცი.. რა ვიცი, რა ჩემი
საქმეა...

გამოჩნდება ეგ, გამოჩნდება, — თქვა
კოტემ აღრენით და თავი ჩაიქნია.

— რაღა გამოჩნდება, შე კაი კაცო, —
გაიცინა იაგორამ, — გამოჩნდა და ეგ
არი.

— მორჩით ლაფობას! — მაიორმა ორი-
ვე ჩააჩუმა და ისევ იაგორას ჰკითხა ფული
რამდენი მივეცი?

— ორასი თუმანი.

— ნაღდი?

— ნაღდი. აგე იმ ჯვილის ხელით გაუ-
გზავნე. — გახედა ნოსრევანს.

— რატომ თვითონ არ მივეცი?

— რა ვიცი, უმფროსო, ვერე მითხრა,
ციხე-გალავანთან ჩემი ბიჭი დაგხვდება და
იმას დაუტოვეო. ჰოდა, მეც დაუტოვე,
რაღა!

— ნამდვილად ასე იყო? — ჰკითხა მაი-
ორმა ნოსრევანს.

— კი, იყო... ასე იყო. — თქვა ნოსრე-
ვანმა გაჭირვებით და მალულად ისევ ლი-
ლის გახედა.

ლილი თითქოს დაღუეულიყო, დაპატარა-
ვებულებიყო, მობღუნძული და მხრებში თავ-
ჩარგული თითქოს თავისსავე სხეულში ჩა-
ძვრომას ლამობდა და სახეზე ბევრად აღ-
არც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა.

— ლოქაფაშვილო, ხომ სიმართლვა, რაც ილაპარაკე?

იაგორამ შავი, კოტიტა მუშტი მკერდზე ძლიერად დაიბაგუნა:

— ამისმა მზემ, უფროსო, ტყუილი არა ვთქვა!

— მაშ, მოდი და ხელი მოაწერე.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალთ!

იაგორას ხელი რომ მოაწერინა და თავის ადგილზე დააბრუნა, მაიორმა ლეიტენანტს ადვილმდებარეობის დათვლიერება და აქტის შედგენა დაავალა. ლეიტენანტმა თავის პლანშეტი მოიმარჯვა, ჯერ ბოსლისა და ბაკების განლაგება ჩაინიშნა, მერე დიდ წიფელთან ავიდა, წყარო დაათვალიერა და ღელისაკენ შებრუნდა.

მაიორმა დაწერილი ფურცლები ერთმანეთზე დაალაგა და ლოქაფაშვილს სხვათაშორის კეთხა:

— ლოქაფაშვილო, შენ ჭკვიანი კაცი ჩანსარ და ერთი ეს მითხარი, ამდენ საჭონელს ერთად რას უპირებდი? უსაბუთოდ ბაზარზე ვერ გაყიდი, მოზარდს დამზადება არ ჩაიბარებს, ვერც შინ იყოლიებ, მასხანადამე, რაღაც სხვა მიზანი უნდა გქონოდა, თორემ, რატომ უნდა, ამდენ ფულს ტყუილად არ გადაყრიდი. ჰოდა, რა გქონდა გუნებაში?

იაგორამ მცოდნე კაცის კილოზე ჩაიყინა და მაიორს თვალმოჭუტვით გამოხედა:

— უფროსო, მცდით, თუ?

— არა, ნამდვილად გეკითხები.

— ჰოო... მაშ მეც პირდაპირ გეტყვით:

ეს მთა ფერმებით არის სავსე. ფერმის გამგეობს რაოდენობა ჭირდებოდა, მე — წონა. ერთში სამი, ვინ იტყვის უარს? ჰი-ჰი, უმფროსო, საჭონელი იყოს, თორემ...

— რა, გადაცვლიდი?

— აბა რა, არკი შემეხვეწებოდნენ?..

— მერე იმ გადანაცვალს რაღას უსამდი?

— იმას თავისი გზა აქვს.

— შენ, კაცო, ქურდობ, თუ ვაჭრობ?

— ვითომ რა დიდი განსხვავებაა, უფროსო, ქურდი და ვაჭარი მუდამ განუყოფელი იყვნენ, ახლა, მით უფრო, კაციშვილი ვერ გაიგებს, სად თავდება ვრ-

თი და სად იწყება მეორე... ცალდა, თორემ ისე დაგაქუცმაცებდი, რომა...

— კარგი და, შენ თუ კაი კაცი ხარ, იარაღს რაღად ატარებდი?

— კაცია და გუნება, უფროსო, ზოგს გიტარა უყვარს, დადის და პარუნანო-ტარუნანოს გაიძახის. მე ეს მიყვარს, ცუდი ხომ არაფერი ჩამიდენია?

ამ დროს ღელიდან ძველ ნაბილიკარზე ლეიტენანტი გამოჩნდა და ჯებირს იქიდან მაიორს გამოსძახა:

— ამხანაგო მაიორო, ერთი წუთით!

მაიორმა და ლეიტენანტმა ჯერ ჯებირთან რაღაც იჩურჩულეს, მერე ეკლის კონა გვერდზე გასწიეს და მაიორიც ღელეში ჩავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ორივენი ერთად დაბრუნდნენ. მაიორი ისევ საწოლზე ჩამოჯდა და პლანშეტიდან ახალი შტამპიანი ფურცელი ამოიღო.

— ოდესღაც აქ ხვეზე ჩასახლეული ბილიკი გქონიათ, რატომ გააუქმეთ? — კეთხა კოტეს.

— აღარ გვეპირდებოდა, წყარო გაგაქუცთ და...

— წყარო ვინ გააკეთა?

— ჩვენ გაგაქუცეთ.

— სახელდობრ, რომელმა?

— თუნდაც მე, რა იყო...

— ბილიკიც შენ ჩახერგე?

— კი.

— მარტომ გააკეთე, თუ გიშველა ვინმემ?

— რა მნიშვნელობა აქვს, მარტომ გააკეთე, თუ... სულერთი არ არის?

— პირდაპირ მიბასუხე, მარტომ გააკეთე, თუ არა.

— მარტომ გაგაკეთე.

— გასაგებია, — თავისთვის თქვა მაიორმა, მწყვესხები ჩამოათვალიერა და მზერა პაპა ქორიაზე შეაჩერა, — ბიძაჩემო, ისევ თქვენი მიბასუხეთ, ბოსლიდან როდისმე ყველი ხომ არ დაგკარგვიათ?

— დაკარგვით — არა, — უთხრა პაპა ქორიამ, — მაგრამ წონაში კი მუდამ გვაკლდებოდა, ესე იგი, რძის რაოდენობას არ ედრებოდა, — წამით დაფიქრდა და ყველის

თაობაზე კოტესთან ამასწინანდელი დავა გაიხსენა, მერე ისიც უთხრა, რომ გუბი არ გაუმართლდათ და ყველის წონა კვლავ იგივე დარჩა.

— თქვენის აზრით, რა იწვევდა დანაკლისს? — ჰკითხა მაიორმა.

— როგორ გითხრათ, — ჩაფიქრებით უპასუხა პაპა ჯორიამ, — შეიძლება წელიწადის ბრალიც იყოს, არის ღალიანი წელიწადი, არის უღალო, რძე არის, მაგრამ ღალა არა აქვს.

— არა ბიძაჩემო, წელიწადი და ღალა. აქ არაფერ შუაშია, სულ სხვა ამბავია, — ჩაიციანა მაიორმა და ლეიტენანტს უთხრა, წაიყვანე ერთი კაცი და ამოიტანეთო.

ლეიტენანტს ჩოფური გაჰყვა. დელიდან სქელი ცელოფანის თითო მოზრდილი პარკი ამოიტანეს და მაიორის წინ მიწაზე დააწვეს. ორივე პარკში სამ-სამი თავი ყველი იდო და შიგ წაკაც იდგა. პირებზე გასანთლული კანაფი ჰქონდა წაჭერილი.

— ეს რაღა ობრობაა?! — მწყემსების გაოცებამ უკანასკნელ ზღვარს მიაღწია, ხოლო ლილი აღარც ცოცხლებში იყო, აღარც — მკვდრებში.

— მაშასადამე, როცა კი დროს იხელთებდა, თითო-ორი ცალობით გაჰქონდა და აგროვებდა. მერე ბრიგადირი ყველის ურმებს რომ გაჰყვებოდა, დანახავიც აღარაფერ იყო, — ჩააწყობდა ხურჯინში, გადაკიდებდა ცხენს და — ჰაიდა! — დააკენა მაიორმა და ზიზღით დაუმატა, — აბა, კაცი რომ ასე გაწუწუდება, აქამდე დაეცემა, დაკინდება... ფუჰ!

ლოქაფაშვილს თითქოს გული დაეწვა, რომ მისი თანაზიარი საქმე აუგად მოიხსენიეს.

— რატომ, — უფროსო, — საყვედურით შეესიტყვა მაიორს, — ფულმა ზღვარი არ იცის და მწყემსების ეჭვსაც ხომ გაბათილება უნდოდა?

— მაინც რა იმდენი უნდა გაეცეთებიან ამით, რომ... ღირს კი?

— ჰი-ჰი, უფროსო, — შემწყნარებლურად ჩაიციანა ლოქაფაშვილმა, — თქვენ საქმეში ძალიან ცუდად ვრკვევით, აი, აქ,

სულ ცოტა, ოცდაათი კილო უნდა იყოს ყველს კვირაში ერთხელ ვაბარებდითო, ამბობენ, მაშასადამე, ყოველ კვირა, მეტს თუ არა, თითო ამდენს მუდამ ახერხებდა, ხოლო ბაზარში ამათი ყველი კილო ხუთმანეთად გადის. გადამყიდველს კილოზე ექვსი შაურიც რომ მისცე, თავს ასდის. აბა, ასლა იანგარაშეთ, ნაღდი მოგება რა რჩება. მინისტრები და პროფესორები ამაზე მეტს კი არ იღებენ.

— მერე, ამიტომ კაცმა ყველაფერი უნდა იკადროს?

— ეგ სხვა საქმეა, უფროსო. მაიორმა დაწერილი ფურცლები, ძველიც და ახალიც, პლანშეტში ჩაალაგა, პლანშეტი დაკეცა და წამოღგა.

— პა, ამხანაგო ფერმის გამგევე, — გახედა კოტეს, — ამაზე რაღას იტყვი?

— გამორჩნდება ყველაფერი გამორჩნდება. — ისევე გულგრილად უპასუხა კოტემ.

— აქ რაც გამოსაჩნენი იყო, უკვე გამორჩნდა, დანარჩენსაც იქ გამოვარჩენო. ადუ!

— როგორ? — შეცბა კოტე, — მე... მე პასუხისმგებელი პირი ვარ, საქმე მაბარია, მე...

— საქმეს ხალხი მოუვლის, ხოლო შენ ჩვენთან წამოხვალ, — ცივად მოუჭრა მაიორმა.

— თქვენ ნება არა გაქვთ, მე პარტიული ბილეთი მიღვეს ჯიბეში...

— ვიცი. ეგ ბილეთი თავისთავად წმინდა ნაწილია, მაგრამ, სამწუხაროდ, აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩა თითო-ორილა ისეთს, რომელთაც სწორედ არ უნდა ედოს. ადუ-მეთქი!

— არა, თქვენ ნება არა გაქვთ... არ შეიძლება, საქმეს ვერ დაეტოვებ. — კვლავ სცადა კოტემ თავის დაჭერენა, მაგრამ რიგისანმა ბოლომდე აღარ ათქმევინა, მკვრივად დაძარღვეული, ძლიერი ხელი ჭანგევით ჩაასო კისრის უკან, საყულოში და ფეხზე წამოაგდო.

— ადუ, ადუ, გაიარე!

კოტე მიხვდა, რომ წინააღმდეგობა აღარ გაუვიდოდა და დამორჩილდა. დამორჩილდა და უცბად თითქოს მოტყდა კიდევ რაღაცნაირად მოდუნდა, მომჩვარდა, თი-

თქოს განადგურდა, სახე გადაუფითრდა, მკლავები და მხრები ჩამოუცვივდა და ნაბიჯიც აერია. ლილის გაოგნებულ, საყვედურით სავსე მხერას თვალი აარიდა და გვერდის აელა დააპირა, ლილის ტირილი წასკდა:

— ო, მამა, მამა... რათა, მამა, პა?... რისთვის?... რისთვის?..

ლილის ხმაში კოტეს თხუთმეტი წლის წინგარდაცვლილი ცოლის ხმა მოესმა და რამდენსამე წამით თითქოს მაშინდელი სურათიც თვალწინ ცოცხლად დაუდგა: ცოლი ჯვარიმგადაფარებულ, ძველებურ ქართულ ტახტზე ზის. აკვნის გვერდით, აკვნის ჩველი ელურტულებს და ვარდისფერ, კოტიტა მკლავებს ასავსავებს. ცოლს მუხლებზე გადაშლილი წიგნი უდევს, სალოკი თითი სტრიქონზე აქვს გაჩერებული და მასაც სტრიქონებში ახედებს:

„აი, ნახე, აქ რა წერია: ვინ იცის, კაცური კაცობისათვის რა უფრო სანატრელია, სხვისის პურის ჭამა, თუ თავისის გაცემა. ვინ იცის, ზნეობა უფრო მაგარი ქვაკუთხედია კაცთა ცხოვრებისათვის, თუ საცა ვისი რამ მოახელო, ჭამე, რაკი გემრიელიაო. ხედავ კოტე, მხოლოდ ზნეგაცვეთილი და სულმდაბალი ოცნებობს მოხვეჭაზე, ზნესრული და კაცური კაცი კი საკუთარის გაცემას ამჯობინებს...“

ზმანებიდან ისევ ლილის ხმამ გამოაფხიხლა:

— ნეტა, მე მოგვეკალი, მამა... ნეტა, მოგვეკალი...

კოტე სახე მტკივნეულად მოეჭმუნხნა, თითქოს გულის შანთმა ვარეთაც გამოყოფნა, თვალზე მომდგარი ცრემლი რომ დაეფარა, თავი ღრმად დასარა და გამწყდარი ხმით ძლივს გასაგონად ჩაილულულა:

— დამნაშავე ვარ, შეილო... პატივებს არ გთხოვ, მაგრამ... ნურც ძალიან ცუდად მომიგონებ, მაინც მამა ვარ... შობელი ვარ... — კიდევ უნდოდა რაღაც

ეთქვა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო. თვითონ დაატანა თავს ძალა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია, მკვეთრად შებრუნდა და რიგოსანს გააყვია.

მაიორმა იოთამიც თან წაიყოლია, რომ ნაპოვნი საქონელი მიეთვალა და ხელწერილით ჩაებარებინა. მაიორს ლილის წაყვანაც უნდოდა, როგორც მთავარი მოწყვისა, მაგრამ ლილის სიარული კი არა, ფეხზე დგომაც აღარ შეეძლო. კიდევ კარგი, ნოსრევანმა დროზე იაზრა და ხელი შეაშველა, თორემ შეიძლება უგრძობლადც დაეცემულიყო.

— ლილი... რა მოგდის, — უთხრა წყნარად და მკლავი დაუჭირა.

ლილიმ სახიდან ხელები მოიცილა და ნოსრევანს დარცხვენით შემოხედა. ცრემლით სავსე თვლებში სინანული და უმწყობა მოუჩანდა.

— მიშველე, ნოსრე... მიშველე და... მაპატიე. — უთხრა სლოკინით და მხარზე დუნედ ჩამოეყრდნო:

— ნუ გეშინია... დაწყნარდი, დამშვიდდი, — ნოსრევანმა ხელი მოხვია, ბარბაცით მიიყვანა საწოლამდე, დასვა და თვითონაც გვერდით დაუჯდა, — კარგი, გეყოფა, დაწყნარდი. ნუ გეშინია, მე აქა ვარ, შენთან... შენთან ვარ... შენთან ვიქნები..

მაიორმა კოტეს და იაგორას ყველის პარკები აპკიდა და წინ თვითონვე გაუძღვა. რიგოსნები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, ხოლო უკან ლეიტენანტი მიჰყვა. ილო, თედო და ჩოფური ღელემდე ჩაყვნიდნენ. პაპა ქორია კი ღელის კიდურს არ გასცილებია, სანამ წასულები სივრცე გაწოლილ სერს არ მიეფარნენ, არც განძრეულა. მერეც დაგვიანებით შემობრუნდა, თვალ-წარბზე დაღვრემა და ნაწყენობა ემჩნეოდა, ფიქრში ღრმად წასულმა დუნედ, აუჩქარებლად გამოაბიჯა ბოსლისაკენ და ჩუმი, გაგრძელებული ამოხვრით თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აი, ვაჟი ბოლოო...

ბასიანის ომი

„დაწუხეს რაზმი, სადა — იგი წინამძროლად იყო ზაქარია მზარგაძელი, ამირსპასალარი და ახალციხელი შალვა და ივანე და სხუანი თორღენი; და ერთ-ერთი აფხაზნი და იმერნი, ერთ — ერთი იმერნი და ჰერ-კახნი... და იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

ტახტზე მორჭმით იჯდა თამარ — რუქნადინის მოდგა ელჩი:
„სვეკეთილი გმირი ჩვენი, ვისაც მუხლში ძალა ერჩის,
ქმორჩილებენ ვისაც ქვეყნის ლაშქარნი და სპანი დიდნი,
ზღვიდან ზღვამდე, მთიდან მთამდე ვისიც შიშის აქვთ და რიდიც, —
გიბრძანებსო — უყოყმანოდ დასთმო შენი განი ცველა,
თორემ წყრომა ცის და მიწის რეკავს, როგორც სარეკელა,
ყველა ოსრად დაგრჩებაო — სადედოფლო კვერთხიც, ფარნაც,
რუქნადინი — ზღვათმპყრობელი — დავისვამსო თვითონ ხარტად“...

ქართლოსიანთ დუმს მზექალი — ბილწნიტყვაობს ისევ ელჩი,
ბოღმა სულთამსუთავივით ებჯინება დარბაზს ყელში,
აქვს სამანი ყოველივეს — ჟამთა დენას, თმენას ჭირთა:
სულში ცეცხლი დრუბელივით აიფოფრა, აიზვირთა,
მერმე უხედნ ურასავით ყალყზე შედგა მეყვსეულად:
დაიგრგვინა დავით სოსლან: „მტერს დახვედრა უნდა მტრულად“ —
შეუზახა სამგზის ხაფად ელჩს — სელჯუკის ვივინდარას...
და ქვესკნელის მორევივით დატრიალდა რისხვის ჯარა.

ღამე სწრაფად გაიღია — აკიანთდნენ მზეში ცანი,
სწორედ ამ დროს ქუდზე კაცი — კახ-იმერი-აფხაზ-სვანი
გადმოსდინდა მთიდან ლავად — აბრჭყვიალდა რკინის კვართი,

აიგორღა ბრძოლის ვინო, ვით ლულაში ბოლი დენთის,
ურთიერთში აილუფხა ცხენ-კაცი და მამაღმერთი.

საქარიას მიჭრის რაში — მიჰყვნიენ ძმანი მოისარნი:
 „ერთიც ნულარ იბოგინებს მტერი — ჩვენი მოხისზარი,
 არც აროდეს დასდგომოდეს მამულს ღამე შაოსანი,
 სით — ტვერში ჩახლართული — კისკისებდეს წყაროსავით,
 მერცხალივით დაებედოს საქართველოს ცას არილი, —
 აღმა-აღმა მიფრინავდეს მცხეთის თეთრი ტაძარივით!..“

გვიან ღამით, როცა მტკვარზე აფათქუნდა ოქროს მთვარე,
 „ბრუნდებოა შინ ლაშქარი!“ — ხმა დაირხა შინ და გარეთ,
 ბახიანის გზა სვიანი გამარჯვებით დადაფნულა:
 ქუბდა „მრავალჯანიერი“, „არრაშვა“* და „აბა ულა“**.

გალაკტიონი სოხუმში ანუ თეთრი დილის ლეგენდა

როს ყოველივე, სამოსის გარდა,
 განიძარცვა და... სათნო-ჰყო თავი —
 დააცხრა, როგორც ფუტკარი ყვაფილს,
 ნართების ქვევრში ჩაწურულ ბადაგს.
 „უცებ ხელიდან გააგდო ყანწი,
 აღბათ უცხო რამ ესმა მოტივი,
 და ანგელოსის ორი ფრთა თვალწინ
 აუშრიალდა ორი ტოტივით.
 გულს ჩაედვარა შუქი ბრიალა,
 სულს კი — აპრილის ფერი და ფერი
 და ნაპირ-ნაპირ ისე იარა,
 არ გაუთელავს ბალახის ღერიც.
 წამწამს ეკიდა ციური ნამი
 და ქქონდა სველი ყელიც, უბეცა...
 ყურს ჩაუწვეთა ტალღების ჩქამი
 და „წითელ ხიდთან“ შედგა უცერად.

ფრთონავდა სით ლერწმის და ლელის, —
 უმზირა ზვირთებს — შეფუების მთოვარს,
 მერმე ჩაჰკიდა მდინარეს ხელი
 და მასთან ერთად იდინა მყოვარ. —
 იდინა, ვიდრე ბოლოწერტილის
 განიბნა ნისლი და ძილბურანი,
 და ზღვას შეერთო ნათლისსვეტივით
 კაცი, რომელიც იდგა მდუმარედ..

რადგან ბევრია აფსნში მგოსანი —
 მეტრფე უძელის, იის, სოსანის, —
 ჩრდილივით დასდევთ სურვილი იგი —
 ცეცხლი შთაბერონ გარდასულ ბგერებს:
 პრომეთეს კოცონს უხევიდან ირგვლივ
 და თეთრი დილის ლეგენდას წერენ.

აი,
 ამ

ბებერ კაკლის ხეებს —

ჯგერდის დედა-მინდორზე რომ შრიალებენ

ი დ უ მ ლ ა დ

* არრაშვა — აფხაზ. ლაშქრული.

** აბა ულა — მეგრული ლაშქრული.

დღითა და ღამით —
ფრთოსანთ რაოდენი თაობის
ჟივილ-ხივილი
ახ ხ ი ა თ,
ნ ე ტ ა ვ,
შტოებზე,
ვითარცა წუთისოფლის მარადიული ფუსფუსის
„ისტორიანი და აზმანი შარავანდუდთანი?“

• • •

წებულდაში
წალიკ-წალიკ
წეროს
გუნდი
რიალებდა,
ვიდეკი,
ციდან მოველოდი
ეტლის ჩამოგრიალუბას.
მოდგა ეტლი,
შიგ დაგებრძანდი —
ლერწამ-ქვეყნის მეფისწული,
რა ვიცოდი —
გადარეულ
მუშაებს
ვიფავ
შეწირული!

• • •

დააქვთ მოლბერტი მხატვრებს მსუბუქად,
ვით კეთილ მუშებს — შთაგონების ვეება ტვირთი,
დააქვთ მოლბერტი მხატვრებს, რომელთაც
ნელა გადააქვთ ტილოსე ქვეყნის
მშვენიერება და სიკისკასე
და ცის თაღების ელვარებას
განსაცვიფრებელს,
იხს ღიმილს და
ქრიზანთემის ხმამალალ სიცილს,
წვართს კიბკისს და
ნაკადულის იდუმალ ღღურტულს,
კვირტების ხედომას,

„...
...“

და ფესვების მწვანე სიმღერას,
 ცის ნამის წკრიალს,
 ყანის შრიალს,
 ტყეების ჩურჩულს,
 ქარების ქროლვას,
 ზღვების ფრთონვას,
 წვიმების წკარუნს,
 ბალახის ფუსფუსს,
 სიოს თრთოლას,
 ლერწმების ქრქოლას,
 გზების სიმშვიდეს,
 მთების დუმილს,
 მთიების ციმციმს,
 ზვირთების დენას,
 ფიფქის ფუნას,
 ფოთოლთა ცვენას —
 ყველას ცოტა-ცოტა უმატებენ მზეს და სინედლეს,
 ყველას ცოტა-ცოტას უმატებენ მზეს და სინათლეს,
 ყველას ცოტ-ცოტას უმატებენ მზეს და სიმაღლეს,
 რადგან უწყაიან მხატვრებმა კარგად,
 რომ გარდასახვის ტკივილივით ლამაზ მიწაზე
 ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი
 დადის ომებში დაღუპული
 შვილების დედა.

სოხუმი—ჩემი ბავშვობის დედაბუდე

იქ, სადაც დილა ცის ნაჭურში ილოკავს თითებს,
 ჩაუნისლიათ ბილიკები ტირიფებს თმებით
 და ბურქნარებში მოჩურჩულე ზღაპრებს და მითებს
 ისევე ასხიათ ჩემი ყრმობის პაწია ფრთები.
 ათასწლოვანი ფიქრისა და ოცნების ნავში
 ქვეყნის ქანგები მოვამწყვდიე — ჩემიც და სხვისიც,
 ადგილის დედა მწვანე კალთას მიარსევს ზღვისპირ
 და კვლავ მაცთუნებს — მერამდენედ! — სამოთხის ვაშლი.

* * *

შემოდგომა.
 თუთარჩელა.
 ისეთი ღამეა —
 გზაზე დაგდებულ ნემსს დალანდავს კაცი.

აგე, ფერდობზე დაყუნცულა პატარა სოფელი,
ხელში წვრილი, წვრილი ნემსი დაუჭერია
და თავის ჭრელ პერანგს ნაირნაირ

ლილებს აკერებს.

ხვალ,
მზე რომ ამოხდება,
ვერც იმ ნემსს შენიშნავს ვინმე
და ვერც იმ ჭრელ პერანგს,
რამეთუ დღისით,
პერანგის გარდა,
სხვა რალაცასაც იცვამს სოფელი
ისე, რომ ის პერანგი აღარც მოუჩანს,
მაგრამ მე ხომ ვიცი —
როგორ შესამოსელს იკერავს სოფელი!..

• • •

მორის ფოტოშვილს

ამ
ბარჩხალა
თუთარჩელამ
ეზო როგორ ამიჭრელა!
თუთა მედგა მუშტისხელა, —
ჩრდილი ისე გაუბრტყელა:
გარმონივით გადაწელა.
მე ვწუხდი და წუხდა ყველა:
მწიფე ყანის მოსამკელად

არ მიშვებდა სარეველა,
მაგრამ იმავე თუთარჩელამ
ყველა ძირში გადაცელა;
თავს წაადგა უდრტკინველად —
ღამის სევდა გადაბელა,
მკვდარი გული გამომრთელა,
როცა დილაც გამითენა, —
არ მივლია სადაც ძველად,
გზა იჭითკენ გამიგრძელა.

• • •

სახელდახელოდ
და სასაცილოდ
განრისხებული ღამაში გოგო
უუმამაცეს მკვიდრს კუნტლებისას
ათვინიერებს
ანუ

სწადის უდიდეს ცოდვას,
როდესაც ღამობს ვეფხვს
ვეფხვობა წაართვას ასე. —
და სწადის გოგო უდიდეს ცოდვას,
უწყის რამეთუ:
ბრბო ერთობა კარგად მაშინაც,
როცა ამაყ სულს ვასაჭურისებთ.

მამა სორნაული

აღმართი

იამაზ ხაბილურს

ასლა სივრცეში ისვენებს მზერა,
მივდივარ...
ფიქრი ესაა ჩემი:
ნეტავ სიკეთე უყვარდეს ყველას,
როგორც პატარა ჯიდაურს ცხენი.

ვერ გაიხარებს დუშმანის წყევლა,
არ გახუნდება
ლაყვარდი ვრცელი,
ოღონდ მოყვასი ახსოვდეს ყველას,
როგორც პატარა ჯიდაურს ცხენი.

• • •

აივანს შერთალი ჩრდილები რთავენ,
ზალი მიინარე ქალივით სუნთქავს,
ვისი დედაა ნეტავი ღამე,
ძაძით შემოსილი
რომ მოდის მუდამ?..

ჩემი სიმაღლე ამშვიდებს ქარებს,
სარკმლების შუქზე ფოთლები ბზინავს;
იქნებ წინაპრების
ჩრდილია ღამე
და ამიტომ ვიძინებთ ტკბილად...

• • •

ჩემი ნატვრაა, რომ შენი ჭერი
ხეალ ყოფილიყოს
მაღალი ასწილ
და სტრიქონები გიყვარდეს ჩემი,
როგორც ხელები
მშრომელი კაცის..

ჩემი ნატვრაა, ეს წმინდა ფუძე
ციხე გაოცებად
ყოველთვის ღირდეს
და ჩემი წიგნის უბრალო ფურცლებს
მზე უღიმოდეს,
ვით ქართლის მინდვრებს.



მე სიყვარულის მოლივლივე
აღმართებს შევრჩი,
აქ ჩუქურთმებზე
გადიმებულ სახეებს ჰგვანან...
და სიცოცხლე ზეიმობს ჩემში,
როგორც ნაწვიმარ ჰაერში ყანა.

აქ სიყვარულის თვალებიდან
ამოდის მუდამ
მაისების მფარველი მნათი
და ისეთია ფაჩუნი გულთა,
თითქოს ნამიან,
თბილ ბალახში
ქედანი დადის...



ააშრილა საღამოს ჭარმა
წნორების მწვანე აბრეშუმის
სარჩული თეთრი
და შადრევანი,
ვით თეთრი პალმა,
დგას და ირხევა
ჩამაგალი მნათობის გვერდით.

ბინდის ნელ ტალღებს წააგვანან
ხარები ლევა,
ლურჯი ქერქვით იცინის ტბორი;
ვით სიხარულის სინათლემი
ლამაზი ხედა,
ცის სიჩუმეში იკარგება
ძახილი შორი...




ამ აივანზე შენ მიშლიდი
ყოველთვის ლოგინს,
ამ აივნიდან გაფცქეროდი
ვარსკვლავებს, დედა...
ახლაც აქ ვწევარ და ლოგინი
შენგან გაშლილი
კვლავ შზის ნაწოლი ღრუბელივით
თბილია, დედა!...

ამ აივნიდან კვლავ ვუღიმი
ნაცნობ ვარსკვლავებს
და ყველა მათგანი
მშვენიერია და საყვარელი,
როგორც ხალები მეწამული და ოქროსფერი
ფშაურ ფარდაგზე შენი ხელით
ამოქარგული.



ეს უფსკრულები — სევდიანი სავანეები —
ჰაერის ჩუმი მწვერვალებია
მიწაში თავქვე ჩაკიდულები...
მათ კენწურთებს თუ მიაღწევ,
შენ დარწმუნდები,

რომ ვულკანები
საშიშები სულ არ არიან:
ხანდახან ისე მშვიდად ფეთქავენ,
როგორც ბავშვები
თბილ ბალახში ჩათვლემილები.



აიუ მაკლანიერმილი

მთავარი გზა პირდაპირ მიდის

ნიდ კამპეადორად თვითონ გადაიქცა
 მთელი ესპანეთის მშრომელი ხალხი.
 კამპეადორი! — ეს გახლავთ ძველთაგან ცნობილი სახელი.
 თავდაპირველად ეს სიტყვა ჩვეულებრივ
 „ველად ან იალაღზე ყოფნას“ ნიშნავდა;
 შემდგომ მისი აზრი ოდნავ შეიცვალა
 და სიტყვას მიეცა მნიშვნელობა „ველად ნაგარდის“,
 შემდგომ — „ბრძოლის ველზე ყოფნისა“
 და „გამბედაობით თავის გამოჩენისა“.
 საბოლოოდ მან მოიპოვა მნიშვნელობა
 „სინამაძვით გამორჩეულის და სხვათა მჯობნის“,
 მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც,
 ვინც ამ სიტყვის მნიშვნელობას ატრიბუალებდა,
 და „კამპეადორს“ როცა ამბობდა,
 „უბრალო მეველეს“ „გაუთლელ გაგრიას“ გულისხმობდა.
 ესენი იყვნენ სიტყვის მნიშვნელობით დამფრთხალი პირები,
 რომლებსაც სხვა რამ იარაღი, გარდა ეესლისა, თავდაცვისთვის არ გააჩნიათ,
 და შურის შესაძენით გაგლეხილი მათი ტუჩები
 ამ სიტყვას მალიმალ ფურთხივით ისროდა.
 „ღიახ, ეს ჩვენა ვართ მეველენი, გაგრიები, კამპეადორები“ — ყვიროდა ხალხი
 და სხვისგან აგდებით ნასროლ სიტყვას
 მოწინააღმდეგის დარტყმული ბურთივით ხელდახელ იჭერდა,
 შერქმულ სახელს სინამაძვით შეიფერებდა,
 და ხალხის ბაგეზე
 სხვათაგან დაცინვით ნათქვამი სიტყვა ღირსებას იძენდა,
 ბრწყინავდა, ჩინჩხლებს და ნაპერწკლებს ისროდა,
 და შეატყორცნილი სამყაროს ხიფათში, ვარსკვლავად ელავდა.
 ვინ იყო, ვინა სიტყვა ეს სიტყვა პირველად
 არავინ იცოდა,
 სუველა ბაგეზე ერთბაშად იშვა და ერთბაშად დაიძრა,

* ეძღვნება ესპანეთის სამოქალაქო ომს.

იქნება უცვრად ზეციდან დაეშვა,
 ან მიწის წიაღში უცებ აღმოცენდა,
 იქნება წარმოშვეს ქვებზა და ხეებზა,
 მტვერზა და ჰაერზა!
 ყველგან დაიბადა, ყველგან აღმოცენდა, ყველგან წარმოიშვა
 ერთსა და იმავე დროს
 და როგორც მზის სხივის შუქზა და ნათელზა
 სამყარო გაჟღინთა.
 დიდი გული ჰქონდა ესპანეთს ამ ხიტყვით, —
 შიგ ქვეყნიერების სიხარულს იტყვდა.

მერე ეს სახელი ამაღლდა, აღზევდა, ჰაერში განიბნა,
 უფრო დაიმუხტა, შეზავდა, შენივთდა,
 და მერე მიწაზე გმირული კიეინის წვიმებად დაბრუნდა,
 გზადაგზა მერცხლებზა ფრთებით აიტაცეს და ფრენით წაიღეს,
 სულ შემოატარეს ხმელეთის ყოველი კუთხე და კუნჭული;
 მღეროდნენ მერცხლები, ამ სახელს მღეროდნენ სივრცეში ფრენისას,
 ესმოდა ესპანეთს და ემატებოდა სიგრძე და სიგანე
 და როგორც ბალახი, ისე ამოდიოდა ხელახლა მიწიდან,
 კვლავ იბადებოდა ყოველ დღე-ცისმარე ის ხალხის ენაზე,
 და მზისკენ აწვდილი ხესავით მღეროდა,
 ძლიერი ტოტებით ზეცისკენ მიმსწრაფი.
 იგი მრავლდებოდა და უერთდებოდა ტყეების სიმრავლეს,
 ველებზე გაიჭრა, გადაინავარდა მთები და ქედები,
 შორს გასცდა ესპანეთს, ზღვები და ხმელეთი ერთბაშად გადასჭრა,
 აავსო ევროპა,
 მსოფლიოს საზღვრები გადაიჯირითა,
 კვლავ ძალი მოიცა, ამაღლდა, აღზევდა
 და... დაიბანაკა იმედის მწვერვალზე.

ისტორია და გეოგრაფია შეაჯერა
 თაიხის რიხით გმირულზა სახელზა,
 ვარდის ფურცელივით ქარზა აიტაცა
 და მიჰფანტ-მოჰფანტა იმისი ბგერები
 ცა და მიწის თვალსაწიერზე;
 ყველა დროშაზე, ყველა ფრთოსანზე მაღლა ააღწია,
 და ხმა იმისი, ათასობით ბაირაღის შრიალს მოჰკავდა,
 ათასობით ჩიტის გალობას.
 ხოლო ქვევით, დედამიწაზე,
 ადამიანთა მირიადები
 მუხლმოდრეკილი ალაპყრობდნენ
 სიხარულის ცრემლით სავსე თვალებს ზეცისაკენ
 და მის ფრენას უთვალთვალეზდნენ.

და ეს სახელი, —
 ისტორიის უმაღლეს მთაზე ატანილი არწივის ბუდე,
 ყრუანტელს ჰგვრიდა ისტორიას, და მის ძარღვებში
 აჩქუფებდა სიმღერის ტალღებს.

იგი იქ რჩება, იმ მწვერვალზე, სამარადისოდ
და არფის სიმებს მოსვენებას აღარ აღირსებს.

შენ მოხვალ ჩემთან სხივმოსილი, თვით სიკვდილის საბრძოლველად,
შენ მოხვალ ჩემთან სიცოცხლის გემით,
ზეცის გუმბათქვეშ გაწოლილ ზღვას გადმოაბიჯებ,
ბრძოლის მოქცევა ტალღასაგვით გაიფოფრება
შენი თვალების მოელვარე სანაპიროზე.

შენი თვალები არის ორი ბარელიფი, —

შენს დიდებას რომ დალადებენ,

შენი ხელები მზად არიან გული შენი წმინდა მსხვერპლად თვითონ გაიღონ;

შენ, კომეტაში გარდასახულს,

ესპანეთის თავზე გარგუნა,

კაცობრიობის ისტორიის თავზე გარგუნა

მარადისობის სივრცეებში ბედმა სრიალი,

.....

ო, მე ვიხილვ, თავი მსხვერპლად ვითარ შესწირვ,

და საკუთარი სხეულიდან ვითარ ამოხველ

ღვთიურ სიშმაგით,

ვითარ ილტვოდი უსასრულო სიმაღლისაკენ

მისტიური ექსტაზით და

ზეციურ თრობით.

შენ ის ხე იყავ, მალღისაკენ რომ მისთვის იზარდვ,
რათა ძელს შენსას კიდევ ერთხელ ეტვირთა ქრისტე —
ამ ქვეყნად სულთა სანუგეშოდ დაბრუნებულა.

შენ, მესთატეხის სტიქიონზე ამხედრებულა,
თვალებით გზათა გარდუვალთა გავლის მზრახველი
მიდიხარ საით?

დაუოკებელ ფრენით, ქროლვით და ბრწყინვალეობა
აღიხარ ზეცად —

თვით შესკნელში შენივე არსის;

და ვინც ეცდება შენი

ფიქრის აღმაფრენას კვალში მოსდოს,

გონდაბნეული და უნდილად გზახადენილი

თავბრუდახვევის უფსკრულებში გადიჩეხება.

შენს ხულს არა აქვს დასაბამი და დასასრული

მიდიხარ საით?

ვითარ მოგდიო?

შვიდი პლანეტის გზა-და-კვალი აირველება

შენი ფარის ელვარ სარკეში.

არ შენი გზით, იარ შენი გზით,

ო, განუშორე სხეულს შენსას, იარ შენი გზით,

შენ, ეპოსით გარემოსილო!

შორიახლოდან გადვინებ თვალყურს,

თდეს ვარსკვლავთა სივრცეებში ინტიალებ...

.....
მათ ჩაიარეს.

ჩემს თვალთა წინა

იმათი ხმალი, ელვასავით გადმოქნეული,

უეცარი სიკაშკაშით კრთის და ბრიალებს
და ორი დიდი ფრთა იზრდება იმ კაშკაშიდან —
ალმოღებული ბუმბულის და ცეცხლის ენების.

დაიძრა ხმალი, იგი ადის მალლა და მალლა,
იგი ჰაერში მილივლივებს, ზევით ჩემს თავზე,
ქვეყნიერების თავზე გადადის

და მესმის ნათლად

პლანეტების ჰეკატომბა ჭაოსს შიგან ვითარ ცვივა, ვითარ გუგუნებს.

მესმის ხიფრცეში სარკმელები როგორ იღება,
და ჩემს ყურებში ხმა იღვრება მარადისობის...

სად ვარ? რა მომდის?

საით მივყავარ ამ ბობოქარ სინათლის მორევს?

ძირს, ძირს ვეშვები,

ჩამოვდივარ დედამიწაზე, —

კვლავ ესპანეთში,

ცნობიერება მიბრუნდება და აზრსაც ვიკრებ.

ეს იყო ხალხი, ვინც შევიგრძნო სიდიადე თავისი ხვედრის

და მისი ტვირთვა ბედისწერად არ მიიჩნია;

ცხენის ტაბტაზე გამობმული საკუთარ ხვედრით,

რალაც იდუმალ კავშირებით მასთან შერწყმული

წინ ისწრაფოდა,

და საცნაური არ იყო ჩემთვის ამის მიზეზი.

როცა ამგვარ მოვლენას ხვდები,

სხვა არაფერი დაგრჩენია თუ არა ის, რომ

მის წინაშე თავი დახარო.

.....
ეს იყო ხალხი, — ტალანტზე და გენიაზე უფრო მეტი ძალის პატრონი,

ეს იყო ხალხი, — დაჭურვილი ელექტრომუხტით;

გენიას იქნებ შთაგონებამ როსმე უმტყუნოს,

ტალანტი იქნებ ანგარიშში მოტყუედეს სადმე,

მაგრამ თუ ხალხი დაიჭურვა ელექტრომუხტით,

ელექტროდენი მას არ უმტყუნებს.

ყველა უზუსტეს გამოთვლაზე უფრო ზუსტი და

ყველა გენიის შთაგონებაზე უფრო მაღალი

არის ძალა ელექტროდენის,

წარმოქმნილი დიდი ძაბვისას,

რომელსაც ხალხი,

დედამიწის პოლუსიდან პოლუსს გადასცემს

შინაგანი ელექტრომუხტით.

.....
ეს იყო ხალხი, — შიშველი რწმენა

და მგზნებაარება, რწმენად ქცეული,

ეს იყო რწმენის სტიქიურობა, ხიფიფე რწმენის,

რაც მრავალჯერ ამრავლებს ძალას

საქართველოს ლიტერატურის ინსტიტუტი

„საქართველოს ლიტერატურის ინსტიტუტი“

და არ სცნობს ქვეყნად არავითარ ზღუდეს და ჯებირს.
სადაც კი განვლეს, ანაბეჭდი ნაფეხურების
დატოვებს რაღაც მისტიკური ნიშნების მსგავსი,
მე ბრძენთა კრებულს წარუდგინე ნიშნები იგი
და ამოცნობა ვთხოვე მათი იდუმალების.
მაგრამ ცხადია, რომ საერთოდ ამ ამოცანას არ აქვს პასუხი.
ეს ხალხი თვალყურს აღევნებდა, განიხილავდა
საკუთარ ხელთა ნამოქმედარს,

ნამოქმედარს საკუთარ აზრის,

ხედავდა, — ვითარ უსხლტებოდა ყოველგვარ კანონს,
ვით შედიოდა აღუნუსხავ, მოუხელთებელ იდეების სამეფოში.
მათი სხეული ქვეყლიყო გოლიათურ ძალის საამქროდ,
რომელშიაც იქსოვებოდა უხილავი ნართის ქსოვილი.
ამ საამქროში

ბუნებრივიდან ზებუნებრივს აწარმოებდნენ,
პროპორციიდან იქმნებოდა ჭარბი ნამატი,
რადგანაც მთელი ეს საამქრო და ყოველი იმისი დაზგა
აღფრთოვანების სამსახურში იყო ჩამბული;
ეს უსაზღვრო აღფრთოვანება
ხალხს აძლევდა ღვთაებრივ ძალას
და უკარგავდა მორჩილებას ლოგიკისადმი.

დიახ, არ იყო ლოგიკური, რომ ებრძოლათ ესპანელ მუშებს
ათჯერ მეტი შტრის წინააღმდეგ,
რომ პირისპირ შებრძოლებოდნენ ტოტალური ფაშიზმის ძალებს, —
მაგრამ ებრძოდნენ!

არა, არ იყო ლოგიკური, რომ მარტონი შესტოქებოდნენ
რიცხობრივად აღმატებულს, იარაღით აღმატებულს
ცივილიზაციით უპირატეს მრისხნავ ძალებს,
მაგრამ მაინც ეტოქებოდნენ!

და საბოლოოდ გამოჩნდება, რომ ბრძოლაში
მათ გაიმარჯვებს,
რადგან გახდნენ თანაზიარნი ყოველივესი, რასაც კი ქვეყნად
ნამდვილ სიცოცხლით უცოცხლია, ანდა იცოცხლებს,
როგორც აზრი და მნიშვნელობა ერთადერთი
თვითონ სიცოცხლის.

ისინი გახდნენ თანაზიარნი
ღირსეული კაცობის არსის, —
ადამიანთა უდიდესი მონაპოვარის;
ეს მოხდა მაშინ, კაცობრიობის ისტორიის დიდ მოსახვედში,
როცა მთელი კაცობრიობა აღმოჩნდა უცებ
იმ საგზაო ნიშნის პირისპირ,
რომლის ისარი უჩვენებდა: —

— მთავარი გზა პირდაპირ მიდის.

ბრძოლა გრძელდება,
რადგან სულისთვის არ არსებობს გზა კომპრომისის.

მირონ ხარბიანი

შენ, თიანეთო, კარგი ხარ...

საუბარი რაიონის კროზლემებზე

მანუალის ამბავი...

თბილის-თიანეთის გზა... წუთით გორშევიარდნზე შევირდეთ. ვისაც სურვილი აქვს საოცრება იხილოს, დილაუთენია, ახალგაზრდებულზე უნდა გახედოს აქედან ერწოს ღარს, როცა ნისლის ქაქათა ბუდეებს ვერ კიდევ პრელ-პრელა თქაქლოზე რბილად დაუდევთ თავი და ღამის სიზმრიდან ვერ გამოკვეთლან. ეს დახლოებით, ისეთივე გრანობა, საპერო ლინერიდან ღრუბულთა ზღვის რომ გადააქვს მწერას და გული ხიამუსი გრანობით აღგვესება, რომ ამ სიერცხა და სილამაზის შეუღებ და მბრძანებელი ხარ...

მართლაც საოცარი სანახავია ერწოს ზეობა ნილიანიცა და უნისლოც, ამწვანებულთა და ოქროსფრად შოქათათვც. შემოადგომის მზით განახლებული. ამ სანახაობის მხალველი ამ რამდენიმე წლის წინათ ვახუთი და მანინელი შთაბეჭდილება დღევანდელ დღესათ მახსოვს...

სამწუხაროდ, მაღე ეს ამბლებული განწყობლება განაქარვა ერთმა ფრიად მოულოდნელმა, სამწუხარო ამბავმა...

ეს ანე იყო: თიანეთიდან თბილისისკენ მოვეშვრებოდი. გორშევიარდნზე თვალი დაევშვა ჩვენს ავტობუსს. ნახევადმოყვარე მგზავრები ვარეთ გამოვიშალენით ახალგაზრდარებული იყო. კოკისპირული წვიმების შერე შერე პირველად იმ დილით გამოაქვითა. ერწოს ღარი უნებრად გაღურსულაყო. იშპირებოდა და ნეტარებას მისცემოდა. ალაგ-ალაგ ნისლეში მოჩანდა, ზოგან იხინა შეთხლებუ-

ლიყენენ და იმ ადგილებიდან, როგორც თვითმფრინავის სარკმლიდან, მიწის მწვანე ნაკლები მოჩანდა. ეს იყო გადასახედი ადამიანთა საუფლოში. თითოეული ჩვენგანი იმ წუთში ფიქრობდა ბუნების მრავალსახოვანებაზე, ნაირფეროვნებაზე, ამაღლებულობა და ასევე მისი სიმუხთლის უნარზეც გვახსენებოდა ვაჟს სტრაქონები: „ბუნებაც ბრძანებელია, იგივე მონაა თავისა, ზოგჯერ საკეთეს იხვეპავს, ზოგჯერ მქნელაა ავისა, ერთდერად მტყირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, საცა პარინზეს ახარებს, იქვე მთხრელია შეავისა, მაინც — კი ღამაში არის, მაინც სიტურთით მუცავისა...“

გამხული ავტობუსი შემდეგ ეს სილამაზე მართლაც დღით მოვეცილდი სასწაულს მკავდა: იმ რამდენიმე წუთში სადილაო ავტობუსის მგზავრებმა გულიდან გადავიყარეთ მთელი კვირის მანძილზე სულმა ჩავსუბებული წვიმა და ნეტარ, ღრუბელი და ქარი, ნელ-ნელა დაუყვა ჩვენი ავტობუსი ერწოსკენ გორშევიარდნის ჩაღმართებს... და, აი აქ მოხდა ის უსიამოვნო ამბავი, რომელმაც კვლავ ურვანადელი შემოასახლა ჩვენს სულში და ავტობუსი სვედიანი ფიქრებით დაამიმა. სულ რაღაც ათიოდე წუთში ჩავუშინამდა ის სიხარული და აღფრთოვანება, მაღლა, მთის უღლებ რომ დავაჯვედრა არსთავამრიგემ — გზისპირზე ბურტყავები ეყარნენ, ნიანგებოვით თავებს წამოსწევდნენ ხოლმე და შერე, თითქოს თავში ჩაარტყესო, მიწაზე დაუშვებდნენ. ახლად ამოწვერილი საშუომდგომო ხორბლის ნათესების პირას, გზის ხიამლოცვს

* ვაგრძელება იხ. „მნათობი“, № 12, 1978 წ.

მწუნენ ერთმანეთის გვერდ-გვერდ, ისეთი შთაბეჭდილებით იყო, თითქოს გზაზე გამოცდებებს ლაშობდნენ, მაგრამ ვეღარ მოებერებინათ.

— ბურჯაყები, შეხეთ, ბურჯაყები რა მოუფიდაო! — აღმათ პირველმა მე თუ შევაინწიე, მამაილა შევახტე.

შოფერმა მანქანა გააჩერა, ჩემსკენ მოტრიალდა, და მითხრა:

- მაჩვევია, ძმობილო...
- მაჩვევია?
- თანაც მოწამულდება... — მოკლედ მომიტყა.

— მაჩვევია? — გამოერკვენენ მგზავრები — ხად არიან?

ყველანი გზაზე გაცვივდით. ვასლიანებულები იყვნენ, კარგად მოსუტებულნი, ისეთი საცოდავნი და მშველნი, უწყინარი სახით მოგვრებოდნენ, ჭრ კიდეც მშურთავი თვალებიდან მუღარა და თხოვნა გამოკრთოდა — აღმამინები არა ხართ, ვვიშველეთ რამეო — გვერდუკოდნენ თითქოს.

— ვატყაში მოვუყვანოთ — ამ უფცარმა ახრმა შევბა მომგვარა.

თანამგზავრთაგან ზოგიერთმა, აქაურ ამბებში აღმათ ჩემსავით ჩაუბნედავებმა, მხარი ამიბრეს — მოვუყვანოთ, მოვუყვანოთ!

შოფერმა ყველანი დაგვაშოშინა:

— ჯიღებო, იცით, რა, მავათ ვატყაში კი არა, იცხო ჭრისტე ვეღარ მოაბრუნებო. ამ ოხერტალ საწამლავს რომ მოხდებდა, რა სულიერიც არ უნდა იყოს, პირჭრის ვარდასახვის მტივ არაფერი სქარია...

მეხვიით გავარდა შოფერის ნათქვამი. ისეთი განცდა დამეუფლა თითქოს მეც ამ საცოდავების სენით ვიყავი შეპყრობილი, მსგავსი რამ ახლოზელი აღმამინის ავადმურობისას არის ზოლმე საცნაური.

— ამასწინათ ლარტყანათ მიხაკოს ათი ტაში დაუბოცა ამ ოხერტა... — თქვა ვიღაც ქაღმა, ავტობუსში რომ ვხსდებოდი.

— ოფოფ პეტრესაც სუ ვაუჩანავა მთელი საქონელი.

— მას დახდევული მაინც ევრლებოდა, — გაეპასუხა, საუბარი რომ წამოიწყო. ის ქაღმა — ბენაუ მიხაკოსა კახაი არ აღუდა.

— ამასწინათა, ჩვენ მეზობლად რომ ცხოვრობენ, კუბტილანებო, ძროხა დაუბრტყილათ, — კვლავ წამოიწყო ის ქაღმა — უცბად ვერ გავგო დედაკახა, რა ამბავი სქირდა და ჩამოეწვია. კიდეც კარგი, სადღეებდელში ჩაუხსავ, თორემ ჩვენ მტერს, იქ რომ ამბავი დატრიალდებოდა.

— მერმე? — გაეცითხა ქალს უღუაშე-უ-შეკილი წითურა მოხუცი, მთელი გზა თავი ყინილ რომ ეჭირა.

— მერმე ძროხამ სული გაწუტევა და, რომ

მიხედნენ, მოწამულული იყო, რა დახდებოდა, სადღეებელი საგულდაგულად გამოიცილებს, ასე გადარჩნენ, მამა...

— ცუდი კიდეც ეს არი რომ, მასეთი მოწამულულია არც ხორცი ვარჯა და არც ტყავი. ვინდა გაეკარება მას შორს ახლოსა, სუ წყაღმა ნაურთი ეწვიაღერი.

— ზეტაც ის მცოდინა, წამოიწყო უღუაშამ, — ეგ შხამები მეტ თავებებს გაანადგურებდნენ, თუ ეგ საცოდავი მარჯებო, კაცმა რომ თქვას, თავისი დაქვედული ქვეყანა ჭრ არ მინახავს... ამა, ამ თენიერებს გაიბეტივდა ვინმე საიქვეყნიოდ? ამითზე უწყინარი ცხოველად არც წავლდება, არც კაცს ერჩიან, არც საქონელსა და ფრინველს შუაღუბენ. შენ გგონია, ნათეს მვერ რასმეს აკლებენ? არაფერს იმდენსა.

— ამასწინათ, ასევე უანასირას მეუღლე ვინაზე, — ჩაგონა ხაუბარში ჩვენი მძლოლი, — იწვა ის საცოდავი და ფუხებს იხე ქიუხავდა, თათქოს ახლა გამოიღვიძა და აწორებდაო. რომ მივედი ახლოს, ერთი კი შერთა, მაგრამ რაღას იზამდა, როცა აღაჩურბის თავი აღარ მქონდა უკვე მიხვდა, შხამების წერა ვამხდარიყო. ამა, რომ ტყოყდა, ეს რომ მძრღველებს ვანადგურებდა, ლაპარაკი არ უნდა. მო, და, სიპართლე რომ ვთქვათ, მოწამულული თავი არც უნახავს მგონი არავის.

მთელი გზა გულმომსახული ვუქარბოდი დასოცულ მარჯებზე. მე რომ ბურჯაყები მეგონა, თურმე არც თუ დიდად შევწყდარვარ — შხამქიმიატებს ასევე ბურჯაყებოც. სხვა საქონელი და საღირ-ფრინველიც ბლომად დაუბოცია.

ა ტ კ რ ი:

ამ ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში ვულახილი და პირუტყვილი საუბრის ტაში დიდმა, რაც მეტად მნიშვნელოვან წინამძღვარს წარმოადგენს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და ასევე კულტურისა და მედიცინის, ერის სულიერი ცხოვრების სფეროში აღწევლობისა და შემდგომი წინსვლისათვის, რადგანაც სწორი, მარჯულ-შედეგობრივი ინფორმაციის გაანალიზების გარეშე ყოველად შეურდებელია რამე წარმატებებზე ლაპარაკი. მიუთხებთ, რომ სადღეისოდ რესპუბლიკის მასშტაბით მრავალმა პრობლემამ და და საშურმა ამოკანამ მოიყარა თავი, დრო და ეკონომიკური ფაქტორები კი არ აქლევია იმია საშუალებას, რომ ისინი ერთი ხელის მოსმით გადაეჭრა.

წითონქული განსაკუთრებით ეხება მთიანი რაიონების მდგომარეობას, სადაც მოხას, ლეოზის სოციალ-ეკონომიკური და კულტურ-

რულ-საყოფაცხოვრებო პარონები აშკარად დისპროპორციულია მოსახლეობის ვარდნილ მოთხოვნილებებთან, რაც უპირატესად ზედ-შეწევობი ფაქტორი გახლავთ ჩვენი მთავარი რაიონი ქვეყნისათვის დამახასიათებელი მთავარი ცენტრი არასასურველი პროცესისათვის.

ერთი სიტყვით, დაქაჩული და კანტაყუნტი მიქნელება ამ საკითხების გადასაჭრელად სასურველ მიზნის ვერ აღწევს. საამისო შედეგობები ბლოკად მოგვეყვება. ამ რამდენიმე წლის წინათ თიანეთის რაიონის ზღმი-დაუნდლობამ შეიწმევა რაიონის კეთილმოწყობის პროგრამა, უფრადლება გამაჭილდა სადამო გზებისა და საინაღერე არხების კეთილმოწყობაზე (მთელი რაიონის ტერიტორია ასეთი რუბინითაა დაქვეყნდა). დადგენილია მოსახლის არხები მოდიდებულ ნაღვარს ვეღარ ატარებს და მთელი ქუჩები და ეზოები ერთ შეიწმეხებულ ტბად გადაიქცევა. ღონიერ მოქმედობებელი საინაღერე არხები, როგორც ანდუქციის მტად საშეში კერები, გავლენის ძალისაგან მრავალი უსიამოვნების წყაროდ ექვლინებთან მოსახლეობას. გარდა ამისა ეს რუბინი ვერაფერი შედეგი საქვეული გახლავთ რაიონის რეპუტაციისათვის.

რა ვაივდება ბოლოს? რუბინი ნაღვრავს, მთხარა-მთხარეს, კაღვირზე ვიომ ბეტონი ჩაახტს. უსკერიც ვაფაგრეს, მშენებლებმა ვახარჯილო მიიღეს და თავანთ რაიონებს მიაშტრეს. მართალია, ამ „დადგენილობითმა პე. როკამ“, მთელი რაიონი ვერ მოივდა, მაგრამ რომ იტყვიან, „როგო ვერა მარგებელიაო“. სწორედ ისე მოხდა — მთელ ეს ვერცხლოვებული კეთილმოწყობილი არხები“ ეს ვაერანდა, ისე ჩაქვე კედლები და ისე ამოიღეს იქაურობა, რომ ამ უბნის მაცხოვრებელნი დღესაც შუაის თვალთ შეცქეპრიან შეზობლებს, სადაც ზელი არ უხლათ ბუნებრივი რუბინისათვის. ახე რომ, სადა მშრალზე დახტეს ბეტონის ცემენტი და აქლეს, უხარისხოდ აჩქქეს, საჩრკელი ხათანავოდ არ ჩაუთხარეს და შემოდგომისათვის მთელი კედლები, როგორც უკვე ითქვა, არშეი წაიშალა. ეს მტად საჭირობოტო საქმე, რომლის მოგვარებასაც მთელი ამ ხანოცი წლის მანძილზე პირველად მიეჭრა სერგოშვილი უფრადლება, კრახით დამთავრდა. სამაგეროდ, ჯიბებმა ვახტლეს სხვა რაიონებიდან მოწვეულმა ვაი-მშენებლებმა სხვათაშორის, იმეამდ ყველას უყვირდა ეგ ამბავი — რა ადუკლებოდა იყო რომ შეზობელი რაიონებიდან დავეჭრაბებომა მუშაშვილი, ვანა თიანეთის საყოფარო ძალებით ამ შედეგობით ამ საქმის მოგვარებო? უოველშეშობევაში, ერთადერთი, რაც გზების კეთილმოწყობისათვის კეთდებოდა და ამეამადეც კ-

თდება თიანეთის რაიონში, ეს ვახტლეს და დიდობა და მტად უმართებულ ღონისძიება — ავტოპარკის თვითმცლელი მანქანების მთელი კოლონიი ავრის ზეობიდან ქვა-ღორღის მოწედა და გზაზე მიამობევა. ეს პროცესი, ჩვეულებრივად, ახე მიმდინარეობს: მანქანები ავრიან და ავრიან ხრეშს, გზის ერთ რამდენიმე მხარეს ვროვა-ვრავებად აქვიენებენ, ამ გორების ვაშლა და შერმე ვუღორღის დასხმა კი სხვა ორგანიზაციის ევალება. ვაღერეს ორგანიზაცია საამისოდ მოიმართება, თვეები ვადის, წამთარი დდება და ზვინები შუა გზაში ვერევე რჩენა, მაგრამ თუ მოხდა და ვაშლებს, ქუჩის საღარი, როგორც წელი, საგრანობლად მიღლებს ამით საგზაო-სარემონტო საბუშოებო დამოვრებულად ცხადდება. მუშტა ქვეშეთა და ღონებით მოუწინა ქუჩა მანქანებისა და თუბით მოსაპრუღეთათვის მტად ვასაუღელი ხდება, მაგრამ ამის აღკვეთა ვაღვიდეს, ვაღერე ტრანსპორტი თვითონ არ ათვინებს იქაურობას — საბუშოებოთ არ მუშარ-მუშრის ვსოთაბირებზე ქვა-ღორღებს, ანდა მოსახლეობა არ ვაშლავს მშენებლობისათვის, მანძილ არის ერთი საყოფარო და ვვალება. ხოლო გვაღვანობისას ეს ღამის ვროვა ერთიანად შაერში ავარდება ხოლმე და სოფელი მტვრის ღრუბელში ეხვევა. შეშინებებითი არ არის, აღბათ, რომ ისეთ თუამაზეს კუთრეს, მტად ზღმსურელი მშენებარების საკურორტო ზონას, როგორც თიანეთი ვახლავთ, დამხვერებელი თიქმის არ ეტანება.

რაიონის ასეთი ექვმენტარული კეთილმოწყობილია უნდა იყოს მთელი საქართველოსი უნაივარეს მხრეზე და ეს ბუნებრივია — ღვედობითელი ადამიანი, ბუნების სილამაზესთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომფორტსაც, უჩროლისოდაც „ვარვად დახვერება“ მას ვერ წარმოუდგენია ამ ორი მნიშვნელოვანი ფაქტორიდან თუ ერთი რამეტიანე მთავარი ვერ დვას თავის სიმაღლერე, მის თვალში ამ ადგილს საგრანობი ქულები აქლდება. სწორედ ასეთ არასასარებლო მდგომარეობაშია ამეამდ თიანეთი, იგი მომგებიანი ქულების ვასაჭირს ვანიცდის.

მეუბრუნდეთ ისეც ქუჩების მდგომარეობის საკითხს — მათი შერემონტების აჭერას მეთოდს სხვა საკლიც ვაჩინავ: გზის საღარი იზრდება, მოსახლეობის სახლები და კარ-მიღამო შესახამისად დახლებმა ვინაყუთრებით ეს ელება ვსოთაბირებზე მდებარე სახლებსა და ეზოებს. შვირად ვაიკონებს ხოლმე — „ამ ზუთთოდე წლის წინ ღარტყანას საღლი მაღად შეწინად თოვლებოდა, ანდა კი, შენე, რა საფოდავად ჩამტარდა შიქარო...“ „გზების ამიღლებთან“ დავკვერებით მოხლებობა იმუღებულთა ხათანადი კონტრდინან-

ძიება განახორციელოს — გზათაშირა ღობეები საქართველოს კვალობაზე აამაღლოს, რათა ქუჩიდან ნიაღვარი შინ არ შემოუფარდეს, რაც მთელ რაგ ხარკებითან არის დაკავშირებული. ამ ევროეწოდებულ „მშენებლობით მშენებლობას“ ბოლო არ უნახს, არც დაუმრდება, ვიდრე რაიონის ცენტრში ზვირიანი ასფალტო არ დაიგება, რაც გზას დანგრევასაგან შეინახავს და ღრთა განმავლობაში დასწევს კიდევ მის ზედაპირს. რადგანაც, როგორც ცნობილია, კარგად მოვლილ გზას მსგავსი „დაწვევა“ ახსიათებს.

მ. შინაბინიშვილი (ტურნალისტი)

[კომენტარი დაბის კეთილმოწყობის ზოგადრთ საკითხზე]:

ერთი უცნაურობა დაგვიმია თიანეთებს, ბუნების ხელაშლით თავს ვიწონებს ზოღმე. გასაკუთბელობა და მოსავგარბელებს კი თავს ვარილებთ, ანდა სხვას ვადანაშაულებთ — საქუნს საშველი არ დააუწაო. თუმცა იქუნს ხალხის ამ გუღობსტიკაღლში „ქეშმარიტების შარცვალოც“ ურცვია. მაგდარბადდეთ ამ საკითხს როღმეღად ქუჩის მავალიოზე. ვახუდ წელს თიანეთის კომუნალურ საწარმოთა კომისიას, თიანეთის საღაბო საბჭოსა და ხარცინტო.სამშენებლო კანტორის წესახრუღებელ სამუშაოთა გეგმისში განწდა დაბის ერთერთი მთავარი მავისტრალი — ზარბეების ქუჩის კეთილმოწყობას საკითხს, მოსახლეობას მეთვა იმედი, რომ ეს ორმოგბმეძღვრული „ცენტრალური ხაზი“ ბოღოსაღაბოღის, მწყობრში ჩადგებოდა.

გვან შემოღებომაზე მშენებლებად გაიჩინდუნ მათ საწარმო წესით ზეობადან ხრცში, უფრო სწორად კი ქაღორღი მონაღის საქუნ საც სწორად აქედან წახება პირი ივენ, რა თქმა უნდა საინჟინრო საქუნეობს კომიტეტტორის ვერ ვქენებთ, მაგრამ ამდენი ქაღორღის დაღრა რომ არ იყო საქორო, ამას ზებოსიერი ადამიანი მიხედებოდა. თუმცა ქაღორღისაც გაინწია რა და როგორი ხარისხისა იქუნება: ზარბეების ქუჩა იმისთანა ღობეებით გაიღენ, რომ ზოგადრთ უქმარახაც კი სახლის მშენებლობის სურცვადა აღდგრა. მართლდა თიანეთში ყველაზე დეფიციტური სამშენებლო მასალა ცხვირწინ დაუყარეს და მეტი რაღა უნდოდა ქაღორღი ვადარბიეს და ვაზიდ-ვაგოზადგ. დარჩენილი გორები კიდევ დიდხანს იყო ბარი. კაღებად აღმართულა. როგორც იქნა, ერთ მშენებერ საღაბოს, შებამეღბაქუნს, გრციღებრიც ვაშონწდა, ვამოაშაღწენ ქუჩის მეტოგრბიღობი. ზეუნა-მუღარბათ ხეღებს ამის მძღოღს. ქუჩაზე დახვავებულე ბეჭები როგორღე წორმადურად ვადგენწორბინა, მაგრამ ვინ იღო ყრბად მათი აქა. გრციღებრის მოფერბა ამბქენილ-ღამიქენილი სურა ბედის ანაბარა მოატოვა.

ნამდგალი ვასაქირი დაუღვათ ამ უბნეღებს მანამდღ სიგრბესიგანიოთ თუ აწოებოდა, ანღა მესამე კანწოწიღება — სიამდღეც მიემატა ზა-

რბეების ქუჩას. იქიდან ვადღოსწღწი „ჩრდუნსაქითუ წყამის წყლით ვულმოსკეღწაღ მტარწემაქსაქარმიღამო ეწოები და საცხოვრებელი ბინის ხარდაღები. იქორ მოზინადრტოა შორის გა. მოღწენ ინციტორბი — ვინ თოსთა და ბარიოთ, ვინ კიდევ რკინა-ბეტონით აამაღლა საყუთარი ეწოს მისადგომები და, სხვა გზა რომ არ იყო, ზოგმა მეწობლის ეწოსაკენც უქცია ნიაღვარს პირი. უგწოობამ და ხანაღვრე არბნეს კეთილმოწყობლობამ დაბადა ხამწობდღო შეღლი. თავის ამდღეში რომ „გენავკვალს“ მეტო არადერი უთქვამთ ერთმანეთისათვის. იმაო შორისაც კი „შემა ნიაღვარმა“ ჩაიწუნწუნა.

ქუჩის წყალი ეწოებს რომ ასცღებს. ამისათვის ქუჩას უნდა ვაუფოღებს ბორღორებო, ეს უყანახენელი კი თურმე ქუჩის კეთილმოწყობის გეგმაში არ შეღის და ახე კი ვინღა იტიერთავს მის მოგვარბებს? მართალა, ზარბეებმა სიტყვეერი დაპირბა მაინც მიადგეს აბანეთის საღაბო საბჭოსა და კომუნალური ხარწაროს ზელმწღვანეღებისაგან ბორღორების მოწყობის თაბამზე, მაგრამ ძველი სათქუღლა, უწერია თუ არა ახდენა ამ დაპირბებს... უყოღს შეწბეღვაში ეს საქუნე აზბათ ასფალტის დაგების პარალელურად ვაყეოღება. მაგრამ, კღლავ იგავე ნაცრობი ტქეო — ეღარსება კი ოღებზე ამ ქუჩას შავი საფარი?

ნათა თვალსაზრისის სხვადასხვანაირებისა და სხვადასხვა დონის სოციალური პარაფრაზებისა, რომელიც სხვებთან ერთად, მეც რომანის ტანრის ერთ-ერთ უძირფხადებს განსწავლვრედ თვისებად მიიჩნია, აქაც რჩება ძალაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი აბსოლუტურობა უკვე სერვანტესმა დაარღვია თავის გენიალურ რომანში სამყაროს დიდად განსხვავებული აღქმით დონციხოტისა და სანჩო პანსას თვალსაზრისებში, რომ არაფერი ვთქვათ XIX საუკუნის რეალისტური რომანის პერსონაჟთა თვალსაზრისის სხვადასხვანაირებისა და სხვადასხვა დონის სოციალური პარაფრაზებისა.

შ ე ნ ი მ ე ნ ი ბ ი

42 ვ. კოჟინოვი, რომანის წარმომავალი, 1963, გვ. 36.

43 ანტონოვი, ანტონოვი, „მეტამორფოზები, ფლორიდები“, მ. 1956, გვ. 132, 133, 236, 242, 256, 299 და სხვ.

44 იქვე, გვ. 316.

45 მ. ვრამბარ-პასევი, ანტონოვი, წიგნში: ანტონოვი — ანტონოვი, მეტამორფოზები, ფლორიდები. მ. 1956, გვ. 370.

46 „მეტამორფოზები“, წიგნი X, თავი 7.

47 ბოკაჩოს ნაწარმოებში „მეტამორფოზების“ ნოველების უცვლელად გამოყენება. დამოწმებული აქვს „მეტამორფოზების“ კომენტატორს, ხოლო სერვანტესის მიერ ლენინის გუდებთან გვირის შებრძოლების სცენის დასუსტება, რამდენადაც ვიცით, აღნიშნული არ არის ლიტერატურაში.

48 ციტ. პ. დეკის წიგნის მიხედვით. „რომანის შვიდი საუკუნე“. 1962, გვ. 49-50.

49 ციტ. ბ. რეიზოვის წიგნიდან: „რომანტიზმის ეპოქის ფრანგული ისტორიული რომანი“, მ., 1958, გვ. 73.

50 ვ. შკლოვსკი, მხატვრული პროზა, მ., 1959, გვ. 149.

51 ბ. ბელინსკი, თხზ., სრ. კრება, ტ. V, გვ. 39. (რუსულ ენაზე).

52 მ. ბახტინი, ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხები. მ. 1975, გვ. 417.

53 მ. ბ. ბახტინი. ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხები. მ. 1975 წ. გვ. 447.

54 პ. დეკი, „რომანის შვიდი საუკუნე“, მ., 1962, გვ. 198.

55 ქველი. ესთეტიკა ტ. 3, 1971, გვ. 491-492.

56 მ. ვერლი. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა. მ., 1957, გვ. 14.

57 იქვე, 14-15.

58 ციტ. წიგნიდან: დ. ზატონსკი, რომანის ხელოვნება და XX საუკუნე, გვ. 13.

59 ზ. კორტასარი. „ყველა და ყველაფერში წინ“. „ლიტერატურული საქართველო“, 1977 წ., № 50; იხ. აგრეთვე „ზა რუბეჟოვ“, 1977, № 47.

60 ნ. სარტის გამოცემა ლენინგრადის შეხვედრებზე, „ინოსტრანინაია ლიტერატურა“, 1963. № 11, გვ. 238.

61 „ამერიკა“, № 89.

62 დ. ზატონსკი, რომანის ხელოვნება და XX საუკუნე, 1973, გვ. 12.

63 ვ. კოროლენკო ლიტერატურის შესახებ, მ., 1957, გვ. 130; ამ მოსაზრებას იზიარებს და ავითარებს ვ. პისკუნოვი თავის წიგნში „საბჭოთა რომანი-ეპოპეა“, მ., 1976, გვ. 28, 29, 30 და სხვ.

სტრუქტურალური პოეტიკაში

პროფ. რომან იაკობსონის მატრიცული შტრუქტურის ბაზო

ენათმეცნიერების ამ სკოლას, რომელიც სტრუქტურალისმის სახელითაა ცნობილი და სამი განსტობა აქვს (პრალის სკოლა, კოპენ-ჰაგენის სკოლა ანუ გლოსემატიკა და ამერიკული დესკრიპციული ლინგვისტიკა), სპეციალური მონოგრაფიები, თითო-ორი გაიონაქლისის გარდა, ყრძოდ ვერსიფიკაციის პრობლემებისადმი არ მიუძღვნია. არსებითად სტრუქტურალიზტური პოეტკა უშოავრესად ე. წ. პრალის სკოლის ერთ-ერთი მოავარი წარმომადგენლის პროფ. რომან იაკობსონის შრომებითაა ცნობილი. რ. იაკობსონმა რუსეთში დაიწყო მოღვაწეობა, როგორც მოსკოვის ლინგვისტური წრის თვალსაჩინო წევრმა და ლენინგრადის ფორმალისტური სკოლის („მოთიხი“) მომხრემ. პრალაში გადასახლების შემდეგ მისი ლინგვისტურ-ლიტერატურისმკვლევანობითი შეხედულებანი აირეკლა 1929 წ. „პრალის ლინგვისტური წრის თვისებში“, განსაკუთრებით ამ თვისებების ბოლო თავში „პოეტური ენა“, სოლო უფრო ადრე ი. ტინიანოვთან ერთად 1928 წელს გამოქვეყნებულ თვისებში „ლიტერატურისა და ენის შესწავლის პრობლემები“ (ტ. „ნოვი ლუფ“, 1928, № 2, გვ. 35-37). მათ ქვეშით კიდევ ვეხებით.

პრალის სტრუქტურალისტური ლინგვისტიკა, რომელიც „ფუნქციონალური ლინგვისტიკა“ სახელითაა ცნობილი, უშოავრესად ფორმოლოგიის სფეროში მიღწევებით ხასიათდება. ფორმოლოგია, რომელსაც XIX ს-ში საფუძველი ზაუყარა ყაზანის სამეცნიერო სკოლამ (ზოლოფან დე კურტენაი, შემდეგ კი ლენინგრადის საენათმეცნიერო სკოლამ აკად. ლ. შჩერბას მეთაურობით, პრალის ლინგვისტებმა, ყრძოდ ნ. ტრუბეცკოიმ და რ. იაკობსონმა, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. მეგრამ ფორმოლოგისტური კრიტერიუმის გამოყენება პოეტური ენისა და ყრძოდ სალექსო რიტმის მიმართ,

რის განმორკიელების ყველაზე თვალსაჩინო მავალითები რ. იაკობსონის შრომებში გვაქვს, არ შეიძლება ამოლუტეზირებული იქნას. ფონემათა, როგორც უმეორეს ენობრივ ერთეულთა, დისტინქტური და მადიფერენციარებელი (განმსხვავებელი) ფუნქცია ძალზე შეზღუდულია ყველა ენაში მათი მცირე რაოდენობით არსებობის გამო. სპეციალისტა ამ საკითხზე შემდეგს წერს: „თუ ერთ ენაში ფონემათა რაოდენობა მარტოოდენ რამდენიმე ათეულით ამოწურება, სამავეროდ რაოდენობა ლექსიკური ერთეულებისა, ანუ სიტყვებისა და მუიერი შეხამებებისა — ათეული და ასეული ათასობითაა, უფრო სწორად — არც კი შეიძლება აღირიცხოს, რადგან [ენის] სიტყვიერი შედგენილობა განუწყუებრღე იესება“ (ი. ს. მახლოვა. ენათმეცნიერების შესავალი. მოსკო, 1975, გვ. 102 რუს. დავოფა წგენია. ა. გ.),

აღნიშნული ფაქტი თავისთავად გამოარცხავს პოეტური ენისა და მეტყველების ელემენტების ანალიზის საფუძველად ფორმოლოგისტური მეთოდის აღიარებას. ფორმოლოგიურ სისტემაში არ ექცევა აგრეოფე ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტი სალექსო რიტმისა, როგორცაა მხვილი, რადგან ეს უკანასკნელი სიტყვისა და წინადადების ზედნაშენია (კურილოვი, რეფორმატსკი...). აქცენტურ ბაზაზე წარმოშობილი, მნიშვნელობის მხრივ ერთიანეთისაგან განსხვავებული სიტყვების (нашъ — нашъ; замок — замок და მისთ.) რიტები, არამადიფერენციარებელ ფონემების მქონე სიტყვებთან შედარებით, უსაზღვროდ მცირეა და რამდენიმე ათეულს ძლავს აღწევს (რუსულში, ინგლისურში, ყრძამანულში). ამრიგად, მახალითა დისტინქტური ფუნქცია ენაში (ე. ა. მცირე რაოდენობის სიტყვების მიმართ) საფუძველად ვერ დაედება სალექსო რიტმის, როგორც მთლიანი სისტემის კვლევას. მეაფიოდ ეს ჩანს ყრძოდ

რითმის ანალიზის დროს. მაგ. თუ ჩვენ რით-
მაში გვექნება ღარიბი რითმები „СТОЛ—СТУЛ“
ან „ძალი—ძალი“, მათ დავახასიათებთ, როგორც
საბჭუნე ხმოვნების შხრივ განსხვავებულ ფონი-
კურ პარალელურს, მაგრამ არა მსახვილებში
შხრივ დისტინქტურ ან ოპოზიციურ ვითარე-
ბაში მოცემულ ფონემატურ ერთეულებს. თა-
ვისთავეადე „ბეგრის“, როგორც მეტაფორების
„ფუნქციონალი“, ხოლო ფონემის, როგორც ენის
„ფუნქციონალი“ ერთეულის დაპირისპირება
შეუძლებელია, რადგან თუ ფონემა ფუნქციონ-
ალირია, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც
რეალურად ფუნქციონირებს სწორედ ბგერა,
რომლისგანაც ახსრატკობათ არის მიღებული
ფონემა. ამიტომ რაიმე ნაწილი იმ ფონეტიკურ-
რი თავისებურებებადაც, რომელსაც სწავლობს
ფონეტიკა, შეიძლება არა რეალურად იყოს
მხოლოდ ვიწრო ფონოლოგიური მოდელირე-
ბის, მაგრამ არა მთლიანად ენის, მისი ფუნქ-
ციონირების შესწავლის თვალსაზრისით. ანუ
რამ, ბგერებსა და ფონემებს შორის, როგორც
ენობრივ (ონტოლოგიურ) და ლინგვისტურ
(ენოსეოლოგიურ) ერთეულებს შორის, დამა-
რისპირებაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ
გაითიშოს ფონეტიკა და ფონოლოგია. „ფუნქ-
ციონალირად, აქ დგას არა ერთი მეცნიერების
მიერ შიგნით მეცნიერების მონაცემთა გამო-
ყენების საკითხი... არამედ ფონეტიკის დაპა-
რების გაერშე საერთოდ ფონოლოგიური
კვლევის შეუძლებლობის საკითხი. საქმე იხ
არის, რომ ფონეტიკის მონაწილეობა ადვილ-
მდელია ფონემური ანალიზის ყველა დონეზე“.

„პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფონეტიკურა
(სუსტსტანციონალირად) და ფონოლოგიური
(ფუნქციონალირად) შესწავლა ერთიანია და
ანალიზის ყველა საფეხურზე ერთდროულად
მიმდინარეობს“ (იქვე).

პოეტური ენისა, სალექსო მსახილისა და
პროსოდის საკითხებში ფონოლოგიური თვალ-
საზრისის ვახვილება, რასაც კერძოდ რ. ია-
კობსონი მიმართავდა „ჩებურ ლექსში“ — ამ-
ეაშად ვაწვდილი ვტყობი.

იგივე ითქმის პოეტკავში ე. წ. „ოპოზიციურ-
რი ხერხისა“ და „ბინარული პრინციპის“ შესა-
ხებდ.

თვით ლინგვისტიკაში „ოპოზიციური ხერ-
ხის“ (ლათ. oppositio — დაპირისპირება, საპი-
რისპირო დეგოპირება) გამოყენება — სადა-
ვოდია გადაქცეული. ამ საკითხს სპეციალურად
გვება, მაგ. ტ. ა. კონდუხოვა. იგი აღნიშნავს,
რომ ნ. ს. ტრუბეცკომ პირველად გამოიყენა
იგი ფონოლოგიაში, ხოლო რ. იაკობსონმა —
მორფოლოგიაში კატეგორიების, როგორც

ოპოზიციური სტრუქტურების, ვინაიდან
„ლინგვისტიკაში ოპოზიციის ფორმის მნიშ-
ნელობით უწოდებენ თვითველ მინიპალურ
წყვილს სიტყვა-ანტიონიმებს, ქვემდებარესა და
შემასწავლელს, თანამოვანსა და ხმოვანს, სა-
ხელსა და ხმას, სრულ და უსრულთ ასპე-
ტებს და ა. შ. ენის ერთეულთა შესწავლა
წყვილებად მათი ვერტიკალური გზით დამახ-
სიათებელია სრულად სხვადასხვა ლინგვისტურ-
რი სკოლებისათვის“. „ოპოზიციის ხერხი და
ფუნქციონალი ენის (პარადიგმისა) და მეტყვე-
ლების (კონტექსტის) დაპირისპირებასა და
ოპოზიციის წერტილს არათანაბრდებლობისა
ზე. ეს ორი პრინციპი განსაზღვრავს ოპოზიცი-
ური ხერხის მეოთხედს“ (ტ. ა. კონდუხოვი
ზოგადი ენათმეცნიერება. მოსკ., 1974, გვ. 234
რუს.).

აქედან მოდის „დექტომიური“ თუ „ბინა-
რული“ (ორად ვაყოფა) კლასიფიკაციაც ენობ-
რივი ოპოზიციური ერთეულებისა, რაც ასევე
შეფასებულია:

„რ. ი. იაკობსონი, ხოლო მის კვლავად
სხვებში, ცდა აღმოაჩინოს რუსული ხმის მთელი
სისტემა წარმოვლენით როგორც ბინარულ და
პოლიატურ (ვერძო) ოპოზიციითა გროვა“. „ოპოზიციური
მეოთხედა აღარისებებს ენობრივ
ერთეულთა ბინარის, აღწევს უფრო ასტრუქ-
ტურ დონეს, რომელიც მინიშნულია უფრო
არსებობად: ბოლოსდაბოლოს განსაზღვრული
არება პარტოლენ ძლიერი წევრი ოპოზიციისა
(სუსტი წევრის დამოუკიდებელი განსაზღვრა
იმდებარებს ოპოზიციური ანალიზის სახეს-
ტესს“ (იქვე, 236. ხაზგასმები ჩვენია. ა. გ.).

ბინარულობის პრინციპი რ. იაკობსონმა შეი-
ტანა ვერტიკალური საკითხებზე დაწერილ ზო-
გიერთ გამოკვლევებშიც, კერძოდ „ჩინური რე-
გულირებელი დექტოს ხაზობის“ ანალიზისად-
მი მიძღვნილ სტატიაში, რასაც ჩვენ სპეცია-
ლურად შევხვით წაგნში „ვეფხისტყაისის
პოეტკის ზოგიერთი საკითხი“ (1974) და რა-
საც ქვემოთ მოკლედ კიდევ დავებრუნდებით.

პრადის სტრუქტურალისტური ენათმეცნი-
ერება სხვა ზოგადი პოსტულატების მიმოხილ-
ვა ჩვენს ამოცანაში არ შედის, ისინი ვრცელ-
დაა შესწავლილ რუსი და ქართველი ლინ-
გვისტების მიერ. არ ვგეზობთ არც მათგანთა
პოეტკაში გამოყენების საკითხებს, რომელთა
გამო ჩვენ არავინებელ მოვიგებთ სპეციალურ
სტატემაში არის გამოთქმა. ოღონდ საგანგ-
ზოდ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტ-
სტრუქტურული და მათგანთა ერთმეცნი-
ერების არსებობის პირობებში ე. წ. „ტრადი-
ციული ენათმეცნიერება“ დაისწე დაპარაკი
ზედმეტია. საქმე ისაა, რომ ამ დასკვნამდე მი-
ვიდნენ თვითონ სტრუქტურალისტები, პრადისა
და კომენსაგენის სკოლათა მოთავე წარმო-
მადგენლები — რ. იაკობსონი და ლ. ელმსლუ-

* ი. ბეკალაძე, ფონემის ცნება ენათმეც-
ნიერებაში, თბ., 1936, გვ. 227—228. ხაზგასმა
ჩვენია. ა. გ.

ვი, რომელთაც საჭაროდ განაცხადეს, რომ გი-
ლისის მოწოდებანი „ტრადიციული გრამატი-
კის რეაბილიტაციის“ შესახებ და რომ სტრუქ-
ტურალისტურ ენათმეცნიერებაში უნდა დავი-
ნახოთ „მემკვიდრეობითობა“ და არა „გათიშე-
ვა“. ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ ციტი-
რებული სიტყვების ავტორი ვ. კონდუხოვი
საგანგებოდ აღნიშნავს:

„სტრუქტურული და მათემატიკური ენათ-
მეცნიერების განვითარების ცნობილმა ხიძნე-
ლებმა, ტრადიციული ენათმეცნიერების წარ-
მატებებმა დაამტკიცეს სხვადასხვა სკოლებისა
და მიმდინარეობათა ღონისძიებების გვერთა-
ნების აუცილებლობა (ინტეგრაციის საქარო-
ბაზე იყო საუბარი ლინგვისტიკის IX საერთა-
შორისო კონგრესზე, რომელიც ჩატარდა
1962 წ. ემბრაოში, აშშ). რ. იაკობსონმა, შეა-
ჯამა რა კონგრესის მუშაობა, აღნიშნა: თუ გუ-
შინ ვგვრთავოდებელი სტრუქტურული ლინ-
გვისტიკა დაბეჯითებით უპირისპირდებოდა ტრადი-
ციულ მეცნიერებას ენაზე, დღეს ჩვენ გვეს-
მის „ტრადიციული გრამატიკის რეაბილიტა-
ციისადმი მოწოდება“. უფრო კონკრეტულად
ეს პროცესი თავისთავად ვახსიანო ლინგვისტი-
კის X კონგრესზე (ბუქარესტი, 1967). სხვადა-
სხვა სკოლებისა და მიმდინარეობათა მიღწე-
ვის გაერთიანების ტენდენცია მოწოდებს ენათ-
მეცნიერების განვითარების ახალ ეტაპს. რაც
იმით ხასიათდება, რომ პოსტსტრუქტურალური
თანამედროვე ენათმეცნიერება ჩვენს წინაშე
წარმოვდგება, ვითარცა განსტობებული და მრავ-
ალსაბუნებრივი, როგორც ინტეგრაციული
ენათმეცნიერება ანუ პლურალისტური ლინ-
გვისტიკა, რომელიც ეფუძნება წარსულის უყუ-
და მიღწევას და ითვსებს მეცნიერულ და ნა-
ციონალურ ტრადიციებს“ (კონდუხოვი, გვ. 98;
შენიშვნაში № 2 ავტორი უთითებს წყაროზე
და დამატებით წერს: „2. იაკობსონი რ. ლინ-
გვისტიკის მეტაბრ კონგრესის შედეგები. „ნო-
ვო ე ლინგვისტიკა“, ნაკვ. IV, გვ. 579. უფრო
აღრუ, VIII კონგრესზე ელმსლევა შენიშნა:
„ლინგვისტიკის მთელს განვითარებას თუ გაი-
ყოლებთ თვალს და საგნებს გარეშე მკურნე-
ლის თვალის შეგუბადეთ (დავიანგან მოწყუ-
ვით, რაც ჭერ კიდევ გრძელდება), აღმოჩნდ-
ება, რომ მიუტყრძოვებელი შედარება კლასიცი-
რი პრაქტიკული მეტოდებისა, ფონოლოგიისა
და მორფოლოგიის გამოყენებული, ერთი
მხრივ, ხოლო მეორე მხრივ — სტრუქტურ-
ული ლინგვისტიკისა, უწინარეს ყოვლისა, მხადებს
მემკვიდრეობითობის, ვიდრე გათიშულობის
შთანხმულებებს“ („ნოვო ე ლინგვისტიკა“,
ნაკვ. 2, გვ. 118)“ კონდუხოვი, 98; დაყოფა
ჩვენი. ა. გ.).

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ენისა და სი-
ტუვის (მეტყველების) სისურვისეული დაპირის-
პირება არსებითად მათი ანტირომის შესახებ
11. „მითითობა“, № 1.

მსჯელობას ნიშნავს. აქვე შედის მემკვიდრეობა
და დიქციონის ურთიერთდაპირისპირება. ეს
მომენტიც გვეყვს აღნიშნული ზვეს წიგნი
„ეფემისტეაისონის პოეტის ზოგერათი საკი-
თის“ (1974. დაიწერა 1973 წ.). ვ. ი. კონდუხო-
ვის „ზოგად ენათმეცნიერებაში“ (1974) საგან-
გებო პარაგრაფია გამოყოფილი სათაურით
(სოსტერის თეორიასთან დაკავშირებით): „სა-
მეტყველო მიღწეობა, როგორც ანტირომია“
(გვ. 72).

როგორც აქედან ჩანს, თეორიული შეცდო-
მა ჩვენ არ დავივიწყია. მეტად, მთელი რივი
დებულებები, რომელთაც ჩვენ ვავითარებდით
დასახელებულ მონოგრაფიაში, პირდაპირ პარა-
ლებობს და ანალოგებს ნაოლეობს 1077
წელს რუსულად გამოხუდი (წათარგმნ) ნაშრო-
ში. რომლის ავტორია გერმანელი ფილოსოფო-
სი ერმარდ ალბრეხტი (ე. ალბრეხტი. თანამედ-
როვე ლინგვისტიკური ფილოსოფიის კრიტიკა.
თარგმ. გერ-დან ა. გ. შესტაივის მიერ. მოსკ.,
1977. განსაკ. აბ. თავი: „ენის აზროვნებისა და
სინამდვილის დაშლა სტრუქტურალისმის მი-
ერა“. რუს.).

აღსანიშნავია ისიც, რომ ე. ალბრეხტის წიგ-
ნი დაბეჭდილია ფრანკფურტ-ში 1972
წელს, ჩვენი მონოგრაფიის დაწერიდან ერთი
წლით ადრე. შემხვედრი აფიკლები არ მოგ-
ვაქვს და საკითხით დაინტერესებულს შეუძლია
ჩვენი სიტყვები თვითონ შეამოწმოს სათანადო
შეკრების საფუძველზე.

ჩვენ აქ „შესავლის“ ბოლოს, მივუთითებთ
ერთს მომენტზე: თვით სტრუქტურალის-
ტიკური ენათმეცნიერების ზოგერთმა რუსი მე-
ტროვე და მხოლოდ იმდენიველია განაცხადობს
ამ დარგის სამივე მიმართულების (პრადის, კო-
პენსაგენის, ამერიკელის) შესახებ:

„ამჟამად ამ მიმართულებებში მნიშვნელოვ-
ნად ამოსწერეს თავისი პოტენცია, შესწევი-
ტის არსებობა, როგორც ორგანიზაციულია გე-
ერთიანებებმა. თეორიებისა და ენის ახალი
პრაქტიკული გამოყენების განვითარების ფონ-
ზე ნათელი ხდება თვითველი სკოლის შეზღუ-
დულობა“ (ლ. ნ. ზახორინი. სტრუქტურული
ლინგვისტიკის შესავალი. მოსკ., 1974, გვ. 291.
რუს.).

ავტორი თავის შრომის სულ უჩანსკელ
გვერდზე (304) სტრუქტურალისტურ ენათ-
მეცნიერებას უყვე მიიჩნევს ლინგვისტიკის
ერთ-ერთ „შტოდ“ და მის ამოცანას ახალ
ეტაპზე „ბუნებრივ ენათა“ სტრუქტურების
„მათემატიკურ აღწერაში“ ხედავს:

„სტრუქტურული ლინგვისტიკის, როგორც
ენათმეცნიერების შტო, თავის საგნად აქვს
მხოლოდ ბუნებრივ ენათა სტრუქტურის სხვა-
დასხვა ტიპის აღწერილობანი. მათ შორის მი-
თამატიკურ აღწერას უჭირავს მნიშვნელოვანი
იდეალი. ენის აღწერაში მათემატიკური აპარა-

ტის შეტანა გულისხმობს აბსტრაქციის უმაღლესი დონისაკენ სვლას. „მათემატიკური ლინგვისტიკა განუყოფელია სტრუქტურულიდან, რამდენადაც მას არ გააჩნია განსაკუთრებული ემპირიული ობიექტი“ (იქვე, დაყოფა ჩვენია. ა. გ.).

ასეთი განცხადებანი, ავტორის ძალაღებურად, სტრუქტურალისტური ლინგვისტიკის სასარგებლოდ არ ეღებენ. ლ. ზასორინის წიგნი დაბეჭდა იმავე 1974 წელს, როცა ვ. კონდუხოვის შრომა გამოქვეყნებულა პირველი განკუთვნილია „ენიერისტიკებისა და აბსტრაქციის ფილოლოგიური სპეციოლოგიის სტრუქტურისათვის“, მეორე კი „ენიერისტიკების ფილ. სპეციოლოგია სტრუქტურისათვის“ ვ. კონდუხოვი „მათემატიკური ენათმეცნიერების“ განვითარების პერსპექტივას არ ხედავს. მეორე კი — ობტუსიტურადაა განწყოილი. ამრიგად, ამ დისციპლინის მომავალი განვითარების საკითხის ვადიწვევტა დროის საქმეა. რაც შეეხება პოეტკას. რ. იაკობსონის შრომების ანალიზის საფუძველზე დაჯერდნდებით, რომ ყველაფერი დადებითა, რაც მათ ახასიათებს — მაღალი ტრადიციონალიზმიითაა აღბეჭდილი.

1. პოეტკის ზოგადი პოსტულატები რ. იაკობსონის შრომებში.

ზემოთ აღნიშნეთ, რომ XX ს-ის სტრუქტურალისტური პოეტკა უმთავრესად რ. იაკობსონის შრომებითაა ცნობილი. ჩვენ მხედველობაში ვევაქს ამ დიდი ენათმეცნიერის საკუთრივ მტრისტული (ლექსიწყოების საკითხები-სადმი მიძღვნილი) მონოგრაფიები და ნარკვევები.

რომან იონების ძე იაკობსონი (დაიბ. მოსკოვს 1896 წ. 11(23) ნოემბერს) თანამედროვეობის ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი, მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერი და პოეტკის მკვლევარია. 1914 წელს დაამთავრა ლაზარევის აღმოსავლური ენების ინსტიტუტი. იყო ერთ-ერთი დამაარსებელი მოსკოვის ლინგვისტიკური წრისა და წევრი პეტროგრადის „ოპოიაზი“-სა. 1921 წელს რსსრ-ის საელჩოს წევრია პრაღაში; აქ იგი, დ. ტრუბეცკოვსთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ვ. წ. „პრაღის ლინგვისტურ წრეს“, რომლის მანიფესტიც, მის მიერ შედგენილი, 1929 წელს გამოქვეყნდა. ნაიცსტების მიერ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის წინაურ პერიოდში რ. იაკობსონი ტოვებს პრაღას და მიემგზავრება ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მუდმივ საცხოვრებლად და თავისი მეცნიერული მუშაობის გასაგრძელებლად რჩება. აშშ-შია რ. იაკობსონი პარვარდის უნივერსიტეტის პროფესორია. არჩეულია მრავალი ნაციონალური აკადემიისა, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო წრეების საპატიო წევრად; რამდენჯერმე წამოვიდა საბჭოთა

კავშირში და მონაწილეობა მიიღო სსრკ-ის სამეცნიერო სიმპოზიუმებში. რსსრ-ის ქართულშიც და თბილისის უნივერსიტეტში წიკითხა სამი მოხსენება საენათმეცნიერო საკითხებზე.

რ. იაკობსონის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომები ენათმეცნიერების და პოეტკის (საერთოდ ლიტერატურის), ძველი სლავური პოეტური ეპოსის (სერბიული ეპიკური ლექსი“, „იგორის ლაშქრობა“ და სხვ.), მიოლოგიის, ტექსტოლოგიის და ქვემნიშვნული ცოდნის სხვა დარგებში. განსაკუთრებით დიდია რ. იაკობსონის დეწლი ვ. წ. ფუნქციონალური სტრუქტურალისტკის (პრაღის სკოლა), კერძოდ ფონოლოგიის, დარგში. ბევრ ქვეყანაში მან ბიძგი მისცა ახალ მიმართულებებსა და ძიებებს აღნიშნულ დარგში. რ. იაკობსონს ეკუთვნის აგრეთვე მთელი სერია წიგნებისა და ნარკვევებისა რუსული და უცხოელი ავტორების პოეტკის საკითხებზე. ეს ავტორებია: ზღუნიკოვი (ბროშურა „უახლესი რუსული პოეზია“, [პრაღა], 1922). პუშკინი, რადიშჩევი, ბლოკი, მაიაკოვსკი, მანდელშტამი, პასტერნაკი, დანტე, შექსპირი, უილიამ ბლეიკი, შ. ბოლდერი, შ. გმინესკუ, ხ. ბოტევი, პრეტი და სხვ. მეტი წილი ამ ნაშრომებისა თაუპოყრლია მის მონუმენტურ წიგნში — „პოეტკის საკითხები“ (პარიზი, [1973] და ნაწილობრივ მის „არსული ნაწერები“-ს ტომებში (ფრ. და ინგლ. ენებზე).

უწინარეს ყოვლისა, რ. იაკობსონი საქაროდ თვლიდა შკაფიოდ დიდგინა ლიტერატურის-მკვლევების, კერძოდ პოეტკის, კვლევის საგანი, საკითხთა სპეციფიკური წრე, რომელიც ამ დისციპლინის ავტონომიურ უფლებას მინიშნებდა ქვემნიშვნული ცოდნის სხვა დარგებს შორის. თავდაპირველად მან ასეთ საგნად („გმირად“) ვ. წ. ლიტერატურული „ხერხი“ მიიჩნია. წიგნში „უახლესი რუსული პოეზია“ რ. იაკობსონი 1922 წელს წერდა:

„ლიტერატურაზე მეცნიერებას თუ სწადა მეცნიერებად იქცეს, იგი იძულებულია თავია ერთადერთი „გმირად“ აღიაროს „ხერხი“ (რომან იაკობსონი. უახლესი რუსული პოეზია პირველი მონახაზი. პრაღა, 1922, გვ. 11. რუსულ ენაზე. დაყოფა ჩვენია. ა. გ.).

ვ. შულოვსკის მიერ „ოპოიაზი“-ს მოღვაწეობას პერიოდში დაწერგილი ტერმინი „ხერხი“ („ხელოვნება, რიგოვ ხერხი“) რ. იაკობსონის მიერ აღიარებულ იქნა ლიტერატურის ისტორიის და საკუთრივ პოეტკის შთავარ „გმირად“. „ოპოიაზი“-ს მიერ 1923 წ. გამოცემულ წიგნში „ხელოვნური ფალოლოგია რუსეთში ომისა და რევოლუციის წლებში“ (მოსკოვი-ბერლინი). რომელიც რ. იაკობსონისა და პოეტკარეც ეკუთვნის, „პოეტკის“ განყოფილებაში რ. იაკობსონი წერდა, რომ უკანასკნელ

წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დისციპლინამ, რომელიც წინათ მიჩვეულნი იყვნენ. ამიტომ „ვალსაროლი იქნა ლოზუნგი: თუ ლიტერატურის ისტორიას უნდა შევნიშებდეთ იქცეს, მან უნდა იპოვოს თავისი გმირი (ლინგვისტ რას-ის ტერმინი). წამოყვებულა მოთხოვნა მბატყრელი ხერხის, როგორც ერთადერთი კურონარტი ისტორიულ-ლინგვისტიკური გმირის, ანალიზისა“. (იქვე, გვ. 29). ამ ამოცანას განხორციელება შესაძლებელი ხდება ამ შემთხვევაში, თუ, უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული იქნება პრაქტიკული და პოეტური ენების „ფუნქციონალური განსხვავება“ რომელიც „ცხადყოფს, რომ „...პოეტური ენა ისეა ავტოტელი, რომ იგი შეიქმნება. ენობრივი შესაძლებელი აქ იქნენ თვითღირებულებას (განწყობა გამოთქმასზე)“. (იქვე, გვ. 30).

რ. იაკობსონი იქვე აღნიშნავს, რომ მოსკოვის ლინგვისტიკური წრისაგან განსხვავებით, პეტროგრადელები ამტკიცებენ, რომ „პოეტური მოტივი ყოველთვის როდი წარმოადგენს ენობრივი მასალის გამლას“ (გვ. 31).

უკანასკნელი ტერმინიც („გამოთქმასზე განწყობა“), რომელიც პოეტური ენის სპეციფიკური ნიშნის ამოწურავს დეფინიციადაა მიჩნეული, რ. იაკობსონმა გარკვეულ ფორმულად ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1922 წელს წიგნში „უხადესი რუსული პოეზია“, რასაც იგი ხაზს უსვამს 1928 წელს „ჩუხური ლექსის შესახებ“ გამოქვეყნებაში:

„მე უკვე ფორმულირებულ მიქცეს სხვა ავტორს ჩემი დამარტება პოეზიისა, როგორც შეტყულებისა გამოთქმასზე განწყობით“ („...ესეკალიზანია ს უსტანოცკოი ნა ეირაქენიე“, „ჩუხური ლექსის შესახებ“, 16; დაყოფა ჩვენია. ა. გ.).

როგორც ესმოდა რ. იაკობსონს პოეტური ენის ეს ძირითადი თვისება („განწყობა გამოთქმასზე“) ფუნქციონალური თვალსაზრისით? იუტლისხმებოდა თუ არა მასში გარკვეული ინტორმაციული კოდი თუ იგი ამ დანიშნულების გარეთ იყო დატოვებული?

ძალიან დიდხანს რ. იაკობსონი გამოთქმასზე ორავტორების მომენტს პოეტური შეტყულების ავტონომიურ ხასიათს ანიჭებდა. „გამოთქმასზე განწყობა“ თავის თავზეა მიმართული, მისი მიზანი სრულად დამოუკიდებელი ესოტერიკური კორელატის გამოვლინებაა, პოეტური შეტყულება თვითმნიშვნელოვან ფუნქციონალიზაციას გამოთქმის ისეთი ორგანიზებულობისა, რომელიც მას პრაქტიკული ენისაგან განსხვავებით და ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე ანიჭებს თავისთავად ღირებულებას. პოეტი თავისუფალი თავისი არჩევანის დრის და იგი მხოლოდ თვითონ გამოთქმის სტრუქტურითაა დაინტერესებული.

სტრუქტურალისტებისათვის სპეციფიკური ნაკვეთი „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (დაიბეჭდა 1960 წ.) რ. იაკობსონი პოეტური ენის ფუნქციის ისევ სწორედ ასეთს, ავტონომიურ „გამოთქმასზე, განწყობაში“ ხედავს:

Направленность (Einstellung) на сообщение, как таковое, сосредоточение внимания на сообщении ради него самого — это поэтическая функция языка» (Структурализм: «За» и «против»). 202. ხაზგასმა ჩვენია). ერთი სიტყვით, „პოეზია არის ენა მის ესთეტიკურ ფუნქციაში“, ასეთია რ. იაკობსონის დეფინიცია. ბუნებრივია, რომ ამგვარმა თერაპიულმა პოსტულატმა რ. იაკობსონი პოლოსდაპოლოს, მიიყვანა პოეტის ლინგვისტიკის ნაწილად აღიარებამდე, რის გამოც ენათმეცნიერული ტერმინოლოგიის გააძიანა პოეტიაში, კერძოდ ვერსიფიკაციის შესახებ დღეგრძელ მის პოლო ნაშრომებში — ძალზე თვალსაჩინოა (დაწერ. იხ. „ვეფხისტყაპოეტის ზოგიერთი საკითხი“, გვ. 116—133).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტრუქტურალისტებს რ. იაკობსონის შრომებში. პრალის ლინგვისტიკური წრის ცნობილი „ფუნქციონალიზაციის“ გამოქვეყნებამდე, ერთი წლით ადრე, ე. „ნოვი ლუფ“-ში (1928, № 2) დაიბეჭდა ი. ტინიანოვისა და რ. იაკობსონის ერთობლივი მანიფესტი „ლიტერატურისა და ენის შესწავლის პრობლემები“, რომელშიც უარყოფილია ენის მიმართ სოსიოტრისებული გათიშვა და დაპირისპირება სინქრონიისა და დიაქრონიისა და სავანგებოდაა აღნიშნული, რომ „სინქრონიისა და დიაქრონიის დაპირისპირება იყო სისტემის ცნების ევოლუციის ცნებისაში დაპირისპირება და პერაგავს პრინციპულ მნიშვნელობას, რამდენადღე ჩვენ ველიარებთ, რომ თვითველი სისტემა მოცემულია როგორც ევოლუცია, ხოლო, მეორე მხრით, ევოლუცია გარდუვალად ატარებს სისტემის ხასიათს“ („ნოვი ლუფ“, 1927, № 2, გვ. 36-37 რუს.; შტრ. ი. ტინიანოვი, პოეტიკა ლიტერატურის ისტორია. კონ. მოსკ., 1977, გვ. 273. რუს. ამ სტატიის ფრანგ. თარგ. იხ. რომან იაკობსონი, პოეტის საკითხები. პარიზი, 1975, გვ. 57-58).

აქვე აღნიშნავთ, რომ ამ კოლექტიური ნაშრომის გამო რ. იაკობსონი წერს: „როგორც ენისაღმი დამოკიდებულებით, ისე ლიტერატურისაღმი მიმართებით იგი იმდენად კოლექტიური შემოქმედების შედეგი იყო, რომ უბრალოდ შექმნილია ევასებოთ ჩემთვის არაერთხელ მოცემულ შეკითხვას: სად თავდება აზრი ერთი თანავტორისა, როცა იგი მეორეს უთმობს ადგილს“ (ტინიანოვი).

ნოვის წიგნის შენიშვნა. გვ. 533). ცოტა ზემოთ თეზისებში აგრეთვე ნათქვამია:

„წინდა სინქრონიზმი ამჟამად ილუზიად იქცა: თეთველ სინქრონულ სისტემას აქვს თავისი წარსული და მომავალი, ვითარცა გარდევალი სტრუქტურული ელემენტები სისტემისა“ (ანოვი ლეფ, 36; შტრ. ი. ტინიანოვი, პოეტია... 282).

1929 წელს პრადის ლინგვისტური წრის „თეზისებში“ განმეორებულია რ. იაკობსონის ის ძირითადი პოსტულატები, რომლებიც ზემოთ იყო მოტანილი. პრადის „ფუნქციონალური ლინგვისტიკა“ ერთ-ერთ ბელადს, რ. იაკობსონს ეკუთვნის ამ თეზისების შემდეგი სიტყვები: „პოსტური ენის სინქრონული აღწერის საფუძვლების დამუშავება უნდა ისწრაფოდეს განთავისუფლდეს შეცდომებისაგან, რაც პოეტური ენის საურთიერთო ენასთან გაიგებებაში გამოიხატება“ (ვ. დ. ზეგინცივი, ისტორია... ნაწ. II, მოსკ., 1960, გვ. 78. რუს.). „პოეტური სამეტყველო მოღვაწეობის სპეციფიკური თვისებები შედგენილია მორიხიდან გადახვევაში, თანაც ხასიათი, ტენდენცია და მახ. შტაბი ამ გადახვევისა ქალღმერთ სხვადასხვანაირია“ (იქვე, დაყოფა ჩვენი. ა. გ.).

ამ „თეზისებში“ რ. იაკობსონი სალექსო რიტმს განიხილავს ენის ფონოლოგიურ ბაზაზე, რაც ამჟამად თვით ავტორისათვისაც ნაწილობრივ განვიღო ვტამს წარმოადგენს. მაგრამ მისი ძირითადი დებულება, რომ პოეტური ენის სპეციფიკას შეადგენს მისივე ავტონომიური ხასიათი — ეტიკული დარჩა:

„იმ ვითარების შესაბამისად, რომ პოეტური შემოქმედება ისწრაფვის დაეურდოს ენობრივი ნიშნის ავტონომიურ ღირებულებას, გამოიმდინარეობს, რომ ლინგვისტური ნიშნების ყველა მხარე, რომელიც ურთიერთობის დროს შეიძლება დამხმარე როლს ასრულებს, პოეტურ სამეტყველო მოღვაწეობაში იქნეს უკვე დამოუკიდებელ მნიშვნელობას“ (იქვე, 78. დაყოფა ჩვენი, ა. გ.).

სადავო არ შეიძლება იყოს ის აზრი, რომ პოეტური ენაში კტრალიზებულია ისეთი ელემენტები ენისა, რომელიც პრაქტიკულ ენაში ან ნივთიერებულა, ან რეკვიზიტის დონეზე დარჩენილი. მაგრამ ელემენტთა აქტუალიზაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ესთეტიკური ინფორმაციის ფუნქციის გარეშე მოქმედ ფაქტად. პრადის „ფუნქციონალური ლინგვისტიკა“ კი ასეთ ფუნქციას თვითონ სტრუქტურის ავტონომიურ ხასიათში ხედავს. ყოველგვარი სტრუქტურა თითქოს დიაქრონულ პლანშია ახსნილი: არა მარტო სტრუქტურის ცალკეული ელემენტები არიან ერთმანეთთან კოორდინირებული, ისინი არ შეიძლება გავებულ იქნას ისტორიული ასპექტის გარეშე (მაგ. მარბარო-ზემბის ხასიათი და სხვ.). მიუხედავად ირი

პლანის — სინქრონიისა და დიაქრონიის განთავსებისა — რ. იაკობსონის მეტრისტულ მტრულეში ისტორიული (დიაქრონიული) პლანი სუსტადია წარმოდგენილი. კონკრეტულ ნაწარმოებთა რიტმიული ანალიზის დროს მისი მეტოლოლოგიის ეს ნაკლი განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამითა გამოწვეული ის ფაქტი, რომ თვითონ „სტრუქტურა“ ცნება მასთან ხშირად და უნებურად სტატუსურ კატეგორიად გვევლინება. და ეს მაშინ, როცა იგივე ცნება ი. ტინიანოვთან დინამიკურ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ თვით „სტრუქტურა“ ცნების შეტანას პოეტიაში ი. ტინიანოვს მიაყენებს.

ტინიანოვმა „ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა ლიტერატურისმცოდნეობაში ტერმინი სტრუქტურა“... (იხ. „კრატაია ლიტერატურა“ ნაიკი ენიკლოპედია, VII, გვ. 231. სპირაოვის წერილი: „სტრუქტურალიზმი ლიტერატურისმცოდნეობაში“). მაგრამ იური ტინიანოვი „სტრუქტურა“ ცნების ნაცვლად სისტემატურად მიმართავდა ტერმინს „კონსტრუქცია“ და იგი ესმოდა, როგორც დინამიკური პაროლი.

საესებთი მართებულად შენიშნავს ვ. ი. ბრაგინაი: „ელფრადობა-მნიშვნელობის“ პრობლემის რიტმიული ასპექტის განსაკუთრებით დრმა და ფაქტი ანალიზი მოცემულია ი. ტინიანოვის მიერ მის წიგნში „სალექსო ენის პრობლემა“. მიუხედავად რა ლექსს, როგორც დინამიკურ კონსტრუქციას, ი. ტინიანოვმა აჩვენა ლექსი სიტუაციის სემანტიკაზე რიტმის დეტორმაციული ზეგავლენა. სალექსო რიტმის „მთლიანობისა“ და „სიეფროვის“ ზეგავლენით ხდება წინ წამოწევა [სიტუაციის] ფაქტორით ერთი ქვეყნისა მეორის ხარჯზე. ამასთან წინ წამოწეული ფაქტორი დაქვემდებარებულია დეტორმაციის აზღვის“ (ვ. ი. ბრაგინაი. მალას კლასიკური ლექსის ევოლუცია. მოსკ., 1975, გვ. 68-69. რუს. დაყოფა ჩვენი. ა. გ.).

აქვე უნდა გაეხსენოთ, რომ ვერ კიდევ 1910 წელს ლექსის რიტმის ანალიზის დროს ცნება „სტრუქტურა“ მიმართავდა ანდრეი ბელი და აგრეთვე სტატიური შინაარსით:

„უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ პოეტის სტრუქტურის დაშლის დროს რა ან სამ სტრუქტურად... მე არ განვიხილავ... ამ სტრუქტურათა კომბინაციას, როგორც რაღაც ნასუსებს... რიტმიული წყობის ორიგინალობა სტრუქტურათა კომბინაციაშია“ („სიმპოლიზმი“, 1910, გვ. 342. რუსული. დაყოფა ჩვენი. ა. გ.).

2. სალექსო რიტმის სპეციფიკა რ. იაკობსონის შრომებში.

რ. იაკობსონის ზოგადი პოეტური დებულებების მიმოხილვის შემდეგ დასადაგვინა სალექსო რიტმის ცალკეული მოვლენების ინტერპრეტაციები მის შრომებში. თავდაპირველად ვასარყვევია საკითხი: როგორია რ. იაკობ-

სონის დამოკიდებულება ლექსის რიტმის იზოქრონისტული ინტერპრეტაციისადმი?

დიდი ხნის წინათ ვერდიტი, რომ „ახალი ენების ლექსოწყოება რიტმისათვის უცნობია იზოქრონისში ანუ ბევრითი ელემენტების დროს თანაბარ ფარგლებში გამოქმის პრინციპი. რეალური მეტრიკების რიტმი შეიცავს სულ სხვა კანონებს, ვიდრე წმინდა მუსიკალურ-მეტრიკებში ლექსოწყოების რიტმი. კვანტობურ (მერსურ) და ლათინურ) ლექსოწყოებაში ტერფი მუსიკალური ტაქტის ანალოგიური ერთეული იყო, სალანურ-ტონურ ლექსოწყოებაში კი ტერფი განაწესებული ელემენტია სქემისა და მუსიკალური ტაქტთან სავსებით არაფერი აქვს“ (ქ. კლ. ლექსი, 16-17). „შეთვლიდათ ამისა, ლექსის ზოგიერთი ფორმალისტი თეორეტიკოსი თავგამოდებით იცავდა იზოქრონისში პრინციპს ახალი ენების მეტრიკაში. თავი რომ დაეწინაურებოდა გ. წ. სასკოლო ტრადიციულ მეტრიკას, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ მებრძოლი მკვლევარებიც აღიარებენ იზოქრონისში თავისებურად საბუნებრო თეორიას. მაგ., დამახასიათებელია ვერვისა და იაკობსონის პოზიცია ამ საკითხში. [ჩუხური ლექსის შესახებ“ დაწერილ შრომაში] ეს უკანასკნელი წერს: „ობიექტური და სუბიექტური დრო დრამა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტერფების ობიექტური გრძლივობა (DURATIONS), ამბობს ვერიც, შეიძლება განსხვავდებოდეს სუბიექტური გრძლივობისაგან და მხოლოდ ეს უკანასკნელი თამაშობს როლს რიტმში“. ამავე აზრისაა ტომასვესიცი. ამრიგად, „სუბიექტური დრო“ თითქმის შედის საქმეს და რიტმის კანონებში ჩაივლიდა თვითონ ამ კანონების აღქმის ინდივიდუალური პროცესი. მითხველმა სუბიექტურად უნდა შეავსოს ხარვეზები, რომელთაც შეიძლება წააწყდეს იგი ახალი ენების ლექსოწყოების ტერფებისა და ტაქტების მოჩვენებით თანაბარფარგლიანობის ათვისების დროს... ამგვარი თეორიის მომხრეებს არ აკრთობთ ის ვარაუდები, რომ ახალ ენებში ტაქტის ეოცხალი წარმოქმნა საკვებით გამოირიცხავს სიტყვაზე ასეთი სუბიექტური ოპერაციის საშუალებას და რომ მას სინამდვილეში არა აქვს ადგილი. „სუბიექტური დრო“ ფიქცია და, რაც მთავარია, სილბურტ-რიფი და სავრთოდ, კვანტობური ლექსოწყოების რიტმი სრულიად არ სპირაობს ფსევდო-იზოქრონისტულ ახსნას: იგი (რიტმი) აღმოცენდება ბევრითი ელემენტების მხრივ ორგანიზებული ტაქტების ურთიერთმიქმედების ბაზაზე. აქ მთავარია სავრთო კანონზომიერების ფონეტური ილუზია, სავრთო რიტმული წესრიგი და არა იზოქრონისში ან „სუბიექტური დრო“, რომელიც დასაბუღებულ ლექსოწყოებაში ობიექტურად არ იფარაუდება „სუბიექტური დროს“ თეორიის (ვერიც, იაკობსონი, ტომას-

ვესიცი) უსაფუძვლობა უფრო მარტივად წმინდა ტონური ლექსოწყოების ანალიზის დროს, როცა ზოგჯერ ტაქტი ერთ სიტყვას შეიცავს და იგი გვევლინება მრავალსიტყვიანი ტაქტის ექვივალენტად სტროფში: არავითარ „სუბიექტურ დროს“ არ შეუძლია წარმოქმნის დროის თანაბარ ფარგლებში ასათვისებელ ერთეულად მიიჩნიოს, მაგალითად, ხუთმარცვლიანი და ათმარცვლიანი ტაქტები“ (ქ. კლ. ლექსი, 1953, გვ. 17-18. დაყოფანი ტექსტში. ა. გ.).

1960 წელს რ. იაკობსონი „სუბიექტური დროს“ ცნებისადმი ერთგულების ნაცვლად უკვე ლექსის რიტმში იზოქრონისში ობიექტურად აღხებობის აღიარებამდე მიდის. იგი წერს (სარევიესტია და პოეტია-ში):

«Измерение последовательности — это прием, который, кроме как в поэтической функции, в языке не используется. Только в поэзии, где регулярно повторяются эквивалентные единицы, время потока речи ощущается (is experienced) — аналогично тому, как обстоит дело с музыкальным временем, если обратиться к другой семиотической модели» (Структурализм: «За» и «против», 205. ხაზგასმები ჩვენი. ა. გ.).

მაგრამ კარვად ცნობილია, რომ მუსიკალური ტაქტი და გამა მათემატიკურად სწორ პრამორციებს ავლენენ, ლექსისათვის ეს დამახასიათებელი არაა. კერძოდ, მუსიკალური ტაქტის მაგალითზე და ლექსის სახომთან დავაშირებით ქვევლი გენიალური სიზუსტით წერდა: „...მეტრს რომ შევძლოს მთლიანად დავეკვებებაროს ტაქტის კანონებს, მაშინ მუსიკასა და პოეზიას შორის განსხვავება, ყოველ შემთხვევაში ამ სფეროში, მთლიანად გაუქმდებოდა და დროისეული ელემენტი გაღასწონდა მასში, რაც პოეზიას არ შეუძლია დაუშვას მისი ბუნების თანამად“ (ქვევლი. ესთეტიკა. მოსკ. 1971, ტ. 3, გვ. 400. რუს. თარგ.).

ვ. თირმუნსიცი გამოთქვამს პოეტიაში უდავოდ აღიარებულ პეშმარტიტებს, როცა წერს: „ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სალექსო სიტყვის ბევრითი მასალის უმნიშვნელოვანესი განსხვავებანი მუსიკალური ტონებისაგან: მერყევი ტონები, გაწახუნდრეული ინტერვალები, ზუსტ და პროპორციულ დროისეულ გრძლივობათა უქონლობა“ (სემეტიკის შესავალი, გვ. 20. რუს. დაყოფა ჩვენი, შდრ. ჩვენი ავეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი“, გვ. 205-206). დამახასიათებელია, რომ იური ტინანოვიცი კატეგორიულად უარყოფდა იზოქრონისში ლექსში: „ექსპერამენტულ გამოკვლევებს მივეყვართ იზოქრონობის სრულ უარყოფამდე... „სუბიექტური დრო“ შევლის, რა თქმა უნდა, საქმეს, მაგრამ ახლი ანალიზის დროს აღმოჩნდება სრულ თვითნებობად“ (საქართველო, 1924, გვ. 129. რუს.).

ამრიგად, ლექსის რიტმის, როგორც დროში მიმდინარე პროცესის ანალიზი მუსიკალური დროსთან, ლექსის რიტმის დაბლობა მუსიკასთან, როგორც „სხვა სემიოტიკურ მოვლთან“ — მიუღებელია.

ამასთანავე რ. იაკობსონი სხვა წერალობაში („ეპიგრაფიკური და სმენითი შეგრძნების შესახებ“) პირდაპირ წერს, რომ „მეტყველებაში მუსიკა დროში მიმდინარეობს (და) მორიგეობით შემოქმედებენ ჩვენს სმენაზე“ („ვეფხისტყაოსნის პოეტიკის სპეციფიკის საკითხი“, 131). ზოგადად ეს დებულება სწორია, ოღონდ იგი არ ამართლებს სალექსო მეტყველების შეგნით ინიტიალური ხასიათის არსებობას. „დრო ლექსში სრულიად არ აღიქმება“, — აცხადებს ი. ტინიანოვი, (შდრ. ჩვენი „ვეფხისტყაოსნის პოეტიკის სპეციფიკის საკითხი“, გვ. 132) და ეს შეხედულება თვითმანოდ უნდა გაეზიაროთ.

* * *

რიტმულ ინერციასა და ვნის რიტმის მანაზომებულ ფაქტორ ელემენტებს შორის შეუფარდებლობას რ. იაკობსონი აღნიშნავს ფორმულით „გაცრეებული მოლოდინი“. მონოგრაფიაში „ჩეხური ლექსის შესახებ“ იგი წერს: „სალექსო სიტყვის ძლიერ დროს შესახებ უმსხვილობა. მაგ. ვ. წ. „ახებერაბხვილიანები“ რუსული იამბისა: „მოგოპოლოზნაია ცარეენა“. „პოტრესიკვიკივტოვნი“. აქ ჩვენ თვალწინაა მომენტები „გაცრეებული მოლოდინისა“, რომელთა თვით შესაძლებლობა იწვევს სუბიექტურ გაძლიერებას იმისა, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგია აღნიშნავს, როგორც გვეგნვარტციატს (შდრ. ბენესი. პიზნოლოგი დე ცაიტქაისუნგ“, „ჩეხური ლექსის შესახებ“, 1923, გვ. 19; შდრ. 20, 35, 88; დაყოფა ჩვენია ა. გ.).

ნარკვევში „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (1960) რ. იაკობსონი ვრცლად მსჯელობს „გაცრეებული მოლოდინის“ ცნებაზე ბ. პასტერნაის ლექსთან „ზემლია“ დაკავშირებით. მოვიტანოთ სათანადო ადგილს მცირეოდენი ეპიპორებით:

«Безударны семь из шестнадцати иктусов в следующем четверостишии (Б. Пастернак, «Земля», четырехстопный ямб):

И улица за павибрата
С окнищей подлеповатой,
И белой ночи и закату
Не размиутся у реки.

Поскольку подавляющее большинство иктусов совпадает со словесными ударениями, слушатель или читатель русских стихов ожидает — с высокой степенью вероятности — словесное ударение на каждом четном

слова, ритмическая строка. Однако уже в самом начале пастернаковского четверостишия четвертый и шестой слоги и в первой, и во второй строках обманывают его ожидания. Степень такой «обманности» повышается, когда произведено ударение в сильном иктусе, и становится особенно ощутимой, если безударные слоги оказываются в двух соседних иктусах... в стихотворении «Земля» из 41 строки только 17 имеют словесное ударение на шестом слоге. Тем не менее инерция ударных четных слогов, чередующихся с безударными нечетными слогами, заставляет ожидать ударение и на шестом слоге четырехстопного ямба.

Вполне естественно, что именно Эдгар Аллен По, поэт и теоретик «обманутых ожиданий», правильно оценил — и в плане метрики, и в плане психологии — ощущение вознаграждения за неожиданное, возникающее у читателя на базе «ожиданности»; неожиданное и ожидаемое немислимы друг без друга, как «зло не существует без добра». (Ср. «სტრუქტურალიზმი», 210—211. რუსული თარგმანი სრული არაა, თანაც ორიგინალში პასტერნაის მთლიან ტექსტს ბუგრას „ყ“ მახელი არ აქვს. მთლიანად გამოტოვებულია გრაფიკული ფიგურა სტროფისა იბ. ქვემოთ).

მასადასმე, „გაცრეებული მოლოდინი“ გულისხმობს ლექსში ძირითადი მოვლის (მაგ., სპონში ზუსტად რეალიზებული ნორმის) საპირისპირო მოვლენებს, როცა რომელიმე სტრუქტონი არ ამართლებს მითხველის მოლოდინს და ნორმის წინააღმდეგობად გვევლინება ტექსტში მახელებით მისი გადატვირთვა და მისათ. როგორც დავინახეთ, ეს შეხედულება რ. იაკობსონმა ხაზგასმით გამოთქვა წიგნში „ახებერი ლექსის შესახებ“ (1923) და უკანასკნელად ასევე ხაზგასმით გამოეხატა წერილში „ლინგვისტიკა და პოეტიკა“ (1960). პოეტური ენის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად მან სახელდობს „გაცრეებული მოლოდინი“ აღიარა.

რ. იაკობსონის აზრით „გაცრეებული მოლოდინი“ მითხველს „აქილოვებს“ ესთეტიკური ეფექტით, რადგან ათავიფულებს მან მონოტონურობისა და ერთფეროვნების აღქმისაგან „გაცრეებული მოლოდინის“ თვალსაჩინო პრაქტიკოსად და თეორეტიკოსად რ. იაკობსონს ეფუარ პო მანნია.

„გაცრეებული მოლოდინი“ ლექსში — ფაქტია. მაგრამ ფორმულის განზოგადობისა და აბსოლუტიზაციისათვის საფუძველი არ არსებ

ზობს, რადგან თუ აღნიშნულ მოვლენას ყოველთვის ესთეტიკურ კატეგორიად მივიჩნევთ, მაშინ პოეტური არაფერი უნდა გამოვარცხოთ ისეთი სტროფები და მთელი ლექსებიც კი, რომლებშიაც ე. წ. „გაერუებული მოლოდინი“ ადგილი არ აქვს, მაგრამ პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. მეორე მხრით, ლექსში „გაერუებული მოლოდინის“ არსებობა თავისთავად არაა გარანტი მხატვრული სრულყოფილობისა, მას არ იცავს იმავე ე. წ. პოს ზოგიერთი შედეგები ან ნ. ბართაშვილის „მერანი“, ხოლო ნორმის (საზომის) საპირისპირო მოვლენები (რიტმული ვარიაციები) შეიძლება პოეტურ სუროგატებშიც შევეხვედეთ. „გაერუებული მოლოდინი“ შინაარსებულად არაა პოეტური ენისათვის მანამდე უცნობი ფაქტების თეორიული ფორმულირება. რ. იაკობსონის გამოთქმა მხოლოდ ახალ სახელწოდებას უძებნის რუსულ პოეტოკაში (და საერთოდ პოეტოკაში) აღნიშნულ მოვლენებს. ანდრეი ბელის „მეტრადან გადახვევა“ ან ოლითგანვე ხმარებული „რიტმული ვარიაცია“ იგივეა, რაც „გაერუებული მოლოდინი“, მხოლოდ ფაქტია ფსიქოლოგიურად ინტერპრეტირებული და ისიც მეთხველის პოზიციიდან. ეს კი ვწინააღმდეგება თვითონ რ. იაკობსონის „ერთგვლებას ფენომენოლოგიისადმი“.

ა. ბელის მსგავსად, რ. იაკობსონაც აქვს მიდრეკილება „გრაფიკული ფიგურებისადმი“, თუმცა „ლინგვისტიკა და პოეტოკა“ ავტორისათვის რუსული სიმბოლიზმის ლიდერს შრომებთან რამე პარალელი — ან დიდი ენისად იქნებოდა მიჩნეული.

ზემოთ აღნიშნული ზომ ზებირ ვანცხალებად არ იქნას მიჩნეული, აღნიშნავთ რამდენიმე ფაქტს, რომელთა შესახებ ვრცლად აწერთ „ქ. ელ. ლექსში“.

1910 წელს გამოვიდა ა. ბელის ცნობილი წიგნი „სიმბოლიზმი“, რომლის მეორე ნაბეჭრის დიდი ნაწილი მიძღვნილია ვესსიფოვიციის საკითხებისადმი. ამ ნაწილში ავტორი იყვანს რუსული სილაბურ-ტონური ლექსის მეტრიკა და რიტმს და ასკენის: 1. „ლექსის მეტრში ჩვენ ვგვლისხმობთ ტერმების, ტაქებისა და სტროფების ერთმანეთთან გაერთიანებას“ (ვ. წ. 396). 2. „ლექსის რიტმში ჩვენ ვგვლისხმობთ მეტრიდან გადახვევების სისტემას, ე. ი. გადახვევების ერთგვარ რთულ სახეობას“ (იქვე). ამრიგად, ა. ბელი ერთმანეთს უბიძრისპირებს მეტრს, როგორც სტატუტურ ფორმას, და რიტმს, როგორც მეტრიდან გადახვევას ანუ „გადახვევათა ვაშს“, ძირითადი ნორმიდან (ე. ი. საზომიდან) ანუ მეტრიდან) ასეთ გადახვევებს, რომლებშიაც, მაგ. მახვილების დაკლების შედეგად დაკული არაა მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანმიმდევრო-

ბა, ა. ბელი განიხილავს ტემპის მსგავსებას „რუბა“ და „შენელება“. ანდრეი ბელიმ შენიშობს აგრეთვე ამგვარ გადახვევათა ანუ რიტმულ ვარიაციათა დაკლებებისა და გამოანგარიშების პრინციპი, რომელიც საუფქვლად დავიდ ე. წ. რიტმის „შედაარებით მორფოლოგიას“, თვით ბელისა და მისი ორთოდოქსი და არა ორთოდოქსი მიმდევრების ნაშრომებში (ნედობროვი, ჩუდოვსკი, ნაწილობრივ გ. შენგელი და ბ. ტომაშევსკი, აქამად — ი. ა. კოლმოგოროვი და სხვ. (დაწერ. „ქარ. ელ. ლექსი“, 25-27).

ა. ბელი გამოდიოდა მეტრის ვრთავული სქემიდან და არა მეტრის, როგორც რიტმის მთავარი რეალური რეგულატორის გაგებიდან. მაგრამ თვით პრინციპი მეტრისა და რიტმულ ვარიაციათა დაბრისპირებისა გენეტურად წინ უსწრებს რ. იაკობსონის ლინგვისტურ ტერმინოლოგიას ლექსწყობაში: „ვარიანტი“ (საზომი, მეტრი) და „ინვარიანტი“ (იგივე „კონტრასტი“, „ვექვივალენტი“, რაც „რიტმულ ვარიაციას“ ნიშნავს). მეტრის O-დ მიჩნევას რიტმის თვალსაზრისით, რაც ა. ბელის მიერ იყო განვითარებული „სიმბოლიზმი“ (1910) და შემდეგ წიგნში „რიტმი, როგორც დიალექტიკა“ (1929), რა თქმა უნდა, რ. იაკობსონის მეტრისტულ კონცეპციასთან საერთო არაფერი აქვს.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შაა შემდეგ, რაც რუსულ მეტრიკაში საბოლოოდ დადგინდა, რომ ლექსის ძირითადი რეალური ერთეულია ტაქტი (სტრიქონი) და არა მეტრული სქემის ელემენტი ტერაფი, ა. ბელიმ ვახიზარა ახალი მეტრიკის ეს დებულება, მაგრამ წიგნში „რიტმი როგორც დიალექტიკა“ ა. ბელი რიტმს ისევე მეტრიდან გადახვევებს ვულისხმობს, ანალიზის დროს ტერმის ენებიდან კი არ გამოდის (აღიარებს, რომ „სიმბოლიზმი“ მან „რიტმულ ელემენტად შეცდომით აიღო ჟერ ტერფი, შემდეგ კი „დიალოგი“), არამედ ტაქტის, როგორც ძირითადი ერთეულის, გაგებიდან: ის ტაქტები, რომლებიც საზომის (მეტრის) სქემას ემთხვევიან მახვილიანი და უმახვილო მარცვლების კანონზომიერი თანმიმდევრობის მხრივ, მკვლევარის აზრით, უფროან O-ს და მარტოოდენ მეტრიდან ყოველგვარი გადახვევის შემცველი ტაქტები (მაგ.

1 შდრ. „...მეტრი წარმოადგენს რიტმული გამოთქმის უცე სრულად ზუსტად კრისტალიზებულ ხელოვნურ ფორმას“ („სიმბოლიზმი“, 254) და „...რიტმი-სახე, რომელიც ყალიბდება ნეტრის კრისტალურ ფორმში...“ (ა. ნ. კოლმოგოროვი, ნიმუში მეტრისა და მისი რიტმული ვარიანტების შესწავლისა, კრებულში „ლექსის თეორია“, ლენინგრადი, 1968, გვ. 147, რუს., დაყოფა ჩვენია ა. გ.)

მხვილხელთა სტრიქონები) რიტმულ ელემენტებად აქვს მიჩნეული. როგორც ვხედავთ, ავტორის ძველი თეორია ამ საკითხში პრაქტიკულად არ შეცვლილა: მეტრი ფიქცია რეალური რიტმის ფელსაზრისით („ქარ. კლ. ლექსი“, 288).

რ. იაკობსონს ამ საკითხში სხვა პოზიცია უჭირავს და იგი მართალია: მეტრი მიხთვის ძირითადი რიტმული მოდელია ლექსისა. მაგრამ იგი უშვებს მეტრის, როგორც მეტრულული ვარიანტისა და მისი ინვარიანტის უშველ კონტრასტულ თანმიმდევრობასა და რელაციას. ჩანასახი ასეთ ვაგებობას, არასაკარგველია, სრულად განსხვავებულ თეორიულ ასპექტში, ვახვდება ისეთ ა. ბელის ნაშრომში „რიტმი როგორც დიალექტია“ (1929). ამ ერთი ადგილიც „პირველად მე ვახვევებ გამოთვლის განუხებულ სქემას, რომელიც მხოლოდ სამ შემთხვევას ეხება: ტაქტების ურთიერთდამხვევას (ფუნა), ტაქტთა კონტრასტს (ანტაფუნა), სმენით დაზოცილებულებს კონტრასტისადმი, ანუ კონტრასტებს ჭკუფებს (სინთეზი)“ („რიტმი როგორც დიალექტია“, 1929, გვ. 46. რუს., დაყოფა ჩვენია. ა. გ.).

რ. იაკობსონი მიღის სხვა გზით, იგი გამოდის ცნობილი პოლონელი ლინგვისტის ნ. კრუშევსკის ანტინომიდიან „შერჩევა“ და „შესაზღვრა“; ეს პრინციპი კი ითვალისწინებს კერძოდ ლექსში „ინვარიანტული“ ტაქტისა და მეორე, მოპირე („მეზობელი“) ანუ „ვარიანტული“ („ექვივალენტური“) ტაქტების ურთიერთობას. სხვა ადგილას („ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი“, 1974, გვ. 125-127) ჩვენ ვერცხად ვწერთ ამ პრინციპის აბსოლუტიზაციის სასიხთზე, აღნიშნული ვვაქვს, რომ „ინვარიანტი“ ყოველთვის არ შეიძლება ჩათვალოს დამირისპირებად მოპირე თუ „მეზობელი“, მეორე, „კონკრეტული“ („ვარიანტული“) ტაქტის ანუ სტრიქონის მიმართ და მეტრი („ინვარიანტი“) ზმირად ან ზოგჯერ უცვლელი რჩება ძველი სტრუქტურის მინიჭებზე, ე. ი. ლექსში მეტრიდან ანუ ნორმიდან გადახვევა ყოველთვის საკლდეხელი არაა. მაგრამ სწორია რ. იაკობსონის აზრი იმის შესახებ, რომ ინვარიანტისადმი დამირისპირებისას თავს ყოფს მინე ტაქტის რიტმული „მეზობლობის“ (მსგავსების, ექვივალენტობის) ფაქტი, რის გარეშე ლექსი პროზად გადაიქცეოდა. რ. იაკობსონი წერს:

«Что превалирует, какие установлены эквиваленты, на каком тождестве лежит главное ударение, что должно быть равно, а что контрастировать, что положено в основу стихотворного канона и что служит вариационным элементом? Здесь отношение инвариантов и вариаций складывается совершенно иначе,

чем в других областях (ჩვენია ა. გ.).

კლასიკური მეტრიკის ტერმინოლოგია („ვარიანტი“, „ვარიანტები“) აქ უკვე აღდგენილია. პოეტური და არაპოეტური ენების გამიყვანად დავას არ იწვევს.

ამაგარა, რომ ყოველგვარი ვარიანტი — ენობრივი ეფექტის გამოწვევია და „გაერთილებული მოლოდინი“ პოეზიაში არსებულ რეალურ ფაქტზე მიუთითებს. ეს ცნება რ. იაკობსონმა იმპარა 20-იან წლებში („ჩებური ლექსის შესახებ“, (1923) და მასვე დაუბრუნდა 60-იან წლებშიც (წერილში „ლინგვისტიკა და პოეტიკა“, 1960). ზოგიერთის ზემოთი განცხადება, თითქმის რ. იაკობსონს თავისი მთავარი ნაშრომი „ხუმარწილის დროს“ წიგნად და „განვლილ ეტაბად“ მიაჩნდა — სრულიად უსაფუძვლოა.

* * *

რ. იაკობსონს გვთვინს ლექსის ტაქტის მიმართ ცნება „ხეგმენტის“ გამოყენება. ქართულად მას შეეფერება მ. ბარათაშვილის „მუხლი“. ამ საკითხზე ჩვენ ვერცხად ვწერთ წიგნში „ვეფხისტყაოსნის პოეტის ზოგიერთი საკითხი“ და უკვე თქმულა და დაწერილს აღარ ვაგიჟებოვებთ (მღრ. აგრეთვე ჩვენს „ექვივალენტული განმარტებანი“. ე. „ქრტიკა“, 1975, № 4, გვ. 153). აღნიშნავთ მხოლოდ, რომ „ხეგმენტი“ ცნება რ. იაკობსონს არ გამოუყენებია კლასიკური მეტრიკის ნომენკლატურის უარსაყოფად იმ სახით, როგორც ეს ზოგიერთმა ვაიცო ჩვენში. სეგმენტთა შორის ზღვარსაც არ გვლისხმობდა რ. იაკობსონი „დემარკაციული ხაზის“ იღენტურ ცნებად. ამიტომ, რომ მის ბოლო შტუდიებში თუ სალექსო საზომის სქემათა ელემენტების (იამბი, ქორე, დაქტილი და ა. შ.). სახელწოდებანი იშვიათად ვახვდება, ეს იმას როლი გვლისხმობს, თითქმის დიდი ენათმეცნიერი მათ უარყოფდა თვითონ სქემათა აღწერისას. ეს არსიდან არ ჩანს. მეტიც: მაგ, სტრუქტურული ლექსთან დაკავშირებით რ. იაკობსონი ლამარკოს „დაქტილებზე“, ბულგარული ან ჩებური ლექსთყოფის საკითხების კვლევისას — ქორებზე და ა. შ. (მღრ. „განთიადი“, 1976, № 6, გვ. 99—100).

ცნება „სეგმენტი“ რ. იაკობსონმა ვერცხად

! ერთი ნიმუშიც იაკობსონისეული სეგმენტაციისა (სალექსო ტაქტისადმი):

Wo sind die Gefangenen?

Gib mir das Buch her.

(სად არიან პატიმრები?

მომეცი [აქ] წიგნი).

(„ჩებური ლექსის შესახებ“, 34).

მიმართა 1928 წელს წიგნი „ჩუხუჩი ლექსის შესახებ“, ხოლო ასევე ვრცლად 1970 წელს ნარკვევში „ჩინური რეგულარული ლექსის საზომის შესახებ“. მასხადამე, აღნიშნული ტერმინი მას 70-იან წლებში არ შემოუტანია, ზოგჯერ ეს ზოგიერთს ეგონა ჩვენში. ამასთან, ისიც ნიშანდობლივია, რომ რ. იაკობსონის უახლესი მეგობრის, იერი ტინანოვის შრომებში არსად არ ვხვდებმა „სინტაგმა“ ან „სეგმენტა“ ცნებების გამოყენება. პირიქით, სალესო ტაპის რიტმული სტრუქტურის დახასიათებისას იგი კლასიკური მეტრიკის ტერმინოლოგიას მიმართავს. მაგ., თავის შესანიშნავ წერილში „ბლაცა“ იგი ასე დახასიათებს პოეტის ცნობილ ლექსს „წუნაჲკაჲ“:

«В «Незнакомке» («По вечерам над ресторанами») тема ресторана, проведенная в синколических пэонах: ...Заламивая котелки

...Испытанные остряки сменяются стремительной ямбической темой «незнакомки...» (Архансты и новаторы. 1929, стр. 520, შდრ. Ю. Н. Тынянов. Поэтика История литературы. Кино, М., 1977, стр. 123. Прим. 22: «Малоупотребительный в настоящее время термин «синколические пэоны» означает здесь ямбические строки с пропуском двух средних ударных», стр. 441).

სალესო საზომის ამგვარი დახასიათების სათავეც ა. ბელის „სიმბოლიზშია“.

ცნება „სეგმენტა“ რუსულ მეტრიკაში არ დამკვიდრებულა (ბ. ტომაშევსკი, ვ. ფარშენსკი და სხვ.). ქართულ ვერსიოლოგიაში მისი დანერგვის უსაფუძვლობა კი, ვფიქრობთ, საბოლოოდ გარკვეულია (იხ. ჩვენი „ეფესოსტყულისნის პოეტის ზოგიერთი საკითხები“, 1974).



რომან იაკობსონის წერილი „სტილიტიკა და პოეტია“ (იხ. კრებული „სთალი ან ლენინი“, 1960) ამჟამად ზედ გვიანტრეტებს არა მთლიანად, მაშინ, ბევრ გასაზიარებელ დებულებებთან ერთად, სადავოც საქმობდა, მაგ., პოეტური ენის ერთ-ერთ მაკონსტრუირებელ ელემენტად ენის ექსპრესიული და ემოტიური (რ. იაკობსონი იზიარებს ფიქოლოგ ა. მარტის ამ ტერმინს „ემოციურის“ ნაცვლად. იხ. კრებული „სტრუქტურალური“, აღნიშნული წერილის რუს. თარგმანი, გვ. 198) მომენტების მიხედვით, არამედ მეტრისტული ფუნქციონირებით. ზემოთ მოვითხანთ რ. იაკობსონის სიტყვები მის შესახებ, რომ

«Измерение последовательностей —

это прием, который, кроме как в поэтической функции, в языке не используется»

(კრებ. „სტრუქტურალური“, გვ. 205, წერილი „ლინგვისტიკა და პოეტია“). ამ პუნქტშია რ. იაკობსონი ამოცანებს ჯერ კიდევ 1923 წელს განვითარებულ შეხედულებას, რომელიც მას „ჩუხუჩი ლექსის შესახებ“ მონოგრაფიაში აქვს გამოთქმული სალესო და პროზული რიტმის განსხვავების შესახებ: „...პოეტური და პროზული რიტმის შესახებ საუბრისას შეიძლება ეყვიოყავითა დაეფიქროთ. პოეტური რიტმი თუ შეუძლია თავის მიზნებისათვის გამოიყენოს ექსპრესიული ტალღები ენისა, მაინც აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ამ პერიოდულობასა და პოეტური რიტმის შორის ვეება განსხვავება“ („ჩუხუჩი ლექსის შესახებ“, 1923, გვ. 17. რუს.).

ეს მაგალითიც (ზემოთ მოცემულ პარაღებებთან ერთად) იმას მოწმობს, რომ რ. იაკობსონის სტილიტიკური და მეტრისტული დებულებების ანალიზი შეუძლებელია შეცნობის მიერ რუსულში მოღვაწეობისას გამოყენებული თეორიული წინამძღვრების სრული გათვალისწინების გარეშე. მთელი პათოსი ნარკვევისა „სტილიტიკა და პოეტია“ მღვრიანობის ახალი მასალითა და ვერბული პოეზიიდან აღებული ნიმუშების შესახებ მსჯელობით ნათელი გახადოს ევროპელი სპეციალისტებისათვის „ჩუხუჩი ლექსის შესახებ“ მონოგრაფიაში გამოყენებული თვისი თეორიული დებულებანი, მათ შორის ისიც, რომ „...პოეტური რიტმი ერთერთი საშუალებაა მეტყველების გამოყენების ავტომატიზაციიდან“ („ჩუხუჩი ლექსის შესახებ“, 17).

ლობის შექმნის საკითხი, რადგან ინდუსტრიალიზაციის გარეშე ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ფიქრიც შედგებოდა იყო. უკიდურესად გაუარესდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, განსაკუთრებით კი მშრომელების მატერიალური მდგომარეობა. უკმაყოფილებამ მოიკლა ხალხთა უარყოფითი განწყობა. ირანის შიდაპოლიტიკური პროცესების განვითარებაზე შეგავლენა მოახდინა საერთაშორისო მუსოთა მოძრაობამ, აზიისა და აფრიკის ხალხების ერთვინულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლებმა, რომელთა შედეგად დაემზრ არაერთი დიქტატორული რეჟიმი.

ირანის სოფლისა და ქალაქის მშრომელების მძღელარებამ, ახალგაზრდობის გამოხვედრებში, დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობამ, რასაც ერთვულმა ბურჟუაზიამ აუბა მხარი, აძღულებ შამა და მმართველი წრეები ჩატარებინათ ღონისძიებები რაგორც ეკონომიკის, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროში. ეს რეფორმები ცნობილია „თეთრი რევოლუციის“ სახელით.

შამა და მმართველმა წრეებმა გადაწყვიტეს განემუხტათ ქვეყნისშივინით შექმნილი დაძაბული ვითარება და შეეადან ჩატარებინათ ეკონომიური და სოციალური გარდაქმნები, სანამ ირანის მოსახლეობის უარყოფითი განწყობა, ქვეყნიდან, რევოლუციის გზით გადატყობდნენ იმ პრობლემებს, რომლებიც მათ აწუხებდათ.

ეს სოციალური და ეკონომიური რეფორმები რომლებიც აღუთქვა შამა ხალხს, შემდეგია: მიწის რეფორმა, ტყეების, საძოვრების, წყლის რესურსების ნაციონალიზაცია, მუსოთა მონაწილეობა სამრეწველო საწარმოსა მოგების განაწილებაში, თანამედროვე ინდუსტრიის შექმნა, ირანულ კლასთა უფლებების გაართობა, განათლების

და განზოგადების დაცვის სისტემების განვითარება და ა. შ.

1968 წლის იანვრიდან 1975 წლის ნოემბრამდე მიღებული იქნა 14 კანონი, რასაც ირანის ოფიციალურ წრეებში „შაჰისა და ხალხის რევოლუციის“ 14 პრინციპს უწოდებენ.

აღნიშნული რეფორმები მიმართულია ფეოდალური სისტემის მოსპობისაკენ და მათი ძირითადი მიზანია ირანი რაც შეიძლება სწრაფად დაადგეს კაპიტალისტური განვითარების გზას. ირანისათვის, როგორც აგრარული სახელმწიფოსათვის, არსებითი მნიშვნელობა ექონდა შიქის რეფორმის განხორციელებას, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა: აგრარული გარდაქმნების ჩატარება გარკვეულ ხიზმელებთან აყო დაკავშირებული, რადგან იგი მიმართული იყო სოფლად შემორჩენილი ფეოდალური ურთიერთობის ძლიერი ნაშთების წინააღმდეგ. იგი იძულებითი-ღონისძიებების სახით ზორსუდულდებოდა, რადგან მას წინააღმდეგობა გაუწიეს მსხვილა ფეოდალებმა და შიიტური საილდე-რელების წარმომადგენლებმა. ირანში, აგრარული გარდაქმნების შედეგად, არსებობდა შეცვა-ცვალა სოფლად სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. მიწაზე შემამულურ-კაპიტალისტურმა საკუთრებამ ფართო გახაქანი მისცა სასაქონ-ლო წარმოების განვითარებას. ცვალებებმა სოფლის მოსახლეობის სტრუქტურაშიც. მომ-ძღვარად გაღებური ბურჟუაზია. შემოხულები კაპიტალისტურ უიდაზე მოწყობილ მეურნეო-ბებში ფართოდ იყენებენ დეკორატიულ შრო-მას და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღ-ებს.¹

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ირანმა შეცვალა ეკონომიური პოლიტიკა. მრეწველო-ბის დარგობრივ სტრუქტურაში ზღვმა ცვლი-ლებმა. იტარებდა რა პროტექციონიზმის პოლი-ტიკას უკვე არსებული მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგების მიმართ, ირანმა გეზი აიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე.

ეროვნული მიმე მრეწველობის შექმნას ბე-ლა შეუწყო ირანის ურთიერთობის გაუმჯობე-ლებამ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაის სხვა ქვეყნებთან. ირანის ინდუსტრია-ლიზაციის პროგრამის განხორციელება რეალ-ობად იქცა საბჭოთა კავშირის ტექნიკური თა-ნამშრომლობით და დახმარებით. 1971 წელს მწყობრში ჩადა ირანის მეტალურგიული კომბინატი — მისი სიმძლავრეა 600 ათასი ტონ-ა ფოლადი წელიწადში, ხოლო 1960 წელს მისი პროდუქცია 3 მილიონ ტონას მიაღწევს.

¹ გ. კვიციანი, „აგრარული რეფორმები და მათი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ირან-ში“, კრებული „სახელმწიფო და აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკო-ნტებო“, თბილისი, 1975.

1972 წელს პირველი პროდუქცია მისცა საბ-ჭოთა სპეციალისტებთან თანამშრომლობით შე-ქმნილმა არაქის მანქანათმშენებელმა კარხანამ, ხოლო თავიანთი კი ტრაქტორების კარხანამ (რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარე-ბით) და მანქანათმშენებელმა კარხანამ (ჩეხი სპეციალისტები) და ა. შ.

ნავთობისა და გაზის რეალიზაციით მიღებუ-ლია უზარმაზარი თანხებმა, საბჭოთა კავშირი-სა და სოციალისტური ბანაის სხვა ქვეყნების ხელის შეწყობამ ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის თავდაზრისით, დასაუფლოის მოსაოპოლებს ჩარხვამ სხვადასხვა ეკონომი-ური პროექტებს განხორციელების საქმეში სასუალება მისცა ირანს 70-იანი წლების პირ-ველი ნახევრის ბოლოსათვის საგრძობლად აე-მაღლებინა ქვეყნის ეკონომიური პოტენციალი. მრეწველობის აღმავლობამ განაჩტყია სხელ-მწიფო სექტორის პოზიციები შიქე და ნავთო-ბის მრეწველობაში, ხოლო კერძო სექტორისა კი — დამამუშავებელ მრეწველობასა და მომ-სახურების სფეროში.

თანამედროვე ირანის მრეწველობაში ტრა-დეციული დარგების სრულყოფის საქმეობამ და სრულიად ახალი დარგების, კერძოდ შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლო-ბის, ნავთობქიმიის შექმნამ მოითხოვა უამრავი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების აღზ-რდა.

ფართო ეკონომიური პროგრამებისა და გან-ვითარების გეგმების განსახორციელებლად ირანს სჭირდება ეროვნული ტექნიკური კად-რები, კერძოდ საინჟინრო-ტექნიკური ბერხო-ნალი და კვალიფიკაციის მუშახელი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წე-რაკობის უცოდინარობის ლიკვიდაციას, გა-ნათლების სისტემის რეორგანიზაციას, მეცნიე-რების განვითარებას. ირანელმა იძულებული არიან აღიარონ, რომ ქვეყნის ეკონომიკის გან-ვითარებისათვის ყველაზე დიდ დახარჯობებს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ფა-რთო მათების უფეობა.

ე. წ. „ეთერი რევილუციის“ პროგრამის ერთ-ერთ პუნქტს შეადგენს განათლების სის-ტემის რეფორმა, პირველ რიგში კი ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა-თვის.

უწყინურობის წინააღმდეგ ბრძოლამ საყო-ველთაო ხასიათი მიიღო. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ირანში ტარდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანია. 1968 წელს ირანში შეიქმნა უწყინურობის ლიკვიდა-ციისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტი.

ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრე-ბით კი სოფლის მეცოდრთა, განათლების და კულტურული ღონის ამაღლების საქმეში მნიშ-ვნელოვანი წვლილი შეიტანა 60-იანი წლების

დასაწყისში შექმნილია ე. წ. „განათლების კორპუსი“. საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ირანელი წვევამედიკოსები, როგორც ვაქები, ისე ქალები, არამაშვი მონებდებოდათ იგზავნებოდათ სათანადო კორპუსში, ამ შემთხვევაში „განათლების კორპუსში“, სადაც რამდენიმე წლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს ასე გაავლიან: პირველი ოთხი თვე ნაერთო სამხედრო მომსახურება, მედიაოგისი ელემენტარული საფუძვლების დაუფლება, და შემდგომ, სერვანტის წოდებით იგზავნებოდათ ირანის პროვინციებში, სადაც მავშეხება და მოზარდებს ასწავლიან წერა-კითხვას და ამასთანავე სოფლის მოსახლეობაში ატარებენ კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოებს. უწყვეტობის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებებისათვის ირანის „განათლების კორპუსს“ 1972 წელს ოფიცისკონ მთერ დაარსებულმა ნ. კ. კრუშაკაის სახელობის საერთაშორისო პრემია მიენიჭა.

კანონი სავალდებულო უფასო დაწესებითი სწავლების შესახებ ირანის მთავრობამ ორჯერ მიიღო — 1927 და 1948 წლებში, მაგრამ მას აღსრულება არ ეწერა, მხოლოდ 1975 წლიდან იქნა შეიძლება უფასო სწავლება დაწესებითი სახელმწიფო სკოლებში, მაგრამ ეს ვაერტრულდება კერძო სკოლებზე, სადაც მეცადინეობს ირანის მოსწავლეთა თითქმის ნახევარი.

თანამედროვე ირანის საზოგადოებრივ სტრუქტურაში უფროაზე ზუსტი რგოლია სახალხო განათლების საქმე, კერძოდ კვალიფიკაციური ეროვნული კადრების მომზადების სისტემა.

თეირანის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ჰემინის სიტყვით, განათლების სფეროში ირანი ჩამორჩება არა მარტო ევროპის, არამედ აზიისა და აფრიკის ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი.

ირანში ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ როგორც შეუფარდონ ქვეყნის შზარდ მოთხოვნილებებს არსებული ეროვნული განათლების სისტემა, მაგრამ როცა ვერ მოხერხდა ამ რთული პრობლემის ოპერატიულად გადაჭრა, არჩიეს წასულიყვნენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით, გეზი აღებულ იქნა არა თვისობრივ, არამედ რიცხობრივ გარდაქმნებზე, რასაც შედეგად მოჰყვა სასწავლო დაწესებულებებისა და მოსწავლე აბაღვარდობის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს უმაღლესი სკოლის მაგალითზე. თუ 1962-63 სასწავლო წელს ირანში 27 უმაღლესი სასწავლო ბედი და 24 ათასი სტუდენტი იყო, 1972-73 სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლების რიცხვმა 158-ს, ხოლო სტუდენტებისამ კი 108 ათასს მიაღწია.

ირანის განათლების სისტემისათვის, ამ შემთხვევაში უმაღლესისა, მარტო გაუაროება კი არა, უფრო სრულყოფაა სავირო.

ირანს, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის რეალურადი უდიდესი რიანსური შესაძლებლობები გაურნდა. უცხოური ვალუტის შემოსავლის 75 პროცენტს ნავთობი იძლევა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მმართველი წრეების უკუაღლების ცენტრშია სამხედრო-პოლიტიკური აპარატის განმტკიცება და გამდიდრებული შეიარაღება.

ქვეყნის ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი სამხედრო მიზნების დაკმაყოფილებას ემსახურება. წლითიწოდებით იზრდება ირანის სამხედრო ხარჯები. 1970 — 1977 წლებში ირანის მთერ გაწეულმა სამხედრო ხარჯებმა 8,1 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო გასულ ფინანსურ წელს ირანის ბიუჯეტში შეიარაღების უახლესი სისტემების შესაძენად მხოლოდ ამერიკის მონოპოლისტებისათვის 2,5 მილიარდი დოლარია განსაზღვრული. სამხედრო ხარჯები აღწევენ უზარმაზარ თანხებს და ბევრი აღარაფერი რჩება ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად.

უკანასკნელ ხანებამდე ირანში მეცნიერების განვითარების საქმე არასახარბილო მდგომარეობაში იყო. იგი ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტების დონეს. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას ქვეყნის ბიუჯეტის მხოლოდ 0,5 პროცენტს ხმარდება, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყნებს ამავე მიზნების განსახორციელებლად ეროვნული ბიუჯეტის 2-5 პროცენტი აქვთ განკუთვნილი.

70-იანი წლებიდან არის გარკვეული ცდები შეიცვალოს მდგომარეობა. ირანი მერ იტყობს ირენს ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის განმტკიცებისა და განვითარებისადმი. სამეცნიერო მუშაობის გაშლისათვის 1967 წელს მეცნიერებსა და უმაღლესი სწავლების სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის მიზნია კოორდინაცია გაუწიოს ირანში სამეცნიერო-კვლევით სფეროში წარმოებულ საქმიანობას, იზრუნოს უკვე არსებული სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებაზე და ახალი სამეცნიერო ცენტრების გახსნაზე, განსაკუთრებულ უკუაღლება დაუთმოს კვლევის ხარისხისა და მოცულობის ზრდას.

ირანის განვითარებადი საწარმოო ძალები აღმორწინენ კულტურულ და მეცნიერულ ტექნიკური თვალსაზრისით მეტად სავალალო მდგომარეობაში. ეს, რასაკვირველია, ხელს უშლის წარმოების შემდგომ ზრდას, თანამედროვე უცხოური ტექნოლოგიის დაუფლების საქმეს, რაც განპირობებულია ადგილობრივი მუშების, მოსახლეობის და არც თუ იხე იწვიათად საინჟინრო კადრის რაკომპენტეტურობით, მათი დაბალი პროფესიული დონით.

საქმის ვითარება რთულდება იმის გამო, რომ როგორც უკვე ითქვა, ირანს უზარმაზარი სამხედრო ხარჯები აქვს, რის გამოც მთავრობა

იძულებულა გადახედოს სოციალური მიზნებისა და კულტურული მოთხოვნებისათვის განკუთვნილ თანხებს და კვლავ შეამციროს ისინი.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ირანში ამჟამად 100-ზე მეტი სამეცნიერო ცენტრია. კვლავ ტრადიციულად დღეისა სპარსეთში მეცნიერებათა ზედღრითი წონა, მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ფიზიკა-ბიოქიმიკური და ტექნიკური დარგების სწრაფი განვითარება.

მეცნიერებათა აკადემია ირანში არ არის და სამეცნიერო მუშაობა წარმოებს, უმეტეს წილად, უნივერსიტეტებში და დარგობრივ სასწავლებლებში. სპეციალიზირებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩამოყალიბების პროცესშია. სამეცნიერო საქმიანობა გაშლილია აგრეთვე ცალკეულ სამინისტროებში, სხვადასხვა სასწავლებო დაწესებულებებში, სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებსა და ორგანიზაციებში, ლაბორატორიებსა და საცდელ სადგურებში.

1969 წელს მეცნიერებისა და უმაღლესი სწავლების სამინისტროს დაუქვემდებარეს ახლად დაფუძნებული სპეციალური ინსტიტუტი, რომლის შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციისა ინფორმაციის ეროვნული ცენტრი.

ინტორიულად, სამეცნიერო მიღწევობა თავმოყრილია იყო უმაღლეს სკოლაში. ასე იყო სამეცნიერო-ტექნიკური რვეოლუციის ეპოქის დადგომამდე თითქმის ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში. ასეთი ვითარება ამჟამად აზიის განვითარებად ქვეყნებში, აგრძელდ ირანში, სადაც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად კერებს უნივერსიტეტები წარმოადგენდნენ. იქ თავმოყრილია ქვეყნის უმნიშვნელოფანები სამეცნიერო ძალები, ხეიარაუღია, რომ დროთა ვითარებაში ირანის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან დაკავშირებით, შემცირდება უმაღლესი სასწავლებლების ზედღრითი წონა და შეიცვლება ძალითა თანაფარდობა სპეციალიზირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სახარკებლოდ.

ირანისათვის, სადაც უმაღლესი განათლების სისტემა შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, უნივერსიტეტები არა მარტო სასწავლო ცენტრებია, რომლის ძირითადი ფუნქციაა მაღალ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. არამედ ძირითადი ბაზაა სახელმწიფოს მასშტაბით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლისა და განვითარებისათვის.

თერანის სახელმწიფო უნივერსიტეტი არა მარტო ირანის უმაღლესი (დაარსდა 1934 წელს) და უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია, არამედ აგრეთვე ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული და სამეცნიერო ცენტრია.

თერანის სახელმწიფო უნივერსიტეტში 17

ფაკულტეტია, სადაც დღეისა და სახელმწიფო უნივერსიტეტებზე 20 ათასი სტუდენტი სწავლობს.

50-იანი წლების მეორე ნახევრისათვის თერანის უნივერსიტეტმა მიიღო სამეცნიერო წოდებებისა და ხარისხების მინიჭების უფლება. უნივერსიტეტის განაგებს დიდი საბჭო, რომელსაც სათავეში უდგას რექტორი. უნივერსიტეტის პროფესურა ორი წლის ვადით ირჩევს დიდი საბჭოს წევრებს, რომლებიც თავის მხარეში წლის ვადით ირჩევენ რექტორს. ამის შემდეგ, თუკი შპი მხარს უჭერს ამ კანდიდატურას, უმჯობეს სპეციალურ ფირმის და ცნობის რექტორის უფლებამოსილებას.

თერანის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი. აშენდა ატომური რეაქტორი, აქვს გამოთვლითი ცენტრი. სამეცნიერო მუშაობის ჩასატარებლად შექმნილია ორგანული ქიმიის, ბიოქიმიის, ანალიტიკური ქიმიის, მეტალურგიის ლაბორატორიები. უნივერსიტეტში შედგაგებული 1970 წელს აწარმოებენ საგანმანათლებლო ლექციების სატელევიზიო გადაცემებს.

თერანის უნივერსიტეტთან 1958 წელს შეიქმნა ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტი.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს უნივერსიტეტთან არსებული ატომური კვლევითი ცენტრის მუშაობა (შეიქმნა 1958 წელს). აქ მიღებულ რადიოიზოტოპებს იყენებენ მედიცინაში, ვეტერინარიაში, კვების მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ბოლო წლებში გარკვეული ცვლილებები მოხდა უნივერსიტეტებთან არსებული ფაკულტეტებისა და სხვადასხვა პროფილის ინსტიტუტების შემადგენლობაში. თუ აღვრ უპირატესად წარმოდგენილი იყო მუშაინარული დიციპლინები, ახლა ფართო განვითარება პოეი ელექტრონიკამ, ბირთვულმა ფიზიკამ, ბიოლოგიამ, გეოფიზიკამ, ნავთობის ქიმიამ და სხვა, შესაბამისად ამატა სტუდენტების რიცხვმა ამ პროფილის ფაკულტეტებზე. სწავლების პროცესში თერანული მომზადება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პრაქტიკას. შეიქმნა უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის საბჭო.

ირანში მომდინარე ეკონომიურმა გარდაქმნებმა დიდი მოთხოვნილება შექმნეს უმაღლესი ტექნიკური განათლების მეორე სპეციალისტებზე და ამავე პროფილის სწავლულზე. ასეთი კადრების სამჭედლოდ იქცა 1968 წელს დაარსებული „არია მექანიკა“ ინდუსტრიული უნივერსიტეტი. მას ფართო კვლევითი მუშაობის პროგრამა აქვს დაეგმილი. ამ უნივერსიტეტთან არსებული დაწესებულებაა წყლისა და ენერგეტიკის ინსტიტუტი, სადაც სამეცნიერო მუშაობა წარმოებს შემდეგი მიზართულებით: ლევიან წყლის განმტკნარება, რაკეტების მშენებლობა,

პლანური ძრავების შექმნა.

თავრიზის უნივერსიტეტის სწავლულთა შრომები უპირატესად საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემათიკისადგია მიძღვნილი, ხოლო შირაზის „ფეხლევას“ უნივერსიტეტში მეტ ინტერესს ტექნიკური მეცნიერებისადგი იჩენენ.

შირაზის „ფეხლევას“ უნივერსიტეტის სამხრეთ ირანის უდიდესი სამეცნიერო და კულტურული ცენტრია. სწავლება აქ ინგლისურ ენაზეა. შირაზის უნივერსიტეტს ოთხი კოლეჯი აქვს.

ირანის ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც 1969 წელს დაარსდა თირანში, კვლევა-ძიებას აწარმოებს ფილოლოგიაში, აღმოსავლურ მშრომელთა და სამართლის დარგებში; ერთადერთი უნივერსიტეტის სწავლულთა შემოქმედებითი კონტაქტები აქვთ იტალიელ არქეოლოგებსა და არქიტექტორებთან.

აღიარება პიოა იმ სამეცნიერო დაწესებულებების შუამომხმ, სადაც იკვლევენ ირანის ისტორიასა და კულტურის საკითხებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაცხოველდა შუამომხმ ირანის სახელმწიფოს 2500 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით.

კულტურისა და ხელოვნების სამინისტრო, შირაზისა და თირანის უნივერსიტეტების თანამშრომლებთან ერთად, აწარმოებს საველე სამუშაოებს, არქეოლოგიურ გათხრებს.

კვლევა-ძიება ისტორიაში წარმოებს თირანის, შირაზის, ისპაჰანის და სხვა უნივერსიტეტებში, აგრეთვე მუზეუმებში.

თირანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ისტორიის შესწავლის კათედრაზე მუშაობენ მეცნიერები, რომლებიც არ ეწევიან პედაგოგიურ მოღვაწეობას, მათი კვლევის საგანია ირანის ისტორიის ამჟამინდელი პერიოდის სხვადასხვა ასპექტები.

შირაზის უნივერსიტეტთან არსებული სამეცნიერო დაწესებულებაა აზიის შემსწავლელი ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას ძველი და შუა საუკუნეების ირანის ისტორიისა და ფილოლოგიის აღიარებული სპეციალისტი, მარჯარდის უნივერსიტეტის პროფესორი რინარდ ნელსონ ფრია; იგი ავტორია წიგნებისა „ირანი“ „ბუხარა შუა საუკუნეებში“ და „ირანის შემკვიდრება“, რომელიც ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის სპარსულსა და რუსულზე. აზიის შემსწავლელი ინსტიტუტის, თირანის უნივერსიტეტის, ირანის არქეოლოგიური მუზეუმის, მთავარ არქეოლოგიურ სამმართველოს ურთიერთთანამშრომლობით ტარდება არქეოლოგიური გათხრები ირანში, უპირატესად მის სამხრეთ პროვინციებში. ამ საველე სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების ბაზაზე სამეცნიერო მუშაობას ატარებს აზიის შემსწავლელი ინსტიტუტი. კვლევის სა-

განია — ისლამის წინააღმდეგობა, შირაზის, ხელოვნება, არქიტექტურა და ცენტრი, აზიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაოა უმრავლესობა კითხულობს ლექციებს შირაზის „ფეხლევას“ უნივერსიტეტში.

უძველესი ირანის მუზეუმში, რომელსაც არქეოლოგიის მუზეუმსაც უწოდებენ, გაიხსნა თერანში 1937 წელს მუზეუმში, მუდმივ მოქმედი ექსპონირებისა და დროებითი გამოფენების გარდა, ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. ექსპონირები განლაგებულია ქრონოლოგიური და დინამიკური პრინციპით. განსაკუთრებით საინტერესოა მუზეუმის პირველი ნაწილი, რომელიც გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც მოპოვებულ იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად პერსეპოლისში, სუსა, დამლანსა და ლურესტანში.

აქმიანების ეპოქისდროინდელი ძეგლები წარმოდგენილია დარბაზის პირველის პირველი-ყო, არსებულია ეპოქა — ზაბტარიაში ნაპოვნი ბრინჯაოს ქანდაკებით, სასანიდების ეპოქა — ხელოვნების ნიმუშებით, კერძოდ ფრესკებით, ლითონის ნაქეთობებით და ა. შ.

მუზეუმის მეცნიერები მუშაობენ შემდეგ პრობლემებზე — ირანის უძველესი ისტორია, აღიარული ფეოდალური ხანის ირანის ისტორია, ირანის ხელოვნების ისტორია.

მუზეუმში, კულტურის სამინისტროსთან არსებულ მთავარ არქეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად, ატარებს ფართო არქეოლოგიურ სამუშაოებს. მათი არქეოლოგიური ექსპედიციები მუშაობენ ირანის თითქმის ყველა კუთხეში. არქეოლოგიური გათხრები წარმოებს ხორასანში, ფარსში, ვილანში, კურთისტანში.

ირანელი ისტორიკოსების სამეცნიერო პრობლემა ინტერესებისა მუშაობაში „ისტორიული გამოკვლევა“, „ირანის არქეოლოგია და ხელოვნება“.

თანამედროვე ირანის ერთ-ერთი აღიარებული სამეცნიერო ცენტრია ირანის კულტურის ინსტიტუტი (ბონიადე ფარმანე ირანი), რომელსაც სათავეში უდგას ცნობილი ირანელი მეცნიერი, ფრედოსის პრემიის პირველი ლაურეატი, პროფესორი ფარმანე ნათელ ხალიარი, რომლის რედაქტორობით უკვე რამდენიმე ათეული წელია გამოდის ირანის ყველაზე სოლიდური ლიტერატურული ჟურნალი „სოხანი“.

ირანის კულტურის ინსტიტუტი სამ დიდ გამოკვლევებს შეიცავს: ისლამისწინააღმდეგობა ირანი, მუსლიმანური ირანი და ენების განვითარება. აქ მუშაობენ ირანის საზოგადოებრივი მეცნიერების საუკეთესო ძეგლები, რომლებიც, ამასთანავე, კითხულობენ ლექციებს თერანის უნივერსიტეტებში. ისინი იკვლევენ ირანის ლიტერატურას, ისტორიას, ცნებსა და დოკუმენტებს. კულტურის ინსტორიას სხვადასხვა ასპექტით.

ირანის კულტურის ინსტიტუტს აქვს ძველბუნების პუბლიკაციის სერია შემდეგი განყოფილებებით: ისტორია, გეოგრაფია, ბიო და აგეოგრაფია; ამ სერიასი იბეჭდება როგორც ფოტოკომპიანეჟური წესით გადაღებული ხელნაწერების (როგორც წესი, უძველესი წესების) ზუსტი პირები, აგრეთვე ძველების კრიტიკული გამოცემები — ინსტიტუტმა მოაწილა და გამოსცა რამდენიმე ასეული თხზულება. ინსტიტუტთან თანამშრომლობენ როგორც ირანის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები, ასევე უცხოელი მეცნიერებიც; მაგალითად, ინსტიტუტმა გამოსცა „ვისამიანი“, XIV საუკუნის ავტორის ზაჟენ ჰომედი და მოაბილენი“, XVI საუკუნის მწერლის ვასილის შემოარები (საბჭოთა მეცნიერების — გ. წერეთლის, ხ. აინის, მ. თოფუას, ა. ვაზარაის, ა. ბოლდირევის თანამშრომლობით).

გამოჩენილი ირანელი მკვლევარის პროფ. ე. იარსატერის (ამჟამად აშშ-ში მოღვაწეობს) ინიციატივით ირანის კულტურის ინსტიტუტში შეუდგა წიგნების ახალი სერიის გამოცემას, რომელიც ეძღვნება შუა საუკუნეების ირანის კულტურული ცენტრების ისტორიის შესწავლას.

1955 წელს დაარსდა ენისა და ლიტერატურის აკადემია („ფარსანგესთანი“). ამ ორგანიზაციის წევრებაში ჩამოყალიბებულა ის ამოცანები, რომელთა განხორციელებაც მან დაიხატა მიზნად. ერთად სპარსული ლექსების გაწმენდა უცხო ენებიდან შემოსული სიტყვებისა და ტერმინებისაგან და მათ ნაყოფად სპარსული ექვივალენტების დაძვება და დანერგვა, სპარსული ენის მეცნიერული გრამატიკის შედგენა, დიდიკატების შესწავლა, ფოლკლორული მასალის შეგროვება, დამწერლობის რეფორმის საკითხის შესწავლა, წახალისება პოეტების, მწერლების, მეცნიერების, რომლებმაც ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები შექმნეს.

„ფარსანგესთანს“ სათავეში უდგას პრეზიდენტი, რომელსაც ნიშნავს შაჰი. პრეზიდენტის მოადგილეებსა და მდივნებს ირჩევენ შიის უპარტულიზმით ფარსანგესთანის ნამდვილი წევრები ორი წლის ვადით.

„ფარსანგესთანი“ შედგება ნამდვილად წევრებისა და წევრობისპოლიტებისაგან. ისინი მატერიალურ ანაზღაურებას არ ღებულობენ. „ფარსანგესთანს“ ნამდვილ წევრად შეიძლება არჩეული იქნას მხოლოდ ირანის ქვეყნარდობი.

ამ დიდი წვლილისთვის, რომელიც მათ შეიტანეს ირანული ფოლკლორის განვითარებას საქმეში, საბჭოთა მეცნიერება, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრობისპოლიტებისა—გ. ბერტელის და ა. ფრეიზის არჩეულ ბუნებრივ ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიის წევრობისპოლიტებად.

მოღვაწეობის დასაწყისში „ფარსანგესთანს“

მთელი თავისი ყურადღება გაუძღვრა. ნამდვილი ენის ლექსიკური ფონდის შევსება-განახლება და ტერმინოლოგიის გამოწმენდების საკითხებზე; იგი უწყვეტად კრებულენ „ახალი სიტყვები“, რომლებიც შაჰის ხელმოწერით იყო გამსტკიცებული და ამიტომ მათ კანონის ძალა ეძლეოდა. ამ ახალი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება აუცილებელი იყო ირანის ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში. ასეთი აღმინისტრაციული წესით გავრცელებული სიტყვები თუ ტერმინები ენაში არ დაინერგა.

ირანული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა „ფარსანგესთანის“ ნამდვილი წევრის, ალი აქბარ ღეზოლას მრავალტომიანი უფრედმეცნიერული ნაშრომი — სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომლის შედენასაც მან შპ წელი მოახლოდა.

ირანში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას დიდად შეუწყო ხელი „ფარსანგესთანის“ ნამდვილი წევრების — შაჰიქ აშოჩარაზანარის, ფურეღ დოუღის, რეზა საფე შაფაჟის, რაშიდ იუსეზის, აბას ევზალის, საიდ ნაფისის, მოჟთაბა მინოვის წყაროებშია მოღვაწეობაში.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ განახლა თავის მოღვაწეობა ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიამ. ამჟამად მისი პრეზიდენტია ირანის ძველი ენებისა და კულტურის აღიარებული საეტიკოსტი, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი სადეუ ქია. მან 1975 წელს მოწოდებულა მიიღო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის შპწ წლისთვისადმი მიძღვნილ საფიქციო სესიასში.

1978 წელს შექმნა ირანის ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემია. თავი სახელმწიფო მდივანისწინებს, რომ მისი მუშაობა წარმართული ბუნება ორი მიმართულებით — ირანის ლიტერატურისა და ხელოვნების კვლევა სხვადასხვა ასპექტებით.

ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიას სათავეში უდგას გამორჩენილი ირანელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. პროფესორი ფარეზ სათელ ხანლიარი, რომლის გამოკვლევებშია ირანულ ფოლკლორისა და ფართო აღიარება მიიღეს როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იგი ვ. ი. ლენინის სახელობის ტაიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის დეპარტამენტი.

ლიტერატურისა და ხელოვნების აკადემიის წევრები უპირატესად დაწვრილნილი მეცნიერება (ლიტერატორები, ისტორიკოსები, ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები და მწერლები), რომლებმაც უზალღესი განათლება ეცრობაში მიიღეს და თეირანის უნივერსიტეტების პროფესორები არიან.

ირანელი ხალხის კულტურული საუნჯის — „შაჰინაშის“ შესწავლას მრავალხარულწილანი იბტორია აქვს. პოემის კრიტიკული ტექსტის და-

დღენის გზაზე მერ კიდევ XIV — XV საუკუნეებში იქნა გადაღებული პირველი ნაბიჯები.

დღემდე როგორც ირანელების, ისე უცხოელების მიერ შამანებს სპარსული ტექსტის არაერთი გამოცემა განმოცემულა და, მათ შორის, მინიშნულაქანა 1900 — 1971 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ ე. ბერტელსიზ, ა. აზერის და ა. ნუშინის რედაქციით გამოცემული „შამანებს“ ცხრატომეული.

1971 წლის ბოლოს ირანში „შამანებს“ მეცნიერთა შესწავლის მიზნით შეიქმნა სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ფარდოსის „შამანებს“ ინსტიტუტი (ბონიაზე შამანეზე ფერდოუსი), რომელსაც სათავეში უდგას თანამედროვე ირანის უდიდესი მეცნიერი, ფართო დიაპაზონის ფილოლოგი, — მოქთაბა მინოვი.

ირანში უროფნისას საინტერესო შეხედვრები გვექნა ირანელ მწერლებთან, მეცნიერებთან, როგორც განაცხადა ჩვენთან პირად საუბარში მოქთაბა მინოვი, ინსტიტუტის წინაშე შემდეგი ამოცანები: „შამანებს“ კვლევა ხაიმედო, ზუსტი და სრული ტექსტის დახადგენად, რასაკვირველია, მისი შემადგომი პუბლიკაციით; პოემის კრიტიკული ტექსტის საფუძველზე მისი ლექსიკონის შედგენა; „შამანებს“ შესწავლა მისი ისტორიული და ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით; „შამანებს“ შეყრება ირანის ხალხურ დასთანდთან და ამ შედარების ლიტერატურული კრიტიკა; ირანის ეპიკური ციკლის სხვა პოემების კვლევა, მათი კრიტიკული ტექსტის დადგენა და პუბლიკაცია.

მოქთაბა მინოვიმ მალაღი შეფასება მისცა საბჭოთა აღმოსავლეთმცოდნეების წვლილს, რომელიც მათ შეაქუთ ირანელი ხალხის სიამაფის — „შამანებს“ შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. „შამანებს“ ბოლოდროინდელი საბჭოთა გამოცემის (ცხრატომეული) ნაკლოვანებანი და ხარვეზები მოქთაბა მინოვიმ ახსნა იმ ვარქმობით, რომ საბჭოთა ირანისტებს მონიშნული არა აქუთ ის უძველესი ნუსხები, რომლებიც ირანში ინახება. ამჟამად ამ ხელნაწერებზე მას ხელა მოუწადება.

ირანის ეროვნული ძეგლების საზოგადოება სწავლობს ირანის ტერიტორიაზე არსებული მატერიული კულტურის ძეგლებს, სამეცნიერო შრომებს აქვეყნებს ისტორიასა და არქეოლოგიაში.

სამეცნიერო მუშაობა გაშლილი ირანის უძველესი კულტურის ასოციაციაში, ფილოსოფიისა და პუბლიცისტული დარგების საზოგადოებაში, ირანის კულტურის ფონდში, სოციალურ მეცნიერებათა საზოგადოებაში, ირანის კლნიკების საზოგადოებაში და ა. შ.

ირანის სამეცნიერო და კულტურულ ცენტრებს წარმოადგენენ აგრეთვე სამეცნიერო ბიბლიოთეკები, სადაც ინახება ხელნაწერები, ილუსტრირებული კვლევები, სწავლობენ მცოდნეები და შუა საუკუნეების ისტორიას; საბიბლიოთეკო სამუშაოები ირანში მოცემა მინოვის მიერ ირანში არსებულ უნიველური წიგნებისა და ხელნაწერების აღნუსხვას, აღწერას, ბიბლიოგრაფიების შედგენას, რაც უბრატესად ცნობილი ირანელი ბიბლიოგრაფების — ირეჯ აფშარის, მოსამედ დანეშუაფუბის, მექდი შაიანის, მოქთაბა მინოვის, ზაბიბოლა ხაფას და სხვათა სახელებთანაა დაკავშირებული. სამეცნიერო ბიბლიოთეკების ფონდების შექმნის მიზნით შემოტანილ იქნა ევროპის, აზიის, ამერიკის წიგნსაცავებში აღმოსავლურ ენებზე არსებული უნიველური ხელნაწერების ფოტოასლები და მკერთეულიშემა

რელიგია აღმოსავლეთის ქვეყნების, ამ შემთხვევაში ირანის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაუთრებული ადგილი უჭირავს, რაც სხვადასხვა ისტორიული მიწვევებითა განპირობებულია. ირანის საბელმწიფო რელიგია შაიზმია, რომლის საშლელეობაც აღფრთოვანებით არ შეხვედრია ქვეყანაში 60-70-იან წლებში ჩატარებულ სოციალურ-ეკონომიურ ვარდაქმნებს. შამა და მმართველმა წრეებმა, თეირანის უნივერსიტეტთან თეოლოგიის ფაკულტეტის ვახსნით და არმიაში ე. წ. „რელიგიური კორპუსის“ შექმნით, მიზნად დაისახეს მოემზადებინათ ტანტის ერთგული რელიგიის მსახურები, რომლებიც ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას ჩატარებდნენ როგორც შაიზმის, ასევე შაიხისა და „თეოთი რევოლუციის“ პრინციპების სასარგებლოდ, რაც ირანში კაბიტალისტური წყობის განმტკიცებას ემსახურება.

შიტუთრი საშლელეობაც ადვილად რომი თმობს თავის პოზიციებს. უმრავლესობა, დამკვიდრებული ტრადიციის კვალდაკვალ, მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ უურანისა და შარიათის კანონების მტკიცედ დაცვას და ურველგვარი სიხალისი, მეცნიერებისა და განათლების წინააღმდეგია. თუმცა მათ შორის გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ თავის რელიგიურ შეხედულებებთან თანამედროვე მოთხოვნალებების შეგუებას, შეთანხმებას. მათ დასაშეებად შიანჩიო რელიგიისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მანარსებობა, ირანელებიშე მეცნიერება რელიგიის სამსახურში ჩაუყენონ. ამიტომ, ხალხის თვალის ასახვევად ასალ ფანდებს იყენებენ. ირანის ერთ-ერთი ზეფუთური ორდენის წინამძღოლმა ჰაჯი სულთან პუსენის თანხლებმ განაცხადა: „მეცნიერების შემცინებთ ჩვენ უკეთ შევიცნობთ ღმერთს“.

60 — 70-იანი წლების პირველ ნახევარში ირანში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიური პროცესების ძირითადი წინაარსია ეკონომიკის უკუ-

და სფეროში კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განმტკიცება, რასაც შეეხატუვისება ირანის ბურჟუაზიის იდეოლოგიის ჩამოყალიბება.

ირანს და მის ფარგლებს გარეთ ფართოდ არის რევოლუციონერული რევოლუციები, რომლებიც „ოთხთა რევოლუციის“ ან „შაჰისა და ხალხის რევოლუციის“ სახელითა ცნობილი.. ამ მმართველობით ფართო მუშაობა გაშლილი. ამას ემახსოვრება მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება ქვეყნის შიგნით, კერძოდ, პრესა, რადიო, ტელევიზია. ცამდე ახევათ შაჰის პაროვნება, მის მიერ ე. წ. „ოთხთა რევოლუციის“ ჩარჩოებში გატარებული რევოლუციები. არის ცდები საქმე იმე წარმოადგინონ, რომ თითქოს ირანში უარი თქვა განვითარების როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ გზაზე, მან რაღაც მესამე გზა აირჩია. ეს, რასაც ვიხსენებ, გაუგებრობაზე დაფუძნებული და განუყოფელია მთავარი ადამიანებისათვის. როგორც უკვე ითქვა, თანედროვე ირანში ჩატარებულა ეკონომიური გარდაქმნების ემახსოვრება კაპიტალისტური წყობის განმტკიცების საქმეს; თანამედროვე ირანის მმართველი ძალები პოლიტიკურ არ იმუშავენ, რათა განმტკიცონ მონარქისტული რეჟიმი, ყოველმხრივ გააფართოონ მმართველობითი ბურჟუაზიის პრივილეგიები, ფინანსურად გაუსწორონ ანგარიში ოპონიციურად განწყობილ ირანელებს, განსაკუთრებით კი მშრომელებს და სტუდენტ ახლავარდობას.

60 — 70-იანი წლების პირველ ნახევარში ირანში მამდინარე სოციალ-დემოკრატიული პარტიების ქვეყნის ცხოვრებისათვის გარკვეული მნიშვნელობა შექმნა, მაგრამ ამით არ მომადარა თანამედროვე ირანის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემების საბოლოო გადაწყვეტა. გაანალიზება რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე თანამედროვე ირანის სინამდვილეში მომხდარი ეკონომიური გარდაქმნების არის და მნიშვნელობა, ირანის სახლბო პარტიის „ოთხეუბ“ ერთ-ერთი ლიდერი ემხან თაბარი თავის შრომაში „ე. ა. ლენინი და სოციალური რევოლუციის განვითარება ირანში“, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „ამ რევოლუციებით მმართველმა წრეებმა თავის საპარტებლოდ მოაზრებებს მოეზღინათ სტაბილიზაცია ქვეყნის შიგნით, მაგრამ ისტორიის განვითარების კანონზომიერების შედეგად მსხვილი მრევოელობის რეჟიმს გამოიყვებ ირანის მუშათა კლასის რევოლუციურ შეხამდებლობათა განვითარებას, იგი გდებოთა ფართო მასებთან კავშირში შეიძლება სათავეში ჩაუდგენს ირანელი ხალხის ბრძოლას, რომლის მიზანია ქვეყნის დემოკრატიზაცია და კემმარტივი დამოუკიდებლობა“. ეს მოსახრებანი ირანელი კომუნისტების ემხან თაბარის გამოთქმული აქვს 70-იანი წლების დასაწყისში.

1978 წელს ირანში აღინიშნა მწვავე შეტე-

ვებებით ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებსა და მთავრობის შორის. გადაიარა გაფიცების მძლავრმა ტალღამ. ეწყობა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. უსაყოფილებამ მოცევა მოსახლეობის ფართო მასები. საპროტესტო მოძრაობის მხარს უჭერენ ქალაქის საშუალო ფენები, მოსწავლე ახლავარდობა, საშუალო ბურჟუაზიის ნაწილი და შიიტური სასულიერო წოდების წარმომადგენლები. ამასთან ფართო მასების მოთხოვნები არ ამოიწურება ეკონომიური საკითხებით, ამჯერად საქმე ეხება იმ კანონების გაუქმებას, რომლებიც ზღუდავენ ირანში სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლებას. ირანელები მოითხოვენ პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ნებართვას.

უკვე აღმდინაზე თვეა სულ უფრო და უფრო მძლავრ ფორმებს იღებს მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები. დიდ ქალაქებში ადგილი შექმნა ხისხისმდარეულ შეტაკებებს მთავრობის მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციების მონაწილეებსა და უშიშროების ძალებს შორის. მოსახლეობის ფართო მასების საპროტესტო გამოსვლებით დაშინებულმა მმართველმა წრეებმა მმართველი უკიდურესი ზომები.

ახლა ირანი საგანგებო წესების პირობებში ცხოვრობს; თორმეტ უღადებს ქალაქში და, მათ შორის, თეირანშიც შემოღებულია სამხედრო წესები; საშუალოდ მთავრობა სამხედრო მთავრობით შეიცვალა, ვითარება ქვეყანაში კვლავ დამახულია.

ესეე ტარდება მასობრივი მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, დემონსტრაციები, რომლებიც მამდინარეობს მონარქისტული რეჟიმის ლიკვიდაციის დოზუნებით; დემონსტრაციის მონაწილეთა გასარტად პოლიციელები და ქარისკაცები იარაღს ხმარობენ. ბევრია დაჭრილი, დახოცილი.

მშრომელების ხასტიკმა ექსპლუატაციამ, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კაპიტალის, უპირატესად ამერიკის მონოპოლიის მიერ სახელმწიფო აპარატში გამეფებულმა კორუფციამ, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ მმართველი წრეების მიერ, მმართველი რეჟიმებმა არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეების მიმართ, გამოიწვია ხალხის გულისწყრომის აფეთქება ირანში და მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო; მასში მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ძალები და დაჭრულებები.

ირანის სახლბო პარტიის „ოთხეუბ“ ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში ნათქვამია, რომ ირანის ახლანდელ რეჟიმს ძალა არ შესწევს გადაწყობის ქვეყნის სოციალური პრობლემები, რომლებიც პოლიტიკურ კრიზისს უღეებს საფუძვლად.

ირაკლი ავაშიძე

ჩვენს საყვარელი მხარელი და მეგობარი

ქეშმარიტად ვალმოხდილი, ქეშმარიტად ღვაწლმოსილი შეხვდა თავის მეოთხმოცე წელს ჩვენი საყვარელი მწერალი, ჩვენი საყვარელი მეგობარი ალექსანდრე ქუთათელი.

ალექსანდრე ქუთათელის რომანი „პირისპირ“ დიდი საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა მოძმე ერის, სოციალისტური სამყაროს თითქმის ყველა ხალხის ენაზეა თარგმნილი და მილიონობით ადამიანები, საბჭოეთსა და უცხოეთში, ამ მხატვრული ეპოპეის მიხედვით ეცნობიან საქართველოს ახლო წარსულის ერთი მთავარი ეპოქის ურთულეს წელთა ისტორიას. დიახ, ალექსანდრე ქუთათელის სახელი, ლექსით, მოთხრობით, რომანით, მართლაც რომ საქვეყნოდაა განთქმული, მაგრამ მკითხველთა ძალიან ვიწრო, მისი შემოქმედების თაყვანისმცემელთა ძალიან ვიწრო, მცირერიცხოვანი წრე თუ იცნობს მას. როგორც ადამიანს, როგორც მოქალაქეს, როგორც პიროვნებას, არამც თუ უცხოეთსა და დიდ საბჭოთა კავშირში, არამედ მის საყვარელ სამშობლოში, საქართველოშიც კი. ალექსანდრე ქუთათელი ერთი ის მოკრძალებული კაცთაგანია, ერთი ის იშვიათად თავმდაბალი შემოქმედთაგანია, რომელსაც არამც თუ იზიდავს და იტა-

ცებს პირადი პოპულარობა და სახელი, არამედ შეგნებულად, დაბეჯითებით გაურბის კიდევ მას, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. ამ პატარა მისალოც წერილში ნუ გამოვუდგებთ ამ თავმდაბლობის ყველა მიზეზის ძიებას; მე აქ მხოლოდ მსიამოვნებს დავასახელო ამ მოკრძალებულ ზოგიერთი საფუძვლიდან მისი მრავალმხრივი ერუდიცია და წარსულის დიდ ადამიანთა ბიოგრაფიების ღრმა ცოდნა.

არა მარტო თავისი ადამიანური ხიბლით, არამედ ამ მრავალმხრივი ერუდიციით, კლასიკური ფილოლოგიის, ევროპული და რუსული ლიტერატურის სიღრმეებში წედომით, მათი თავისებური შეცნობითა და ანალიზებით იკრებდა ყოველთვის თავის გარშემო ალექსანდრე ქუთათელი არა მარტო ქართველ მწერალთა მთელ თაობებს, არამედ რუსეთის გამოჩენილ ლიტერატორებსაც. ჩვენთვის, ალექსანდრე ქუთათელის ახლო მეგობრებისთვის, კარგადაა ცნობილი მისი მწერლური და მეგობრული ურთიერთობა არა მარტო მისი თაობისა და მომდევნო თაობების ქართველ მწერლებთან, არამედ ისეთ გამოჩენილ რუს ბელეტრისტებთან, პოეტებთან და კრიტიკოსებთან როგორც იყვნენ და არიან ალექსანდრე ფადეევი,



ნიკოლოზ ტიხონოვი, ვიქტორ პერცოვი, მიხეილ დუდინი და სხვები.

თითქმის ნახევარი საუკუნის უახლოესი მეგობრობა მაკავშირებს მეც ამ სავარულ მწერალთან და ადამიანთან და

ამ მეგობრობით ვიქნებოდა მისი კიდევ მრავალი ათეული წელიწადი.

სულთ და გულთ მივულოცავ ალექსანდრე ქუთათელს მისი დაბადების მეოთხმოცე დღეს.

ნოდარ დუმბაძე

ბ ა შ ო ნ ო ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

მე თქვენ გზედავთ ჩემი ბავშვობიდან პირხმელს, კუნთმაგარს, მართლაც შევარდენის აღნაგობის ვაჟკაცს, გიყურებთ გაკვირვებული თვალებით, სკოლის სახელმძღვანელოებიდან წვეროსან და ჭარმაგ მწერალთა პორტრეტებს მიჩვეული. — ნუთუ ასეთი აღნაგობის ადამიანებიც წერენ ასეთ ბრძნულ წიგნებსა და ისტორიებს?

მე გზედავთ თქვენ, ბატონო ალექსანდრე, თბილისის ქუჩებში, ლამაზს, ახოვანს, შეუქმნევლად მოგდევთ უკან და უსირცხვილოდ ვისვენ თქვენს საუბარს მეგობრებთან. მერე ჩემს ნაცნობებში ვამაყობ იმით, რომ ჩემი დედულეთიდან ხართ და ვოცნებობ თქვენს გაცნობაზე.

მერე მე გზედავთ თქვენ ჩემი რომელიღაც წიგნის განხილვაზე და გული მიფართქალებს თქვენდამი შიშით, კრძალვითა და მორიდებით.

მერე მე ბედად მერგო თქვენ ჩემთვის ორიოდე საალერსო სიტყვა გეთქვათ და მე ახლაც ვგრძნობ ლოყაზე თქვენი ძლიერი და თბილი ხელის მოთათუნებას.

მე თქვენ გზედავთ, ბატონო ალექსანდრე, მწერალთა კავშირის ბაღში ძველგაზრდებითა და ახალგაზრდებით გარშემოსვულს, მესამის თქვენი დაბეჭდილი, შესაწერი ქართული, შემდეგ ბრწყინვა-

ლე რუსულ-ჩართული რაიმე კვიპატი ანეგდოტი და ჩვენი თავშეუკავებელი ხარხარი.

მერე ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ თქვენ მეგობრადაც კი მიმიღეთ. და ეს ჩემი ბიოგრაფიის ძვირფასი ფურცლებია, ბატონო ალექსანდრე!

ესლა თქვენ ოთხმოცი წლისა ხართ. გულახდილად რომ გითხრათ, არც კი ვიცი რის პირისპირ დგახართ ახლა თქვენ. (ამ სიტყვას ალბათ ბევრი თქვენი მომლოცველი გაათამაშებს თქვენი დიდებული რომანის სათაურის გამო) უკვდავების პირისპირ დგახართ-მეთქი რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, რადგან რაც მე მახსოვხართ, თქვენ მუდამ გვერდიგვერდ დგახართ უკვდავებასთან. არც სიბერის პირისპირ დგახართ, ბატონო ალექსანდრე. რადგან სიბერე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ხანდაზმულობა და მისთვის ჯერ ზღვარი არავის დაუდგია.

თქვენ ახლა, ბატონო ალექსანდრე, თქვენი მადლიერი ქართული ხალხისა და მოსიყვარულე მეგობრების პირისპირ დგახართ და მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ მათ შორის ვიმყოფები. და უფრო ბედნიერი ვიქნება თუ თქვენ ჩემს თვალებში თქვენდამი უზომო სიყვარულს დაინახავთ და ჩემი გულის მადლიერ ცემას გაგონებთ.

ბიოგრაფიული ნარკვევი

დავით აღმაშენებლის ცხოვრება

ქართულ სახეობა ლიტერატურას ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ისტორია აქვს. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კარგა ხანია დამკვიდრდა ცნება — „ქართული საბჭოთა კლასიკა“. როცა ამ კლასიკურ ელამარაგობთ, ჩვენ, უწინარეს უოვლისა, გვახსენდება ის უფუძვლური ნაწარმოებები, რომლებმაც წამოჭრეს და გადაწვეტეს ჩვენი დროის, XX საუკუნის საქართველოს ცხოვრების ყველაზე მწვავე, ყველაზე რთული და სასიცოცხლო სოციალ-პოლიტიკური და ეროვნული პრობლემები. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს ვუთვინის ალექსანდრე ქუთათელის ოსტრომანი ეპოეა „მარხაპირი“, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული საბჭოთა საქართველოს დაუფლების მართალ და ბრძნულ მხატვრულ მათიანედ. ეს ერთი იმ წიგნთაგანია, რომელმაც ტრადიცია შეუქმნეს და თავისი სახე მისცეს ახალ ქართულ საბჭოთა პროზას.

რათ არის ეს წიგნი საინტერესო? მან დახატა ზღაპრული და ხანიათი ქართული მუშისა, გლეხისა, ინტელიგენტიის ისტორიის იმ გარდაჭრულ და რთულ წუთებში, როცა ისინი სწვევდნენ საქართველოს პედს და მის მომავალს. და აი, ამ მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტმა სწორად არჩევანი გააკეთეს. მათ მოუარეს საქართველოს, როგორც თავის ოჯახს.

ეს იყო ახალი საქართველოს ისტორიის ყველაზე რთული და ძნელი პრობლემა, და ალ. ქუთათელმა სწორედ მას მოჰკიდა ხელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს არის მწერალი, რომელსაც თავისი თავი და თავისი მწერლობა ვერ წარმოუდგენია თავისი სამშობლოს ისტორიის გარეშე, რომელიც ისტორიის პროცესებს შორისადაა კი არ ათვალავდნენ, თითონ შიგ, ცხოვრების მუდგულშია, არა მარტო აღწერს, არამედ თავის გმირებთან ერთად ცხოვრობს და იბრძვის, მათთან ერთად აკეთებს საქვეყნო საქმებს, მარტო შემატანე არა არის, მებრძოლიც არის, მოქალაქეც. ასეა ყოველი ნამდვილი მწერალი, ის თავის ხალხთან უნდა იყოს, როცა სწვევტს თავის ქვეყნის მომავლის პედს.

დავროსი კალანდაძემ ერთ თავის ადრინდელ წერილში „სიტყვა სახელოვან მწერალზე“, ალ. ქუთათელის ბიოგრაფიას რომ მოგვითხრობდა, ვახსენა, მისი უფროსი ძმა — დივიზიის მეთაური გიორგი ქუთათელაძე. ზოლო თვითონ ალექსანდრე ქუთათელი უოველდღე იხსენებს

თავის უფროს ძმას. შთელი ეს აშხავე მჭიდროდ არის დაკავშირებული მწერლის ლიტერატურულ გზასთან, მის შემოქმედებითს ბიოგრაფიასთან. ალექსანდრე ქუთათელი, თავისი სიკაბუჯის წლებში ტრიალებდა იმ რჩეულ ქართულ ოფიცერთა შორის, რომლებიც აფუძნებდნენ და აწრთობდნენ წითელი არმიის ქართულ დივიზიებს და თვითონვე იყვნენ მისი სარდლები. არც ის არის შემოხვევითი, რომ სახელგანთქმულ ქართველ სარდალს კონტანტინე დენსევიძეს პარტიის თბილისის კომიტეტის კურსებზე ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს უყიანავდა ალექსანდრე ქუთათელი. აი, ასევე ახლოს იყო დაკავშირებული მწერალი ყველა იმართან, ვინც თავისი ხელით მქმნიდა და მქმნის ახალ საქართველოს, იქნება ის მუშა თუ გლეხი, მხედარი თუ მეცნიერი.

ალექსანდრე ქუთათელს მარტობა არახოდე უყვარდა და მუდამ აუარებელი მეგობრები ეხვივნენ ვარს. მას ჰყავს დიდძალი წაცნობები თბილისის ინტელიგენციაში, სამხედრო პირთა შორის (თვითონაც ხომ ადრე ვარში მსახურობდა); მის ახლო წაცნობებსა და მეგობრებს შორის შეხვედებით ყოფილ გიმნაზიელებს — კლასის ამხანაგებს, რომელთაც, მართალია, სხვადასხვა გზები აირჩიეს ცხოვრებაში, მაგრამ მეგობრობის ტრადიცია ხისხშილს მქონდათ გამჭვარი და ისე უყვარდათ ერთი-მეორე, რომ იტყვიან, მეგობრის გულისხთვის ცეცხლში ჩადგებოდნენ.

ვისაც საშა ქუთათელი ამ მეგობართა წრეში უნახავს, არ შეიძლება არ გაახსენდეს მასავით თბელი აღნაგობის, შავთვალწარბა კაცი — გიორგი (ეროა) ნაკაშიძე. ეს იყო ერთი ახალი, უშუალო, მხიარული და კეთილი კაცი, უყვარდა მოღებნა სამაფლოზე თუ მცხეთაში, უსანაურში თუ ტაბახმელაზე, და მას, ჩვენი საშა დეიძე მასავით უყვარდა. გიორგი ცხოვრობდა ბელანსკის ქუჩაზე, და მუშაობდა დიდუბეში, რასაც კომინანტის დირექტორად.

და აი, ერთხელ, სამსახურის საქმეებზე, გიორგი მივლენებით მოხვდა ციმბირში, ქალაქ კრასნოიარსკში. წამთარა იყო, და ცხადია, ჩავიდა თუ არა, ჯერ სასტუმროს მიკითხა, მაგრამ ცივი უარით გამოისტუმრეს — ადვილი არა ვუაქვს... ასეთივე პასუხი მიიღო მეორე სასტუმროშიც, მესამეშიც... ახლა კი იფიქრა, ცუ-

დათ არის საქმეო. და მტკიცედ დააწვივებთ თავისი გაეტანა და საწადელისთვის მიღწეო. მაგრამ მორივე აღმინებტრატორი, ახლგაზრდა ქალაშვილია გატაცებით კითხულობს რაღაც სქელტანთან წიგნს, და თავს მაღლა არ იღებს. გიორგიც დაადგა თავს და აღარ მიდის. ქალიშვილმა წაშით კვლავ აიხუდა და თქვა:— მოქალაქე, ერთხელ უკვე გათხარით, რომ თავისუფალი ნომერი არ გაქვს, მიბრძანდით — გიორგი კი ხად უნდა წავიდეს, ყინვას გარეთ ქაბუახი გააქვს, დგას გიორგი და იცდის, ეგებს რაჟე სასწაული მოხდეს... სასწაული არ ხდება, ქალიშვილი ისევ გატაცებით კითხულობს წიგნს. გიორგის ბრავი მოსდის იმ ქალიშვილსაც, იმ წიგნის ავტორსაც — რამ დაწერინა იმ დალოცვილს აშხელა წიგნი...

— ოთახი აღარ მინდა, ქალბატონო, — დაიწყო გიორგიმ, — უვლადურს გუფიცებით, ნამდვილად აღარ მინდა, მარტო ეს მითხარი, ვისია ემ წიგნი?

მორიგემ ჯერ წარბი შეიკმუნა, მაგრამ ქალური აღლოთი თუ გუმანით ამ კაცის ხმაში იცნო მოფერებისა თუ ვედრების მსგავსი კილო, სწორედ ის კილო, როცა ზედუბიან ხოლმე, თუ როგორ უქირს თუნდაც ახეზარ მომსდელეს, რომელსაც შენს იქით გზა არა აქვს—ან უნდა შეიწუალო, ან არა, გაიშტო, გასწირო, ჩაუვტო უინვაში კარი და გულაც, რომელსაც აღმინის სიბრალული ჯერ არ დავიწყებია.

ქალიშვილმა წიგნს თავფურცელზე დახედა და გიორგის უპასუხა:

— „ივესტიას“ მიერ გამოცემული რომანია, ნათარგმნი ქართულიდან...

— ქართულიდან? — წამოიძახა გაზარებულმა, — დუთის გულისხამთის მითხარი, ვისია?!

— ალექსანდრე ქუთათელისა!

— ვაჰ! — წამოიძახა გაზარებულმა წიგნი, მაგ კარგი წიგნის დაწერი იქში უვლადე ახლოზელი ძმაცაქია.

ორივეს დავიწყდა, რომ წუთის წინ ერთმეორეს მტრებით უმღევრდნენ, ორივე უცებ დამეგობრა წიგნმა, დაწერილმა მეგობრობაზე, აღამანებისადმი სიუყარულზე, სამშობლოზე. ახლა ორივენი გატაცებით იგონებდნენ ცალკეულ ეპიზოდებს რომანიდან, ახსენებდნენ წიგნის პერსონაჟებს — კორნელი მზეციქვა და ნინო მათაშვილს, გრიგოლ ცაგურაშვილსა და დათა მიქელაძეს, მარგარიტასა და ქეთოს, უეუდას, ვისი ბედიც ასე ახლოს მიიტანა გულთან ემბირტელმა ქალიშვილმა... ბოლოს მან წამოიძახა:

— თუნდა საყვედურიც გამოვიტხადონ, დაჩეშნული ნომრებიდან ერთ ოთახს თქვენ გამოვიყოფთ...

ამ კარგი წიგნის — ოთხტომიანი ეპიკის — „პირისპირ“ — ის სხვა მრავალი პროზაული და პოეტური ქმნილებების ავტორს, ალექსანდრე ქუთათელს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ჩვენმა საზოგადოებრივობამ გულთბილად, მადლიერების გრძნობით აღნიშნა ეს თარიღი, საბჭოთა მთავრობამ ავტორი „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ დააჩილდოვა. ალექსანდრე ქუთათელი „მნათობის“ ძველი თანამშრომელია, 1924 წელს, ეფრნალის დაარსების წელსვე გამოჩნდა მისი სახელი „მნათობის“ ფურცლებზე. მისი „პირისპირ“ ათეული წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ამ ეფრნალში. ვუსურვოთ ქართული ზიტყვის გამოჩენილ ოსტატს დიდხანს შერჩენოდეს სულიერი სიმსნევე, დაუცხრომელი ხალხის და ტრფიალი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენი ხალხის და ჩვენი კულტურის საყეთლდღეოად.



638/50



0360 80 333

ИНДЕКС
76128

„МНАТБИ»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ